

ლორდ ბაირონი

დონ ჟუანი

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2016

გამოსაცემად მომზადდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და გამომცემლობა „ჩვენი მწერლობის“ მიერ

ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
კორექტურა	ეკა ბუჯიაშვილი თამარ ყალიჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიჯაშვილი

გარეკანზე გამოყენებულია თომას ფილიპსის „როჩდეილის 6-ე ბარონის, ჯორჯ გორდონ ბაირონის (1788-1824) პორტრეტი ალბანურ ტანისამოსში“, 1813

© პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე 2016

978-9941-9117-8-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia



მიქლავა

ბობ საუთი!

პოეტი ბრძანდები და ლაურეატიცა ბრძანდები, სინიდისი მთელი რასისა, თუმც ამ ბოლო დროს ტორი გაგვიხდი, ამისთანები კი გეხერხება;

ან რასა იქმ, ჩემო ეპიკურო რენეგატო?

მარტო ჰყუდიხარ თუ სხვა ტბელებს ჩაჰკვრიხარ?

მელოდიით გადავსებულ ბუდეს მაგონებთ, „ქადაში ჩაკირული ოცდაოთხი შაშვი ქადის გაჭრისთანავე ამღერდება“ (ეს ძველი სიმღერა და ახალი სიმღერი ზედგამოჭრილია ერთმანეთისთვის), „სათავითაო კერძი ხელმწიფეს“, რეგენტი ბრძანდებოდეს, თუ გინდა, ასეთ საკვებზე სული რომ უკანკანებს;

და კოლორიჯი სადღა დაიარება, ამ ბოლო ხანს რომ დაგვიფრთიანდა, მაგრამ ჩამოგვიმძიმდა კიდევ, შავარდენს რომ კაპოტი ქვემოთ ექაჩება, – ერს მეტაფიზიკის ამხსნელად დასდგომია – მაგრამ ნეტა მაგისი ახსნანი ხელახლა ასახსნელი არ გაგვიხდეს.

ეი, ბობ!

თავხედი რომა ბრძანდები, თვითვე უწყი; წაგიხდა ნატვრა, ყველა აქაური მგალობელი ჩიტი დაგეტანა და ერთადერთ შავ შაშვად გედურთა თავი კერძში; თვითონვე გამოსავათდი, თუ რაც თავს უყავ, და ძირს დაებერტყე აფრენილი თევზივით და სულს ღაფავ გემბანზე, რაკილა მალლა-მალლა შეიფრთხიალე, ბობ, და დაასკდი, წვეთიც რომ არ გიდულს, სუმთლად გამოხევებულო ბობ!

ეს უორდსუორთიც რომ ხანგრძლივ ექსკურსიას მისტანებია (მგონი, კაი ხუთას გვერდზე გაუჭრელებია წიგნი), ახალი სისტემის უთავბოლო ვერსიას გვაჩეჩებს, ბრძენკაცთა ჩამძი-

რავს საგონებელში; ეს პოეზია გახლავსთ – თვითონ კი ასე გვიმტკიცებს და ვინცობაა ასეცაა, რადგან ძალსაც გააცოფებს – და ვინც ამ პოეზიისას გაიგებს, ჰეი ჰე და ბაბილონის გოდოლს ერთ სართულსაც დაადგამს.

ეი, ჯენტლმენო! დიდხნობით განუცალკევდით უკეთეს საზოგადოებას და თქვენებური თემი შეგვიქმენით კესუიკში, და ჭკუა-გონებას ჯერაც ერთურთს რომ უზავებთ, ბოლო-ბოლო ულოგიკურეს დასკვნასაც გამოჰკარით ხელი, რომ პოეზია მხოლოდ თქვენთვის იმეტებს გვირგვინებს;

ინროება ასეგვარ ჰაზრთა მანატრებინებს, ეგ თქვენი ტბები ოკეანესებრ გადაგენელათ.

მე ვერც წვრიმალ აზრებს ავყვები და ვერც ჩემს თავმოყვარეობას დავახურდავებ ასეთ მდაბიურ ცოდვაზე; ხერხიანობამ დაგიხვავათ მთელი დიდება, რადგანაც მარტოდენ ოქრო ვერ მოპირავდა თქვენს საქციელს.

შენ ჯამაგირს გამოჰკარ ხელი, რა — განა ამისთვის არ იკლავდი თავს?

უორდსუორთიც აქციზში მოკალათდა. გაცვეთილი ჯეელეები კი ბრძანდებით, მაგრამ პოეტებიც ბრძანდებით აკი და მორჭმითაც წომოსკუპებულხართ უკვდავების ბორცვზედ.

კადნიერ შუბლებს დაფნა გიფარავთ – ალბათ სათნო სინითლის ნატამალსაც; და იყოს ასე, არა მშურს თქვენი არც ნაყოფი, არც რტოები და არც დიდება, შიგ რომ ეფლობით, ასპარეზი ყველასია და ყველამაც თავი გამოსცადოს, და თავთავისი ბრწყინვალეობაც შეიშნოვოს.

სკოტი, როჯერსი, კემპბელი, მური და კრაბი ეცდებიან ტოლი არ დაგიდონ შთამომავლობის წინაშე.

მე კი, ფეხოსან მუხებთან ერთად რომ დავხეტილობ, ფრთოსან რაშებზე ამხედრებულთ რას შეგეჯობრებით, გისურვებთ, ილბალმა, თუკი ინებებს, მოგმადლოთ დიდება, რასაც ეშურებით, და ნიჭი, რაცა გჭირდებათ. და გაგახსენოთ, რომ პოეტი არაფერს კარგავს, თუ მოძმეთ შესაფერ საჩუქარს უძღვნის; და დღეისდღეზე წუნწუნი ხობისაკენ მიმავალ ბილიკს ვერ გაგინალდავთ.

ვინც დაფნებს შთამომავლობისათვის თვალმოსაჭრელად აგროვებს (შთამომავლობა კი ხშირად ამ ბრწყინვალე ანდერძს სულაც არ ითხოვს), ამ გროვებ-გროვებით დიდ მოსავალს ვერ მოიმკის, თავს თუ ავნებს ასეთი ახირებით.

და მაინც, აქა-იქ დიადი იშვიათობანი ამოიზრდებიან ტიტანებივით ზღვის სიღრმიდან; მაძიებელთა უმეტესნი კი წარვლიან, და თუ საით, უფლის გარდა სხვა ვინ გაიგებს.

თუ ავადასახსენებელ ჟამს ბოროტი ენით დაგესლილმა მილტონმა შურისსაძიებლად დროს მოუხმო; და თუ შურისმგებელი დრო დალაზვრავს მილტონის ავისმზრახველთ და სიტყვა „მილტონურს“ „დიადათან“ შეათანაბრებს, ეს იმიტომ, რომ მილტონს არც საკუთარი სულისათვის უღალატნია თავის სიმღერებში და არც ნიჭი მოუხმარია დანაშაულებრივ; არ შეუძლებია მამა, რათა ვაჟისათვის შეესხა ხოტბა, და სიცოცხლეც ისე დაასრულა ტირანიის სიძულვილით, ვითარც დაიწყო.

დაფიქრდით, სამუელივით რომ შეეძლოს ამ ბრმა ბერიკაცს სამარიდან აღდგომა, რათა თავისი წინასწარმეტყველებით კვლავაც გაუყინოს სისხლი მონარქებს, ანდა ისევ ცოცხალი რომ იყოს, გაჭაღარავებული დრო-ჟამითა და დევნით, უმწეოდ მომზირალი გულქვა ქალიშვილების ხელში, დაქანცული, ფერმკრთალი და ლატაკი, განა სულთანს გააღმერთებდა?

ან გონებრივად საჭურის კასლრეის ქედს შეუშვერდა?

ამ ცივისსხლიან, ფარისეველ, შემპარავ, წამხდარ ერეტიკოსს! კრიალა ხელები ერინის სისხლით რომ შეუღლებავს და უფრო მეტი ჟღერის ჟინით გახელებულს ხოცვა-მუსვრა მონათესავე ნაპირზე გადმოუტანია; იგი ყველაზე უგვანი იარაღია, ტირანიას რაცა სჭირდება; ნიჭიც რომ საკმაოდ აყრია, არც მეტი, არც ნაკლები, სხვისი გამოჭედილი ბორკილები რომ დააგრძელოს და კარგა ხნის შეზავებული სანამლავიც შესთავაზოს.

ორატორიც ბრძანდება, ისეთ ნაყარ-ნუყარა ფრაზებს აფრქვევს, კანონიერად გათახსირებულს, უსირცხვილოზე უსირცხვილო მლიქვნელებიც კი ვერა ბედავენ მის შექებას, და ვერც მტრები – ერები მოწყალედ იღიმებიან და ერთი უნებლიე, მხიარული ნაპერწკალიც კი არ გამოკრთის ამ უსასრულოდ მბრუნავი იქსი-

ონის დოლაბიდან, სულ რომ ტრიალ-ტრიალებს, რათა მსოფლიოს გადაუშალოს უბოლოო ტანჯვა მუდმივ მოძრაობისა.

თავის საზიზღარ საქმეშიც კი არ უქნია ღმერთს, ბლანდავს, ჩხლართავს და ისეთი რალაც-რალაცები მირჩება ხოლმე, მის ბატონებსაც რომ აშინებთ ხილვა; ლაგამს ამოსდებს სახელმწიფოს და აზრებსა ზღუდავს; შეთქმულებებსა და კონგრესებს ხლართავს; კაცობრიობის ხუნდებს ანახლებს ეს მონათშემქმნელი თოქმაჩი, ძველ ჯაჭვებს ამაგრებს და ამისათვის ღვთისა და კაცის ზიზღს იმკის.

გონივრულად თუ განვსჯით, მას, სულით ხორცამდე საჭურისსა და რალაც შუალედურ სქესად ქცეულს, მხოლოდ ორი მიზანი აქვს – ემსახუროს და დააბას; ჰგონია, შუალედურ სქესს ჯაჭვი რომ შეუბამს, კაცებსაც მოუხდებათო, მრავალი ხელობით აღჭურვილი ეუტროპიუსია, თვალდავისილი შეჰყურებს თავისუფლებას, სიბრძნესა თუ მახვილგონიერებას, უშიშარია, რაკილა გრძნობა ყინულს არ გააჩნია; და მანკიერებად გადაჰქცევია გაბედულება.

საით მივბრუნდე, მისი ბორკილები თვალში რომ აღარ შემეჩხიროს, მე თვითონ ხომ ისინი აროდეს შემიგრძენია? იტალიისკენ!

იტალიავ, ამ ბოლო ჟამს შენს გამოცოცხლებულ რომაულ სულს იმედი გაუცრუა იმ ტყუილმა, ამ ქვეყნიდან რომ მოგიბერა;

არა მსურს მოჟღარუნე ჯაჭვი ვიხილო, არა მსურს ვისმინო ერინის ჯერაც მწვანე ქრილობათა კვნესა, ხმამაღლა რომ შემომოტირიან, ევროპას ჯერაც ჰყავს მონები, მოკავშირენი, მეფეები, არმიები და საუთიც ცოცხალი ბრძანდება, სნეული ხმით რომ მიუგალობოთ.

ამრიგად, ლაურეატ ბატონო, მიძღვნას ვაგრძელებ, სადა, წრფელი ლექსით განწყობილი სიმღერისა.

და თუ სახობო ჰანგები არ გამომდის, „იმიტომ, რომ ლურჯ-ყვითელად ვრჩები“; განდგომილების პოლიტიკა ჯერაც ვერ შევისწავლე, ასერიგ მოდური დღესდღეობით; რწმენის შენარჩუნება ჰერკულესური ვალია, განა ასე არ არის, ჩემო ტორო, იულიანეზედ იულიანევ?



თავი პირველი

გავეპოვა და ყრმობა: ჯულია

გმირი მომნატრებია, უჩვეულო გმირი.

ოდეს ყოველი წელიწადი და თვე ახალ-ახალ გმირებს მოგვივლენს ხოლმე და გაზეთები (სამთავრობო ბიულეტენები) ბოლო-ბოლო გაძღებიან მათი ლიქნით, ეპოქა აღმოაჩენს, რომ თურმე ისინი ჭეშმარიტი გმირები არა ყოფილან; მე კი ისეთი გმირის ქებას არ მოვერიდები, როგორც ჩვენი უძველესი მეგობარი დონ ჟუანია. ყველასაც გვიხილავს პანტომიმში, ჯოჯოხეთს გასტუმრებული, ძველ დროში.

ვერნონსაც, ყასაბ კამბერლენდსაც, ვულფსაც, ჰოუკსაც, პრინც ფერდინანდსაც, გრენბისაც, ბარგონსაც, კეპელსაც, ჰოუსაც, ვინ კეთილსა და ვინ ბოროტს, ცოტაოდენი სალაპარაკო ყველასაც ჰქონდა, და კიდევ ჩადგეს თავთავისი სანიშნე ბოძი, როგორც ამჟამად უელსლიმ; ყოველი მათგანი სამეფო ჯიშისაა, ბანქოსი არ იყოს, სახელის მაძიებელი იმ ღორის „ცხრა გოჭივით“.

საფრანგეთმაც გამოაცხადა ბონაპარტე და დუმორიე მონიტორსა და კურიერში. აღნუსხა ბარნავი, ბრისო, კონდორსე, მირაბო, პეტიონი, კლოტცი, დანტონი, მარატი, ლა ფაიეტი, ფრანგებიც რომ გახლდნენ და ცნობილნიც, ვითარ გსმენია.

და სხვანიც იყვნენ, ძნელად რომ ივინყებ, ჟუბერი, ჰოში, მარსო, ლანესი, დეზე, მორო, სამხედრო საქმით განთქმულნი და თავის დროზე საკმაოდ ცნობილნიც, მაგრამ სრულებითაც არ მოერგებიან ჩემს რითმებს.

ერთ დროს ბრიტანეთს ომის ღმერთად ჰყავდა ნელსონი და ასეც უნდა დარჩენილიყო, მაგრამ დინება გამოიცვალა და აღარც ტრაფალგარს ახსენებენ, ჩვენს გმირთან ერთად დასა-

მარებულს; რაკილა სახმელეთო ჯარმა გადასწონა ზღვაოსანთა ჯარი, ახლა პრინცი სახმელეთო საქმეებში ჩაფლულა და დანკანიც დავიწყებულა, ნელსონიც, ჰოუც და ჯერვისიც.

აგამემონამდეც უცხოვრიათ მამაც ვაჟკაცებს, და თუმც შუეპოვრობითა და სიბრძნით მას ჩამოჰგავდნენ, შეტოლებით ვერ შეტოლებოდნენ; და აღარც ჩანან პოეტის სიმღერებში და დავიწყებამ თან წაიყოლათ: დაწუნებით არავის ვწუნობ, მაგრამ ვერც ვპოულობ ვერავის ანმყო ჟამს, ჩემი პოემის (ანუ ჩემი ახალი პოემის) შესაფერს.

და რალა დამშთენია, ვითარ გაუწყეთ, ჩემს მეგობარ დონ ჟუანს მივუბრუნდები.

ეპიკოსთა უმრავლესობა „in medios res“ იწყებს (ჰორაციუსმა ეს დასახა საგმირო ეპოსის გზად), შემდეგ კი შენი გმირი ჰყვება, ოდეს შენ ინებებ, თუ რა მოხდა მანამდე — იხსენებს ეპიზოდებს, ნასადილევს სიამით მჯდარი, მეუღლის გვერდით მოკალათებული, სასახლეში, ბაღში, სამოთხესა თუ ქვაბულში, ბედნიერი წყვილისათვის ფუნდუკად რომ გამოდგება.

ყველგან მოდებულია ეს მეთოდი, მაგრამ ჩემი არ არის, არა — ჩემი გზა დანყებაა დასაწყისიდან;

სისწორე ჩემი განზრახვისა კრძალავს ყოველგვარ გადახვევას, როგორც ყველა ცოდვაზე ცოდვას, და ამიტომაც შევუდგები სტრიქონით (თუმც უკვე ნახევარი საათიცაა გავხსენი თხრობა), რითაც გიამბობთ დონ ჟუანის მამაზე, და დედაზეც, თუკი ნებას დამრთავთ.

სევილიაში დაიბადა, მშვენიერ ქალაქში, ციტრუსებითა და ქალებით რომ განთქმულა — ვისაც სევილია არ უნახავს, ბევრიც დაუკარგავსო, ამბობს ანდაზა — და მეც სავსებით ვეთანხმები; ესპანეთის ქალაქებს შორის არ მოიძებნება მასზე უფრო ლაზათით სავსე. ვითომ კიდიზი? — შეგიძლიათ საკუთარი თვალით იხილოთ და შეადაროთ;

დონ ჟუანის მშობლები ცხოვრობდნენ მდინარის პირას, კეთილშობილი მდინარისა, გვადალკვივირად სახელდებულის.

მამას ხოზე ერქვა — დონი, ცხადია — ჭეშმარიტი იდალგო გახლდათ, მავრული თუ ებრაული სისხლისა წვეთიც რომ არ

ერია, ესპანეთის გოთური კეთილშობილის შთამომავალი; უკეთესი კავალერი არ მჯდარა ცხენზე ან ცხენზე ამხედრებული არ ჩამოქვეითებულა, ვინემ ხოზე, ვინც შეჰქმნა ჩვენი გმირი, ვინც შეჰქმნა... მაგრამ ამაზე მერე.

ჯერ კი განვაგრძოთ.

დედა ნასწავლი ქალი გახლდათ, სახელგანთქმული მეცნიერების ყველა შტოს ცოდნით, ქრისტიანულ ენებზე რაც კი არსებობს. ღირსებებით, მისივე გონიერებას რომ შეემკო, სირცხვილს აჭმევდა უჭკვიანეს ადამიანებს, და კეთილი პირნიც თავთავისთვის შურით ოხრავდნენ, ოდეს ხედავდნენ, ინესი გვჯანბნის ყველაფერში, რაც ჩვენს საქმედ მიგვაჩნიაო.

მალაროსავით გონება მომადლებოდა: ზეპირად იცოდა კალდერონი და ლოპეს მოზრდილი ფრაგმენტები, და თუ მსახიობს ვისმე საკუთარი როლი დაავინყდებოდა, მოკარნახედ დაუდგებოდა; იმას ფინეგლის ხელოვნება უსარგებლოდ გადაქცეოდა და თავისი სალარო უნდა გამოეკეტა, რადგანაც ვერასოდეს მიაღწევდა ისეთ მესხიერებას, დონა ინესის ტვინში რომ ბუდობდა.

საყვარელ მეცნიერებად მათემატიკა ეგულებოდა, უკეთილშობილეს სათნოებად — სულგრძელობა, მისი მახვილგონიერება (ხან ჭკუამახვილობასაც მოსინჯავდა ხოლმე) პირწმინდად ატიკური გახლდათ, მისი ღრმა გამონათქვამები დიდ სევდას იწვევდა; რა გავაგრძელო, ყველაფერში ის იყო, რასაც მე ქსოვილთა სიყვარულს დავარქმევ — დილის კაბა ბამბის გამჭვირვალე ქსოვილისა ემოსა, სალამოსი — აბრეშუმისა, ზაფხულში მუსლინისა ან სხვა ქსოვილის, რისი დასახელებისაც ვიბნევი.

იცოდა ლათინური — ანუ ლოცვანი, და ბერძნული ანბანი — არც მეეჭვება; შიგადაშიგ ფრანგული რომანებიც წაეკითხა, თუმც მეტყველების მანერის დახვეწილობით ვერ დაიქანდა; მშობლიურ ესპანურს დიდად არ უფრთხილდებოდა, და საუბარიც, რაღა დავმალო, ბუნდოვანი მოსდევდა; ფიქრები თეორემებში გაეხვია, სიტყვები პრობლემებში, თითქოს ეგონა, იდუმალებით გავაკეთილშობილებო.

იტაცებდა ინგლისური და ებრაული ენები და ამბობდა, მათ შორის მსგავსებააო; თითქოს კიდეც ამტკიცებდა საგალობელთა მოშველიებით, მაგრამ ამ მტკიცებებს მათ ვუტოვებ, ვისაც პირადად უნახავს; ოღონდ ის კი მსმენია, რომ ეთქვას — და ყველას შეუძლია, როგორც ინებებს, ისე გაიაზროს:

— უცნაურია, ებრაული არსებითი სახელი, „მე ვარ“-ს რომ აღნიშნავს, ინგლისურში ყოველთვის „წყეულად“ ითქმის.

და თუკი ქალს ვისმე მეტყველებაში რაიმე შეეშლებოდა, მაშინვე საყვედურებით აავსებდა და ლექციასაც ნაუკითხავდა, თვითეული თვალი ქადაგებად იქცეოდა და წარბი — ჭკუის დარიგებად.

ამ თვითნასწავლმა დირექტორმა ყველაფერი იცოდა, ვით განსვენებულმა სერ სემუელ რომილიმ, კანონის განმმარტებელმა და სახელმწიფოს კორექტორმა, ვისი თვითმკვლელობაც თითქმის ანომალია გახლდათ — კიდეც ერთი სევდიანი დასტური, რომ ყოველივე ამაოა (მსაჯულთ „შემლილად“ შერაცხეს).

რა გავაგრძელო, დონა ინესი მოარული საანგარიშო გახლდათ, მის ეჯუორთის რომანთაგან გადმოსული, ან მისის ტრიმერის წიგნებიდან, ან საყვარლების თხოვნით გამოფენილი „კოელების ცოლიდან“, ზნეობის პრანჭია განსახიერება, შურის ნასახსაც რომ ვერ აღმოუჩენ. და თუ სხვებს წილად ხვდებათ „ქალთა შეცდომების ცვენა“, მას მისხალი შეცდომაც არასოდეს მოსვლია — რაც ყველაზე სავალალოა.

ოჰ, სრულყოფილებად წარმოდგებოდა და ეტოლებოდა თანადროულ წმინდან ქალებს; და შორს იყო ჯოჯოხეთის ეშმაკური მანქანებისგან — მის მფარველ ანგელოსს ლაშქარი ებოძებინა მისთვის; მისი ყოველწუთიერი მოძრაობა ისევე მწყობრი გახლდათ, ვით ჰარისონის მიერ დამზადებული საუკეთესო დროის საზომისა; მისი ღირსებანი ყოველივე მიწიერს აღემატებოდა, თვინიერ შენი „სწორუპოვარი ზეთისა“, მაკასარ!

სრულყოფილი გახლდათ, მაგრამ მოსაწყენია სრულყოფილება ამ ჩვენს არარაობადქცეულ მსოფლიოში, ისე, ვითარცა ჩვენს პირველ მშობლებს არ ესწავლათ, რა არის კოცნა, ვინემ ადრეულ ფანჩატურთაგან გამოაძევებდნენ, ყველგან მშვიდობა რომ დასადგურებულიყო, უმანკოება და ნეტარება (მიკ-

ვირს, ნეტა ვითარ გაჰყავდათ თორმეტი საათი), დონ ხოზე კი, ვით ევას პირდაპირი შთამომავალი, სხვადასხვა ხილის დასაკრეფად დაიარებოდა მის უნებართვოდ.

დაუდევარი მოკვდავი გახლდათ, სწავლა დიდად არ ეპიტნავენებოდა და არც უსწავლია, დადიოდა, სადაც მოეგუნებებოდა, და სიზმრადაც არ მოელანდებოდა, ცოლს ვანყენინეო; სამყარო, ვითარ სჩვევია, ავს იზრახავდა, ენახა სამეფო თუ სახლი გადაბრუნებული, და ჩურჩულებდნენ — საყვარელი ჰყავსო, ზოგნი ორის არსებობასაც ირწმუნებოდნენ — მაგრამ შინაური აყალმაყალისათვის ერთიცა კმარა.

დონა ინესის, ყველა სიკეთესთან ერთად, ალაფრთოვანებდა თავისი კარგი თვისებანი; დაუდევრობას მარტოდენ და მხოლოდ წმინდანი თუ აიტანს; და ასეთიც გახლდათ ზნეობით; მაგრამ მაშინ კი ეშმაკი შეუჩნდა სულში და რაღაც ახირებულად შეხედა ყოველს, და იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ უსიამოვნებაში არ ჩაეგდო თავისი სენიორი ქმარი.

ამის მოწყობა იოლზე იოლია კაცისათვის, ვინც ხშირად აშავეებს და არასოდეს ფრთხილობს; და თვით ბრძენკაცთაც, საქმის საუკეთესო აღმსრულებელთ, აქვთ წუთები, საათები და დღეები, როს მოუშადადებლნი არიან და შეგიძლია „თავიანთივე ქალბატონის მარათი გამოუბერტყო ტვინი თავიდან“.

და ხან ქალბატონები ძალიან მწარედაც სცემენ, და მარაოები ხმლებად იქცევა მათ მშვენიერ ხელებში, რატომ და ვითარ, ვერავინ ხვდება.

ეს საბრალო ნასწავლი ქალწულნი ყოველთვის უმეცარ კაცებზე თხოვდებიან, ან ჯენტლმენებზე, კეთილშობილი წარმოშობა და ჯიში რომ არ აკლიათ, მაგრამ მეცნიერული კამათი ქანცავთ; ჩემს თავზე ბევრს ვერას ვიტყვი, ერთი უბრალო კაცი ვარ და მარტოხელა, მაგრამ — ოჰ! თქვენ, ბატონებო, ინტელექტუალ ქალბატონთა მეუღლენო, სიმართლე გვამცნეთ, განა ყველანი ცოლებს არ დაუჯაბნიხართ?

დონ ხოზე და მისი ქალბატონი ჩხუბობდნენ — თუ რატომ, მრავალთაგან ერთიც ვერ გამოიცნობს, თუმც ბევრნი კი ლამობდნენ, ეს არც მათი საქმე იყო და არც ჩემია.

მეზიზლება ეს მდაბალი ცოდვა — ცნობისწადილი, მაგრამ თუკი არსებობს რაიმე, სადაც გავიბრწყინებ ხოლმე, ეს ჩემთა მეგობართა საქმეების მოგვარებაა, რაკილა ჩემი პირადი საქმეები არ გამაჩნია.

ასეა თუ ისე, ჩავერიე და ჩავერიე კეთილი ზრახვით, მაგრამ მათ სიკეთითვე როდი მომაგეს; ვფიქრობ, სულელმა და ახირებულმა ხალხმა, თუმც ნახვით კი არვინ მინახავს, ეგაა, მოგვიანებით მათი კარისკაცი გამომიტყდა, მაგრამ არა უშავს, ყველაფერმა ჩაიარა, რომ თურმე პატარა ჟუანს უსვრია ჩემთვის მოსამსახურე ქალის წყლიანი კასრი, თუმც ზედ გინება არ დაუყოლებია.

პატარა, თმახუჭუჭა, უმაქნისი, ჩხუბისთავი მაიმუნი დაბადებითვე; მშობლებს არაფრის გაგონება არა სურდათ და აღმერთებდნენ ამ ყველაზე მოუსვენარ ჭინკას დედამინის ზურგზე; აყალმაყალის ნაცვლად გონება რომ მოეკრიბა ორივეს, ახალგაზრდა ბატონს სკოლაში მიაბარებდნენ ან კარგად გაჯორავდნენ შინ და ქცევის წესებს დროულად შეასწავლიდნენ.

დონ ხოზე და დონა ინესი ერთხანს უსიხარულოდ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს გაყრას კი არა, სიკვდილს უსურვებდნენ; რესპექტაბელურად ცხოვრობდნენ, როგორც ქმარსა და ცოლს შეჰფერის, მათი საქციელი ზუსტად შეეფერებოდა მათსავე წარმოშობას და შინაურ ბრძოლას გარეგნულად არ იმჩნევდნენ მანამ, სანამ დროის კვალობაზე სულისშემხუთავი ცეცხლი გაჩნდებოდა და ყოველივეს ეჭვქვეშ დააყენებდა.

დონა ინესმა იხმო ზოგიერთი მეთათიაქე და ექიმი და შეეცადა დაემტკიცებინა, ჩემი საყვარელი ბატონი გიჟიაო; მაგრამ მერე ერთხანს შეისვენა, გონება გაუნათდა და გადაწყვიტა, დონ ხოზე მხოლოდ უვარგისიაო; და როს მოწვეულებმა ახსნაგანმატება ითხოვეს, არაფერიც არ აუხსნია, მარტოდენ ის თქვა, ღვთისა და კაცის წინაშე ჩემი მოვალეობა მაკისრებს ამგვარ ქმედებასო — რაც ძალზე უცნაური ჩანდა.

ჰქონდა დღიური, სად ინიშნავდა დონ ხოზეს შეცოდებათ, ხსნიდა წიგნებსა და წერილებს, საიდანაც ყველაფერს იწერდა, შემთხვევა თუ ჩაუვარდებოდა, და საამისოდ მთელი სევილია აქეზებდა, გარდა თავისი მოხუცი კეთილი დიდედისა (ვისაც იგი ძალზე უყვარდა); მის ამბებს ისმენდნენ და იმეორებდნენ,

გადაიქცეოდნენ ვექილებად, ინკვიზიტორებად, მსაჯულებად — ზოგი თავშესაქცევად და ზოგიც ბოროტულად.

და შემდგომ ეს დიდებული და უსუსტესი ქალი ისეთი უმფოთველობით იტანდა თავისი ქმრის უბედურებას, ვითარცა ოდესღაც სპარტელი ქალბატონები, რომელნიც შეჰყურებდნენ, ქმრებს რომ უხოცავდნენ, და კეთილშობილური იერით კრინტსაც არა ძრავდნენ მათზე — მშვიდად ისმენდა ყოველგვარ ცილისწამებას და დონ ხოზეს ტანჯვას ისეთი ბრწყინვალეობით შეჰყურებდა, მთელი მსოფლიო აღტაცებით შესძახებდა: რა დიდსულოვნებააო!

ცხადია, მოთმინება, როს მთელი ქვეყანა გლანძღავს, ფილოსოფიური თვისებაა ჩვენს ყოფილ მეგობართა; გეამება, დიდსულოვნად რომ მიგიჩნევენ, ამით კი დასასრულს ვუახლოვდებით; და რასაც იურისტები *Malus animus* ეძახიან, ამგვარი საქციელი აუცილებლად იქამდე მიგვიყვანს; შურისგება, ცხადია, უმჯობესი თვისება არ არის, მაგრამ, აბა, რა ჩემი ბრალია, თუკი სხვანი მოგაყენებენ ტკივილს.

და თქვენი უთანხმოება წამოშლის ძველ ამბებს და მათ თითოთოროლა ახალი ტყუილითაც წაეშველება, მე არაფერ შუაში ვარ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ — არც არავინაა შუაში — ისინი ტრადიციად გვექცა; გარდა ამისა, მათი აღდგომა მკვდრეთით შეენევა ჩვენს დიდებას ფერისცვალებით, დიდება კი ყველასა გვსურს: და მეცნიერება სარგებლობს ამ მკვდრეთით აღდგომით — მკვდარი სკანდალები კარგ თემას გვთავაზობს გაკვეთის შედეგად.

მეგობრები ცდილობდნენ მათ შერიგებას, შემდეგ ახლობლებმაც მოინდომეს და კიდევ უფრო წაახდინეს საქმე (ძნელია თქმა, ამგვარი შემთხვევებისას ვის სჯობს დასახმარებლად მიმართო — ვერც მეგობარს გირჩევდით და ვერც ახლობელს).

ვექილებმა ყველაფერი ილონეს, რათა გაეყარათ, მაგრამ ისინაა ჯამაგირი უნდა გადაეხადათ ორივე მხარისათვის, რომ ის უიღბლო დონ ხოზე კიდევ გამოეცალათ ხელიდან.

მოკვდა: და ძალზე უიღბლოდ, რადგანაც ყველა მინიშნების თანახმად, რაც შევაგროვე ყოველგვარ კანონთა განსჯისა და

შესწავლის შემდეგ (თუმც მათი განმარტებანი ბუნდოვანია და ფრთხილი), მისმა სიკვდილმა მოახერხა მშვენიერი საქმის ჩაშლა; დიდი მწუხარება უნდა გამოითქვას საზოგადოებრივი განცდების პატივსაცემად, რაკილა ეს საქმე დიდ სენსაციას პირდებოდათ.

მაგრამ ეჰ! მოკვდა და მასთან ერთად დაიმარხა საზოგადოებრივი განცდანი და ვექილთა ჯამაგირები: მისი სახლი გაიყიდა, მსახურები დაითხოვეს, ურიას ერგო მის ორ სატრფოთაგან ერთი, მეორე მღვდელს დარჩა — ბოლობოლო ასე ამბობენ; ექიმებს ვკითხე მისი სნეულების თაობაზე, — გარდაცვლილა დაბალი სიცხით, ეგრეთწოდებული სამდღიანი ციებისა.

და დაშთა ქვრივი საკუთარი თავის ამარა.

და მაინც, ხოზე ღირსეული პიროვნება გახლდათ, ეს, უნდა ითქვას, ყველამ იცოდა, ვინც იცნობდა; ამიტომაც მის სისუსტეთ მეტად აღარ განვსჯი, და სათქმელი ბევრიც აღარაფერი დარჩა; და თუ მისი ვნებანი დროდადრო გაუბრუნდნენ კეთილგონიერებას და არ იყვნენ ნუმასავით (პომპილიუსად ხმობილის) მშვიდობიანნი, იმიტომ, რომ ცუდად აღეზარდათ, და ღვარძლიანი დაიბადა.

ღირსეული გახლდათ თუ უღირსი, საბრალო კაცს მრავალი რამ აყენებდა ჭრილობას. თუნდაც ის, რომ — რა არის უარესი ამქვეყნად — გამოცდის ნუთები დაუდგა, როს მარტოდმარტო აღმოჩნდა მიტოვებულ კერიასთან, სად მისი ოჯახის ყველა ღმერთი იწვა და კანკალებდა მის გარშემო: აღარავითარი არჩევანი აღარ დარჩენოდა მისი სიამაყის გრძნობას, გარდა სიკვდილის ანდა ექიმის კერძად გადაქცევისა.

და მიიცვალა.

განეშორა ანდერძის დაუტოვებლად. ჟუანი დაშთა ერთადერთ მემკვიდრედ სასამართლო დავების, მამულებისა და მიწების, რაც დიდხანს ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის შედეგად დიდ იმედს პირდებოდა შესაფერის ხელში მოქცეული: ინესი გახდა ერთადერთი მეურვე, რაც სამართლიანი იყო და ბუნების მოთხოვნასაც შეჰფეროდა; რადგანაც დედის ანაბარა დარჩენილი ერთადერთი ვაჟი სხვებზე უფრო ბრძნულად იზრდება.

ქალების, და მათ შორის ქვრივთა, რჩევით მან გადაწყვიტა, ჟუანი სანიმუშო უნდა იყოს და თავისი მოდგმის ღირსიო (მამის მხრივ კასტილიელი და დედის მხრივ არაგონელი): ამიტომაც რაინდობის სიქველეთა შესასწავლად ჟამისა მისთვის, თუკი უფალი მეფე კვლავ საომრად გაემზადებოდა, მან შეითვისა მხედრობა, ფარიკაობა, სროლა და ისიც, თუ ვითარ ამძვრალიყო ციხე-სიმაგრისა თუ მონასტრის კედელზე.

მაგრამ ყოვლის უმეტეს, რაც დონა ინესს სურდა და დღე-ციხმარე ამას ფიქრობდა, იყო ის, რომ ნასწავლი აღმზრდელე-ბი დაუქირავა, რათა მისი აღზრდა მკაცრად ზნეობრივი ყოფი-ლიყო; ყოველ მეცადინეობას ადევნებდა თვალყურს და ყველა-ფერს ჯერ თვითონ სწავლობდა. ხელოვნების, მეცნიერების არცერთი დარგი არ დარჩენია საიდუმლოდ ჟუანის თვალებს, გარდა ბუნების ისტორიისა.

ენები, განსაკუთრებით მკვდარი ენები, მეცნიერებანი, ყველა-ზე მეტად გაუგებარნი, და ხელოვნებანი, ისეთნი, რომლებზეც ითქმის, ყველაზე უფრო დაშორებიან ყოველდღიურობასო, ყოვე-ლივე ეს ჟუანმა საკმაოდ და ღრმად შეისწავლა, მაგრამ არცერთი გვერდი არ წაუკითხავს, სადაც თუნდ მინიმუნება ყოფილიყო სახე-ობათა ჩამოყალიბებაზე, რათა ბინიერი არ გაზრდილიყო.

მისმა კლასიკურმა განათლებამ ცოტა არ იყოს უხერხულო-ბა განაცდევინა ღმერთებისა და ქალღმერთთა იმ გარყვნილი სიყვარულის გამოისობით, ადრეულ საუკუნეებში ალიაქოთი რომ ატეხეს და არასოდეს იცვამდნენ საცვლებსა თუ ლიფებს; მის ღირსეულ მოძღვართ დროდადრო ხიფათი ემოქრებოდათ „ენეიდების“, „ილიადებისა“ და „ოდისეებისა“ გამო, იძულე-ბულნი რომ ხდებოდნენ, ახირებული გამართლება ეძებნათ, რაკილა ინესს ეშინოდა მითოლოგიისა.

ოვიდიუსი გარყვნილი კაცია, როგორც მისი ლექსების ნა-ხევრიდან იგრძნობა, ანაკრეონტის ზნეობა უარესის ნიმუშია, კატულუსს ერთი რიგიანი ლექსიც ვაივაგლახით თუ მოეძე-ვება, არა მგონია, საფოს „ოდა“ თავმოსანონებელი იყოს, თუმც ლონგინე გვარწმუნებს, არ არსებობს ჰიმნი, სადაც ამაღლებული ასე ზემოთ აფრენილიყოსო: ოღონდ ვერგილი-

უსის სიმღერები წმიდაა, გარდა იმ საშინელი ნიმუშისა, **Formosum Pastor Corydon**-ით რომ იწყება. ლუკრეციუსის ურწმუნოება ძალიანაა მოჭარბებული, ადრეულ ფაშვთათვის ჯანსაღ საკვებს ამონმებს; არა მშორდება ფიქრი, რომ იუვენალი ცდებოდა, თუმც უსათუოდ და უთუმცაოდ კეთილი განზრახვა ჩაეთქვა, როს თავის სიმღერებში ამდენსა და ასე წრფელად მსჯელობდა უხეშობის საჭიროებაზე; და რომელი პატიოსანი პიროვნება გაამართლებს მარციალის საზიზღარ ეპიგრამებს.

ჟუანს ასწავლეს საუკეთესო გამოცემიდან, განათლებულ პირთა მიერ ჩასწორებულ-ამოშლილიდან, ვინც გონივრულად უმაღავენ მონაფეებს დიდრონ ნანილებს; მაგრამ შეშინებულებმა, ჩვენი მოკრძალებული მგოსანი ძალიან არ დავაზიანოთო, და დასახიჩრებულისადმი სიბრალულისა გამო ყველაფერი დანართში გადაიტანეს, რაც არსებითად საძიებლის გასაჭირს აგვარებს.

რადგანაც იქიდან ისინი „ერთიანად გვესხმიან თავს“, ნაცვლად იმისა, სხვადასხვა გვერდზე ყოფილიყვენ მიმოფანტულნი; ჩამწკრივებულნი და მონესრიგებულნი დგანან, ვით მწყობრი ლაშქარი, რათა შეეგებნონ მომავლის გენიალურ ყმანვილებს, ვინემ ნაკლებად მკაცრი რედაქტორი დააბრუნებდეთ განცალკევებულ საკნებში, ნაცვლად იმისა, ერთად იდგნენ და კაშკაშებდნენ, ვითარცა არცთუ რიგიანი ღვთაებანი.

Missal-იც (საოჯახო **Missal**) ისევე შეემკოთ, ვით უძველეს სახალხო წიგნებს რთავენ, და გროტესკული სურათებითაც მოერთოთ. და ვითარ შეეძლოთ მათ, ვინც ამ ნახატებს თვალს გადაავლებდნენ, ტექსტში ჩაეხედათ და ელოცათ, ეს ჩემს ცოდნას აღემატება — მაგრამ დონ ჟუანის დედამ ის თავისთვის შეინახა და ვაჟიშვილს სხვა უბოძა.

იგი კითხულობდა ქადაგებებს და უძლებდა ლექციებს, ჭკუის დარიგებასა და წმიდანთა ცხოვრებებს; იერონიმედან ქრისტოსტომამდე გამოიწროთ, ამ მოძღვრებათაგან თავშეკავებას არ ითვისებდა; მაგრამ თუ ვითარ ითვისებენ რწმენას და შემდგომ განამტკიცებენ, არავის ძალუძს ზემოთქმულთაგან წარ-

მოსახოს ისე, ვითარცა ნეტარმა ავგუსტინემ თავის მშვენიერ „აღსარებანში“, რაც აიძულებს მკითხველს, შეშურდეს მისი შეცოდებანი.

ესეც დახურული წიგნი გახლდათ პატარა ჟუანისათვის.

რა შემიძლია გარდა იმის თქმისა, რომ დედა მართალი იყო, თუკი სწორია ასეთი აღზრდა. იშვიათად რომ თვალი მოეცილებინა ბიჭისათვის; მოახლენი მოხუცები ჰყავდა. და თუ ახალს აიყვანდა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, მაჯლაჯუნა იქნებოდა;

ასე იქცეოდა ქმრის სიცოცხლეშიც — და ამას ვურჩევ ყველა მეუღლეს.

პატარა ჟუანი სიუბვესა და კეთილდღეობაში იმყოფებოდა; ექვსისა საყვარელი ბავშვი იყო, თერთმეტისა რომ შეიქნა, მისი ლამაზი სახე დიდ რასმე გვპირდებოდა დავაჟკაცების დროისათვის; ბეჯითად სწავლობდა და მსწრაფლ იზრდებოდა, სხვა თუ არაფერი, ზეცის მსახურებისათვის სწორ გზაზე იდგა, რადგან დროის ნახევარს ეკლესიაში ატარებდა, დანარჩენს კი — აღმზრდელებთან, აღსარებას ამბობდა და დედასთან იყო.

ექვსი წლისა, ვითარ ვთქვი, საყვარელი ბავშვი გახლდათ, თორმეტისა — კობტა, მშვიდი ბიჭუნა; პატარობისას ცელქი იყო, მაგრამ მორაჯულეს, მოუშალეს ბუნება და ამოდ არ გარჯილან. ბოლო-ბოლო ასე ჩანდა და, დედისა სასიხარულოდ, აცხადებდნენ, თუ რაოდენ ჭკვიანი იყო, მშვიდი და ბეჯითი, და რომ უკვე მოესწრო მშობელს ახალგაზრდა ფილოსოფოსი.

გარკვეული ეჭვები მქონდა და, ალბათ, კიდეც შემომრჩენია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, თუ მე რას ვიტყვი; მამამისს კარგად ვიცნობდი და ვუნცი მისი ხასიათის თავისებურებანი, მაგრამ უსამართლობა იქნება, რომ მამიდან შვილს გადავაბრალოთ კარგი თუ ავი;

იგი და მისი ცოლი ცუდი წყვილი იყო — მაგრამ სკანდალები მძაგს — და ვგმობ ყოველგვარ ბოროტ მითქმა-მოთქმას, ხუმრობასაც კი.

ჩემი მხრივ არას დავძენ, არას, გარდა იმისა, რომ — ეს ჩემი მოსაზრებანია — მე რომ ერთადერთი სასკოლე ვაჟი მყავდეს (მადლობა ღმერთს, არ უბოძებია), დონა ინესივით არ გამოვკეტდი და მარტოდენ კატეხიზმოს არ ვასწავლიდი, არა, არა,

დროულად გავგზავნიდი კოლეჯში, სად მე თვითონ შევიძინე ყოველივე, რაც კი ვიცდი.

რადგან იქ კაცი სწავლობს... მაგრამ ტრაბახი რომ არ მჩვევია... თუმცა შევიძინე — მაგრამ არად გამომდგომია, ძველი ბერძნულივით სულ დამავინწყდა; მაგრამ მაინც ესაა ადგილი... თუმცა „verbum sat“. ვფიქრობ, შევიძინე კიდეც, ვითარცა უმრავლესობამ, ცოდნა ყველაფერში მარტოდენ... რა მნიშვნელობა აქვს, რაში.

ცოლი აროდეს მყოლია... მაგრამ ვიცი, რომ ვაჟიშვილებს ასე არ უნდა ვასწავლიდეთ.

ჭაბუკი ჟუანი თექვსმეტი წლისა შესრულდა, მაღალი იყო, ტანადი, ხმელი, მტკიცედ აღნაგი, მოძრავი, მაგრამ არა პაჟივით ფაციფუცა, და ყველა ფიქრობდა, დაკაცდაო, გარდა დედისა; იგი ბრაზდებოდა და ტუჩებს იკვნეტდა (რომ არ ეკივლა), თუ ვინმე ეტყოდა: ჟუანი დავაჟკაცებულაო, — რადგან ნაადრევი ზრდასრულობა, მისი აზრით, ველურობას უდრიდა.

მრავალრიცხოვანი ნაცნობები ჰყავდა და ყველა შერჩეული კეთილგონიერებისა და ერთგულების კვალობაზე; მათ შორის დონა ჯულია, ვისაც კობტა რომ ვუნოდოთ, დავამცრობთ იმ მირიად ხიბლს, ბუნებრივად რომ ახლავს ყვავილს, ან მარილს დავაკლებთ ოკეანეს, სარტყელს შემოვხსნით ვენერას და მშვილდს წავართმევთ კუპიდონს (აი, ეს ბოლო სიმბოლი კი გაცვეთილი და სულელური გამოვიდა).

მისი შავი, აღმოსავლური თვალები მავრულ წარმოშობაზე მიუთითებდა (მისი სისხლი მთლად ესპანური არ გახლდათ, ხოლო ესპანეთში ეს ცოტა არ იყოს ცოდვად ითვლება); როს დაეცა ამაყი გრანადა და გაქცევა მოუხდა და ატირდა ბოაბდილი, ჯულიას ნათესავთაგან ზოგმა აფრიკაში გაასწრო და ზოგიც ესპანეთში დარჩა, მისმა დიდმა დიდებამ კი გადაწყვიტა დარჩენილიყო.

იდალგოზე დაქორწინდა, მოდგმა არ მახსოვს, ვინც ამ ქორწინებით დააქვეითა თავისი სისხლი, რაც არ ეკადრებოდა, და მისმა მშობლებმაც წარბი შეჰკრეს; ისინი ხომ გულმოდგინედ ინახავდნენ სისხლს და ერთმანეთზე ქორწინდებოდნენ ნათე-

სავები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, რაც ყოველთვის ნაახდენს ჯიშს, თუ ასე გაგრძელდება.

ამ წარმართულმა შეჯვარებამ ალუდგინა ჯიში, სისხლი შეუ-რია, მაგრამ ხორცი გაუუმჯობესა; და ძველი ესპანეთის ყვე-ლაზე უშნო ძირიდან ამოიზარდა ახალი მშვენიერი ნერგი; ვა-ჟები დაგვაჯულები აღარ იყვნენ, ქალიშვილები — უსახურნი;

ჰო, ბოროტი ხმები ამბობდნენ, რასაც მე არ გავიმეორებ: დონა ჯულიას დიდედამ დონს სიყვარულით მეტი მემკვიდრე შესძინა, ვინემ კანონიერი ქორწინებითო.

რაც უნდა იყოს ჯიში გაგრძელდა, და უმჯობესდებოდა ყო-ველ თაობაში, ვინემ ერთადერთ ვაჟზე გაჩერდებოდა, ვისაც ერთი ქალიშვილი შეეძინა;

ჩემი მოთხრობა სწორედ იქით მიდის, რომ ეს დედისერთა ჯულია გახლდათ (და სწორედ მასზე მომიწევს ბევრის მოყო-ლა) — დაქორწინებული, მომხიბვლელი, პატიოსანი და ოცდა-სამი წლისა.

თვალები ჰქონდა (ძალიან მიყვარს ლამაზი თვალები) დიდ-რონი და შავი, და მათ სიმშვიდეში შემალულიყო უფრო ამაყი, ვინემ მკაცრი გამომეტყველება, და სიყვარული უფრო, ვინემ სხვა რამ; და რაც მათში გამოჰკრთოდა, მაინცდამაინც ვნება არ იყო, სულიერება უფრო უნდა ყოფილიყო, რაც ვნებას ებრ-ძოდა და განწმენდა მის არსს.

მზინავი თმა ნათელ, ჭკვიან, გადატკეცილსა და მშვენიერ შუბლს შემორტყემოდა; წარბთა რკალი ზეციურ თაღს ემსგავ-სებოდა, ლანვნი ავარდისფერებოდა და ყმანვილური სხივი დაჰკრავდა, და კაშკაშებდა, თითქო გამჭვირვალეაო, და სისხ-ლძარღვები ელვასავით გადაირბენდნენ; მართლაც რომ არაჩ-ვეულებრივი გარეგნობისა გახლდათ და მიხრა-მოხრის; და აშოლტილიც — არ მიყვარს დაგვაჯული ქალები.

უკვე რამდენიმე წლის დაქორწინებული იყო ორმოცდაათი წლის კაცზე; ასეთ ქმრებს არა აკლიათ რა, და მაინც ვფიქრობ, ერთი ასეთის ყოლას, სჯობს ორი ჰყავდეს ქალს და ოცდახუთი წლისანი, და განსაკუთრებით მზესთან ახლომდებარე ქვეყნებ-ში. და სწორედ ახლა ვფიქრობ ამაზე, „mi vien in mente“, ძალ-

ზე ახირებულად ქველი ქალბატონებიც კი ოცდაათ წლამდე ქმრებს ამჯობინებენ.

სამწუხაროა, რა ვქნა, უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი მაინც იმ უნესო მზის ბრალია, თავს რომ არ დაანებებს ამ უმწეო თიხას, ბრანავს, აღუღებს, სწავს გამუდმებით, თუმც ხალხი მარხულობს და ლოცულობს, ხორცი მყიფეა და სულიც არასრულყოფილი; და რასაც ადამიანები თავაზიანობას უწოდებენ, ღმერთები ღალატად მიიჩნევენ, უფრო იქაა გავრცელებული, სად მცხუნვარე კლიმატია.

ბედნიერია ზნეობრიობით აღსავსე ხალხი ჩრდილოეთისა! აქ ყველა ქველია და ზამთართან ერთად მოდის ცოდვა, გაშიშვლებული და აცახცახებული (თოვლი არ იყო, წმ. ანტონი ჭკუაზე რომ მოიყვანა?).

აქ მსაჯულნი შეაჯამებენ, თუ რა ღირს ცოლი, და დაუდგენენ მიჯნურს გადასახადს, თავიანთ ნებაზე და მანაც უნდა გადაიხადოს კობტა-ლამაზად, რადგან დანაშაულსაც საბაზრო ფასი აძევს.

ჯულიას ქმარს ალფონსო ერქვა, თავის ასაკთან შედარებით რიგიანად გამოიყურებოდა და, თუმც მასზე არა გიჟდებოდა ჯულია, არცა სძულდა; ერთად ცხოვრობდნენ სხვა მრავალივით, იტანდნენ ერთიმეორის ხუმტურებს, ვითა ცოლ-ქმარი, და არა რალაც შემთხვევისა გამო, არამედ ზოგადად.

ალფონსო ეჭვიანი იყო, მაგრამ არ ამჟღავნებდა, რადგან ეჭვიანობას არ უყვარს თავის გამჟღავნება.

ჯულია იყო — ვერაფრით გამიგია თუ რა მიზეზით — დონა ინესის საყვარელი მეგობარი; მათი გემოვნებანი ძალზე განსხვავდებოდა, ჯულიას სტრიქონიც კი არასოდეს დაენერა; ხალხი ჩურჩულებს (უთუოდ ცრუობენ, რადგან ბოროტ ენებს უყვართ პირად ცხოვრებაში ჩაჩრა), რომ ინესს დონ ალფონსოსთან, ამ ბატონის ქორწინებამდე, თვისი სათნოება შეელახა თავდავიწყებისას.

და ამგვარად, ძველ კავშირს ინარჩუნებდა, რაც დრო-ყამმა განწმინდა, გაასუფთავა და ამიტომ დაიახლოვა მისი ქალბატონიც, და ასეთი ურთიერთობა ხომ უკეთესიცაა; ბრძნულად მფარველობდა ჯულიას და ამით ინონებდა დონ ალფონსოს გე-

მოვნებას; რადგან თუ სკანდალის ჩაქრობა ვერ მოახერხა (ვის შეძლება?), ასე ცოტაოდნავ მაინც მოაგვარა ყველაფერი.

ვერ გეტყვით, რომ ამ ამბავს ჯულია სხვების თვალთ ხედავდა, ან თვითონ ჩხრეკდა რაიმეს, ან ვინ რა იცის ამის შესახებ ბოლო-ბოლო, არარა მიანიშნებდა ამაზე; ალბათ არც არა იცოდა, ან არ ადარდებდა, თავიდანვე გულგრილად განენყო, ან მერე გადაუარა; დაბნეული ვარ, რა ვიფიქრო ან რა ვთქვა, რადგან არავისთან კრინტიც არ დაუძრავს.

ჯულია ხედებოდა ჟუანს და ხშირად მოჰფერებია, ვით ლამაზ ყმაწვილს, ასეთი რამ სავსებით უმანკოა და უვნებელი, მაშინ როს იგი ოცი წლისა იყო და ჟუანი კი ცამეტისა. მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ მსგავს რამეზე მხოლოდ გამეღიმებოდა, როს ჟუანი თექვსმეტისა შესრულდა და ჯულია კი ოცდასამისა;

ორიოდე წელი განსაცვიფრებელ ცვლილებებს იწვევს, განსაკუთრებით მცხუნვარე მზის ქვეყნებში.

მიზეზებს რას დავეძებთ, შეცვლით შეიცვალენ;

ქალი გაუცხოვდა, ჭაბუკმა დაირცხვინა, სალამი გაუცივდათ, შეხვედრისას დუმდნენ და თვალეში უხერხულობა ეხატებოდათ; უთუოდ და უთუმცაოდ დონა ჯულია გრძნობდა მიზეზს, ჟუანს კი ისევე არა გაეგებოდა რა, ვითარცა მას, ვისაც აროდეს უხილავს ზღვა და ოკეანე.

და თუმც ცივად, მაინც გულკეთილად ესალმებოდა, და ცახცახით ცდილობდა თავისი ციციქნა ხელის გამორთმევას ჟუანის ხელიდან, ოღონდ ოდნავ მოუჭერდა, ჟრჟოლისმომგვრელად, ნაზად და მსუბუქად, ისე მსუბუქად, რომ არც უნდა დაეჭვებულყო; და ჯადოსნის კვერთხს არ შეუცვლია ისე არმიდას ჯადო, ვით ეს ნაზი შეხება იჭრებოდა ჟუანის გულში.

და როს შეხვდებოდნენ, თუ აღარ უღიმოდა, ისე სევდიანად შესცქეროდა, ღიმილზე ტკბილი იყო, თითქო ამოჩენილიყო ის ფიქრები გულის სიღრმიდან, რაც თითქო არც უნდა გამკრთალიყო, მაგრამ უფრო მეტად გახლდათ ნაფერები მის მგზნებარე მკერდში;

უმანკოებაც კი მრავალ მზაკვრობას იმარხავს და თავსაც არ უმხელს ამას, ხოლო სიყვარული სიყმაწვილიდანვე გვასწავლის ფარისევლობას.

ვნება ოსტატურად იმალება, მაგრამ მაინც გასცემს თავს — დამალულიც კი; ისევე ვითარ მოღრუბლული ცა წინასწარმეტყველებს უძძლავრეს ქარიშხალს, ვნებაც მოდარაჯე თვალს ვერ დაემალება. და ვითარც უნდა წარმოაჩინოს თავი, მაინც ფარისევლობა იქნება; სიცივე იყოს, თუნდა სიბრაზე, თუნდა ზიზლი ან სიძულვილი, მარტოდენ ნიღბებია მისთვის, თანაც დაგვიანებული.

და იყო ოხვრა, გულში ჩახშობა, მოპარული მზერა, ნაქურდალივით ტკბილი, განითლება, მაგრამ ზედმეტი არარა; კანკალი შეხვედრისას და აუტანლობა განშორებისა; და ეს ხომ მცირე პრელუდიებია შეპყრობილობისა, რასაც ჭაბუკური ვნება თავს ვერ დააღწევს და მარტოდენ იმის მიმანიშნებელია, თუ რაოდენ უსაზღვროა სიყვარული, და დასაწყისში რაოდენ დამაბნეველი ახალბედასთვის.

გუნება დაუმძიმდა ჯულიას, საბრალოს, იგრძნო, მეკარგება გულიო, და გადანყვიტა, კეთილშობილ ნაბიჯს გადავდგამ ჩემთვისაც და მეუღლისთვისაც ღირსების, სიამაყის, რელიგიისა და სიქველის სახელითო; მართლაც დიადი გახლდათ ეს გადანყვეტილება და ეგებ ტარკვინიუსიც აეცახცახებინა; და ვევედრებოდა ქალწულ მარიამს: დამიფარეო, — საუკეთესო მსაჯულს ქალის ქცევისა.

დაიფიცა: ჟუანს აღარასოდეს ვნახავო, — და მეორე დღესვე ეწვია დედამისს, ცნობისნადილით შეიხედა გაღებულ კარში, რამაც ქალწულის ნყალობით მეორეში გაიყვანა, მადლი უძღვნა, თუმც ცოტა გულიც ეტკინა — ერთიც გაიღო და ამით მორჩა, მეტი კარი აღარც იქნება, ალბათ ჟუანიც აქ იმყოფება — არა! და ვშიშობ, იმ ღამით ქალწულისათვის ლოცვით აღარ მიუმართავთ.

ახლა კი გადანყვიტა: ღირსეულმა ქალმა პირისპირ უნდა შეხედოს ცოტუნებას და არ დაემალოს, გაქცევა სიმდაბლე და ლაჩრობაა და არცერთი კაცი ჩემს გულში ნაკლებ განცდას არ გამოიწვევსო;

ფიქრობდა: ჯობნა-არჯობნა შემთხვევაზე ჰკიდია, ზოგიერთი სხვაზე სანდომიანია, მაგრამ ისინი მხოლოდ სხვა მრავალ ძმას ემატებიანო.

და თუნდაც შემთხვევით — და ვინ რას გაიგებს? ეშმაკი ისეთი ცბიერია — უნდა მიმხვდარიყო, ყველაფერი მთლად რიგზე

ვერაა გულშიო. და გაუელვებდა, ასეთი სიყვარული ალბათ უჩვეულოდ დამატკობსო.

ღირსეულ ცოლს ამგვარი აზრები უნდა ჩაეხმო და უკეთ ეგრძნო თავი მათი განდევნის შემდეგ; და თუკი უნდა განვსაჯოთ, ვითარ იქნება ეს უარყოფა, ყმანვილქალებს უნდა ვურჩიოთ: ეგებ თქვენც გეცადათო.

ამასთან, არსებობს ისეთი რამ, ღვთაებრივი სიყვარული რომ დარქმევია, სპეტაკი და უმანკო, შეურყვნელი და ნმინდა, ისეთი, ანგელოსნი რომ ასხამენ ხოტბას და მანდილოსნები, იმავე საფრთხის წინაშე ვინც დგანან, პლატონური, სრულყოფილი სიყვარულის.

— სწორედ ისეთი სიყვარული, როგორც ჩემია, — ეს თქვა ჯულიამ და ასეც ფიქრობდა.

და მეც მსურს, რომ ასე ეფიქრა, მე, კაცს, ვისაც ზეციური ოცნებანი მის გამო დამტრიალებს.

უმანკოა ეს სიყვარული და უხიფათოდ ისულდგმულებს ორ ახალგაზრდას შორის. ჯერ შეიძლება ხელზე კოცნა, მერე ტუჩებში; ჩემზე რა მოგახსენოთ — შორსა ვარ ამისთანებისაგან, მაგრამ მსმენია, რომ ეს თავისუფლება მიგვიყვანს სიყვარულის ზღვრამდე, რომლის გადალახვითაც ხალხი დანაშაულს ჩაიდენს. მაგრამ ჩემი რა ბრალი იქნება, მე ხომ დროულად ვაფრთხილე.

მაშ სიყვარული და მარტოდენ სიყვარული, ოღონდ საზღვრებში ჩატეული, გახლდათ ჯულიას უცოდველი გადანყვეტილება ყმანვილი დონ ჟუანის გასახარად და დიდადაც უნდა ნადგომოდა ეს არჩევანი; და ღარიბულ ტაძარში დანთებული ცეცხლი გაახუნებდა ეთერულ ბრწყინვალებას; და თუ რა შთამაგონებელი იქნებოდა ჟუანის სწავლება ჯულიასა და სიყვარულის ერთობლივი მონდომებით, მართლაც არ ვიცი და ჯულიამაც არ უწყოდა.

აღვსილი ასერიგად მშვენიერი განზრახვითა და სიმტკიცით — თავისი უმანკო სულით — ყოველმხრივ შემოზღუდული დარწმუნდა თავის სიძლიერეში, ჩემი ღირსება კლდესა ჰგავს ან ლოდსო, და იმ საათიდან მოკიდებული გონიერებით აჭარ-

ბებდა ყოველნაირ საჭირობოტო ზედამხედველობას; და სძლევდა თუ არა ჯულია ამ ამოცანას, შემდგომ ვიხილავთ.

გეგმა, რომელიც დაესახა, უმანკოც იყო და გადასალახიც, ანკი თექვსმეტი წლის ყმანვილთან რა სკანდალში გაეხვეოდა, და თუ ვინმე შეასწრებდა თვალს, მხოლოდ კეთილმოსურნედ.

გული ჩაუშოშმინდა — ასე ამშვიდებს ადამიანს შეურყვენელი სინდისი! ქრისტიანები ერთმანეთს წვაენენ და სჯეროდათ, მოციქულებიც სწორედ ჩვენსავით მოიქცეოდნენო.

და იმ დროისათვის ქმარი რომ გარდაცვლოდა — ღმერთმა დაგვიფაროს, ამგვარ ფიქრს გაევიღოს მის გონებაში, მაგრამ ოცნებაში! (და ამოიხრა) — ვითარ გადაიტანდა ასეთ დანაკარგს; მაგრამ მოდი წარმოვიდგინოთ, რომ ეს წამი დამდგარიყოს, მხოლოდ იმას ვამბობ, ვივარაუდოთ-მეთქი — *inter nos* (სჯობდა, რადგანაც ჯულია ფრანგულად ფიქრობდა, მაგრამ რითმა დაგვიკოჭლდებოდა). მხოლოდ იმას მოგახსენებთ, წარმოვიდგინოთ-მეთქი: ჟუანი კი ამ დროისათვის რომ დაკაცებულყო, სწორედაც შესაფერისი იქნებოდა შეძლებული ქვრივისათვის, შვიდიოდე წლის შემდგომაც არ დაგვიანდებოდა; იმ ჟამისათვის (ამ ოცნებას რომ არ ჩამოვეხსნათ) მაინცდამაინც დიდი უბედურებაც აღარ იქნებოდა, ჟუანიც სიყვარულის ანაბანას ისწავლიდა, სერაფიმთა სიყვარულის დარს, ზეცაში რომ ბინადრობენ.

კმარა ჯულიაზე საუბარი. ახლა ჟუანს დავუბრუნდეთ.

საბრალო პატარა ბიჭი! ვერც წარმოიდგენდა, რა ხდებოდა მის თავს, და ვერც მიხვდებოდა; ოვიდიუსის მედეასებრ მსწრაფლი ფიქრებით ლამობდა გამოეცნო, თუ რა სიახლე ეწვია, მაგრამ ვერ განჭვრეტდა, ეს თუ დიდად სახიერო იქნებოდა, და ცოტას თუ მოითმენდა, ძლიერ საამოდ დაურჩებოდა.

ჩუმი და ფიქრიანი, მოცლილი, მოუსვენარი, ზანტი ტყეში ეძიებდა განმარტობას დატანჯული იმ ქრილობით, რისიც ვერა გაეგო რა, მისი ნუხილიც, ღრმა ნუხილს ვითარც შეჰფერის, მარტოობაში ჩაძირულიყო: განმარტოება მეც ძალიან მხიბლავს, ოღონდ გთხოვთ კარგად გამიგოთ — განმარტოება სულთნისა და არა განდეგილის, ჰარემში და არა გამოქვაბულში.

„ოჰ, სიყვარული! ეს ის უდაბურებია, სადაც მანქანებაც და უსაფრთხოებაც დანყვილებულან, ჭეშმარიტი ნეტარების იმპერია, და აქ მართლაც ღმერთს ეტოლები ზეცაში“.

ამ ბარდს, ვისი სიტყვები მოვიხმე, ურიგოდ არ უმღერია, თუ მეორე სტრიქონს ამოვაკლებთ, რადგანაც „მანქანებისა და უსაფრთხოების“ დანყვილება ბუნდოვან ფრაზად ჩაჩხერილა.

პოეტი უთუოდ იმას გულისხმობდა, ოდეს მიმართავდა კაცობრიობის უკეთეს აზრთა და გრძნობებს, რომ ყველას კარგად მოეხსენება, რადგანაც გამოუცდია ანდა გამოცდის, რომ არავის ეჭაშნიკება, ჭამისას როცა ანუხებენ ანთუ სიყვარულისას. აღარას ვიტყვი, თუ რას ნიშნავს „წყვილად“ ან „მანქანება“, რადგან ისედაც ვიცით, მაგრამ დაე „უსაფრთხოებამ“ ჩარაზოს კარი.

დაეხეტებოდა ყმანვილი ყუანი კამკამა წყაროთა პირას, ფიქრობდა, რაც არ გამოითქმის; ტყეში ისე ღრმად მიინევედა, დაბურულ გარემოში ამოჰყოფდა ხოლმე თავს, სად განტოტვილა ველური კორპის ხეები; და პოეტები ჰპოვებენ მასალას ნიგნებისათვის, და განუწყვეტილად ვკითხულობთ თავით ბოლომდე ამ კრებულებს, ასე რომ, მათი აგებულება და პროსოდია ხელმისაწვდომია, თუმც, უორდსუორთისა არ იყოს, სრულიად გაუგებარი.

ყუანი (და არა უორდსუორთი) ისე გაჰყვა საკუთარ თავსა და სულთან ზიარებას, რომ მისმა მძლავრმა გულმა, ამაღლებული განწყობილებით, თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ შეამცირა მისი სწეულება; რა ძალ-ლონეც მოსდევდა, იმდენს მიაღწია იმ გრძნობასთან პაექრობისას, ვერაფრისდიდებით რომ ვერ დაოკდება, და ვერც მიხვდა, ისე გამეტაფიზიკოსდა — კოლრიჯივით.

ფიქრობდა საკუთარ თავზე, ადამიანებით დასახლებულ, განსაცვიფრებელ დედამინაზე, და ვარსკვლავებზე, თუ ვითარ გაჩნდა ეს ყოველივე ბოლო-ბოლო; ჩაუფიქრებოდა მერე მინისძვრებსა და ომებს, თუ რამდენი მილი იქნებოდა მთვარის გარშემონერილობა, საჰაერო ბურთებსა და იმ უამრავ დაბრკოლებაზე, რაც ხელს გვიშლის ჩავწვდეთ ზეცის უსაზღვროებას;

და აგონდება ამა ყოველის მერე დონა ჯულიას თვალები.

ამგვარ ფიქრებში შესაძლოა ჭეშმარიტი სიბრძნეც აღმოვაჩინოთ, ლტოლვა ამაღლებულისაკენ, და დიადი სწრაფვანი, რისთვისაც ზოგნი იბადებიან, და უმეტეს იმას სწავლობენ, თუ ვითარ დაიტანჯონ თავი ყოველივე ამით, თუმც არ უწყიან, რატომ; უცნაური კი იყო, ასეთი ყმანვილკაცი ციური მოძრაობის შესწავლას რომ გაეტაცა;

თქვენ ეგებ ფიქრობთ, საამისოდ ფილოსოფიამ უბიძგაო, მე კი მგონია, რომ აქ საქესობრივი მომნიფების ხელი ურევია.

იგი ეფლობოდა ფოთლებსა და ყვავილებში, და მოესმოდა ხმები ქართა ზრიალში; ფიქრობდა ტყის ნიმფებსა და უკვდავ სულებზე, თუ ვით ეცხადებიან ქალღმერთები ადამიანებს: აცდებოდა ბილიკს, ავინყდებოდა დრო, და როს კვლავ დახედავდა საათს, მიხვდებოდა, თუ რამდენად სჯობდა ძველი დრო — და იმასაც ხვდებოდა, უსადილოდ დავრჩიო.

ხანდახან ნიგნს ჩააცქერდებოდა, ბოსკანისა თუ გარსილასოსი; — და ვით ქარი არხევს გადაშლილი ნიგნის ფურცლებს, ისე ეთამაშებოდა მისი გონების პოეზია მისი სულის ფოთოლს, თითქოსდა ჯადოქარს შეელოცოს, ამოვარდებოდა ქარიშხალი, კეთილ დედაბერთა ზღაპრებისა არ იყოს.

ასე განმარტოებული საათობით, იმედგაცრუებული რჩებოდა, არ იცოდა, რა სურდა;

ვერც ფერადი ოცნებანი, ვერც პოეტური აღმაფრენა ვერ გამოთქვამდა იმას, რისთვისაც მისი სული ოხრავდა, ვერ მოძებნიდა თავმისადრეკ კალთას და ვერ გაიგონებდა, სიყვარულით ვითარ უცემდა გული, და ბევრ სხვა რაიმესაც, რაც არ მახსოვს, ანდა ბოლო-ბოლო ჯერ არ უნდა ვახსენო.

ეს მარტოსული სეირნობანი და დაუსრულებელი ოცნებანი არ გამოჰპარვია ნაზი ჯულიას თვალებს; მან შეამჩნია ჟუანის მოუსვენრობა; მაგრამ შესაძლოა გაგვიკვირდეს — და კიდევ უნდა გაგვიკვირდეს — რომ დონა ინესი არ ჩასდიებია თავის ერთადერთ ვაჟს შეკითხვებითა და ვარაუდებით: ალბათ იმიტომ, რომ ვერა ხედავდა ანდა არ სურდა, ან კიდევ, ჭკვიან ადამიანებს ვითარ სჩვევიათ, არ შეეძლო.

ეგებ უცნაურია, მაგრამ გავრცელებული კი, რომ, ვთქვათ, ჯენტლმენები, რომელთა ქალბატონებიც გადალახავენ ქალისათვის დანერილ კანონს და დაარღვევენ, რომელ მცნებას არღვევენ? (დამავიწყდა — მერამდენეს, და მგონი მსწრაფლ ვერც ვერვინ დაასახელებს, ვაითუ შემეშალოსო). გეუბნებით, ეჭვით შეპყრობილ ჯენტლმენებს შეცდომა მოსდით, რაც მათი ქალბატონებისაგან შემიტყვია.

კარგი ქმარი ყოველთვის ეჭვიანია, და მაინც ხშირად მცდარ კვალს ადგება, ეჭვიანობს მასზე, ვისაც ფიქრადაც არ გაუვლია უკეთურება, და ბრმად უწყობს ხელს თავის შერცხვენას იმით, რომ რომელიმე მზაკვარს ღვიძლი მეგობარივით შეიტკბობს, დარწმუნებული მის უცოდველობაში: და როს მისი ცოლი და მეგობარი გაიქცევიან, მათი მზაკვრობა აოცებს და არა საკუთარი სიბრიყვე.

მშობლებიც ხანდახან ახლომხედველნი ხდებიან, თითქო გარეულ კატასავით არაფერი გამოეპარებათ, მაგრამ მაინც ვერა ხედავენ, მაშინ, როს სასტიკი სამყარო ნეტარებით ადევნებს თვალს ყმანვილი ჰოუბფულის სატროფოს ან მის ფანის საყვარელს, ვინემ თავქარიანი საქციელი დაღუპავდეს ოცი წლის ნალოლიავებ გეგმას და ყველაფერი დასრულდებოდეს; მერე კი დედა ტირის, მამა იგინება და ნატრობს, ნეტა მემკვიდრენი არა მყოლოდაო.

მაგრამ ინესი ისეთი მოუსვენარი გახლდათ და ისეთი გამჭრიახიც, უნდა ვიფიქროთ, ამჯერად სხვა განზრახვა ამოძრავებდა, ოდეს ჟუანს პირისპირ ტოვებდა ამ ახალ ცთუნებასთან; მაგრამ თუ რა განეზრახა, ვერ გეტყვით; ალბათ ის, რომ ჟუანის აღზრდა დაესრულებინა და დონ ალფონსოსათვისაც თვალი აეხილა, თუკი ეგონა, ცოლი კი არა, განძი მყავსო.

ეს მოხდა ერთ დღეს, ზაფხულის დღეს — მართლაც ძალზე სახიფათო დროა ზაფხული, და გაზაფხულიც არანაკლებ — მაისის მიწურულს;

მზეა უთუოდ უმთავრესი მიზეზი; მაგრამ მიზეზი რაც უნდა იყოს, შეიძლება ითქვას, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ეს სიმართლე უფროა, ვინემ სიცრუე, და რომ არის თვეები, როს ბუნება უფრო მხიარულია.

მარტს კურდღლები ჰყავს, მაისს კი გმირი ქალი უნდა ჰყავდეს.

ეს მოხდა ექვს ივნისს, დაახლოებით შვიდის ნახევარზე, თუ კიდევ უფრო მიახლოებოდა შვიდს — ოდეს ჯუღია კობტა თალარში ჩამომჯდარიყო, ვითა ჰური იმ წარმართულ სამოთხეში, რომელიც აღუწერიათ მუჰამადსა და ანაკრეონ მურს, ვისაც მიენიჭა ღირა და დაფნა, და ყველა ჯილდო ძღვევამოსილი სიმღერისა — ღირსეულად რომ მოიპოვა და დიდხანსაც დაინარჩუნა.

ეს მოხდა ზაფხულის დღეს — ექვს ივნისს:

მინდა ზუსტად აღვწუხებო თარიღები, არა მარტოდენ საუკუნე და წელი, არამედ თვეც; ისინი საფოსტო სადგურებს ჰგვანან, სად ბედისწერა ცხენებს იცვლის და ისტორიასაც აიძულებს ჰანგის გამოცვლას, შემდეგ დეზსა ჰკრავს და გადაუვლის იმპერიებსა და სახელმწიფოთ, და ბევრს არაფერს ტოვებს, გარდა ქრონოლოგიისა და თეოლოგიური წესის აგებისა.

ჩამომჯდარიყო, მაგრამ მარტო კი არა; კარგად არც ვიცი, თუ როგორ მოხდა ეს შეხვედრა, და თუნდ ვიცოდე, არ გავამხელდი — ხალხმა ენაზე კბილის დაჭერა უნდა ისწავლოს, ყოველ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, ვითარ და რატომ, მაგრამ იქ იმყოფებოდნენ იგი და ჟუანი, პირისპირ — ოდეს ორი სახე ასე შესტოლებია, უფრო გონივრული იქნება, თუმც ძალზე ძნელი, თვალთა დახუჭვა.

რა ლამაზი იყო ჯუღია!

უმანკო სული ლოყებზე აღბეჭდოდა და ავს არაფერს მოელოდა.

ოჰ, სიყვარულო! რაოდენ სრულყოფილია შენი მისტიკური ხელოვნება, სუსტს აძლიერებს და ძლიერს ამბობს, ვითარ იტყუებენ თავს ბრძენთაბრძენი მოკვდავნი, ვისაც შენი სატყუარა შორს გაიტყუებს — რაოდენ უძიროც გახლდათ უფსკრული, რომლის პირასაც იდგა, იმდენად დარწმუნებულიყო თავის პატიოსნებაში.

ფიქრობდა საკუთარ სიმტკიცესა და ჟუანის სიყმანვილეზე, იმაზეც, თუ რა სისულელეა მორცხვი შიშები, და ძღვევამოსილ სიქველესა და შინაგან სიმართლეზე. აგონდებოდა დონ ალფონსოს ორმოცდაათი წელიც. ნეტა ეს ფიქრი არ შეჭროდა იმ სიმშვიდეში,

რადგანაც ეს რიცხვი დიდი მომხიბვლელიობით არ გამოირჩევა, და ყოველგვარ ამინდში, თოვლიანსა თუ მზიანში, სიყვარულს სწეულებად ეჩვენება ეს ასაკი, ფულისათვის კი რა ბედენაა.

როს იტყვიან: ორმოცდაათჯერ ვითხარო, — ლანძღვას გულისხმობს და ხშირად ასეცაა;

როს პოეტები ამბობენ: ორმოცდაათი ლექსი დავწერეო, — შეგაშფოთებენ, ემანდ არ წაგვიკითხონო;

ორმოცდაათკაციან ბანდებში ქურდები დანაშაულს სჩადიან;

ორმოცდაათი წლისას, რაც მართალია, მართალია, სიყვარული იშვიათად ეწვევა; მაგრამ ისიც წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა, რომ ორმოცდაათ ლუიდ კარგი გარიგება დაიდება.

აღვსილიყო ჯულია ღირსებით, პატიოსნებით, სიმართლითა და სიყვარულით დონ ალფონსოს მიმართ; და გუნებაში იფიცებდა ყოველნაირი ფიცით ზეცის წინაშე, რომ აროდეს შებღალავდა ბეჭედს, რომელსაც არ იცილებდა, და არც სურვილი გაუნელდებოდა, რათა გონიერებას გაემარჯვა;

და ვინემ ამასაც ფიქრობდა ათასგვარ ფიქრთან ერთად, ჟუანის ხელი დაუდევრად შეეხო და ჯულიას შეცდომით ეგონა, ჩემი ხელიაო.

თავისდაუნებურად მიენდო მეორე ხელსაც, მის კულულებს რომ ეთამაშებოდა: და ფიქრებს, რომელთაც ველარ ახშობდა, თითქოსდა შეცვლილი იერით ეკამათებოდა. ცხადია, ცუდად მოიქცა ჟუანის დედა, ერთად რომ დატოვა ეს არასანდო წყვილი, იგი ხომ წლობით არ აცილებდა თვალს ვაჟიშვილს თვისას.

ისე, დარწმუნებული ვარ, დედაჩემი ასე აროდეს მოიქცეოდა.

ხელმა, რომელიც ჯერაც ჟუანისას ეხებოდა, ნელ-ნელა, ნაზად დაასრულა თავისი საქმე და ჩაეჭიდა, თითქო ამბობდა:

— შემაჩერეთ, გეთაყვა, თუ შეგიძლიათ.

უეჭველია, ჯულიას სურდა თავისი თითები ჟუანის თითებში ჩაეხლართა პირწმინდად პლატონური გრძნობით: თავს აარიდებდა, თითქო ასპიტი ან გომბეშო ყოფილიყოს, თუკი ასეთი ქცევა წარმოშობდა ერთგული ცოლისათვის სახიფათო განცდას.

ვერ გეტყვით, ჟუანი თუ რასა ფიქრობდა, მაგრამ რაც ჩაინა, თქვენც ჩაიდენდით; მისი ყმანვილური ტუჩები ეამბორა

ჯულიას ხელს მადლიერებით და, აღტაცებით დაბნეულმა, აღ-
მოუტევა ღრმა ოხვრა, თითქო რაიმე დაეშავებინოს.

თავიდან ძალზე გაუბედავია სიყვარული.

ჯულია განითლდა, მაგრამ არ მოლუშულა.

და ალაპარაკდა, და საუბრისას მისი ხმა სუსტად გაისმოდა.

მზე ჩავიდა და ამოცურდა ყვითელი მთვარე.

მთვარე ეშმაკის მზაკვრობის საუფლოა; ვინც მას უმანკოს
არქმევს, ძალზე მალე მოელის თავის რიგს; არ არსებობს დღე,
ოცდაერთი ივნისივით უგრძესიც, ნახევარიც რომ მოხდეს იმ
ბოროტებისა, რაც რამდენიმე საათში აღსრულდება კაშკაშა
მთვარის ღიმილში — და თვით კი ისეთივე მოკრძალებული მო-
ჩანს, ვითარ მანამდეც.

საშიში დუმილი სჩვევია ასეთ საათს, უძრობა, რაც გზას
უხსნის სულს გადასახსნელად, და ქანცს აცლის, თავშეკავე-
ბას მოუხმოს; ვერცხლისფერი ნათელი, თავს რომ ევლება ხე-
სა და კოშკს, აფენს სილამაზესა და ღრმა სინაზეს ყოველს,
გულამდე ჩააღწევს და შემოახვევს სიყვარულს, რაც აღარ მო-
გასვენებს.

იჯდა ჯულია ჟუანთან ერთად, სანახევროდ ჩახუტებული,
სანახევროდ კი ირიდებდა მხურვალე მკლავს, რომელიც იმ ტა-
ნივით ცახცახებდა, რომელსაც ეხებოდა;

თუმც ჯულია ალბათ ისევ ფიქრობდა: ცუდი რა ხდებაო, —
თორემ წელს მოარიდებდა; მაგრამ ასეთი ყოფაც რომ საამო იყო!

და მაშინ — ღმერთმა უწყის, რა მოხდა მაშინ — ველარ გან-
ვაგრძობ, თითქოს კიდევც ვნანობ, რამ დამანყებინა.

ოჰ, პლატონ, პლატონ!

შენ გაუკვალე გზა, მაგ შენი ჩახლართული ფანტაზიებით, უფ-
რო მეტ ამორალიზმს — წარმოსახვის ძალით შენი სისტემისა, რო-
მელიც თითქოსდა განაგებს ადამიანთა გულებს, ვინემ გრძელმა
წყებამ პოეტთა და რომანტიკოსთა: გაგვაბეზრე, შარლატანმა და
ჩერჩეტმა — და აროდეს ყოფილხარ მაჭანკალზე უკეთესი.

ხმა დაეკარგა ჯულიას, მარტოდენ ოხრავდა, რადგანაც
დაგვიანებულიყო სასარგებლო საუბარი; ცრემლები სცვიოდა
ნაზ თვალთავან.

გულით ვისურვებდი, საამისო მიზეზი არ მისცემოდათ, მაგრამ ეჰ! ვინ შეძლებს, უყვარდეს და გონიერებაც შეინარჩუნოს? და ვერც სინდისის ქენჯნა შეემეტოქება ცდუნებას; ცოტაცოტაობით ცოდვილობდა, მონანიებაში იძირებოდა და აჩურჩულებული: მეტად აღარასდროს დავენებდებო, — ნებდებოდა.

ამბობენ, ქსერქსემ ჯილდო დაანესა, ვინ მოიგონებს ჩემთვის ახალ სიამესო: ვფიქრობ, ბევრის გადახდა მოუწევდა და მთლად თავისი უდიდებულესობის საგანძურად დაუჯდებოდა: მე რა, ერთი მოკრძალებული ბარდი გახლავართ და ცოტა სიყვარულიც მყოფნის (დროსტარებას რომ ვარქმევ); ახალი სიამენი არ მადარდებს, რადგანაც ძველიც მკმარა, ოღონდაც არ დაგვკარგო.

ოჰ, სიამევ!

მართლაც გულთმაამი ხარ, თუმც კაცს უთუოდ წყევლა მოელის შენი გამოსობით; ყოველ გაზაფხულზე ვირწმუნები, გარდავიქმნები-მეთქი.

ამ წელს მაინც აუცილებლად.

მაგრამ ეს ჩემი ვესტალური ფიცი გამიფრინდება ხოლმე, და მაინც, მჯერა მის დაცვას შევძლებ, ძალიან ვწუხვარ, ძალზე მცხვენია, და ვიმედოვნებ, მომავალ ზამთარს შეუვალი ვიქნები.

აქ ჩემმა კეთილგონიერმა მუზამ — დამშვიდდი! არანაკლებ კეთილგონიერო მკითხველო — ის თავაზიანობას გამოიჩინს — უნდა გასწიოს, და რაღაც განსაკუთრებული მიზეზი არ გამოებლანდოს შესაყოვნებლად; ეს თავისუფლება პოეტის ნებაა, რამაც შესაძლოა ცოტა არივდარიოს ფორმა, და რაკილა დიდად ვაფასებ არისტოტელესაც და წესებსაც, საჭიროა ბოდიშით ჩავურთო, თუ მცირე შეცდომა მომივა.

ამ პოეტურ ნებას, ვიმედოვნებ, მკითხველი თვალს მიადევნებს ექვსი ივნისიდან (იმ საბედისწერო დღიდან, საიდან დაწყებულიც, ეპოქის გაუთვალისწინებლად, ჩემი პოეტური ნიჭი ფაქტთა უქონლობისა გამო გადასაგდები გახდებოდა), მაგრამ რაკილა ჯულიასა და დონ ჟუანს თვალს ვადევნებთ ეს რამდენიმე თვეა, ვივარაუდებდით, ნოემბრიდან დაიწყებოდაო, მაგრამ დღესა და რიცხვზე დარწმუნებით ვერას მოგახსენებთ — მეტად ბუნდოვანი ეპოქაა.

მალე ამაზედაც ვისაუბრებთ.

რაოდენ ტკბილი მოსასმენია შუალამისას მთვარით განათებულ სილურჯეში ჩაძირული სიმღერა და ნიჩბების ხმაური ადრიას გონდოლიერისა, რომ გშორდება და თანდათან იკარგება ნყლის მჩქეფარებაში;

რაოდენ ტკბილია ხილვა სალამოს ვარსკვლავის ამოხდომისა;

რაოდენ ტკბილია სმენა, თუ ვითარ დაუბერავს ღამეული ქარები, როგორ გადაინაცვლებს ფოთლიდან ფოთოლზე;

რაოდენ ტკბილია ზეცაში ცისარტყელის ხილვა, ოკეანეს რომ დაყრდნობია და ტატნობს შემოჰხვევია.

რაოდენ ტკბილია სმენა მოდარაჯე მაცილის პატოსანი ყეფისა, ხმამალალი მოსალმებისა, სახლს როს მივუახლოვდებით;

რაოდენ ტკბილია, როს ვილაც გადმოჰყურებს, ვითარ მოვედით, და გაბრწყინდება ჩვენი დანახვისას;

რაოდენ ტკბილია ტოროლასთან ერთად გაღვიძება ან ჩაძინება ჩანჩქერთა იავნანაზე;

ტკბილია ფუტკრების ზუზუნი, გოგონების ტკრციალი, გალობა ჩიტთა, ზავშვთა ღულუნი და მათი პირველი სიტყვები.

ტკბილია შემოდგომა, ოდეს სავსე მტევნები ბახუსური სიუხვით ეშვება მიწაზე, დამკრახულნი და დამძიმებულნი;

რაოდენ ტკბილია, ოდეს გაექცევი ცივილიზაციის ღრეობას და სოფლურ მხიარულებას შეეფარები;

ძუნს ატკობს თავისი ოქროს ხვავები, მამას — პირმშოს დაბადება.

ტკბილია შურისძიება, განსაკუთრებით ქალისათვის.

ტკბილია ნადავლი ჯარისკაცისთვის, ალაფი კი მეზღვაურისთვის.

ტკბილია მემკვიდრეობა და გარდაცვალება, სიკვდილი ამა თუ იმ მოხუცი ქალბატონისა თუ ჯენტლმენის, სამოცდაათი რომ გაუსრულებიათ და ჩვენ, „ყმანვილებს“, აქამდე გვალოდინეს — ძალზე დიდხანს, ვიდრე გვერგებოდა მამული, ფული ან თანამდებობა; დაჩაჩანაკებულნი არიან, მაგრამ ისეთი გამძლენი, თითქო მთელი ისრაელი ემზადებოდეს, თავს დაესხას ახალ მფლობელს ორმაგად დაწყევლილი სიკვდილშემდგომი დანატოვარისა.

ტკბილია, ვითარ იშოვნო დაფნა — სისხლით ან მელნით;

ტკბილია მიაღწიო მიზნის ბოლომდე;
ხანდახან ჩხუბიც კი ტკბილია, განსაკუთრებით მომაბეზრებელ ამხანაგთან;

ტკბილია ბოლოით ძველი ღვინო, კასრებით ელი;
ძვირფასია უმწეო ქმნილება, როს ვიცავთ და ქვეყანას წინ აღვუდგებით;

ძვირფასია სკოლის ბიჭების თავშესაყარი, ჯერაც რომ არ დაგვეწყინია, თუმც იქ აღარავის ვახსოვართ.

მაგრამ იმაზეც, იმაზეც და ყველაფერზეც უფრო ტკბილია პირველი და მგზნებარე სიყვარული — განცალკევებით რომ დგას, ვითარცა ადამის მოგონება, თუ ვით დაეცა: ყველამ ვუნწყით, რომ აკრძალული ხის ნაყოფი მოწყვიტე, და სხვა არც არაფერია მოსაგონარი, შესადარი იმ ამბროზიული ცოდვის, რასაც სარწმუნოდ გვამცნობს თქმულება, ოდეს ზეციდან აკრძალული ცეცხლი მოიპარა პრომეთემ ჩვენთვის.

უცნაური ცხოველია ადამიანი და უცნაურადვე იყენებს საკუთარ ბუნებასა და სხვადასხვა ხელოვნებას, სახელდობრ, უყვარს ახალ-ახალი ექსპერიმენტები თავის წარმოსაჩენად; ესაა ეპოქა ახირებულობათა ამოფრქვევისა, როს სხვადასხვა ტალანტები სხვადასხვა გზას ჰპოვებენ; დაინყებ სიმართლით და, როს გარჯა წყალში ჩაგეყრება, იქვე ნახავ ბაზარს თვითმარქვიათათვის.

რა ურთიერთსაპირისპირო გამოგონებანი აღარ გვინახავს (ნიშნები ჭეშმარიტი გენიალობის და ცარიელი ჯიბეებისა)! ერთი ახალ ცხვირებს ამზადებს, მეორე კი გილიოტინას, ერთი ძვლებს გიმტვრევს, მეორე კი ყალიბებში გისვამს; მაგრამ ვაქცინაციამ მართლაც ივარგა ერთგვარ ანტითეზად კონგრისის რაკეტებისა, რის დროსაც ექიმმა განკურნა ძველი ყვავილი იმით, რომ ახალი ისესხა ხარისაგან.

პური — ვერაფერიშვილი — დაამზადეს კარტოფილისაგან, და გაღვანიზმმა ზოგიერთი გვამის სიცილი გამოიწვია, მაგრამ ვერ ამოხსნა ხელსაწყომ ადამიანთა საზოგადოების წარმოშობის საიდუმლო, რის მიხედვითაც ადამიანური სიხარბე დაუოკებელია: რამდენი ახალი მანქანა შეუდგა მერე ქსოვას!

ვითარც გაუწყეთ, პატარა ყვავილი განვდევენეთ და ალბათ დიდი ყვავილიც მიჰყვება.

ამბობენ, დიდი ყვავილი ამერიკიდან შემოვიდაო, ალბათ მის უკან დაბრუნებაზე უნდა ვიფიქროთ, — მოსახლეობა იქ ისე გამრავლებულა, ირწმუნებიან, უკვე დროა მის გამოსხირვაზე ვიზრუნოთ ომით, შავი ჭირით, შიმშილითა თუ სხვა რამით, რათა შეითვისონ ცივილიზაციაო; და რაც ნგრევის მომტანი ყველაზე საზარელი ბოროტებაა — მათი ათაშანგითა თუ ჩვენი ფსევდოსიფილისით?

ეს გახლავთ ახალ გამოგონებათა პატენტების საუკუნე, სხეულთა მოსასპობად და სულთა სახსნელად, ყველაფერს საუკეთესო სურვილებით ავრცელებენ; სერ ჰემფრი დეივისი ფანარი, რისი მეოხებითაც უსაფრთხოდ მოიპოვებენ ქვანახშირს, ტიმბუქტუზე მოგზაურობა, პოლუსთა დალაშქვრა, ყოველივე კაცობრიობის საკეთილდღეოდ აღესრულება, ისევე, ვითარცა ხოცვა-ჟლეტა ვატერლოში.

ადამიანის ფენომენს ვერავინ ჩანვდომია, ყველა საოცრებაზე საოცრებაა; და სამწუხაროა ამ თვალისმომჭრელ სოფელში, რომ ტკობა ცოდვაა და ხანდახან ცოდვა ტკბილია; მცირემ თუ უწყის მოკვდავთაგან, თუ ვითარ აღესრულებიან, მაგრამ სახელს ეძიებ, ძალაუფლებას, სიყვარულსა თუ განძს, ბილიკი მძიმეა და დამქანცველი, და ოდეს მიზანი მიღწეულია, ვიხოცებით — და მერე — მერე რაღაა? — არა ვუწყი რა და არც თქვენ იცით — ამიტომაც ღამე ნებისა.

მივუბრუნდეთ ჩვენსა ამბავსა.

ეს მოხდა ნოემბერში, როს იკლებს დარიანი დღეები და შორეული მთები რუხად შეიფერებიან და თეთრ ქუდს ჩამოიმხობენ ლურჯ მოსასხამზე; და გარს ევლება და ეხლება კონცხს და ღმუილით ეხეთქება კლდეს და ფხიზელი მზე ხუთ საათზე ჩადის.

ვით მხილველნი გვიამბობენ, ღრუბლიანი ღამე ყოფილა; არც მთვარე, არც ვარსკვლავები, ქარი ზუზუნით შემოუბერავდა და ბუხარი ბევრგან გიზგიზებდა, შეშით სავსენი, და ოჯახები გარს შემოსხდომოდნენ; რა ხალისიანია ბუხრის შუქი, თითქო ზაფხულის უღრუბლო ცააო.

მიყვარს ცეცხლი და ჯორკო და ეს ყოველი, კიბორჩხალას სალათა და შამპანური და მუსაიფი.

შუალამე იდგა — დონა ჯულია საძინებელში იწვა და მგონი ეძინა, — როს კარზე ისეთი ბრახუნი ატყდა, მკვდარსაც გააღვიძებდა, თუკი მანამდე აროდეს გაუღვიძიათ, და ასე რომ მომხდარა, ყველას ნაგვიკითხავს, და ერთხელ კიდევ უნდა გაეღვიძათ.

კარი ჩარაზულიყო, მაგრამ ხმითა და მუშტით გამონვეული პირველივე ძახილი გაიგონეს.

— მადამ — მადამ — ღვთის გულისათვის, მადამ — მადამ — ჩემი ბატონი მოდის, და ქალაქის ნახევარზე მეტი უკან მოჰყვება — არგაგონილი და წყეული უბედურებაა, რა ჩემი ბრალია — მე კარგად ვდარაჯობდი — ვაი, ვაი! გემუდარებით, სასწრაფოდ გახსენით საკეტი — უკვე კიბეზე არიან და თვალის დახამხამებაში აქ გაჩნდებიან; მაგას ალბათ შეუძლია ისკუპოს — ფანჯარა ხომ არც ისე მაღლაა!

ამ დროისათვის დონ ალფონსოც მოიჭრა უამრავ ჩირაღდან-მეგობარ-მსახურიანად; უმეტესობას საკმაოდ ეწვნია ცოლებისაგან და ამიტომაც არ შეყოყმანებულან, ძილი დაერღვიათ მოღალატე ქალისათვის, ვინც ეშმაკური ხრიკებით შეაბილწვინა ქმრის სავანე. ამგვარი საქციელი ისეთი გადამდებია, თუ არ დაისჯება, ყველა უკმაყოფილო დარჩება.

ვერ გეტყვით, ვითარ, რატომ ან რა ეჭვებმა გაიღვიძა დონ ალფონსოს გონებაში; მაგრამ მისებრი კაბალერო, ცხადია, ისე აღშფოთდებოდა, წინასწარ არავის მოეთათბირებოდა ლედის საძინებელში შესვლის უფლების მოსაპოვებლად, და კიდევც იხმო ლაქიები, ცეცხლითა და მახვილით შეიარაღებულნი, რათა დარწმუნებულიყო ამ შემზარავ დანაშაულში.

საბრალო დონა ჯულია, ალბათ გამოღვიძებული (დაიმახსოვრეთ, როდი ვამბობ, არ ეძინა-მეთქი) აკივლდა და მოთქმატირილი მორთო; მისმა მოახლე ანტონიამ, ასეთ საქმეთა ოსტატმა, ისე მოაქურჩა ქვეშაგები, თითქო ეს-ესაა აეშალათ, ვერ გეტყვით, რატომ შეინუხა ასე თავი, ალბათ იმის დასამტკიცებლად, რომ მის ქალბატონს სხვასთან კი არ ეძინა, არამედ ქალბატონი ჯულია და მოახლე ანტონია, ორი უმანკო ქალი, ავსუ-

ლებისა რომ ეშინოდა და უფრო კი კაცების, ფიქრობდა, ორნი უფრო გავუმკლავდებით მოძალადესო, და ამიტომაც ინვინენ გვერდი-გვერდ მანამ, სანამ ჩაივლიდა მარტოობის საათები და დროსტარებიდან დაბრუნებული ქმარი იტყოდა: ძვირფასო, პირველმა მე მივატოვე სუფრაო.

როდის-როდის მოიბრუნა გული ჯულიამ და ხმა ამოიღო:

— ღვთის გულისათვის, დონ ალფონსო, რას სჩადით? ხომ არ გავიჟდით? ნეტა მოვმკვდარიყავ და ეს ჯოჯოხეთური უბედურება არ დამტეხოდა! რამ გამოიწვია ეს შუალამის მრისხანება, სიმთვრალის სიშმაგემ თუ სევდამ? ნუთუ ჩემზე ეჭვობთ, ამაზე გაფიქრებაც კი რომ ბოლოს მომიღებდა? მაშ გაჩხრიკეთ ოთახი!

— ასეც ვიზამ, — მიუგო ალფონსომ, და თვითონაც გაჩხრიკა და სხვებმაც გაჩხრიკეს, გადააქოთეს ყველაფერი, კარადები და თახჩები, სკივრები და რაფები, იპოვნეს ბევრი თეთრეული, ბევრიც მაქმანი, აურაცხელი წყვილი წინდა, ფლოსტები, ფუნჩები, ან სავარცხელს ვილა დათვლიდა, მიაგნეს სხვა ნივთებსაც მშვენიერი ქალბატონისა, რითაც თავს იკობტავებენ და ილამაზებენ; ფარდები დაჩხვლიტეს მახვილებით, დაჩხვინეს და-რაბები და დაფები.

სანოლის ქვეშაც შეიხედეს და იპოვნეს — რა მნიშვნელობა აქვს — ის არა, რასაც ეძებდნენ; ფანჯრები გააღეს, მიწას დაჰყურებდნენ, ფეხის ანაბეჭდები ხომ არ ეტყობაო. მაგრამ არა ემჩნეოდა რა მიწას, და მერე ერთმანეთს მიაჩერდნენ.

უცნაურია, რომ არცერთ მძებნელს არ მოფიქრებია, და ეს მიმანჩნია დიდ გაუგებრობად, სანოლის ქვეშ რომ იხედებოდნენ, ლოგინშიც ჩაეჭყიტათ.

ამ ინკვიზიციის ჟამს ჯულიას ენა არ გაუჩერებია.

— ჰო, ეძებეთ, ეძებეთ, — გაჰყვიროდა, — შეურაცხყოფას შეურაცხყოფა დაუმატეთ, სიავეს სიავე! ამისთვის გამოგყევით ცოლად! ამისთვის ვითმენდი ამდენხანს გვერდით ალფონსოსთანა ქმარს! მაგრამ ახლა კი მორჩა, გათავდა, თუკი ესპანეთში კანონი ან ადვოკატი დარჩენილა. დიახ, დონ ალფონსო! აწი უკვე ყოფილო ქმარო, თუკი ოდესმე ნამდვილად შეგფეროდა ეს

სიტყვა, ნუთუ შეშვენის თქვენს ხნოვანებას! — სამი ოცეული ამოგითავებიათ, ორმოცდაათისა ხართ თუ სამოცის, რა ბედენაა — ნუთუ გონივრული საქციელია უმიზეზო ჩხრეკა ფაქტების, ღირსეული ქალის სახელის შესაბლალად? უმადურო, ცილისმნამებლო, ბარბაროსო დონ ალფონსო, ვითარ ბედავთ გულში გაივლოთ ასეთი რამ თქვენს მეუღლზე? ამისათვის ვითმენდი და ვიკლებდი ჩემი სქესის საყოველთაოდ დამკვიდრებულ პრივილეგიებს? ამისათვის დავთანხმდი ხელის მთხოვნელს — ასე ბებერსა და ყრუს, ვისაც სხვა ყველა გაანზილვდა, და ვისაც აროდეს ჰქონია საბაბი შენიშვნისაც კი, პირიქით, ყოველთვის ხედავდა ჩემს უმანკოებას, და ვერც კი იჯერებდა, გათხოვილი თუ ვიყავი — ო, რარიგ ინანებთ, სამსჯავროს წინაშე როს წარდგებით! ამისათვის შევიკავე თავი და ჯერაც არ ამირჩევია კორტეხო სევილიის ჭაბუკთა შორის? ამისთვისაა, რომ თითქმის არსად დავდივარ, გარდა ხართა ბრძოლის, მესის, თეატრისა და წვეულებისა? ამისთვის ჩამოვიშორე ყველა თაყვანისმცემელი ასე უკმეხად? ამისთვის გაიძახოდა გრაფი ო'რილი, გენერალი და ალჟირის ამლები, სასტიკად მომექცაო? განა ამაოდ არ მიმღეროდა იტალიელი მუსიკოსი კამანი ექვსი თვე, ჩემს ფერხთით დამხობილი? განა მისმა თანამემამულე გრაფმა კონიანიმ არ შემარქვა ესპანეთის ერთადერთი პატიოსანი მეუღლე? განა სხვანიც არ იყვნენ, რუსები, ინგლისელები თუ ვინ აღარ? გრაფ სტრონსტროგანოვს გული ვატკინე, და ლორდ მაუნი კოფიჰაუსს, ირლანდიელ პერს, ლვინოში ჩავაკვლევინე თავი სწორედ შარშან. განა ორი ეპისკოპოსი არ განრთხმულიყო ჩემს ფერხთით, იქ არის მთავარი და დონ ფერნან ნუნეზი? და ასე გინდა ერთგულ ცოლს მოექცე? ნეტა რომელ ფაზაშია ამჟამად მთვარე? თქვენს თავშეკავების უნარს მივმართავ და ვთხოვ, საცემრად მაინც არ გამიმეტოს, რაკი ასეთი უიღბლო დრო დამდგარა — ო, მამაცო კაცო! ხმაღვამიშვლებული და ჩანმახშემართული, მითხარით, ხომ არ დაჭრით ამ მშვენიერ სხეულს? ამისთვის გაემგზავრეთ მოულოდნელად, ვითომდა აუცილებელი საქმე გქონდათ, თქვენს ვექილთან, იმ თავმომწონე არამზადასთან ერთად, აგერ იქ რომ ატუზულა

თითქოსდა შეწუხებული და თავს იბრიყვიანებს? და თუმცა ორივე მძულხართ, ეგ თქვენზე უარესია, მისი საქციელის გამართლება შეუძლებელია, რადგანაც ეს უსათუოდ ფულისათვის ჩაიდინა და არა თქვენი ან ჩემი სიყვარულის გულისათვის. თუ აქ მოწმედ მოგიყვანიათ, დაე განაგრძონ ჯენტლმენებმა დაუბრკოლებლივ; კარგი დღე კი აყარეთ ბინას: აი, კალამი და მელანი, სერ, რაც გჭირდებათ, ზუსტად აღწერეთ, ნებას არ მოგცემთ, ხელფასს ტყუილად იღებდეთ — მაგრამ რაკილა ჩემი მოახლე შიშველია, შეაბრუნეთ თქვენი ჯაშუშები.

— ოჰ! — მოთქვამს ანტონია, — ყველას თვალებს დავთხრიდი.

— აი, იქ კარადაა, იქ საპირფარეშო, აქ მისაღები — მოდით, გადაჩხრიკეთ; ეს დივანია, ეს დიდი სავარძელი, ბუხარი — აი, აქ კი დაიმალებოდა საყვარელი. მეძინება და, გთხოვთ, იფრთხილოთ და აღარ იხმაუროთ, ვინემ აღმოაჩენდეთ ფარულ ხვრელს, სად იდუმალი განძეული ინახება — და როს აღმოაჩენთ, მეც დამატკბეთ მისი ხილვით. ახლა კი, ჰიდალგო! რაკილა ჩემში დაეჭვდით და ყველაფერი აურდაურიეთ, გვედრით, გამოიჩინეთ თავაზიანობა და მამცნეთ, ვინ არის ის კაცი, ვისაც ეძებთ? რა ჰქვია? ვითარ წარმოშობისაა? გაამხილეთ — ვიმედოვნებ, ახალგაზრდაა და წარმოსადეგი — მაღალია? მითხარით — ეგებ ამან მაინც დამამშვიდოს, რომ თუკი შეურაცხყოფა არ ამცდა, რალაცად ღირდა. ალბათ სამოცი წლისა მაინცაა. ამ ხნის კაცის მოკვლა ვითარ იქნება, ან ეგებ ისეთი ჭაბუკია, ქმრის ეჭვებს იწვევს (ანტონია! წყალი მომანოდე). მცხვენია, ცრემლი რომ ვღვარე, არ შეჭვერის ეს მამაჩემის ასულს; ჩემი გაჩენისას დედაჩემს ვით დაესიზმრებოდა, ასეთი ურჩხულის ხელში თუ ჩავვარდებოდი. ეგებ ანტონიაზე ეჭვიანობთ, ხომ დაინახეთ, გვერდი-გვერდ გვეძინა, ამფსონებთან ერთად რომ შემოცვივდით: მიიხედ-მოიხედეთ, საითაც გნებავთ — დასამალი არაფერი გაგვაჩნია; ვიმედოვნებ, სხვა დროს შეგვატყობინებთ, თავაზიანობის გულისთვის მაინც, და წუთითაც დაიცდით კართან, რათა ჩაცმა მოვასწრო ასეთ ჩინებულ საზოგადოებასთან შესაგებებლად. ახლა კი, სერ, მე მოვ-

რჩი და მეტს არას ვიტყვი; იმ ორიოდ სიტყვასაც, რაც მოგახსენეთ, უნდა მიეხვედრებინეთ, რომ წრფელი გული გამოიგლოვს იმ ჭირ-ვარამს, რაც თავს დაატყდა: საკუთარმა სინდისმა განგსაჯოთ, ის ერთ დღეს გკითხავთ, თუ რატომ მომექეცით ასე? ღმერთმა გაშროთ, ამისთანა სიმწარის განცდა! — ანტონია! სად არის ჩემი ცხვირსახოცი?

ლაპარაკი შეწყვიტა და ბალიშზე დაემხო; იწვა ფერმკრთალი, ცრემლით დანამული შავი თვალები უბრწყინავდა, თითქო იწვიმა და გამოიდარაო; ჩანჩქერივით თმა მანდილივით დაეფინა მის ფერმკრთალ ლოყას, შავი კულულები ამღელვარდნენ და დაეშვნენ, დაუფარეს მბზინავი მხარი, თოვლივით რომ აშუქებდა სითეთრეს; — ტუჩები გაეხსნა და სუნთქვაზე ხმამალა გული უცემდა.

სენიორ დონ ალფონსო გახევებულიყო; ანტონია დარბეულ ოთახში დაფათურობდა და ცხვირანეული, ათვალწუნებით შესცქეროდა თავის ბატონსა და მის მირმიდონელთ, რომელთაგანაც მხოლოდ ვეჟილს არ ეტყობოდა შეცბუნება; აქატესავით სჩვეოდა სამარემდე ერთგულება და აყალმაყალის მიზეზი არ ადარდებდა, სწამდა, კანონი ყველაფერს მოაგვარებსო.

მეტიჩარა, ცხვირაბზეკილი და წვრილთვალება, იდგა და ანტონიას თვალს არ აცილებდა, ეჭვი ჩაბუდებოდა მზერაში; რეპუტაცია არ ანალვლებდა, ოლონდაც საქმე არ შეფერხებულიყო, იოტისოდენადაც არ ებრალებოდა ახალგაზრდა თუ ლამაზი და არც უარყოფას ერწმუნებოდა, თუკი საქმე განმტკიცებულიყო გამოცდილი ცრუმონმეებით.

დონ ალფონსოს კი თვალები დაეხარა და, ითქვას სიმართლე, სულელურად გამოიყურებოდა; მას შემდეგ, რაც ხუთასი კუნჭული გაჩხრიკა და ასე უღმობლად მოექცა ახალგაზრდა ცოლს, ვერაფერი იხიერა, გარდა სინდისის ქენჯნისა, ამას ისიც დაერთო, რომ ცოლმა თავს დაატყვა ნახევარსაათიანი უძლიერესი, შეუჩერებელი, კოკისპირული და აუტანელი ჭექა-ქუხილი და წვიმა.

ჯერ შეეცადა ბოდიში შეეკონინებინა, რასაც მხოლოდ ცრემლები და კვნესა მოჰყვა და ისტერიის დასაწყისი, წინ რომ უძღ-

ვის გულის ამოვარდნა, ხუთვა და რა აღარ: ალფონსო უყურებდა ცოლს და ფიქრობდა იობზე, წარმოიდგინა, მის საქციელს რაც მოჰყვებოდა და შეეცადა მოთმინებით აღჭურვილიყო.

იდგა და თითქოს რალაცის თქმა თუ ამოლულულულება დააპირა, მაგრამ გონიერმა ანტონიამ სიტყვა მოუჭრა მანამდე, სანამ მისი სათქმელის გრდემლი ჩაქუჩს დაუხვდებოდა, და უთხრა:

— გვედრით, სერ, დატოვებოთ ოთახი ხმის ამოუღებელივ, თორემ ქალბატონი ხელში ჩაგაკვდებათ.

ალფონსომ წაიბუტბუტა:

— ჯანდაბა მაგას.

და სხვა აღარაფერი, სიტყვების დრო დამთავრდა, დარდინი მზერა მიმოატარა და დამორჩილდა თხოვნას, თუმც ვერ აეხსნა, რატომ.

მასთან ერთად გაილაღნენ მისი „posse comitatus“, ბოლობოლო ვეკილიც მიჰყვა, კართან მაინც შეყოვნდა უნადინოდ, იქაურობა ჩამოაბნელა, ვინემ ანტონია დააცდიდა — ოდნავადაც არ შენუხებულა ამ უცხო და აუხსნელით დონ ალფონსოს საქციელში, რაც ძალზე უშნოდ მოჩანდა ნუთის წინათ; და გააღწია თუ არა, კარიც ჩაიკეტა წესისა და რიგისამებრ.

ჯერ არ ჩარაზულიყო, რომ — ოი, სირცხვილო! ვაჰ, ცოდვაჰ! ვაჰ, თავლაფდასხმაჰ! და ოჰ, ქალთა მოდგმაჰ! ვითარ ახერხებთ, ასეთი რამ ჩაიდინოთ და სახელიც შეინარჩუნოთ? ნუთუ ბრმაა ეს ქვეყნიერება? არაფერია თქვენთვის ისე ძვირფასი, ვით კარგი სახელის შენარჩუნება! მაგრამ განვაგრძოთ — რადგან ჯერაც ბევრი დარჩა:

უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გულუნადინოდ გამოძვრა სანოლიდან ნახევრად დასრესილი ყმანვილი ყუანი.

იგი ჩამალულიყო — თავს ვერ გამოვიდებ, ვთქვა, ვითარ, ვერც აღვწერ, თუ სად — ნორჩი, სიფრიფანა და იოლად ჩასატევი უთუოდ მოკუნტული იწვა, დაგორგოლავებული თუ განასკულად; მაგრამ არც უნდა შევიცოდოთ და არც შეიძლება შემეცოდოს მისი ჩახუთვა ამ მშვენიერი წყვილით, უკეთესი იქნებოდა, ცხადია, ასე სიკვდილი, ვინემ კლარენსივით მალმაზიის კასრში ჩახრჩობა.

მეორეც, არ მებრალეება იმიტომ, რომ სხვა საქმე არა ჰქონია ცოდვის ჩასადენად, ღვთისაგან აკრძალულის, ადამიანთა შორის კი კანონით დასაჯარიმებელის, მისთვის ამგვარი რამ ჯერ ნაადრევი გახლდათ; ხოლო თექვსმეტი წლის ხანაში სინდისმა ქენჯნა არ უწყის ისე, ვით სამოცი წლის ჟამს, როს ვალებს ვიხსენებთ, გადავშლით დანაშაულის დავთრებს და ვხედავთ ეშმაკის მიერ არეულ ბალანსს.

მის ადგილსამყოფელზე ვერას მოგახსენებთ: ეს ებრაულ ქრონიკებშია დანერილი, თუ ვით უარყვეს ექიმებმა აბები და წამლები და ყმაწვილქალი გამოუწერეს, ოდეს მეფე დავითს სისხლის მოძრაობა შეუწუნელდა, და ამ მალამომ საუკეთესოდ იმოქმედა; ალბათ ის წამალი სხვაგვარად გამოიყენეს, რადგანაც დავითი განიკურნა, ჟუანი კი კინალამ დაიღუპა.

რა უნდა ელონათ?

აღფონსო მობრუნდებოდა, როს თავის ბრიყვებს გაისტუმრებდა. მარჯვე ანტონია თავს იმტკრევდა, მაგრამ ვერა გაეწყო რა — თუ ვით მოეგერიებინა ახალი შემოტევა? ამის მოფიქრებას ალბათ ორიოდ საათი სჭირდებოდა: ანტონია საგონებელში ჩავარდნილიყო; ჯულია გაყურებულიყო, მარტოდენ ტუჩებით დაკონებოდა ჟუანის ლოყას.

ჟუანმა ტუჩები ჯულიას ლოყისაკენ მიაბრუნა და ხელით მისი მღელვარე თმის კულულებს ეთამაშებოდა; მაშინაც კი სიყვარული ერთიანად მბრძანებლობდა და სანახევროდ მიავიწყდათ სიფრთხე და განწირულება.

ახლა კი აივსო ანტონიას მოთმინების ფიალა:

— აბა, აბა, რა დროს სისულელებია, — ბრაზით წაიჩურჩულა, — ეს მომხიბლავი ჯენტლმენი კარადაში უნდა შევმალო. კეთილი ინებეთ და ეგ თქვენი თავქარიანობა უფრო იღბლიანი ღამისათვის შემოინახეთ — ნეტა ვინ განარისხა ასე ჩემი ბატონი? რა მოჰყვება ამას — ისე მეშინია, ეშმაკი შეჯდომია მაგ ბიჭუნას და ცუდს მოსწევს — ლლაბუცის დროა ახლა? ასეთი განსაცდელისას? არ იცით, რომ შესაძლოა სისხლი დაიღვაროს? თქვენ სიცოცხლეს გამოემშვიდობებით, მე კი სამსახურს, ჩემი ქალბატონი ყველაფერს ამ ლამის ქალიშვილური სახის გამოისობით.

ძლიერი კაბალერო რომ ყოფილიყო, ოცდახუთი ან ოცდაათი წლისა (აბა, აჩქარდი) — ეს კი ბავშვია — რა ხეირია ამისაგან! მართლა მადარდებს, მადამ, თქვენი გემოვნება (მიდით, ბატონო, შეძვერით) — ჩემი ბატონი ალბათ გვიახლოვდება: აი, ასე სჯობს, ბოლო-ბოლო ცქვიტი მაინცაა, და დილამდეც რომ გაგრძელდეს ჩვენი ბჭობა, ჟუან, გახსოვდეს, თვალი არ მოხუჭო.

და კიდევ შემოვიდა დონ ალფონსო, ოღონდაც მარტო, და ერთგულ მოახლეს მჭევრმეტყველება შეანყვეტინა. იგი ოთახში აფათურდა, მაგრამ ალფონსომ გასვლა უბრძანა და ისიც ბრძანებას ხმამაოუღებლივ დამორჩილდა; მეტი ვერა იღონა, ანკი რა უნდა ეპასუხა, რატომ ვრჩებიო: დინჯად მიმოათვალიერა ყველა კუთხე-კუნჭული, სანთელი ჩააქრო, რევერანსიც არ დაავიწყებია და გავიდა.

ალფონსომ წუთით შეიცადა — შემდეგ დაიწყო რაღაც უცნაური მობოდიშება, ეს რა დამემართაო; არ ამართლებდა, რაც ჩაიდინა, უკეთ რომ ითქვას: ეს დიდი უზრდელობა იყო, მაგრამ საკმაო მიზეზები მქონდა საამისოდ. თუმც დაზუსტებით აღარ დაუზუსტებია. მთლიანობაში მისი სიტყვები რიტორიკის ჩინებული ნიმუში გახლდათ, სწავლულნი „რიგმაროლს“ რომ უწოდებენ.

ჯულიას ხმა არ გაუღია, თუმც მაშინვე ჩნდება ხოლმე მზამზარეული პასუხი, რაც ერთბაშად შეაძლებინებს დედაკაცს, ვისაც თავისი ქმრის ნაკლი მოეხსენება, რამდენიმე დროული სიტყვით თავდაყირა დააყენოს ცხრილები, რაც თუ ვერ გააჩუმებს, შეაყოვნებს მაინც, — თუნდ მხოლოდ ჭორები გადმოულაგოს. ეს ქალს სიმტკიცეს მიანიჭებს. თუ კაცი ერთზე ეჭვობს, შენ სამი შეგიძლია მოუხსენიო.

ჯულიას მართლაც ჰქონდა საკმარისი ხელჩასაჭიდი — ალფონსოს სიყვარული ინესისადმი საყოველთაოდ გახმაურებულიყო, მაგრამ ხდება, რომ საკუთარი დანაშაული დაგაბნევს, ოღონდ ამისი ბრალი არ უნდა ყოფილიყო, არც იმისა, ბოდიშებში რომ გაჰხვიეს; მხოლოდ იმიტომ გაჩუმდა ჯულია, რომ ჟუანისა მოერიდა, არ გაიგონოსო; რადგანაც იცოდა, რაოდენ ძვირფასი გახლდათ მისთვის დედის სახელი.

კიდევ ერთი მიზეზიც ითქვას და ორი გახდება; ალფონსოს არ უხსენებია ჟუანის სახელი. აღიარებდა, ვეჭვიანობო, მაგრამ არ უწყოდა იმ ილბლიანი საყვარლის ვინაობა, ფიქრობდა, ჩემი გარემოცვიდან იქნებო; და მართლაც ტვინს იჭყლეტდა ამ საიდუმლოს გამოსაცნობად; და ახლა რომ ინესი ეხსენებინა, მაშინვე ჟუანზე მიანიშნებდა ალფონსოს.

ასეთი ფაქიზი საქმისას მინიშნებაც კმარა; ამიტომაც სიჩუმე სჯობს, ამასთან, არსებობს ტაქტი (ეს თანამედროვე ფრაზა მასევედიანებს, მაგრამ ლექსის ანყობაში კი მშველის), რაც საჩოთირო თემების წამოტივტივებისას ქალბატონებს იფარავს ფაქტებისაგან: მომხიბლავი ქმნილებანი ისე ლაზათიანად ცრუობენ, ყველაზე მეტად ეს უხდებათ.

ისინი წითლდებიან და ჩვენ გვჯერა მათი; სხვას თუ არა, მე ყოველთვის მჯეროდა; და არ არის საჭირო, ძალიანაც მოგინდეს, შეეცადო და უპასუხო, რადგანაც მაშინვე ამოიფრქვევა მათი მჭევრმეტყველება; და როდეს სუნთქვა შეეკვრით, ამოიხვნეშებენ და დაბლა დახრიან თვალებს და გადმოაგდებენ ორიოდ კურცხალს და მერე ჩვენ შევუშრობთ; და მერე და მერე და მერე დავსხდებით და ვივანშმებთ.

ალფონსომ ლაპარაკი დაასრულა და პატიება ითხოვა, რაზეც ჯულიამ ჯერ შეიცადა და შემდეგ სანახევროდ დაყაბულდა, და წამოუყენა პირობები, რაც ალფონსოს ძნელზე ძნელი ეჩვენა და მოინდომა, ზოგიერთი მცირეოდენი შესწორება შეეტანა. იდგა ადამივით თავისი ბალის სიახლოვეს, ფუჭი მონანიებით დაბნეული და დაბეჩავებული, ჯულიაც უკვე თანხმდებოდა ვედრებას, რომ, უჰ, ალფონსო წყვილ ფეხსაცმელს წამოედო.

წყვილ ფეხსაცმელს!

მერე რა?

დიდი არაფერი, თუ ქალის ფეხსაცმელი აღმოჩნდებოდა, მაგრამ ეს კი (ოჰ, რარივ ვწუხვარ, ამის გამჟღავნება რომ მიწევს) კაცისა გახლდათ. თვალი მოჰკრა და შედგა კიდევ, თუმც ერთი წამით. ეჰ! რა დღე დადგა! კბილს კბილზე ვაცემინებ, ვენებში სისხლი გამეყინა. ალფონსომ ჯერ ფეხსაცმლის

სტილი შეამონმა, და მერე გარეთ გავარდა მრისხანებით აღესილი.

თავისი მიტოვებული ხმლისაკენ გაეშურა, და ჯულიაც მაშინვე კარადას ეცა.

— გაიქეცი, ჟუან, გაიქეცი! ღვთის გულისათვის! ნურას იტყვი — კარი ღიაა — ეგება გაძვრე იმ გასასვლელში, ასე ხშირად რომ გისარგებლია — აი, ბალის გასაღები — გაიქე, გაიქე, მშვიდობით! ჩქარა, ჩქარა! მესმის ალფონსოს სწრაფი ნაბიჯის ხმა, ჯერ არ გათენებულა და ქუჩაშიც არავინაა.

ვერვინ იტყვის, ცუდად ურჩიაო, ცუდი ისაა, რომ დაგვიანებული აღმოჩნდა; გამოცდილების მიხედვით, ეს მუდმივი ფასია, საშემოსავლო გადასახადივით, ბედისწერის მიერ დანესებული: მიუახლოვდა თუ არა ჟუანი კარს, და ბალის კარიბჭისაკენ უნდა გამძვრალიყო, ხალათში გამოწყობილ ალფონსოს შეეჩეხა, ვინც მოკვლით ემუქრებოდა და ამიტომაც ჟუანმა ძირს დასცა.

საშინელი შეტაკება იყო და შუქი ჩაქრა.

— ძალადობა, — ყვირის ანტონია.

— ხანძარი, — ყვირის ჯულია.

მაგრამ არცერთი მსახური არ განძრეულა და ჩხუბში არ ჩარეულა.

ალფონსო სულითა და გულით ურტყამდა, იფიცებოდა, ამაღამ მაინც ვიძიებ შურსო; და ჟუანის ლანძღვაც ერთი ოქტავით მაღლა გაისმოდა; სისხლი აუდუღდა; ყმანვილი კი იყო, მაგრამ ტარტაროზი გახლდათ და სრულიად არა ჰგავდა წამებულს.

ალფონსოს ხმალი იქვე ეგდო, სად გააშიშვლა, და ჩხუბს ხელდახელ განაგრძობდა; ბედად ჟუანს არ დაუნახავს ხმალი; მისი გრძნობები დიდად არ ემორჩილებოდა გონების კარნახს, და თუ წამით მაინც იგდებდა ხელთ, ალფონსოს დღეები გათვლილი აღმოჩნდებოდა წუთისოფელში.

იფიქრეთ ქმრებისა და საყვარლების სიცოცხლეზე! და ვითარ ახერხებთ, იყოთ ქვრივიც და ცოლიც!

ალფონსო თავს არა ზოგავდა, დაემორჩილებინა მტერი, და ჟუანი კი ხელიდან გასხლტომას ლამობდა, და სისხლიც წასკდა

ცხვირიდან; ბოლოს კი ძირს დაცემულთ ჭიდაობით სუნთქვა რომ შეეკრათ, ჟუანმა ძალა მოიკრიბა და ერთი მძლავრად გაიბრძოლა და მხოლოდ სამოსის ნაჭერი შეატოვა, გაიქცა და იოსებოვით დატოვა სამოსი, მაგრამ, ვეჭვობ, ამის გარდა ეს ორნი რაიმეთი მგვანებოდნენ ერთმანეთს.

ბოლოს სინათლეს გამოჩნდა, მსახურებიც და მოახლეებიც გამოლაგდნენ და სამწუხარო სურათი გადაეშალათ — ანტონია მოთქმა-გოდებაში, ჯულია გულნასული, ალფონსო კი უგონოდ მიგდებულებოდა კართან; ძირს რაღაც ნაჭერის ნაგლეჯი ეგდო, სისხლი, ნაკვალევი და სხვა არაფერი: ჟუანმა გააღწია კარს გასაღებით და გარედან ჩაკეტა, რადგანაც არა სურდა, ვინმე დაედევნებოდა.

აქა მთავრდება ეს სიმღერა.

საჭიროა ვიმღერო ან მოგიტხროთ, თუ ჟუანმა, ღამის წყვედიადით დაფარულმა, წყვედიადითა, რომელიც მფარველობს მათ, ვინც არ იმსახურებს, ვითარ გაიგნო გზა და შინ დაბრუნდა მძიმე დღეში ჩავარდნილი? გულთმაამი სკანდალი კი მეორე დღეს რომ გახმაურდა, ცხრა დღის მღელვარება დღის სინათლეზე რომ ამოჩნდა, ალფონსომ სარჩელი რომ შეიტანა გაყრაზე, ცხადია, ინგლისური გაზეთების ფურცლებზე გამომზეურდა.

თუ გასურთ იხილოთ მთელი პროცესი, სარჩელიცა და საქმეც თავით ბოლომდის, ყოველი მოწმის სახელი, თხოვნები სარჩელის გამოტანასა თუ გაუქმებაზე, რამდენიმე გამოცემა არსებობს და უამრავი საკითხავი, და არცერთი არ მოგანყენთ; საუკეთესოა გარნეის მოკლე გამოცემა, ვინც მადრიდში იმოგზაურა ამ ამბის შესასწავლად.

ხოლო დონა ინესმა სკანდალის მიმართულების შესაცვლელად, სკანდალისა, რომელიც ყველაზე მეტად გახმაურდა ესპანეთში ამ ბოლო საუკუნეთა მანძილზე, ალბათ მას შემდეგ, რაც ვანდალები მოიშორეს, ჯერ ქალწულ მარიამს შესწირა რამდენიმე ფუნტის სანთელი (ამაოდ არასოდეს შეუწირავს), მერე კი, რამდენიმე მოხუცი ლედის რჩევით, თავისი ვაჟი გაამგზავრა, რათა კადიზში გემზე ასულიყო.

გადანყვიტა, ჟუანმა უნდა მოინახულოს ევროპის ყველა საუკეთესო ადგილი, ზღვასა თუ ხმელეთზე, რათა გაიუმჯობესოს ზნეობა ანდა ახალი შეიძინოს, განსაკუთრებით საფრანგეთსა და იტალიაში (ბოლო-ბოლო ასე იქცევა უმრავლესობა).

ჯულიას მონასტერში მიუჩინეს ადგილი:

იგი გლოვობდა და მის განცდებს ალბათ უკეთ გადმოსცემს მისი წერილის ასლი:

„მითხრეს, გადანყდა და მიემგზავრებაო: ჭკვიანურია, მართებულია, მაგრამ ტკივილს ამძაფრებს; აღარას ვთხოვ შენს ყმანვილურ გულს, მსხვერპლი ჩემი გულია და ასეც დარჩება; ერთადერთი ხელოვნება დიდი სიყვარულია, რასაც ავდევედი; ხელჩქარად ვნერ და თუ ლაქა დააჩნდა ფურცელს, ის არ არის, რაც შესაძლოა გეგონოს; თვალის გუგები დამენვა და გამოიშრო, ცრემლი აღარ გამაჩნია.

მიყვარდი, მიყვარხარ და ამ სიყვარულმა დამაკარგვინა ძველი ყოფა, სახლი, ცა და ქვეყანა, ჩემი ღირსება, მაგრამ მაინც არა ვნანობ, ისეთი ძვირფასია მოგონება იმ სიზმრის; თუმცა თუკი ჩემს დანაშაულს ვახსენებ, დაქადებით არ ვიტყვი, ვერავინ განმსჯის უფრო მკაცრად, ვინემ მე განვსჯი საკუთარ თავს: და ამ ლაბირინთს მივუყვები, რადგანაც მოსვენებით ვერ მომისვენია — და არც დასამუნათებელი მაქვს რაიმე ჩემი თავისათვის, არც სათხოვნელი.

კაცისათვის სიყვარული ცხოვრების ერთი გარე მხარეა, ქალისათვის — სიცოცხლის არსი; კაცს შეუძლია აარჩიოს სამეფო კარი, ბანაკი, ეკლესია, ხომალდი და ვაჭრობა, მახვილი, სამოსი, მოგება, გამარჯვება და კვლავ სიამაყე, სახელი, ამპარტავნება, რაც გულს აღუვსებს, და ცოტას თუ ეუცხოება ეს ყოველივე; კაცს ეს ყველაფერი აქვს, ჩვენ კი მარტოდენ — გვიყვარდეს და კვლავაც გვიყვარდეს და კვლავაც გვიყვარდეს და შევენიროთ.

შენ მოგელის ნეტარება, განცხრომა, შეგიყვარებენ და ბევრიც გეყვარება, ჩემთვის ყოველი დასრულდა ამქვეყნად, გარდა იმისა, რომ რამდენიმე წელიწადს უნდა ვმალო გულში ჩემი სირცხვილი და ნუხილი; ამას გავუძლებდი, მაგრამ ვერ დავძ-

ლევ ვნებას, კვლავაც რომ ბორგავს ჩემში... და ამიტომაც მშვიდობით... მაპატიე... გიყვარდე, არა, ეს სიტყვა უქმია ამჟამად... მაგრამ მაინც წამომცდა.

გული სუსტი მქონდა და ახლაც ასეა; მაგრამ მაინც მგონია, შემიძლია გონების მოკრება; ჩვენს სისხლს ჯერაც ჩუხჩუხი გაუდის იქით, საითაც სული მიძრავს, ვითარცა ტალღები აგორდებიან ქარის დაქროლვისას; ჩემი ქალური გული ვერ დაივინყებს... ერთ სახეს მაინც, თუნდა დავბრმავდე; ბოძზე მიბმული თოკივით ირხევა ჩემი მოსიყვარულე გული — მინასკული სულთან.

სათქმელი, მაგრამ ჯერ ვაყოვნებ და ვერა ვბედავ ბეჭედი დავუსვა ამ ფურცელს; და მაინც შემიძლია მივწვდე მიზანს. ჩემი უბედურება მეტად ველარ გაიზრდება; აქამდეც ვერ ვიცოცხლებდი, დარდი მომკლავდა; სიკვდილი გვერდს უვლის საბრალოს, ვინც გულადად ხვდება უბედურების დარტყმას, და ამ უკანასკნელ გამომშვიდობებასაც გადავიტან, გავუძლებ ცხოვრებას, რათა მიყვარდე და ველოდო შენთვის!“

ეს ბარათი მოოქროვილ ქალადზე ეწერა, პატარა, წვრილი, ახალთახალი კალმით; მისი პანია, ფუმფულა ხელი ძლივს ეხებოდა სანერს. კანკალებდა მოჯადოებული ძაფივით, და მაინც, კურცხალიც არ გადმოუგდია; ბეჭდად მზესუმზირა დაესვა, **Elle vous suit partout** დევიზი ამოჭრილი იყო თეთრ **cornelian**-ზე; ცვილი საუკეთესო გახლდათ და ალისფრად ელვარებდა.

ეს იყო დონ ჟუანის პირველი ხიფათი; და რადგანაც მის თავგადასავალს მივყვები, საზოგადოებაზე ჰკიდია, სადამდე ვივლი;

ვნახოთ, რას იტყვიან: მათი მოწონება ფრთებს შეასხამს ავტორს, და დიდი უბედურება არც მათი ხუმტურები იქნება; და თუ შეგვაგულიანებენ, შესაძლოა კიდევ იხილოთ სხვა ნაწილებიც ამ წელსვე.

ეპიკურ ლექსს ვთხზავ და ამიტომაც თორმეტი წიგნისაგან უნდა შედგებოდეს; თვითეულ წიგნში იყოს სიყვარული, ომი, ზღვის ქარიშხალი, ხომალდთა სია, კაპიტნები და მეფეები, ახალი ხასიათები: ჯოჯოხეთის საშინელებათა პანორამული მიმო-

ხილვა, ვერგილიუსისა და ჰომეროსის მსგავსად, ისე, რომ ეპოსი ჩემმა სახელმა არ შეარცხვინოს.

ეს ყოველივე დროულად უნდა მოთავდეს, არისტოტელეს მკაცრი წესებით, ჭკმმართად ბრწყინვალე მარადი მეგზური, რაც მრავალ პოეტს ქმნის და ზოგსაც — სულელს: პროზაიკოს პოეტებს თეთრი ლექსი უყვართ, მე რითმას ვეტრფი, რიგიანი ოსტატი აროდეს წაეჩხუბება თავის იარაღებს; ჩემს წინაშეა ახალი მითოლოგიური მექანიზმები და მშვენიერი, ზებუნებრივი დეკორაციები.

მარტოდენ ერთი მცირე განსხვავებაა ჩემსა და ჩემს წინამორბედ ეპიკოს ძმებს შორის, ასე მგონია, აქ უპირატესობა ჩემს მხარესაა (არა იმიტომ, მეტი ღირსებანი მქონდეს, ეს ხომ დაწერილებით გამოჩნდება); ისინი ისე არიან გატაცებულნი შემკობით, რომ მოსაწყენი ხდება მათი არაკების ლაბირინთები, გასაღწევად საძნელო, მაშინ, როდესაც ჩემი ამბავი რეალური სიმართლეა.

თუ ვინმე დაეჭვდება, მივმართავ ისტორიას, ტრადიციასა და ფაქტებს, გაზეთებს, რომელთა სიმართლესაც ყველა გრძნობს და იცის, ხუთაქტიან პიესებსა და სამაქტიან ოპერებს; ეს ყოველივე დაადასტურებს ჩემს პოზიციას, მაგრამ ყველაზე მეტად რწმენას ის ამაგრებს, რომ მეც და სხვებსაც, სევილიაში, გვგონია, რომ ჟუანის გაქცევაში ეშმაკის ხელიც ურევია.

თუკი ოდესმე მიწერია პროზამდე დაშვება, შევქმნი პოეზიის კანონებს, რომელნიც უთუოდ აღემატებიან იმ ყოველივეს, რასაც დღემდე უარსებია; ამგვარად გავამდიდრებ ჩემს ტექსტს ბევრი რამით, რაც ჯერ არავინ უწყის, და რჩევა-დარიგებებს მწვერვალთან გავათანაბრებ: ნაშრომს დავარქმევ „ლონგინუსი ბოთლიდან, ანუ ყოველი პოეტი საკუთარი თავის არისტოტელეა“.

დაე გჯეროდეთ მილტონის, დრაიდენის, პოუპის; მაგრამ ნუ ენდობით უორდსუორთს, კოლრიჯს, საუთის; რადგანაც პირველი უიმედოდ შეიშალა, მეორე თრობაში გადავარდა, მესამე კი ყბედია; ქრებს ცოტა ძნელად შეენყობით, და კემპბელის ჰიპოქრინი რაღაც მშრალია; სემუელ როჯერსს ვერაფერს მოპარავთ, და მურის მუზასთან არმიყობას ნურც შეეცდებით; ვე-

რას უსურვებთ მისტერ სოთბის მუზას, მის პეგასს, თუ რაცა ჰყავს; ნუ გახდებით ყალბი მოწმე „ლურჯივით“ (ერთი ვიცი, ამ საქმისა დიდად ტრფიალი).

მოკლედ, ნურას დანერთ, გარდა იმისა, რასაც გირჩევთ: ესაა ჭეშმარიტი კრიტიკა და ნება გექლევათ აკოცოთ — გნებავთ თუ არა — ნკეპლას; და თუ არ იქმთ, მე გაგიმზადებთ, ღმერთმანი!

თუ ვინმე გაბედავს ამტკიცოს, ეს ამბავი ამორალურიყო, ვფიცავ, წამოიყვირებენ თუ არა, დაისჯებიან;

მერე თავიდან წაიკითხავენ და იტყვიან (მაგრამ, უეჭველია, ასეთი ექსპერიმენტი არ გამოჩნდება): მორალური კი არ არის, მაგრამ მხიარულიაო; ამასთან, მეთორმეტე სიმღერაში მინდა გიჩვენოთ ის ადგილი, სადაც სასტიკი ადამიანები მოხვდებიან.

და თუ ყველაფრის მიუხედავად ვინმე ისე დაბრმავდება, მის სასიკეთოდ ნათქვამ ამ გაფრთხილებას არად ჩააგდებს და გონების ახირებულებას გაჰყვება და არ დაუფერებს ჩემს ლექსსა და საკუთარ თვალებს, და ამოიძახებს: მორალი აქ ვერა ვპოვეო, ვიტყვი, სასულიერო პირი თუა: ცრუობს-მეთქი. და თუ კაპიტნები ან კრიტიკოსებიც გაიმეორებენ იმავე შენიშვნას, ისინიც ცრუობენ — შეცდომა მოსდით.

საზოგადოების ნებართვას ველი, და ვთხოვ მერწმუნონ, რომ მორალს, მათდა გასაოცრად, მაინც მივალწევ (ასე ლებულობენ ბავშვები საჩუქარს ამოჭრილი კბილისათვის).

ამასობაში უსათუოდ გაახსენდებათ ჩემი ეპიკური მოთხოვნები დაფნისათვის: და იმის შიშით, ვაითუ ზოგიერთი მორცხვი მკითხველი შემკრთალიყო, დიდედაჩემის მიმომხილველი მოვისყიდე — ბრიტანული.

ბარათთან ერთად ვაახლე რედაქტორს, ვინც თავშეკავებული მადლობა მაცნობა ფოსტით, ლაზათიანი სტატიისათვის მისი მოვალე შევიქენ; და მაინც, თუკი ჩემი ნაზი მუზის შებრანვას მოინდომებს და მისთვის მიცემულ სიტყვას გატეხს — უარს განაცხადებს ჩეკზე, რაცა ღირს იგი, თაფლის ნაცვლად ნაღველს გადმოვანთხევ მის ფურცლებზე და გამოვააშკარავებ: ფული აიღო-მეთქი.

ვფიქრობ, ამ ახალი წმინდა კავშირით დავარწმუნებ საზოგადოებას და არ დავნებდები სხვა ჟურნალებს, სახელოვნებო იქნება თუ სამეცნიერო, ყოველდღიური, ყოველთვიური თუ სამთვეში ერთხელ გამოცემული; არ დავწერ მათ კლიენტთა გასამრავლებლად, რადგანაც ერთხელ მომახალეს: ამოდ ირჯეზიო, და „ედიზბურგის მიმომხილველი“ და „ქუთთერლი“ სასტიკად მოექცნენ სხვაგვარად მოაზროვნე ავტორს.

Non ego hoc ferrem calida jurenta Consule Planco ბრძანა ჰორაციუსმა და მეც ვიმეორებ; და ამ ციტირებით მივანიშნებ, რომ კაი ექვსი-შვიდი წლის წინათ (დიდი ხნის წინათ, ოდეს პაემნებზე ვოცნებობდი) მზად ვიყავ, დარტყმაზე დარტყმითვე მეპასუხა და არ მოვითმენდი ამგვარ მიეთმოეთებს ჩემს სიჭაბუკეში, ოდეს ჯორჯ მესამე მეფობდა.

მაგრამ ამჟამად, როს ოცდაათი წლისას თმა გამიჭალარავდა (ნეტა ვითარი მექნება ორმოცი წლისას? ამას წინათ პარიკზეც ვოცნებობდი)... გულიც აღარაა ისეთი ხასხასა; მოკლედ, მთელი ზაფხული მაისში ჩავხარჯე, პასუხის გაცემის ჟინიც გამიქრა; სიცოცხლე გავლიე, ინტერესებიც და პრინციპებიც მივაფშხვენი, და აღარც ჩემი სული მგონია უძლეველი.

საკმარისია, საკმარისი, უჰ! საკუთარ თავზე საუბარი.

ცინცხალი გული ცის ნამივითაა, რაც იმ მშვენიერ საგნებს, ჩვენს გარშემო, ახალსა და ლამაზ განცდებს მატებს, სხეულს ფუტკრის ჩანთასავით რომ ვივსებთ: გიფიქრიათ, რომ თაფლი იმ საგნებშია? ეჰ! იქ კი არა, შენს ძალაშია, თვით ყვავილის სიტკბოებას რომ აორმაგებ.

საკმარისია, საკმარისი, უჰ! საკმარისია, ჩემო გულო, ჩემო ერთადერთო მსოფლიოვ, სამყაროვ! ერთდროს ყოვლისმომცველო, ამჟამად კი განყენებულო, ველარც დალოცვა იქნები ჩემთვის და ველარც წყევლა: ილუზიები სამუდამოდ შემომეძარცვა და შენც უგრძნობი გახდი, ვგონებ, მეტი რალა ვთქვა, და შენი საიმედოობა სადარდელი შემექნა, და ზეცამ უწყის, გავიგებ რაიმეს თუ არა.

ჩემი სიყვარულის დღეები დასრულდა, მოვრჩი. ქალწულის, ცოლისა თუ ქვრივის ხიბლი იმას გაასულელებს, ვისაც ასულე-

ლებდა... მოკლედ, აღარ მივდეგ ჩვეულ ცხოვრებას, იოლად აღარ ვერწმუნები მონათესავე გონებათა არაკებს, აღარც სასმელს ვნთქავ უზომოდ, ასე რომ, იქნებ კაი ბებერი ჯენტლმენით კრიჟანგობასაც მივყო ხელი.

სიამაყე გახლდათ ჩემი კერპი, რაც დაიმსხვრა ნუხილისა და ტკბობის ტაძრის წინაშე; და ამ ორმა ბევრი რამ დამიტოვა, რისი განსჯაც შეიძლება მოცალეობის ჟამს. და ახლა ბერი ბეკონის ურცხვი თავივით ვამბობ: ჟამი არის, ჟამი იყო, ჟამი გარდახდა-მეთქი.

ახალგაზრდობა ქიმიური განძია, რაც უდროოდ დავახარჯე... გული — ვნებებსა და — თავი რითმებს.

რაა სახელ-დიდების ბოლო?

მარტოდენ ის, რომ რამდენიმე ფურცლის ნაწილი შეივსოს: ან იქნებ ვინმეს მწვერვალზე ასვლა ურჩევნია, რომლის ბოლო წერტილიც, სხვა მწვერვალებივით, ნისლშია გახვეული; ამ ხალხისათვის წერენ, ლაპარაკობენ, ლოცულობენ, გმირები ხოცავენ და ბარდები იწვიან, ვითარცა თვითონ უწოდებენ, „შუალამის სანთელივით“, და ესე ყოველი მტვერია, სახელიც, საცოდავი ნახატიც თუ უარესიც — ბიუსტი.

რა არის კაცის იმედი?

ძველი ეგვიპტის მეფე ხეოფსმა პირველი პირამიდა ააგო, უდიდესი პირამიდა, და ეგონა, ამით შეინახება მოგონება ჩემზე და ჩემი მუმიაც გადარჩება; მაგრამ ვიღაცამ გათხარა და ქურდულად მიაგნო მის სარკოფაგს: დაე ძველი ნუ დავგაიმედებს, რადგან ერთი ბლუჯა მტვერიც არ დარჩა ხეოფსისაგან.

მაგრამ მე ჭეშმარიტი ფილოსოფიის მოყვარული გახლავართ და ჩემს თავს ხშირად ვუმეორებ:

— ეჰ! ყველაფერი, რაც დაიბადა, მოკვდება, და ხორცი (სიკვდილი რომ თიბავს თივასავით) ბალახია; სიჭაბუკე თუ არც ისე სიამით განლიე, კვლავ რომ მოგეცეს, ისევე ჩაგეფშვნიტება, ასე რომ, უმადლოდ შენს ვარსკვლავს, უარესი არ გერგო. იკითხე შენი ბიბლია, სერ, და ქისას მოუფრთხილდი.

ახლა კი, ძვირფასო მკითხველო! და უფრო ძვირფასო მყიდველო!

ბარდი, ანუ მე, თქვენი ნებართვით ხელს ჩამოგართმევთ და „დაგემშვიდობებით თქვენი უმორჩილესი მსახური!“ ჩვენ კვლავ შევხვდებით, თუკი გავუგებთ ერთმანეთს; და თუ ვერა, თქვენს მოთმინებას აღარ გამოვცდი ამგვარი მცდელობით, და კარგი იქნებოდა, სხვანიც თუ მომბაძავდნენ.

გასწი, პატარა წიგნო, გასცდი ჩემს მარტოობას! წყალს მიგანდობ, გაჰყევი შენს გზას! და თუ, ვითარ მგონია, შენი ამაო გზა გაამართლებს, მსოფლიო აღმოგაჩენს მრავალი დღის შემდეგ. თუ საუთის კითხულობენ და უორდსუორტს იგებენ, ვერ ვითმენ, რომ ჩემი განაცხადიც საქებურად არა ვსინჯო...

პირველი ოთხი რითმა საუთის ეკუთვნის: და, ღვთის გული-სათვის, მკითხველო, მე არ მომათვალო.



თავი მეორე

სოფალდის დაღუპვა: ჰაიდე

შენ, ვინც ერების გენიალურ ახალგაზრდობას ასწავლი, ჰოლანდიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა თუ ესპანეთისა, გვედრით, განკეპლეთ, ვითარც კი დაიმსახურებენ, ტკივილს არა უშავს, ზნეობა გაუმაგრდებათ: საუკეთესო დედაცა და განათლებაც ჟუანს არაფერში გამოადგა, და რაღაც ახირებული შემთხვევის გამო დაჰკარგა ბუნებრივი უმანკობა.

საჯარო სკოლაში რომ მიებარებინათ, მესამე კლასში ან თუნდ მეოთხეში, ყოველდღიური დავალებანი ხუმტურებს დაუცხრობდა, ბოლო-ბოლო ჩრდილოეთში მაინც რომ აღეზარდათ. ეს ესპანეთი თითქოს გამონაკლისივით არის, მაგრამ სწორედ გამონაკლისები გამოიჩინენ ხოლმე თავს...

თექვსმეტი წლის ბიჭმა ცოლ-ქმარი გაჰყარა და, ცხადია, საგონებელში ჩააგდო თავისი აღმზრდელები.

ვერ ვიტყვოდი, რომ ეს ამბავი მეც საგონებელში მაგდებდეს, თუ ყველაფერს გავიაზრებთ:

პირველი — დედამისია, მათემატიკოსი; ერთიც... თუმც არ გვინდა, მისი აღმზრდელი ბებერი ვირი;

მეორე — ლამაზი ქალი (უიმისოდ ანკი რა გამოვიდოდა);

მოხუცი ქმარი, ახალგაზრდა ცოლს დიდად რომ აღარ აწუხებდა...

დრო და შემთხვევა.

ასეა, ასე... დედამინა ტრიალებს ღერძის გარშემო, და ადამიანები მივყვებით, ზოგი თავში აღმოვჩნდებით და ზოგიც კუდს მოვებლაუჭებით, ვცხოვრობთ და ვკვდებით, გვიყვარს და გადასახადებსაც ვიხდით, და ვითა ქარი დაგვიბერავს, ისე

მივცურავთ; მეფე გვიბრძანებს, ექიმი ცახცახს შეგვეყრის, მღვდელი დაგვმოძღვრავს და ასე ჰქრება ჩვენი სიცოცხლე, სული გვიდგას, გვიყვარს, ვსვამთ, სიამაყე და დიდების ჟინი აგვაბობოქრებს. ვიბრძვით, ვერთგულებთ და მერე — მტვერი... ალბათ სახელიც.

აკი მოგახსენეთ, ჟუანი კადიზს რომ გაგზავნეს...

მშვენიერი ქალაქია, კარგად მახსოვს...

იქ არის კოლონიური ვაჭრობის ხალხმრავალი ბაზარი (ანდა იყო, ვინემ პერუ ამბობდებოდა), და ისეთი კოხტა გოგოებია, მინდოდა მეთქვა, მშვენიერი ქალბატონები, ისე დაგოგმანებენ, გულ-მუცელი ამოგიტრიალდება; ვერ აგინერთ, თუმც კი გამაოგნა, მოწონებით არ მომწონებია...

მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს: არაბულ ცხენსა ჰგავს, ზვიად ხარირემს, ბარბარიულ მერანს, ჟირაფს, ქურციკს, არა — არცერთი არ გამოდგება;

მერეა და მათი სამოსი! მათი მოსასხამი და ქვედატანი — ეჰ!

ასეთ რამეებს რომ გავყვეთ, ძალზე მალე შემოგველევა ლექსი — მერე მათი ფეხები და კოჭები, — ოჰ, მადლობა ღმერთს, მეტაფორა არ მომეძვეება (და ჩემო პირქუშო მუზავ — მოდი დავმშვიდდეთ — კეთილგონიერო მუზავ — დაე იყოს ნება შენი) — ცნობისნადილით აღძრული ხელით ნუთიერად გადაგდებული საბურველი, და გაფართოებული თვალი, ფერს რომ დაგაკარგვინებს, და მგზნებარე გული: ყოველივე სიყვარულის საუფლოა, და თუ დაგივიწყო, დაე დამტოვონ ძალებმა — და ლოცვებში ჩავეფლო — მაგრამ არსად ყოფილა სამოსი, საიდანაც თვალნი ისეთ ისრებს ისროდნენ, ვითა ვენეციური ფაზიოლიდან.

მაგრამ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ:

ღონა ინესმა ვაჟი თვისი კადიზს გაგზავნა, რათა იქ გემზე ასულიყო; მისი იქ დარჩენა არ განეზრახა, მაგრამ რატომ? — გაურკვეველობაში ვტოვებთ მკითხველს — რათა მოგზაურობას შესდგომოდა ყმანვილკაცი, ესპანური გემი ნოეს კიდობნად უნდა ქცეულიყო — და ამქვეყნიურ ცოდვათაგან მოეცილებინა და იმედის მომტანი მტრედივით გაეშვა.

დონ ჟუანმა მსახურს უბრძანა: ნივთები საჭიროებისდა მიხედვით ჩაალაგეო, მერე მოისმინა ლექცია და მიიღო ფული: იმ ოთხი გაზაფხულისათვის, მოგზაურობაში რომ უნდა გაეტარებინა; და თუმცა ინესი დარდობდა (ყველანაირ განშორებას თავისი ეკლები აქვს), იგი იმედოვნებდა გამოსწორებას და ალბათ სწამდა; ბარათიც უძღვნა დედამ — კეთილ რჩევათა (ჟუანს არ წაუკითხავს), და ორი-სამი წერილიც კრედიტებისათვის.

იმავედროულად, დროის გასაყვანად, მამაცმა ინესმა საკვირაო სკოლა დააარსა ცელქი ბავშვებისათვის, რომელთაც (მანანალებივით) ჭინკობანასა თუ ბრიყვობანას თამაში ურჩევნიათ; სამი წლის ბავშვებს ასწავლიდნენ, ახირებულთ ნკებლავდნენ და კუთხეში აყენებდნენ: ჟუანის აღზრდაში მიღწეულმა დიდმა წარმატებამ შეაგულიანა ახალი თაობის აღსაზრდელად.

ჟუანი ავიდა გემზე და ხომალდიც გაუდგა გზას, ზურგის ქარი ქროდა და მიცურავდნენ: ზღვის ეშმაკი ბრუნავს იმ ყურეში, ხშირად გადამიკვეთავს ის ადგილი და კარგად ვუწყი; გემბანზე მდგომს სახეში ასხურებს შხეფებს და მის გამძლეობას სცდის: ისიც იდგა და უძლებდა, უძლებდა, პირველად და უკანასკნელად ემშვიდობებოდა ესპანეთს.

ვერაფერს ვიტყვი, სევდიანი სანახავია თუ ვითარ ჰქრება მშობლიური ნაპირი მღელვარე წყალს იქით; ერთიანად მოგმლის, მითუმეტეს, ახალი ცხოვრებისაკენ რომ მიდიხარ: მასსოვს, ბრიტანეთის ნაპირები თეთრია, თითქმის ყველა სხვა ქვეყნისა კი — ლურჯი, შევყურებთ მას, გვიუცხოვდება სიშორის გამო და გადავდივართ სანწყალოსნო არსებობაში.

ასე იდგა ჟუანი მწუხარედ გემბანზე: ქარი უსტვენდა, თოკები იჭიმებოდა, მეზღვაურები იგინებოდნენ, გემი ჭრიალებდა, ქალაქი კი ლაქად გადაიქცა, რასაც ლალად და მსწრაფლ შორდებოდნენ.

ზღვის სენისაგან მოსარჩენად საუკეთესო წამალი ბიფშტექსია: გასინჯეთ, სერ, ნუ გელიმებათ, გარწმუნებთ, რომ ასეა, ვითა მე დავრწმუნდი, თქვენც ასევე აღარ გაგიჩნდებათ ეჭვი.

დონ ჟუანი იდგა და იყურებოდა გემბანიდან, შესცქეროდა მშობლიურ ესპანეთს, თანდათან რომ შორდებოდა: პირველი

განშორება ძნელად შესათვისებელი გაკვეთილია, ერებიც კი გრძნობენ ამას, ომში რომ მიდიან; რაღაც გამოუთქმელი დარდია, რაღაც თავზარი, გულს რომ შეუქანებს კაცს, თუნდ ყველაზე უსიამოვნო ხალხსა და ადგილებს ტოვებდე, მაინც უკან იხედები, მაგრამ ჟუანი ბევრ რამეს ტოვებდა — დედას, სატროფოს, თუმც არა ცოლს, ასე რომ, ბევრი მიზეზი ჰქონდა სადარდებლად, ვინემ სხვა მრავალს, უფრო წინ წასულს ცხოვრებაში; და თუმც დროდადრო ოხვრა უნდა აღმოგვხდეს განშორებისას, თუნდ განხეთქილებას დავეშორებიანეთ, უსათუოდ ვტირით მათ გამო, ვინც გულით გვიყვარს...

უფრო დიდი დარდი ცრემლებს გაგვიშრობს.

დონ ჟუანიც ტიროდა, ვით მოთქვამდნენ ტყვე ებრაელნი, მდინარეთა ზედა ბაბილონისა და იგონებდნენ სიონს: მეც ვიტყვები... მაგრამ ჩემი მუზა მტირალა არ არის, და არც თავი უნდა მოიკლა ასერიგად მსუბუქი დარდისა გამო; ყმანვილკაცებმა უნდა იმოგზაურონ, თუნდ მხოლოდ მიტომ, თავი შეიქციონ; და მომდევნო მოგზაურობისას, როს მსახურნი ეტლის ბოლოს დამაგრებას დაუნყებენ ახალ ჩემოდნებს, რომელთაც ალბათ, ჩემი ახალი სიმღერა შექმნის.

ჟუანი ტიროდა და ბევრს ოხრავდა და ფიქრობდა, როს მისი მლაშე ცრემლები ცვიოდა მლაშე ზღვაში, „ტკბილი ტკბილთან“ (ისე მინდა ციტატი მოვიხმო; უნდა მაპატიოთ ეს ჩანართი... ეს იყო მაშინ, ოდეს დანიის დედოფალმა ყვავილები მიიტანა ოფელისას საფლავზე); და ტირილისას ჟუანი ფიქრობდა თავის იმჟამინდელ ყოფაზე, და გულმოდგინედ გადანყვიტა გარდაქმნილიყო.

— მშვიდობით, ჩემო ესპანეთო! დიდი ხნით გემშვიდობები! — მოთქვამდა იგი, — ალბათ ველარასოდეს გნახავ, მოვკვდები ისე, მრავალი განდევნილი გული ვითარც მომკვდარა, იმის წყურვილით, რომ კვლავ ეხილა შენი ნაპირები: მშვიდობით, გვადალკვივირის წყლებო! მშვიდობით, დედაჩემო! და რაკი ყველაფერი დასრულდა, მშვიდობით, უძვირფასესო ჯუღია — (აქ კვლავ ამოიღო მისი ბარათი და გადაიკითხა). და, ეჰ! რომ შემეძლოს დავინყება, ვფიცავ... მაგრამ ეს შეუძლებელია და არ იქნება... უმალ ეს ლურჯი ოკეანე ცას შეერთვის, უმალ მინა

ზღვად გარდაიქცევა, ვინემ შენი სახე დამავინყდებოდეს, ჩემო მშვენიერო! და შენს გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო; სნეულ გონებას წამალს ვერ მოუძებნის ექიმი (აქ გემი დაირწა და მას ზღვის სენმა დარია ხელი). უმალ ზეცა ეამბორება მინას (აქ უარესად შეიქნა), ოჰ, ჯულია! ამაზე მეტი სხვა რა ჭირილა შემეყრება (ღვთის გულისათვის ერთი ჭიქა ლიქიორი დამალევი-ნეთ; პედრო, ბატისტა, დამეხმარეთ, დაბლა ჩამიყვანეთ). ჯულია, ჩემო სიყვარულო! (ჩქარა, პედრო, შე არამზადავ)... ოჰ, ჯულია! (ეს დაწყევლილი ვარცლი ისე ირყევა)... საყვარელო ჯულია, კვლავ გვედრები, ყური დამიგდე! (აქ ლებინებამ ხმა ჩაუნყვიტა)

გრძნობდა გამოთოშავ სიმძიმეს გულისა, ან კუჭისა უფრო, რაც, ეჰ! საუკეთესო აფთიაქარის ხელოვნებასაც კი არ ემორჩილება, და ახლავს საყვარულის დაკარგვას, მეგობართა ღალატს, ან სიკვდილს ჩვენი საყვარელი ადამიანებისა, როს ჩვენი ერთი ნაწილი კვდება მათთან ერთად და იმედიც ჰქრება: უეჭველია, გაცილებით უფრო პათეტიკურიც იქნებოდა, მაგრამ ზღვა მძლავრად ურევდა გულს.

სიყვარული ახირებული ძალაა: მსმენია, ციებ-ცხელება და უმარცხებია თავისი სიმხურვალითო, მაგრამ თავსატეხი გასჩენია ხველითა და გაციებით, და ყელის ტკივილიც ძნელი განსაკურნებელია; ყველა კეთილშობილურ სნეულებასთან თამამია, მაგრამ მდაბიურ სენთან არ უყვარს შეხვედრა, ცხვირის ცემინება ვერ შეაჩერებს მის ოხვრას, ვერც ანთება დაუნითლებს თვალებს.

ყველაზე უარესი მაინც ლებინებაა, ან ტკივილი ნანლავთა სიღრმეთაგან; გმირულად მსუნთქავი სიყვარული მშვიდდება ცხელ მოსასხამებში გახვეული, და კუჭის გამწმენდები სახიფათოა მისი ტახტისათვის, ზღვის სნეულება სიკვდილია: ჟუანის სიყვარული სრულყოფილი იყო, მაგრამ ვით შეძლებდა ჟუანის ვნება შიგნეულის ღრიალისათვის გაეძლო, როს მანამდე აროდეს ყოფილა ზღვაზე.

წმინდასახელიანი გემი „სამება“ გზას მიიკვლევდა პორტ ლეგჰორნისაკენ, სად მონკადათა ესპანური ოჯახი ჟუანის მა-

მის დაბადებამდე გაცილებით ადრე დაფუძნდა: ნათესავებად ერგებოდნენ და მათთან მიჰქონდა გაცნობის წერილი, სადაც მასთან განშორების მწუხარებას ამცნობდნენ მისი ესპანელი მეგობრები იტალიელ მეგობრებს.

მისი ამაღლა შედგებოდა სამი მსახურისა და მასწავლებლისაგან, ლიცენციატი პედრილო რომ ერქვა, ენა მრავალი იცოდა, მაგრამ ახლა იწვა სწეული და ენაჩავარდნილი, ბალიშში თავჩარგული, ირწეოდა ჰამაკში და მინას ნატრობდა, ყოველი ტალღა თავისტკივილს უმძაფრებდა; ხოლო ბორტის ნაჩვრეტებიდან შემოდნეული წყალი საწოლს უსველებდა და აფრთხობდა. და უმიზეზოდაც არა ფრთხებოდა, რადგანაც ღამით ქარი გაძლიერდა და ქარიშხლად გადაიქცა; და თუმც ზღვისა არაფერი გაეგებოდათ, ხმელეთელთ ფერი დაეკარგათ, მეზღვაურები კი სულ სხვაგვარნი არიან: და მზის ჩასვლისას აფრების დაკეცვას შეუდგნენ, რადგან ცას შეატყეს, უფრო დაუბერავს, და ვაითუ ორიოდე აფრაც მოგლიჯოსო.

პირველ საათზე ქარმა უეცრად იცვალა პირი, და შიგ ზღვის ხახაში ისროლა გემი, რამაც მძლავრად შეარყია და საზარი ბზარი გაუჩინა, კიჩოს მიადგა და მთლიანად მოარღვია ისე, რომ თავდაღწევა ძნელი იყო ამ განსაცდელიდან, საჭე დაზიანდა და, როს დგუშების ამუშავება მოინდომეს, ტრიუმში ოთხი ფუტი წყალი დახვდათ.

ეკიპაჟის ერთი ჯგუფი მაშინვე ტუმბოებთან დააყენეს, დანარჩენები კი გემის გამაგრებას შეუდგნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ; წყლის ჟონვა ვერ შეაჩერეს; ბოლოს თითქოს რაღაც მოახლაფორთეს, მაგრამ ხსნა ჯერაც შორს იყო: გაჟონილი წყალი საკმაოდ საშიში გახლდათ, თუმც ყოველივეს იყენებდნენ ნაჩვრეტში დასაცობად — ნაჭრებს, პერანგებს, ქურთუკებს, მუსლინის შეკვრებს; მაგრამ ამაოდ, და ჩაძირვა ელოდათ, თუმც თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ ტუმბოებზე უნდა ვთქვა: მიხარია, ვაცნობო ჩვენს ძმა მუშებს, ტუმბოთი რომელთაც უშრომიათ, რომ ორმოცდაათი ტონა წყალი ამოიტუმბა ერთ საათში და ველარავის გამოადგნენ, გარდა მათი დამამზადებელი მისტერ მანისა, ლონდონის მკვიდრის.

დღის დადგომისთანავე თითქო გამოიღარა, მოეჩვენათ, წყლის ჟონვაც შემცირდაო, და გემიც არ ჩაიძირებოდა, თუმც სამი ფუტის სიმაღლეზე იდგა წყალი და ორი ხელი ამუშავებდა ტუმბოს.

ქარი კვლავ უბერავდა და, მოსალამოვდა თუ არა, ქარიშხალი ამოვარდა და ერთი დაქროლვით — რითაც ყველგან შეაღწევს ხოლმე — დაჰკრა და გემი გვერდზე მიაწვინა.

და ინვა უძრავი, ყირავდებოდა, წყალი სცემდა, გემბანს რეცხავდა და ისეთ სურათს ძერწავდა, ადვილად ვერ დაივინწყებდა კაცი; ჩვენ გვახსოვს ბრძოლები, ცეცხლი და ნგრევა, ყოველი, რასაც უბედურება მოაქვს, იმედთა მსხვრევა, გულის ან თავის გატეხვა, კისრის ნამტვრევა: ჩაძირვაზე ასევე საუბრობენ მყვინთავები. ან მოცურავენი, რომელნიც იღბლად გადარჩენილან.

დაუყოვნებლივ გადაჭრეს ანძები, ორივე — მთავარიცა და დახრილიც; ჯერ დახრილი დაეცა, მერე მთავარიც მიჰყვა, მაგრამ გემი კვლავ ინვა, ვითომდა ძელიაო, და ჩვენს გარჯას წყალში ჰყრიდა. ფოკანდა და ბუშპრიტი მოჭრეს და ცოტა შემსუბუქდა ხომალდი (ხომ მაინც ვჯახირობთ, ვინემ ყველა იმედი ჩაგვეშრიტებოდეს), და ვითარც იქნა, დიდი ჭაპანწყევით, ძველი გემი გასწორდა.

იოლად ვიგუმანებთ, რომ ვინემ ეს ხდებოდა, ზოგიერთნი ღელავდნენ, მგზავრებს არ მოსწონდათ, სიცოცხლეს რომ უნდა გამომშვიდობებოდნენ და არც დიეტის დარღვევა ეპიტნავებოდათ, და თვით გამოცდილი ზღვაოსნებიც, არიქა დასასრული მოვიდაო, ამბობდნენ და, ვითა ასეთ დროს ხდება, გროგი მოითხოვეს და ზოგმა კასრითვე მოიყუდა.

უდავოა — ისე არაფერი ამშვიდებს სულს, ვითარცა რომი და ჭემმარიტი რელიგია: და ასეც მოხდა, ზოგმა ძარცვას მიჰყო ხელი, ზოგი სვამდა, ზოგიც ფსალმუნებს გალობდა, ქარი გაათკეცვებით ჰქროდა და ცივი, სასტიკი ტალღები ტყლაშუნობდა; შიშმა დაძლია სულმოკლეობა და იმ უიღბლო ხმელეთელთა ზღვის სნეულება: გაისმა საწყალობელი ხმები — მკრეხელობისაც, სასოებისაც, და ქოროდ შეუერთდა მოღრიალე ოკეანეს.

მეტი ზარალიც იყო მოსალოდნელი, მაგრამ ჟუანი, ვინც თავისი ასაკის კვალობაზე დიდი გონიერება გამოიჩინა, მივიდა სასმელების ოთახთან და იქ აისვეტა ორი დამბაჩით ხელში; და დააფრთხო ეკიპაჟი, თითქო ცეცხლით სიკვდილი უფრო საშიში ყოფილიყოს, ვინემ წყალში დახრჩობა, და არ ეპუებოდა ვედრებასა და ცრემლებს, არ უშვებდა ეკიპაჟის წევრებს, რომელთაც გადაეწყვიტათ, თუ ვილუპებით, ბარემ მთვრალეები დავიღუპოთო.

— კიდევ მოგვეცი გროგი, — ყვიროდნენ ისინი, — სულ ერთი საათილა დაგვრჩა.

და მიუგებდათ ჟუანი:

— არა! მართალია ყველას სიკვდილი მოგველის, მაგრამ მოდი ვაჟკაცურად დავიხოცოთ და არა ველურებივით.

ასე ეკავა საშიში პოსტი და ვერვინ ბედავდა ტყვიაზე მიტანებას; თვით პედრილოც კი, ღირსეული დამრიგებელი, ცოტაოდენ რომს სურვილობდა, იმედგანყვეტილი. თავზარდაცემული გახლდათ კეთილი მოხუცი ჯენტლმენი, ხმამაღლა და საწყალობლად მოთქვამდა; ინანიებდა ცოდვებს და უკანასკნელ აღთქმას სდებდა: გამოვსწორდებო; სხვა ვერაფერი ნააქეზებდა (ოღონდ განსაცდელისათვის თავი დაეღწია), გაჰქცეოდა აკადემიურ საქმიანობას სალამანკას კლასიკურ მონასტრებში, და არ ასდევნებოდა ჟუანს — სანჩო პანსასავით.

და უეცრად კვლავ გამოჩნდა იმედის შუქი; გათენდა და ქარიც ჩადგა: ანძები აღარ გააჩნდათ, წყლის ჟონვა გაძლიერდა; წყალმარჩხში იდგნენ, მაგრამ ნაპირი არ ჩანდა, გემი მიცურავდა, ოღონდაც ნებაზე.

კვლავ აამუშავეს ტუმბოები და, თუმც მანამდე თავგანწირულ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია, მზის შუქმა შეაგულიანა წყლის ამომქაჩველნი და რაც მეტს ქაჩავდნენ, ოდნავ უმჯობესდებოდა ცურვა.

ბოლო-ბოლო გემი დაიძრა და ჰა, რალაც შედეგსაც მიაღწიეს, მაგრამ წყალი ჟონავდა, აფრები აღარ გააჩნდათ, და არც ტილოს ნაგლეჯი.

რა უნდა ელონათ?

მაგრამ გირჩევნია ბოლომდე გადალიანდე, თუ ჩაძირვა გინერია, სჯობს გვიან იყოს: და თუმც მართალია, რომ კაცი ერთხელ კვდება, მაინცადამაინც სასიამოვნო არ არის ლიონის ყურეში დაიღუპო.

ქარი და ტალღები არყევდა და იძულებით სხვა მხარეს მიაქანებდა; სადღა იყო საჭე, რათა გაესწორებინათ, და დღისითაც არ დამშვიდდა, რომ სული მოეთქვათ ან გაემართათ საავარიო ანძა ანდა საჭე და ეთქვათ: ერთ საათს მაინც იცურებს გემიო;

ის იღბლად მაინც მიცურავდა, თუმცა მთლად იხვივით ვერა.

ქარი თუმც უფრო ნელა უბერავდა, მაგრამ გემი ისე დამძიმდა, ამინდის იმედად დიდხანს ვერ დარჩებოდნენ; ძალიან გადაიქანცნენ და სულს ველარ ითქვამდნენ, წყალი სწყუროდათ, საჭმელიც ცოტა დარჩენოდათ, ამაოდ იყურებოდნენ ტელესკოპებში, არც გემი ჩანდა და არც ნაპირი, და არც არაა — მძიმედ მოქანავე ზღვისა და შეღამების გარდა.

კვლავ გაავდრდა, კვლავაც იმძლავრა ქარიშხალმა და გემის კიჩოზეც და სხვაგანაც წყალმა იჩქეფა; და თუმც ხალხმა იცოდა ეს, მშვიდად შეხვდნენ და გაბედულად, ვინემ ყველა ტუმბოს ღვედები და ჯაჭვები უძლებდა; და საბოლოოდ დაიშალა გემი და ტალღებს მიენდო, რომელთა ნდობაც ისევე შეიძლება, ვითა ადამიანისა სამოქალაქო ომის ჟამს.

ბოლოს დურგალიც გამოჩნდა, უხემ თვალეზე ცრემლმომდგარი და ამცნო კაპიტანს: მეტს ველარას შევძლებო. ხნირი იყო და ბევრიც ემოგ ზაურა ქარიშხლიან ზღვებზე, და აროდეს უტირია, ქალივით არ უღვრია ცრემლი, მაგრამ საწყალ კაცს ცოლ-შვილი ჰყავდა და ეს ორი რამ აკარგვინებდა თავგზას.

გემის ჩაძირვას წინ აღარაფერი ედგა, კიჩოს მხრიდან მაინც განსაკუთრებით სწრაფად; გაჰქრა ყველანაირი განსხვავება.

ზოგმა ლოცვა დაიწყო, სანთლებს ჰპირდებოდნენ თავთავის წმინდანებს, მაგრამ ვერსად იყიდდნენ;

ზოგი მაშველ რგოლს ეძებდა;

ზოგიც ნავებს ამზადებდა;

ერთი პედრილოს ევედრებოდა ცოდვების შენდობას, ვინც, თავგზადაკარგულმა, წარწყმედა უწინასწარმეტყველა.

ზოგნი ჰამაკებით შოლტავდნენ სხვებს;

ზოგნი საუკეთესო სამოსს იცვამდნენ, თითქოს ბაზრობაზე მიდიანო;

ზოგნიც იმ დღეს წყევლიდნენ, მზეს რომ შეხედეს, და კბილებს აღრჭიალებდნენ და ღრიალით იგლეჯდნენ თმას;

დანარჩენები თავიანთ საქმეს აგრძელებდნენ და ნავებს ამზადებდნენ, რადგანაც კარგად უწყობდნენ, სჯობდა ნავით მინდობოდნენ მღელვარე ზღვას, ვინემ ნამსხვრევებს ჩაჰყოლოდნენ მის ფსკერზე.

ყველაზე უარესი ის გახლდათ, რომ ამ ყოფაში, ამდენი დღე რომ გაატარეს დიდ შფოთში, ძნელი იყო საკვების ისეთი მარაგის შეგროვება, რაც განსაცდელს შეუმსუბუქებდათ: კაცი სიკვდილისპირასაც არ ყაბულდება ცარიელ კუჭს; საჭმლის მარაგი ავდარმა დააზიანა და მხოლოდ ორი მცირე კასრი ბისკვიტი და ერთი შეკვრა კარაქი ჩაიდეს კატერში. გრძელ ნავში კი მოახერხეს ჩაედოთ რამდენიმე ფუნტი, სისველისაგან წამხდარი პური; წყლიანი კასრი, ოცი გალონი თუ მეტიც, ექვსი მათარა ღვინო; ძროხის ხორციც მოიძიეს და ღორისაც, ოღონდ იმდენი, ერთ საუზმედაც რომ ვერ გასწვდებოდათ, და კიდევ რომი რვაგალონიანი კასრით.

სხვა ნავები ხომ ქარიშხლის ამოვარდნისთანავე დაწვეს; გრძელ ნავსაც ყოფა დამძიმებოდა, ორი ნაჭერი ქსოვილი ჰქონდათ აფრისათვის და ერთი ნიჩაბი ანძისათვის; ეს ნიჩაბიც ერთმა ყმანვილმა გადმოაგდო გემიდან ილბლად; ორ ნავში მგზავრთა ნახევარიც ვერ დაეტია.

მწუხრის ჟამი იდგა.

უმზეო დღე დასრულდა, წყლის სიღრმეში ჩაესვენა; ღამე ჩადრივით ჩამოეფარა პირქუშ სახეს მძვინვარე თავდამსხმელისა; მათი უნუგეშო თვალეები ბნელ ღამეში იცქირებოდნენ, სახე გაფითრებოდათ მარტოდ შთენილთ ზღვის უფსკრულის ხელში: თორმეტი დღე გაუშინაურდათ შიში და სიკვდილიც მიუახლოვდათ.

გემზე დარჩენილნი ღამობდნენ ტივის შეკონინებას, თუმც დიდი იმედი არ ჰქონდათ მღელვარე ზღვის შემხედვარეთ; რა-

ღაც სასაცილო რამ შეკრეს, თუმცა სიცილი უადგილოა ასეთ დროს და მხოლოდ კარგად ნაყლაპი კაცი თუ შეძლებს თავზე-ხელაღებულსა და შემზარავ მხიარულებას, ისტერიულსა და ეპილეპტიკურს, როს მისი ხსნა მარტოდენ სასწაულს შეუძლია.

ცხრის ნახევარზე ფიცრები, ცხაურები, მორები და ყოველივე, რაც შეიძლება გამოეყენებინათ, გემიდან გადაყარეს, რათა მოჭიდებოდნენ და ეტივტივათ, მაგრამ ამაოდ ცოდვილობდნენ, რადგანაც უკუნი იდგა, ორიოდ ვარსკვლავი თუ კიაფობდა ცაზე; ნავები გადატვირთულ იყო, გემი გადაიხარა და კიჩოს მხრიდან იწყო ჩაძირვა.

მერე ზღვიდან ცამდე ამოიმართა დაუნდობელი დამშვიდობების ნიშანი, აყვირდნენ ლაჩრები და მტკიცედ იდგნენ მამაცნი, ვილაცები გემიდან გადახტნენ შემზარავი ყვირილით, თითქო სული უსწრებდათ საფლავში ჩასასვლელად; მერე ზღვამ დაამთქნარა გემის ირგვლივ ჯოჯოხეთივით და ხომალდმაც შეინოვა მღელვარე ტალღა, ვით მტერს ჩაეჭიდებიან ხოლმე და ლამობენ მოახრჩონ, ვინემ თვითონაც სული ამოხდებოდეთ.

და გაისმა ყოვლისგამაყრუებელი ხმაური, უფრო მძვინვარე, ვინემ ოკეანის ხმაა, და თითქო ქარიშხლის გამოძახილი და მერე ყველაფერი მიჩუმდა, გარდა ქარისა და დიდრონ ტალღათა სიბობოქრისა; და დროდადრო გაისმოდა მარტოსული ხმა, კონვულსურ შხაპუნთანად, რომელიმე ღონიერი მოცურავის აგონიური ამოყვირება.

ნავები აკი მანამდე მოშორდნენ იქაურობას, მათში ეკიპაჟის წევრთა ერთი ნაწილი იჯდა; და თუმცა ისე უბერავდა ქარი, რომ მათი ახლანდელი იმედი წინანდელს ოდნავ თუ სჭარბობდა, მცირედი შანსი მაინც რჩებოდა, რომ ნაპირს მიაღწევდნენ; და თუმც ცოტანი გადარჩნენ, ნავებისთვის მაინც ბევრნი იყვნენ, როს გადაითვალეს, კატერში ცხრანი აღმოჩნდნენ და ნავში — ოცდაათნი.

დანარჩენები დაიღუპნენ, ასე ორასი სული განშორდა სხეულს; და უფრო სამწუხარო ისაა, რომ, ეჰ, ოდეს კათოლიკეთ შთანთქავს ხოლმე ოკეანე, რამდენიმე კვირა მოცდა მოუწევთ, ვინემ წირვა ააშორებდეთ მთელ ფუთ ჯოჯოხეთის მუგუზ-

ლებს, რადგანაც სანამ ხალხი არ გაიგებს, თუ რა მოხდა, ფულს არც გადაიხდიან მიცვალებულთათვის.

ამბობენ, სამი ფრანკია საჭირო ყოველ წირვაზეო.

ჟუანი გრძელ ნავში მოხვდა და მოახერხა პედრილოც იქვე მოეთავსებინა; ისე ჩანდა, თითქო მოვალეობანი გაცვალეს, ახლა ჟუანს ჰქონდა დამრიგებლის სახე, რასაც გამბედაობა ანიჭებდა, იმ დროს, როს პედრილოს წყვილი თვალი გლოვობდა პატრონის დარდისა გამო: ბატისტა (მოკლედ: ტიტა) დაიკარგა სასმელი წყლის მოსატანად წასული.

თავისი მსახურის, პედროს გადარჩენაც სურდა, მაგრამ მის დაღუპვასაც საერთო მიზეზმა შეუწყო ხელი; ისე დათვრა, ტალღებში ისკუპა, როს კატერში აპირებდა ჩახტომას და ჰპოვა წყალ-ღვინიანი სამარე; ვერ შეძლეს მისი გადარჩენა, თუმცა ახლოს გაეხვა ტალღებში, ისე ლელავდა ზღვა და ნავიც ისე გადავსებულიყო ხალხით.

მამის, დონ ხოხესეული, პატარა ბებერი სპანიელი ჟუანს უყვარდა, რადგან ასეთი რამეები ნაზ მოგონებებს გვიღვიძებენ... ძალღი იდგა გემის კიდეზე და ყეფდა, რადგან იცოდა (აქვთ ძალღებს ინტელექტუალური ყნოსვა), რომ გემი იძირებოდა; ჟუანმა დაიჭირა, ნავში გადაისროლა და თვითონაც მიჰყვა.

ფულიც ჩაიჩურთა სადაც შეეძლო, თავისთვისაც და პედრილოსთვისაც, ვინც ნებას აძლევდა, ვითარც ენება, ისეც მოქცეულიყო, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა ან რა მოემოქმედა, რადგან ყოველი აღმართული ტალღა შიშს განუახლებდა ხოლმე; მაგრამ ჟუანს სჯეროდა, რომ ხიფათს თავს დააღწევდნენ, და ფიქრობდა, ყველაფერს შეიძლება ეშველოსო.

ასე გადაიყვანა გემიდან ნავში თავისი მასწავლებელი და სპანიელი.

მძიმე ღამე იყო და კვლავ მწვავედ უბერავდა ქარი, არვინ ცურავდა ზღვაზე, მაღალი ტალღები დაგორავდა და განძრევას ვერ ბედავდნენ; ზღვის თვითეული ჩქეფი ასველებდათ და უბედურებას მოასწავებდა და წუთითაც არ ასვენებდათ და მათი იმედებიც ისევე ილტობოდა, ვით მათივე სამოსი.

და საბრალო პანია კატერი მალე ჩაიძირა.

ცხრა სულიც თან ჩაიყოლა; გრძელი ნავი ჯერაც წყლის ზედაპირზე ტორტმანებდა, ნიჩაბი ეპყრათ ანძის შემცველელად, ორი ზენარი გადაებათ და ტივტივებდნენ ცურვის ნაცვლად; თუმც თვითეული ტალღა საფრთხეს უქადადათ და აწინდელი საშიშროება წინას აჭარბებდა, მაინც გლოვობდნენ დალუპული კატერის მგზავრებს, და ორცხობილისა და კარაქის კასრებს.

მზე ამოვიდა წითელი და გიზგიზა, უცდომელი ნიშანი ქარიშხლის გაგრძელებისა; გადაუარა ზღვას მანამდე, სანამ კვლავ აღელდებოდა;

რა უნდა ელონათ — თითო ყლუპი რომი და ღვინო დალიეს, იმედგადაწურულებმა, შეჭამეს დასველებული პური; ტანზე ძონძებილა შერჩენოდათ. ოცდაათნი იყვნენ, ისე ჩატმასნილნი, განძრევა არ შეეძლოთ; თუმც ყველაფერი მოიმოქმედეს, რომ ასე თუ ისე მონყობილიყვნენ; ზოგი იჯდა, განუწული და გათოშილი, დანარჩენები იზვნენ და აცეცებდნენ თვალებს;

ასე ციებისაგან აკანკალებულებივით კაცთ აევსოთ ნავი და საფარად არაფერი ეგულებოდათ — გარდა ზეცისა.

უეჭველია, წყურვილი სიცოცხლისა აგრძელებს ჩვენს ყოფას, და ეს უწყიან ექიმებმა, რომ პაციენტები, თუკი მეგობრებმა და ცოლებმა არ შეჰყარეს ჭირი, უიმედო ყოფასაც აღწევენ თავს, რადგან იმედი რჩებათ და ვერც დანის პრიალი და ვერც ატროპოსის მაკრატელი ვერ გადაუწურავთ ამ სასოებას;

გამოჯანსაღების იმედის დაკარგვა ამოკლებს ცხოვრებას და შესაბრალისს ხდის კაცს.

ამბობენ, წლიურ რენტაზე მცხოვრებნი სხვებზე დიდხანს ცოცხლობენო — ღმერთმა უწყის, თუ რატომ, ალბათ იმიტომ, რომ სახსარის მომცემნი სწყევლონ — და მართლაც ისე ხდება, ზოგი სულ არ კვდება მათგან, ვინც კრედიტს გასცემენ, ურიათაგან ყველაზე უარესნი; ასეთია მათი წესი სესხის გაცემისა; ჩემს ახალგაზრდობაში უსესხებიათ ჩემთვისაც ფული და გადახდა მეტისმეტად გამჭირვებია.

ასეა ღია ნავში დარჩენილი ხალხი — სიცოცხლის სიყვარული ასულდგმულებთ და იტანენ გაცილებით მეტს, ვინემ წარმოიდგენდნენ ან გაიფიქრებდნენ, და დგანან კლდეებივით, ქა-

რიშხალი რომ ანგრევს და არღვევს; მძიმე ყოფა მეზღვაურის ბედი ყოფილა, ნოეს კიდობნიდან მოყოლებული დღემდე; იმასაც უცნაური ეკიპაჟი ჰყავდა და ტვირთიც, ისევე ვით პირველ მეკობრეთა ხომალდს ძველი ბერძნებისა — არგოს.

მაგრამ კაცი ხორცისმჭამელი არსებაა და ჭამა უნდა, დღეში ერთხელ მაინც; წყლის ქათამივით წრუპვით ვერ იარსებებს, ზვიგენივით და ვეფხვივით ნადავლი ნებავს; და თუმც მისი ანატომიური აგებულება ბოსტნეულსაც ჰგუობს, ბუზლუნ-ბუზლუნით; მშრომელი ხალხი დაბეჯითებით მიიჩნევს, ძროხის, ხბოსა და ცხვრის ხორცი უკეთესია მოსანელებლადო. ეს სჭირდა ჩვენს ბედკრულ ეკიპაჟსაც, რაკი მესამე დღეს დამშვიდდა ზღვა და, იმის ნაცვლად, ძალა მოეკრიფათ და დაღლილები წყნარად ნოლილიყვნენ და კუებივით ჩაეძინათ ოკეანის სილურჯეში, გაღვიძებულნი აქოთქოთდნენ და ხარბად ეძგერნენ მარაგს, იმის მაგივრად — თვალისჩინივით მოფრთხილებოდნენ.

შედეგის გათვლა იოლი იყო — ყველაფერი შესანსლეს, გამონრუპეს ღვინო, თუმც ზოგი უშლიდა, და მერე, მეორე დღეს რაღა უნდა ეჭამათ? იმედოვნებდნენ, ქარი ამოვარდება და ნაპირს მიგვაყენებსო, სულელები! იმედს რა სჯობს, მაგრამ ერთი ნიჩაბილა ებადათ, ისიც მალალი, ბრძნულად უნდა მოქცეულიყვნენ და გაფრთხილებოდნენ სანოვაგეს.

მეოთხე დღე დადგა და ნიავიც კი არ იძროდა, ოკეანეს ეძინა ძუძუთა ბავშვივით;

მეხუთე დღემაც მოაწია და ნავი იქვე ირწნეოდა, ცაც ლურჯი იყო და ზღვაც, კრიალა და მშვიდი, ერთი ნიჩბით რა უნდა ელონათ (ნეტა ორი ჰქონოდათ)?

და შიმშილით გაველურდნენ: და ჟუანის სპანიელი, პატრონის ვედრების მიუხედავად, დაკლეს და მიირთვეს იმჟამად.

მეექვსე დღეს ძაღლის ნარჩენები შექანქლეს და ჟუანმაც, თუმც უარს ამბობდა, რადგან მამამისის საყვარელი ცხოველი გახლდათ დაკლული ძაღლი, ისეთი სვაგი იგრძნო ყბებში, რომ ერთგვარი სინდისის ქენჯნით (თუმც თავიდან უარს ამბობდა) წყალობა მოიღო და დაითრია ერთი წინა თათი, რაც პედრილოს გაუყო, ვინც მაშინვე შთანთქა და კიდევ ითხოვდა.

მეშვიდე დღეც დადგა და კვლავ ნიავიც არ იძვროდა, კამკაშა მზე წვავდა და თუთქავდა; ზღვაში გაჩხერილნი ჩონჩხებივით იწვნენ და არავითარი იმედი არ მოჩანდა, თუ ქარი არ ამოქროლდებოდა; ველურებივით უყურებდნენ ერთმანეთს — ყველაფერი შესანსლეს, წყალი, ღვინო, საჭმელი — და ამკარად კანიბალი იმზირებოდა მათი მგლის თვალებით, თუმც ჯერ არას ამბობდნენ.

ბოლოს ერთმა უჩურჩულა თავის ამხანაგს, მან კიდევ თავისას და ასე შემოიარა ირგლივ და გაჩაღდა ხრინნიანი ჩურჩული, ავისმომასწავებელი და ველური და საბედისწერო ხმები; და როს ამ ამხანაგის ფიქრები ყველასათვის გახდა ცნობილი, თვითეულმა თავთავისთვის იგუმანა, მეც ასევე ვფიქრობ, თავს არ ვუტყდებო, და ამოთქვეს აზრი ხორცსა და სისხლზე, და თუ ვინ უნდა მომკვდარიყო, რომ ამხანაგთა კერძი გამხდარიყო. მაგრამ ვინემ აქამდე მოვიდოდნენ, იმ დღეს ტყავის ქუდები შეჭამეს და ყოველი, რაც ფეხსაცმელებიდან გადარჩა; განწირულნი თვალებს აცეცებდნენ და ვერავის არჩევდნენ შესანიშნავად; მერე კენჭის საყრელად დაგლიჯეს და მოამზადეს — რაკილა ქალაღი არ გააჩნდათ და შესაფერიც ვერა იპოვეს, ჟუანისათვის ჯულიასაგან მიწერილი წერილი მოიხელთეს.

დაანაკუნეს, დანიშნეს, აურიეს და ფარული შიშით დაიწყეს ამოღება; იმ წუთებში ველური შიმშილიც კი დაავინყდათ, პრომეთეს არწივივით რომ ითხოვდა საძიძვნს, და გატვრინდნენ; არცერთს არ სურდა და არ იზრახავდა ამ საქმეს, ადამიანის ბუნებამ მიიყვანა ამ გადანყვეტილებამდე, რაც არავის ტოვებდა განზე, და წილი ერგო ჟუანის საბრალო აღმზრდელს.

მან ისლა ითხოვა, სისხლი გამომიშვით და ისე მომკალითო; ქირურგს ინსტრუმენტები ჰქონდა და სისხლი გამოუშვა პედრილოს და მანაც ამოუშვა სული, ვერც კი მიხვდებოდი, რომ აღესრულა, მოკვდა, ვით დაიბადა, კათოლიკურ სარწმუნოებაში, იმ მრავალთაგანივით, ვინც შეითვისა ეს სარწმუნოება, ჯერ პატარა ჯვარცმას ემთხვია და შემდეგ მოიშიშვლა ყელი და მაჯა.

ქირურგს, რაკი სხვა ჰონორარს ვერ მოითხოვდა, პირველი არჩევანი ერგებოდა ნაჭრებისა იმ ტკივილისათვის, რაც გადა-

იტანა; მაგრამ რაკი ძალიან სწყუროდა, ვენებიდან მჩქეფარე სისხლი არჩია; ნაწილი დაჭრეს, ნაწილი ზღვაში გადაყარეს და ნაწლავები და ტვინი მიირთვა ორმა ზვიგენმა, ტალღებში რომ მიჰყვებოდნენ თან, დარჩენილი ნაწილი საბრალო პედრილოსი კი მეზღვაურებმა შესანსლეს.

ყველა მეზღვაურმა ჭამა, გარდა სამი-ოთხისა, ვისაც არც ისე უყვარდათ ცხოველური საკვები; მათ შორის იყო ჟუანიც, ვინც სპანიელის ჭამაზე ამბობდა უარს და ახლაც ძნელად გაელვიძებოდა მადა უფრო მეტად;

წარმოდგენითაც ვერ წარმიდგენდა თუნდ ასეთი უბედურების ჟამს, ესადილა თავისი მოძღვრისა და მასწავლებლის ხორციით.

და კარგადაც მოიქცა, რადგან შედეგი უსაშინლესი გამოდგა; ვინც ყველაზე ხარბები აღმოჩნდნენ, ჭკუაზე შეცდნენ — ღმერთო! რარიგ მკრეხელობდნენ! დუჟი მოადგათ და დაიკრუნჩხნენ, დაიბრიცნენ, მარილიან წყალს სვამდნენ, თითქო მთის წყაროაო, ბრდღვინავდნენ, იღრინებოდნენ, იყეფებოდნენ, ყმუოდნენ, ინყევლებოდნენ, და აფთრებივით კიოდნენ და დაიხოცნენ გაშმაგებულნი.

ამ უბედურმა შემთხვევამ ძალზე შეამცირა ნავში მყოფთა რაოდენობა. დარჩენილნი, ღმერთმა უწყის, ძალაგამოცლილნი იყვნენ; ზოგს მეხსიერება დაჰკარგოდა და ბედნიერნი გამოიყურებოდნენ მათთან შედარებით, ვისაც ესმოდა თავისი უბედური ყოფა; სხვები კვლავ მსხვერპლს ეძებდნენ და მარტოდენ სიფრთხილედ — უკვე დაღუპულთა ტანჯვის მნახველებს — უოკებდათ მადას.

ახლა უკვე მოსწავლეზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჟუანს შეეძლო თავის დაცვა და არ სურდა სხვისი ბედი გაეზიარა; სხვა მიზეზებიც იყო: პირველი ის, რომ სიკვდილი არ სურდა, და მეორე და მთავარი როლი მის გადარჩენაში ითამაშა მცირე ძღვენმა, კადიზში რითაც დაასაჩუქრეს ქალბატონებმა.

საბრალო პედრილოს რაღაც ნაწილი დარჩენილიყო, მაგრამ იზოგებდნენ, რადგანაც ზოგს ეშინოდა, ზოგი კი იოკებდა მადას და მხოლოდ მცირედ ეტანებოდნენ; ყველა — ჟუანის გარ-

და; იგი თავს იკავებდა, ბამბუკის ნაჭერსა და ტყვიას ღეჭავდა: ორი ბრიყვი და ერთი სულელილა შემორჩა და ბოლოს მათაც მიატოვეს გვამის თქვლეფა.

და თუ პედრილოს ბედი თავზარდამცემი იყო, გაიხსენეთ, თუ რას გადმოგვცემს უგოლინო არქიმტერის თავის ჭამის გამო, იმ დროს, როს თავაზიანად ამთავრებს თავის ამბავს; თუ მტრები საკვებია ჯოჯოხეთში, ზღვაზე ხომ უეჭველად სამართლიანია მიირთვა მეგობრები, როს გემის დალუპვის შემდეგ ცოტა საკვები გრჩება და არა ხარ დანტესავით შიშისმომგვრელი.

იმავე ღამით წვიმამ დაუშვა.

პირი ისე დააღეს, ვით მიწა იზარება ზაფხულის ხვატისას, ვინემ გაჭირვება არ უჩვენებთ, ადამიანებმა არ იციან წყლის ფასი; თურქეთსა ან ესპანეთში თუ ყოფილხართ, ან დამშეულ ეკიპაჟთან ერთად წოლილხართ ნავში, ან უდაბნოში ჩაგსმიათ აქლემის ზანზალაკის ხმა, იქ ყოფნას ინატრებდით, სად ჭეშმარიტებაა — ჭაში.

კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ წყურვილს ვერ იკლავდნენ, ვინემ არ იპოვნდნენ დაგლეჯილ ქსოვილს და დაცხრილულ ჯამად გამოიყენებდნენ, და როს მთლიანად გაიჟღინთა, გამოწურეს და, თუკი მწყურვალნი მინისმთხრელისათვის ორიოდე ყლუპი მთელი სურა პორტერის ბადალი იქნებოდა, მათთვის ამაზე დიდი ნეტარება სასმელს ჯერ არ მოეტანა.

მზისგან დამწვარი და დამსკდარი ტუჩებით ისრუტავდნენ ნექტარივით სისველეს, ღუმელივით გახურებული ყელით ყლაპავდნენ, ენები დასიებოდათ და გაშავებოდათ, ვითა მდიდრებს ჯოჯოხეთში, მათხოვრებივით რომ ივედრებიან ერთ წვეთ წყალს და თვითეული წვეთი ღვთაებრივ ნეტარებად ეჩვენებათ; თუკი ეს სინამდვილეა, მართლაც რა მოსახერხებელი ყოფილა ქრისტიანული კრედო.

ორი მამა იმყოფებოდა ამ აჩრდილთა ეკიპაჟში და ორი ვაჟი ახლდათ, მათგან ერთი უფრო ამტანი და მამაცი ჩანდა, მაგრამ უფრო ადრე ის დაიღუპა და, როს თანამგზავრმა აცნობა მშობელს, მან მიუგო:

— ღვთის ნებაა, მე რა შემიძლია.

და თვალი გააყოლა ზღვაში გადაგდებულს ცრემლისა და ოხვრის გარეშე.

მეორე მამას უფრო სუსტი შვილი ჰყავდა, ნაზი და მშვიდი, მაგრამ ბიჭმა ბევრ რამეს გაუძლო; უდრტვინველი და მომთმენი ბუნებით უიღბლობას იტანდა, ცოტას ლაპარაკობდა და დროდადრო ილიმებოდა; წონას კარგავდა, მაგრამ ხედავდა, ვით სივდებოდა მამის გული საბედისწერო ფიქრით, განშორება მოგვინვესო.

მამა-ბატონი თავდახრილი დასცქეროდა, თვალს არ აცილებდა, ტუჩებიდან დუჟს სწმენდდა და, როს ნანატრი წვიმა მოვიდა, ბავშვს თვალები თითქოს გამოუცოცხლდა, მონყენა გაუქრა, გამოანათა და ამოძრავდა, ნაჭრიდან რამდენიმე წვეთი შეინოვა ბავშვის მომაკვდავმა ბაგემ, მაგრამ ამოდ.

ბიჭს სული ამოხდა, მამას გვამილა ეჭირა ხელში და დიდხანს დასცქეროდა; და ბოლოს, როს დარწმუნდა, მოკვდაო, გული დაუძძიმდა, იმედი ჩაეშრიტა და გულისცემა შეუწეღდა, მწუხარებით აევსო მზერა და, როს უხეშმა ტალღამ თავის ნებაზე გააქანა ბავშვის სხეული, თვითონაც ჩაქრა, აცახცახდა და გაშემდა, სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამჟღავნებდა, მხოლოდღა კიდურები უთრთოდა.

უეცრად ცაზე ცისარტყელა გადაისარკა, ღრუბლები გამოარღვია და გამოანათა, თალად დაადგა ბნელ ზღვას, მოცახცახე სილურჯეს დაეყრდნო; და ამ თალქვეშ ყოველი უფრო ნათლად გამოჩნდა, მისი ანარეკლი გაფართოვდა და ტალღებზე დაირწა, ვითა ალაში თავისუფლებისა; მერე მოირკალა ვითარცა მშვილდი და დაღუპული გემის მგზავრთა ჩამქრალ თვალთაგან მიეფარა.

სახე იცვალა, ცხადია, ამ ზეციურმა ქამელეონმა, ორთქლისა და მზის ჰაეროვანმა შვილმა, ჯერ მენამულით გამოაშუქა, მერე წითელში ჩაეფლო, ოქროსფერში მოინათლა და ნაცრისფერში გაეხვია. კაშკაშებდა ვით ნახევარმთვარე თურქული კარვის თავზე და ყველა ფერი ერთში შეაერთა ჩხუბში ჩაშავებული თვალივით (ხანდახან რომ გვიხდება სკივრის ჩალაგება უწესრიგოდ, ისე).

გემდალუპულმა ნაოსნებმა იგუმანეს, კარგი ნიშანიაო, და ხშირად ფიქრობენ ასე;

ეს ჩვეულება ძველი ბერძნებისა და რომაელთაგან მომდინარეობს და დიდ შვებას გაგრძნობინებს სასონარკვეთილებისას; და არავის დასჭირვებია გულის გამაგრება ისე, ვითა ამათ სჭიროდათ, და ეს ცისარტყელა, ეს ზეციური კალეიდოსკოპი, იმედის მომცემი გამოდგა.

და სწორედ ამ დროს მშვენიერმა ფეხაპკიანმა თეთრმა ჩიტმა გადაუფრინა თავზე, ისეთი ბუმბული ჰქონდა, მტრედი არ უნდა ყოფილიყო (ალბათ გზა აბნეოდა), დაჯდომა დააპირა, თუმც კაცები დაინახა და ხმა მოესმა ნავიდან და უკან გაფრინდა, მაგრამ გაახარა მოგზაურები.

მზის ჩასვლამდე ეს კიდევ ერთი კარგი ნიშანი იყო.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კარგი ჰქნა ჩიტმა, ნავზე რომ არ ჩამოჯდა, რადგან ეს ჩვენი ეკიპაჟი და ნავი არ იყო ეკლესიასავით საიმედო, და თუნდ ნოეს კიდობნის მტრედი ყოფილიყო, წარმატებული დაზვერვიდან დაბრუნებული, რაც გადარჩენის დიდ შანსს უქადდათ, მაინც შეახრამუნებდნენ ზეთისხილის რტოიან-ყველაფრიანად.

მწუხრთან ერთად კვლავ დაუბერა, მაგრამ ისე სასტიკად აღარ, ვარსკვლავები ჩანდნენ და ნავმა გეზი აირჩია, თუმც ნელა მიცურავდა და არ უწყოდნენ, საით და რისთვის; ზოგი ამბობდა: მიწა დავინახეო; სხვები: არაო! ღრუბლების ხშირი ქულები აცთუნებდათ; ზოგი ამბობდა: მოქცევვის ხმა მესმისო; ზოგს თოფის ხმა ეჩვენებოდა და ყველას ეშლებოდა.

ირიყრაჟა, მსუბუქი ქარი ჩადგა, ვისაც თვალყურის ჭერა ევალებოდა, სტვენასა და ფიცხილს მოჰყვა: თუ ეს მიწა არ იყოს, მზის სხივებში რომ გამოილანდა, მიწა არ მენახოს აროდესო; დანარჩენებმაც მოიფშვნიტეს თვალები და ყურე დაინახეს, ან იფიქრეს, ვხედავთო, და ნაპირისკენ მიმართეს ნავი; და ეს მართლაც ნაპირი აღმოჩნდა და ნელ-ნელა სულ უფრო გარკვევით მოჩანდა, მაღალი და გამოკვეთილი.

ამის დანახვაზე ზოგს ცრემლები წასკდა, სხვები კი გამოთავყვანებული იყურებოდნენ, ჯერაც ვერ გაეგოთ, გახარებო-

დათ თუ შეშინებოდათ, თუმც თითქო სადარდებელი აღარ უნდა ჰქონოდათ, ცოტა ილოცეს (პირველად წლების შემდგომ), ნავის ფსკერზე სამი მძინარე თანამგზავრის გაღვიძებასაც შეეცადნენ, ბევრი ანჯღრეის, მაგრამ ნახეს, რომ ცოცხლები აღარ იყვნენ.

წინა დღეს წყლის ზედაპირზე ჩაძინებული კუ შეხვდათ და იღბლად დაიჭირეს, რამაც კიდევ ერთი დღე გააძლებინათ და ახლა ფიქრობდნენ, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვინემ საკვები, რადგანაც იმედი გაუჩინათ; ფიქრობდნენ, რომ ასეთ უიმედო ყოფაში ესაა ხავსი ჩვენი გადარჩენისაო.

მიწის ნაპირი მაღალი და კლდოვანი ჩანდა, მის მიღმა უფრო მაღალი მთების ხაზი მოჩანდა; დინებას მინდობილი მგზავრები დაბნეულნი ვარაუდობდნენ, არვინ იცოდა, თუ დედამიწის რომელ ნაწილში გადავარდნილიყვნენ, ისე ახეთქეს აქეთ-იქით სხვადასხვა ქარებმა; ზოგი ფიქრობდა, ეტნას მთა მოჩანსო, სხვებს ირაკლიონის მთები ეგონათ, ან კანდია, კვიპროსი, როდოსი ან სხვა კუნძული.

ამ დროს დინება და ზღვის ღელვა სულ უფრო სწრაფად მიაქანებდა სტუმართმოყვარე ნაპირისაკენ, ვით ქარონის ნავს, აჩრდილებით სავსეს; ეკიპაჟიდან ოთხილა გადარჩენილიყო ცოცხალი, სამი მიცვალებულიც იქვე ესვენა, რომელთა გადასაგდებადაც წყალში ძალა აღარ ეყოთ, თუმც ორი ზვიგენი კვლავ მისდევდათ გვერდით წყლის ტყლაშუნით და სახეში ასხამდათ წყალს.

შიმშილმა, განწირულობამ, სიცივემ, წყურვილმა და სიცხემ თავისი ჰქნეს რიგრიგობით და ისე გაახმეს, საკუთარი დედაც კი ვეღარ იცნობდა შვილს ამ ჩამომხმარი ეკიპაჟის ჩონჩხებს შორის; ღამით იყინებოდნენ, დღისით ინვებოდნენ, ასე ქრებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით, ვინემ ასერიგად შეცოტავდებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ურთიერთგანწყვეტის, პედრილოს ხორცის მარილიანი წყლით გარეცხვისა გამო დაემართათ ესეგვარად.

ნაპირს მიახლოებულნი ალაგ-ალაგ ხედავდნენ მის აგებულებას, გრძნობდნენ სიმწვანის ცინცხალ სუნს, მობერილს

ტყეთა კენწეროთაგან, ჰაერს რომ აცოცხლებდა. და მათი მზერა მიმართულიყო მბზინავ ტალღათა და ცხელი ცის მიღმა, იმ მშვენიერებისაკენ, რაც იხსნიდა ამ უსაზღვრო, მარილიანი, საშინელი მარადიული უფსკრულისაგან.

ნაპირი უდაბური ჩანდა, ადამიანის ფეხდაუდგამი, შემორტყმული უზარმაზარი ტალღებით; ისინი შეშლილებივით ეხლებოდნენ მიწას და მგზავრებსაც თან მიაქანებდნენ; თუმც წინ ედოთ ტალღების მკვეთი რიფები, და აქაფებული წყლის ზედაპირი; მაგრამ უკეთესი ადგილიც არ ჩანდა მისადგომად, ამიტომ პირდაპირ მიმართეს ნავი ნაპირისაკენ და ზედ შეამსხვრიეს.

მაგრამ თავის მშობლიურ მდინარე გვადალკვივირში ყუანს უყვარდა მკლავების გაშლა და ცურვაც იმ მოალერსე მდინარეში ისწავლა; და დიდადაც დაოსტატდა, უკეთესი მოცურავე ძნელად რომ ოდესმე გეხილათ, მას ალბათ შეეძლო გადაეცურა ჰელესპონტი, ვით ერთხელ (საამაყოდ გვაქვს ეს გმირობა) ლეანდრმა, მისტერ ეკენჰედმა და მე გადავცურეთ.

და თუმც დასუსტებული გახლდათ და ერთიანად ძალაგამოცლილი, აამოძრავა თვისი ყმანვილური მკლავები და გაიბრძოლა და სწრაფ ტალღას გაჰყვა და გაიმარჯვა, თუმც ბნელოდა, ციცაბო და მშრალი ნაპირი გასვეტილიყო მის წინ; ყველაზე დიდი საფრთხე ზვიგენისაგან მოელოდა, მისი მეზობელი ფეხით რომ დაითრია, იმ ორმა კიდეც ცურვა არ იცოდა, ასე რომ, მარტო ყუანმა გააღწია ნაპირზე.

რომ არა ნიჩაბი, ნაპირს მაინც ვერ მიაღწევდა, ნიჩაბი, რომელიც ბედისწერამ ხელთ მოახვედრა, როს მკლავებში ძალა ელეოდა და მიძიმე ტალღა სძლევდა, ნიჩაბი მიცურდა მასთან და იგიც ჩაეჭიდა; ტალღები სცემდა და ჟუანი ცურვით, წვალებით, ფორთხვით, ბოლო-ბოლო ნახევრად გონდაკარგული ზღვიდან ნაპირზე აბობლდა.

იქ, სუნთქვაშეკრული, ფრჩხილებით ჩაეჭიდა ქვიშას, რათა უკუქცეულ ტალღას უკან არ ჩაეთრია გაუმაძღარ სამარეში; და იწვა გაშხლართული, სად დაეცა კლდეში გაჩენილი ქვაბულის წინ, სიცოცხლის უნარი იმდენად შერჩენოდა, რომ ტკივილი ეგრძნო და მიმხვდარიყო, გადავრჩიო; თუმცა ამაოდ.

ნელა და ცახცახით წამოიმართა ფეხზე, მაგრამ კვლავ დაეცა დასისხლიანებულ მუხლებსა და მოკანკალე ხელებზე და შემდეგ მოჰხედა მათ, ვინც დიდხანს იყვნენ მისი ამხანაგები ზღვაში, თუმც არავინ იზიარებდა მის ტანჯვას, გარდა ერთისა, იმ სამიდან შიმშილით რომ დაიღუპა ორი დღით ადრე და ახლა უცნობ და უდაბურ ნაპირზე გამოერიყა ზღვას — მიწისათვის მისაბარებლად.

იყურებოდა უკან და მსწრაფლ დაეხვა თავბრუ და გონი დაკარგა და გონდაკარგვისას ქვიშა დაუტრიალდა ირგვლივ და შეგრძნებანი გაუქრა და ცალ გვერდზე დაეცა ნიჩაბზე (სამარქაფო ანძაზე) ჩაჭიდებული და მიწაზე იწვა გამხდარი და გაფითრებული — ვითა დამჭკნარი შროშანი, ვითა თიხისაგან გამოძერნილი ყველაზე მშვენიერი ქმნილება.

რამდენ ხანს იწვა დასუსტებული და გონმიხდილი ჟუანი, არ უნყის, ეს სოფელი დაკარგულიყო მისთვის, დროს ვერ შეიგრძნობდა, აღარც დღე ახსოვდა და აღარც ღამე, სისხლი შედედებოდა და გრძნობები გაქრობოდა; და თუ ვითარ გადაურჩა ამ ყოფას, ვერ მიხვდა, სანამ აღუდგებოდა პულსი, აუმოძრავდებოდა მკლავები, სიცოცხლე დაუბრუნდებოდა.

მაგრამ სიკვდილი, თუმც დამარცხებული, იქვე ტრიალებდა.

თვალეები გაახილა, ისევ დახუჭა, რადგან ბურანში იმყოფებოდა და გაურკვეველობაში; ფიქრობდა, ისევ ნავში ვარ და მესიზმრებო; კვლავ უიმედობა იგრძნო, ინატრა: ნეტა მოვკვდე და მოვისვენო, — მაგრამ მალე დაუბრუნდა შეგრძნებანი და თანდათან გაარჩია დაბინდული თვალეებით ჩვიდმეტი წლის ქალიშვილის მშვენიერი სახე, მისი სახისაკენ რომ დახრილიყო და პანია პირით თითქოს სულს უბერავდა, თან ნაზი ყმანვილური ხელით უფშვნეტდა სახეს, რათა სიცოცხლე შთაებერა. ბანდა გაციებულ ყვრიმალებს, ცდილობდა გამოეცოცხლებინა, პულსაცია აღედგინა მანამდე, სანამ ესეგვარი კეთილშობილება მცირედ პასუხს არ მიიღებდა.

მერე გულის საპოვნად რაღაც სითხე ჩაანვეთა და მოსასხამი მოახურა მოშიშვლებულ მკლავებზე; და მშვენიერმა მკლავმა წამოუნია თავი და მკვდარივით გაფითრებული შუბლი ქათ-

ქათა, კრიალა და თბილ ლოყაზე მიისვენა; შემდეგ გაუსწორა დანამული კულულები, დიდხანს ნასველები ქარიშხალთა მიერ, და აკვირდებოდა გულისცემას, რომელიც ნელ-ნელა ძლიერდებოდა ჟუანის მკერდშიც და ქალწულის მკერდშიც.

და ფრთხილად გადაიყვანეს გამოქვაბულში ნაზმა გოგონამ და მისმა თანმხლებმა. ახალგაზრდა იყო, თუმცა გოგონაზე უფროსი ჩანდა, მაგრამ უფრო ღონიერი და ნაკლებ მომხიბვლელი.

მერე ცეცხლი დაანთეს და ალმა გაანათა კლდეები, თავზე რომ ეხურათ, სად მზე ვერ აღწევდა და გარკვევით გამოაჩინა მაღალი და მშვენიერი ქალიშვილი. წარბებს ზემოთ ოქროს მონეტები შემორტყმოდა, რაც ბზინავდა ნაბლისფერი თმის კულულებქვეშ; გრძელი კულულნი უკან გადაენია, დაენნა და, თუმცა ტანმაღალი იყო, კოჭებამდე სწვდებოდა; მის გარეგნობაში მოჩანდა რაღაც მბრძანებლური, რადგან იგი გახლდათ ქალბატონი იმ არემარეზე.

მოგახსენეთ, ნაბლისფერი თმა ჰქონდა-მეთქი, მაგრამ თვალები — შავი, სიკვდილივით; ნამწამები იმავ ფერის, გრძელი და ძირს დაშვებული, რომლის აბრეშუმისებრ ჩრდილში იმალებოდა უღრმესი მიმზიდველობა; და როს ამ ყორნისფერი ხავერდოვნებიდან მზერა გაკრთება, უსწრაფეს ისარს ემსგავსება; გველივით გაიზლახნება და მერე უსწრაფესად გასხლტება შხამიანი კბილის ჩასასობად. შუბლი თეთრი ჰქონდა და დაბალი, ლოყები მიმწუხრის ვარდისფერი, ჩამავალი მზე რომ ტოვებს; ზედა ტუჩი, ტკბილი ტუჩი, მოკლე, ოხვრას რომ იწვევს დანახვისთანავე; ნამდვილ მოდელს ჰგავდა მოქანდაკისა (ყალბისმქნელთა მიერ დამახინჯებული ბევრი მინახავს ნამდვილი, მნიფე, მშვენიერი ქალი).

გეტყვით, თუ რატომ ვამბობ ამას, ეს არის ამბავი, ვერვინ რომ ვერ აღუდგება წინ, თუ არა მტკიცე მიზეზით; ერთი მშვენიერი ირლანდიელი ქალბატონი იყო, რომლის სილამაზესაც ვერაფრით გადმოსცემდა ქანდაკი, და მაინც ხშირად იყო მოქანდაკეთა მოდელი, და თუკი იგი დროისა და ბუნების ქეშმარიტი მშვენება გახლდათ, მოქანდაკეები ისე უმახინჯებდნენ

სახეს, მოკვდავი ვერაფრისდიდებით ვერ მიხვდება, ვითარ ახერხებდნენ ამას საჭრეთლით.

და ასეთი იყო იგიც, გამოქვაბულის ქალბატონი:

მისი კაბა ესპანურისაგან განსხვავდებოდა, უფრო მარტივი და ფერით არც ისეთი მუქი; რადგანაც, მოგეხსენებათ, ესპანელი ქალები კამკაშა ფერებს არ იკარებენ, როს გარეთ გადაიან, მაგრამ ოდეს შემოიხვევენ (რაც იმედია, აროდეს დაიკარგება) ბასკუინას ანდა მანტილას, უფრო მისტიკურნი და უზრუნველნი ჩანან. მაგრამ ეს ამ ქალიშვილზე არ ითქმის; მისი მშვენივრად ნაქსოვი კაბა ჭრელი იყო, კულულები ლალად ევლებოდა პირისახეზე, მათში კრთოდა ოქრო და ძვირფასი თვლები; სარტყელი კამკაშებდა, ძვირფასი ძაფით იყო ნაქსოვი მისი მანდილი, ხელზეც მრავალი ძვირფასი ქვა მოუჩანდა; მაგრამ გასაოცარი ისაა, რომ პანანინა, თოვლივით თეთრ ფეხზე ფლოსტები ეცვა, ოლონდ უწინდოდ.

მეორე ქალის კაბაც იმავენაირი გახლდათ, მაგრამ უფრო მდარე ქსოვილისაგან შეკერილი, არც ამდენი სამკაული ეკიდა, თმაში მხოლოდ ვერცხლი მოუჩანდა, ალბათ მზითევში მოყოლილი; მისი მანდილიც ფორმით ემსგავსებოდა, მაგრამ უფრო უხეში იყო; კეთილანდგობა ჰქონდა, მაგრამ ნაკლებ მოქნილი, თმა უფრო სქელი, მაგრამ არც ისე გრძელი; თვალები — შავი, მაგრამ უფრო წვრილი და მოძრავი.

ეს ორი ქალი დასტრიალებდა თავს და ორივე ანებივრებდა საკვებითა და სამოსით და იმ ნაზი მზრუნველობით, რაც ქალებს სჩვევიათ (რამდენადაც მომეხსენება), და ათი ათასობით ხერხს იგონებდნენ, თუ ვითარ შეეზავებინათ საუკეთესო ბულიონი, კერძი, რომელიც იშვიათადაა მოხსენიებული პოეზიაში, მაგრამ საუკეთესოა კერძთა შორის — ჰომეროსის დროიდან მოყოლებული, როს აქილევსმა ბრძანა, მოემზადებინათ სტუმართათვის.

გეტყვით, ვინც იყო ეს ორი ქალი, რათა არვის ეგონოს გადაცმული პრინცესები; ამასთან, მძულს იდუმალებანი და იაფფასიანი ხრიკები, თქვენი თანამედროვე პოეტები რომ განადიდებენ; მოკლედ, გოგონები მართლაც, ვით თქვენც დაინახავ-

დით, ქალბატონი და მოახლე იყვნენ; ქალბატონი ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ წყლისპირას მცხოვრები ბერიკაცისა.

ახალგაზრდობაში მეთევზეობდა და ახლაც თითქოსდა იმავე ხელობას ერთგულობდა, მაგრამ ჭეშმარიტად სხვა მოსაზრებანიც არსებობდა, რომ ზღვაზე არცთუ რესპექტაბელურ საქმეს მისდევდა — ცოტა კონტრაბანდას, ცოტა მეკობრეობას... და ბოლოს მილიონი პიასტრიც მოაქუჩა და დაეპატრონა.

ჰო, მეთევზეობდა, ოღონდ კაცებს იჭერდა პეტრე მოციქულივით, დროდადრო თევზაობდა სავაჭრო გემებზე და იმდენს იგდებდა ხელთ, რამდენიც სურდა; ტვირთს ართმევდა და მოგებას მონათა ბაზრიდანაც იღებდა და ამ თურქული ხელობიდან მცირედი წილის ჩაჯიბვით უსათუოდ კაიძალ ქონებას დააგროვებდა.

ბერძენი გახლდათ და თავის კუნძულზე (ერთ იმ უდაბურ და პატარა ციკლადზე) აეშენებინა მშვენიერი სახლი, შორს იქიდან, სად სცოდავდა, და აქ სიამით ატარებდა დროს; ღმერთმა უწყის, რა ფული მოეხვეჭა და რა სისხლი დაეღვარა; მოხუცი სევდიანი კაცი იყო, თუ გასურთ გაიგოთ; ერთი კი ვიცი — დიდი შენობა აეგო, წარმართულად მოეხატა, ამოეტვიფრა და მოეოქროვებინა.

ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, სახელად ჰაიდე, უმდიდრესი მემკვიდრე აღმოსავლეთის კუნძულთა, ამასთან, ისეთი ლამაზი, მისი მზითვეი არად მოჩანდა მის ღიმილთან შედარებით; ჯერ კიდევ არ შესრულებოდა ოცი წელი, და მშვენიერი ნერგივით გაზრდილიყო და დაქალებულიყო; რამდენიმე ხელისმთხოვნელიც გაეწილებინა, რათა უკეთესი ამოერჩია.

და ნაპირზე სეირნობისას, ფრიალო კლდის ძირში მზის ჩასვლისას იპოვნა გრძნობადაკარგული, სასიკვდილოდ გადადებული დონ ჟუანი, შიმშილისაგან დაოსებული და დახრჩობას ძლივს გადარჩენილი.

მისმა სიშიშვლემ ქალიშვილი დააბნია, მაგრამ სიბრალულმა სძლია და შეიფარა ეს მომაკვდავი უცხოელი, ასეთი სპეტაკკანინანი. მაგრამ მამის სახლში წაყვანა ამ ვაჟისათვის უსაფრთხო სულაც არ იყო, ეს იგივეა, კატისათვის თავი რომ მიგებარებინა, ან გონდაკარგული კაცი საფლავში ჩაგეგდო; რადგანაც იმ

კეთილ ბერიკაცს ისეთი „ნოუს“ ჰქონდა, განსხვავებით პატიოსან და მამაც არაბ ყაჩაღთაგან, რომ სტუმართმოყვრულად მოუვლიდა უცხოელს, განკურნავდა და მაშინვე გაჰყიდდა, ფეხზე დააყენებდა თუ არა.

ამიტომ თავის მოახლესთან ერთად (ქალწულნი მუდამ მოახლეებს ენდობიან) მოიფიქრა, უკეთესი იქნება თუ ჯერ გამოქვაბულში მოვასვენებთო; და როს ბოლო-ბოლო ჟუანმა გაახილა შავი თვალები, ქალიშვილთა ქველმოქმედებამ იმატა სტუმრისადმი და მათი გულმონყალება ისე ამალღდა, თითქო ზეცის ჭიშკარი გაღებულყოფს (წმიდა პავლესი არ იყოს, ეჟენები აჟღერდა).

ცეცხლი დაანთეს, რაც შეიძლეს იმ ნაფოტებით, გარშემო რომ ეყარა, ფიცრისა და ნიჩბების ნამტვრევებით, ხელის ხლებითანავე რომ იშლებოდა, იმდენ ხანს ეყარა ნაპირზე; ანძა, აფრის ნაგლეჯითურთ, და სხვა ამგვარები, მაგრამ იმდენი რამ მიმოზნეულიყო, თორმეტი კაცის გასათბობად იკმარებდა.

ბენვეულითა და ქსოვილებით გაუწყეს ლოგინი, ამისათვის საკუთარი საყელო არ დაზოგა ჰაიდემ და მოახლესთან ერთად ქვედატანებიც დაჭრა, რათა ჟუანს მოხერხებულად ეგრძნო თავი თუ გაიღვიძებდა.

და დათქვეს, გამთენიისთანავე ვინახულოთ და საჭმელად კვერცხები, ყავა, პური და თევზი მოვუტანოთო.

და ასე დატოვეს მარტო.

ჟუანს გაგუდულივით ანუ მკვდარივით ეძინა, რაკილა ძილი ეღირსა (მადლობა ღმერთს) ბოლო-ბოლო; და აღარ აგონდებოდა გადატანილი გაჭირვება, დაწყევლილი სიზმრები, რაც დაუპატიჟებლად გვეწვევა ხოლმე და გაღვიძებულებს ცრემლით გვევსება თვალები.

ჭაბუკ ჟუანს უსიზმროდ ეძინა; მაგრამ ქალიშვილი, ვინც ბალიში გაუსწორა და გამოქვაბულიდან გადიოდა, უკან მობრუნდა და კვლავ დახედა, რადგანაც ეგონა, დამიძახაო. ჟუანს ეძინა და მაინც ქალიშვილი ფიქრობდა, და თქვა კიდევ (გულისთქმამ იცის გაქცევა, ენაც გაგექცევა და კალამიც), ჩემი სახელი წარმოთქვაო. მაგრამ დაავიწყდა, რომ მაშინ ჟუანმა მისი სახელი არ იცოდა.

და ჩაფიქრებული წავიდა მამის სახლისაკენ, კმაყოფილი, რომ სიჩუმეს იცავდა ზოიცი, ვინც თვით მასზე უკეთ ხვდებოდა მის გულისნადებს; ორიოდე წლით უფროსი უფრო გონიერიც იყო და ჰაიდესაც უწილადებდა გონიერებას, რაც ქალებს სჩვევიათ მოიპოვონ ბუნების ძველ კოლეჯში.

ინათლა, ჟუანს კვლავ ეძინა გამოქვაბულში და არა უმღვრევდა რა მოსვენებას, გარდა გვერდით მოჩუხჩუხე წყაროსი და ამომავალი მზის სხივებისა, რაც არ ანუხებდა და ძილს აგრძელებდა. ძილი სჭირდებოდა, რადგანაც არვის გადაეცანა ასეთი გაჭირვება; მის განსაცდელს ვერ შეედრება მონათხრობი, გადმოცემული პაპაჩემის „ამბებში“.

ჰაიდე კი პირიქით, სევდიანად კრთოდა და ბორძიკობდა; დაიძინა და ესიზმრა ათასი დაღუპული გემი, ნაპირზე ეყარა ტანადი გვამები, რომელთა შორისაც დაბარბაცებდა; ისე ადრე გააღვიძა მოახლე, რომ მან ბუზლუნი დაიწყო, დაუძახა მამის მონებს, სომეხს, თურქსა და ბერძენს, რომელნიც იფიცებდნენ თავთავიანთ ენაზე, ვერ გაგვიგია, რამ გააჭირვეულაო.

ადგა და მოახლე და მსახურებიც წამოყარა. ბუზლუნებდა მზის გამო: ცა მარტო მაშინაა მშვენიერი, როცა ამოდის ან ჩადისო.

და მართლაც მშვენიერი სანახავია, როს ამონათებს ბრწყინვალე ფეხუსი, როს მთის წვერები ჯერაც სველია ნისლისაგან და ჩიტები იღვიძებენ და ღამეც გამოიცვლება, ვით თალხი სამოსი, ქმრისა ან სხვა მხეცის გამო ნატარები. ცხადზე ცხადია, მზე ბრწყინვალე სანახავია, ხშირად მიყურებია მისი ამოსვლისათვის, ამ მიზნით ღამეც გამითენებია, რაც, ექიმთა თქმით, სიცოცხლეს განამტკიცებს; და ყველამ თქვენ, ვინც არც ჯანს ემდურით და არც ჯიბეს, დღე დაიწყეთ გათენებისთანავე, და ოდეს ოთხმოცი წლისა კუბოს მიადგებით, საფლავის ქვაზე ამოაკვეთინეთ: ოთხ საათზე დგებოდაო.

და ჰაიდე პირისპირ შეეგება დილას; მისი პირი უფრო ქორფა იყო, თუმც აგზნებულს სისხლი აწვებოდა მთელ სახეზე, რომლის დინებაც გულიდან ლოყამდე ვარდისფერს წარმოშობდა იმ ნაკადივით, ალპების სათავიდან რომ ეშვება და ტბაში ჩა-

მავალი ტალღოვან წრეებს წარმოშობს, ან წითელ ზღვაში ჩადინება, თუმც ზღვა სულაც არ არის წითელი.

და კლდისკენ დაუყვა კუნძულს ქალწული და მალე მიადგა გამოქვაბულს, მზე უცინოდა პირველი სხივებით, და ნორჩი ავრორა ცვარ-ნამით უკოცნიდა ტუჩებს, ვითარცა დას; იმავეს იფიქრებდით, ეს წყვილი რომ დაგენახათ, თუმც მოკვდავნი იყვნენ, იმდენად ნორჩნი და მშვენიერნი, ყველაფერი ებადათ, ჰაეროვნად აღგექვათ.

და როს ჰაიდემ გამოქვაბულში შეაბიჯა, მაშინვე მორცხვად, მაგრამ პირდაპირ შეხედა ჟუანს, რომელსაც ბავშვივით ტკბილად ეძინა; გაჩერდა თითქო შემკრთალი (რადგან ძილი მორიდებას გვკარნახობს) და ფეხის წვერებზე მიუახლოვდა და კარგად შეფუთნა, რათა დაეცვა ნესტიანი ნიავისაგან, და უჩუმრად დაიხარა მისკენ, თითქო მისი სუნთქვის ჩაყლაპვას ლამობსო. და ასე, თითქო ანგელოზიაო, დაიხარა ქველი მომაკვდავის თავზე; იქ იწვა გაუნძრევლად დაღუპული ხომალდიდან გადარჩენილი ბიჭი, ჰაერი არ იძროდა, მარტოდენ ზოი ხარშავდა კვერცხებს, რადგან ახალგაზრდა წყვილი უთუოდ საუზმეს მოითხოვდა თავის დროზე, ამიტომაც ამოალაგა სურსათი კალათიდან.

იცოდა, რომ საუკეთესო გრძნობებსაც სჭირდება გამოკვება, და რომ გემდაღუპული ბიჭი მშვიერი იქნებოდა; გარდა ამისა, რადგან სიყვარულს არ განიცდიდა, ერთი დაამთქნარა და იგრძნო ზღვის სუსხიანი ნიავი; და მცირე საუზმე მოამზადა; ვერ ვიტყვი, რომ ჩაი შესთავაზა, მაგრამ კვერცხები ჰქონდა, ხილი, ყავა, პური, თევზი, თაფლი, სკიოს ღვინო — და ყველაფერი სიყვარულისათვის, გარდა ფულისა. და როს კვერცხები მოხარშა და ყავაც აადულა, ზოიმ დააპირა ჟუანის გაღვიძება; მაგრამ ჰაიდემ ხელის სწრაფი მოძრაობით, სიტყვის უთქმელად შეაჩერა, თითი მიიდო ტუჩზე, ზოი მიუხვდა და წაუხდა პირველი საუზმე, ახალი უნდა მოემზადებინა, რადგან ქალბატონს არ სურდა ბიჭის გაღვიძება, ვისაც ისე ეძინა, თითქო აროდეს გაიღვიძებსო.

იქ იწვა იგი, ვის გაკნაჭულსა და დაქანცულ ლოყაზე ავადმყოფურად თამამობდა დაისივით მენამული ფერი, ვით შორე-

ულ თოვლიან მთებზე; შუბლზე ჯერაც ეტყობოდა ტანჯვის კვალი, მკრთალად აჩნდა ლურჯი ძარღვები, შავ კულულებზე ისევ შერჩენოდა მარილიანი წყლის წვეთები, გამოქვაბულის ნესტს შერეული.

ჰაიდე მწოლიარე ჟუანისაკენ დახრილიყო, ჟუანი იწვა, ვითა ბავშვი დედის კალთაზე; მოსვენებული, ვით ძენნა, როცა ქარი არა ქრის; მიძინებული, ვითა ოკეანე სიმყუდროვის ჟამს; მშვენიერი, ვითა თაიგულის დამაგვირგვინებელი ვარდი; შეუბუმბლავი, ვითა გედის ბარტყი ბუდეში; მოკლედ, კოხტა ყმანვილი იყო, თუმც გაჭირვებამ ზაფრანის ფერი დაადო.

ჟუანმა გამოიღვიძა და მიმოიხედა და კვლავ დაძინება დააპირა, მაგრამ თვალში მოხვედრილმა მშვენიერმა სახემ შეაჩერა და არ დაახუჭინა თვალები, თუმც დაღლა და ტკივილი კვლავ ტკბილი ძილისკენ ეზიდებოდა; მაგრამ ქალის სახეს ვეროდეს ივინყებდა ჟუანი, ლოცვის დროსაც კი მკაცრ წმინდანთ და მონამეთ თვალს არიდებდა და ქალწული მარიამის კეთილი ხატებისაკენ შებრუნდებოდა ხოლმე.

და იდაყვზე წამოიწია და შეხედა ქალს, რომლის ფერმკრთალ სახესაც ვარდისფერმა გადაუარა, როს მოინდომა ჟუანს დალაპარაკებოდა; ქალიშვილის თვალები მეტყველი იყო, თუმც თავშეკავებით ლაპარაკობდა, და მაინც უთხრა, კარგ თანამედროვე ბერძნულზე, იონიური აქცენტით, ხმადაბლა და ნაზად:

— სუსტადა ხართ, ნურას იტყვით, რამე შეჭამეთ.

ვერცერთი სიტყვა ვერ გაიგო ჟუანმა, რადგან ბერძენი არ გახლდათ; მაგრამ ხომ მოისმინა ხმა — ჩიტის ჟღერტულივით მჟღერი, ნაზი, ტკბილი და დახვეწილი, რომლის მსგავსი მუსიკა აროდეს სმენია, ხმა თითქო მისდაუნებურად ცრემლებში არეული, ყველაფრის დამმორჩილებელი ხმა, თითქო ზეცის ტახტიდან მომდინარე. ჟუანი ისე იყურებოდა, ვითარცა კაცი, რაღაც შორეულ ხმას რომ გაუღვიძებია და ეჭვობს, გავიღვიძე თუ ჯერაც მიძინავსო, მანამდე, სანამ ჯადოს გაუფანტავდეს ვინმე გვერდით მყოფი, ან რაიმე რეალობა, ან ლაქიის მიერ ადრეული მიკაკუნება.

ჩემთვის, რაკი დილის ძილი მიყვარს, ეს აუტანელი ხმაა, რადგან ღამით ვარსკვლავებიცა და ქალიც უკეთ მოჩანს.

და ჟუანსაც დაუფრთხეს ძილი თუ სიზმარი თუ რაც იყო და გაუღვიძეს გამძაფრებული მადა, ზოის სამზადისის სურნელმა აღუძრა გრძნობები, და მშობლიურმა შუქმა ცეცხლისა, ზოის რომ აენთო და დაჩოქილი კერძს ამზადებდა, სულმთლად გამოაფხიზლა და ჭამა მოანდომა, განსაკუთრებით ბიფშტექისა. მაგრამ საქონლის ხორცი იშვიათია ამ საქონელნაკულ კუნძულებზე; თხის, ციკნის და ცხვრის ხორცი კი, იცოცხლე, ბლომადაა; და როს დღესასწაული უთენდებათ, თავიანთ ბარბაროსულ შამფურებზე წამოაგებენ ხოლმე, მაგრამ ეს იშვითად ხდება, რადგან ამ კლდეებზე მხოლოდ აქა-იქ არის ქოხები; სხვა კუნძულები უფრო მშვენიერი და ნაყოფიერია და მათ შორის ეს კუნძული ყველაზე მდიდარია.

საქონელი ცოტაა-მეთქი, ვამბობ და უნებურად მახსენდება ის ძველი ამბავი მინოტავრისა, რასაც ჩვენი თანამედროვე ზნეობა სამართლიანად კვეცავს და გმობს ამბავს ვითომდა დედოფლის საჩოთირო გემოვნებისა, ძროხის ნიღაბი რომ მოირგო, და ალეგორიად აცხადებს: პასიფაე საქონლის გამრავლებას აქეზებდა, რადგან სურდა კრეტელებში ბრძოლის ჟინი გაეღვივებინაო.

რაკილა ყველამ ვიცით, რომ ინგლისელები საქონლის ხორცით იკვებებიან, აღარას ვამბობ ლუდზე, რადგან ეს მხოლოდ სასმელია და მეც შორსა ვარ მისგან, ბიზნესით არ ვარ შეკრული; ისიც ვიცით, რომ ომი უყვართ ყველაზე მეტად; და ასე იყვნენ კრეტელებიც — საქონლის ხორცი და ბრძოლა მისგან ისწავლეს.

მაგრამ გავაგრძელოთ.

მისუსტებულმა ჟუანმა თავი წამოსწია, იდაყვებზე დაეყრდნო და დაინახა სურათი, რომელიც ბოლო დროს აღარ უნახავს, რადგან მისი ბოლოდროინდელი საკვები ძალზე მწირი იყო, სამი თუ ოთხი კერძი დაინახა და ღმერთს მადლობა შესწირა და სვაფივით დააცხრა, რაც შესთავაზეს, ვითარცა ბერი, ზვიგენი, ოლდერმენი თუ ქარიყლაპია. ნთქავდა და საჭმელი ბლომად

იყო; ჰაიდე კი შესცქეროდა დედასავით, ვინც ყველაფერს გაი-
ლებს შვილის დასაპურებლად, და ილიმოდა, როს ხედავდა, თუ
რა მადა ჰქონია იმას, მკვდარი ვინც ეგონა; ხოლო ზოიმ, რაკი
ჰაიდეზე უფროსი იყო, გადმოცემით იცოდა, რომ ნაშიმშილევ-
მა ნელა უნდა ჭამოს, ცოტ-ცოტა, თუ არადა გასკდება. და თავს
ნება მისცა, თუ ქმედებით არა, სიტყვით განეცხადებინა, რად-
გან სასწრაფოდ უნდა შეეჩერებინათ ჯენტლმენი, ვისთვისაც
მისი ქალბატონი ამ სისხამზე ზღვის ნაპირას გამოსულიყო. თუ
ჯენტლმენს არ სურდა იქვე ამოხდომოდა სული; და უარი უთხ-
რა საჭმელის დამატებაზე: რაც მიირთვი, ისიც კი მოკლავდა
ცხენსო.

შემდეგ, რაკი ჟუანი შიშველი იყო და ერთი დაგლეჯილი
შარვლის მეტი არა ეცვა რა, საქმეს შეუდგნენ — დაწვეს მისი
ძონძები და ჩააცვეს თურქული თუ ბერძნული სამოსი, რა მნიშ-
ვნელობა აქვს, გარდა ჩალმისა, ხამლისა, დამბაჩისა და ხანჯ-
ლისა, ყველაფრით შემოსეს, ხალათი მოახურეს და განიერი
შარვალი ჩააცვეს.

და მერე მშვენიერი ჰაიდე შეეცადა დალაპარაკებოდა, მაგ-
რამ ჟუანმა ვერცერთი სიტყვა ვერ გაიგო, თუმც ისე უსმენდა,
გულწრფელი ბერძენი ყმანვილქალი დაუსრულებლივ ილაპა-
რაკებდა, და რადგან არ აწყვეტინებდა, აგრძელებდა მიმართ-
ვას თავისი პროტეჟესა თუ მეგობრისადმი, მანამდე, სანამ სუნ-
თქვა შეეკვროდა და მიხვდებოდა, რომ ჟუანს არ ესმოდა ახალი
ბერძნული.

მაშინ ჰაიდე ნიშნებზე, თავის დაკვრასა და ღიმილზე გადა-
ვიდა, თვალებით ელაპარაკებოდა, კითხულობდა (ეს ერთა-
დერთი წიგნი ჰქონდა) ჟუანი მშვენიერი სახის ხაზებით და
მჭევრ პასუხებსაც აქედან იღებდა, სულის გამონათებიდან,
როს სწრაფ შეკითხვას გრძელი პასუხი მოსდევს.

და ყოველ გამოხედვაში მოჩანდა სიტყვათა სამყარო, საიდა-
ნაც აზრი უნდა გამოეტანა.

და თითებისა და თვალთა შემწეობით, და ჰაიდეს მიერ წარ-
მოთქმულ სიტყვათა გამეორებით მიიღო პირველი გაკვეთილი
ქალის ენაზე; მაგრამ ალბათ უეჭველია, უფრო ნაკლები ისწავ-

ლა საუბრიდან და მეტი — გამოხედვიდან: რადგან ვინც დაჟინებით სწავლობს ცას, უფრო მეტად ცას უყურებს, ვინემ წიგნს; ასევე ჟუანმაც ანაბანა ჰაიდეს თვალეში უფრო ამოიკითხა, ვინემ დაჩხაპნილ ასოებში.

სასიამოვნოა განსწავლა უცხო ენაში ქალის ტუჩებისა და თვალთა მეოხებით, მამინ, როს ორივე, ქალიც და კაციც, ყმან-ვილები არიან, რაც მე თვითონ გადამხდენია; ისინი იცინიან, როს მონაფეს შეცდომა მოსდის, და როს ეშლება, უფრო მეტს იცინიან, და დროდადრო ხელს უჭერენ ერთმანეთს, და კოცნიან კიდევ;

ცოტა რამ ვისწავლე ამნაირად:

რამდენიმე ესპანური, თურქული და ბერძნული სიტყვა, იტალიური სულ ვერაფერი — მასწავლებელი არ მყოლია; ინგლისურის ლაპარაკზე თავს ვერ დავდებ, ეს ენა უმეტესწილად მქადაგებელთაგან შევისწავლე, ბაროუსაგან, საუთისაგან, ტილოტსონისაგან, ყოველკვირეულად ბლერისგანაც ვსწავლობ; ისინი უმაღლესი რანგის მჭევრმეტყველებით გამოირჩევიან ღვთისმეტყველებასა და პროზაში; მათი პოეტები კი მძულს და არავის ვკითხულობ.

ქალბატონებზე ვერას გეტყვით, ყარიბი ვარ ბრიტანეთის მოდის სამყაროდან, სადაც სხვა „ძალღებვიით მისუნსულია,“ სხვებივით მქონია ჩემი გატაცებანი, მაგრამ ამან სხვა მრავალივით ჩაიარა, და ყველა იქაური სულელი, ვინც გამიმთარახებია — მტრები, მეგობრები, კაცები, ქალები — ისევე არაფრად მიღირს, ვითა სიზმარნი, რომ დამსიზმრებია და გამქრალა.

ღონ ჟუანს დავუბრუნდეთ.

ახალ სიტყვებს ყურსაც უგდებდა და იმეორებდა კიდევ; მაგრამ რალაც გრძნობები ევლინებოდა, მზესავით უნივერსალური, რაც მის გულში ისევე ველარ ჩაეტეოდა, ვით მონაზვნის სხეულში; იგი უთუოდ შეყვარებული გახლდათ თავის კეთილისმყოფელზე და ისიც ასევე, ხშირად ვითარც გავმხდარვართ მონმენი.

და ყოველდღე გამთენიისას, ჟუანისათვის ცოტა ნაადრევად, რაკილა მოსვენება ძლიერ უყვარდა, ჰაიდე მოდიოდა გა-

მოქვაბულში, რათა ეხილა თუ ვით გრძნობდა თავს ბუდეში მისი ჩიტი; და ნაზად ეფერებოდა ჟუანის ხუჭუჭა კულულებს, რათა არ გაღვიძებოდა მძინარე სტუმარს, ნაზად იცნოსავდა მისი ლოყებისა და ბაგის სურნელს, თითქო სამხრეთული ვარდის კოკორს ელამუნება.

და დღითიდღე ემატებოდა და ემატებოდა ფერი ჟუანს, ყოველდღე უმჯობესდებოდა მისი ჯანმრთელობა; ეს კარგი იყო, რადგან ადამიანის სხეულის სიჯანსაღე სასურველია და სიყვარულის ნამდვილი წყარო, რაკილა ჯანმრთელობა და მოცალეობა ალაგზნებს ვნებებს, ნავთად ესხმის და თოფისნამლად ეყრება, და სასარგებლო გაკვეთილებს ითვისებს ცერერასა და ბახუსისაგან, რომელთა გარეშეც ვენერა დიდხანს ვერ შეძლებდა შემოტევას.

როს ვენერა აღავსებს გულს (ოდეს გულს სინამდვილეში არ უყვარს, კარგი ეჩვენება, მაგრამ სინამდვილეში კარგი არ არის), ცერერა ვერმიშელიან თეფშს მიაშველებს, რადგან გულს შემაგრება სჭირდება სისხლითა და ხორციით, ბახუსი ღვინოს ჩამოასხამს ან ჟელეს მიაწვდის: კვერცხიცი, ხამანკაც სასიყვარულო საკვებია; ხოლო მომმარაგებელი ვინ არის ზემოდან, ღმერთმა უწყის, ეგებ ნეპტუნი, პანი ანდა ზევსი.

გაღვიძებულ ჟუანს ყველაფერი მზად ხვდებოდა, აბაზანა, საუზმე და მშვენიერი თვალები, რომელნიც მუდამ ათრთოლებენ ყმანვილკაცის გულს. ამ ქალიშვილს მართლაც მშვენიერი დიდრონი თვალები ჰქონდა, მაგრამ ამაზე უკვე ვისაუბრე, ხოლო გამეორება დამლელია და უგნურება.

ჰო, ზღვაში ნაბანავები ჟუანი უბრუნდებოდა ყავასა და ჰაიდეს.

ორივე ისე ნორჩი გახლდათ და ერთი ისეთი უმანკო, რომ განბანვა არც კი სჭიროდა; ჟუანი ჰაიდესათვის იყო საჩუქარი, რომელზეც ორი წელია ღამლამობით ოცნებობდა, ბედნიერების მომტანი საყვარელი ქმნილება, ვისთვისაც თვითონაც ბედნიერება ემეტებოდა და ყველას შეეძლო გაეზიარებინა ეს ბედნიერება — ტყუპად დაბადებული.

ისეთი საამო გახლდათ ჟუანის ხილვა, ისეთი წყალობა მოელო მასზე ბუნებას, მოანდომებდა შეჭებოდა, როს მძინარეს

დაჰყურებდა ან უთვალთვალებდა, თუ ვითარ იღვიძებდა: მასთან ერთად მარადიული ცხოვრება მეტისმეტ ბედნიერებად ეჩვენებოდა; მაგრამ მასთან განშორებაზე ფიქრი შიშის ჟრჟოლას ჰგვრიდა.

ჟუანი მისი იყო, ოკეანის მიერ მოძღვნილი მდიდრული განძი, მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

და ასე იცვლებოდა მთვარე, და მშვენიერი ჰაიდე ყოველდღიურად სტუმრობდა თავის ყმანვილკაცს და ისე ფრთხილად იქცეოდა, ჟუანი კვლავაც შეუმჩნეველი რჩებოდა თავის კლდოვან ბინაში; ჰაიდეს მამის ნავი ზღვაში გასულიყო, სავაჭრო ხომალდთა სათვალთვალოდ, არა იმისათვის, რომ იო მოეტაცა, არამედ სამ რაგუზულ ნავს ჩასაფრებოდა, ქიოსისაკენ რომ მიცურავდნენ.

ამან მოუტანა ჰაიდეს შვება; რადგანაც დედა არა ჰყავდა, მამა კი ზღვაში გასულიყო, ჰაიდე გათხოვილი ქალივით თავისუფალი გახლდათ, ან სხვა ქალივით, ვისაც ლალი მოქმედება სჩვევია, და ძმაც ვერ უქმნის დაბრკოლებას. ყველაზე თავისუფალი მათ შორის, ვისაც სარკმლიდან გამოუხედავს; ამ შედარებისას მე ქრისტიანულ ქვეყნებს ვგულისხმობ, სადაც ბოლო-ბოლო ცოლებს არ გამოჰკეტავენ გარნიზონებში.

ასე და ამრიგად, ჰაიდემ გაახანგრძლივა თავისი სტუმრობასაუბრები (რაკი საუბრობდნენ), და ჟუანმაც იმდენი ისწავლა, რომ გასეირნება შესთავაზა, რადგან პირველი დღიდანვე, გონს რომ მოეგო, მონყვეტილი ყვავილივით, რომ ჭკნება და სიხასხასეს ჰკარგავს, აინტერესებდა, რომელ ნაპირზე გამორიყულიყო.

ამრიგად, სეირნობდნენ ნაშუადღევს და უყურებდნენ მთვარის მოპირისპირედ ვითარ ჩადიოდა მზე.

ეს იყო სანაპირო, ტალღები რომ ეხლებოდნენ გამუდმებით, მაღლიდან კლდეები გადმოჰყურებდნენ და ვრცელი ნაპირი გაშლილიყო, თავთხელი წყალი და კლდეები იცავდნენ, ალაგ-ალაგ ყურეები დატანებოდა, რომელთა მოვალეობაც ქარიშხლის დახვედრა გახლდათ; იშვიათად წყდებოდა ზვიად ტალღათა ღრიალი, ალბათ მხოლოდ გრძელ და უსიცოცხლო ზაფხულის დღეებში, როს გაშლილი ოკეანე ტბასავით ბზინავდა.

და მცირე ტალღები ამოჩუხჩუხებდნენ ნაპირზე, სულ ოდნავ ხმამაღლა, ვინემ თქვენი შამპანურის ქაფი, როს ქიქის ტუჩს გადასცდება შუშხუნა სითხე, ეს სულიერი წყარო! წვიმა გულისა! ცოტა რამ თუ სჯობს ძველ ღვინოს; ვისაც რა სურს, ის იქადაგოს, და რამდენიც სურს, იმდენი იქადაგოს, ამაოა, მოდი მოვუღბინოთ ღვინოსა და ქალებს, მხიარულებასა და სიცილ-ხარხარს, ქადაგება და სოდიანი წყალი მეორე დღისათვის გადავდოთ.

გონიერმა კაცმა უნდა დალიოს; ცხოვრებაში ყველაფერს თრობა სჯობს, ყოველივე მასშია ჩანურული — დიდება, მტევნები, სიყვარული, ოქრო, კაცისა თუ ერების იმედები; ამ სითხის გარეშე რაოდენ უტოტებო იქნებოდა ცხოვრების უცნაური ხე, ასერიგად ნაყოფიერი რომ არის სმურობის ჟამს.

მაგრამ დავბრუნდეთ უკან, დათვერით უგონოდ და, ოდეს გამოიღვიძებთ თავის ტკივილით, აი მერე ნახეთ...

მოუხმეთ მსახურ ბიჭს, უბრძანეთ, ციმციმ მოიტანოს რაინის ღვინო და სოდიანი წყალი და გამოსცდით მსგავს ნეტარებას, დიად მეფე ქსერქსეს რომ გამოუცდია; რადგან ვერც დალოცვილი შარბათი, თოვლით დახვენილი, ვერც პირველი შხეფი უდაბნოს წყაროსი, ვერც ბურგუნდიული — ჩამავალი მზის ელვარებითურთ, ვერც ხანგრძლივი მოგზაურობა, დაღლა, სიყვარული, ხოცვა-ჟლეტა ვერ შეედრება რაინის ღვინოსა და სოდიან წყალს.

ნაპირი — მგონი ნაპირი იყო, წელან რომ აღვწერდი — ჰო, ნაპირი იყო, ამ დროისათვის ისეთივე მშვიდი, ვითარცა ზეცა, ქვიშნარი გლუვი, ტალღები უშფოთველი, ირგვლივ სინყნარეს მარტოდენ ზღვის ფრთოსანთა ხმაური და დელფინთა ტყლაშუნი არღვევდა და დიდი ტალღები მხოლოდ იქ ხმაურობდა, სად დაბალი კლდეები და მღვიმეები ჩარიგებულყო, რომელთა კიდებებსაც დასაშლელად ეხლებოდა.

დახეტილობდნენ. ჰაიდეს მამა-ბატონი წასული გახლდათ, ვითარ გითხარით, სათარეშოდ; არც დედა ჰყავდა, არც ძმა, არც ზედამხედველი; ზოი იყო, ვინც გულმოდგინედ უცდიდა ქალბატონს მანამდე, სანამ მზე დაასრულებდა თავის დღიურ

გზას, თბილ ნყალს მოუტანდა, გრძელ კულულებს დაუნწავდა და ჰკითხავდა, თუ რომელი კაბა შეერჩია.

გრილოდა, წითელი მრგვალი მზე ჩაესვენა ლაჟვარდოვან მთებს მიღმა, როს გგონია, რომ მთელი ბუნება და დედამინა შემორკალა; მდუმარება სუფევდა, ბინდბუნდი; შორი მთის მწვერვალები ცალი მხრიდან ირეკლავდნენ ნათელს; უძირო ზღვა მშვიდი იყო და ცივი, და მენამულ ცაზე კაშკაშებდა კენტი ვარსკვლავი, ვითარცა თვალი. ასე მისეირნობდნენ, ხელჩაკიდებულნი, მბზინავ კენჭებსა და ნიჟარებს შორის, მოოქროვილებში, ბრტყელსა და გლუვ ქვიშაზე, და დასასვენებლად ჩამოსხდნენ ბუნებრივად გამოჭრილ ქვაბულში, ცარიელ დარბაზში, სახურავ-საკუჭნაოებიანში; ხელები მოეხვიათ ერთუროთისათვის მწუხრის ღრმა მენამულით შთაგონებულთ.

შეხედეს ზეცას, რომლის მოლივლივე ნათელიც ეფინებოდა ვარდისფერ ოკეანეს, ვრცელსა და კაშკაშას; დაჰყურებდნენ ფეხქვეშ მბრწყინავ ზღვას, როს საგვე მთვარე ამოინვერა და მრგვალად გამოჩნდა, ესმოდათ ტალღების ტყლაშუნი, ქარი არ იძროდა, და ხედავდნენ ერთმანეთის შავ თვალეებში მოციმციმე სხივთ, და ამ აღქმაში მათი ტუჩები მიუახლოვდნენ ერთიმეორეს და ეამბორნენ;

ეს იყო გრძელი კოცნა; ახალგაზრდობამ, სიყვარულმა, სილამაზემ ერთ ფოკუსში მოიყარა თავი — ზემოდან დაშვებული სხივებივით; ასეთი კოცნა წინათ იცოდნენ, როს გული, სული და გრძნობა ერთდროულად მოძრაობდა, მათ მიჰყვებოდა სისხლის ჩუხჩუხი, პულსის გიზგიზი, თვითეული კოცნა გულისძვრა იყო, და კოცნის სიმძაფრე, ვფიქრობ, მის სიგრძეზე ჰკიდია.

სიგრძეში ხანგრძლივობას ვგულისხმობ; ზეცამ უწყის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდა მათი კოცნა; უეჭველია, არც უფიქრიათ ამაზე, და თუ უფიქრიათ, ერთ წამსაც კი ვერ დაიმახსოვრებდნენ თავიანთ განცდებს; არას ამბობდნენ, მოჯადოებულებივით იყვნენ, მათი სულები და ტუჩები ერთმანეთს იზიდავდა და ერთდებოდა, ვითა ფუტკრები ეხვევიან ყვავილებს გოლეულისთვის.

მარტონი იყვნენ, მაგრამ ოთახებში კი არ გამოკეტილიყვნენ; მდუმარე ოკეანე, ვარსკვლავებით განათებული ყურე, წარმავალი მწუხრის ნათელი, მდუმარე ქვიშები და სველი ქვაბულები გარს შემოხვეოდათ და აგულიანებდნენ ჩასახვევად, თითქო ცის ქვეშ მათ გარდა არავინ იყო და მათი სიცოცხლეს აროდეს გაქრებოდა.

არც თვალისა ეშინოდათ და არც ყურისა იმ უკაცრიელ ნაპირზე; არც ღამე აფრთხოვდათ, ერთად იყვნენ და ერთმანეთს ავსებდნენ; თუმც დამტვრეული ენით აგებინებდნენ ერთიმეორეს, მაინც გამოიგონეს ენა, რაც ვნებამ ასწავლათ, და ერთი ამოოხვრით იპოვნეს საუკეთესო თარჯიმანი, ბუნების ორაკული, პირველი სიყვარული, რაც ევამ დაცემის შემდგომ უანდერძა თავის ქალიშვილთ.

ჰაიდე არ შეყოყმანებულა, არც ფიცი მოუთხოვია და არც თვითონ დაუდევს ფიცი; მას აროდეს სმენოდა ცოლ-ქმრულ ვალდებულებებზე; არც იმ საფრთხეებზე, შეყვარებულ ქალიშვილს რომ სდევს თან; მიჰყვებოდა თავის წმინდა უცოდინრობას და ისე მიფრინდა თავის მეტრფესთან, ვითა ჩიტუნა, და რაკი აროდეს სმენოდა ღალატზე, კრინტიც არ დაუძრავს ერთგულებაზე.

ჰაიდე უყვარდა და იგი უყვარდათ, იგი აღმერთებდა და მას ეთაყვანებოდნენ; და მათი მგზნებარე სულები ბუნებრივად შეერთდნენ.

სულებს რომ სიკვდილი შეძლებოდათ, იმ ვნებით დაილუპებოდნენ, მაგრამ მათი გრძნობები აღორძინდებოდნენ, კვლავ გაიბრძოლებდნენ და კვლავ დაილუპებოდნენ, და ჰაიდეს გული გრძნობდა, რომ ცალკე ველარასოდეს იფეთქებდა.

ეჰ, ისეთი ახალგაზრდები იყვნენ, ისეთი ღამაზები, ისე მარტონი, შეყვარებულნი, უმწეონი, და დადგა საათი, ოდეს გული აღვსილია და აღარ გააჩნია თავს ზევით ძალა, გვკარნახობს საქმეთ, რასაც მარადისობაც ვერ გადაეღობება, ერთი წამის გამო ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლით ზღავს — რაც მუდამ ელოდებათ ადამიანებს, ერთმანეთს სიამეს რომ მოჰკვირიან ანდა ტკივილს მიაყენებენ.

ეჰ! ჟუან და ჰაიდე! ისეთი საყვარლები იყვნენ და ისეთი შეყვარებულნი, რომ მანამდე, ჩვენი პირველი მშობლების გარდა, არავის ჰყვარებია, და ასეთი წყვილი მუდამ განწირულია დასალუბავად; და ჰაიდეს, ვინც ისეთივე კეთილმორწმუნე გახლდათ, ვითარცა მშვენიერი, უთუოდ სმენოდა მდინარე სტიქსზე, ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელზე — მაგრამ დაავინყდა ამ ყოფაში ჩავარდნილს.

თვალეებში ჩასცქეროდნენ ერთმანეთს და ხედავდნენ მთვარის შუქის ანარეკლს; და ჰაიდეს თეთრი მკლავი შემოეჭდო ჟუანის თავს; ჟუანის ხელი კი ჩაიკარგა ჰაიდეს კულულებში; ჰაიდე კალთაში უჯდა ჟუანს და მის ოხვრას სვამდა, ჟუანი კი მისას მანამდე, სანამ წყვეტილად დაიწყებდნენ სუნთქვას; და ნახევრად გახდილნი ანტიკურ ქანდაკს დაემსგავსნენ — სიყვარულისას, ბუნებრივ ბერძნულ ქანდაკს.

და როს იმ ღრმა და მგზნებარე წუთებმა ჩაიარა, ჟუანმა ჩაიძინა ჰაიდეს მკლავებში.

ჰაიდეს არ ეძინა, ნაზად მიიყრდნო ჭაბუკის თავი მკერდზე, და დროდადრო ცას მიაპყრობდა მზერას, ხან კი ფერმკრთალ ლოყას, მკერდს რომ უთბობდა, მისი სიყვარულით აღვსილი გული ბალიშად რომ გაეხადა და მძიმედ იძროდა საჩუქრის მიმღები და გამცემი.

ძუძუთა ბავშვი სინათლის მხილველი, როს ძუძუს წოვას იწყებს, მოგზაური — მასპინძელს რომ მოჰკრავს თვალს, არაბი — უცხო სტუმარი რომ ეწვევა, მეზღვაური — ბრძოლით რომ მოიპოვებს ჯილდოს, ძუნწი — სკივრს რომ აივსებს, გრძნობენ აღფრთოვანებას, მაგრამ არა ისეთ ჭეშმარიტ სიხარულს, ვითარცა იგი, ვინც თავის სიყვარულს დასცქერის მიძინებულს; რომელიც იქ წევს, მშვიდი და საყვარელი და ჩვენთან ერთად ცოცხლობს; ასეთი ნაზი, უძრავი, უმწეო და უმოქმედო; და გაუცნობიერებელ სიხარულს გვანიჭებს; რაც უგრძვნია და განუცდია, ჩავლილია, და მოყურიადეც ველარ ჩანვდება იმ ამბებს; იქ წევს არსება, ვინც გვიყვარს მისივე მომხიბვლელობითა და შეცდომებითურთ, ვით სიკვდილი მისი შემზარაობის გარეშე.

ქალი დასცქეროდა თავის სატრფოს, და ის საათი სიყვარულისა, ის ღამე და ოკეანესთან განმარტოება აღავსებდა სულს ერთიანი ძალით; ტრიალ ქვიშებსა და ფრიალო კლდეთა შორის მან და მისმა ტალღებისაგან ნათრევმა სატრფომ მოიწყეს თავშესაფარი, სად ვერავინ შეუშლიდა ხელს მათ ვნებას, და ფირუზისფერ ცაზე მოჟიკჟიკე ვარსკვლავები ვერას იხილავდნენ მის გაბრწყინებულ სახეზე უფრო ბედნიერს.

ვაგლახ, ცნობილია, რომ ქალის სიყვარული ძვირფასი, მაგრამ საშიში ხელობაა; ამ დროს თითქო კამათელს აგორებ და, თუ წააგე, ცხოვრებას უკან ვერ დააბრუნებ, დაცინვაღა შეგჩება წარსულში, და მათი შურისძიება ვეფხვის ნახტომსა ჰგავს, სწრაფს, სასიკვდილოს და გამანადგურებელს.

და რადგან თვითონ მეტ ტანჯვას განიცდიან, თვითვე გრძნობენ მათ მიერ მოყენებული ზიანის სიმძიმეს.

მართლებიც არიან; რადგანაც კაცი კაცისადმი ხშირადაა მუხთალი, მაგრამ ქალისადმი კი — ყოველთვის; ყველა კაცი ბოლოს ერთნაირად იქცევა, ღალატი მათი საქმეა. მალვას მიჩვეულთ უცარიელდებათ სიყვარულით სავსე გულები, მდიდარ მზითვეს შეიგულებენ თუ არა, და რაღა რჩება მერე? უმადური ქმარი, მოღალატე სატრფო, სამოსი, ზრუნვა, ლოცვა და მოთავდება ყველაფერი.

ზოგი საყვარელს გაიჩენს, ზოგი სმას იწყებს ან ლოცვას, ზოგი სახლ-კარს დაუტრიალდება, ზოგი თავგზას კარგავს, ზოგი გარბის, თავს არიდებს ყველაფერს, კარგავს პატივისაცემ გარემოს; ცოტა რამეს შეუძლია შეცვალოს მათი საქმენი, გადაისროლოს უჩვევ გარემოში, მოსაწყენი სასახლიდან ბინძურ ფარდულში; ზოგი სულს ილუპავს და მერე წერს რომანს.

ჰაიდე ბუნების პატარძალი იყო და ამისთანები არ იცოდა; ჰაიდე ვნების შვილი იყო, იქ დაბადებული, სადაც მზე უხვად ჰფენს სხივებს და ქურციკისთვალა ასულნი მგზნებარედ კოცნაობენ; იგი სიყვარულისათვის შექმნილიყო, იმისათვის, რათა მისი გამხდარიყო, ვინც თვითონ ამოარჩია, სხვაგან რას იტყოდნენ ან იქმოდნენ, მისთვის არას ნიშნავდა. არაფრისა ემინოდა, არც ეიმედებოდა თუ ედარდებოდა და არც უყვარდა, გარდა იმისა, რისთვისაც უძგერდა გული.

ეჰ, ის სწრაფი გულისცემა — რაოდენ ძვირად გვიჯდება!

და მაინც, თვითეული პულსაცია ისეთი ტკბილი ნაყოფის მომწვევია, სიბრძნემ ფხიზლადაც რომ უდარაჯგოს სილაღეს მისი ალქიმიის მოსაპარავად, და იმეოროს ჭეშმარიტებანი, და თვით სინდისსაც მძიმე შრომა მოუწევს, რათა გაგვაგებინონ თვითეული ძველი, კეთილი შეგონება, ისერიგად კეთილი, მიკვირს, კასლრეიმ რომ არ დაბეგრა.

აღსრულდა, უკაცრიელ სანაპიროზე შეერთდნენ მათი გულები; ვარსკვლავები იყვნენ მათი საქორწინო სანთლები, ნათელს ჰფენდნენ მათ სილამაზეს; მონმე ოკეანე იყო, ხოლო გამოქვაბული მათი სარეცელი; შერთულიყვნენ გრძნობით, მღვდელი განმარტოება გახლდათ და დაქორწინდნენ, და იყვნენ ბედნიერნი, რადგანაც მათ ყმანვილურ თვალებს ერთმანეთი ანგელოზებად ერჩვენებოდა და დედამინა კი — სამოთხედ.

ოჰ, სიყვარული, ვისაც თვით დიდი კეისარიც კი ეთაყვანებოდა, ტიტუსი აღიარებდა, ანტონიუსი ჰმონებდა, ჰორაციუსი, კატულუსი, მეცნიერნი, ოვიდიუსი სწავლობდნენ, საფოც, ცისფერწინდებიანი ბრძენი, ყველანი შენს სამარეში ჩახტომას ეშურებიან და არ რჩებიან მიუდგომელნი (ლევკადიის კლდე ისევ დგას).

ოჰ, სიყვარულო! თუმც ცოდვის ღმერთი ხარ, სატანას მაინც ვერ გინოდებთ.

შენ აურ-დაურევ კეთილგონიერი ნყვილის ცხოვრებას, გამასხრებ უძლიერეს ადამიანებს: კეისარს, პომპეუსს, მუჰამედს, ბელიზარიუსს, მათ, ვის ცხოვრებათა აღწერისასაც დამაშვრალა ისტორიის კალამი; მათი ცხოვრება უსაზღვროდ მრავალფეროვანი იყო, ასეთ ღირსეულ კაცთ ველაროდეს ვიხილავთ; და მაინც, ამ ოთხიდან სამს ერთი იღბალი ერგო წილად; ისინი გმირები იყვნენ, დამპყრობელნი და რქიანები. შენ აიძულე ფილოსოფოსთ, ვთქვათ, ეპიკურესა და არსიტოფუსს, უზნეო გზები დაგვისახონ საკმაოდ პრაქტიკული თეორიებით; თუნდაც სატანის ჩაგონებით გვარწმუნებდნენ, რა სასიამოვნო მაქსიმაა (და არცთუ ახალი).

„ჭამე, სვი და გიყვარდეს, მეტი რა შეგვრჩება?“ ამბობდა ბრძენი მეფე სარდანაპალი.

მაგრამ ჟუანი! სულ დაივიწყა ჯულია? და ასე მალე დაივიწყა? უნდა ვთქვა, რომ ეს ჩემთვის ყველაზე რთული კითხვაა; მაგრამ უთუოდ მთვარე სჩადის ამას ჩვენს ნაცვლად და, როს გული მსწრაფლ აძგერდება, მისი ბრალია; ასე რომ არ იყოს, მაშ რა ეშმაკის მანქანებით გვიზიდავენ ახალი მომხიბვლელი ნაკვთები ამ საბრალო ქმნილებებს, კაცებს?

მძულს მერყეობა და ლალატი, მძაგს, მეზიზღება, თვალით არ დამენახვება, არა მსურს სიცოცხლე, თუ ასეთი ვერცხლისწყალივით მოუსვენარი გული უნდა მედგას მკერდში; მუდმივი, ურყევი სიყვარული ჩემი მარადიული სტუმარია, და მაინც, წუხელ მასკარადზე ვიხილე უმშვენიერესი ქმნილება, ახალჩამოსული მილანიდან, ვინც ისეთი გრძნობები გამიჩინა, თითქო არამზადა ვყოფილიყავი. მაგრამ მალე ფილოსოფია მოვიდა დასახმარებლად და მიჩურჩულა: „იფიქრე იმ წმინდა კავშირებზე!“ „ასეც მოვიქცევი, ძვირფასო ფილოსოფიავ! — მივუგე, მაგრამ მერე ვიხილე იმ მშვენიერი არსების კბილები, მერე თვალები, ღმერთო ჩემო! მერე ვკითხულობდი, თუ ვისი ცოლი იყო თუ ქალიშვილი, ან ეგებ არავისი... ისე, ცნობისმოყვარეობის გამო“. „შესდექ!“ — იყვირა ფილოსოფიამ ბერძნული გზნებით (თუმცა ის ქალი ნამდვილ ვენეციურ ნიღაბს ატარებდა). „შესდექ!“ და მეც შევდექ.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რასაც კაცი მერყეობას უწოდებს და სხვა არაფერია, თუ არა აღფრთოვანება ბუნების უხვი წყალობით ყმანვილური მშვენიერებისადმი, როს ამოარჩევს და მოკაზმავს კოხტა ქმნილებას; და ვითარცა კეთილანაგი ქანდაკებისადმი გვაქვს მუდამ ერთგვარი თაყვანება, კიდევ უფრო გვიძლიერდება, როს ვხვდებით „beau ideal“-ს.

ასეთია ნიჭიერების დახვეწილი ხელობა, წვდომა მშვენიერისა, პლატონურისა, უნივერსალურისა და გასაოცარისა, ვარსკვლავთაგან რომ ეშვება, განიწმინდება ცათა ფილტრში, ურომლისოდაც ცხოვრება უსაზღვროდ მოსაწყენი იქნებოდა; მოკლედ, ამ წვდომისათვისაა საჭირო ჩვენი თვალები, და ორიოდე გრძნობაც ზედ დამატებით, იმის მისანიშნებლად, რომ ადამიანს ხორცი შეესხა ცეცხლოვანი მტვრისაგან.

და მაინც, მტკივნეული განცდაა და არასასურველი, და რომ შეგვძლებოდა აღქმა ევას მსგავსი მომხიბვლელი ქმნილების მომაკვდინებელი არსისა, რამდენ თავისტკივილს ავირიდებდით, რამდენ კანკალს გადავრჩებოდით, ერთ მშვენიერ ქალს რომ დავჯერებოდით სამუდამოდ, ჩვენი გულისთვისაც სასარგებლო იქნებოდა და კუჭისათვისაც.

გული ცასავითაა, ზეცის ნაწილივით, და ცასავით დღედაღამ იცვლება, ხან ღრუბლებია მასზე და ჭექა-ქუხილი, სიბნელეა გამეფებული და დაიქუხებს, გაიფხრინება და დაუშვებს წვიმას; ასევე თვალიც აწვიმებს და გულის სისხლს ცრემლებად აქცევს, რაც დროდადრო ინგლისურ ამინდს დაგვიყენებს ხოლმე.

კუჭი ნაღვლის ლაზარეთია, მაგრამ ძალზე იშვიათად კი ასრულებს დანიშნულებას; რადგან პირველი ვნება იქ ერთხანს რჩება, ხოლო დანარჩენები შიგ შეძვრებიან და გროვდებიან, ვითა ქვემძრომნი ნეხვის გროვაზე — რისხვა, შიში, სიძულვილი, ეჭვი, შურისძიება, სინდისის ქენჯნა — და ყველა ბედუკულმართობა აქედან წარმოიშობა, მინისძვრასავით იბადება იმ ფარული ცეცხლიდან, „შუაგულურს“ რომ ვუნოდებთ.

ამასობაში, მეტი რომ აღარ გავაგრძელო ეს ანატომია, დავასრულე ორასზე მეტი კენტი სტროფი, ვით ამას წინათ, და ამ რიცხვებს მივყვები თორმეტ სიმღერაში ან ოცდაოთხში; და გადავდებ კალამს და თავს დავუკრავ მათ, ვისაც შევატოვე — დონ ჟუანსა და ჰაიდეს, რათა შევავედრო ყველას, ვინც კეთილს ინებებს და წაიკითხავს.



თავი მესამე

მეკობრე ნადიშა

სალამ-ქალამი, მუზაე! და ამისთანანი...

ჟუანი მძინარი დავტოვეთ, ბალიშად მშვენიერი და ბედნიერი მკერდი ეშოვნა, დასცქერდა თვალები, რომელთაც ჯერ არა იცოდნენ რა ტირილისა, უყვარდა ყმანვილ გულს, მეტად მადლიერს, რათა ეგრძნო, შხამი შეიძლება შემეპაროს სულშიო, ანდა სცოდნოდა, თუ ვინ შეიძლება ჩაბუდებულიყო იქ, რომელი მტერი მიპარებოდა მის უმანკო ასაკს, და ვის გადაეცვია მისი უნმიდესი სისხლი ცრემლებად!

ო, სიყვარულო!

რა სჭირს ამ ჩვენს ნუთისოფელს, რომ საბედისწეროდ გაგვხდომია — უყვარდე და გიყვარდეს? რატომ შემოგიბურავს კვიპაროსის ტოტებით შენი სამყოფელი, და რატომ უხშირებ ოხვრას შენს საუკეთესო განმმარტებელს? იმათსავით, სურნელება რომ შეჰყვარებიანთ გაგიჟებით და ყვავილებს ჰკრეფენ და მკერდზე იბნევენ და ამით ჰკლავენ ყვავილებს; სწორედ ასევე განწირულან დასალუჰად ნაზი ქმნილებანი, გულში რომ ვუნანავებდით.

პირველი ვნებით ქალს თავისი სატრფო უყვარს, მერე და მერე კი თვით სიყვარული.

ეს ჩვეულებად გადაექცევა და თავს ველარ აღწევს, ისე შემობლანდვია, თითქო მსუბუქი ხელთათმანიაო, და დაინახავთ, თუკი მის შეცნობას მოისურვებთ, რომ მარტოდენ ერთი კაცი შეუძრავს გულს და... შემდეგ უკვე ბევრეულს ეტანება და ველარ ამჩნევს, მეტისმეტი დამგროვებიაო.

არ ვიცი, მათი ბრალია თუ კაცისა, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ; ზრდასრული ქალი ცხოვრებას თვისას ლოცვებში

არ ატარებს, დრო მოდის და ტრფობის საგანი ხდება; და ისიც უეჭველია, რომ პირველი სიყვარული გაუთანგავს გულს.

თუმც არიან ისეთნიც, ვისაც ეს არ განუცდია, და ისეთნიც, ვინც ერთს არ დასჯერებია.

ნაღვლიანი და შიშისმომგვრელი ნიშანია ადამიანური ამოებებისა და დაუდევრობისა, და დანაშაულისაც, რომ სიყვარული და ქორწინება იშვიათად ერწყმიან ერთურთს, თუმც ერთსა და იმავე კლიმატში დაბადებულან; სიყვარული და ქორწინება განსხვავდებიან, ვითარცა ღვინო და ძმარი, უგემური, მყავე, შემაფხიზლებელი სითხე — დრომ იცის ასე, გადააქცევს ამაღლებულ, ზეციურ გემოს საოჯახო უგემურობად.

არის რაღაც ანტიპათია, ვით ძველადაც ყოფილა, მათ ახლანდელსა და მომავალ ყოფას შორის; და ვინემ სიმართლე გაირკვეოდეს, მლიქვნელობა იკავებს ადგილს, და რა უნდა ილონოს ადამიანმა, იმედგაცრუება რომ არ ეწვიოს?

ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა სახელს ატარებს ამგვარ ვითარებაში; მაგალითად — ვნება აღფრთოვანებაა საყვარლისათვის, ხოლო ქმრისათვის ცოლისადმი ერთგულებას ნიშნავს.

კაცებს სცხვენიათ ნაზ გრძნობათა გამოხატვა; ხანდახან ცოტაც იღლებიან (თუმც ეს იშვიათად ხდება) და სულითაც ეცემიან: ერთი და იგივე ყოველთვის არ არის მოსაწონი, „თუნდ მეტად დაფასებული იყოს ცოლ-ქმრობაში“ ის, რომ ორივენი დაბმულნი არიან, ვინემ ერთი გამოეცლებოდეს. სავალალოა! დაკარგო მეუღლე, შენს ღღეებს რომ ამშვენებდა, და დაამწუხრო სახლეულნი.

უსათუოდ არის საოჯახო საქმეებში რაღაც, არსებითად რაც განსაზღვრავს ქვეშარიტი სიყვარულის ანტითეზას; სარაინდო რომანები თავგამოდებით ლამობენ აღწერონ ადამიანთა სიყვარული, მაგრამ ჩაშლილი ქორწინების აღწერალა გამოსდით; არვის აღელვებს ოჯახური ღუღუნი, არვის აინტერესებს ცოლ-ქმრული კოცნა;

დაფიქრდით, ლაურა რომ პეტრარკას ცოლი ყოფილიყო, სონეტებს მიუძღვნიდა მთელი სიცოცხლე?

ყველა ტრაგედია სიკვდილით ბოლოვდება, ყველა კომედია ქორწინებით მთავრდება.

ორივეგან მომავალი ბედისწერას მინდობია, რადგანაც ავტორები შიშობენ, შემდგომმა აღწერამ არ წაახდინოს ორივე სამყარო ანუ არ დაამდაბლოს და ამ ორივე სამყარომ სასჯელი არ გვარგუნოს შეცდომისათვის. ასე რომ, მზადა ჰყავთ მღვდელი და მზად აქვთ ლოცვანი და სიტყვასაც არ ძრავენ სიკვდილსა თუ ქალბატონზე.

რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ორმა უმღერა ზეცასა და ჯოჯოხეთს ანუ ქორწინებას, დანტემ და მილტონმა და ორივესთან სიყვარული უბედურების მომტანი აღმოჩნდა ქორწინებისა გამო, რადგან რალაც ზღვარმა დანაშაულისა თუ ზნეობისა დაარღვია მათი კავშირი (ასეთი ამბები, კაცმა რომ თქვას, საკითხავი არცაა): მაგრამ დანტეს ბეატრიჩე და მილტონის ევა, ვითარ მოგეხსენებათ, ქმრებს არ გაჰქცევიათ.

ზოგნი ამბობენ, დანტე თეოლოგიას გულისხმობდა ბეატრიჩეში და არა ქალბატონსო, მე კი ეგებ უნდა მოვიბოდიშო საკუთარი აზრისათვის, მაგრამ ეს კომენტატორთა ფანტაზია მგონია, საკუთარი ცოდნა რომ გამოამჟღავნეს და საამისო მიზეზიც ჰქონდათ; ვფიქრობ, დანტე ღრმავაროვანი ცოდნით გულისხმობდა პერსონიფიცირებულ მათემატიკას.

ჰაიდუ და ჟუანი არ დაქორწინებულან და ეს მათი ბრალია და არა ჩემი; სამართლიანი არ იქნებოდა, კეთილგონიერო მკითხველო, რომ ჩემთვის დაგებრალეზინათ, თუ ასე გნებავთ, რომ დაქორწინებულნი ყოფილიყვნენ; და თუ დაიჟინებთ, დაქორწინებულთა ხილვა მერჩივნაო, მაშინ დახურეთ წიგნი, სად ეს დამნაშავე წყვილი წარმოგისახეთ, მანამ, სანამ უარეს შედეგებამდე მივიდოდეთ.

სახიფათოა უკანონო სიყვარულის ამბის კითხვა.

და მაინც, ისინი ბედნიერნი იყვნენ, ბედნიერნი — უკანონო, მაგრამ უმანკო ვნებას რომ ეძლეოდნენ; და სულ უფრო დაუფიქრებლად იქცეოდნენ ყოველი შეხვედრისას; ჰაიდეს დაავინყდა, რომ კუნძული მამამისისა იყო; როს გვაპყრია სასურველი რამ, ძნელია ხელიდან გაშვება, თავიდან მაინც, ვინემ

მოგვებზრდებოდეს; ამიტომაც დროს არა ჰკარგავდა და ხშირად მოდიოდა, მეკობრე მამა ზღვაში გადიოდა თუ არა.

ნუ მოგეჩვენებათ ფულის შოვნის მისეული ჩვევა უცნაურად, თუმც კი ყველა სახელმწიფოს დროშებსაც იპარავდა, თითქოს პრემიერ-მინისტრობაში გაეცვალოს თვისი ნოდება, და ეს სხვა არა ყოფილა რა, თუ არა გადასახადთა შენერა; მაგრამ თავმდაბალი გახლდათ და უფრო მოკრძალებულ ადგილსაც სჯერდებოდა ცხოვრებაში და უფრო პატიოსნადაც მისდევდა თავის საზღვაო ხელობას, და საქმიანობისას ზღვის პროკურორის უფლებებს არ ამეტებდა.

მოხუცი კეთილი ჯენტლმენი შთაფლულიყო ქარებსა და ტალღებში და მნიშვნელოვან დატყვევებაში; და რადგანაც მეტი სურდა, რჩებოდა ზღვაზე, თუმც ნივილ-კივილი უგრილებდა აღფრთოვანებასა თუ მოგებით გამონვეულ სინარულს; მეკრავდა ტყვეებს, ახარისხებდა პარტიებად, ხუნდებში ჭედავდა და აფასებდა ათიდან ას დოლარამდე.

ზოგს მატაპანის კონცხზე მიუჩინდა ადგილს, თავის მეგობარ მეონიტებთან; ზოგსაც ტუნისელ მეკავშირეთა მეშვეობით ჰყიდდა, იმათ გარდა, სიბერის გამო გემიდან რომ ჰყრიდა; დანარჩენი — ზოგიერთი მდიდრის თვინიერ, მოსალოდნელი გამოსასყიდისათვის რომ ინახავდა — უბრალო ხალხისათვის კი დიდი შეკვეთები მოსდიოდა ტრიპოლიდან.

სანვრილმანოც ასევე სალდებოდა, ლევანტის სხვადასხვა ბაზრებზე მიედინებოდა; გარდა დავლის ნაწილისა, იმ კლასიკური ნივთებისა, ქალებს რომ მოსწონთ, ფრანგული ნაწარმისა, თასმებისა, პინცეტებისა, კბილის საჩიჩქნისა, ჩაიდნებისა, ლანგრებისა, გიტარებისა და კასტანეტებისა ალიკანტედან; ამ ყოველივეს გამოარჩევდა ნადავლიდან და ქალიშვილისათვის მოჰქონდა, საუკეთესო მამას ვითარც შეჰფერის.

მაიმუნი ამოარჩია ცხოველთაგან, ჰოლანდიური მასტიფი, თუთიყუში მაკაუ, კიდევ ორი თუთიყუში, სპარსული კატა კნუტებიანად, და ტერიერიც, ადრე ნაყოლი ვილაც ბრიტანელისა, ითაკის ნაპირებთან რომ დაღუპულიყო, და ეს კი იქაურ გლეხკაცებს გამოეკვებათ; და რათა ავდარში არაფერი დამართნოდათ, ერთ დიდ კალათაში მოაქცია.

მერე საზღვაო საქმეებიც მოაგვარა, აქეთ-იქით დაგზავნა კრეისერები, და რადგან მის ხომალდს მცირეოდენი შეკეთება სჭირდებოდა, იქით გაუდგა, სად მისი მშვენიერი ქალიშვილი აგრძელებდა თავის მასპინძლურ მოვალეობას; მაგრამ რადგანაც ის ნაპირი თავთხელი გახლდათ და მოშიშვლებული და რამდენიმე მილის მანძილზე გასდევდა რიფები, პორტი კუნძულის მეორე მხარეს ეკრა.

და იქ ნაპირზე გადავიდა დაუყოვნებლივ, რადგან იქ არც საბაჟო მოიძვებოდა და არც კარანტინი, უხერხულ კითხვებს რომ დაუსვამდნენ, სად ყოფილხარო, როდის ყოფილხარო; მეორე დღეს გადავიდა გემიდან და ეკიპაჟს დაუბარა, ღუზაზე მდგარიყვნენ და ყველას რალაც საქმე ეკეთებინა, გადმოეტვირთათ საქონელი, ბალასტი, თოფები და განძეული.

მთის წვერს რომ მიაღწია, რომელიც მისი სახლის თეთრ კედლებს გადაჰყურებდა, შედგა — ნეტა რა განცდა ეუფლებათ, ვინც იძულებულნი არიან იხეტიან! ყოყმანი, ეჭვი, ყველა კარგადაა თუ ავად, სიყვარული მრავალთადმი და შიში ზოგიერთისა გამო; გრძნობები, რომელნიც ხანგრძლივ წლებს გადაფარავენ და გულს სანყის წერტილში გვიბრუნებენ.

შინ დაბრუნებისას ქმარსა თუ ბატონს, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდგომ, ხმელეთით იქნება თუ ზღვით, ბუნებრივად ეწვევა ხოლმე ეჭვები — ქალი ოჯახში საკმაო თავსატეხია (ალარვის სჯერა სქესისა, აღარც ისე იხიბლებიან — მაგრამ მლიქვნელობა სძულთ და მეც აროდეს ვმლიქვნელობ); ქმრების არყოფნისას ცოლები ნაზდებიან, ხოლო ქალიშვილები ხანდახან მსახურთუფროსთან ერთად გარბიან.

ყველა პატიოსან ჯენტლმენს შინ დაბრუნებისას არა სდევს თან ისეთი კაი იღბალი, ვითარც ულისეს; ყველა მარტოხელა დიასახლისი არა დარდობს თავის ქმარზე, და არც თაყვანისმცემლის კოცნაზე იმრიზება; უცნაური ისაა, რომ ეს ჯენტლმენი უეცრად წააწყდება მის მოსაგონებლად დადგმულ მშვენიერ თასს და სამიოდე გოგონას, რომელიღაც მეგობარს რომ შესძენია, ვისაც მისი მეუღლეც და სიმდიდრეც უგდია ხელთ. და მისი საკუთარი არგუსიც საკბენად წაეტანება.

თუ მარტოხელაა, მისი ნაოფლარი ეგებ რომელიმე მდიდარ წუნურაქსაც ჩაუფარდეს ხელთ; კიდეც უკეთესი, ბედნიერმა წყვილმა წაიჩხუბოს და ქალბატონი უფრო დაბრძენდეს, მერე კაცმა განაახლოს მზრუნველობა, ვით კეთილშობილ რაინდს ეკადრება ან შეიძულოს ცოლი; და უდრტვინველად და ხმაამო-უღებლივ კი არ იტანჯოს, არამედ ოდები შეთხზას ქალთა მერყევ ხასიათზე.

და ეჰ! თქვენ, ჯენტლმენებო, ვისაც უკვე გაქვთ ცოტაოდნავი უმანკო ურთიერთობა — ვგულისხმობ უცოდველ კავშირს გათხოვილ ქალთან — ეს ერთადერთი რამაა, რაც დიდხანს ძლებს, ხოლო ჭეშმარიტი ჰიმენე კი (მხოლოდ საფარველია) დიდხანს სულაც არა ძლებს და, მსმენია, დღეში ოთხჯერაც უღალატიათ შინიდან წასულისთვის.

ლამბრომ, ზღვის პროკურორმა, ვისაც ხმელეთზე ნაკლები გამოცდილება ჰქონდა, ვინემ ზღვაზე, კმაყოფილება იგრძნო, როს თავისი ბუხრიდან ამომავალი კვამლი იხილა; მაგრამ რაკი მეტაფიზიკა არ გაეგებოდა, ვერ გაიაზრა თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი სევდის უკუყრისა ან სხვა მძაფრი ემოციისა; მას უყვარდა შვილი და იგლოვდა მის დაკარგვას, მაგრამ ფილოსოფოსივით ვერ წვდებოდა არსს.

ხედავდა თვისი სახლის თეთრ კედლებს, მზეზე რომ ბრწყინავდა, თვისი ბალის ხეხილს — მწვანესა და ჩრდილოვანს; ესმოდა თავისი ნაკადულის ჩუხჩუხი, ძაღლის ყეფის ხმაც შორიდან; და ხშირი ტყის მიუხედავად, მოძრავ ფიგურებსაც არჩევდა, იარაღის ლაპლაპსაც (აღმოსავლეთში ყველა შეიარაღებულია) და პეპელასავით ჭრელი სამოსის კაშკაშა ფერებსაც.

და რაც უფრო უახლოვდება ამ ადგილს, მით უკვირს უსაქმურობის ნიშნები და ესმის — ვაგლახ! არა ზეციური მუსიკის ხმა, არამედ ამქვეყნიური უქმი ჭყვიტინი!

ყურს არ დაუჯერა, ეს მელოდია რომ მოესმა.

მიზეზს ვერ ხვდებოდა.

ვერ აეხსნა.

სტვირის ხმაც ისმოდა, დოლისაც და, ამასთან, მეტად არა-აღმოსავლური ხარხარისაც.

და რაც უფრო უახლოვდებოდა ადგილს, აჩქარებით ჩადიოდა დაღმართზე, მოქანავე ტოტებს მიღმა დღესასწაულის სხვა ნიშნებს შორის ჭკრეტდა შინამოსამსახურეთ, დერვიშებივით აცეკვებულთ, ციბრუტივით რომ ბრუნავენ, მიხვდა რომ ფირ-ჰიქულ ცეკვას ასრულებდნენ, გამარჯვებისას, ასე ძალიან რომ მოსწონთ ლევანტელებს.

მოშორებით ბერძენ გოგონათა ჯგუფი ჩამწკრივებულიყო — მარგალიტთა აცმულასავით, მათ შორის პირველი და ყველაზე მაღალი თეთრ მანდილს აფრიალებდა; ხელი ხელს ჩაეკიდათ და ცეკვავდნენ; თვითეულს თეთრ ყელზე ჩამოშლოდა ჩალისფერი კულულები (მათგან ყველაზე უსახური ათ პოეტს მაინც გადარევდა); მათი წინამძღოლი მღეროდა და მის სიმღერას როკვითა და გალობით ასდევდა ქალწულთა ნყება.

იქვე ფეხებმორთხმულნი შემოსხდომოდნენ თავთავიანთ ტაბლებს მცირე ჯგუფები და ის-ის იყო იწყებდნენ შექცევას; ათასნაირად შეკმაზული ფლავი და ხორცი ატკბობდა მზერას, თავს იწონებდნენ სამოსური და ქიოსური ღვინით სავსე ბოთლები, თიხის ფორებიან თასებში გრილდებოდა შარბათი; თავს დაჰყურებდათ მსხმოიარე ხილეული, ფორთოხალი და ბრონეული ირხეოდა და უცვიოდათ კალთაში ერთი შერხვეისთანავე.

ბავშვების გუნდი შემოხვეოდა თოვლივით თეთრ ბატკანს და მის პატივსაცემ რქებს ყვავილებით რთავდნენ; ისიც ხან გატრუნულიყო დედის ძუძუს მოუნყვეტელი კრავივით, საზეიმოდ მშვიდად ეჭირა მატყლით შემოსილი თავი, ან მათი ხელიდან ჭამდა ან ოინბაზურად შეკრავდა წარბებს და თავს დახრიდა, თითქოს საბუცაოდ ემზადებო, და მერე ისევ მიენდობოდა პანია ხელებს.

საამო იყო ამ პატარა ბერძენთა ხილვა: მათ კლასიკურ პროფილთა, მბზინავი სამოსისა, დიდი შავი თვალებისა, ნაზი ანგელოსური ლოყებისა, გახლეჩილი ბრონეულისფრად შეფერილის, გრძელი კულულებისა, მომხიბვლელი მიხრა-მოხრისა და მეტყველი თვალებისა, ბედნიერი ბავშვობის კურთხეული უმანკოებისა, იმდენად საამოსი, მათი მნახველი ფილოსოფოსი ამოიოხრებდა — ნეტა კი არ გაიზარდონო.

მომორებით ჯუჯა მასხარა ჰყვებოდა ამბებს დინჯ, ქალა-როსან ჩიბუხის მწველთა შორის ჩამდგარი, ჰყვებოდა მიკარ-გულ ხეობებში დამალული განძეულისას, არაბ მასხარათა მოს-წრებული ნართაულებისას, ჰყვებოდა ჯადოსნობისას — თუ ვითარ მოიპოვო ოქრო და ვითარ განკურნო სნეულები, მოჯა-დოებული კლდისას, დაკაკუნებით რომ იღება, ჯადოქარი ქა-ლებისას, ერთი შელოცვით ქმრებს მხეცებად რომ გადააქცე-ვენ (ეს ხომ აშკარაა).

ეს იყო უმანკო დროსტარება, გრძნობისა და წარმოსახვის გალაღება, სიმღერა, ცეკვა, ღვინო, მუსიკა, სპარსული ამბები, მშვენიერი შექცევა, რაშიც ვერ მოიძიებ დანაშაულს; მაგრამ ლამბრო ზიზლით უყურებდა ყოველივე ამას, წარმოიდგენდა თუ რამდენი გაიფლანგა მის არყოფნაში, შიშით ცახცახებდა ადამიანური უბედურების წარმოდგენისას თუ ვითარ იწვოდა მისი ყოველკვირეული ვექსილები.

ეჰ, რა არის კაცი? რაოდენი საფრთხე ჩასაფრებია უბედნიე-რეს მოკვდავთაც კი ნასადილევს, ოქროს დღე შეიძლება რკი-ნის ხანას მოჰყვეს და სულ ეს არის, რასაც ცხოვრება უბოძებს უიღბლიანეს ცოდვილს; ტკობა (როს აგალობდება) სირინო-ზია, რომ მიიტყუებს, რათა გაატყაოს დამწყები ყმანვილი; ლამბროს მასპინძლობა ამ ბანკეტზე ისეთი იყო, აი, ცეცხლი რომ შეეხამება სველ საბანს.

იგი ხომ უპირველესად სიტყვაძუნწი კაცი გახლდათ და გან-ცვიფრება უყვარდა (საერთოდ, კაცებს მახვილით აცვიფრებ-და ხოლმე) თავისი ქალიშვილისა; ამიტომაც არ შეუტყობინე-ბია წინასწარ, რომ ბრუნდებოდა, რათა ზედმეტად არვის ეღელვა; დიდხანს შეყოვნდა, რათა კარგად დაერწმუნებინა სა-კუთარი თვალები, უფრო გაოცებულნი რომ იყვნენ, ვინემ ნა-სიამოვნებნი, ამდენი ჩინებული სტუმარის ხილვით. მაგრამ მან არ იცოდა (ეჰ! რარიგ ცრუობენ ადამიანები), რომ ამბავი მოვი-და (განსაკუთრებით ბერძნები ცრუობენ) — მაუნყებელი მისი სიკვდილისა (აბა, როდის კვდება ასეთი ხალხი), და რამდენიმე კვირა გლოვა გამეფებულიყო მის სახლში; ახლა კი თვალებიც სველი ჰქონდათ და ტუჩებიც.

ფერი დაბრუნებოდა ჰაიდეს ლოყებს, ცრემლებიც უკან გაბრუნებულიყვნენ თავიანთი სათავისაკენ, და ახლა სახლს უკვე თვითონ უძღვებოდა.

ამიტომაც მოეტანათ ამდენი ბრინჯი, ხორცი, ღვინო, ცეკვავენ და დროს ატარებდნენ, და ეს კუნძული საგანცხრომოდ გადაექციათ; მსახურნი უსაქმურობდნენ, დამთვრალიყვნენ და უსაზღვროდ ბედნიერად გრძნობდნენ თავს. იმასთან შედარებით, ჰაიდე ვითარც ექცეოდა ქონებას, მამის სტუმართმასპინძლობა მოსატანი არ იყო; რა სასიამოვნოდ შემობრუნდა ცხოვრება მას შემდეგ, რაც ეს გოგონა ველარაფრისათვის იცლიდა სიყვარულში გადავარდნილი.

აღბათ იფიქრებთ, ამ ქეიფს რომ წაადგა, ლამბრო გამმაგებოდაო, და მართლაც არ გააჩნდა მტკიცე მიზეზი, რომ გახარებოდა.

აღბათ რაიმე უეცარ ქმედებას წარმოიდგენთ, მათრახს, წამებას ანდა საკანს, ბოლო-ბოლო, რათა ჭკუა ესწავლებინათ თავისი ხალხისათვის, ვითარ საჭირო იყო, ისე ეჩვენებინათ მეფური მიდრეკილებანი მეკობრისა.

ცდებით.

იგი უმშვიდესი ბუნების კაცი გახლდათ მათ შორის, ვისაც გემით უთარეშია ან ყელი გამოუჭრია ვინმესთვის; ჭეშმარიტი ჯენტლმენის თვისებანი მომადლებოდა, ვეროდეს გამოიცნობდი მის გულისნადებს; ვერა კარისკაცი ვერ შეძლებდა და ვერა ქალი ვერ დამალავდა ტყუილს ქვედატანში მასავით; სამწუხაროა, რომ ხიფათიანი ცხოვრების მრავალფეროვნება უყვარდა; და დიდი დანაკარგიც გახლდათ საზოგადოებისათვის.

უახლოეს ტაბლას მიადგა, მხარზე ხელი დაჰკრა იქვე მდგომ სტუმარს და თავისებური ღიმილით, რაც, სხვათა შორის, კარგს არას მოასწავებდა, ვითარიც უნდა ყოფილიყო გარეგნულად, ჰკითხა:

— რისი აღსანიშნავი წვეულებაა?

მთვრალმა ბერძენმა, ვისაც მიმართა, შემკითხველის პატივსაცემად ჭიქა აავსო ღვინით და მხიარული, ბახუსით სავსე თავი არც კი მოუბრუნებია, ისე მიაწოდა გალიპლიპებული სასმისი და უთხრა:

— მშრალად ლაპარაკისათვის სადა მცალია.

— მოხუცი ბატონი მოკვდა, — ამოასლოკინა მეორემ, — უმჯობესია ჩვენს ქალბატონს ჰკითხო, მის შემეკვიდრეს.

— ქალბატონს! — ამოღერღა მესამემ, — ქალბატონს! ფუჰ! ბატონს გულისხმობ, ძველს კი არა, ახალს.

ეს არამზადები ახალმოსულები იყვნენ და არ იცოდნენ თუ ვის მიმართავდნენ; სახე შეეცვალა ლამბროს, თვალები წამიერად ჩაუბნელდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, თავაზიანად გაიღიმა და ერთ-ერთ მოსაუბრეს შეევედრა, ეთქვა სახელი და მდგომარეობა ახალი ბატონისა, ვისაც, ეტყობა, გათხოვილ ქალად ექცია ჰაიდე.

— არ ვიცი, — მიუგო ყმანვილკაცმა, — ვინაა ან რას წარმოადგენს ან საიდან მოსულა, და არც მადარდებს; ის კი ვიცი, რომ ეს ყვერული მსუქანია და ეს ჩინებული ღვინოც მშვენივრად მორაკრაკებს, და თუ ეს პასუხი არ გაკმაყოფილებს, აგერ იმას მიმართე, ჩვენს მეზობლად; იგი მოგიგებს ავად თუ კარგად, რადგან მასავით არავის უყვარს საკუთარი თავის მოსმენა.

მოგახსენეთ, ლამბრო მომთმენი კაცი გახლდათ, და მართლაც რომ საუკეთესო თვისებანი გამოამჟღავნა, ვითარ თვით საფრანგეთშიც, ამ სამაგალითო ქვეყანაშიც, და მის საუკეთესო შვილთა შორისაც კი არ უნახავთ.

აიტანა გარშემომყოფთა დაცინვა, ჩაიკლა გულში მღელვარება, არადა, სისხლი სდიოდა გულიდან ამ მდაბიო ღორმუცელათა შემხედვარეს, ვინც მის ცხვრის ხორცს შეექცეოდნენ.

კაცისაგან, ვინც მიჩვეულია ბრძანების გაცემას, ხალხის აქეთ-იქით გაგზავნას, ნაბრძანების შემონმებას — დაუყოვნებლივ სიკვდილის მისჯას ან ბორკილებისას, უცნაური იყო ასეთი უსახური ქცევა, თუმც არის მოვლენები, რასაც ვერ ახსნი.

და ესეც თუმც უდავოა, ვისაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია, შეძლებს მბრძანებლობას — თითქმის ისე, ვითარცა გველფი.

ხანდახან ლამბროც კი განრისხდებოდა, მაგრამ აროდეს ლატობდა გონიერება და სერიოზულობა; მშვიდი იყო, თავშეკავებული, დინჯი და აუჩქარებელი, ტყის მახრჩობელასავით დახვეული იწვა; დარტყმისას თუ სისხლისღვრისას ხმას არ-

დეს იღებდა, და მდუმარებაში სჩადიოდა შემზარავ საქმეს და მისი ერთი დარტყმა სხვას საქმეს აღარ უტოვებდა.

მეტი აღარა უკითხავს, შინისაკენ გაეშურა, ოღონდ თავისი გზით, და ორიოდე კაცს, ვინც გზად შემოხვდა, ყურადღება არ მიუქცევია, ისე არ მოელოდნენ იმ დღეს; თუმც მამობრივი გრძნობა მიტევენას ევედრებოდა ჰაიდესათვის, მაგრამ თუ ვინმე მიცვალებულად მიაჩნდათ, ეს ღრეობა უცნაური გლოვა გამოდიოდა.

ყველა მიცვალებული რომ გაცოცხლდეს ახლა (რისგანაც, ღმერთო, დაგვიფარე!), ან ზოგიერთი, ანდა ბევრი, მაგალითად, ქმარი ან მისი ცოლი (ცოლ-ქმრული მაგალითები ბევრიცაა და კარგიც), უეჭველია, ვითარი უნდა ყოფილიყო მათი უთანხმოება წარსულში, ანმყო უფრო გაავდრიანდება, ერთობის საფლაგზე დაღვრილ ცრემლებს გადააჭარბებს აღდგომის შემდგომი ცრემლები.

შევიდა სახლში, რომელიც მისი აღარ იყო, რაც ადამიანურ განცდათაგან ყველაზე მძიმეა და მეტად უჭირს გულს ამის გადატანა, ალბათ იმ ტკივილზე მეტადაც, სიკვდილს რომ ვგრძნობთ; ვხედავთ, რომ ჩვენი ბუხარი სამარედ ქცეულა და მის გარშემო ოდესღაც თბილი პატარა ღობე ჩვენს იმედთა ფერფლს დამგვანებია, ისეთი ღრმა დარდია, რომ ერთი კეთილშობილი კაცი ვერც წარმოიდგენს.

შევიდა სახლში, მისი რომ აღარ იყო, რადგანაც უგულოდ არ არსებობს სახლი; მარტოსულობა იგრძნო, საკუთარი კარში რომ შეაბიჯა და არავინ მისალმებია; დიდხანს ცხოვრობდა აქ. ის ცოტაოდენი მშვიდობიანი დღეები დრომ წაიღო, აქ ისვენებდა მისი დაღლილი სხეული და გამჭრიახი თვალი იმ უმანკო ბავშვის შემხედვარე, უმანკო გრძნობათა ერთადერთი ტაძარი რომაა.

უცნაური ბუნების კაცი იყო, მშვიდი ქცევისა და ველური გუნება-განწყობილებისა, ზომიერი ჩვეულებებში, და თავშეკავებული ტკბობისას თუ ჭამა-სმისას; სწრაფად მოისაზრებდა და ბევრს აიტანდა და გაუმჯობესებას ესწრაფოდა თუ მთლად სიკეთეს არა; სამშობლოს ჭირ-ვარამმა და მისი ხსნის იმედის გადანურვამ მონიდან მონათმფლობლად გადააქცია.

ძალაუფლების სიყვარულმა და ოქროს მსწრაფლ მოხვეჭამ, ჭირთა შიგან მტკიცე ხასიათის ჩამოყალიბებამ, ხიფათიან

ცხოვრებაში დაბერებამ, შეწყალებულთა ხშირმა უმადურებამ, ყოველივეს ნახვამ და შეჩვევამ, მშფოთვარე ზღვებმა, სასტიკ ადამიანთა გვერდით ცურვამ ისე გამოაწრო, მტრებს ძვირად უჯდებოდათ; მეგობრად კარგი იყო და გასაცნობად — საშიში.

მაგრამ ძველი საბერძნეთის სულის ნაწილი ანთებდა მასში მცირეოდენ გმირულ სხივებს, ისეთივეს, ოქროს საწმისისაკენ რომ მიუძღოდა მის წინამორბედთ კოლხურ ხანაში; ისიც მართალია, რომ მშვიდობისმოყვარეობას ვერ შესწამებდით. ეჰ, მის სამშობლოში აღარსად იყო დიდებისაკენ მიმავალი ბილიკი და მთელ მსოფლიოზე გაგულისებულნი და ყველა ერთან ომში ჩაბმული, მდიდრდებოდა, რათა შური ეძია საკუთარი გადაგვარებისა გამო.

და მაინც, მასზე გავლენა მოეხდინა კლიმატს და მიენიჭებინა იონიური დახვეწილობა, რაც მთელ თავის ძალ-ღონეს ხშირად აჩენდა გაუცნობიერებლად, ეს გახლდათ გემოვნება, რამაც საცხოვრებელი შეარჩევინა, სიყვარული მუსიკისა და მომხიბვლელი ხედებისა, ტკობა ანკარა ნაკადულებით და აღტაცება ფერად-ფერადი ყვავილებით, მშვიდ საათებში მის სულს რომ ეპკურებოდა.

მაგრამ რაც უნდა ჰყვარებოდა, თავისი ასულისათვის ემეტებოდა.

იგი გახლდათ ერთადერთი ქმნილება, ვისაც მისი გულის კარი ეღებოდა, და მოქცეულიყო იმ ველურ და სასტიკ ქმედებათა შორის, თვითონ რომ ჩაედინა და ეხილა; ეს იყო მისთვის მისაღები ერთადერთი წმინდა გრძნობა; და ამ უმანკო ქმნილების მკერდიდან მოგლეჯა აკარგვინებდა ყველანაირ სიკეთეს, რაც ადამიანური სიკეთის რძისაგან შეეთვისებინა, და გადააქცევდა სიბრმავეთ გადარეულ ციკლოპად.

ბოკვერდაკარგული ძუ ვეფხვი გამძვინვარებული რომ დაეხეტება ჯუნგლებში, საშიშია მწყემსისა და მისი ფარისათვის; აღელვებული და აქაფებული ოკეანე შემზარავია კლდის ახლოს მოცურავე ხომალდისათვის; მაგრამ სასტიკი მოვლენები უფრო მალე შეიძლება დამშვიდდნენ, ვინემ ღრმა, სასტიკი, მარტოსული, უტყვი მრისხანება ძლიერი, მბრძანებელი ადამიანის გულისა.

ასე კი ხდება, მაგრამ ძალზე ძნელია შვილების თავნებობის ხილვა, მათი, ვისაც შევწირეთ საუკეთესო დღენი, ჩვენი თავი განვაახლეთ უფრო ლაზათიან თიხაში, და სწორედ მაშინ, როს სიბერე მსწრაფლ გვიახლოვდება და მწუხრის ღრუბლები გვანვება თავზე, ისინი გულთბილად გვტოვებენ, და მარტოს კი არა, კარგ საზოგადოებაში, წითელ ქარსა ან სულაც ქვასთან.

და მაინც, კარგი ოჯახი ერთ რამედა ღირს (თუნდაც ნასადილევს ვერც თანხმდებოდნენ); მშვენიერია იმის ცქერა თუ რარიგ ზრდის დიასახლისი შვილებს (თუკი მათზე ზრუნვა წონას მეტისმეტად არ დააკარგვინებს); საკურთხეველს შემოხვეული ქერუბიმებივით რომ გროვდებიან ბუხრის პირას (ეს სანახაობა ბოროტ კაცსაც კი შეძრავს). და ქალბატონი და მისი ქალიშვილები და დის-შვილები ბრწყინავენ ვითა გინეა და შვიდშლინგიანი მონეტები.

ბებერმა ლამბრომ შეუმჩნევლად გაიარა საიდუმლო კარი და საღამოს პირზე შევიდა თავის დარბაზში; ამ დროს ქალბატონი და მისი სატრფო ისხდნენ და ქეიფობდნენ თავიანთი სილამაზისა და სიამაყის ამარა: სპილოს ძვლის, მოვარაყებულის, გამლილი მაგიდა ედგათ წინ, აქეთ-იქიდან მოხდენილი მონები ემსახურებოდნენ; თვალმარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით გაენწყოთ მაგიდა, არც უფრო იაფი სადაფი და მარჯანი აკლდა.

სადილად ათასი კერძი მაინც ჩამოედგათ; ცხვრის ხორცი, ფისტაჩოს კაკლები, სხვა ყველანაირი ხორცი, ზაფრანას წვინანები, ტკბილი კვერები; თევზეული, ყველაზე საუკეთესო, რაც კი ბადეში მოხვედრილა ოდესმე და სიბარელთაც არ ღირსებათ; სასმელად ედგათ სხვადასხვანაირი შარბათები, ყურძნისა, ფორთოხლისა თუ ბრონეულის წვენისა, კანიანად გამონურულის, რაც კიდევ უფრო გემრიელია.

ირგვლივ ჩამწკრივებულიყო მინის გამჭვირვალე სურებში ჩასხმული ღვინო; ხილი და დედას პურებიც იქვე მიმოხნეულიყო სუფრაზე, და მოკას ყავაც არაბეთიდან მოტანილი, ციცქნა, ჩინურ ფინჯნებით მოართვეს ბოლოს, ფილიგრანულად დამუშავებულ ოქროს ლანგრებზე დანყობილი, რათა ხელი არ დასწვოდათ, მიხაკის, ცინამონისა და ზაფრანის ნაზავით მოედულებინათ ეს ყავა, და ამით (ჩემი აზრით) გაეზედაპირულებინათ.

ოთახი სხვადასხვა ფერის ხავერდის ჩარჩოში ჩასმული გობელენებით მოერთოთ, ზედ უხვად ამოქარგულიყო ყვავილები დამასკური აბრეშუმით; და გარშემოვლებოდა ყვითელი ზოლი; ზემოთ დიდი ხელოვნებით ლურჯად მოერთოთ და სპარსული შეგონებანი ამოქარგათ იასამნისფერი ასოებით, მათი საუკეთესო პოეტებისა თუ მორალისტებისა.

ეს აღმოსავლური წარწერები კედელზე, საკმაოდ გავრცელებული იმ ქვეყნებში, ერთგვარი შეგონებანია, მუდამ რომ შეგვახსენებენ, თავის ქალებისა არ იყოს მემფისურ ნადიმზე, ან სიტყვები, ბალთაზარის კედელზე რომ წაენერა და სამეფოც გამოსწირა: თუმც იცოდეთ, რაოდენი სიბრძნეც უნდა აფრქვიონ ბრძენკაცებმა, ტკობა კიდევ უფრო დამაჯერებელი მორალისტია.

სილამაზე — დაისის ჟამს დაუშნოვებული, გენიოსი — სმით სიკვდილის პირას რომ მიიყვანს თავს, მეთოდისტად გარდაქმნილი გარყვნილი ან ეკლექტიკოსი (ამ სახელზე უყვართ ლოცვა), მაგრამ ყველაზე მეტად აპოპლექსიადარტყმული ოლდერმენი ისეთი რამეებია, რაც მართლაც რომ სუნთქვას შეგვიკრავს და გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის მიმწუხრის საათები, ღვინო და სიყვარული ისე ვერ დაგვაზიანებს, ვითარცა სუფრა.

ჰაიდესა და ჟუანს ფეხი მოერთხათ მენამულ ატლასზე, ღია ცისფერი არშია რომ შემოვლებოდა, მათი ტახტი მთელი ოთახის მესამედს იკავებდა და სავსებით ახალი ჩანდა; ხავერდის ბალიშები (სამეფო ტახტს რომ შეჰფეროდა) ალისფერი გახლდათ და ზედ ოქრომკედით გამოსახულიყო მზე და სხივები — მერიდიანივით აქეთ-იქით განოლილი.

მარმარილო და კრისტალები, ფაიფურის ქურქელი ბრწყინავდა; ინდური საფენები და გულისშემძვრელი სპარსული ხალიჩები იატაკზე გაფენილიყო; ქურციკები და კატები, ჯუჯები და ზანგები და სხვა მისთანანი ლუკმას ლაქიობითა (მინისტრობით) და ფავორიტობით (ანუ გადაგვარებით) რომ შოულობენ, ისე მრავლად ირეოდნენ იქ, ვითა სამეფო კარსა ან ბაზრობაზე.

ვერ მოისაკლისებდი ვერც დიდებულ სარკეებს და ვერც შავი ხის მოხარატებულ, მარგალიტითა და სპილოს ძვლით განწყობილ, კუს ბაკნითა თუ ძვირფასი ხით დამზადებულ, ოქროთი და

ვერცხლით მორთულ მაგიდებს, რომლებზეც ელაგა საკვები, შარბათები და ღვინო ყინულითურთ, გამზადებული მომსვლელთათვის, როცა კი უნდა მობრძანებულიყვნენ სასადილოდ.

ყველა სამოსს შორის ჰაიდესას გამოვარჩევ: ორი ჯელიკი ეცვა — ერთი ღია ყვითელი; პერანგი — ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი — რომლის შიგნითაც ეზვირთებოდა მკერდი; მუხუდოსხელა მარგალიტის ღილები ესხა; ჯელიკის ამხანაგი ოქროსფრად და ჟოლოსფრად ბზინავდა, ზოლიანი თეთრი გაზის ბარაქანი შემოეხვია, ხავერდოვანი ღრუბელი ვითარც შემოეხვევა მთვარეს.

თვითეულ მკლავზე თითო ოქროს სამაჯური ეკეთა, უსაკეტო, ბაჯაღლო ოქროსი, უმტკივნეულოდ რომ ერტყმოდა ხელზე, ღვთაებრივად ჩამოსხმულ კიდურზე, ისე მშვენიერზე, მისი თვითეული ნაკვთიც მოგაჯადოებდათ; და ისე ეჭიდებოდა მკლავს, თითქო არა სურს მისი მიტოვებაო; უძვირფასესი ლითონი შემოვლებოდა უთეთრეს კანს.

და როგორც პრინცესას მამის მიწაზე, ასეთივე ოქროს სარტყელი შემორტყმოდა წვივზე, მის წოდებას ადასტურებდა თორმეტი სამაჯური, თმა — მორთული ძვირფასი ქვებით, ვითარც ვარსკვლავებით; მისი მანდილის მშვენიერ ნაკვეცი მკერდთან შეკრულიყო ძვირფას მარგალიტთა ასხმულით, რომელთა ფასის დადგენაც გაძნელდებოდა, ნარინჯისფერი აბრეშუმის თურქული შარვალი დაშვებულიყო მსოფლიოში ულამაზეს კოჭამდე.

მისი თმის მონითალო ხორბლისფერი ტალღები კოჭებამდე სცემდა, ვითარცა ალპური ჩანჩქერი, მზე რომ შეფერავს დილის ნათელით, და შეეძლო ერთიანად გახვეულიყო მათში და თმის ღერები თითქო უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, აბრეშუმის ბაფთით შეკრულნი, და თავის დაღწევას ცდილობდნენ, ნიავი გაეთამაშებოდათ თუ არა და შეარხევდათ.

გარშემო სიცოცხლეს აფრქევდა, ჰაერი კიდევ უფრო მსუბუქი ჩანდა მის თვალთაგან, რომელნიც ისეთი ნაზი და მშვენიერი ჰქონდა, ისეთი, რომ მარტოდენ ზეცაში შეიძლება წარმოვიდგინოთ; ფსიქეასავით უმანკო გახლდათ, ვინემ ცოლი შეიქნებოდა, ისეთი უმანკო, ადამიანური კავშირისათვის დაგენანებოდა.

მასთან ახლოს ყოფნისას იფიქრებდი, კერპთაყვანისმცემლობა არ იქნება, მუხლი რომ მოვიყაროო.

წამნამები ისედაც ღამესავით მუქი, შეღებილი ჰქონდა (ქვეყნის ტრადიციის კვალობაზე) და სულ ტყუილუბრალოდ; რადგან შავი თვალები ისე კუნაპეტად უბზინავდა, რომ ეს მოკაშკაშე მემამობენი დასცინოდნენ მათი ზღუდის შეფერილობას და შურს იძიებდნენ მათი ბუნებრივი ფერისა გამო.

ფრჩხილები ინით დაეფარა, მაგრამ აქაც გაცრუებულყო ხელოვნება, რადგან უფრო მეტად ველარ გავარდისფერებულებიყვნენ.

ინა უხვად უნდა მოიხმარო, კანი რომ უფრო მშვენიერი გამოჩნდეს; მას არ სჭირდებოდა ასე მოქცევა, რადგან დილით განათებული მთის მწვერვალებიც კი არა ქათქათებს ისერიგად, ვითარცა ჰაიდე, თვალი ვერც კი დაიჯერებდა მის ხორციელებას, ისე ჰგავდა ხილვას, ეგება ვცდები, მაგრამ შექსპირიც ხომ ამბობს, სისულელეა „მოაოქროვო ბაჯალლო ოქრო ან შეღებო შროშანი“.

ყუანს შავი, ოქროთი მოსირმული მოსასხამი მოესხა, თეთრი შალის სამოსი ეცვა, ისეთი გამჭვირვალე, მის მიღმა მბზინავი ძვირფასი ქვები შეგეძლოთ დაგენახათ, ირმის ნახტომის მცირე ვარსკლავებს მოჰგავდნენ; ჩალმა ეხურა მოხდენილად დახვეული და ზედ ჯილა ზურმუხტებით მორთული და ჰაიდეს თმით შეკრული, და ზედ მოკაშკაშე მთვარე, რომლის სხივნიც თრთოდნენ, მაგრამ არა ქრებოდნენ.

მათი ყურადღება მიპყრობილიყო ამალისაკენ, ჯუჯების, მოცეკვავე გოგონების, შავკანიან საჭურისთა და პოეტისაგან რომ შედგებოდა.

პოეტი სახელგანთქმული გახლდათ და თავის გამოჩენა სურდა: მის ლექსებს იშვიათად აკლდა შესაფერისი ტერფი, აი, თემას კი აროდეს გადაუხვევდა, რადგანაც სატირისა და ხოტბის შესხმისათვის უხდიდნენ, ვითა ფსალმუნი ამბობს, „თხზავდა კეთილად“.

აქებდა ანმეოს და აძაგებდა ნამეოს, აქიაქებდა წარსულ დღეთა კეთილ ჩვეულებებს ეს აღმოსავლელი ანტიიაკობინელი, როგორც იქნა მორჯულდა, კაი შეჭამანდი ამჯობინა, გა-

მოიარა ავბედითი დღეები, როს იმას თხზავდა, რასაც ფიქრობდა, ახლა სულთანს აქებდა და ფაშას, საუთის მსგავსი სიმართლითა და ქრემოუს დარი ლექსით.

ეს იყო კაცი, ვისაც ენახა მრავალი ცვლილება, და მათ კვალობაზე იცვლებოდა თვითონაც, თითქო ნემსი ეყრებოდა ქსოვილში, მისი პოლარული ვარსკვლავი უძრავად არ იდგა, ადგილს იცვლიდა; ლიქნაც იცოდა და ამით უსხლტებოდა მრავალ განსაცდელს, ენაც უჭრიდა (როს შეუძლოდ არ იყო) და ისე მგზნებარედ ცრუობდა, უსათუოდ ლაურეატის პენსიას მიაღწევდა.

მაგრამ სულიც ჰქონდა, მოღალატეთაც კი აქვთ სული, და „Vates irritabilis“ თადარიგს იჭერენ, შეუმჩნევლად გაერიდონ სავსე მთვარეობას; რაც შეეხება საჯარო ყურადღებას, კარგ კაცებსაც კი სიამოვნებთ...

მაგრამ რას ვამბობდი, მოიცა ვნახო, სად შევჩერდი?

ჰო, მესამე ქება, მშვენიერი წყვილი, სიყვარული, ნადიმი, სახლი, სამოსი და მათი სახლი კუნძულზე და იქ ცხოვრება.

მათი პოეტი, სევდიანი მკრეჭავი, მაგრამ არიფებში კაი ჯეელი, ცნობილი მრავალთათვის და მათთვის ტკბილ-ტკბილ ამბავთა მთხველი, და თუმც მისი იშვიათად ესმოდათ, მაინც ასლოკინებდათ და ღმუოდნენ აღტაცების ნიშნად, თუმც არცერთმა არ უწყოდა, მეორე რას აღეტაცებინა.

ახლა კი მაღალ საზოგადოებაში მოხვედრილი, სხვადასხვა თავგადასავლებამოვლილი, ხეირნანახი აქეთ-იქით ხეტილისას და თავისუფლებაზე მოფიქრალი, ამ განმარტოებულ კუნძულზე მოხვედრილი მეგობრებს შორის, ვარაუდობდა, რომ დიდი არეულობა არ მოჰყვებოდა თუ, ბევრი ტყუილის შემდეგ, ძველის ამოგებას შეეცდებოდა და იმღერებდა, კეთილ წარსულში ვითარ სჩვეოდა, და მცირე ხნით დაუზავდებოდა სიმართლეს.

ემოგზაურა არაბეთში, თურქეთში, ფრანკებში და გაეცნო თავმოყვარეობა განსხვავებული ერებისა; ეცხოვრა ყველანაირ ხალხში, ამიტომაც მუდამ მზად ჰქონდა რაღაც — ყოველი შემთხვევისათვის; რისთვისაც საჩუქრებსაც ღებულობდა მცირეოდენს და მადლობასაც, ლიქნის სხვადასხვა ხერხიც იცოდა, და „რომში ისე იქცეოდა, ვითარც რომაელთ სჩვეოდათ“.

ქცევის ეს წესი საბერძნეთში შეეთვისებინა.

და ყოველთვის, ოდეს სთხოვდნენ რალაც ემღერა, სხვადასხვა ერს რალაც თავისას, ეროვნულს უმღეროდა; მისთვის სულერთი იყო „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“ თუ „Ca ira“, როდის რა იყო საჭირო; მისი მუზა ყველაფერს ერგებოდა — უმაღლესი ლირიკიდან მდაბალ ყოფიერებამდე: თუ პინდარე ცხენთა შეჯიბრს უმღეროდა, ამ ჩვენს პოეტსაც ხელს რა შეუშლიდა, ყოფილიყო პინდარესებრი მოქნილი.

საფრანგეთში, მაგალითად, შანსონს დანერდა; ინგლისში ექვსსიმღერიან კვარტო ზლაპარს; ესპანეთში ბალადას შეთხზავდა ან რომანსს უკანასკნელი ომის თაობაზე, იმავეს იქმოდა პორტუგალიაში; გერმანიაში მისი პეგასი მოხუცი გოეთეს მიბაძვით აყრიდა ტლინკებს (ნახეთ, რას ამბობს დე სტალი); იტალიაში Trecentisti-ს მიბაძავდა მაიმუნივით; საბერძნეთში კი რალაც ასეთ ჰიმნს გიმღერებდათ:

საბერძნეთის კუნძულები

საბერძნეთისა კუნძულნო, საბერძნეთისა კუნძულნო!
სად მგზნებარე საფო დაღვრილა სიყვარულად და სიმღერად,
სად ამოზრდილა ხელოვნება ომისა და მშვიდობისა,
სად დელოსი გადიადებულა და ფებუსი ამობრწყინებულა!
მარადიული გაზაფხული ავარაყებს მათ ოქროთი, მაგრამ
ყოველივე, გარდა მათი მზისა, ჩასვენებულია.

სკიანური და ტეიანური მუზა, გმირის ჩანგი, სატრფოს სალამური ჰჰოვებენ იმ სახელს, რაც შენმა ნაპირებმა უარჰყვეს; მხოლოდ მათი დაბადების ადგილია მუნჯი იმ ხმათათვის, რამაც უფრო დასავლეთით უნდა გამოიწვიოს ექო, ვინემ თქვენ, უფალო „დალოცვილო კუნძულნო“.

მთანი გადაჰყურებენ მარათონს, მარათონი კი — ზღვას; და საათობით იქ განმარტოებით მჯდომი, ვოცნებობდი საბერძნეთის თავისუფლებაზე; რადგან სპარსელთა საფლავზე მდგომს, ჩემი თავი მონად ვერ წარმომედგინა.

ჯდა მეფე კლდის კიდებზე, ზღვაში აღმოცენებულ სალამისს რომ გადაჰყურებს; და ათასობით გემი მოჩანდა ქვემოთ, და

ხალხი სხვადასხვა ჯურის; — ყველაფერი მისი გახლდათ! დღის ბოლომდე ითვლიდა, და ოდეს მზე ჩაესვენა, სადღა იყვნენ?

და სადღა არიან ისინი? და სადა ხარ შენ, ჩემო ქვეყანავ? შენს მიჩუმებულ სანაპიროზე აღარ გაისმის გმირული სიმღერები, გმირული გული აღარ ძგერს! და შენი ჩანგი, ხანგრძლივ ასერიგ ღვთაებრივი, ჩემი გადაგვარებული ხელით უნდა ჟღერდეს?

ესეც რამეა, როს დიდებას მოვისაკლისებთ, და ეხმაურება ბორკილდადებულ ერს, პატრიოტული სირცხვილი რომ მაინც იგრძნოთ, აი, ჩემსავით, სიმღერისას სახეს რომ ვმაღავ; და რალა დაშთენია პოეტს აქ? ბერძენთა განზილება და საბერძნეთის ცრემლები.

მხოლოდ ის დალოცვილზე დალოცვილი დღეები უნდა ვიგლოვოთ? უნდა ვნითლდებოდეთ? დედამინავ! უკან დაგვიბრუნე შენი მკერდიდან ჩვენს მიცვალებულ სპარტელთა ნაშთები! სამასიდან სამი მაინც გვიბოძე, რათა ახალი თერმოპილე გავმართოთ!

რაო, კვლავ გავჩუმდეთ? და ყველა გავჩუმდეთ? ოჰ! არა, მიცვალებულთა ხმა ჩანჩქერის ხმიანობასავით მოისმის, და გვპასუხობს, “დაე თუნდ ერთი ცოცხალმა ასწიოს თავი, ჩვენ მოვალთ, მოვალთ!” დამუნჯებულნი კი მხოლოდ ცოცხლები არიან.

მაგრამ ამაოა, სხვა აკორდი ავიღოთ, ავავსოთ თასები სამოსური ღვინით, ბრძოლა თურქულ ურდოებს დავუთმოთ, და მხოლოდ ქიოსური ღვინის სისხლი დავღვაროთ, ისმინეთ! თუ ვითარ აღსდგებიან ხმადაბალ ძახილზე ბახუსის გაბედული მიმდევარნი!

ფირიქული საომარი ცეკვა რომ შემოგინახავთ, ფირიქული საომარი ფალანგა სად წასულა? ორი ასეთი გაკვეთილიდან რატომ დაივიწყეთ უფრო ვაჟკაცური და კეთილშობილური? თქვენ ფლობთ კადმოსის ბოძებულ ანბანს, ვითარ გგონიათ, მონებისათვის შეჰქმნა?

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! ნუ ვიფიქრებთ ამგვარ ამბებზე! ასე მღეროდა ანაკრეონტი ღვთაებრივ სიმღერებს: ემსახურებოდა პოლიკრატეს, ტირანს, მაგ-

რამ მაშინდელი მბრძანებელნი ბოლო-ბოლო ჩვენი თანამე-
მამულენი მაინც იყვნენ.

ხერსონესის ტირანი იყო თავისუფლების საუკეთესო და
უმამაცესი მეგობარი; ეს გახლდათ ტირანი მილტიადესი!
ოჰ, ნეტა ანმყო დროშიც ველირსებოდეთ ამგვარ დესპოტს!
უთუოდ დავიდებდით მის ბორკილებს.

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! სულის კლდე-
სა და პარგას ნაპირებთან შემორჩენილია ნაშთი ისეთი ხა-
ზისა, დორიელი დედანი რომ ატარებდნენ; და ალბათ იქ
არის დათესილი მარცვალე ჰერაკლიდური სისხლისა.

ნუ მიენდობით ფრანკებს, თავისუფლებას რომ გპირდები-
ან, მათი მეფე ყიდის და ყიდულობს; მშობლიურ მახვილთ და
მშობლიურ მეზრძოლთ დაეყრდენით, ერთადერთი იმედი გა-
ბედულებაშია; მაგრამ თურქული ძალადობა და ლათინური
თაღლითობა გააპობს შენს ფარს, რაც უნდა ფართო იყოს.

პირთამდე აავსეთ თასი სამოსური ღვინით! ჩვენი ქალწუ-
ლნი ჩრდილებში ცეკვავენ, ვხედავ, ვითარ ანათებს მათი შა-
ვი თვალები; მაგრამ თვითეული მშვენიერი ქალწულის ცქე-
რისას შეუშრობლად მდის ცრემლი, რომ მათმა ძუძუებმა
მონები უნდა გამოკვებონ.

სუნიუმის მარმარილოს საფეხურებზე დამასვენეთ, სად
მხოლოდ მე და ტალღები ვიქნებით, რომ მარტოდენ ჩვენი
ბუტბუტი ისმოდეს; რათა ვიმღერო გედივით და მოვკვდე;
მონების მიწას ვერ შევეთვისებ, დაამსხვრიეთ სამოსური
ღვინის თასები.

ასე მღეროდა, ან იმღერებდა, ან შეეძლო ემღერა, ან უნდა
ემღერა თანამედროვე ბერძნულის შესატყვისი ლექსით; და თუ
მთლად ისე არა, ვითარც ორფეოსი მაშინ, ოდეს საბერძნეთი
ახალგაზრდა იყო, ამ დროებაში გაცილებით უარესად გამო-
დის; დაძაბულობა წარმოშობს განცდას, სწორს ან მრუდს, და
განცდა პოეტისა წყაროა სხვათა განცდათა; მაგრამ განცდანი
ცრუობენ და ფერებს იცვლიან, მღებავის ხელებისა არ იყოს.

მაგრამ სიტყვები საგნებია და ერთი წვეთი მელანი, ცვარი-
ვით დადენილი ფიქრთაგან, წარმოშობს ათასობით და ალბათ
მილიონობით ფიქრს; უცნაურია, უმცირესმა, ციცქნა ასომ, კა-

ცი რომ იყენებს მეტყველების ნაცვლად, შესაძლოა წარმოშოს ხანგრძლივი ჯაჭვი საუკუნეთა; რაც უნდა შეავინროგოს დრომ მყიფე კაცი, ფურცელი, თუნდ ამისთანა ნაგლეჯი, გადაარჩენს მასაც, მის საფლავსაც და ყოველივეს, რაც მისია.

და როს ძვლები მტვრად ექცევა, მისი საფლავი იავარიქმნება, მისი საცხოვრისი, თაობა, თვით ერი მისი არარად გარდაიქცევა, მარტოდენ ქრონოლოგიურ მეხსიერებას შემორჩება საზეიმო მოხსენებისათვის — რომელიღაცა უნდილმა მაგისტრმა დავინყებას მიცემულ სიძველეთა კვლევისას, საფლავის ქვათა ძიებისას ძველ ნანგრევებში, საიდუმლო სამალავის თხრისას შესაძლოა ამოატივტივოს სახელი, ვითარცა იშვიათი განძი.

ხოლო დიდება კარგახანია ბრძენკაცთა ღიმილს ინვევს.

რა არის ეს?

არაფერი, სიტყვები, ილუზია, ქარი — დამოკიდებული უფრო ისტორიკოსის სტილზე, ვინემ იმ სახელზე, პიროვნება რომ ტოვებს; ტროა უმადლის ჰომეროსს იმავეს, რასაც ვისტი უმადლის ჰოილს; ანმყომ დაივინყა დიად მარლბოროს გამარჯვებანი, ვინემ არქიდიაკვანი კოქსი გამოაქვეყნებდა წიგნს მის ცხოვრებაზე.

ვამბობთ, მილტონი პოეზიის პრინცია; ცოტა მძიმე, მაგრამ მაინც ღვთაებრივიო; დამოუკიდებელი კაცი გახლდათ, განათლებული, ღვთისმოსავი, თავშეკავებული ღვინოსა თუ სიყვარულში; მაგრამ მისი ცხოვრება ისევე წარიმართა, ვით ჯონსონისა; ამბობენ, მილტონი, ეს დიადი ქურუმი, კოლეჯში გაუნკეპლავთ, უხეში ბატონი ყოფილა, ახირებული ქმარი და მისის მილტონი ამიტომაც წასულა შინიდანო.

ყოველივე ეს უთუოდ გასართობი რეალიებია, ისეთივე, შექსპირმა რომ ირემი მოკლა, და ლორდ ბეკონი ქრთამს რომ იღებდა; ისეთივე, ვითარცა ტიტუსის სიყმანვილე, კეისრის ჭაბუკური თავქარიანობა; ბერნსის ამბები [ვისაც კარგად აგვინერს დოქტორი ქიური]; ისეთივე, ვითარცა კრომველის სიცულქენი; და თუმც სიმართლე ადასტურებს, რომ ეს შინაურული ამბები არსებითია გმირის ბიოგრაფიაში, ისინი ბევრს ვერას მატებენ გმირის დიდებას.

ყველა საუთის მსგავსი მორალისტები ხომ არა ვართ, „პანტი-სოკრატიაზე“ რომ ლაქლაქებს, ან უორდსვორთის მსგავსნი, უაქციზოდა და უსამსახუროდ დარჩენილი სეზონურად რომ აცხობს თავის სანვრილმანო ლექსებს დემოკრატიაზე, ან კოლ-რიჯის მსგავსნი, რომლის თავქარიანმა კალამმა არისტოკრა-ტულობა განუმტკიცა „მორნინგ პოსტს“; ოდეს იგი და საუთი ერთ ბილიკზე შემდგარნი შეამხანაგდნენ (ბათელი პრანჭიები).

ასეთი სახელები დღეისათვის დამნაშავეზე მიანიშნებს, ბო-ტანი ბეის ტუსაღებზე ზნეობრივ გეოგრაფიაში; მიანიშნებს მათ შეთქმულებაზე, ერთგულება რომ დაუმტკიცეს ხელისუფ-ლებას ამ მტკიცე რენეგატებმა, რითაც კარგი მანევრი გამოუ-ვიდათ თავიანთი ფშუტე ბიოგრაფიისათვის.

უორდსვორთის ბოლო ლექსი უფრო გრძელია, ვინემ აქამდე მიუერთმევია ტიპოგრაფიისათვის; მძინარა, უნდელი ლექსია და ჰქვია „ექსკურსია“, და ისეა დანერილი, ზიზღსა მგვრის.

აქ მას დიდი თხრილი გაჰყავს თავის და სხვათა ინტელექტს შორის; მაგრამ უორდსვორთის ლექსი და მისი მიმდევარნი, ჯოანა საუთქოთის შილოსა და მისი სექტის მაგვარნი, საზოგა-დოების ყურადღებას ვერ იქცევენ ამ საუკუნეში, სად მცირედ-ნი არიან რჩეულნი; და მათი გაცვეთილი ამბავი ქალწულის მი-ერ შობისა მარტოდენ შარდის შეხუთვაა ზეციდან მოვლენილი. მაგრამ მოდი ჩემს ამბავს დავუბრუნდები.

თუ რაიმე დავაშავე, გადახვევაა, ჩემს ხალხს მარტო რომ ვტოვებ და მე კი მონოლოგებს გავედევნები ხოლმე შორს; მაგ-რამ ეს ხომ ჩემი მიმართვანია, ტახტზე მჯდომი რომ გავცემ, და საქმეს გადავდებ მომავლისათვის.

თვითეული ამ გადახვევის დავინყება დანაკარგი იქნება მსოფლიოსათვის, თუმც არც ისე დიდი, ვით არიოსტოა.

ვიცი, რასაც ჩვენი მეზობლები „Longueurs“ უწოდებენ (საა-მისოდ შესაფერისი სიტყვა ჩვენ არ გაგვაჩნია, მაგრამ თვით საგანი კი მოგვეპოვება მთელი თავისი სრულყოფილებით, ბოზ საუთისაგან რომ მოედინება ყოველ გაზაფხულზე), სრულები-თაც არ წარმოშობს ნამდვილ ცთუნებას, მკითხველს რომ თავ-ბრუს დაახვევს; მაგრამ ძნელი არ იქნებოდა მოგვეტანა კობტა

მაგალითები *epopée*-დან, რათა დაგვემტკიცებინა, რომ მისი მთავარი არსი გულისგანწერილებაა.

ჰორაციუსისაგან ვიცით, რომ „ჰომეროსი ხანდახან ჩათვლემს“; და ამას ჩვენც ვგრძნობთ; უორდსუორთი ხანდახან იღვიძებს, რათა გვიჩვენოს თვითკმაყოფილება, მისი ტბის გარშემო მეეტლეთა დანახვისას აღძრული; და ნატრობს „ნავს“, რათა გადაცუროს ღრმა ოკეანე? არა ჰაერი; და მერე კიდევ აღმოხდება ოხვრა „პატარა ნავისა“ გამო, რათა ზღვებზე იცუროს.

თუკი სურს ილივლივოს ეთერულ სივრცეებში, და პეგასმა ბეჯითად უნდა ზიდოს თავისი „ეტლი“, განა არ უნდა სთხოვოს სესხი ჩარლზის ურიკას ან ცალი ურჩხულის ჩუქებას შეეხვეწოს მედეას? ან, ძალზე კლასიკური თუ არ იქნება მისი ვულგარული გონებისათვის, კისრის მოტეხვას არ მოერიდოს ასეთი ურა კვიცისაგან, და რომ გასწიოს მთვარისაკენ, ბრიყვისაგან საჰაერო ბურთის მოთხოვნას რომ დაემგვანება.

„მეწვრილმანეები“, „ნავეები“ და „ეტლები“! ასე ხომ პოუპისა და დრაიდენის აჩრდილებთან მივდივართ? ამგვარი ნაგავი არა მხოლოდ დაუსხლტება გაკიცხვას, არამედ სიღრმიდან ზედაპირზეც კი ამოცურდება და გრძნობათა და სიმღერათა ამ ჯეკ კეიდმა შესაძლოა შენს საფლავზეც კი დაუსტვინოს „პატარა მენავე“ და „პიტერ ბელი“ და ქირქილი დაიწყოს „აქიტოფელის“ დამხატვაზე.

ჩვენს ამბავში კი ლხინი დამთავრდა, მონები გაიკრიფნენ, ჯუჯებმა და მოცეკვავე გოგონებმა მოისვენეს; არაბული ზღაპრები და პოეტის სიმღერა დასრულდა და ღრეობის ხმები მიწყდა; ქალბატონი და მისი სატრფო მარტო დარჩნენ, მწუხრის ზეცა ვარდისფრად შეიფერა;

ავე მარია, მინასა და ზღვაზე ამ ზეციური საათის დადგომა შენი შესაფერია.

ავე მარია!

დაილოცოს ეს საათი!

დრო, ამინდი, ადგილი, სად ასე ხშირად მიგრძენია ყოველივე ეს მთელი სავსებით, თუ ვით ეშვება დედამინაზე მშვენიერი და ნაზი სწორედ იმ დროს, როს ზარი ჩამოჰკრავს შორეულ კომპზე, ან მიწურული დღის ჰიმნი გაიხმიანებს და სუნთქვაც

კი ისმის ამ ვარდისფერ ჰაერში, და ტყის ფოთლები თითქო შრიალით ლოცულობენ.

ავე მარია!

ლოცვის საათია!

ავე მარია!

სიყვარულის საათია!

ავე მარია!

ნება უბოძე ჩვენს სულებს, ამოგხედონ შენ და ყრმას შენსას!

ავე მარია!

ო, რა მშვენიერია სახე, თვალნი რომ დაუხრია ყოვლისშემძლე მტრედის წინაშე!

მერედა რა, თუ დახატულია?

არა, ეს ნახატი კერპი არ გახლავთ, ისე ძალიანა ჰგავს.

ზოგიერთი კაზუისტი სიამოვნებით იმეორებს მრავალ გამოცემაში, რომ მე სასოება არ გამაჩნია.

მოიყვანეთ ის ხალხი, ჩემთან ერთად დააჩოქეთ ლოცვაზე და ნახავთ, ვისი რწმენაა ძლიერი და რომელი უფრო მალე მიაღწევს ზეცამდე.

ჩემი საკურთხეველნი მთები და ოკეანეა, დედამიწა, ჰაერი, ვარსკვლავები, ყოველი, რაც დიადი მთლიანობიდან მოედინება, ვინც გამოავლენს და დაიბრუნებს სულს.

ტკბილი საათი მწუხრისა! განმარტოებით ფიჭვნარში, მდუმარ ნაპირზე რავენას უძველეს ტყეს რომ აკრავს, ფესვებგადგმულს იქ, სად ოდესღაც ადრიანეს ნაკადი მოედინა, სად კეისრის სიმაგრე იდგა, მარადმწვანე ტყეში! სად ბოკაჩოს სიბრძნე და დრაიდენის სიმღერები მენვეოდა ხოლმე, ვითარ მიყვარდა მწუხრის საათი და ვითარ მიყვარდი შენ!

ჭრიჭინათა გამყივანი ხმაური ფიჭვნარის ხალხს ზაფხულს ერთ დაუსრულებელ სიმღერად უქცევს, სად მხოლოდ ჩემი ცხენისა და ჩემი ხმის ექო გახმიანდება, და მწუხრის ზარებისა, ოდნავ რომ შეარხევს რტოებს.

ონესტის გვარის მონადირის აჩრდილი, მისი ჯოჯოხეთური ძაღლები და მათი დევნა, და მშვენიერთა გუნდი, რომელმაც ამ მაგალითით ისწავლა, რომ არ უნდა გაექცე ქვეშაირიტ სიყვარულს, მოელანდა ჩემი გონების თვალს.

ო, ჰესპერუს, შენ მოგვივლენ ყოველივე სიკეთეს, დაქან-
ცულს — ბინას, მშიერს — სუფრას, ბარტყს — მშობლის მფარ-
ველ ფრთებს, ილაჯგანყვეტილ ცხენს — სადგომს; რაოდენი
მშვიდობა მოედინება ბუხრის პირიდან და რაოდენ დაცულად
ვგრძნობთ თავს შინ დაბრუნებულნი, შენი მფარველი თვალი
არა გვშორდება; შენ იფარავ დედის მკერდს ჩაკრულ ბავშვს.

ნაზი საათი! სურვილს რომ აღვიძებს და აჩქროლებს გულს
მათასს, ვინც ზღვებში შეცურავენ, განსაკუთრებით პირველ
დღეს, როს ტკბილ მეგობარს დამორდება; ან პილიგრიმისას,
ცაზე ვენერას გამოჩენა რომ სიყვარულს გაუღვივებს და ააჩ-
ქარებს, თითქო მიწურული დღე უნდა გამოიტიროსო; ნუთუ ეს
მოჩვენებაა, ჩვენი გონება რომ აითვალწუნებს?

ეჰ! მართლაც რომ არაფერი კვდება დაუტირებლად!

ოდეს ნერონი დაიღუპა სამართლიანი ბედისწერით განგმი-
რული, რომელიც ანადგურებს გამნადგურებელს, ხმაურში გა-
თავისუფლებული რომისა, გათავისუფლებული ერებისა და
მსოფლიოს ზეიმში, მაინც ვილაცის უხილავმა ხელმა ყვავილე-
ბი მოაბნია მის საფლავზე; ალბათ გული მთლად არ დაცლილი-
ყო სიკეთისაგან, და იმ უგვანს შეურყვნელი საათი აჩუქა.

მაგრამ მე კვლავ გადავუხვიე, რა შუაშია ნერონი, ან ამგვა-
რი გვირგვინოსანი ტიკინები ჩემი გმირის თავგადასავალთან,
რა შუაშია ამგვარი მთვარეულები?

ამან ხომ ჩემი წამოწყება შეიძლება გააქარწყლოს, და სხვა
მრავალივით მაჩანჩალად გადავიქცე ლექსის მწერალთა შო-
რის (კანტაბის სახელმობხვეჭილთა შორის, ყველაზე დაბალი
ხარისხი რომ მიიღეს).

ვგრძნობ, მოწყენილობა არ გამოგვადგება, მეტისმეტად
ეპიკური ხდება, და ამიტომაც ეს გრძელი ქება (გადაწერისას)
ორ ნაწილად უნდა გავყო; და ვერვინ ვერას მიხვდება, გარდა
ორიოდე გამოცდილი კაცისა; და ამას წარმოვანენ გაუმჯობე-
სებად, და დავამტკიცებ, რომ არისტოტელეს *passim*-იდან მო-
დის, თუკი იხილავთ „პოეტიკას“.



თავი მეოთხე

სტამბოლის ბაზარზე

არაფერია ისეთი ძნელი პოეზიაში, ვითარც დაწყება, და ალბათ დასრულებაც; რადგანაც ხშირად, ოდეს პეგასი თითქოსდა იმარჯვებს რბოლაში, ფრთას მოიტეხს და დაღმა ვეშვებით, ვითა ზეციდან ცოდვისათვის დანარცხებული ლუციფერი.

ჩვენი ცოდვაც ხომ იგივეა.

და ძნელია გამოსყიდვა სიამაყისა, შორს, ზევით რომ მიისწრაფის, ვინემ ჩვენივე სისუსტე გვიჩვენებდეს თუ რანი ვართ.

მაგრამ დრო, რაც ყველას ათანასწორებს, და მწარე სიდუხჭირე — ვიმედოვნებთ — ასწავლის კაცს და ალბათ ეშმაკსაც, რომ არცერთის ინტელექტი არ არის დიადი.

როს სიყმანვილის მხურვალე სურვილები ჩქეფს ჩვენს ძარღვებში, ამას ვერ ვხვდებით, სისხლი უსწრაფესად მიედინება, მაგრამ ნაკადი ოკეანეს შეერთვის თუ არა, ღრმად ვუფიქრდებით ყოველ ჩვენს ემოციებს.

ყრმობისას თავი ჭკვიან კაცად მიმაჩნდა და მსურდა სხვებსაც გაეზიარებინათ ეს აზრი; მათაც აიტაცეს, როს ქარაფშუტობის დღეები მედგა, და აღიარეს ჩემი მბრძანებლობა; ან კი, როს ზრდამ „ყვითელ ფოთლამდე“ მიაღწია და წარმოსახვის ჩარხი აჭრიალდა და მწუხარე სიმართლე ჩამოდგა მაგიდის თავზე, რაც რომანტიკული იყო, ბურლესკად შემომიბრუნდა.

და თუ დავცინი რომელიმე მოკვდავ საგანს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიტყვო; და თუკი ვტყვი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ბუნება ყოველთვის ვერ ინარჩუნებს განურჩევლობას და ამიტომაც უნდა ჩავძიროთ ჩვენი გულები ლეთას ნაკადულში, რათა მივაძინოთ ის, რისი ნახვაც ყველაზე ნაკლებ გვსურს:

თეტიხმა თავისი მოკვდავი ვაჟი სტიქსში მონათლა, მოკვდავმა დედამ კი ლეთას უნდა მიმართოს.

მავანმა ბრალი დამდო უცნაურ განზრახვაში, თითქოს ამ მიწის რწმენისა და ზნეობის წინააღმდეგ გამოვსულიყავ, და დასტურს ამ პოემის თვითეულ სტრიქონში დაეძებენ: არა მგონია, მე თვითონვე კარგად მესმოდეს თუ რას ვგულისხმობ, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ არაფერს ვიზრახავ, გარდა იმ სიხარულის წუთებისა, რასაც ახალი სიტყვა განმაცდევინებს ჩემს ლექსიკონში.

ჩვენებურ ჯანსაღ კლიმატს მიჩვეულ მკითხველს ამგვარად წერა ეგზოტიკურად მოეჩვენება.

პულჩი იყო მამამთავარი ნახევრადსერიოზული ლექსისა — მაშინ მღეროდა, როს რაინდობა უფრო მეტად წაიკიხოტურებდა, და ლხინობდა თავისი დროის ახირებულებათა შესაფერად, შესაფერად ჭეშმარიტ რაინდთა, უმანკო ქალბატონთა, ვეება გოლიათთა, დესპოტ მეფეთა: მაგრამ ესენი, გარდა მეფეთა, ხომ მოძველდნენ, და მეც თანამედროვენი ვარჩიე, ვითა უფრო შესაფერისი.

არ ვიცი, თუ ვითარ მოვერიე; ალბათ ისევე, თვითონ ვით მექცეოდნენ, როს ამბებს წარმოსახავდნენ, არა ისე, ვითარცა ხედავდნენ, არამედ ვითა სურდათ ეხილათ: და თუ ეს სიამოვნებას ანიჭებთ, იყოს ასე; ეს ხომ ლიბერალური საუკუნეა და აზროვნება თავისუფალია: ამ დროს აპოლონი მიწვეს ყურს და მიბრძანებს, განაახლე შენი ამბავიო.

ჭაბუკი ჟუანი და მისი სატრფო მარტო დატოვეს მათ გულთა ტკბილ საზოგადოებაში; უმონყალო დროც კი გადაამტვრევდა თავის სასტიკ ცელს ამ ნაზ ქმნილებათა ხილვისას; ამოიოხრებდა, რომ ეს წუთები უნდა წაერთმია მათთვის, თუმც კი სძულს სიყვარული.

და მაინც, მათ დაბერება არ ეწერათ, უნდა გარდაცვლილიყვნენ ბედნიერი გაზაფხულისას, ვინემ ხიბლსა და იმედს ქარი წაიღებდა.

მათი სახეები ნაოჭებისათვის არ შექმნილა, მათი კამკამა სისხლი — ასამღვრევად, მათი დიდი გულები — დასადუნებლად; უსახური ნაცრისფერი ვერ შეუფერავდათ თმას, და იმ კლიმატის

მსგავსად, სად არც თოვლი იცის და არც სეტყვა, მუდამ ზაფხული ექნებოდათ: შესაძლოა მეხი დასცემოდათ და დაფერფლილიყვნენ, მაგრამ გველივით გრძელი და ლპობადი სიცოცხლისათვის არ გაჩენილიყვნენ, ძალზე მოკლე დღე ჰქონდათ.

კვლავ მარტო დარჩნენ.

კიდევ ერთხელ აღმოჩნდნენ სამოთხეში.

არ იღლებოდნენ თუ ერთმანეთისაგან არ დააშორებდი: წლობით განტოტვილ ფესვთაგან მოგლეჯილი ხე, მდინარე — წყაროს მონყვეტილი, ბავშვი — დედის კალთასა და მკერდს მოშორებული, უფრო დიდხანს გაძლებდა, ვინემ ეს წყვილი — დაცილებული; ეჰ! არ არსებობს უფრო სავსე რამ, ვინემ გულია — გული, რომელიც შეიძლება გატყდეს: ბედნიერნი არიან, სამგზის ბედნიერნი, შექმნილნი ამ მყიფე ადამიანური თიხის ძვირფასი ფაიფურისაგან, პირველივე დაცემით რომ ტყდება და არ მოესწრებიან ერთმანეთს გადაბმულ მძიმე დღეებს და იმ ყოველს, რასაც გულით ატარებ და ვერ გითქვამს; რადგანაც ცხოვრების უცნაური პრინციპი ხშირად იმათში ჩამარხულა ღრმად, ყველაზე მეტად ვინც ნატრობს სიკვდილს.

ღმერთს ვინც უყვარს, ახალგაზრდები კვდებიანო, უთქვამთ დიდი ხნის წინათ, და მრავალ სიკვდილს ამგვარად ეგუებიან: მეგობართა სიკვდილს და უფრო საბედისწერო სიკვდილსაც — სიკვდილს მეგობრობისა, სიყვარულისა, სიყმანვილისა, ყველაფრისა, უბრალო ამოსუნთქვის გარდა; და რადგან მდუმარე ნაპირი მათაც კი უცდის, ვინც დიდი ხანია იცდენს ბებერი მშვილდოსნის ისრებს, ალბათ ადრეული სიკვდილი, რაც ადამიანს მწუხარებას აყენებს, უნდა ავიცილოთ თავიდან.

ჰაიდე და ჟუანი აღსასრულზე არა ფიქრობდნენ, ზეცა, მიწა და ჰაერი თავისად მიაჩნდათ; დროს არ ემდუროდნენ, გარდა იმისა, რომ მიჰქროდა; ვერას ხედავდნენ დასაძრახს საკუთარ თავში; ერთი სარკე იყო მეორის, მათ შავ თვალებში ძვირფასი თვალივით ბრწყინავდა სიხარული და იცოდნენ, რომ ბრწყინვალეობა ურთიერთხილვით აღძრული გრძნობის ანარეკლია.

ნაზი მოხვევნა და აღმგზნები შეხება, შეხედვა, როს სიტყვებზე მეტად თვალებით გესმის ყოველი, და მეტი არაფრის თქმაა

საჭირო; ენაც — ჩიტებივით — მარტოდენ მათთვის გასაგები, თითქოსდა შეყვარებულთა მიერ შექმნილი გრძნობათაგან; ტკბილი მოფარფატე ფრაზები, რაც სისულელედ მოეჩვენებოდათ მათ, ვისაც მათი აღქმა აღარ ძალუძთ, ან აროდეს სმენიათ.

ეს ყოველი მათ ეკუთვნოდათ, რადგან ჯერაც ბავშვები იყვნენ, და მარადისაც ბავშვებად დარჩებოდნენ; იმისათვის არ გაჩენილიყვნენ, რომ ნამდვილ სამყაროს შეერთებოდნენ, საქმიანად შეეესოთ მოსაწყენი სცენები, არამედ ანკარა წყაროდან შობილ ფერიასა და მის სატრფოს ჰგავდნენ, უხილავთ, თვისი სიცოცხლე ყვავილებსა და ჩქერებში რომ უნდა გაელიათ და აროდეს ეგრძნოთ ამქვეყნიური დროის სიმძიმე.

დაე გადაგორებულიყვნენ ცვალებადი მთვარეები, ისინი მაინც უცვლელნი ამოანათებდნენ ისეთი სიხარულით, ვით არასოდეს განუცდია ირგვლივ არავის; იმათ კი არა ჰგავდნენ, მოყირჭება რომ სჩვევიათ გადაჭარბებით, ცვალებადი ბუნების მქონეთ, არაფერი რომ არ აკმაყოფილებთ და ამით ანგრევენ სიყვარულს, ურთიერთლტოლვას, ოდეს ალერსი კიდევ უფრო განდომებს ალერსს.

მშვენიერებაა!

და იშვიათობაც, რაკი მშვენიერებაა;

იმგვარი სიყვარული დაუფლებოდათ, როს გონება ნეტარებას თავდავინყებაში ჰპოვებს, როს ძველი სამყარო მოსაწყენი ხდება და გვბეზრდება მისი მჭახე ხმები და სანახაობა, ინტრიგები, სასკოლო თავგადასავლები, წვრილმანი ვნებანი, ქორწინებანი, ლტოლვანი, როს ჰიმენეს ჩირაღდანი კიდევ ერთ კახპას ნაახალისებს, ვისმა ქმარმაც მხოლოდ ის იცის, ბოზი არ არისო.

მძიმე სიტყვებია, მწარე სიმართლე, რაც მრავალთათვის ცნობილია. მაგრამ საკმარისია.

მოსიყვარულე და მშვენიერი წყვილისათვის თვითეული საათი ძალზე სწრაფად გარბოდა; ნეტა რამ იხსნა ყოველგვარი საზრუნავისაგან? ყმანვილური განცდანი ყველას ჰქონია, რაც გამქრალა სხვებში, მაგრამ მათგან განუყრელი იყო — რასაც ჩვენ, მოკვდავნი რომანტიკულს ვუნოდებთ, და ყოველთვის გვშურს და თავქარიანობა გვგონია.

სხვებისათვის ეს ხელოვნური ყოფაა, ყმანვილობისა და ბევრი კითხვისაგან მოგვრილი ოპიუმისებრი ზმანება, მათთვის კი — ბუნებრივი: მათი ნორჩი გულები ჯერ რომანთა კითხვას არ განეგმირა, ჰაიდეს განსწავლულობა ხომ დიდად ვერ დაიკვეხნიდა, ხოლო ჟუანს წმინდა წიგნებს ასწავლიდნენ.

ამრიგად, მათი სიყვარული სხვა არაფრით გამოწვეულიყო, მარტოდენ ბულბულებითა და მტრედებით.

მზის ჩასვლას გაჰყურებდნენ, ყველასათვის ძვირფას საათს, მაგრამ მათ თვალთათვის — უძვირფასესს, რადგანაც მან მოიყვანა აქ, სად იმყოფებოდნენ; სიყვარულმა სწორედ ასეთი ცის ქვეშ მოიცვათ პირველად და ბედნიერება მემკვიდრეობასავით ერგოთ, და მწუხრმა იხილა ისინი შეკრულნი ვნების ნასკვით; ერთმანეთით მოხიბლულთ ყოველივე აღიტაცებდათ, რაც წარსულს ახსენებდათ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჟამს მას ღამისა, ოდეს მზის ჩასვლას გაჰყურებდნენ, რაღაც ცახცახი შეეპარა მათ ტკობით სავსე გულებს, თითქო ქარმა შეარხია ჩანგის სიმი თუ ცეცხლის ალი, როს ერთი შერხევა ბგერას იწვევს და მეორეს ხედავ; თითქო რაღაც ავისმომასწავებელმა დაუარა ორივეს სხეულს, და ჟუანს ჩუმი კვნესა აღმოხდა, ხოლო ჰაიდეს თვალს კურცხალი მოსწყდა.

ის დიდი, შავი წინასწარმეტყველი თვალი თითქო თან მიჰყვებოდა მზეს შორ გზაზე, თითქო მათი პაემანის უკანასკნელი ბედნიერი დღე — ვრცელი, კაშკაშა შარავანდით გარემოცული — წასულიყოს; ჟუანი თვალს აყოლებდა, თითქო ეკითხებოდა, რა მელისო, სევდას გრძნობდა და მიზეზი ვერ გაეგო, და მზერით პატიებას სთხოვდა ჰაიდეს, უმიზეზო და გაუგებარ გრძნობათა გაჩენისათვის.

ჰაიდე ჟუანს მიუბრუნდა და გაუღიმა იმგვარი ღიმილით, სხვის ღიმილს რომ არ აღძრავს, და ისევ შეტრიალდა, რაღაცა განცდამ შეძრა წამიერ, მაგრამ სიბრძნითა და სიამაყით დაძლია, და როს ჟუანმა დაილაპარაკა, რაღაც საერთო გრძნობის გამოსათქმელად, მიუგო:

— ჰო, თუ ასე იქნა, მაგრამ... ვერა... ან ბოლო-ბოლო მე ვერ მოვესწრები.

ჟუანს სურდა შეჰკითხვოდა, მაგრამ ჰაიდემ კოცნით ბაგე დაუხშო და ასე გააჩუმა, მერე ამინი ამოუშვა მკერდიდან, თითქო რალაც იწინასწარმეტყველა ამ მგზნებარე კოცნით.

ეს მეთოდი უთუოდ საუკეთესოა, ზოგს ღვინო ურჩევნია და არცა სცდება; ორივე გამისინჯავს, და ვისაც სურს, თვითონაც სინჯოს, არჩევანი მოუწევს თავის ტკივილსა და გულის ტკივილს შორის.

ორთაგან ერთი უნდა აირჩიო — ქალი ან ღვინო, და გასინჯო; ორივე სნეულებაა და ხარკად აწვება ჩვენს ბედნიერებას: არა მგონია, ვიცოდდე, თუ რომელი უნდა ავირჩიოთ; და თუ მაინც ჩემმა ხმამ უნდა გადაწყვიტოს, ორივე მხარეს ბევრი მიზეზი მეგულება, და თუ ისე უნდა გადავწყვიტო, რომ არცერთი დაზარალდეს, სჯობს ორივე იყოს, ვინემ არცერთი.

ჟუანი და ჰაიდე ერთმანეთს შესცქეროდნენ უტყვი სინაზის მონანავე მზერით, რაშიც არეულიყო ყველანაირი გრძნობა — მეგობრობისა, ბავშვობისა, სიყვარულისა, ძმობისა, ყველაფრისა, რაც შეერევა და გამოხატავს საუკეთესოს, როს ორი წმინდა გული შეერთდება და აღივსება გარდამეტებული სიყვარულით და ნაკლები სიყვარული არც შეუძლიათ; და თითქმის კურთხეულია ეს ტკბილი გარდამეტება, უკვდავი ნებითა და დალოცვის ძალით.

ხელებგადაჭდობილნი და გულებშეერთებულნი რატომ მაშინ არ უნდა გარდაცვლილიყვნენ?

დიდხანს ცხოვრება მოიტანდა საათს, რაც განშორებას მოითხოვდა; წლები მოიტანდა სისასტიკესა და სიმახინჯეს; ეს ქვეყანა მათთვის არ გახლდათ, და არც ამქვეყნიური ხელოვნებაა მგზნებარე არსებათათვის, ვითარც საფო მღერის; ისეთი ღრმა სიყვარული გაჩენილიყო მათში, სულიერს მოჰგავდა და არა გრძნობისმიერს.

იცხოვრებდნენ უღრან ტყეში, უხილავნი მოგალობე ბულბულივით; შეუფერებელნი იყვნენ ამ გადაჭედილ მარტოობაში, სოციალურ ცხოვრებას რომ ვუნოდებთ, შეუფერებელნი იყვნენ სიძულვილის, ცოდვისა და ფუსფუსის ადგილისათვის;

რაოდენ მარტოსულია თავისუფლებისათვის დაბადებული, კვერცხებზე მჯდარი არსება! ნაზი მაგალობელნი წყვილად იბუ-

დებენ; არწივი მარტო ბოინობს ცაში; თოლია და ყვაავი მძორზე გროვდებიან, მინაზე, ადამიანებივით.

და ახლა ლოყა-ლოყაზე მიდებულებმა, ჰაიდემ და ჟუანმა, ნასამხრალს ოდნავ ჩათვლიმეს, ღრმად არ ეძინათ, უეცრად რალაცამ შეაკრთო ჟუანი და წამოინია; ჰაიდეს მძინარე ტუჩები უტყვად ბუტბუტებდნენ წყაროსებრ, და მისი სახე ნიავით შერხეული ვარდის ფურცლებივით მშვენობდა ძილში.

ან ქარგადავლილი ალპიური მდელოსავით ღელავდა; რალაც მისტიკური ძალა გვიპყრობს ძილში და ჩვენი სულისთვის სასუნუკვარს მოგვაშორებს; უცნაური ყოფაა! (რადგანაც ჯერ არ მოსულა) ვერ შეიგრძნობ და თვალითაც ვერ დაინახავ.

ესიზმრებოდა, რომ მარტო იყო ზღვის ნაპირზე, კლდეს მიჯაჭვული; ვერ გაეგო, რატომ, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა, ზღვის ღრიალი იზრდებოდა, ტალღები იქორებოდნენ და სასტიკად ემუქრებოდნენ, უკვე ტუჩებამდე სწვდებოდნენ; კვნესით ცდილობდა ამოესუნთქა, მაგრამ უკვე თავზე გადასდიოდა, დაუნდობლად ეხლებოდნენ, მაგრამ არა კვდებოდა.

მალე დაიხსნა თავი, მაგრამ უეცრად ეკლებში აღმოჩნდა, ფეხებს რომ უსისხლიანებდა, და ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა; და რალაც ეფინებოდა ფეხქვეშ, რასაც უნდა გაჰყოლოდა, თუმც კი ეშინოდა; თეთრი იყო და გაურკვეველი, ვერ არჩევდა, ვერ აღიქვამდა, და მაინც მისჩერებოდა და ცდილობდა მინვლოდმოდა, მისდევდა, მაგრამ ვერ ეწეოდა.

სიზმარი შეიცვლებოდა.

მღვიმეში იდგა, რომლის კედლებიც მოფენილიყო მარმარილოს ლოლუებით, წარმოშობილით საუკუნეობით დადენილი წყლით, სად ტალღები იჭრებოდნენ და სელაპები აფარებდნენ თავს და მრავლდებოდნენ; თმიდან წვეთები სცვიოდა და თვალის კაკლები დასიებოდა ცრემლებისაგან, უკუნი იყო, ეგონა, ბასრი კლდეები იჭერენ თვითუელ დავარდნილ წვეთს და მარმარილოდ აქცევენო.

და სველი და ცივი, უსიცოცხლო, იმ ქაფივით მკრთალი, წარბებზე რომ შერჩენოდა, და ჰაიდე კი ამოდ ლამობდა მოენმინდა (რა ტკბილი იყო ერთდროს მისი მზრუნველობა და რა ამოდ მოჩანდა ახლა!).

ჰაიდეს ფერხთით ესვენა ჟუანი, მისი გული აღარ ფეთქავდა, და ზღვა უგალობდა სულთათანას, სირინოზთა სიმღერასავით, და ეს ხანმოკლე სიზმარი თითქო მთელი სიცოცხლე გრძელდებოდა.

და მიცვალებულს რომ დაჰყურებდა, ეგონა, სახე უქრებაო, ან იცვლება და მამაჩემს ემგვანებაო, და თვითეული ნაკვთი ლამბროსას ემსგავსებოდა, მის გამოცდილ, გამჭრიახ მზერას და ბერძნულ ლაზათს.

შემკრთალმა გამოიღვიძა და რას ხედავს?

ო, ზეცის ძალნო! ვის პირქუშ თვალებს შეეფეთა?

ეს ხომ მამამისია, წყვილს რომ დასცქერის!

მაშინ კი კვილით წამოხტა და კვილითვე დაეცა, სიხარულითა და მწუხარებით, იმედითა და შიშით, რაკი იხილა იგი, ვინც უკვე ოკეანის სიღრმეში დამარხული ეგონა, მკვდრეთით აღმდგარი, სიკვდილს რომ მოასწავებდა მისი, ვინც ასერიგად უყვარდა, ძვირფასი იყო ვითარცა ადრე მამა ჰაიდესათვის.

და ეს იყო შემზარავი წუთი.

მინახავს მსგავსი, მაგრამ არ გავიხსენებ.

ჟუანიც წამოხტა ჰაიდეს მწარე კვილზე, და რომ დაინახა თუ ვით დაეცა მისი სატრფო, კედლიდან ჩამოგლიჯა მახვილი, რათა სასწრაფოდ ეძია შური; ლამბრომ კი, ვისაც აქამდე კრინტი არ დაეძრა, ზიზლით გაიცინა და უთხრა:

— ათასი იატაგანი ელოდება ჩემს სიტყვას; დანიე, ყმანვილო, ეგ სულელური ხმალი.

და ჰაიდე შემოეხვია.

— ჟუან, ეს, ეს ლამბროა, მამაჩემი! დაიჩოქე ჩემთან ერთად... იგი მოგვიტევენ... დიახ... უნდა მოგვიტევეს... დიახ. ო! ძვირფასო მამავ, ტკივილისა და ნეტარების ამ აგონიაში... მაშინაც კი, როს ვეამბორები შენი სამოსის ნაოჭებს, წუთუ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს ჩემი ქალიშვილური სიხარული? მიყავ, რაც გენებოს, ოლონდაც დაინდე ეს ჭაბუკი.

ბერიკაცი იდგა შემართული და შეუცნობელი, ხმაც მშვიდი ჰქონდა და თვალბიც, რაც ყოველთვის არ მიანიშნებს მშვიდ ბუნებაზე; შეხედა ჰაიდეს, მაგრამ არ უპასუხა; შემდეგ ჟუანი-

საკენ შებრუნდა, ვის ლოყებსაც დროდადრო აწვებოდა სისხლი, რაკი გადანყვეტილი ჰქონდა მომკვდარიყო; იარაღით ხელში იდგა შემართული, რათა შეეცია პირველივე მტრისათვის, ვინც ლამბროს დაძახილზე ეკვეთებოდა.

— ხმალი დაუშვი, ჭაბუკო, — კიდევ ერთხელ გაიმეორა ლამბრომ, — ეგ არ მოხდება, ვინემ ხელი თავისუფალი მაქვს.

ბერიკაცი გაფითრდა, მაგრამ არა შიშისაგან, ქამრიდან დამბაჩა ამოიღო და თქვა:

— მამ შენი სისხლი შენს კისერზე იყოს.

და დაჰხედა ჩახმახს, კაჟი ახალი თუაო, რადგანაც ამას წინათ მოეხმარა, და მერე მშვიდად შეაყენა ფეხზე.

უეცრივ გაისმა უცნაური მჭახე ტკაცუნის დამბაჩის ფეხზე შეყენებისა, როს ხვდები, რომ წამიც და ძნელი იქნება გაიხედო თორმეტიოდე იარდის დაშორებით; ჯენტლმენტა მანძილია, არც ისე ახლო, თუკი ძველი მეგობარი მტრად გაგხდომია; და გესვრიან ერთხელ თუ ორჯერ, ყური უხეშდება და ირლანდიურს ემსგავსება.

ლამბრომ დაუმიზნა და ერთი წამით შეაჩერა ეს ქება და დონ ჟუანის სუნთქვა, როს ჰაიდე წამოვარდა და წინ აეფარა თავის ყმანვილკაცს; ისეთივე შეუდრეკელი, ვით მამამისი:

— მე მესროლე, — წამოიძახა, — დაე მოვიდეს სიკვდილი, ჩემი ბრალია; ამ საბედისწერო ნაპირზე ვიპოვე, თუმც არ ვეძებდი. მე ავირჩიე ჩემი ბედისწერა; მიყვარს, მოვკვდები მისთვის: ვიცოდი შენი უდრეკი ხასიათი, იცოდე, შენს ქალიშვილსაც მაგგვარი ბუნება აქვს.

სულ რაღაც წუთის წინათ ცრემლად იღვრებოდა, ნაზად, ბავშვურად ტიტინებდა; ახლა კი უშიშრად და გამომწვევად იდგა, ფერმკრთალი, ნაქანდაკარი, მტკიცე, დარტყმის არადრამგდები; შემართულიყო, დაეძლია სქესის სისუსტე, გატოლებოდა კაცებს, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა, და თვალი გაესწორებინა მამისათვის — მაგრამ მისი ხელის შეჩერება არ შეეძლო.

თვალს თვალში უყრიდნენ და, საკვირველია, ვითა ჰგავდნენ ერთიმეორეს! ერთნაირი გამომეტყველება ჰქონდათ — პირნმინდად ველური, ოდნავი განსხვავებით — დიდ შავ თვალეში

საერთო ცეცხლი გიზგიზებდა; ჩანდა, ჰაიდეს შეეძლო შური ეძია ძუ ლომივით, თუკი დასჭირდებოდა, მამისადმი მორჩილი სისხლი ამბოხდა და დაამტკიცა, შენი ჯიშისა ვარო.

გითხარით, ჰგავდნენ-მეთქი ერთიმეორეს, ჰგავდნენ ნაკვთებითა და აგებულებით, განსხვავდებოდნენ სქესითა და ასაკით; ხელებიც კი ერთნაირად დახვეწოდნენ, რაც წმინდა სისხლს მოსდგამს; და ახლა, როს გაყრილნი მძვინვარედ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ნაცვლად — სიხარულის ცრემლებით მიგებებოდნენ, ვხედავთ თუ რას ნიშნავს, მწვერვალს რომ აღწევს.

მამა შეყოვნდა, შემდეგ დაუშვა იარაღი, მაგრამ არ შერხეულა და თვალი არ მოუშორებია ჰაიდესათვის, თითქო მზერით სურს გახვრიტოსო.

— მე არა მსურდა ამ უცხოელისათვის ავი, — თქვა მან, — მე არ დამიქცევია ოჯახი; ცოტა თუ მოითმენს ასეთ შეურაცხყოფას და არ მოკლავს; მაგრამ ჩემი მოვალეობა უნდა აღვასრულო, ისევე, ვით შენ შენი შეასრულე, ანმყო წარსულს ეყრდნობა.

დაუშვას იარაღი, თორემ მამა ნუ წამიწყდება, მაგისი თავი შენს წინ ბურთივით დაგორდება!

სასტვენს მისწვდა და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ჩაჰბერა; მაშინვე გაისმა პასუხი და მისი რაზმის ოციოდე თხემით ტერფამდე შეარაღებული მებრძოლი შემოვარდა უწესრიგოდ, მაგრამ შეუპოვრად და რიგრიგობით;

და მან უბრძანა:

— შეიპყარით ან მოჰკალით ფრანგი.

მერე ელვისებრი მოძრაობით სტაცა ხელი თავის ქალიშვილს, ჩაბლუჯა მკლავებით და მათ შორის კი ჩადგა ეკიპაჟი; ამაოდ იბრძოდა მამის მკლავებში, გველივით რომ შემოსალტოდნენ; მეკობრეთა ჯგუფი კი მსხვერპლს დაესხა თავს, ვით ხლართი ასპიტა.

პირველი დაეცა მარჯვენა ბეჭგაჩეხილი.

მეორეს ლოყა გადახლიჩა.

ხოლო მესამემ, ფრთხილმა ძველმა მოხმალავემ, მოქნეულ მახვილს სააბორდაჟო ხმალი დაახვედრა და თვითონ დაჰკრა.

ასე რომ, ნახეთ რა მოხდა — ორი მეკობრე ძირს ეგდო უძლური, სისხლი ნაკადულისებრ გადმოჩქეფდათ, ხმლის ორი ოსტატური დარტყმით: ერთს — მხარში და მეორეს — თავში.

მერე იქვე შეკრეს ჟუანი და სახლიდან გაიყვანეს ლამბროს ნიშანზე, ზღვის ნაპირისკენ გაუყენეს, სად რამდენიმე გემი იდგა — მზადმყოფი ცხრა საათზე გასაცურად. ნავში ჩაანვინეს, ნიჩბები აამუშავეს, მნკრივში მდგომ გალიოტებამდე მიცურეს და ერთ-ერთზე აიყვანეს, ტრიუმში ჩააგდეს და ფხიზელი ყარაული დაუყენეს.

წუთისოფელი სავსეა უცნაური ახირებებით, და აი, ერთი ყველაზე უსიამოვნო მათ შორის: ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი და ცხოვრების სიკეთით სავსე ჯენტლმენი, ამქვეყნიური სიამოვნებით ტკობისას, როს ყველაზე ნაკლებ მოელოდა ავს, უეცრივ ზღვას გაუყენეს, დაჭრეს, დაბორკეს და ეს ყოველი იმიტომ მოხდა, რომ ქალს შეუყვარდა.

ცოტა ხანს დავტოვებ, რადგან პათეტიკა შემეპარა, ცრემლთა ჩინურმა ნიშნამ წამიტყუა, მწვანე ჩაიმ! კასანდრასეულ ნინასწარმატყველებას მომაშორა; რადგანაც თუ სამ ფინჯანზე მეტი შევსვი, ვგრძნობ, გული სინაზით მევსება და დასახმარებლად შავ ბოჭვა ჩაის უნდა მივმართო: სამწუხაროა, რომ ღვინო შფოთიანს გვხდის, აი, ჩაი და ყავა კი მეტ სიღინჯეს გვძენს.

მანამდე, სანამ შენ დაგინწყვილდებოდე, კონიაკო! ტკბილო ნიდავ ფლეგეტონური წყაროსი! აჰ, ნეტა რატომ უტევ ღვიძლს და სხვა ნიშნებით ასნეულებ შენს მეტრფეთ? თავს შევაფარებდი მსუბუქ პუნშს, მაგრამ ვნადგურდები (ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით), ოდეს ვივსებ, შუალამის მშვიდობიან ჟამს, სასმისს პირთამდე, და მეორე დილით მეღვიძება მძიმედ დასნეულებულს.

დონ ჟუანს ვტოვებ ახლა დაცულს, ჯანსაღს კი არა, მძიმედ დაჭრილს; და მაინც, მისი ხორციელი ტკივილები ნახევრად მაინც გაუტოლდება ჰაიდეს ჭრილობებს, გულს რომ უძიძგნიდა? იგი სხვებს არა ჰგავდა, რომ ეტირა, ეკივლა და ლოყები დაეხოკა, და მერე დაშოშმინებულებოდა, დამორჩილებოდა გარშემორტყმული; დედა მავრთავანი ჰყავდა, ფეზიდან, სად ყოველი ედემია ანუ უდაბნო.

იქ დიდი ზეთისხილის წვიმები ავსებენ მარმარილოს თაღებთან ქარვისფერ ბელელს; იქ ხორბალი, ყვავილები და ხილი ამოდის მიწიდან, ვინემ დედამინა ბრუნავს; მაგრამ იქვე მრავალ შხამიან ხესაც გაუდგამს ფესვები და შუალამისას ისმენს ლომის ღრიალს, გრძელი, გრძელი უდაბნო წვავს აქლემთა ფლოქვებს, ან ქვიშას აყრის განწირულ ქარავანს; და ვითარც ნიადაგია, ისეთივეა ადამიანის გულიც.

აფრიკა მთლიანად მზისაა და, მინისა არ იყოს, კაცის დღეებიც გიზგიზებს; აღსავსეა სიკეთისა და ბოროტის ძალით, დაბადებიდან იწვის მავრის სისხლი და ასე მონაწილეობს პლანეტის დრო-ჟამში; და ვით ნიადაგს აქვს განძი სიღრმეში, მშვენიერება და სიყვარული მოჰყოლოდა ჰაიდეს დედას მზითვად, ხოლო მისი დიდი, შავი თვალები ძლიერ ვნებას ასხივებდნენ, მიძინებულს წყაროსთან ჩასაფრებული ლომივით.

ქალიშვილი უფრო მშვიდი ბუნებისა გახლდათ — ზაფხულის ღრუბელივით, ვერცხლისფერი, ხავერდოვანი და ლამაზი რომაა, მაგრამ მაინც დამუხტულია ჭექა-ქუხილით, რითაც შიშსა ჰგვრის დედამინას და ქარიშხალს უგზავნის ზეცას; აქამდე მშვიდად მიუყვებოდა ირმის ნახტომს, მაგრამ აღივსო ვნებითა და იმედდარწყვეტით, ცეცხლი აენტო მის ნუმიდიურ ვენებში, ვითარ სამუმი გადაუვლის დაქცეულ დაბლობს.

უკანასკნელი, რაც იხილა, ჟუანის ჭრილობიდან გადმომდინარე სისხლი იყო, თვით ჟუანი კი — დამარცხებული და ნაქცეული; სისხლი დიოდა იატაკზე, სად მანამდე დააბიჯებდა ჰაიდეს მშვენიერი სატრფო; ეს დაინახა ერთი წამით და მორჩა, მისი ბრძოლა ერთი კონვულსური კვნესით დასრულდა; მამის მკლავთაგან, ძლივას რომ იჭერდნენ, დაეცა მოჭრილი კედარივით.

ვენები დაუსკდა და ტუჩთა კრიალა შეფერილობაზე გადმოასხა სისხლმა, თავი ჩამოჰკიდა ზედმეტი წვიმისაგან დათრგუნული შროშანივით; მოახლეებს დაუძახეს, რათა თვალებჩამქრალი ქალბატონი საწოლში გადაეყვანათ; სამკურნალო ბალახები მოარბენინეს, მაგრამ ვერა უშველეს.

სიცოცხლე მიდიოდა, სიკვდილი ჯერ არა ჩანდა.

დღეები იწვა ასე უცვლელი, ცივი; სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, თუმც ტუჩებს შეენარჩუნებინა სინითლე; პულსი აღარ სცემდა, თუმც სიკვდილი ჯერ არ მოდიოდა; არა ჩანდა ის შემზარავი ნიშნები, რაც მიახვედრებდათ, გარდაიცვალათ; არ ჩანდა ლპობა, და ეს კიდევ იძლეოდა იმედს; მისი მშვენიერი სახე ჯერაც სიცოცხლეზე ფიქრებს იწვევდა, რადგანაც სული აღბეჭდილიყო და მიწის კერძი ჯერ მთლად არ შექმნილიყო.

წარმმართველი ვნება, რასაც კარგად დამუშავებული და დახვეწილი მარმარილო გვიმჟღავნებს, იქვე რჩება, ვით მარმარილოს უცვლელი ნიშანი, მშვენიერი ვენერა იქნება, მარადიული ტროას ლაოკოონი თუ მომაკვდავი გლადიატორის გამოხედვა, მათგან გამოსხივებული ცოცხალი ენერგია მოუხვეჭს სახელს, მაგრამ ეს სიცოცხლე არ არის, ისინი იქვე რჩებიან.

ბოლო-ბოლო გაიღვიძა, მაგრამ არა ვითარცა მძინარმა, უფრო ვითარცა მკვდარმა, რადგან სიცოცხლე რაღაც ახლად მოეჩვენა, უცნაურ განცდად, რაც მას უნდა-არუნდა შეეხებოდა, რადგან მხედველობას რაც მოჰყვა, მოგონებას არ აღუძრავდა, არამედ მძიმე ტკივილი აწვა გულზე, რომლის ძვერასაც თან მოჰქონდა უმიზეზო განცდა ტკივილისა, როს მცირე ხნით მძვინვარება ჩერდებოდა.

მრავალ სახეს ხედავდა ცარიელი მზერით, მრავალ ნიშანს გამოარჩევდა, მაგრამ არსს ვერ იგებდა, ხედავდა, დამცქერიანო, მაგრამ არ იცოდა, რატომ, ვერც ის გაეგო თუ რატომ შემოენყოთ გარს მუთაქები; ლაპარაკი შეეძლო, მაგრამ კრინტსაც არა ძრავდა, ოხვრაც კი არ გასცემდა მის ფიქრებს; დუმილიცა და სწრაფი მეტყველებაც ამაო იყო მოფუსფუსეთა; არაფრით ნიშანს არ იძლეოდა, რომ საფლავი დაეტოვებინა, გარდა სუნთქვისა.

მოახლენი თავს დასტრიალებდნენ, მას კი არა სჭირდებოდა რა; მამა მისჩერებოდა, იგი თვალს არიდებდა, ვერც ცოცხალს არჩევდა, ვერც საგანს — მისთვის ძვირფასსა და საყვარელს, ოთახიდან ოთახში გადაჰყავდათ, მაგრამ ყველაფერი დავინწყებოდა; იწვა ნაზი და მეხსიერებადაკარგული; მისი თვალები, რომელთა გამოცოცხლებაც სურდათ ძველი მოგონებებით, შიშით ივსებოდნენ.

მერე ერთმა მონამ მოიფიქრა, არფის ხმა მოვასმენინოთო; მოვიდა არფის დამკვრელი, მომართა საკრავი და პირველივე მძაფრსა და უჩვევ ნოტებზე ჰაიდეს თვალები ნუთით მუსიკოსს მიაჩერდა, მერე კედლისაკენ გადატრიალდა, თითქო გაერიდა ფიქრებს ნუხილისა, მის გულს რომ უკან დაუბრუნდა; მუსიკოსმა კი დაიწყო გრძელი სიმღერა უძველეს ჟამზე, როს ტირანია ჯერ ვერა მძლავრობდა.

მაღე ჰაიდეს სუსტი, დაქანცული თითები კედელზე აკაკუნდა, მუსიკის რიტმში.

მუსიკოსმა გამოცვალა თემა და იწყო სიმღერა სიყვარულზე.

ამ სასტიკმა სიტყვამ მოიცვა ჰაიდეს მეხსიერება; გაცოცხლდა სიზმარი, გაიხსენა თუ ვინ იყო, თუკი ამასაც ყოფნა ჰქვია; ცრემლებმა იწვიმა მისი ღრუბლით მოცული გონებიდან, თითქო მთის ნისლებიდან წამოსულიყოს წვიმა.

ხანმოკლე ნუგეში გამოდგა, ამაო შვება! ფიქრები მსწრაფლ აირივნენ, სიშმაგე მოედო გონებას; ვერვინ რომ ვერ წარმოიდგენდა მისებრ სნეულისაგან, ფეხზე წამოიჭრა და მტრებივით დაერია ყველას, ვისაც შეეჩეხა; არც სიტყვა დასცდენია, არც უყვირია, თუმც კი სიშმაგის შეტევას უნდა ხლებოდა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, როს ძირს დასცეს, რათა ეშველათ.

დროდადრო ერთიანად უარს ამბობდა რაიმეს შეგრძნებაზე; ვერარა აიძულებდა მამისთვის შეეხედა. თუმც ყველაფერს დაჟინებით მისჩერებოდა, მაინც ვერას აღიქვამდა; საკვებზე უარს ამბობდა, სამოსის გამოცვლაზეც; არაფერი სურდა, არც ადგილის ცვლას ითხოვდა, არც დრო აღელვებდა, ვერც ხელოვნება და ვერც წამალი ვერ აძინებდა, ძალ-ღონე მთლიანად გამოსცლოდა.

თორმეტი დღე და თორმეტი ღამე ჭკნებოდა ასე, დაბოლოს, ოხვრისა და კვნესის, უკანასკნელი გამოხედვის გარეშე უეცრად აღმოხდა სული; და მის ახლო მდგომთ ვერ შენიშნეს ეს ნამი მანამდე, სანამ ცვლილება დაეტყობოდა მის მშვენიერ სახეს, დადუნდებოდა და გახევდებოდა, მშვენიერი შავი თვალები გაეყინა;

ო, რა კაშკაშა ნათება ჩაქრა!

გარდაიცვალა, მაგრამ ცალად არ განშორებია ამქვეყანას; სხეულში ატარებდა მეორე სიცოცხლეს, მშვენიერ უმანკო შვილს ცოდვისა; ეს პანია არსება სინათლის უნახავად წავიდა ამქვეყნიდან, დაუბადებლად ჩაესვენა სამარეში, ყვავილსა და ნერგს ვითარც მოაშთობს სენი და ველარ შველის ზეცის ცვარ-ნამი, სისხლმდინარე ყვავილსა და სიყვარულის დაქცეულ ნაყოფს.

ასე იცხოვრა და ასე აღესრულა; აღარც ნუხილი შეანუხებს და აღარც სირცხვილი. მას არ შეეძლო წლობით და მეტხანს ეტარებინა შინაგანი ტვირთი, გაეძლო იმისათვის, რაც უფრო ცივ გულებს შეუძლიათ ატარონ, ვინემ ამქვეყნად არიან; მისი დღენი და ნეტარება ხანმოკლე გახლდათ, მაგრამ დამატკობელი, ისეთი, დიდხანს რომ ვერ შერჩებოდა ბედისწერას პირისპირ, და სძინავს უშფოთველად ზღვის იმ ნაპირზე, სად ასერიგად უყვარდა ყოფნა.

ის კუნძული ახლა მიტოვებულია და უკაცური, ნაგებობანი დაქცეულია.

მოზინადრენი გარდასულნი.

მხოლოდ ჰაიდესა და მისი მამის საფლავებია, მაგრამ არარა გვაგულისხმებინებს აქ ადამიანის ყოფნას.

ვერ წარმოიდგენ, სად წევს მშვენიერი არსება, ვერც ქვა მიგანიშნებს, ვერც ენა მოგიტხრობს თუ რა მოხდა; არც პანაშვიდი გადაუხდია არვის, მარტოდენ უკიდევანო ზღვა შესტირის მშვენიერ ციკლადებს.

მაგრამ მრავალი ბერძენი ასული სასიყვარულო სიმღერებში ოხვრით ახსენებს ჰაიდეს სახელს; და ბევრი კუნძულელი მამამისზე თხრობით ამოკლებს ლამეებს; იგი მამაცი იყო, ჰაიდე — მშვენიერი;

თავდავინყებით უყვარდა და სიცოცხლით ზღო დანაშაული, ძვირი უჯდება ყველას ასეთი შეცდომა, ნურვინ იფიქრებს, გავექცევი ხიფათსო.

ადრე თუ გვიან თვითონ სიყვარული იძიებს შურს.

მაგრამ, ნება მიბოძეთ, შევცვალო თემა, რადგანაც მეტად დამისევდიანდა, და თაროზე შემოვდო ეს მწუხარე ფურცელი; არცთუ ძალიან მიყვარს შეშლილი ხალხის აღწერა, მეშინია, სა-

კუთარ თავზე არ გამომივიდეს. გარდა ამისა, მეტი ველარაფერი გამოვწერე თავიდან, და რალა დავამატო; და რადგანაც ჩემი მუზა ჭირვეული ფერიაა, ახალ ხაზს გავყვებით ჟუანთან ერთად, მომაკვდავი რომ დავტოვეთ რამდენიმე სტროფის წინ.

დაჭრილმა და დაბორკილმა, „ჩაკეტილმა, ჩარაზულმა, ჩამწყვდეულმა“, ჟუანმა რამდენიმე დღე-ღამე ვერ მოიკრიბა გონება და ვერ გაიხსენა თუ რა მოხდა; და როს გონს მოვიდა, გაშლილ ზღვაში იმყოფებოდა, ექვსი კვანძის სისწრაფით მიცურავდა ქარის მიმართულებით; ილიონის ნაპირები მოჩანდა ქარის მხრიდან, სხვა დროს გაიხარებდა მათი ხილვით, ახლა კი დიდად არ დამტკბარა სიგეუმის კონცხის დანახვით.

იქ, იმ მწვანე და ქოხებით დაფარულ გორაკზე (ზღვასა და ჰელესპონტს შორის რომ მოქცეულა) დამარხულია უმამაცესი მამაცთა შორის, აქილევსი.

ამბობენ (ბრიანტი არ ეთანხმება), რომ ცოტა ქვევით ჯერაც წამოზიდული ყორღანია — ვისი? ღმერთმა უწყის!

ეგებ პატროკლესი, აიაქსისა ან პროტესილაუსის — ყველა იმ გმირის, რომელნიც გაგვყუჟავდნენ, ცოცხლები რომ იყვნენ.

მალალი მიწყრილი — არც მარმარილო და არც სახელი ამოტვიფრული, ფართო, მოუვლელი, ვაკეზე ამობურცული, შორიდან მოჩანს იდას მთა და ბებერი მდინარე სქამანდერი (თუ ღვთაებაა); გარემო კვლავ მოგვიწოდებს დიდებისაკენ და ასობით ათას კაცს კვლავაც აქვს ბრძოლის მიზეზი; მაგრამ ტყუილად დავეძებ ილიონის კედლებს, ცხვარი ძოვს მშვიდად და კუ მილოღავს.

უპატრონო ცხენთა რემა; აქა-იქ პატარა სოფლები, ახალი, ძნელად წარმოსათქმელი სახელებით; მწყემსები (და არა პარისი) წამით შეხედავენ ევროპელ ჭაბუკს, აათვალ-ჩაათვალიერებენ სკოლის მოსწავლის ინტერესით. თურქი, ხელში კრიალოსნითა და პირში ჩიბუხით, ერთიანად მოცული თავისი რელიგიით — სულ ესაა, რაც იქ მინახავს, და არცერთი ეშმაკის ფეხი ფრიგიელი.

აქ ჟუანი ამოუშვეს ბნელი საკნიდან და მიხვდა, მონად ვქცეულვარო.

უბედური ჩასცქეროდა ლურჯი ზღვის სიღრმეთ, სად მრავალი გმირის საფლავი იმალებოდა. ჯერაც სუსტად იყო სისხლის დაკარგვის გამო და ძლივს ამოღერღა რამდენიმე მოკლე შეკითხვა და პასუხებიდან ვერაფერი გაიგო ვერც წარსულსა და ვერც აწინდელ ყოფაზე.

რამდენიმე ბედის მოზიარე ტყვე დაინახა, იტალიელთ მიამსგავსა და ასეც აღმოჩნდა; უამბეს, რაც გადახდენოდათ, დიდად უცნაური რამ; მთელი დასი მიდიოდა სიცილიაში წარმოდგენის გასამართავად (ყველა მომღერალი იყო, გამორჩეული თავის ხელობაში) და მეკობრენი კი არ დასხმიან თავს, იმპრესარიოს გაუყიდია ჩალის ფასად.

ერთმა, დასის კომიკოსმა, უამბო ჟუანს ეს უცნაური ამბავი; თუმც თურქთა ბაზრისათვის განწირულიყო, გულს არ იტეხდა, არ იმჩნევდა ბოლო-ბოლო; ეს ყმანვილი მართლაც გულიანი ჩანდა და მზიარულებასა და ლაზათს ინარჩუნებდა, და უფრო ღირსეულად მოჩანდა, ვინემ პრიმადონა და ტენორი.

ორიოდ სიტყვით მოუთხრო ბედკრული ამბავი, უთხრა:

— ჩვენმა მაკიაველურმა იმპრესარიომ ერთ-ერთ კონცხთან ნიშანი მისცა და მოიწვია უცხო ბრიგი, „კორპო დი კაიო მარიო!“ გაიუს მარიუსის მზემა! ფაციფუციტ გადაგვიყვანეს გემბანზე, ისე, რომ გროშიც არ შეგვარჩინეს, მაგრამ თუ სულთანს სიმღერისა რაიმე გაეგება, მალე ავინაზღაურებთ დანაკლისს.

პრიმადონა ოდნავ მობერებულებიყო, მოქანცულიყო უნესრიგო ცხოვრებით, როს შინ სიდუხჭირე და სიცივეა და ცოტაა სასიამოვნო ნიშნები; აქვე იმყოფებოდა ტენორის ცოლიც, ხმით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მოხდენილი კი გახლდათ; ბოლო კარნავალზე იმდენს ცდილა, გრაფი ჩეზარე კიკონა წაურთმევია ბოლონიის ბებერი პრინცესასთვის.

აქვე იყვნენ მოცეკვავენი; ნინი, რამდენიმე პროფესიას რომ ფლობდა და ყველას შემოსავალი მოჰქონდა; და მოცინარი კახ-პა პელეგრინი; მანაც წარმატებით იშრომა ბოლო კარნავალზე და კაი ხუთასი ცეხინი მოხვეტა, მაგრამ ისე სწრაფად ხარჯავს, ერთი გროშიც კი აღარ დარჩენია; და კიდევ გროტესკა — მოცეკვავე! ხალხის სულისა და სხეულის დამატყვევებელი.

აი, სტატისტიკები — ყველა ერთი ჯურისაა, აქა-იქ გამოერევა სასიამოვნო ტიპი, სხვებისაგან რომ გამოირჩევა, სხვებს კი სილამაზეს ვერ დააბრალებდი; ერთი იყო მაღალი და სარივით ხმელი, რალაც სანტიმენტალურ გამოხედვიანი, რაც შორს ნაიყვანდა, მაგრამ გზნებით ვერ ცეკვავდა, სამწუხაროდ, და სახე და ტანი ვერასა შველოდა.

კაცები — მეორეხარისხოვანი იყვნენ, მუსიკოსი ბებერი გახლდათ და უძლური, მაგრამ ხელობას ოსტატურად ფლობდა და ჰარამხანაში გამოდგებოდა; სიმღერა ვერას დაეხმარებოდა: და პაპის მიერ ადრევე მიღებული გადანყვეტილებით, სამი სალამური იყო საჭირო მესამე სქესისა.

ტენორს ყალბი ხმა ჰქონდა, აი, ბანი კი — ცხოველი უკეთ ბლავის, არც სიმღერის გაკვეთილები მიუღია ოდესმე, უვიცი გახლდათ, უსახური, უჟმური, უსმენო ჯველი; პრიმადონას ახლო ნათესავად ერგებოდა და იგი ჰფიცავდა: მეტად მდიდარი და მელოდიური ხმა აქვსო, — თუმც რომ მოგესმინათ, მიხვდებოდით, ვირი ყროყინებს რეჩიტატივსო.

— არა მსურს გადავლახო ჩემივე საზღვრები თავაზიანობისა, და თუმც ყმანვილკაცი ხართ, ჩანს, ბევრი გიმოგზაურიათ და ოპერაც თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს; რუკოკანტიზე გსმენიათ? მე გახლავართ; ალბათ მეც მომისმენთ ოდესმე; ლუგოს ბაზრობას არ სწვევიხართ შარშან, კიდევ რომ მომინევს იქ გამოსვლა, აუცილებლად მოდით.

სულ დამავიწყდა ჩვენი ბარიტონი. სასიამოვნო ყმანვილი, მაგრამ სიტყვაკაზმულობით გატაცებული, დახვეწილმანერებიანი, მეცნიერებისა ნიშანწყალიც არ ეცხო, ხმა დიდად არ მოსძალებოდა და არც ტკბილი ეთქმოდა, სულ ბედს ემდუროდა, თუმც ქუჩაში ბალადების სამღერადაც არ ივარგებდა; სასიყვარულო საქმეთათვის ხვნიშოდა, და რაკი გულს ვერა, კბილებს უჩვენებდა.

აქ რუკოკანტის მჭევრმეტყველება შეანყვეტინეს მეკობრეებმა, და ტყვეებს უხმეს, დაბრუნებოდნენ თავიანთ უზადრუკ საწოლებს; თვითეულმა მწუხარე თვალი მოავლო ტალღებს (ზღვის სილურჯეს რომ აირეკლავდნენ და აძლიერებდნენ და

ცეკვავდნენ თავისუფალნი და ბედნიერნი მზის ქვეშ) და თითო-თითოდ ჩაუყვნენ ქვევით.

მეორე დღეს შეიტყვეს, რომ დარდანელში იმყოფებოდნენ და ელოდნენ მისი უდიდებულესობის ფირმანს, ყველაზე სავალდებულოს სუვერენულ უსტართა შორის, რას ყველა ემორჩილება განურჩევლად, და რათა უფრო დაცულნი ყოფილიყვნენ თავთავიანთ სოროებში, ერთმანეთზე უნდა გადაებათ წყვილ-წყვილად, ქალი ქალთან და კაცი კაცთან — კონსტანტინოპოლის მონათა ბაზრისათვის.

განანილებისას ისე მოხდა, რომ უცნაური კაცი და უცნაური ქალი შეხვდათ, ვინც (მსჯელობისა და ჩაძიების შემდგომ, შეიძლება თუ არა სოპრანო კაცად ჩაითვალოსო, ქალებში დატოვეს ბოლოს) და გადააბეს კაცს, ჩვენს ჟუანს, ვინც ასაკის ახირებულობისა გამო ბაკს ქალს ჩამოჰგავდა სახით.

რუკოკანტი, სამწუხაროდ, ტენორს მიაჯაჭვეს; ამათ ისე სძულდათ ერთმანეთი ცხოვრებაშიც და სცენაზეც, რომ ამჟამინდელ უბედურებაზე მეტად მუსიკოსთან დანყვილებას დარდობდნენ; სავალალო ქიშპობა გაჩაღდა, რადგანაც ხიჭვებივით იყვნენ ურთიერთისთვის და, ნაცვლად იმისა, კამათი შეენწყვიტათ და მოეთმინათ, ორივე აქეთ-იქით ინევდა, „Arcades ambo“, id est — არამზადები ორივე.

ჟუანის მენყვილე რომანიელი გახლდათ, გამოკვებილი ძველი ანკონას მარტით, ისეთი თვალები ჰქონდა, სულში გიძვრებოდა (და სხვა განსაკუთრებული ნიშნებიც „ბელლა დონნასი“), კაშკაშა და გიზგიზა ნახშირივით შავი; და მის შავტუხა გარეგნობაში იმალებოდა დიდი სურვილი ტკბობისა — ქვრივთ რომ შთებათ მემკვიდრეობად, განსაკუთრებით, თუ ძალაც შესწევდა.

მაგრამ მისი ძალა ჟუანზე უქმად ცდებოდა, რადგან ჟუანის მწუხარება ამგვარ განცდებს ეწინააღმდეგებოდა; თვალნი მის თვალთ ისრებს სტყორცნიდა, მაგრამ ვერ აღანთებდა; და რაკი გადაჯაჭვულნი იყვნენ, მათი ხელები ერთმანეთს ეხებოდა და არამარტო ხელები, სხვა მშვენიერი კიდურებიც (და ამ ქალს ისეთი ნაკვთები ჰქონდა, ძნელი იყო თავშეკავება), რომ შეიძ-

ლო აერქარებინა ჟუანის პულსი, დაემსხვრია ერთგულება; და აწინდელი ჭრილობანი დიდად ვერ შეენინააღმდეგებოდნენ.

სულერთია, ბევრი გამოძიება არა ღირს, მაგრამ რაც მართალია, მართალია — ვერცერთი რაინდი ვერ იქნებოდა უფრო გულალალი, მტკიცე და ერთგული ქალის სიყვარულისადმი; მტკიცებულებებს გამოვტოვებთ და ორიოდეს დავჯერდებით; ნათქვამია, „ცეცხლი ხელში ჩაგიქრება თუ ყინულოვან კავკასიონზე ფიქრობო“, — ვგონებ, ცოტა თუ შეძლებს არ ჩაუქრეს, — და მაინც, ჟუანმა ამჯერად ასე თუ ისე გაუძლო ცდუნებას.

ახლა კი კეთილზნეობას უნდა მოვუხმოდ აღწერისას, ვითარცა ცდუნებათათვის გამიძლია სიყმანვილისას, რადგან გავიგე, მრავალთ აღუნიშნავთ პირველი ორი წიგნის კითხვისას, მეტიმეტი გულახდილობააო;

ამიტომ მალევე გადავიყვან დონ ჟუანს გემიდან, რადგან, ვითარ გამომცემელი ირწმუნება მართებულად, აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვინემ იმ ორ სიმღერას შეუშვებენ ოჯახებში.

ჩემთვის კი სულერთია; მიყვარს თხრობა, ამიტომაც დამითმია მათთვის უფრო წმინდა საკითხავი სმოლეტისა, პრაიორისა, არიოსტოსი, ფილდინგისა, უცნაურ რამეებს რომ უბნობენ, რათა დროისათვის შესაფერისნი იყვნენ; ოდესღაც ძალიანაც მინდოდა გამეფხავებინა ჩემი კალამი პოეტური ომისათვის და მომეგონებინა იმ დროს, როს ეს ჟარგონი საყვედურებს გამოინვევდა, რაც ახლა არ ხდება.

ბიჭებს ხომ უყვართ ჩხუბი და მეც მიყვარდა კინკლაობა პატარაობისას, მაგრამ ახლა მირჩევნია მშვიდობიანად გავბრუნდე და ლიტერატურულ ბრბოს დავუტოვო ასპარეზი; ნუთუ ჩემი ლექსის დიდება ჩაქრება, როს ამის დამწერ მარჯვენას კიდევ შესწევს ძალა, რომ კიდევ მოსთხოვოს საუკუნეებს აღიარება, ბალახი გაიზრდება ჩემს სამარეზე და შუალამის ქარი იკვნესებს, მაგრამ ჩემს სიმღერას ეს არ მოელის.

პოეტებს — უხსოვარ დროიდან, მანძილიდან და ენებიდან რომ მოაღწიეს ჩვენამდე — ბედის ნებიერთ, სიცოცხლე მხოლოდ არსებობის მცირე ნაწილად ესახებათ; ოციოდე საუკუნე

ისე ეხვევა სახელს, ვით დაგორებულ თოვლის გუნდას ეშველებიან ფიფქები და თუნდ აისბერგისოდენა გაზარდონ, ბოლო-ბოლო მხოლოდ ცივ თოვლად დარჩება.

და დიადი სახელებიც არას ნიშნავს, და დიდების სიყვარული მარტოდენ ხუმტურია, რაც ხშირად თავისი მძვინვარებით აჭარბებს სხვა ყოველივეს, ვისაც სურს აღბეჭდოს თვისი მტვერი, მიუხედავად ამ უსაზღვრო განადგურებისა, ყველას რომ ასაფლავებს და არას ტოვებს „სამსჯავროს მოსვლამდე“ — ყველაფერი იცვლება: ვიდექი აქილევსის საფლავზე და ჩამესმოდა ტროას შესახებ გამოთქმული ეჭვები; ჟამი მოვა, რომიც ეჭვქვეშ დადგება.

თაობები გარდავიდნენ და გაჰქრნენ, საფლავი საფლავს ედება, ვინემ ხსოვნაც გაჰქრებოდეს ეპოქისა, და დასაფლავებული თვისივე შთამომავლის ქვეშ იკარგება; სად არის ეპიტაფიები, ჩვენი მამები რომ კითხულობდნენ? ზოგიერთილა გადარჩა სასაფლაოს ბინდბუნდში; ერთ დროს უამრავი სახელი დღეს უსახელოდ წევს და იშრიტება ყველაფერი საყოველთაო სიკვდილში.

ყოველ ნაშუადღევს ცხენით ჩავუქროლებ იმ ადგილს, სად გმირულად დაიღუპა ყმანვილკაცი, დე ფუა, ვინც უდროოდ აღესრულა ადამიანური ამაოებისათვის, თუმც დიდხანს იცოცხლა ადამიანებში! გადატეხილი ბოძი, არცთუ ულაზათოდ გათლილი, რისი გაქრობაც დააჩქარებს რავენამი მომხდარი სისხლისღვრის ნიშანსვეტის გაქრობას სარეველისა და ნაგვის ქვეშ, საძირკველს რომ შემოწყობია.

ყოველდღე ჩავუვლი იმ ადგილს, სად დანტეს ძვლები განისვენებენ:

მცირე რამ თალი, კოხტა უფრო, ვინემ საზეიმო, იცავს მის ფერფლს, მაგრამ აქ პოეტის საფლავს უფრო მიაგებენ პატივს, ვინემ მეომრისას. დრო მოვა, ოდეს ორივე დაირღვევა, წინამძღოლის ნადავლიცა და პოეტის წიგნიც ჩაიძირება იქ, სად პელიდის სიკვდილამდე და ჰომეროსის დაბადებამდე ამქვეყნად მომხდარი ომები და სიმღერები ჩაძირულა.

ადამიანური სისხლით ჩაკირულიყო ის სვეტი და ადამიანურივე სიბინძურით მოსვრილი, თითქო გლახთა უხეში ზიზღი

აღჭურვილიყოს იმ ადგილის ათვალწუნების დასტურად, თვითვე რომ გაანაყოფიერა; ასე ექცევიან ნადავლს და ასე იქნება გამოგლოვილი მუდამ ის სისხლიანი ქრილობები, რომელთა სასტიკი მისწრაფება დიდებისა და სისხლისადმი და მათ გამო მიგებული ტანჯვა მხოლოდ დანტემ იხილა ჯოჯოხეთში.

და მაინც, ბარდები დარჩებიან, თუმც კი სახელის მოხვეჭა კვამლია, საკმეველია ადამიანური აზროვნებისათვის; და მშფოთვარე გრძნობები, რამაც პირველად გააღვიძა სიმღერა დედამინაზე, კვლავაც ეძიებს, რასაც ეძიებდა; და ვით საბოლოოდ შეემსხვრევა ნაპირს ტალღები, ისე მიიწვეს უსაზღვრო ვნებანი, რათა პოეზიას შეეხალონ, რაც სწორედ ვნებაა, ან იყო ბოლო-ბოლო, ვინემ მოდად გადიქცეოდა.

თუკი ისეთი ცხოვრების გზაზე, ერთ დროს სათავგადასავლოდაც რომ მიაჩნდათ და შემეცნებითადაც, კაცს, ვინც გამოსცადა ყველანაირი ვნება და შეიძინა ღრმა და მწარე უნარი — გადმოსცეს ეს ხატები ხელახლა, ვითა სარკეში, ისეთ ფერებში, თითქო ცოცხლები არიანო, ეგებ კარგსაც იზამდეთ თუ აუკრძალავთ მათ წარმოჩენას, მაგრამ (ვფიქრობ) გააფუჭებთ მშვენიერ ლექსს.

აჰ! თქვენ, ვინც წყვეტთ ბედს ყველა წიგნისა! კეთილო მდედრობითო ჩიტუნებო! ვინც გამომეტყველებით აფასებთ, ინონებთ და ავრცელებთ ახალ ლექსებს, ჯერაც არ გაგიშვივართ „ცენზურაში“?

რაო! ნუთუ უჩინარ მზარეულებში უნდა ჩავიკარგო, იმ კორნულოლელ ბაცაცებში პარნასელთა ნამსხვრევეებისა? ეჰ! მაშ იმ ერთადერთ მენესტრელად უნდა დავშთე, ვისაც აკრძალული აქვს სმა თქვენი კასტალიური ჩაისა!

რაო! გალიაში სანახავი „ლომი“ ვარ და მეტი არაფერი? საბალმასკარადო ბარდი, გრაგნილი, კალენდრის ტურფა? მოსაწყენ ქათინაურთა ამტანი, რომ ოხრავს „აჰ ვერ გამომითქვამსო“, იორიკის შოშისავით; მაშ გეფიცებით, ვით პოეტმა უორდიმ დაიფიცა (რაკი ქვეყნად არვინ კითხულობს, სულ ბუზღუნებს), რომ გემოვნება დაკარგულა, რომ სახელ-დიდება მხოლოდ ლატარიაა, ლურჯსამოსიანთა საზოგადოების ხელმოცარული წევრის მიერ ამოღებული.

ოჰ! „უძირო, მუქო, მშვენიერო სილურჯე“, ვითარც უმღერის ვილაცა ზეცას და მე კი თქვენ — განათლებულო ქალბატონებო; ამბობენ თქვენი წინდებია ამ ფერისო (ღმერთმა უწყის, რატომ, მე მოვსინჯე რამდენიმე წყვილის ფერი); და ნაზად შემოჰკვრიათ ლურჯი წვივსაკრავები მარცხენა ფეხს პატრიციებისა, შუალამით რომ მხიარულებას ეთაყვანებიან და დილით მიღებას სამეფო კარზე.

და თუმც ზოგიერთი თქვენგანი ანგელოზური ქმნილებაა, მას შემდეგ დრო გავიდა, და თქვენ, რითმებზე შეყვარებულნი, კითხულობდით ჩემს ლექსებს და მე კი თქვენს ნაკვთებს, მაგრამ რა აზრი აქვს, წარვიდა ყოველი და ჯერაც არ ვწუნობ განათლებულ ქმნილებებს, რაკი ხანდახან ამქვეყნიურ სიქველეთ ინახავენ; ვიცნობდი ერთ ქალს ამ მენამული სკოლიდან, საყვარელ, უმანკო, უნაკლო ქმნილებას, მაგრამ საკმაოდ სულელს.

ჰუმბოლდტს, „მოგზაურთა შორის პირველს“, მაგრამ არა უკანასკნელს, თუ ბოლოდროინდელი ცნობები ზუსტია, გამოუგონია, დამავინყდა, რაღაც დაურქმევია და ისიც დამავინყდა, როდის აღმოუჩენია, საჰაერო ინსტრუმენტი, რითაც ცდილობს დაადგინოს ატმოსფერული მდგომარეობა იმით, რომ გაზომავს „სილურჯის ინტენსივობას“.

ო, ლედი დაფნავ! გამაზომინეთ თავი.

მაგრამ დავუბრუნდეთ თხრობას:

დედაქალაქში გასაყიდი მონებით დატვირთულმა ხომალდმა — ჩვეული პროცედურის შემდეგ — ჰარამხანის კედელთან ჩაუშვა ლუზა; მისი ტვირთი, შავი ჭირისაგან სალი და დაცული, მთლიანად ბაზარზე გაირეკეს; იქ ქართველებთან, რუსებსა და ჩერქეზებთან ერთად იყიდებოდნენ სხვადასხვა სურვილისა და საჭიროებისათვის.

ზოგიერთები ძალზე ძვირად გაიყიდნენ; ერთ ჩერქეზ კობტა ქალწულში ათასხუთასი დოლარი გადაიხადეს; მშვენიერების ნათელი ფერებით ზეციურ შეფერილობას ედრებოდა; მასზე გაჩაღებული ვაჭრობის შემდეგ ბევრი ბაქია ნაფრატუნდა შინ იმედგაცრუებული, ვინც იქაჩებოდა, ვინემ თანხა ათას ასს მი-

აღწევდა, მაგრამ ფასმა რომ აინია, მიხვდნენ, სულთანისთვის არისო, და მყისვე გაეცალნენ.

თორმეტ ნუბიელ ზანგის ქალს ისეთი ფასი დაედო, დასავლეთ ინდოეთის ბაზარს ძნელად თუ დაესიზმრებოდა; თუმც ვილბერფორსმა ორჯერ სცადა ბოლო-ბოლო მონობის გაუქმებად; და ეს არცთუ შესანიშნავია, რადგან ბოროტება ყოველთვის ბევრად უფრო ბრწყინვალეა, ვინემ მეფე; ყველაზე დიდი სიქველე, ქველმოქმედებაც ხელმომჭირნეა, ბოროტება კი არაფერს დაზოგავს რარიტეტის შესაძენად.

ამ ჩვენი ახალგაზრდების ჯგუფიდან კი ზოგს ფაშები ყიდულობდნენ, ზოგს ურიები, ზოგი ტვირთქვეშ ჩაიზნიქებოდა, ზოგიც რენეგატთა ეკიპაჟებში მოხვდებოდა; ეს უბედური ხალხი კი იმედოვნებდა, ძალზე ბებერი ვეზირის ხელთ მაინც არ მოხვდებოდა; ქალები იდგნენ და სათითაოდ მიჰყავდათ — ან დიასახლისად ან მეოთხე ცოლად, ან მსხვერპლად.

მაგრამ ესე ყოველი მომდევნო სიმღერისათვის შემოვინახოთ; შემოვინახოთ ჩვენი გმირის ხვედრიც, არცთუ სასიამოვნო (რადგან ეს ქება ძალზე გაგვიჭიანურდა), გადავდოთ, რადგანაც ვგრძნობ, გადაჭარბება არ ივარგებს, მაგრამ რა ვუყო, მუზამ არ დამართო ნება უფრო ნაკლები დამენერა და ახლა კი გადავდოთ დონ ჟუანის ამბავი — ვით ოსიანთან ეწოდება — მეხუთე დუანამდე.



თავი მეხუთე

ჰარეშვი: გულბაიანი

ოდეს ხვევნა-კოცნის მოყვარული პოეტები უმდერენ თავი-ანთ სატრფოთ შარბათივით დამტკბარი და გაცვეთილი სტრიქონებით, და რითმებს ისე აწყვილებენ, თითქო ვენერას დაუ-ულღებია თვისი მტრედებო, ნაკლებ ფიქრობენ, თუ რა ზიანი მოაქვთ; რაც მეტ ნარმატებას აღწევენ, მით მეტად აშავებენ, რასაც ოვიდიუსის ლექსიც გვაუნყებს; თვით პეტრარკაც კი, თუ მკაცრად განვსჯით, პლატონური მაჭანკალია შთამომავალთათვის.

ამიტომაც ვამხელ ყველანაირ ამურულ მწერლობას, გარდა იმისა, რაც არ მოგვწესხავს; ნათელი, სადა, მოკლე და არასდიდებით — თავბრუდამხვევი, ყოველ შეცდომას მორალი უნდა ახლდეს, შეთხზული დასამოძღვრად და არა დასატკობად, და ყოველ ვნებას რიგრიგობით აცამტკერებდეს.

ახლა კი, თუ ჩემი პეგასი ცუდად არ დაჭედილა, ეს პოემა მორალურ მოდელად უნდა იქცეს.

ევროპული და აზიური სანაპიროები, მოკაშკაშე სასახლეებით; ოკეანის სამოცდათოთხმეტი ნაკადი, აქეთ-იქით მიმართული; სოფიას ოქროსფრად მოკაშკაშე გუმბათი; კვიპაროსები; მაღალი და ჭაღარა ოლიმპი; თორმეტი კუნძული, და მეტი, ვინემ ვიოცნებებდი, აღსანერად მიუწვდომელი სანახაობა, რამაც მოხიბლა მომაჯადოებელი მერი მონტეგიუ.

მიყვარს სახელი „მერი“, რადგანაც ერთ დროს ჯადოსნურად ჩამესმოდა; და ახლაც მაგონებს გრძნეულ სამყაროს, სადაც ვიხილე, ახდენა რასაც არ ეწერა; ყველა გრძნობა გაჰქრა და ეს კი სულ ბოლოს შეიცვალა; ეს მონუსხვა, რისგანაც ჯე-

რაც ვერ დამიღწევია პირწმინდად თავი; მაგრამ დავსევდიანდი და დაე ამბავიც განელდეს, და პათეტიკურად ნულარ ითქმება.

ქარმა გაინავარდა ევქსინზე, ტალღა შეასკდა ლურჯ სიმპლევადებს და დაიმსხვრა; დიდებულია ეს სანახაობა გოლიათის საფლავიდან, ოდეს მშვიდად უმზერ, თუ ვით ეხლებიან და განბანენ ევროპასა და აზიას ბოსფორს შუა მბრუნავი ზღვები; არ არის ზღვა უფრო საშიში, ვინემ ევქსინი, სადაც კი მგზავრს გულისრევა დამართნია.

შემოდგომის სუსხიანი და მტირალა დღე იდგა, როს ღამეებია ერთნაირი და არა დღეები; პარკებმა უეცრივ შეწყვიტეს ზღვაში გასულთა ბედის ქსოვა, ღრიალა ქარიშხლებმა აამღელვარეს წყლები და გაულვივეს მონანიების სურვილი ყველას, ვინც კი ზღვის უფსკრულებში მიიკვლევდნენ გზას — აღთქმას დებდნენ: გამოვსწორდებითო, — თუმც ტყუილად, რადგან თუ დაიხრჩობოდნენ, რალას გამოსწორდებოდნენ, და თუ გადარჩებოდნენ — აღარც გაახსენდებოდათ აღთქმა.

ბაზარზე ჩაემწკრივებინათ ბრბო ყველა ეროვნების, ასაკისა და სქესის მოცახცახე მონებისა; მოექუჩებინათ ვაჭრებს თავთავიანთ სადგომებთან: საბრალო ქმნილებანი! კარგი გარეგნობა მწუხარებით შეცვლოდათ. ყველა, შავკანიანთა გარდა, ბოლმით იტანჯებოდა — დაშორებულნი სახლს, მეგობრებს, თავისუფლებას; ზანგები უფრო ფილოსოფიურად განწყობილიყვნენ, უეჭველია შეჩვეოდნენ, ვით გველთევზა ტყავის გაძრობას.

ჟუანი ახალგაზრდა გახლდათ და, ვითა მის ასაკს შეჰფერის, აღვსილიყო იმედითა და სიჯანსაღით; და მაინც ცოტა მონყენილი გამოიყურებოდა, ხანდახან კურცხალიც მოსწყდებოდა; ალბათ სისხლის დაკარგვამ გატეხა მცირედ მისი სიმტკიცე, სიმდიდრისა და მეუღლის, მშვენიერი სახლ-კარის იავარქნამაც და თათართა აუქციონზე მოხვედრამაც.

ესე ყოველი სტოელსაც კი შეარყევდა; და მაინც გულმშვიდად იტანდა გასაჭირს: მისი აღნაგობა და სამოსის ბრწყინვალეობა, რაზეც ოქრომკედი ჯერაც შერჩენილიყო, მისკენ მიაპყრობდა ყველა მზერას და ცდილობდნენ გამოეცნოთ, რამდე-

ნად მაღლა იდგა მდაბიორებზე თვისი იერით; და თუმც ფერმკრთალი იყო, მაინც მშვენიერებას ასხივებდა; და ლამობდნენ გამოეცნოთ თუ რამდენს გადაიხდიდნენ მის გამოსასყიდად.

ნარდის დაფასავით მოენიშნათ ის ადგილი, თეთრად და შავად, საჩვენებლად ჯგუფ-ჯგუფად გასაყიდი საქონლისა, მაგრამ მაინც უნესრიგობა სუფევდა: ზოგი შავტუხას ყიდულობდა, ზოგს ფერმკრთალი ერჩივნა. ისე მოხდა, სხვებს შორის ერთი ოცდაათიოდე წლის ზორბა და ჯანსალი კაციც იყიდებოდა, შავთვალა, უტეხგამოხედვიანი, და მის მერე კი ყუანი იდგა, და ელოდა, ვინ აარჩევდა საყიდლად.

ინგლისელს ჰგავდა; რადგან წელში გამართულიყო, თეთრ-ყირმიზი, კარგი კბილები ამშვენებდა, დახვეული ხორბლისფერი თმა; ალბათ ფიქრმა, გადაღლამ თუ მეცადინეობამ ოდნავ შეუკრა გაშლილი წარბები; ერთ ხელზე სისხლიანი სახვევი დაეხვიათ; და ისე აუღელვებლად იდგა, უფრო დიადს ვერვის წარმოიდგენდა მნახველი.

და როს მხარდამხარ ყმანვილკაცი იხილა, აშკარად გულმაგარი, თუმც ისეთ მძიმე დღეში ჩავარდნილი, ყველას რომ დასცემდა, ბუნდოვანი თანაგრძნობით განეწყო მის ბედქვეშ მყოფი ჭაბუკისადმი, ვინც ამ ყველაფერს ისე უმზერდა, ვით კიდეც ერთ გაკანვრას ცხოვრების გზაზე.

— ყმანვილო! — უთხრა, — მთელ ამ ჭრელ ბრბოში ქართველებისა, რუსებისა, ნუბიელებისა და, რა ვიცი კიდეც, ვისთანაც მოგვახვედრა ბედმა, ადამიანებს ძონძების ფერით თუ გამოარჩევ, ჯენტლმენები მხოლოდ მე და შენ ვჩანვართ, ასე რომ, გავეცნოთ ერთმანეთს, სასიამოვნო იქნება თუ თქვენ დახმარებას შევძლებ, მითხარით, რა ეროვნებისა ბრძანდებით?

და როს ყუანმა მიუგო:

— ესპანელი!

კაცმა განაგრძო:

— მართლაც, ვფიქრობდი, ბერძენი არ იქნებოდი; ამ ლაქია ძაღლებს ასეთი ამაყი გამოხედვა არ გააჩნიათ: ბედს მუხთალი ფანდი უხმარია შენზე, ასე ექცევა ადამიანებს, როცა გამოცდას უწყობს, მაგრამ შეიცვლება, დამიჯერე, ალბათ იმ კვირა-

შივე; მეც შენსავით მომექცა, ოღონდ ეგაა, ჩემთვის აქ ახალი არაფერია.

— გემუდარებით, სერ, — უთხრა ჟუანმა, — შეიძლება გავიგო, აქ რამ მოგიყვანათ?

— ო, ისეთმა არაფერმა, ექვსმა თათარმა და ჯაჭვმა. ეს ბედისწერაა, მაგრამ რაც მოხდა, თუ სამართლიანად შევაფასებთ, ჭკუა უნდა მასწავლოს... რამდენიმე თვე რუსეთის არმი-
აში ვიმსახურე, ხან აქეთ, ხან იქით, დაბოლოს, სუვოროვის ბრძანებით, ერთ ქალაქს ვიღებდი, და აღების ნაცვლად საკუ-
თარი თავი ჩავაბარე.

— მეგობრები არა გყავთ?

— მყავდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს აღარ შევუნუხებხვარ. ახლა, როცა ძალდაუტანებლად გიპასუხეთ შეკითხვებზე, საპასუხო თავაზიანობას მოველი თქვენგანაც.

— ეჰ! — მიუგო ჟუანმა, — სევდიანი ამბავია და ძალზე გრძელიც.

— ოჰ, თუ ასეა, უფლება გაქვს არა თქვა რა; სევდიანი ამბავი ორმაგად გასევდიანებს, როცა გრძელია. მაგრამ ნუ დაღონდები, მართალია ბედმა ქალივით გილაღატა, მაგრამ არ მიგატოვებს (ცოლი ხომ არ არის შენი) დიდხანს ასეთ მწარე დღეებში. ბედისწერასთან შებრძოლება კი იმას დაემგვანება, სამკალი რომ ნამგალს შეებრძოლოს; კაცი სათამაშოა გარემოებათა ხელში, თუნდაც ეგონოს, გარემოებას ვათამაშებო.

— განა, — უპასუხა ჟუანმა, — ანმყოს სიდუხჭირის გამო ვგლოვობ, არამედ წარსულისა: ყმანვილი ქალი მიყვარდა...

გაჩუმდა და შავი თვალები კიდევ უფრო დაებინდა, ობოლი ცრემლი დაეკიდა და მოწყდა წამნამს:

— იმას ვამბობდი, აწინდელი ხვედრის გამო არა ვდარდობ, რადგან გადამიტანია უდიდესი გასაჭირი, ზღვის უფსკრულებს გადავრჩენილვარ, მაგრამ ეს ბოლო ტალღა...

და აქ კვლავ შედგა და სახე იბრუნა.

— ჰო, — უთხრა მეგობარმა, — ვფიქრობდი, ალბათ ქალბატონი ურევია ამ ამბავში-მეთქი; და ამ თემას ნაზი კურცხალი მოსდევს, და მეც დავღვრიდი ცრემლებს შენს ადგილას, დავი-

ტირებდი ჩემი პირველი ცოლის გარდაცვლის დღეს, და იმასაც, მეორე ცოლი რომ გამექცა: მესამე კი...

— მესამე! — წამოიძახა შემობრუნებულმა ჟუანმა, — ოცდაათისა ძლივს იქნები, სამი გყავს?

— არა, მინის ზემოთ მხოლოდ ორი: მართლაც არაფერია საოცარი კაცის ხილვაში, ვინც სამჯერ შეება წმინდა ქორწინების უღელში!

— კეთილი, მაშინ, მესამემ რა ჰქნა? — ჰკითხა ჟუანმა, — ისიც გაიქცა, ჰა, სერ?

— არა, ღმერთმანი.

— მაშ რა?

— მე გამოვექეცი.

— სერ, თქვენ გულგრილად უყურებთ მოვლენებს, — თქვა ჟუანმა.

— რას იზამ, — მიუგო მან, — რა შეუძლია კაცს? ჯერ კიდევ ბევრი ცისარტყელაა შენს ცაზე, ჩემები კი ჩაქრა. როცა სიცოცხლე იწყება, ყველას ტკბილი აქვს ფიქრები და ამალღებული — ოცნებანი, მაგრამ ცხოვრება გვძარცვავს, გვაცლის ფერად-ფერად ილუზიებს და თანდათან რალაც დიდი შეცდომა ნაადრევად გვაძრობს გველივით კაშკაშა კანს. მართალია მერე ახალ ტყავს ირგებს, ბრჭყვიალასა და ცინცხალს, ან უფრო ცინცხალს, უფრო ბრჭყვიალას, მაგრამ წელი ჩაივლის და ეს კანიც უნდა გაიძროს, შეიძლება ორიოდ კვირაც არ შერჩეს; როცა სიყვარულის ბადე შლის თავის მომაკვდინებელ ყულფს, პატივმოყვარეობა, სიხარბე, შურისმგებლობა, დიდებით ტკბობა შეაკონინებს ჩვენს წარსულ დღეთა დაფნის გვირგვინებს, და კვლავ შევხართ გროშებსა თუ ქება-დიდებას.

— ვთქვათ, ეგ ყველაფერი სიმართლეა, — თქვა ჟუანმა, — მაგრამ მაინც ვერ ვიგებ, რით წაგვადგება ჩვენი ანმყო ყოფა, ან შენ, ან მე.

— ვერა? — ჰკითხა მან, — იმას ხომ მაინც შეძლებ, რომ სწორად აღიქვა მოვლენები, რალაც მაინც ხომ ვისწავლეთ: ვთქვათ, ის, რომ ვიცით, თუ რა არის მონობა, და ჩვენი უბედურება გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ, ბატონები როცა ვართ.

— ახლა რომ ბატონები ვყოფილიყავით, ეგებ გვეცადა და გვესწავლებინა მათივე გაკვეთილები ჩვენი წარმართი მეგობრებისათვის, — თქვა ჟუანმა და გულისჩამწველი ოხვრა ჩაყლაპა, — ღმერთი შეენიოს სწავლულს, ვისაც ბედისწერა აქ ამოაყოფინებს თავს!

— ალბათ დრო გავა და ერთ დღეს განვისწავლებით, — შეუერთდა მეგობარი, — როცა უიღბლობას ბოლო მოეღება; მანამდე კი (შეხე ბებერი შავი საჭურისი მოგვჩერებია) ღმერთს ვევედრები, ვინმემ გვიყიდოს. მაგრამ ბოლო-ბოლო, როგორია ჩვენი ახლანდელი ყოფა? ცუდია და შეიძლება გაუმჯობესდეს; ასეთია ადამიანთა ბედი; უმრავლესობა მონები არიან, ყველა, დიდ ადამიანთა გარდა, თავიანთივე ხუმტურებისა და ვნებებისა და რისაც ვნებავთ; საზოგადოება კი, სიკეთეს რომ უნდა ჰქმნიდეს, იმ ცოტაოდენსაც გვართმევს, რაც გაგვაჩნია. გულგრილობა ჭეშმარიტი სოციალური ხელოვნებაა მსოფლიოს სტოიკოსთა, უგულვო ადამიანებისა.

სწორედ იმ დროს შავ-შავი, ბებერი, უგრძნობი არსება, მესამე სქესისა, წინ წამოდგა და დააშტერდა ტყვეებს, ანონ-დანონა მათი იერი, ასაკი და უნარი, რათა გაეგო, თუ რამდენად შეჭფეროდნენ გამიზნულ გალიას; არცერთი ქალბატონი არ შეჭყურებს საყვარელს ისეთი ვნებიანი თვალით, ცხენს ისე არ აფასებს აზარტული მოთამაშე, ჰონორარს არ ითვლის ისე ადვოკატი, საშიშ დამნაშავეს არ უთვალთვალებს ციხის ზედამხედველი, ვითარც მონებს ათვალთვალებს ყიდვის მსურველი.

სასიამოვნოა ჩვენნაირ არსებათა შესყიდვა; და ყველა შეიძლება გაიყიდოს, თუ შევაფასებთ მათი ვნებებითა და მოხერხებულობით; ზოგს გარეგნობის გამო ყიდულობენ, ზოგს მეომარი ყიდულობს, ზოგსაც, გააჩნია სად, ასაკისა და ბუნების გამო; უმრავლესობას ნაღდი ფულით შეიძენენ, მაგრამ ყველას აქვს ფასი, მათივე ცოდვათა საფერი.

საჭურისმა ყურადღებით დაათვალიერა ისინი, ვაჭარს მიუბრუნდა და შეევაჭრა ჯერ ერთზე და მერე ორივეზე; კამათობდნენ, ჩხუბობდნენ, იგინებოდნენ, არ დაუკლიათ არაფერი! თითქოს უბრალო ქრისტიანულ ბაზარზე ყოფილიყვნენ და

ხორცზე ევაჭროთ, ვირზე, ცხვარსა ან თხაზე; მათი ვაჭრობა ბრძოლასა ჰგავდა, რაკი უღელ ადამიან-საქონელს ეხებოდა.

ბოლო-ბოლო ბუზღუნით შეთანხმდნენ, უხალისოდ ამოიღეს ქისები და ატრიალეს თვითეული ვერცხლის ფული, ზოგი დაუვარდათ, წამოკრიფეს, ზოგი ხელში აწონეს, შეცდომა რომ არ მოსვლოდათ, იქოთქოთეს, იცახცახეს, ვინემ ზუსტად შეაგროვებდნენ თანხას, და ვაჭარმა ხურდა დაუბრუნა, ვექსილებს ხელი მოაწერა და სადილზე შეუდგა ფიქრს.

ნეტა კარგი მადა თუ ჰქონდა? და თუ ასეა, ნეტა როგორ ინელებდა? ვფიქრობ, ჭამისას უცნაური აზრები უნდა სწვეოდა, და სინდისს ახირებული შეკითხვები დაესვა, თუ ვით ამართლებდა ზეცა სისხლისა და ხორცის გაყიდვას. და როს სადილი ჩაშხამდება კაცს, ვფიქრობ, ყველაზე პირქუმ საათად ექცევა ამ სევდიან ოცდაოთხ საათში.

არაო, ამბობს ვოლტერი; კანდიდი მიიჩნევდა, ცხოვრება ყველაზე უფრო ასატანი ჭამის მერეაო; ცდება — ადამიანი რომ ღორი იყოს, მართლაც გაძლომა მოუმატებდა გრძნობებს; თუკი მთვრალია, მისი ტვინი უთუოდ თავისუფალია ჭყლეტისა და ტანჯვისაგან. ჭამაზე ფილიპეს ვაჟივით ვფიქრობ, ან ამონივით (არცერთ ქვეყანას რომ არ სჯერდებოდა და არცერთ მამას);

ალექსანდრესავით ვფიქრობ, რომ პურისჭამა, სხვა ამგვარ ორიოდ ქმედებასთან ერთად, შეგვაგრძნობინებს, მართლაც ორმაგად მოკვდავნი რომ ვართ; როს შემწვარი თუ მოხრაკული, თევზი, წვნიანი, ჭურჭლეულით კარგად მორთმეული, ან ტკივილს ან სიამოვნებას მოგვანიჭებს, ვინლა შეერკინება ინტელექტს, როს კუჭის წვენის შემწეობის ამარა რჩება.

ერთ საღამოს (წინა პარასკევს) — ეს რეალობაა და არა პოეტური იგავი — ოდეს ის იყო მოსასხამი მომასხეს, ქუდი და ხელთათმანები ჯერაც მაგიდაზე ეწყო, სროლის ხმა გავიგონე — ჰადაჰა რვას გადასცილებოდა — და გარეთ გავვარდი მთელი სისწრაფით და ვნახე ქუჩაში გამოტილი სამხედრო მეთაური — ძლივსლა სუნთქავდა.

საბრალო კაცი! რაღაც მიზეზით, უთუოდ ცუდი მიზეზით, ხუთი ტყვიით მოკლეს და იქვე დატოვეს, ქვაფენილზე დასალუ-

პავად; შინ შევიყვანე და კიბეზე ავათროკიალე, სამოსი გავაძრე და დავათვალიერე, მაგრამ რაღა ბევრი გავაგრძელო? ამას იყო ყველანაირი მზრუნველობა; სული განუტევა საბრალომ რომელიღაც იტალიურ ჩხუბში — ძველი თოფის ლულიდან გამოსროლილი ხუთი ტყვიით.

დავყურებდი, რადგან კარგად ვიცნობდი; და თუმც ბევრი გვაში მინახავს, აროდეს — ასეთი რამ რომ შემთხვეოდა და ასეთი მშვიდი გამომეტყველება ჰქონოდა; თუმც კუჭიც დაეცხრილათ, გულიც და ღვიძლიც, თითქოსდა სძინავსო, და ვერც კი იტყოდი (რაკი შინაგანი სისხლდენა ჰქონდა, შედედებული სისხლის მდინარე არ ამხელდა სიკვდილის მიზეზს), მკვდარიყო.

და რომ დავყურებდი, ვიფიქრე თუ ვთქვი: „ეს არის სიკვდილი? მაშ რა არის სიცოცხლე ან სიკვდილი? მიპასუხე!“ მაგრამ არა მომიგო რა. „გაიღვიძე!“ მაგრამ ეძინა: „...მაშ ვინ იყო, გუშინ რომ მძლავრად სუნთქავდა? ათასი მეომარი მის სიტყვას უდრტვინველად ემორჩილებოდა: „ნადი“ და „მიდიოდნენ“; „მოდი“ და ნაბიჯი აქეთ იდგმებოდა. საყვირები ღუმდნენ, ის როცა ლაპარაკობდა, და ახლა კი მისგან დადუმებული დოლილა დარჩენილა.“

და ვინც ერთ დროს ელოდნენ და ეთაყვანებოდნენ, ახლა სანოლს შემოხროვოდნენ და უხეში სახეებით დასცქეროდნენ მეთაურის თიხას, რასაც უკანასკნელად, თუმც არა პირველად, სდიოდა სისხლი; ასეთი აღსასრული! იგი, ვისაც მრავალჯერ უნახავს, თუ ვით გარბოდნენ ნაპოლეონის მტრები, შეტაკებისას იქნებოდა თუ ჩასაფრებისას, ახლა ქალაქის ვინრო ქუჩაში დაეცხრილათ.

ძველი ნაიარევეები მიახლოებოდა ახალს; ის ღირსეული იარები, დიდება რომ მოუტანა; შემზარავი იყო მათ შორის განსხვავება... მაგრამ ნება მიბოძეთ დავასრულო; რადგან ასეთი რამეები ალბათ მეტ ყურადღებას ითხოვს, ვინემ საჭიროა ჩემგან; დავცქეროდი (ვითარც ხშირად მოვქცეულვარ) და ვცდილობდი გამეგო, თუ რას მასწავლიდა ეს სიკვდილი, რას დამიმტკიცებდა, შემძრავდა თუ რწმენას შთამინერგავდა;

მაგრამ ყოველი საიდუმლოებას მოუცავს. აჰა, აქა ვართ და იქით მივდივართ, მაგრამ საით? ტყვიის ხუთი ნაჭერისაკენ თუ სამის თუ ორის თუ ერთისაკენ — შორს გაგზავნილისკენ! და ნუთუ ეს სისხლი დასაღვრელად შექმნილა? შეუძლია ყოველ ელემენტს ჩვენს ელემენტთა დაბინძურება? და ჰაერი, მიწა, წყალი, ცეცხლი ცოცხალი და მკვდრები ვართ? ჩვენ, რომელთა გონებაც ყველაფერს სწვდება?

მორჩა; მოდი ისევ თხრობას მივუბრუნდეთ.

ჟუანისა და მისი ნაცნობის მყიდველმა შექმნილი საქონელი მოოქროვილ ნავთან მიიყვანა, ჩასვა, თვითონაც ჩაჯდა და გაეშურნენ ისე სწრაფად, ნიჩბების მოსმასა და წყლის გაჭრას რაც შეუძლია; ისე მოჩანდა, თითქო სასჯელის აღსრულები-სათვის მიჰყავდათ. ნეტა რა იქნებაო, ფიქრობდნენ, ვინემ თურქული ქაიქი მიადგებოდა კედელთან მდებარე მცირე, მუქმწვანე, მაღალი კვიპაროსებით დაფარულ ყურეს.

აქ მათმა მეგზურმა დააკაკუნა მომცრო რკინის კარზე; კარი გაიღო და შიგნით შეუძღვა, ჯერ პატარა, ორი მხრიდან მცენარეებით დაფარულ ჭალაში; თითქო გზა დაჰკარგეს და ეძიებნო.

ღამე ეშვებოდა მიწაზე. საჭურისმა ნიშანი მისცა ნავში მყოფთ, მათ ნიჩბები მოუსვეს და უსიტყვოდ გაშორდნენ.

ნელა მიუყვებოდნენ მიხვეულ-მოხვეულ გზას, ციტრუსებსა და იასამანს, და ასე სხვა მცენარეთა შორისაც (მათზე ბევრი რამ შემიძლია ვთქვა, ჩრდილოეთში ასერიგი სიუხვით არ მოგვეპოვება აღმოსავლური მცენარეები, „et cetera“, მაგრამ თქვენი მჩხაპნელები მაინც ახერხებენ მთელი სათბურები მონაცონ თავიანთ თხზულებებში, რადგან ერთ პოეტს უმოგზაურია თურქთა შორის).

და ვინემ გზას მიუყვებოდნენ, ჟუანს თავში ერთი აზრი მოუვიდა და ამხანაგს ჩასჩურჩულა. ეს აზრი ყველას გაუელვებდა, თქვენცა და მეც.

— ვფიქრობ, — თქვა მან, — დიდი სირცხვილი არ იქნება თუ ვცდით, გავბედავთ და გავთავისუფლდებით; მოდი ამ ბებერ შავკანიანს თავში ჩავარტყათ და გავქუსლოთ, ამის ქმნა უფრო იოლია, ვიდრე თქმა.

— დიახ, — უპასუხა მეორემ, — და როცა გავიქცევით, მერე? გარეთ როგორღა გავალწვეთ? და თუ იოლად გავალწიეთ და წმინდა ბართლომესაგან განსხვავებით ტყავიც გადავირჩინეთ, ხვალ სხვა ბუნაგში ამოვყოფთ თავს, და უარეს დღეშიც ჩავცვივდებით, ვიდრე აქამდე ვიყავით; ამასთან, მშია და, ესავისა არ იყოს, პირმშობას ბიფშტექსში გავცვლიდი. ადამიანის საცხოვრებლის ახლოს უნდა ვიყოთ; ამიტომ მიზოზინებს ასე თავდაჯერებულად ბებერი ზანგი, ორ ტყვესთან ერთად, ასეთ უცნაურ გზაზე; იცის, მის ამხანაგებს არ სძინავთ; ერთს დაიყვირებს და ყველა თავს მოიყრის: ამიტომ ჯერ მოვზომოთ, ვიდრე გადავხტებოდეთ, და აი, ხედავ, ამ მოსახვევმა სად მიგვიყვანა, იუპიტერსა ვფიცავ, დიდებული სასახლეა!.. თანაც განათებული.

წინ აღემართათ მართლაც ვრცელი და დიადი შენობა, რომლისთვისაც ბლომად შეესხურებინათ ოქროს და სხვადასხვა ფერის საღებავი, თურქული ჩვეულების კვალობაზე; უგემოვნებაა ჭრელა-ჭრულების სიყვარული და მართლაც ნაკლებ არიან ჩახედულნი ხელოვნებაში, რასაც ამ მინამ დაუდო სათავე; ბოსფორის თვითეული სასახლე ჰგავს ოპერის სცენას, ახლახან მიხატული თეჯირებით.

და ახლოს რომ მივიდნენ, ხალისიანი სუნი იგრძნეს კერძეულისა, ხორციულისა თუ ფლავეულისა, იხილეს, რასაც მოკვდავის თვალი ყველაფერს ამჯობინებს და რამაც ყუანს გაუქრო მგზნებარე მისწრაფება და კეთილგონიერებისაკენ მოაბრუნა; მისმა ამხანაგმაც აღმოთქვა მხსნელი წინადადება:

— ღვთის გულისათვის, მოდი ახლა ვივახშმოთ და მერე შენთანა ვარ, თუ ჩხუბს აპირებ.

ზოგს უყვარს საუბრით ვნებების გამონწვევა, ზოგი გრძნობებს მიმართავს, ზოგიც საღ აზრს; თუმცა საღი აზრი აროდეს ყოფილა მოდაში, რადგან გონებას მიაჩნია, რომ ყველანაირი განსჯა ყავლგასულია. ზოგი მოსაუბრე ნუნუნებს, ზოგი მათრახით გიტევს, ზოგიც გააჭიანურებს და გაღიზიანებს მსჯელობით, რაშიც, ჰგონია, ძლიერი ვარო, მაგრამ არვის მოუვა თავში, მოკლედ მოჭრას.

მაგრამ კიდევ გადავუხვიე.

ყოველ მიდრეკილებათაგან — თუმც პათოსის ძალასაც ვითვალისწინებ — ოქრო იქნება, სილამაზე, მლიქვნელობა, მუქარა თუ გროში... ვერცერთი მეთოდი ვერ შეაკავებს ადამიანთა გრძნობებს, რაც, ვითარც ყოველდღე ხდება, განაზდება ხოლმე, ოდეს ყოვლისდამამშვიდებელი, ყოვლისდამძლევი ხმა დაირხევა, სულის გამოძახილი, სადილის ზარი.

თურქებს ზარი სად აბადიათ, და მაინც ადამიანები სადილობენ; და თუმც ჟუანსა და მის მეგობარს ქრისტიანული ზარით არ უხმობდნენ, არც სუფრის მომსახურე ლაქიათა რიგი დაუნახავთ, მაინც იგრძნეს შემწვარი ხორცის სუნი, იხილეს მოგიზგიზე ცეცხლი და ხელდაკაპინებული, მოფუსფუსე მზარეულები, მარცხნიდან და მარჯვნიდან რომ მოსჩერებოდნენ მადისაღმძვრელი მზერით.

და უკუაგდეს წინააღმდეგობის ყოველგვარი სურვილი, ახლოს მიჰყვებოდნენ თავიანთ შავტუხა მეგზურს, ვისაც აინუნშიც არ მოსდიოდა, რომ მისი საბრალო არსების ყოფნა-არყოფნა გადაიდო; მან ტყვეები შეაჩერა და კარზე დააკაკუნა; კარი გადაიხსნა და დიდი, აზიური ბრწყინვალეობითა და ოტომანთა სიდიადით აღბეჭდილი დარბაზი გამოჩნდა.

არ აღვწერ;

აღწერა მემარჯვება, მაგრამ ამ ჩვენს ნათელ დღეებში ყველა სულელი ახერხებს აღწერას თავისი ბრწყინვალე მოგზაურობისა უცხოურ სამეფო კარზე, დაახვავებს წიგნში და მკითხველს ქებასა სთხოვს, გამომცემელს კი სიკვდილს უსურვებს; მისთვის ეს სპორტია; მაშინ, ოდეს ბუნება ოციათას გზას გამოტანჯავს და სანიშუშო მოთმინებით ჩაეფლობა სამეგზურო წიგნებში, რითმებში, საათებში, ჩანახატებში, ილუსტრაციებში.

ამ დარბაზში ზემოთ და ქვემოთ ფეხმორთხმით ისხდნენ მავანნი და ჭადრაკს ამღერებდნენ; სხვანი სიტყვაძუნწად მუსაიფობდნენ, კიდევ სხვანი საკუთარი სამოსის ცქერით ტკბებოდნენ; კიდევ სხვანი განსაცვიფრებლად ლამაზ ჩიბუხებს აბოლებდნენ უძვირფასესი ან ძვირფასი ქარვით მოოჭვილი სატუჩებით; ზოგი მიმოდიოდა, ზოგს ეძინა და ზოგიც ჭიქა რომით ხელში სავახშმოდ ემზადებოდა.

ოდეს შავი საჭურისი შევიდა ნაყიდ ურჯულოთა ასხმულით, ზოგმა ამოხედა ისე, რომ საქმიანობა არ შეუწყვეტია; ვინც ახლოს ისხდნენ, ოდნავ შეირხნენ, ერთმა თუ ორმა ტყვეებს სახეშიც შეხედა, ცხენებს ვით ათვალიერებენ ფასის გამოსაცნობად, ზოგმაც ადგილიდან დაუკრა თავი ზანგს, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს.

ზანგი კი წინ მიუძღოდით დარბაზის გავლით, შეუჩერებლივ, გაიარეს რიგი ლაზათიანი ოთახებისა, ბრწყინვალეთა, თუმც მდუმარეთა, გარდა ერთისა, სად ჩქეფდა მარმარილოს შადრევანი, რომლის ექოც გაისმის ღამის სიბნელეში, სამყოფელს რომ შემოჰხვევია, ან სად რომელიღაც ახირებულ ქალს სურს შეიჭყიტოს შავი თვალებით, კარიდან იქნება თუ ტიხრიდან, რათა გაიგოს, თუ რა ჯანდაბა ხმაურობს.

აქა-იქ, მაღალი კედლებიდან ჩირაღდნები ბუჭტავდნენ და იმდენად უნათებდნენ, რომ გზა გაეკვლიათ, მაგრამ არც იმდენად, რომ წარმოეჩინათ საიმპერიო დარბაზები მთელი სისავსითა და სიკაშკაშით; შეიძლება არც რა, არც იმას ვამბობ, შიშის-მომგვრელია-მეთქი, მაგრამ სევდისმომგვრელი კია, დღისით თუ ღამით, უზარმაზარი ოთახი, სად ადამიანის სული არა ტრიალებს ამ უსიცოცხლო ბრწყინვალეობის დასარღვევად.

ორი თუ სამი ძალზე ცოტა ჩანს, ერთი სულ არა: უდაბნოებში, ტყეში, ბრბოში თუ ზღვის ნაპირზე მარტოობა პატარა ნერტილიდან იზრდება მეტისმეტად და მარადისობად გარდაიქცევა; ხოლო დიდ დარბაზებსა და გალერეებში, თანამედროვე იქნება თუ გარდასული ჟამის, თითქოსდა სიკვდილივით მოგვეახლება სიმარტოვე, ოდეს ვხედავთ, რომ მარტო ვართ მრავალთა შორის.

კრიალა, მყუდრო კაბინეტი ზამთრის ღამეში, წიგნი, მეგობარი, ერთადერთი ქალი — ან კლარეტი, სენდვიჩი და მადა — ის საგნებია, ინგლისურ საღამოებს რომ გაგატარებინებს; თუმც, ცხადია, ისეთ დიდებულ სანახაობას ვერ შეედრება, ვით გაზით განათებული თეატრია. მე საღამოებს ვრცელ დარბაზებში ვატარებ, მარტოდმარტო, და ესაა მიზეზი ჩემი სევდისა.

ეჰ, კაცი იმხელა შენობებს აგებს, რომ თვითონ პატარავდება მათში: გეთანხმებით, ეკლესიაში ეს ყველაზე უკეთ ჩანს; ზე-

ცის შესახებ მოკვდავი არსი ლაპარაკობს, მაგრამ ძლიერი და გამძლე, თუმც ვერა ენა იტყვის ამგებთა სახელებს; მაგრამ უზარმაზარი სახლები აავადებს კაცობრიობას — და უზარმაზარი აკლდამები ხომ უარესი — მას შემდეგ, რაც ადამი დაეცა; ვფიქრობ, ბაბილონის გოდოლის ამბავი უკეთ ასწავლის, ვინემ მე შემიძლია.

ბაბილონი ნებროთის სანადირო ადგილი იყო, მერე ბაღნართა ქალაქი, განსაცვიფრებლად მდიდარი, სად კაცთა მეფე ნაბუქოდონოსორი მბრძანებლობდა, ვინემ ერთ დღესაც გაავდებოდა, და დანიელი ლომებს მოარჯულებდა ხაროში, ხალხს შეეშინდებოდა და განცვიფრდებოდა; ცნობილია პირამოსისა და თისბეს ამბავიც და ისიც, თუ ვითარ დასწამეს ცილი სემირამიდას.

მემატიანენი გადმოგვცემენ, რომ შეურაცხყოფილი დედოფალი უხეშად დაადანაშაულეს (ვეჭვობ, შეთქმულნი არ ყოფილან) უზნეო კავშირში საკუთარ ცხენთან (სიყვარული, რელიგიისა არ იყოს, ერესისაკენ იხრება ხანდახან); ამ მახინჯ ამბავს ალბათ თავისი წყარო აქვს (აქა-იქ ვხვდები მსგავს გადაჭარბებებს), ვითა შეცდომით „მერანის“ ნაცვლად „ვერანს“ დანერენ; ვისურვებდი მსაჯულთ განეხილათ ეს საქმე.

მაგრამ უკან დავბრუნდეთ, ნუთუ შეიძლება მოიძებნონ ურჯულონი (რას აღარ შეხვდებით ჩვენს დღეებში?), ვისაც ამისა არ სჯერათ, რადგან ვერანაირ კვალს ვერ ნახავ იმ ადგილას, სადაც ბაბილონი იყო, რადგან არა სწამთ (თუმც კლოდიუს რიჩს, ესკვიარს, რაღაც აგურები აქვს და ორიოდე მემუარიც დაგვიწერა ამის თაობაზე), არ სჯერათ ებრაელთა იმ ურწმუნოებს, რომელთაც უნდა დაუჯერო, თუმც მათ სჯერათ შენი.

და მაინც, დაე ფიქრობდნენ, რომ ჰორაციუსმა მოკლედ და ლაზათიანად გამოხატა მასონური ახირებულობა მათი, ვისაც დაავიწყდა დიადი მნიშვნელობა განსვენებისა, ვინც თავფეხიანად ეძლევა არქიტექტურას; ვიცით, თუ სად დაასრულებენ არსებობას ყველაზე უკეთ საგნები თუ კაცები (ყველა ზნეობრიობასავით) — მორალურ მელანქოლიაში; და „*Et sepulchri immemor struis domos*“ გვიჩვენებს, რომ ვაშენებთ მაშინ, როს მარტოდენ უნდა დავიმარხოთ.

ბოლოს მიაღწიეს ყველაზე მოშორებულ სამყოფელს, სად ექო თითქოსდა ხანგრძლივი ძილის შემდეგ იღვიძებდა; თუმც სახვე იყო ყველაფრით, რაც კი სასურველია, კაცი იფიქრებდა, რაში მოვიხმარო ამდენი რამ, რაც არავის უთხოვიაო; აქ სიმდიდრეს ყველა საზღვრისათვის გადაეჭარბებინა და გადაეტვირთა მშვენიერი ოთახი ავეჯით, რითაც საგონებელში ჩაეგდო ბუნება, რომელმაც იცოდა, თუ რას ნიშნავს ხელოვნება.

ეტყობოდა, აქედან სხვა დარბაზთა რიგი იწყებოდა, რაც, ღმერთმა უწყის, საით გაუძღვებოდათ; მაგრამ ამ ოთახში უაზროდ მდიდრული ავეჯი გამოეფინათ; ისეთი სავარძლები ენყო, ისე ძვირფასი, ცოდვა იყო ზედ დაჯდომა, ხალიჩების თვითეული ნაყში ისეთი ხელოვნებით მოექსოვათ, სურვილი გიჩნდებოდა, ოქროს თევზივით გეცურავა მათზე.

შავტუხას არც კი დაუხედავს ძირს გაფენილისათვის, რამაც მონები აღაფრთოვანა, გადათელა, რაზეც ბიჯსაც ვერ შედგამდნენ, არ დავალაქათო, თითქოს ღრუბლებზე დადიოდნენ და ვარსკვლავები შემოჯარვოდათ; და დაძაბულებმა მიაღწიეს რაღაც თაროებსა თუ კარადას იმ შორეულ კუნჭულში, რომელსაც ხედავთ... და თუ ვერ ხედავთ, ჩემი რა ბრალია...

მაგრამ მსურს გარკვევით გითხრათ, რომ შავტუხამ, ყური მიგდეთ, გააღო კარადა და გამოიღო სამოსი, რომელსაც ვერცერთი მუსლიმანი ვერ დაინუნებდა; და თუმც მრავლად იყო ყველაფერი და, ვითარ გაუნყეთ, ვერაფერს მოისაკლისებდი, თვითვე აარჩია, რაც, მისი აზრით, ყველაზე უკეთ შეჰფეროდათ ახალნაყიდ ქრისტიანთ.

სამოსი ორივესათვის შესაფერისად რომ ცნო, იყო — ჯერ უფროსისა და უფრო ზორბასათვის — გრძელი, მუხლამდე კრეტული მოსასხამი, შარვალი არცთუ შემოტკეცილი, რათა არ გარღვეულიყო, არამედ აზიურ წესზე შეკერილი; ქაშმირში მოქსოვილი ბალდადი, ზაფრანისფერი ფლოსტები, მდიდრულად მოოჭვილი და ლაზათიანი ხანჯალი, მოკლედ ყოველი, რაც თურქ დენდის სჭირდება.

და ვიდრე იცვამდა, ბაბამ, შავტუხა მეგობარმა, სიტყვა გადაუკრა იმ უპირატესობებზე, რისი მიღწევაც შეეძლო ორივეს,

თუ რიგიანად მოიქცეოდნენ და გაჰყვებოდნენ ბედ-ილბლის მიერ ნაჩვენებ გზას, და დასძინა:

— საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, დიდად წაგადგებათ, თუ წინდაცვეთას დათანხმდებით. პირადად დიდად გავიხარებდი, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეულთ რომ გიხილავდეთ, მაგრამ მაინც არჩევანი თქვენთვის მომინდვია.

ჟუანის ახალშეძენილმა მეგობარმა მადლი უძღვნა ასეთი უზომო სიკეთისათვის, მათ რომ მიანდო ამ უმნიშვნელო საკითხის გადანყვეტა, და რომ არ შეეძლო სრულყოფილად გამოხატვა საკუთარი აღფრთოვანებისა რჩეული ერის ამ ადათისადმი:

— ჩემი მხრივ მცირე დაბრკოლებას ვხედავ, უარი ვთქვა ამ უძველესი რიტუალის შესრულებაზე.

და მცირედი დანაყრების შემდეგ, რამაც კიდევ უფრო გაუღვივა მადა, დაუეჭვებლად განაცხადა:

— საათებიც არ დამჭირდება ამ საკითხის გადასანყვეტად.

ჟუანმა კი ცხარედ წამოიძახა:

— მირჩევნია თავი დავკარგო და მოვკვდე, ვიდრე წინდაცვეთას დაეთანხმდე! ათასი თავიც რომ დაგორდეს...

— თუ შეიძლება, — შეეპასუხა მეგობარი, — ნუ გამანყვეტინებთ, სათქმელი დამასრულებინეთ. სერ! ვით მოგახსენეთ, ვივანშმებ თუ არა, დაფვიქრდები, თუ შევძლებ თქვენი წინადადების მიღებას, და, რასაკვირველია, თქვენს მიერ გამოჩენილი სიკეთე ზეგავლენას მოახდენს ჩვენს კეთილ ნებაზე.

ბაბამ კი ჟუანს შეხედა და უთხრა:

— კეთილი ინებეთ და ჩაიცვით, — და მიანიშნა სამოსზე, რაშიც პრინცესაც სიამოვნებით გაუყრიდა კიდურებს; მაგრამ ჟუანი სიტყვადაუძვრელად იდგა და აგრძნობინებდა, სამასკარადო განწყობაზე არ გახლავართო, და ოდნავ გაჰკრა თავისი ქრისტიანული ფეხი, და როს მოხუცმა ზანგმა უთხრა:

— გაემზადე.

მიუგო:

— ბერიკაცო, მე ქალი არ გახლავარ.

— რაც უნდა იყოთ, არ მადარდებს, — უთხრა ბაბამ, — მაგრამ გთხოვთ ისე მოიქცეთ, როგორც გეტყვიან, არც დრო მაქვს და არც სიტყვები დასახარჯავი.

— ის მაინც მითხარით, — თქვა ჟუანმა, — რაა მიზეზი ამ ახირებული გადაცმისა?

— ფრთხილად, — უპასუხა ბაბამ, — ცნობისწადილს ნუ გამოიჩინებ; თავის დროსა და ადგილას გამოჩნდება, მე კი უფლება არა მაქვს მიზეზი გითხრათ.

— და თუ დაგყვებით, — თქვა ჟუანმა, — მე ხომ...

— ჩუ, — შეეპასუხა ზანგი, — ნუ გააგრძელებ, გთხოვ, კარგია გამბედაობა, მაგრამ ნუ გათავხედდები, თორემ ნახავ, ხუმრობას რომ არ ვაპირებ.

— რაო, ბატონო! — შესძახა ჟუანმა, — სად გაგონილა, სქესი გამოფუცვალო ჩემს სამოსს?

აქ კი ბაბამ ძირს დაყარა ნივთები და მიახალა:

— გამაბრაზე და დავუძახებ მათ, ვინც მთლად უსქესოდ დაგტოვებს. მშვენიერ სამოსს გთავაზობ, მართალია ქალისას, მაგრამ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა ჩაიცვა და ატარო.

— რაო, მიუხედავად იმისა, რომ სულის სიღრმემდე მძაგს ეს ქალაჩუნური ტანსაცმელი?

...ამრიგად, მცირე დახანების შემდგომ, ჟუანმა ოხვრითა და მოკლე ლოცვების ბუტბუტით: რა ჯანდაბა მოვუხერხო ამ ბადეებსო? — ასე უვიცად მოიხსენია უმშვენიერესი მაქმანები, რასაც კი ოდესმე დაუმშვენებია საქორწინო სახე.

მერე ოხვრითა და გინებით ამოიკცა ხორცისფერი აბრეშუმის შარვალი, საქალწულო ქამარიც აქვე იყო, რაც რძესავით თეთრ პერანგს ერტყმოდა; აი ქვედაკაბის ჩაცმაზე კი განვალდა, მართლაც ახალი რამ იყო მისთვის;

ბოლოს, როგორც იქნა, მოირგო და მოიპირისფარემა ყოველი, თუმც უეჭველად ცოტა წაღმა-უკუღმა; ცოტას ზანგი ბაბაც წაეხმარა, როს რომელიღაც ნაჭერი გაჯიუტდებოდა და გაიჭედებოდა, და ოდეს მკლავებიც გაუყარა ბოლო სამოსში, შედგა და დაათვალიერა.

ერთი სიძნელე მაინც რჩებოდა, ჟუანის თმა საკმაოდ გრძელი არ იყო; მაგრამ ბაბამ მრავლად მოძებნა დამარაგებული ხელოვნური კულულები, ასე რომ, მალე თავი სწორედ ისეთი თმით დაუფარა, ვითარც იმჟამად იყო მოღაში; და ძვირფასი

თვლებიც დაემატა მორთულობის დასაგვირგვინებლად, მაშინ კი ბაბამ თმაც დავარცხნა და ზეთიც აპკურა.

და ახლა მაკრატლის, ფერუმარილისა და პინცეტის მცირედი ჩარევით მთლიანად ქალურად მორთული ყველაფრით ქალწულსა ჰგავდა.

და ბაბამ წამოიძახა:

— ხედავთ, ბატონებო, სრულყოფილი გარდაქმნა აშკარაა, და ახლა კი შეგიძლიათ გამომყვეთ, ბატონებო, ანუ ქალბატონო.

ტაში შემოჰკრა ორჯერ და ოთხი შავტუხა წამსვე წინ აეტუზა.

— თქვენ, ბატონო,— მიმართა ზორბას ბაბამ, — ამ ჯენტლმენებს გაჰყვებით სავახშმოდ; ხოლო თქვენ, ღირსო ქრისტიანო მონაზონო, მე გამომყვებით; ნუ დანვრილმანდებით, სერ, რასაც ვიტყვი, მაშინვე უნდა აღსრულდეს. რისა გეშინიათ? ლომის ბუნაგში ხომ არა გგონიათ თავი? სასახლეში ხართ, სად ნამდვილად ბრძენი ხალხი წინასწარმეტყველთა სამოთხეს უნდა ელოდეს. სულელო! გეუბნები, არავინ აპირებს რამე დაგიშავოს.

— მათთვისვე ასე აჯობებს, — თქვა ჟუანმა, — თუ არადა ჩემი ხელის სიმძიმეს იგრძნობენ, რომელიც არც ისე მსუბუქია, როგორც შეიძლება გეგონოთ. გეუბნებით, ამ მომხიბვლელ გარეგნობას წამსვე დავამსხვრევ, თუ ვინმე შეეცდება სამოსის კვალობაზე მომექცეს; ასე რომ, ყველას ვარწმუნებ, ეს სახეცვალება არაფერს შემაშლევინებს.

— ბრიყვო, წამოდი და ნახავ, — უთხრა ბაბამ.

ამ დროს ჟუანი თავის მეგობარს მიუტრიალდა, ვინც თუმცა წუხდა, მაინც ძლივს შეიკავა ღიმილი ამ სახეცვალების შემხედვარემ.

— მშვიდობით! — ერთად ამოიძახეს, — ეს მინა ახალ, უცნაურ თავგადასავლებს გვთავაზობს: ერთი ნახევრად მუსლიმანად აქცია, მეორე — ქალწულად, ამ შავი ჯადოქრის თვითნებური წაშველებით.

— მშვიდობით! — თქვა ჟუანმა, — ერთმანეთს ალბათ ვეღარ შევხვდებით, კარგ მადას გისურვებ.

— მშვიდობით! — მიუგო მეორემ, — თუმც სევდა მერევა, მაგრამ როცა კვლავ შევხვდებით, საამბობი ბევრი გვექნება; ბედისწერას უნდა ავყვეთ. სახელს გაუფრთხილდი, თუმც ერთხელ ევაც დაეცა.

— ვერა, — უპასუხა ქალიშვილმა, — სულთანი ვერ დამიყოლიებს, თუნდ დაქორწინებასაც დამპირდეს მისი უდიდებულესობა.

ასე დაცილდნენ ერთმანეთს, და სხვადასხვა კარით გავიდნენ;

ბაბა ჟუანს გაუძღვა, გაიარეს ოთახები, კაშკაშა დერეფნები, გადაიარეს მარმარილოს იატაკები, ვინემ გოლიათურ კარიბჭეს მიადგებოდნენ ბინდბუნდში, უზარმაზარი და შემზარავი მოჩანდა შორით და შორიდანვე აფრქვევდა მდიდრულ სუნელს: ისე ჩანდა, თითქო ტაძარს მისდგომოდნენ, რადგან ვრცელი იყო, კეთილსუნელოვანი და ზეციური.

გოლიათი კარიბჭე ფართო იყო, მაღალი და კაშკაშა, მოოქროვილი ბრინჯაოსი, მოხარატებული უცნაური ჩუქურთმებით; სასტიკად მებრძოლი მეომრები ამოეტვიფრათ; აგერ გამარჯვებული, იქით დამარცხებული წევს; იქით თავდახრილი ტყვეები მიჰყავთ ტრიუმფისათვის, შორს ფლოტი მოჩანს და, გგონია, რომ — დროის თამაშით — აქ გადმონერგილი რომი დაცემულა კონსტანტინესთან ერთად.

ეს მასიური პორტალი უზარმაზარ დარბაზთან იდგა, ორივე მხარეს უზომოდ პანია ჯუჯები დასკუპებულიყვნენ — მახინჯ ქინკებივით, და თითქო სასაცილოდ შერწყმოდნენ უზარმაზარ კარს, თავს რომ წამოჰყუდებოდათ პირამიდული სიამაყით; და ისე ბრწყინვალედ მოჩუქურთმებულიყო კარი, ეს ციცქნა ქმნილებანი არც კი გაგახსენდებოდათ მანამდე, სანამ ზედ არ წაადგებოდით და მსწრაფლ უკანვე არ დაიხევდით ამ კაცუნათა განსაცვიფრებელი სიმახინჯის დასათვალისწინებლად. არც შავები იყვნენ, არც თეთრები, არც რუხები, რაღაც უცხო ფერი დაჰკრავდათ, კალამი რომ ვერ აღწერს, მახინჯი პიგმეები იყვნენ, ყრუ-მუნჯები... ურჩხულები, და ალბათ ასევე ჯოჯოხეთურად ძვირად ფასობდნენ.

ევალეობდათ კარის გაღება, რასაც ყოჩაღად ასრულებდნენ, რადგან ტანდაბლობის მიუხედავად ჯან-ლონით იყვნენ

სავსენი და ისე ატრიალებდნენ კარს ანჯამებზე, თითქო მხიარული როჯერის რიტმზე როკავენო.

ხოლო ხანდახან, ვითა აღმოსავლური ტრადიცია მოითხოვს, მშვილდის საბელს მოუჭერდნენ ყელსახვევად რომელიმე მემამბოხე ფაშას, რადგან მუნჯები საზოგადოდ ამისათვის სჭირდებოდათ.

ნიშნებით აგებინებდნენ ერთმანეთს, ანუ სულ არ ლაპარაკობდნენ; ორ ჭინკასა ჰგავდნენ, თვალთ აბრიალებდნენ, როცა ბაბამ თითებით ანიშნათ, შეეხსნათ ბჭენი; ამან გადაარჩინა ყუანი, რადგან ეს ციცქნა წყვილი ასპიტის თვალებით მისჩერებოდა; და თითქო შეეძლოთ მზერით მოენამლათ ან მოეჯადოებინათ, ვისაც მიაშტერდებოდნენ.

შესვლამდე ბაბამ ანიშნა და მსუბუქი გაკვეთილი ჩაუტარა, ვითა მეგზურმა.

— თუ შეგიძლია დაიშალო, — უთხრა მან, — ეგ მამაკაცური გავგვიმული სიარული, და უკეთესი იქნებოდა (თუმც სულაც არ არის ძნელი) ნარნარად გაიარო, რწევა-რწევით, არაბუნებრივად, და ცოტა მოკრძალებით დაიჭირო თავი, ასე აჯობებს, რადგან ამ მუნჯებს ნემსებივით თვალები აქვთ, რომელთაც შეუძლიათ თხელ სამოსში შეძვრნენ და, თუ გაიგეს, გადაცმული ყოფილაო, ხომ იცი, აქვე ახლოს ბოსფორის ღრმა დინებებია, და საშუალება მოგვეცემა დილაადრიან მარმარილოს ზღვაში შევცუროთ უნავებოდ, ტომრებს ჩაკერილებმა — ამგვარ ზღვაოსნობას აქ ხშირად მიმართავენ, შემთხვევა გაუჩნდებათ თუ არა.

ასე გაუმაგრა გული და შეუძღვა უფრო მდიდრულად მონყობილ ოთახში, სიმდიდრე ისე ჩახლართვოდა ყოველს, თვალი ვერას გამოარჩევდა; ძვირფასი საგანი საგანს ცვლიდა ისეთი ბრწყინვალეებითა და ისე მსწრაფლ, მზერას ისე მოგჭრიდა ძვირფასი თვლების სიმრავლე, ოქრო და ბზინვა, რომ იბნეოდი ამ მოკაშკაშე უწესრიგობაში.

სიმდიდრე გასაოცარი იყო, გემოვნება კი — ერთიბენო; ასეთია აღმოსავლური სასახლეები და თუნდ შედარებით მოკრძალებული სასახლენი დასავლელ მეფეთა (ესენიც მინახავს ექვ-

სი თუ შვიდი), სადაც ვერ ვიტყვი, რომ ოქრო ან ალმასები ბზინავდეს მომეტებულად, მაგრამ აქაც ბევრი რამაა ვერსაპატიებელი — უშნო ქანდაკებათა ჯგუფი, მაგიდები, სკამები და სურათები, რომელთა კრიტიკისგანაც თავს ვერ შევიკავებდი.

ამ სამეფო დარბაზში მოშორებით, გადახურულქვეშ, დედოფლურად ნამონოლილიყო ქალბატონი; ბაბა შედგა, მუხლი მოიყარა და ჟუანსაც ანიშნა მისთვის მიეზაძა, ვინც, თუმც არცთუ მიჩვეულიყო ლოცვას, ინსტინქტურად დაიჩოქა, თან ფიქრობდა, ნეტა ეს რას უნდა ნიშნავდესო, ბაბა კი თავდახრილი იყო, ვინემ ცერემონია დასრულდებოდა.

ქალი ისე ნამოდგა ფეხზე, თითქო ვენერა ამოსულიყოს ზღვის ქაფიდან, და მათ თავზე დაიხარა და პაფიელი ქურციკივით შეანათა წყვილი თვალი, ძვირფას თვალთა ბუდეთაგან მომზირალი; ასნია მთვარის შუქივით ლამაზი მკლავი და ანიშნა ბაბას, ვინც ჯერ მისი მენამული მოსასხამის კალთას ემთხვია, ხმადაბლა მიმართა და ჟუანზე მიუთითა, კვლავ მუხლებზე რომ იდგა.

მისი გარეგნობა მის ყოფას შეჰფეროდა; მისი სილამაზე ყოვლისდამთრგუნავი გახლდათ, და აღწერით მხოლოდ დავაკნინებთ; უმჯობესია თქვენვე წარმოიდგინოთ, ვინემ მე მოგიტხროთ, დაგასწავლოთ აღნაგობა და ნაკვებები; სრულად აღწერა რომ შემეძლოს, დაგაბრმავებდით; ასე რომ, ორივე ჩვენგანის იღბლად, ჩემი სიტყვათნყობა უკან იხევს.

თუმც უნდა აღვნიშნო, რომ სიმნიფის ასაკში შედიოდა, ასე ოცდაექვსისა უნდა ყოფილიყო; მაგრამ არის ნაკვებები, რასაც დრო ვერას აკლებს და თავის ცელს უფრო მდაბიო საგნებისაკენ მიმართავს, ასე იყო სკოტების დედოფალ მერისთან; მართალია ცრემლები და სიყვარული ანგრევს და მწუხარება დაღად ედება მომხიბვლელ გარეგნობას, თუმც ვეროდეს ამახინჯებს; მაგალითად, ნინონ დე ლ'ენკლო.

ქალბატონმა რამდენიმე სიტყვა გადაუგდო თანმხლებთ, გოგონათა გუნდს, ათსა თუ თორმეტიოდეს, ყველა რომ ერთნაირად გამოწყობილიყო ჟუანივით, ერთ ფორმაში, ბაბამ რომ შეარჩია; ფერიებს ემსგავსებოდნენ, შესაძლოა დიანას ქოროს

ბიძაშვილები გენოდებიანთ, გარეგნულად სწორედ ასე გამოიყურებოდნენ, სხვა ვერაზე თავს ვერ დავდებ.

მათ მორჩილად დახარეს თავი და გავიდნენ, მაგრამ არა იმ კარში, საიდანაც ბაბა და ჟუანი შემოვიდნენ, ჟუანი, ვინც მოხიბლული იდგა მოშორებით და უყურებდა, თუ რა ხდებოდა ამ უცნაურ სალონში, ხან გრძნობდა ალტაცებას და ხანაც უკვირდა, და უნდა ვთქვა, აროდეს მიხილავს დიდი ბედნიერება მონოდებაში „Nil Admirari“ (არა გაიკვირვო).

„არ გავიკვირვო, მთელი ხელოვნებაა, რაც შევითვისე (სიმართლე, ძვირფასო მარეი, სიტყვაკაზმულობას არ საჭიროებს) ადამიანთა გასაბედნიერებლად ან ბედნიერების შესანარჩუნებლად (თუნდ არამკითხეობად ჩაითვალოს)“ — ასე წერდა ჰორაციუსი, ყველას მოგვეხსენება, დიდი ხნის წინათ; და ასე გვანვდის პოუბი ხელახლა დასამოძღვრად თავისი თარგმანით, მაგრამ... რომ არას გაეკვირვებიანთ და აღეფრთოვანებიანთ, განა იმღერებდა პოუბი და შთავგონება აღანთებდა ჰორაციუსს?

გოგონები გაიკრიფნენ თუ არა, ბაბამ ჟუანს მოუხმო და კვლავ უბრძანა, მუხლი მოეყარა და ქალბატონს ფეხზე მთხვეოდა, და როს გაუმეორა, ჟუანმა ნარბი შეიკრა, მთელი ტანით წამოიმართა და აღმოთქვა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერავის ვემთხვევი ფეხზე, გარდა პაპისა.

ამ მოულოდნელი სიამაყის მნახველი ბაბა აღშფოთდა და მკაცრად შეუტია, დაემუქრა (იმაზე მკაცრად, ვინემ გარეთ) მშვილდის საბელით, მაგრამ ამაოდ, მაშინაც კი არ დაიჩოქებდა ჟუანი, მუჰამედის პატარძლის წინ რომ მდგარიყო; ასეთი ეტიკეტი არსადაა მსოფლიოში, არც მეფეთა ოთახებში, არც იმპერატორთა დარბაზებში, არც შეჯიბრებებსა თუ საგრაფო ზარბეიმებზე.

ატლასივით იდგა, ქვეყანა სიტყვებს ჩასძახოდნენ ყურში, მაგრამ არ იხრებოდა; კასტილიელ წინაპართა სისხლი უდუღდა ძარღვებში, ათასობით ბრძოლაში გამონრთობილი ჯიში, ათას უბედურებას გადარჩენილი და, რაკილა „ფეხზე“ არა თანხმდებოდა, ბაბამ შესთავაზა, ხელზე ეკოცნა.

ღირსეული უკუსვლა გახლდათ, დიპლომატიათვის საფერი, როს შეუძლიათ მშვიდობიანად მორიგდნენ, და ან უკვე ჟუანი გამოხატავდა მზადყოფნას შესაბამისი ტაქტიკითა და თავაზიანობით, ამბობდა: ეს ხომ გავრცელებული და საუკეთესო ჩვეულებაა სამხრეთში, როცა ჯენტლმენი ლედის ხელზე ეამბოროებაო.

და წინ წარდგა მოხდენილად.

და აროდეს არვის დაუტოვებია თავისი კოცნის კვალი ისე, ვითარც მას, ამ ჯიშინ და მშვენიერ თითებზე. თითქო ერთი კოცნით კმაყოფილების ნიშანი აღბეჭდა და, იცით, როს თქვენი სატროფოც იმავე ნიშანს გიბრუნებთ, ან ხანდახან თუნდ მშვენიერი უცნობიც, დიდი ხნის ერთგულებას ექმნება საფრთხე.

ქალბატონმა ერთხანს ათვალაიერა და ბაბას ანიშნა გასულიყო, ისიც ჩვეული წესითა და ლაზათით დაემორჩილა, როს იცი, თუ რას განიშნებენ;

ჟუანს ჩასჩურჩულა:

— არ შეგეშინდესო.

ღიმილით შეჰხედა და გავიდა ისეთი კმაყოფილი სახით, კარგ კაცებს რომ აქვთ, ოდეს ღირსეულ საქმეს თავს დაადგამენ.

გავიდა თუ არა, მყის ყველაფერი შეიცვალა; აბა რა ვიცი, რას ფიქრობდა ის ქალბატონი, მაგრამ მშვენიერ წარბებს უცნაური მღელვარება დაეცყო და ღანვებზეც სისხლი მოაწვა და აუწითლდა ისე, ვითარცა ზაფხულში მზის ჩასვლისას ღრუბლები შეიფერება ცის კაბადონზე; დიდ თვალეებში რაც გრძნობის ნაზავი გამოკრთა, ნაწილობრივ მბრძანებლური და ნაწილობრივ — ვნებას დახარბებული.

მისი გარეგნობა აღვსილიყო მისივე სქესის სინაზით, ნაკვეთი კი — სიტკბოებით ეშმაკისა, ოდეს ანგელოზის სახე მიიღო და (ღმერთმა უწყის, ვითარ) გზა გაუკვალა ბოროტებას; მზესაც კი უფრო ნაკლები ხინჯი ექნებოდა, ვინემ მას, რაც უნდა ყურადღებით გაგესინჯა; და მაინც, სადღაც, როგორღაც, რაღაცა აკლდა, თითქო ბრძანებდა უფრო, ვინემ მოწყალებას გასცემდა.

რაღაც იმპერიული თუ მბრძანებლური შემოსჯაჭვოდა ყველაფერს, რასაც იქმოდა; თითქოსდა ყელზე მოგდებოდა ჯაჭვი და აღტაცება ტკივილს გაყენებდა, რაღაც, დესპოტიზმს რაც

წააგავს, თუკი გასინჯავ; სულელები მაინც ხომ შეგვრჩა თავისუფალი, თუმც ამაოდ — რაკილა ხორციით მათ ვემონებით, სული ბოლოს ხომ მაინც დაიხსნის თავს.

ტკბილად ილიმოდა, მაგრამ მაინც ამპარტავნულად, თავს დაგიკრავდა და არ დახრიდა, პატარა ფეხებზეც კი თავნებობა ეტყობოდა, თითქო იცოდნენ თავისი ადგილი, და ისე იძროდნენ, თითქო კისერზე გაბიჯებენო; და ყოველს აგვირგვინებდა (მისი ერისათვის დამახასიათებელი) ქამარში გარჭობილი ხანჯალი, ნიშანი — სულთნის პატარძალი გახლავართო (მადლობა ღმერთს, რომ ჩემი არა).

„გაგონება და მორჩილება“ დაბადებითვე კანონი გახლდათ მის გარშემომყოფთათვის; მისი ყველა ფანტაზიის აღსრულება, რაც მის კმაყოფილებასა და მხიარულებას გამოიწვევდა, მონათათვის უმთავრესი სიხარული იყო; არისტოკრატიული სისხლისა გახლდათ, მშვენებით არაამქვეყნიური და, აბა განსაჯეთ, წინ რა დაუდგებოდა მის ახირებებს; ქრისტიანი რომ ყოფილიყო, „მუდმივი ძრავის“ აღმოჩენას მოვესწრებოდით.

რასაც დაინახავდა და მოისურვებდა, მსწრაფლ მოურბენინებდნენ; რაც არ ენახა, მაგრამ ვარაუდობდა, არსებობსო, ბეჯითად ეძებდნენ, და იპოვნიდნენ თუ არა, მაშინვე იძენდნენ; დასასრული არ უჩანდა მის მიერ შექნილ ნივთებს და ჭირ-ვარამს მისი ახირებულობის გადამკიდეთა; და მაინც, მის ტირანის ისეთი მომხიბვლელობა ახლდა, ქალები ყველაფერს პატიობდნენ, გარდა სახისა.

ჟუანი ბოლო იყო მის ახირებათაგან.

გასაყიდად გაყვანილს მოჰკრა თვალი და სასწრაფოდ უბრძანა ბაბას მისი ყიდვა, ყოველთვის უხიფათოდ ვინც აგვარებდა ასეთ დავალებებს, იცოდა, ვითარ გაემარჯვა აუქციონზე; ბაბა ფრთხილი იყო და წინდახედული, რაც ქალს არ გააჩნდა, და ამიტომაც ჩააცვა ჟუანს ის შეუფერებელი სამოსი.

სჯობდა დამალულიყო მისი სიჭაბუკე და გარეგნობა; და თუ იკითხავთ, როგორ უნდა მოსვლოდა თავში ასეთი ფანტაზია ან როგორ უნდა გაებედა ასეთი რამ სულთნის მეუღლეს, ამას მასვე დაუუტოვებ გადასაწყვეტად; იმპერატორები მხოლოდ

ქმრები არიან ცოლების თვალში, მეფე და ქმარი ხშირად ერთმანეთში ერევათ, ეს შეგვიძლია დავიბეჯითოთ გამოცდილება-სა და ტრადიციაზე დაყრდნობით.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ მთავარს, საითაც მივდიოდით.

ქალმა იხილა, ყველა სიძნელე უკან დარჩაო, და ძალზე კეთილად განენყო თავისი საკუთრებისადმი, და შესავლის გარეშე, ცისფერ თვალეში გამომჭვირვალ ვნებითა და ძალით, შეჰხედა და უბრალოდ ჰკითხა:

— ქრისტიანო, სიყვარული თუ ძალგისძ?

დარწმუნებულმა, ეს ფრაზა საკმაოა ასაგზნებადო.

და ასეც იქნებოდა შესაფერის დროსა და ადგილას, მაგრამ უჟანმა, ფიქრებით ჯერაც ჰაიდეს კუნძულსა და ნაზ იონიურ სახეს რომ დასტრიალებდა, იგრძნო, სახეზე მონოლილი სისხლი თუ ვითარ ჩაუბრუნდა გულშივე, მსწრაფლ აღავსო და ლოყები კი თოვლივით გაუფითრა; ეს სიტყვები სულში ჩაერჭო არაბული შუბივით და ველარა თქვა რა, ცრემლებად დაიღვარა.

ქალი დაიბნა. ცრემლებმა კი არ დააბნია — ქალები ხომ ისე ღვრიან ცრემლებს და ისე იყენებენ, ვითარც მოგეუნებებათ... მაგრამ როს კაცს უსველდება თვალეები, რალაც უამური და თავზარდამცემია; ქალის დაღვრილი ცრემლი დნება, კაცისა — ნვავს, ვით გამდნარი რკინა; ისე გრძნობენ, თითქო გული ამოგლეჯოდეთ მარნუხით; მოკლედ, მათთვის ცრემლი შვებაა, ჩვენთვის — ტანჯვა.

ქალი უთუოდ თანაუგრძნობდა, მაგრამ არ იცოდა თუ ვითარ; აროდეს ჰყოლია ტოლი, ვინც მასში თანაგრძნობას აღძრავდა, და ვეროდეს წარმოიდგენდა რამენაირ ნამდვილ ნუხილს, თუმც ტყუილად გაბუხსული ტუჩებიც უნახავს, რაზეც წარბს შეკრავდა, მაგრამ ახლა უკვირდა თუ ვით შეიძლებოდა მის თვალწინ სხვა თვალთ ცრემლი დაეღვარათ.

მაგრამ ბუნება მეტს გვასწავლის, ვინემ ძალაუფლებას შეუძლია წაახდინოს, და როს ძლიერი — თუნდ უცხო — გრძნობა შეძრავს, ქალის გული, რა ეროვნებისაც გინდ იყოს, კეთილგანწყობილი ხდება თბილ განცდათათვის; და ბუნებრივად ამოაფრქვევს „ღვინოსა და ზეთს“, და სამარიტელთ ემსგავსება.

და გულბეიაზმა რაღაც მბრწყინავი სისველე იგრძნო თვალებში, თუმც არ იცოდა, რატომ.

მაგრამ ცრემლები ისევე თავდება, ვით სხვა ყოველი, და მალე ჟუანმა, ვინც წუთიერად შეძრა და სევდა მოჰგვარა შემაშფოთებელმა სიტყვებმა, „სიყვარული თუ გაგიგებსო“, გამძლეობა მოიკრიფა და თვალნი გაიმამაცურა, სისუსტე დაძლია, და თუმც მგრძნობიარე იყო სილამაზის მიმართ, აღშფოთებულიც გახლდათ ტყვეობისა გამო.

პირველად სიცოცხლეში გულბეიაზი ძალზე დაიბნა, რადგან ჯერ აროდეს შეხვედროდა არაფერს, გარდა ხვეწნა-ვედრებისა, და რაკი მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ეს კაცი რომ ეპოვათ, ვისაც სიყვარული უნდა ესწავლებინა მისთვის პირისპირ მოხერხებულად დარჩენილს; თუკი გავიდოდა ერთი საათი, ეგებ წამებაშიც აღსრულებულიყო, არადა თითქმის საათის მეოთხედი უკვე შემოეხარჯათ.

ჯენტლმენებს შევთავაზებდი დროისა და განწყობილების შერჩევას ამგვარ შემთხვევათათვის, ჰო, ჩვენ მეტი უფლება გვაქვს ნადირობისას, მაგრამ ასეთ დროს მცირე დაგვიანებამ დიდი ზიანი შეიძლება მოიტანოს; გახსოვდეთ, უსაზღვრო თავაზიანობის გამოსახატად ორიოდ წუთი გაქვთ, და ერთ წამში შეიძლება ევნოს თქვენს რეპუტაციას.

ჟუანმა ეს კარგად იცოდა და უკეთაც შეეძლო მოქცევა, მაგრამ ჰაიდე არ სცილდებოდა გონებიდან; რა უცნაურიც უნდა იყოს, ჯერაც ვერ დაევიწყებინა, ვის გამოც ასეთ დღეში ჩავარდნილიყო და ასე ტლანქად იქცეოდა.

გულბეიაზი, ვინც მას მოვალის თვალთ უყურებდა სასახლეში ასე მოყვანის გამო, ჯერ განითლდა ყურებამდე, და მერე გაფითრდა მიცვალებულივით და მერე კვლავ განითლდა.

ბოლოს მეფურად დაადო ხელი ჟუანის ხელს და მისკენ დახარა მზერა, რასაც იმპერია არ სჭირდებოდა დასარწმუნებლად, და თვალეში ჩაჰხედა სიყვარულისთვის, საიდანაც პასუხი არ მიუღია; წარბები შეჰკრა, მაგრამ არ შეურისხავს, და უკანასკნელ ხერხს მიმართა, რასაც ამაყი ქალი ჩაიდენდა.

ადგა, ერთ წამს უმანკოდ იდგა, მერე კი მკერდზე მიეყრდნო.

ჟუანი მიხვდა, ძნელი გამოცდის წინაშე ვდგავარო, მაგრამ ჯერაც აღვსილიყო მწუხარებით, ბრაზითა და სიამაყით: ნაზად მოიშორა გულბეიაზის თეთრი მკლავები და გვერდით მოისვა მისუსტებული, ფეხზე წამოდგა, ამაყად მიმოიხედა ირგვლივ, ცივად ჩაჰხედა თვალებში და ჩასძახა:

— დატყვევებული არწივი არ დანყვილდება, ვერც მე მოვემსახურები სულთნის მეუღლის სქესობრივ ფანტაზიას. მეკითხები, ძალმიძს თუ არ სიყვარული? დაე ეს იყოს დასტური, თუ ვით მიყვარდა, რომ შენ ვერ შეგიყვარებ! ამ სამარცხვინო სამოსში ქსლის ბეჭვა და ნკმუტუნი უფრო შემეფერის; სიყვარული თავისუფალთათვისაა! მე არ მაოცებს ეს ბრწყინვალე ქერი, თქვენი ძალაუფლება, რაოდენ დიდიც უნდა იყოს; თავს დავხრით, მუხლს მოვიყრით, თვალს მივაპყრობთ ტახტს და ხელებს დავუმორჩილებთ, მაგრამ გული ჩვენვე დაგვრჩება.

ეს იყო ჩვეული სიმართლე ჩვენთვის, მაგრამ ქალისთვის — არა, მას აროდეს სმენოდა მსგავსი რამ; მიაჩნდა, რომ მის წვრილმან ბრძანებასაც კი ნეტარება უნდა გამოეწვია, და რომ სამყარო მხოლოდ მეფეთა და დედოფალთათვის გაჩენილიყო. გული მარჯვნივ იყო თუ მარცხნივ, არც კი იცოდა, არც ის უწყოდა თუ რა სრულყოფილებას ანიჭებს კანონი მის მიმდევართ, როს შეგნებული გაქვს შესაფერისი სამეფო უფლებანი ადამიანებზე.

ამასთან, ვითარ ითქვა, ისეთი მშვენიერი გახლდათ, უფრო დაბალ საფეხურზე რომ მდგარიყო, მაშინაც კი შეეძლო, სადაც გნებავთ, თუნდ სამეფოში, არეულობა გამოეწვია; ისიც უნდა ითქვას დაბეჯითებით, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მომხიბვლელობას, რასაც ნიბლის მქონენი ვერავის დააჩრდილინებენ; ფიქრობდა, რომ ორმაგად მინიჭებოდა ღვთაებრივი უფლება, თუმც ეს ნაწილობრივ ჩემი ვარაუდებია.

გახსოვდეთ ან (თუ არ შეგიძლიათ) წარმოიდგინეთ საკუთარი თავი, ოდეს უმანკოებას დაჰკანკალებდით სიყმანვილეში, როს ვილაც თავზეხელაღებული მდიდარი ქვრივი სიყვარულის ყიდვას ცდილობდა თქვენგან და ძალის ნაკბენივით სტკიოდა თქვენი უარი, გაიხსენეთ ამგვარ ქალთა განრისხება! ან ის მა-

ინც გაიხსენეთ თუ რამდენი უთქვამთ ან უმღერიათ ამგვარ საგნებზე; და მერე წარმოიდგინეთ სახე ახალგაზრდა უარყოფილი მშვენიერებისა — ამ შემთხვევაში.

წარმოიდგინეთ, მაგრამ ალბათ თქვენითაც წარმოიდგინეთ, ფოტიფარის ცოლი, ლედი ბუბი, ფედრა და ყველა ის ამბავი, რაც თვალსაჩინო მაგალითად გამოდგებოდა; სამწუხაროა, რომ ასე ცოტა აღწერეს პოეტებმა და კერძო აღმზრდელებმა, რათა ამით გაენათლებინეთ — შენ, ახალგაზრდა ევროპავ! მაგრამ თუნდ წარმოიდგინო ჩვენთვის ნაცნობი ეს რამდენიმე ამბავი, ვერ წარმოიდგენ გულბეიაზის მრისხანე წარბშეყრას.

ვეფხვი, ბოკვერი რომ წაართვეს, ან ლომი, ანდა რომელიმე მტაცებელი მხეცი გამოდგება შედარებისათვის იმ ქალთა განწყობილებისა, რომელთაც სურვილი ვერ შეისრულეს; და თუმცა ყოველნაირად ვცდილობ აღვწერო, ნახევრადაც ვერ გამოვხატავ, რისი თქმაც მსურდა; ნაშიერის წართმევა, ცოტა იქნება თუ ბევრი, ხომ ამცირებს იმედს ბავშვის ყოლისა?

ნაშიერის სიყვარული ბუნების კანონია, ვეფხვი იქნება და ბოკვერი თუ იხვი და იხვის ჭუჭული; ისე არაფერი აფხავებს ნისკარტსა და ბრჭყალს, ვითარცა ძუძუდან მოგლეჯა შვილისა; და ვისაც უნახავს ბავშვის მოვლა, ეცოდინება, თუ რარიგ ახალისებთ დედებს ბავშვთა ტიტინ-ჭიჭყინი; და ეს ძლიერი გრძნობა (რომ აღარ გადავღალო თქვენი ყურადღება) გვიჩვენებს, რომ შედეგები უფრო ძლიერიც უნდა იყოს.

თუ ვიტყვი, გულბეიაზის თვალებმა დაკვესა-მეთქი, დიდი ვერაფერი იქნება, გულბეიაზის თვალები მუდამ კვესავდნენ; ან თუ მისი ლოყების განითლებაზე ვიტყვი რამეს, ფერის მიმნიჭებელს შევარცხვენ; ისეთი ზებუნებრივი იყო მისი მრისხანება, რადგანაც პირველად მოხდა, რომ სურვილი დაუმუხრუჭეს, და ვისაც გამოუცდია, რას ნიშნავს შეჩერებული ქალი (კმარა, ღმერთმა უწყის), დიდ მარცხს იწვევდა ამ საქმეში.

გულბეიაზის მრისხანება ერთ წუთს გაგრძელდა, და კიდევ კარგი, ასე მოხდა, თორემ უფრო მეტი მოკლავდა, მაგრამ ვიდრე გრძელდებოდა, ჯოჯოხეთის გამონაშუქსა ჰგავდა; არაფერია უფრო გრანდიოზული, ვინემ ენერგიული ნალველი, რამ-

დენადაც შემზარავია საცქერლად, იმდენად ძნელია გამოსათქმელად, ოკეანესა ჰგავს, კლდოვან კუნძულზე თავდამტყდარს, და ღრმა ვნებებმა, გამომკრთალმა მის ნაკვთაგან, მშვენიერ, ხორცშესხმულ გრიგალად აქცია.

უბრალო ბრაზი მის მრისხანებას რომ შევადართო, ისე გამოვა, ყოველდღიური ქარაშოტი ტაიფუნს დავატოლოთ, და მაინც მთვარეს არ დაუპირა შეწვდომა, ვით ზომიერმა ჰოტსპურმა იმ უკვდავ ფურცელთაგან; მისი ბრაზი უფრო დაბალ ხმაზე გადმოიღვარა, ალბათ მისი სქესისა და ასაკისა გამო...

ერთი რამ სურდა მხოლოდ ღირვიით — „მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ“. და შემდეგ სისხლის წყურვილი ცრემლებად გადმოედინა.

ქარიშხალს ჰგავდა და ქარიშხალივით ჩაიარა, უსიტყვოდ, ან სად შეეძლო ლაპარაკი, და მერე ქალურმა სირცხვილმა ამოხეთქა ბოლო-ბოლო, გრძნობა, რომელიც ადრეც ჰქონია მცირეოდენი, ახლა ბუნებრივად და მსწრაფლ გადმოიღვარა, ვით წყალი, უეცრივ რომ მოძებნის ნაპრალს.

დათრგუნულად გრძნობდა თავს და დათრგუნვა ხანდახან კეთილად მოქმედებს მისებრ ადამიანებზე.

ასწავლის, რომ სისხლისა და ხორცისაგან შედგებიან, და თავაზიანად მიანიშნებს, რომ სხვებიც თიხისაგან არიან შექმნილნი და არა ტალახისაგან, რომ ლარნაკები და ქოთნები ჩვენივე მყიფე ძმები არიან და, ცუდად თუ კარგად, ერთსა და იმავე მეთუნესთან დაუმზადებიათ, თუმც ყველანი ერთი და იმავე შემქმნელ-მშობელის მიერ არ არიან გაჩენილნი, გვასწავლის... ღმერთმა უწყის, რას გვასწავლის, მაგრამ ზოგჯერ გამოსწორებას შეეცდება და მიზანსაც აღწევს.

პირველი, რაც გულბეიაზმა გაიფიქრა, ჟუანის თავის მოკვეთა იყო, მეორეც — მოკვეთა, ოღონდ... ნაწილის; მესამე — ეკითხა, სად გაიზარდო; მეოთხე — ენანებინა საცქიელი; მეხუთე — გოგონებისათვის დაეძახა და დასაძინებლად წასულიყო; მეექვსე — დანაზე დაგებულიყო; მეშვიდე — ებრძანებინა ბაბას გაროზგვა, მაგრამ ყველაზე მეტი რაც შეძლო, კვლავ დაჯდომა და ტირილი იყო.

დანას დავიცემო, ფიქრობდა, და ხანჯალიც ხელთ ეპყრა, რადგან აღმოსავლურ ქამრებში ძნელად რომ რამე არ იყოს გაყრილი, და მცირე ხანჯალს თუ კარგად დაკრავდი, გაჭრაც შეეძლო; იფიქრა, ჟუანს მოვკლავო. საბრალო ბიჭი თუმც სიკვდილს იმსახურებდა უგუნურებისა გამო, თავის მოკვეთა არაფერი იქნებოდა, ქალის მიზანი იყო — გულში ჩაეცა.

ჟუანი შეიძრა; იცოდა, გამომფაშვავენ, ან ოთხად გამკვეთენ ძაღლების საჭმელი ხორცივითო, ან წამებით ამომხდიან სულს, ან ლომებს მიუგდებენ ჩემს თავს, ან თევზის სატყუარად მაქცევენო, და იდგა ამაყად განწირული და არა ცოდვილი, თავისივე სურვილით; მაგრამ მთელი ეს დიადი სასიკვდილო სამზადისი თოვლივით დადნა მტირალი ქალის დანახვაზე.

ვით ბოზ აკრს ეპარებოდა ფრჩხილებში სიმამაცე, არ ვიცი — ვითარ, მაგრამ ისე დაემართა ჟუანსაც; ჯერ ინანა, რატომ უარყავიო, მერე იფიქრა, რა ვუშველოო; მერე თავისი სიფიცხე დაგმო, ვით ბერი გმობს მიცემულ აღთქმას, ვით ქალბატონი გმობს დადებულ ფიცს, რასაც მცირე დარღვევა მოსდევს ორივე შემთხვევაში.

და ჟუანი მოსაბოდიშებლად ალუღლუღდა; მაგრამ ასეთ დროს სიტყვები არა კმარა, თუნდ მუხათა სიმღერათაგან გქონდეს ნასესხები ან თუნდ დენდის დენდური ლაყბობიდან, ან თუნდ კასლრეის ნაბოდვარიდან; და როგორც კი მსუბუქი ღიმილი აკიაფდა, მისმა დამშვიდებამ გაჭრა და, ვინემ მეტს გაბედავდა, მოხუცი ბაბა შემოვარდა.

— მზის მეუღლევ! და დაო მთვარისა! — ასრე სჩვეოდა ლაპარაკი, — და დედოფალო დედამინისა! ვისი წარბის შეკვრაც ცთომილთ გადააცდენს ორბიტიდან, ვისი ღიმილიც პლანეტებს აცეკვებს სიხარულით, შენმა მონამ ამბავი მოგიტანა — იმედი აქვს, არა უდროო დროს — რაც შენი ამაღლებული ყურადღების ღირსი იქნება: თვით მზემ გამომგზავნა ვით სხივი, რათა მეცნობებინა, რომ აქეთ მოდის.

— მართლა? — წამოიძახა გულბეიაზმა, — როგორც შენ უბნობ? ღმერთს ვთხოვდი, მზეს დილამდე არ ამოენათებინა! მაგრამ უბრძანე ჩემს სეფექალებს, მოუშადაონ ირმის ნახტო-

მი. ამიტომ, ჩემო ბებერო კომეტაე! შესაბამისად დაარიგე ვარსკვლავები, და ქრისტიანიც! მათ შორის შენებურად შეურიე, და რაკი მთხოვე მეპატიებინა წარსულის...

აქ კი სიტყვა შეანყვეტინა გუგუნმა და მერე ძახილმა:

— სულთანი მობრძანდება!

ჯერ მისი სეფექალნი შემოვიდნენ, ლაზათიანი კრებული, შემდეგ მისი უდიდებულესობის საჭურისნი, შავი და თეთრი; მთელი ამაღა მეოთხედ მილს უწევდა: მისი უდიდებულესობა ყოველთვის ისეთი თავაზიანი გახლდათ, წინასწარვე აცხადებდნენ მის ვიზიტებს, განსაკუთრებით ღამით; რადგანაც თუმც ბოლო ცოლი იყო იმპერატორისა, გულბეიაზი ყველაზე საყვარელი გახლდათ ოთხთავან.

მისი უდიდებულესობა კუმტი გარეგნობისა იყო. ცხვირამდე შებურვილი და თვალებამდე წვეროსანი, ციხეს დააღწია თავი და ტახტზე დაჯდა, მისი აღმასვლა საბელით ძმის მოშობას მოჰყვავ; კარგი მმართველი იყო, მათი მსგავსი, კანტემირი და კნოლსი რომ აღწერენ; მათ შორის მცირედნი თუ კამკამებენ, გარდა სულეიმანისა, შტოს მანათობლის.

მეჩეთში დადიოდა და ლოცვებს ამბობდა, „აღმოსავლურად კეთილგონივრულზე“ უფრო მეტად; ვეზირს მიანდო სახელმწიფო საქმენი, და მხოლოდ მცირეოდენ მეფურ ინტერესს ამჟღავნებდა: არ ვიცი, შინაურულ საქმეებზე თუ ზრუნავდა, არაფერი ადასტურებს, რომ ოჯახი არ უყვარდა; ოთხი ცოლი ჰყვავდა და ორგზის ხუთასი ხარჭა, თვალითუნახავნი, იმწყემსებოდნენ ისევე მშვიდად, ვითა ქრისტიანი დედოფალი.

აქა-იქ ხანდახან მცირედი დარღვევა ხდებოდა, დანაშაულსა და დამნაშავეებზე იშვიათად თუ გაიგონებდი; კბილი კბილზე ეჭირათ, ყველა შეთანხმებულიყო და საიდუმლო არ გაიცემოდა: საზოგადოებამ იმდენივე იცოდა, რამდენიც ამ ლექსმა უწყის; არავითარი სკანდალი, არავითარი პრესის აურზაური, ზნეობა უკეთესი გახლდათ და თევზი არცთუ უარესი.

საკუთარი თვალით ხედავდა, რომ მთვარე მრგვალია, და დარწმუნებული იყო, დედამინა ოთხკუთხედიანო, რადგანაც ორმოცდაათი მილი ჰქონდა გავლილი და მომრგვალება არსად

უნახავს; მის იმპერიას საზღვარი არ უჩანდა; მართალია აქა-იქ აურზაური ხდებოდა აჯანყებულ ფაშებსა და დაპყრობილ გაერთიანებულ, მაგრამ ვეროდეს აღწევდნენ „შვიდ კოშკამდე“, გარდა ელჩებისა, ვინც იგზავნებოდნენ იქ, სადა ომი ატყდებოდა ერების ქვეშაირი კანონის მიხედვით; „ქვეშაირი კანონში“ ეს არამზადები აროდეს იგულისხმებიან, ვისაც აროდეს სჭერია მახვილი თავის ბინძურ დიპლომატიურ ხელებში, ნალველს შუღლის დათესვით იქარვებენ და ფრთხილად გამოთქვამენ ტყუილებს, ფირმანად სახელდებულს, ყოველგვარი რისკის გარეშე; ჰა და ჰა, ბალანი შეეტრუსოთ.

ორმოცდაათი ქალიშვილი და ოთხი დუჟინი ვაჟი ჰყავდა, რომელთაც ასაკის მიღწევამდე სასახლეში ინახავდნენ მონაზვნებივით, მანამდე, სანამ რომელიმე ფაშა საზღვარგარეთ გაიგზავნებოდა; მაშინ მას, ვისი ჯერიც იყო, სასწრაფოდ დააქორწინებდნენ, ხან სულ ექვსი წლისას, და თუმცა უცნაური ჩანს, სიმართლე გახლავთ, რადგან ფაშას საჩუქარი უნდა მიერთმია კანონიერი მბრძანებლისათვის.

ვაჟები ციხეში ისხდნენ, ვინემ ისე მოიზრდებოდნენ, საბელი ან ტახტი რგებოდათ წილად, რაც მხოლოდ ბედისწერაზე ეკიდა; ამასთან, საუფლისწულო განათლებას იღებდნენ, რაც არაერთხელ დადასტურებულა: ასე რომ, მემკვიდრე ორივეს იმსახურებდა — საბელსაც და ტახტსაც.

მისი უდიდებულესობა მიესალმა მეოთხე ცოლს მისი რანგისათვის შესაფერი ცერემონიულობით, მას უკვე მოენმინდა თვალები და გადაეკალმა წარბები, ვით ნაცელქებულ დიაცს შეჰფერის; მათ ორჯერ მეტად მართებთ ზრუნვა მიცემულ ფიცზე, რათა გაძარცული ბანკის კრედიტი გადაარჩინონ; არცერთ კაცს არ ხვდება ისეთი გულითადი სალამი, ვითარცა მათ, რომელთაც ცოლები ზეცას გამგზავრებას უსურვებენ.

მისმა უდიდებულესობამ შემოატარა დიდი შავი თვალები, და მზერით, ვითარ სჩვეოდა, სეფექალებში ჩამალული ყუანი გამოარჩია, არც გაკვირვებია და არც გაბრაზებულა, მხოლოდ შენიშნა მშვიდად და ბრძნულად მანამდე, სანამ მოცახცახე ოხვრა აღმოხდებოდა გულბეიაზს:

— ვხედავ ახალი გოგო გიყივია; სამნუხაროა, რომ ქრისტიანი სანახევროდაც კი ასეთი კოხტა იყოს.

ამ ქათინაურმა, რომელმაც ყველას მზერა ახალნაყიდი ქალწულისაკენ მიაპყრო, იგი გაანითლა და ააცახცახა, მისი ამხანაგები კი შეაცბუნა: ჰოი! მუჰამედ! მისმა უდიდებულესობამ ასეთი სიტყვა გაიმეტა გიაურისთვის, როს არცერთი მათგანის საქებრად მისი უდიდებულესობის პირი არ შერხეულა! ატყდა საერთო ჩურჩული, ღელვა, ტორტმანი, მაგრამ ეტიკეტი უკრძალავდათ ჩაქირქილებას.

თურქები კარგს სჩადიან, ზოგჯერ მაინც, ქალებს რომ გამოკეტავენ ხოლმე; სამნუხარო რეალობაა, რომ მათი სათნოება, იმ უსიხარულო მხარეში, არ პასუხობს ქსელის მბეჭველისთვისებებს, რაც ჩრდილოეთში თავიდან გვარიდებს ნაადრევ დანაშაულებს, და ჩვენს თოვლს ჩვენს ზნეობაზე უფრო ნაკლებ ქათქათასა ხდის; მზე, ყოველწლიურად რომ ადნობს პოლარულ ყინულს, სულ სხვაგვარად მოქმედებს ცოდვაზე.

ამიტომ აღმოსავლეთში ძალზე მკაცრნი არიან — შეუღლება და უღელში შებმა ერთსა და იმავეს ნიშნავს; ოღონდ როს ყალიბი შეირჩევა, მერე ველაროდეს გადაინაცვლებს უფრო შესაფერ ჩარჩოში, ისე, ნაკბენ კლარეტს შეუცვლიან ხოლმე კასრს; მაგრამ მაშინ მათი პოლიგამურობა უნდა დავგმოთ; რატომ არ შეაკავშირებენ ორ ღირსეულ სულს სამუდამოდ, ვითარც ზნეობრივ კენტავრს, ქმარსა და ცოლს.

აქ შევაჩეროთ თხრობა და შევისვენოთ, განა იმიტომ, სათქმელი ამოგვეწურა; არამედ — ანტიკური ეპოსის კანონთა კვალობაზე აფრები უნდა დავკეცოთ და რითმების ღუზა ჩავუშვათ. დაე ამ მეხუთე ქებას შესაფერისად შეეგებონ, მეექვსეს ამაღლებულობის ნიშატი ეახლება; რადგან, რაკილა ჰომეროსიც კი ზოგჯერ ჩაიძინებს, ალბათ ჩემს მუზასაც აპატიებთ ხანმოკლე ჩათვლემას.



წინათქმა მეექვსე, მეშვიდე და მერვე თავებისათვის

მომდევნო ორ (მეშვიდე და მერვე) თავში გამოყენებული დეტალები იზმაილის ალყისა და ვალეებუღია ფრანგული ნაშრომიდან, რომლის სათაურიცაა „რუსეთის ახალი ისტორია“. დონ ყუანისათვის მიწერილი რამდენიმე ამბავი მართლაც მოხდა; ვთქვათ, ბავშვის გადარჩენისა, რაც ნამდვილად გადახდა თავს ჰერცოგ დე რიშელიეს, იმ დროისათვის ახალგაზრდა მოხალისეს რუსეთის არმიაში, შემდგომ ოდესის დამფუძნებელსა და მეოხს, სად მის სახელსა და ღვანლს მუდამ მოწინებით იხსენიებენ.

ნახავთ, რომ ამ თავების რკალში ორიოდ სტროფი შეეხება ან გარდაცვლილ მარკიზ ლონდონდერის, ოლონდ მის აღსასრულამდეა დაწერილი. ამ პიროვნების ოლიგარქია მასთან ერთადვე რომ არ მომკვდარიყო, ამ სტროფებს დაგმობდნენ; ისე კი, დარწმუნებული ვარ, ვერც მისმა სიკვდილმა და ვერც მისმა სიცოცხლემ ხელი ვერ უნდა შეუშალოს იმათი აზრის თავისუფლად გამოხატვას, ვის დამონებასაც ლამობდა მთელი სიცოცხლე. ეგებ კეთილი კაციც გახლდათ პირად ცხოვრებაში, ეგებ არცა, მაგრამ ამას საჯარო ცხოვრებასთან რა კავშირი აქვს?! რაც შეეხება გლოვას მისი გარდაცვალებისა გამო, საამისოდ საკმაო დრო დარჩება, როს ირლანდია დაასრულებს მისი გაჩენის დღის წყევლას. მე, მილიონში ერთი, მას, როგორც მინისტრს, მივიჩნევდი ყველაზე უფრო დესპოტური განზრახვისა და ყველაზე სუსტი ინტელექტისად მათ შორის, ვინც ჩაგრაავდა ქვეყანას. ალბათ ნორმანთა დაპყრობიდან პირველად მოხდა, რომ ინგლისს შეურაცხყოფდა მინისტრი, ვინც (სულ ცოტა) ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, და რომ პარლამენტი იტანს მისის მალაპროპის ენით კარნახს.

რა შეიძლება ითქვას, თუ როგორ მოკვდა: ალბათ თუ ლატაკი რადიკალი, უოდინგტონისა ან უოტსონის მსგავსი, ყელს გამოიჭრიდა, სადმე გზაჯვარედინზე ჩაფლავდნენ და ჯოხს დაურჭობდნენ, მაგრამ მინისტრი დახვეწილი შეშლილი გახლდათ, სანტიმენტალური თვითმკვლეელი, მან მხოლოდ „საძილე არტერია“ გადაიჭრა (დაილოცოს განსწავლულობა!) და ჰა, იხილეთ! სამგლოვიარო პროცესია სააბატოსკენ! „და სახოტბო დითირამბიც აღევლინება“ გაზეთებისგან, და ოფიციალური პირი სიტყვას წარმოთქვამს გარდაცვლილის სისხლიან ცხედართან (ანტონიუსი იყო ღირსი ასეთი კეისრისა), გულისგამანვრილებელ და უგვან ჟარგონზე შეთქმულთა გადაგვარებული ჯგუფისა, ყოველივე ღირსეულისა და უმანკოს წინააღმდეგ რომ ილაშქრებენ. წესკანონით, ასეთი სიკვდილის გამო დამნაშავედ ან გიჟად უნდა შერაცხილიყო და ორივე შემთხვევა პანეგირიკის საგნად არ უნდა ქცეულიყო. სიცოცხლეში რაც იყო, მთელმა მსოფლიომ იცის, და ნახევარი მსოფლიო იგრძნობს უახლოეს წლებში, როცა მისი სიკვდილი გახდება „ზნეობრივი გაკვეთილი“ ევროპისათვის. ნუგეშად მაინც იქცევა ერებისათვის, როს შეიტყობენ, რომ მათი მჩაგვრელნი სწუხან და ეგებ სამართლიანად განსაჯონ თავიანთი საქციელი კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე. დაე აღარაფერი გვსმენოდეს ამ კაცის შესახებ და დაე ირლანდიამ გადაასვენოს თავისი გრატანის ფერფლი ვესტმინსტერის სავანედან, და კაცობრიობის მოყვარემ მოისვენოს ამ პოლიტიკის ვერტერისაგან.

რაც შეეხება სხვა პრეტენზიებს, „დონ ჟუანის“ უკვე გამოქვეყნებულ ნაწილს რომ შეეხება, თავს ვოლტერის ამ ციტატებით ვინუგეშებ: „სირცხვილმა დაუტევა კაცთა გულები და თავი შეაფარა ტუჩებს... რაც უფრო გადაგვარდება ზნეობა, მითუფრო ფხიზელი ხდება ენა; გვჯერა, რომ ლინგვისტურად აღვადგენთ იმას, რაც ზნეობრივად დაკვარგეთ.“

ეს რეალობაა და სწორედაც შეეფერება დაქვეითებულ და ფარისევლურ მასას, გაფუებულს თანამედროვე ინგლისურ თაობაში, და ერთადერთი პასუხია, რასაც იმსახურებენ.

სიტყვა „მკრეხელი“ მეტად გახშირდა და გამრავალმნიშვნელოვნდა; მას უწოდებენ რადიკალს, ლიბერალს, იაკობინელს, რეფორმატორსა და ამისთანებს, დაქირავებულნი ჩასძახიან ყურებში ყოველდღიურად მათ, ვინც ყურს მიუგდებენ, და ხელგაშლით მხოლოდ ისინი ღებულობენ, ვისაც ახსოვთ, პირველად თუ ვის უწოდეს. სოკრატე და ქრისტე სიკვდილით დასაჯეს ვითარცა მკრეხელნი და ასე მოექცნენ მრავალთ, ვინც გაბედა და წინ აღუდგა ხშირსა და უგვან მოხსენიებას ღვთისა და ადამიანის გონებისა. მაგრამ დევნა ვერც გაგამართლებს და ვერც გაგამარჯვებინებს; „ბეჩავი ურწმუნო კარლაილი“, როგორც უწოდებენ, შესაძლოა უფრო ბედნიერი იყოს საკანში, ვიდრე მის დამგმობთაგან ყველაზე თავმომწონე. დევნილის აზრებთან არაფერი მესაქმება, ეგებ მართალია ან ეგებ ტყუის, მაგრამ იტანჯა და ტანჯვა რწმენისათვის უფრო მეტ მოხალისეს შესძენს დეიზმს, ვიდრე ჰეტეროდოქსიის მაგალითი შესძენდა სასულიერო პირებს ქრისტიანობას, სახელმწიფო მოღვაწის თვითმკვლელობა შეენევა ჩაგვრას, ან უხვად დაფინანსებული მკვლევლობანი მოუტანს რამეს იმ უღვთო ალიანსს, მსოფლიოს რომ შეურცხყოფს სახელით „წმინდა“! არ მსურს ჩავნიხლო თავლაფდასხმულნი ან მიცვალებულნი; მაგრამ კარგი იქნებოდა თუ მიმდევრები იმ კლასებისა, საიდანაც ეს პიროვნებანი გამოდიან, ცოტა შეასუსტებენ ხოტბას და გადარჩებიან ცოდვას ორპირობისა, ფუჭმეტყველებისა და თავკერძობისა და... თუმც ამჯერად ეს ვიკმაროთ.



თავი მეექვსე ქალის სამოსელში

„კაცთ ბედის ჩარხი ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს: თუ ზე-ამავალს პირს მოექცეც,“ დანარჩენი ხომ იცით, და უმრავლესობა შევხვედრივართ დროდადრო; ბოლო-ბოლო ასე გვგონია, თუმც მხოლოდ მცირეოდენთ თუ უგრძძვნიათ საჭირო წამი, ვინემ დაიგვიანებდნენ. მაგრამ, უეჭველია, ყველაფერი უკეთესობისაკენ მიდის...

და ამის საუკეთესო დასტური ბოლოსაა: და თუ უარესობისაკენ უქცევია პირი, ხანდახან შეკეთება ესაჭიროება.

ზღვისა ტალღათა მიმოქცევა ქალთა ცხოვრებაშიცაა, რაც მოქცევისას, ღმერთმა უწყის, საით მიგვიძღვის; ეს ნავიგატორები უნარიანი ზღვაოსანნი არიან, მათი რუკები უწვრილეს დინებებსაც ასახავს და თვით იაკობ ბიომეს სქემებიც კი, იმ უცნაური ქარბორბალებით, ვერ შეედრებათ; კაცები თავით განსჯიან ამას თუ იმას, ხოლო ქალები, ზეცამ თუ უწყის, რას იზრახავენ გულის!

და მაინც, თავანუელი, ქედმოუხრელი, მაღლითმხედველი გულბეიაზი, ახალგაზრდა, ლამაზი და გამბედავი, ბედის სასწორზე შეადგებდა ტახტსაც, მსოფლიოსაც, სამყაროსაც, ოღონდაც ჰყვარებოდათ, ვითარ თვით სურდა, და ვარსკვლავთაც კი გადარეკდა ციდან, ოღონდ თავისუფალი ყოფილიყო ქარბორიათი ამღელვარებული ზღვის ტალღებივით... თუმც ასეთი ეშმაკი გახლდათ (ერთადერთი რომ ყოფილიყო), მრავალ მანიქვევლს ერთად გაასულელებდა.

ტახტები, ქვეყნები და ამისთანანი ისე ხშირად ემხოებიან მდაბალ ამბიციათა გამო, რომ ოდეს ვნება იმავეს სჩადის, ვი-

ვინყებთ ან ბოლო-ბოლო მივუტევებთ სიყვარულის გაელვებას. ანტონიუსი რომ ჯერაც გვახსოვს, დაპყრობათათვის კი არ შემოგვინახავს მისი სახელი, არამედ აქტიუმიასათვის, კლეოპატრას თვალთა გამოისობით რომ დათმო, რაც კეისრის ყველა გამარჯვებას გადაწონის.

ორმოცდაათი წლისა გახლდათ და ორმოცი წლის დედოფლისათვის აღესრულა; ნეტა თხუთმეტი და ოცი წლისანი ყოფილიყვნენ, რადგან ამ ასაკში სიმდიდრეც, სამეფოებიც, მსოფლიოც თავშექცევისაა...

მახსოვს, როს, თუმც ბევრი არაფერი გამაჩნდა დასაკარგი, თავაზიანობის სამსხვერპლოზე მივიტანე, რაც მომეპოვებოდა — გული; წუთისოფელი გაიღია და მეც ჩემი წილი მსხვერპლი გავიღე; სოფელი ვეროდეს ამინაზლაურებს უმანკო გრძობებს, რაც წარხდა, წარხდა სამარადისოდ.

ასეთი იყო ყმანვილის „წვლილი“ და „ქვრივის“ წვლილის მსგავსად შესაძლოა მოგვიანებით აინონოს, თუ ახლა არა; თუმც ასეთი რამ იწონება თუ არა, ვისაც ჰყვარებია ან უყვარს, იცის, რომ ცხოვრებაში ამას ვერარა შეედრება.

ღმერთი სიყვარულიაო, გვარწმუნებენ, და სიყვარული ღმერთია ან იყო, ვიდრე დედამინის შუბლი შეიჭმუნებოდა ცოდვებითა და ცრემლებით მათი, ვინც... მაგრამ ქრონოლოგია თარიღებით ინტერესდება.

ჩვენი გმირი და მესამე გმირი ქალი ისეთ ყოფაში დავტოვეთ, უხერხული რომ უფრო ეთქმის, ვინემ უჩვეულო, რადგან ჯენტლმენებმა ხანდახან ხიფათში ჩაიგდონ თავი იმ უიღბლო ცდუნებისათვის, აკრძალულ ქალს რომ უწოდებენ; სულთნებს მეტად სძულთ ამგვარი ცოდვა, და არ ეთანხმებიან ბრძენ რომაელს, გმირსა და სტოელს — კატოს, სენტენციათა მოყვარულს, ვინც ცოლი თვისი მეგობარს თვისას ჰორტენზიუსს მიაქირავა.

ვიცი, უსაზღვროდ ტყუოდა გულბეიაზი; ვალიარებ, ვწუხვარ და ვგმობ; მაგრამ მძულს გამონაგონი სიმღერაშიც კი, და სიმართლე უნდა ვთქვა, თუნდ გამკიცხოთ.

გონება სუსტი ჰქონდა, ვნება კი ძლიერი და ფიქრობდა, ჩემი ბატონის გულში (და ადანაშაულებდა კიდევც) ადგილი აღარ

მომეძევათ, რადგან სულთანი ორმოცდაცხრამეტისა გახლდათ და ათასხუთასი ხარჭა ესვა.

კასიოსავით „არიომეტიკოსი“ არა ვარ, მაგრამ „ნიგნური თეორიით“ ისე ჩანს, რომ თუკი ქალური სიზუსტით შევაჯამებთ და დავუმატებთ მისი უდიდებულესობის წლებსაც, მშვენიერი დედოფალი შეცდა გამოფიტვისა გამო; რადგან თუ სულთანი თანაბრად მოექცევა ყველა თავის სატრფოს, მას მხოლოდ ათასმეხუთასე წილი ერგება გულისა; გულისა, რისი დაპყრობაც დედოფალს ესაჭიროება.

შემჩნეულია, რომ ქალბატონები მომჩივანნი არიან და სამსჯავროს საქმეებშიც ჩახედულნი, და მაშინაც კი, ოდეს რელიგიური არიან, რაც აორმაგებს, მათი აზრით, კანონდარღვევას, ალყაში გვაქცევენ ჩივილებითა და აღმასრულებლებით, ერთმანეთს მიეწყობა ტრიბუნალის სხდომები, როს ეჭვი შეეპარებათ, ვილაცამ წილი მოითხოვა იმაში, რისი — კანონის ძალით — ერთადერთი მემკვიდრენიც ჩვენ გახლავართო.

და თუ ასე ხდება ქრისტიანულ ქვეყნებში, წარმართებაც ჰბაძავენ, თუმც ნაკლები წარმატებით, და სურთ, რომ საქმენი საკუთარ ნებაზე წარმართონ, აი, თუნდ, რასაც მეფენი „ზვიად დამოკიდებულებას“ უწოდებენ, და ის უფლებანი, ქორწინების დამცველნი რასაც იცავენ; როს ქმრები უმადურად ექცევიან, ოთხი ცოლი ოთხჯერ მეტ პრეტენზიას წამოაყენებს, და ტიგროსიც ისეთივე ეჭვით აღივსება, ვითარცა ტემზა.

გულბეიაზი მეოთხე გახლდათ და ფავორიტი (ვითარ გაუნყეთ); მაგრამ აბა რა არის ფავორიტობა ოთხში?

პოლიგამიის საშინელება არამარტო ცოდვაშია, არამედ გამაბეზრებლობაშიც: ყველა ბრძენკაცი ერთ უბრალო ქალზე ქორწინდება, და მეტისათვის ფილოსოფია არ მოეძევა; და ყველა (გარდა მაჰმადიანთა) ერიდება საქორწინო სარეცელს „ვეარის სანოლში“.

მისი უდიდებულესობა, კაცთა შორის უდიადესი — ისეთივე, ვითარცა ყოველი მონარქი, ვინემ ხელთ ჩაუვარდებიან იმ მწუხარე, მშიერ იაკობინელ მატლებს, რომელთაც უსადილიათ ყველაზე დიდებული მეფითაც კი — უყურებდა და ტკბებოდა გულბეი-

აზის მომხიბვლელობით, ელოდა შეგებებას საყვარლისა („შეგებებას მთებზე უმაღლესს“, საუკეთესოს მთელ მსოფლიოში).

აქ კი უნდა განვასხვავოთ, რადგან, ვითარც უნდა გვეჩვენებოდეს, კოცნა, ტკბილი სიტყვები, ხვევნა-ალერსი დიდი არაფერია და ყოველივე ადვილად შეიძლება მოირგო ქუდივით ან მშვენიერი სქესის თავსაბურავივით, მოსართავად რომაა შექმნილ-შეკერილი, მაინც თავზე მეტად გულს ატკბობს.

ოდნავ განითლება, მსუბუქი კრთომა, უწყინარი, ნაზი ქალური ნეტარება, თვალზე მეტად ქუთუთოთა მიერ გამჟღავნებული, განცდის დასამალად რომ გამზადებულან, ის საუკეთესო ნიშნებია (მოკრძალებული აზრით) სიყვარულისა, უმშვენიერეს ტახტზე, პატიოსანი ქალის გულში რომ დაბრძანებულა და აქრობს გადაჭარბებულ სიმხურვალესაც და სიცივესაც ხიბლისა.

რადგან მეტისმეტი სიმხურვალე ყალბია და ტყუის; თუ მართალია, რომ მისი ცეცხლი დიდად არ ათბობს, რადგან სიჭაბუკეშიც, ვფიქრობ, არავინ შეწირავს ყველაფერს ვნებას, რაც ნამდვილად დამღუპველი კავშირია, პირველსავე მყიდველს რომ მიეყიდება სამწუხარო ფასდაკლებით; ამავე დროს, მეტისმეტად ცივი ქალი სულელივით გამოიყურება.

ერთი ესაა, ცუდ გემოვნებას ვერ ვპატიობთ, რადგან ისე ჩანს, რომ მიჯნური, ფიცხი იქნება თუ მშვიდი, კმაყოფილებით ემონება ერთნაირ გზნებას, და ვნება გიზგიზებს, და თვით წმინდა ფრანცისკსაც კი სწვევია მონასტრულ თოვლიან ცხოვრებაში; მოკლედ, შეყვარებულთა ტომისათვის ჰორაციუსს უთქვამს, **Medio tu tutissimus** (საშუალო გზა ყველაზე უსაფრთხოაო).

„tu“ ზედმეტია, მაგრამ დარჩეს, ლექსი მოითხოვს, ანუ ინგლისური რითმა, და არა ძველი ჰეგზამეტრი; ბოლო სტრიქონში არც ხმაა და არც ხანი, უარესი რომ არ შეიძლებოდეს, ოქტავის ჟღერადობაში გადავარდნილი.

ვფიქრობ, არცერთი ლექსთანყობა არ შეინწყნარებს ვითარცა წესს, მაგრამ ჭეშმარიტება შეინწყნარებს, თუ გადათარგმნი.

არ ვიცი, ვითარ შეასრულა მოვალეობა თვისი მშვენიერმა გულბეიაზმა, მაგრამ მიზანს მიაღწია, და წარმატება კი ბევრ

რამეშია და არანაკლებ სულაც არა გულში, ვიდრე სხვა ნაწილებში ქალის კაბისა.

საკუთარი თავის სიყვარული კაცშიცაა და ამარცხებს ქალის ყველანაირ ხელოვნებას; ისინი ცრუობენ, ჩვენ ვცრუობთ, ყველა ცრუობს, მაგრამ მაინც გვიყვარს; და არცერთ სიქველეს, გარდა შიმშილისა, ჯერ არ დაუმარცხებია სიქველე ცოდვათაგან უარესისა... გამრავლებისა.

სამეფო წყვილი მოსასვენებელში დავტოვოთ: ტახტი საწოლი არ არის და შეუძლიათ დაიძინონ, და რაც ნებავეთ, ის ნახონ სიზმრად — სასიხარულო თუ სამწუხარო: თუმცა გაცრუებული სიხარულიც მწუხარებასავით ღრმაა, კაცის ყოველდღიურობა რასაც გვიჩვენებს. ყველაზე ნაკლები მწუხარება მაშინაა, ოდეს ვტირით; ესაა მწარე ყოველდღიურობის ერთმანეთს მიყოლებული წვეთები, რაც სულსაც გახვრეტს (ვითარცა ქვას) წვრილმანი საზრუნავებით.

ანჩხლი ცოლი, ურჩი ვაჟიშვილი, გადასახდელი ქვითარი, გადაუხდელი, გაპროტესტებული ან პროცენტდაკლებული; ჭირვეული ბავშვი, ძაღლის ავადმყოფობა, საყვარელი ცხენის დაკოჭლება ამხედრებისას, კუდიანი დედაბრის მიერ შედგენილი უსაძაგლესი ანდერძი, ხელცარიელს რომ გტოვებს, არადა დარწმუნებული იყავი, მარგუნებს რასმეო; ეს ხომ წვრილმანი საზრუნავია, და მაინც, იშვიათად მინახავს კაცი, ნონასნორობიდან რომ არ გამოჰყავდეს.

ფილოსოფოსი ვარ და ყველაფერს ავბურდავ! ქვითრებს, ცხოველებს, კაცო... ოჰ, არა! ქალობრიობას არა! ერთი გულიანი წყევლით ამოვანთხევ ჩემს ნალველს, და ჩემი სტოიკურობა უკან არაფერს დატოვებს, რაც ტკივილსა თუ ბოროტებას ინვევს და ჩემს სულს მთლიანად გონებას დაუთმობს; თუმცა რა არის სული ან გონება, მათი გაჩენა თუ გაზრდა, ვერაფრით გამიგია...

თავი მომაბეზრეს!

და ახლა, ოდეს ყველაფერი დაინყველა, შვებას გრძნობს კაცი, ვით ათანასიუსის წყევლის კითხვისას, რაც თქვენს ჭეშმარიტ მორწმუნეს ასე სიამოვნებს: ვეჭვობ, ვინმე უარესად მოქცეოდეს თავის მტერს — მის წინაშე დაჩოქილს, ეს წყველა ისე-

თი მჭევრია, სასარგებლო და ზუსტი, და ისე ამშვენებს ლოცვანს, ვითარცა ცისარტყელა მონმენდილ ცაას.

გულბეიაზსა და მის ბატონს ეძინათ.

ან ერთ-ერთს მაინც!...

ო, მძიმე ღამევე, როს მოღალატე ცოლები, ვინმე უცოლო რომ შეჰყვარებიათ, წვანან ჯავრიანნი და ოხრავენ სინათლისა გამო, ნაცრისფერ დილით ფანჯრის ბნელ ცხაურში რომ იპარება, ეს არის მათთვის რყევაც, რღვევაც, ამობრუნებაც, დღევაც და მიწისძვრაც, რასაც მათი სარეცლის გამზიარების გაღვიძება შეუძლია.

ისინი ზეცის საფარველქვეშ არიან, მაგრამ სარეცლის საფარველქვეშაც, ოთხსვეტიანი და აბრეშუმისფარდიანი სარეცლისა, მდიდარ კაცთა და მათ პატარძალთა საკუთრებისა, რათა ჩანვნენ და თავი დაასვენონ ქათქათა თეთრ ზენრებში, ბარდები „მოძრავ თოვლს“ რომ ეძახიან.

ჰო, ასეთი რამ ხდება დაქორწინებულთა ცხოვრებაში, გულბეიაზი დედოფალი გახლდათ, მაგრამ იმავ შავ დღეში შეიძლება ჩავარდნილიყო, გლუხკაცის ცოლიც რომ ყოფილიყო.

დონ ჟუანმა კი, ქალის სამოსიანმა, გოგონათა გრძელ რიგთან ერთად თავი დაუკრა იმპერატორს და ჩვეულ ნიშანზე ყველა თავთავისი ოთახისაკენ გაეშურა, იმ გრძელი დარბაზებისაკენ ჰარემისა, სად ქალები ასვენებენ დახვეწილ კიდურთ; ათასობით გული ძგერს აქ სიყვარულისათვის, ვით გალიაში გამომწყვდეულ ჩიტს ენატრება ზეცაში აჭრა.

მე მიყვარს ალერსი და ზოგჯერ მნადია გადავაკეთო ტირანის სურვილი: „ნეტა კაცობრიობას ერთი კისერი ჰქონოდა, ერთი დაკვრით რომ გადამეჭრა“.

ჩემი ნადილიც ასევე ვრცელია, მაგრამ ნაზი და არა სასტიკი; ვფიქრობდი (ახლა კი არა, ყმანვილობისას): ნეტა ქალობრიობას ერთი ვარდისფერი ბაგე ჰქონდეს, რათა ერთიანად დამეკოცნა ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე-მეთქი.

როგორ მშურს შენი, ბრიარეუს! შენი ხელებისა, თავისა და ასეთივე ოდენობისა რომ გქონდეს ყველაფერი! მაგრამ ჩემი მუზა გოლიათსაც დაამარცხებს, თუნდ ტიტანთა მოდგმისას,

პატაგონიის მინებზე მოარულს; ასე რომ, ლილიპუტს დავუბრუნდეთ და გავუძღვეთ ჩვენს გმირს სიყვარულის ლაბირინთებში, სად რამდენიმე სტრიქონის წინ დავტოვეთ.

იგი მშვენიერ ოდალისკებს გაჰყვავა, ნიშნის მოცემისთანავე შეუერთდა მათ მწკრივს; და თუმცა დიდ ხიფათში იგდებდა თავს, მაინც დროდადრო თვალს ვერა სწყვეტდა (თუმცა შედეგები ამგვარ ცელქობისა ყველაზე მძიმეა, რაც შეიძლება კაცმა გადაიხადოს ამ ზნეობრივ ინგლისში, სად ყველაფერი იბეგრება) მათ მკერდსა თუ გავას.

და მაინც, არ ავინწყდებოდა რომ გადაცმული იყო: მიუყვებოდა გრძელ დარბაზებს ოთახიდან ოთახში ეს ქალწულებრივი და სათნო რიგი, გვერდებზე საჭურისნი ჩამწკრივებულყვინენ, წინ მიუძღოდათ წესრიგის დამცველი ქალბატონი, ვერვინ კრინტს ვერ დაძრავდა მის დაუკითხავად ამ მსვლელობისას: მას „ქალიშვილთა დედას“ უხმობდნენ.

არ ვიცი, „დედა“ იყო თუ არა, ან ისინი თუ იყვნენ ქალიშვილები, ვინც დედად იხსენიებდა, მაგრამ ეს გახლდათ მისი ნოდება ჰარემში და ისეთივე შესაფერისი, ვითარცა სხვა ყოველი; ასე მოგვითხრობს კანტემირი ან დე ტოტი: ევალებოდა აეშორებინა ან გაექრო ყოველნაირი ცუდი მიდრეკილება ხუთას ყმანვილქალში, და მიეთითებინა, თუკი შეცდებოდნენ.

კარგი სინეკური იყო უთუოდ! და იოლად აუდიოდა საქმეს უკაცებოდ, მხოლოდ მისი უდიდებულესობა გახლდათ, ვინც მისი დახმარებით, აგრეთვე დარაჯთა, საკეტთა, კედლებისა და სხვათა და სხვათა მეოხებით, ახერხებდა უვნებლად შეენახა მშვენიერების ეს სამყოფელი იტალიურ მონასტერივით, სად, ეჰ, ვნება მრავლადაა, მაგრამ მარტოდენ ერთია სულის მოსათქმელი.

და რა არის ის?

სასოება, ცხადია, რა საკითხავია?

მაგრამ განვაგრძოთ:

ვითარ გაუწყეთ, ეს ლაზათიანი მწკრივი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოყვანილ ქალთა ერთი კაცის წადილით, ღირსეული და ნელი რონინით, წყლის შროშანებივით მიუყვებოდა წყაროსა

თუ ტბას, რაკილა წყარო ნელა არა დის, მიაბიჯებდნენ მონყენითა და ქალწულებრივად.

მაგრამ მიაღწიეს თუ არა თავიანთ ბინებს, ვითარც ჩიტები ან ყმანვილები, თუ სულაც ბედლამის მკვიდრნი, მიმოიფანტნენ მოქცევის ტალღებით, ან თუნდ ქალებივით, თავი რომ დაუღწევიათ ხუნდებისათვის (რაც ისედაც დიდად ვერ დააკავებთ), ან ბაზარზე გასული ირლანდიელებივით; დაცვა ჩამოშორდათ და თითქო ზავი და თანხმობა ჩამოვარდნილიყოს მათ შორის, ინყეს სიმღერა, ხუნტრუცი, კისკისი და თამაში.

საუბარი, ცხადია, ახალმოსულს შეეხებოდა; მის აღნაგობას, თმას, გამოხედვას, ყველაფერს; ზოგი ფიქრობდა, სამოსი დიდად არ უხდებო, ან საყურე რატომ არ უკეთიაო; ამბობდნენ, ჩვენზე ნორჩია და ყმანვილიო, სხვები ფიქრობდნენ, ჩვენი კბილააო; ზოგი მამაკაცურ ახოვნებას მიუთითებდა, ზოგიც მის მოკრძალებულობას აღნიშნავდა.

მაგრამ ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ის გახლდათ, მისი სამოსი რასაც მეტყველებდა — მშვენიერი ქალწული, ნორჩი და „ულამაზესი“, უბრწყინვალეს ქართველთაც რომ ტოლს არ დაუდებდა.

უკვირდათ, ნეტა გულბეიაში ასეთი სულელი როგორ არის, ისეთ მონას რომ ყიდულობს, ვინც წილს დაუდებს (მბრძანებელს მოყირჭდება თუ არა თავისი ცოლი) ტახტსა და ძალაუფლებასა და ყველაფერში, რაც ამის მიღმააო.

მაგრამ გოგონათა ამ დასს ყველაზე მეტად ის ეუცხოვებოდა, რომ თუმც მისი სილამაზე შემამოფოთებელი იყო, პირველი დათვალიერების შემდგომ ყველამ შენიშნა ცოტაოდენი, სულ ნამცეცისოდენი ლაქები მათი ახალი ამხანაგის გარეგნობაში, და ვითარ წესია ნაზი სქესისა, გამოჩხრეკის მერე, ქრისტიანის თვალი იქნება თუ წარმართისა, დაასკვნეს: უმახინჯესი ქმნილებააო.

და თუმც, რაც ყველას გვახასიათებს, მათაც ეჭვი მაინც ღრღნიდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაკი არსებობს მონონება გაუცნობიერებლად და დაუდასტურებლად, მიუხედავად მისი გადაცმულობისა, ყველას რაღაც იზიდავდა ჟუანისაკენ მაგნიტივით თუ ჯადოსავით, ან რაც ცნებავთ დაარქვით, ამაზე არ წავიჩხუბებით.

და ყველა რალაც ახალს გრძნობდა ახალი ამხანაგისადმი, სულ უფრო და უფრო გულითად მეგობრობას, უაღრესად წმინდას, რაშიც ყველა შეთანხმდებოდა და ყველა ინატრებდა: ნეტა ჩემი და იყოსო, — გარდა მცირეოდენთა, ვინც ასეთ ძმასაც არ დაიწუნებდა, და შინ რომ ყოფილიყვნენ, ჩერქეზეთში, ფაშასაც დაამჯობინებდნენ და ფადიშაჰსაც.

მათგან, რომელნიც ყველაზე გულითად მეგობრობას გრძნობდნენ, სამნი იყვნენ — ლოლა, კატინკა და დუდუ, მოკლედ რომ გითხრათ და აღარ აღვწერო, უმშვენიერესნი მშვენიერთა შორის, თუმც სხვადასხვაგვარნი აგებულებითა და ელფერით, სხვადასხვა ხნისანი, სხვადასხვა ქვეყნიდან და სხვადასხვა კლიმატიდან; და სამივეს ძლიერ მოსწონდა ახალი ნაცნობი.

ლოლა შავგვრემანი იყო და თბილი, ინდოეთივით; კატინკა ქართველი გახლდათ — თეთრ-ყირმიზი, დიდ, ცისფერთვალეზა, ნაზი ხელ-მკლავებით და ისეთი პანია ფეფებით, ვერც იტყოდი, თუ სიარულს შეძლებდა — უფრო დასრიალებს მინაზეო; აი დუდუს აღნაგობა კი უფრო შესაფერისი იყო სანოლში ჩასაწვენად, დიდი გახლდათ, მოთენთილი და ზანტი, მაგრამ ისეთი ლამაზი, ჭკუაზე შეგშლიდა.

მძინარ ვენერას ჰგავდა დუდუ, თუმცა მზად იყო ძილი გაეფრთხო მათთვის, ვინც მის ღანვთა ტრანსცენდენტურ ფერს უყურებდა, მის ატიკურ შუბლსა და ფიდიასის ცხვირს: მართლაც რომ ანგელოზთაგან ცოტაოდენს თუ ექნებოდა ასეთი ფორმები, ეგებ უფრო თხელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ მონდომებდი რამე მოგეკლო, საგონებელში ჩავარდებოდი, რომელი ნაკვთი გავიმეტოო.

არ იყო მკვირცხლი, მაგრამ მაინც სულს შეგიძრავდა საგანგაშო ძახილივით; თვალეები არ უკაშკაშებდა, და მაინც, ნახევრად დახუჭულნი, მნახველს გრძნობას უღვივებდნენ; ისე გამოიყურებოდა, თითქო ახლახან გამოუკვეთავთ მარმარილოდანო, იღვიძებდა პიგმალიონის ქანდაკივით — ჯერაც იბრძოდნენ მოკვდავი და მარმარილო და მორიდებით ჩნდებოდა სიცოცხლე.

ლოლამ სახელი ჰკითხა ახალმოსულს.

— ჟუანა.

— ჰო, საკმაოდ კარგი სახელია.

კატინკამ სადაურობა ჰკითხა.

— ესპანეთიდან.

— მაგრამ სად არის ესპანეთი?

— ასეთ სისულელეებს ნუ კითხულობ, ნუ აჩვენებ შენს ქართულ უცოდინრობას, სირცხვილია! — მკაცრად დატუქსა ლოლამ საბრალო კატინკა, — ესპანეთი კუნძულია მაროკოს სიახლოვეს, ეგვიპტესა და ტანჟერს შორის.

დედუს არაფერი უთქვამს, გვერდით მიუჯდა ჟუანას და მანდილსა და თმაზე ეალერსებოდა; დაჯინებით უყურებდა და ამოიოხრა, თითქო შეებრაღა ეს კობტა უცხოელი, გადმოხვენილი, უმეგობრო და უმეგზურო, სუმთლად დაბნეული, ამდენი მახვილი თვალი რომ ამონმებდა, ვითარც ხვდებიან ყველგან უიღბლო უცხოელთ, და მონყალე შენიშვნებს გამოთქვამენ მათი გარეგნობისა და სახის თაობაზე.

მაგრამ აქ ქალიშვილთა დედა მიუახლოვდათ და უთხრა:

— ქალბატონებო, დასვენების დროა და ვერ მომიფიქრებია, შენ რა გიყო, ძვირფასო, — უთხრა ჟუანას, ახალ სტუმარს, — შენს მოსვლას არ ველოდით და ყველა სარეცელი დაკავებულისა; სჯობს ჩემი სანოლი გაგიყო, დილაადრიან კი ყველაფერს მოვაგვარებთ.

აქ ლოლა ჩაერია:

— დედა, თქვენ ისედაც ცუდად გძინავთ და ვერ ავიტან, რომ ვინმემ შეგანუხოთ; მე წავიყვან ჟუანას; ორივე ისე გამხდრები ვართ, ერთს არც კი ვუდრით; უარს ნუ მეტყვით, მე ვიზრუნებ თქვენს ახალგაზრდა საპატრონოზე.

მაგრამ აქ კატინკა ჩაერია და თქვა:

— მეც მაქვს თანაგრძნობაც და სანოლიც.

და დასძინა:

— მარტო ძილიც მეჯავრება.

— რატომ? — წარბი შეიკრა მატრონამ.

— მოლანდებათა გამო, — მიუგო კატინკამ, — ცხადად ვხედავ აჩრდილებს ოთხივე სვეტთან; და მერე საზარელი სიზმრე-

ბი აღარ მასვენებს: ცეცხლთაყვანისმცემლები, გიაურები, ემ-
მაკები და ჭინკები.

— შენსა და შენს სიზმრებს შუა, ვეჭვობ, ჟუანამ ზმანება
იხილოს, — უთხრა ქალბატონმა.

— შენ, ლოლა, ჯერჯერობით მარტო უნდა იწვე, მიზეზი აქ
რა მოსატანია; ეს შენც გეხება, კატინკა; ჟუანას კი დუდუსთან
დავანწვენ; დუდუ მშვიდია, უვნებელი, წყნარი და მორცხვი, არ
შეანუხებს და მთელ ღამეს ჭორაობაში არ გაატარებინებს. რას
იტყვი, ბავშვო?

დუდუს არა მიუგია რა, რადგან მისი ნიჭი მდუმარებაში
მჟღავნდებოდა; ადგა, შუბლზე აკოცა მატრონას — ლოლამ და
კატინკამ ორივე ლოყა დაუკოცნეს — და თავაზიანი თავდაკვ-
რით (თურქებმა და ბერძნებმა რევერანსი არ იციან) ხელი მოჰ-
კიდა ჟუანას, რათა მოსასვენებლად წაეყვანა, იმ ორს კი განბი-
ლებალა დაუტოვა. ისინი მატრონას გადანყვეტილებამ გააკაპა-
სებით კი გააკაპასა, მაგრამ ენას კბილი მაინც დააჭირეს.

დიდი ოთახი გახლდათ (თურქულად ოდა ჰქვია) და კედლის
გარშემო ჩარიგებულყო ტახტები, საპირფარეო საგნები და
ყოველივე და ძალზე ბევრი რამ, რაც მინახავს და შემოძლია აღ-
წნერო, რადგან მინახავს ყველაფერი, მაგრამ საკმარისია, ცო-
ტა წუნს თუ შეიტანდით, ეს გახლდათ მდიდრულად მოწყობი-
ლი დარბაზი, სავსე ყველაფრით, რაც ქალებს სჭირდებათ, ეგე-
ბა რამე აკლდათ, მაგრამ ისიც იქვე იყო, ხელის განვდენაზე.

ვითარც გაუნყეთ, დუდუ მომხიბვლელი ქმნილება გახლდათ,
მკვირცხლი არა, მაგრამ მიზანს ყოველთვის აღწევდა, მისი ხიბლი
მეტად თანაზომიერი იყო, რასაც მხატვრები ვერ გადმოსცემენ,
სცოდავენ პროპორციის წინაშე, ბუნების ნახაზის წინაშე, თავიდან
თითქო მოიხელთებენ გამომსახველობით სავსეს, ყალბი იქნება თუ
ნამდვილი, რაც მოგვწუხავს, და სულერთია, გვატკობს თუ არა.

მაგრამ დუდუ იყო ნოყიერი მიწის ტკბილი ნაჭერი, სად ჰარ-
მონიაა, სიმშვიდე და თანხმობა, უხვი, ნაყოფიერი; მხიარულიც
იყო — რაც ეგებ ბედნიერებას არა ჰგავს, მაგრამ უფრო პოე-
ტურია, ვინემ თქვენი მძაფრი გრძნობები და ამისთანანი, რა-
საც მავანნი „ამაღლებულს“ უწოდებენ. ნეტა კი მოესინჯათ.

მინახავს თქვენი ქარიშხლიანი ზღვები და ქარიშხლიანი ქა-
ლები, და მათი საყვარლები მეზღვაურებზე მეტად მებრალებიან.

მაგრამ ფიქრიანი უფრო იყო, ვინემ მელანქოლიური, და სე-
რიოზული უფრო, ვინემ ფიქრიანი, და წყნარი უფრო, ვინემ
სხვა რამ... უწმინდური ფიქრები არ აწუხებდა, აქამდე მაინც,
ბოლო-ბოლო. ყველაზე უცნაური ისაა, რომ თუმც მშვენიერი
გახლდათ, ამის შესახებ არა უწყობდა, არადა უკვე ჩვიდმეტისა
სრულდებოდა, არ იცოდა, ქერა იყო, შავგვრემანი, დაბალი თუ
ტანკენარი, საკუთარ თავზე აროდეს ფიქრობდა.

და ამიტომაც — ნაზი და კეთილშობილი, ვითარცა ოქროს
ეპოქის ადამიანი (როს ოქრო ჯერაც უცნობი იყო, უცნობთვი-
სებებიანი; რაც ყველაზე შესაფერისად გადმოიცემა, „*Lucus à
non lucendo*,” არა იმით, რაც იყო, არამედ — რაც არ იყო; ეს ერ-
თგვარი სტილია, ნიშანდობლივი იმ ეპოქისათვის, რომლის ლი-
თონიც ეშმაკმა განალაგა, მაგრამ ვერ დაამკვიდრა: ალბათ
„კორინთული ბრინჯაო“, შენაერთი ყველა ლითონისა და ყვე-
ლაზე უტიფარი).

კეთილო მკითხველო!

გაცხდი ამ გრძელ ჩანართს: დროულად ვერ დავხურე, ჩემი
ბრალია, და შეუტოლე ჩემი ნაკლი თუნდ შენსავ ნაკლს! ანუ
შენც შეეცადე სწორად დაანყო სიტყვები, მაგრამ არა გასურს,
მამ მოეშვი, და მეც მაგ დღეში ვარ.

დროა დავუბრუნდეთ თხრობას და ჩემი ამბავიც ასე გრძელ-
დება:

ტკბილი დუდუ ყოველგვარი პრანჭიაობის გარეშე უჩვენებ-
და ჟუანს თუ ჟუანას ყოველს ქალთა ამ ლაბირინთში და ყველა
ადგილს აღუწერდა გასაოცრად მცირე სიტყვებით; მარტოდენ
ერთი სიმილი შეიძლება გამოვიყენო და ესაა დაბნეულობა,
რადგანაც უტყვი ქალი მდუმარე ქუხილია.

შემდეგ ახალ ქალწულს (ქალწულს ვამბობ, რადგან სქესი
ჯერაც დაფარულიყო გარეგანი თვალისათვის, რამაც იხსნა
იგი) მოკლედ აუხსნა აღმოსავლეთის ჩვეულებანი, უმანკოების
კანონები, რომ რაც უფრო იზრდება ჰარემი, მით მკაცრდება
ვესტალური მოვალეობანი თვითეული ულამაზესი არსებისა.

და მერე ნაზად აკოცა ჟუანას; დუდუს უყვარდა კოცნა და ამას დანაშაულად არვინ ჩამოართმევს, რადგან კოცნა სასიამოვნოა, ოდეს უმანკოა, და ქალთა შორის სხვას არას ნიშნავს, რომ ახლოს არიან და მეტიც არაფერი. კოცნა (Kiss) ერთიმეხა ნეტარებას (bliss) და ვისურვებდი, ლექსისა არ იყოს, სხვაგანაც ცუდი არაფერი მოეტანოს.

და მერე სრულყოფილი უმანკოებით დაიწყო სამოსის გახდა, რასაც დიდი ამბავი არ სჭირდებოდა, რადგან ვითარცა ბუნების შვილს შეჰფერის, დაუდევრად აღკაზმულიყო: და თუ შემთხვევით სარკეში მოჰკრავდა საკუთარ თავს მზერას, ემსგავსებოდა შვლის ნუკრს ტბაში არეკლილს, თავის ანარეკლს რომ მოჰკრავს მორცხვად თვალს ერთხელ და მერე მობრუნდება მზერის შესავლებად ბუნების ამ ახალი შვილისა.

და ნაწილ-ნაწილ მისი სამოსი იქვე გვერდით დალაგდა; მაგრამ მანამდე დახმარება ჟუანას შესთავაზა, ვინც გადაჭარბებული მოკრძალებით უარყო დახმარება, რაც სწორია და ასეც უნდა ექნა; მაგრამ ამ თავაზიანობამ დააზარალა, თითები დაიჩხვლიტა იმ დაწყვეტილი ქინძისთავებით, რაც უთუოდ ჩვენ ცოდვათათვის გამოიგონეს სასჯელად;

ქალებს მაჩვზღარბად გადააქცევს, დაუფიქრებლად ვერ შეეხებოი. და მეტი საფრთხეცაა, ოჰ, დიახ! ვისაც ბედი არგუნებს, მე ვით მერგო ბედად სიყმანვილეში, ლედის მოახლედ რომ გადავიქეც, მთელი ჩემი ბიჭობა ჩავაქსოვე ემმაკობაში, მასკარადისთვის რომ ვამზადებდი; ქინძისთავები ბლომად დავამაგრე, მაგრამ ვერ ვიტყვი, ყველა თავის ადგილას დამერჭო.

მაგრამ ეს სისულელეებია ბრძენკაცთათვის და მე კი უფრო მიყვარს სიბრძნე, ვინემ მას ვუყვარვარ; ვცდილობ ფილოსოფიურად შევხედო უმეტეს მოვლენებს, ტირანიიდან მოყოლებული ხით დამთავრებული; მაგრამ უცალო, უმანკო ცოდნა ხელიდან მისხლტება.

რანი ვართ?

საიდან მოვდივართ?

რა იქნება ჩვენი საბოლოო არსებობა? რა არის ჩვენი აწმყო?

ეს კითხვები უპასუხოა, თუმც კი გამუდმებით გაისმის.

დარბაზში ჩქამიც არ ხმინებდა: შორიხლო სანათურები ბჟუტავდნენ; მკლავზე ეძინათ მშვენიერ ბინადართ; სულები რომ არსებობდნენ, აქ ისრიალებდნენ მკვირცხლი წესრიგით, აკლდამებს აქაურობაში გაცვლიდნენ და დაამტკიცებდნენ, რომ აჩრდილებსაც ჰქონიათ გემოვნება, და აღარ იბორიალებდნენ ნანგრევებსა თუ გაცამტვერებულ ადგილებში.

ბევრი მშვენიერი ინვა ირგვლივ, ვით ყვავილნი სხვადასხვა ფერის, ფორმისა და ფესვის, ზოგ ეგზოტიკურ ბალებში რომ ვხვდებით ხანდახან, მოვლილთა და ნალოლიავებთ, სითბოს ამოსაფრქვევად მზადმყოფთ.

ერთს ჩალისფერი თმა შეუკრავს მსუბუქად, ჩაძინებულს ნაზად დაშვებია მომხიბლავი წარბები, ვით მშვენიერი ნაყოფი ხეზე, ტუჩები გადახსნია და მარგალიტის კბილები მოუჩანს.

მეორეს ლოყანითელი სახე თეთრ მკლავზე დაუსვენებია და ყორნისფერი კულულები დაჰყრია წარბებს ზემოდან, წევს და სიზმრებს ხედავს ნაზი და ტფილი; და იღიმება სიზმარში, თითქო მთვარემ გამოიხედა ღრუბელთაგან და სანახევროდ ახადა მანდილი მომხიბვლელ ნაკვთებს, ბუნდოვნად რომ იკვეთება ქათქათა საბურავშიო; მისი სილამაზე ღამის უცნობ საათს აკავებდა, რომელიც მორცხვად მიიბრძოდა სინათლისაკენ.

თვალში ნაცარს არ გაყრით, თუმც შეიძლება ასე მოგეჩვენოთ; ღამე იდგა, მაგრამ სანათებიც ხომ ერთო, ვითარც ითქვა.

მესამის ფერმკრთალი გამომეტყველება მიძინებულ სევდაზე მიგვითითებდა, მღელვარე მკერდი კი იმ შორეულ ნაპირებზე, საყვარელსა და საგლოველზე; ცრემლი ნელა სდიოდა (მშვენიერ კვიპაროსზე ჩამონადენი ღამის ცვარ-ნამი) ხავერდოვან თვალთაგან.

მეოთხე მარმარილოს ქანდაკებასა ჰგავდა და ჩუმად ინვა, თითქო არც სუნთქავდა, გაქვავებულყოფი, თეთრი, ცივი და წმინდა, გაყინულ წყაროს ჰგავდა, ან თოვლიან მინარეთს ალპების მთებში, ან ლოტის ცოლს მარილადქცეულს, — ანუ რაც გნებავთ; ამ დახვავებულ სიმილთაგან ამოარჩიეთ, ან ეგებ ქანდაკების დარი ქალი იკმაროთ.

და აი, მეხუთეც, ის როგორილა? „ასაკოვანი“ ქალი, რაც ნიშნავს ხნიერს, არ ვიცი, რამდენი წლისა იქნებოდა, არ დამითვლია მისი წლები; იქ იწვა და ეძინა, არცთუ ისე მშვენიერი გახლდათ, ისე გამოიყურებოდა, კაცსაც და ქალსაც თაროზე რომ შემოდებენ, რათა იფიქრონ საკუთარ განვლილ გზასა და ცოდვებზე.

მაგრამ მთელი ეს ხანი ნეტა ვითარ ეძინა ან რა ესიზმრებოდა დუდუს? ვეროდეს გავიგებ, რაც უნდა ჩავეძიო და მძულს თუნდაც ერთი ყალბი მარცვლის ჩამატება.

და აი შუალამე ის იყო გადავიდა, როს მბჟუტავი სანათები კიდევ უფრო ფერმკრთალდებიან და ლურჯდებიან და აჩრდილები ბორიალობენ სასახლეში, ანუ ეჩვენებათ, ვისაც მათთან ურთიერთობა უყვარს, უეცრად დუდუმ წამოიკვილა.

და ისე ხმამაღლა შეჰკვივლა, მთელი ოდა შეიძრა და წამოიშალა; მატრონები, გოგონები, ისინიც, რომელთაც არა ეკითხებათ, მოხროვდნენ ოკეანის ტალღებივით, ერთიმეორის მიყოლებით, მთელ დარბაზში, აცახცახებულნი, გაოცებულნი და ვერარა გაეგოთ, და მეც ხომ ვერასდიდებით მივხვდებოდი თუ რას უნდა გაეღვიძებინა ასეთს მშვიდი დუდუ.

მაგრამ გაღვიძებული კი იყო და მისი სარეცლის გარშემო გაშლილი თმითა და მოშილიფებულ-მოფრიალე ხალათებით, ხარბი თვალებით, აჩქარებით მოისწრაფოდნენ, მოშიშვლებოდათ მკერდი, მკლავები, კოჭები და ჩრდილოეთის მეტეორებივით მოქროდნენ მზრუნველობითა და ცნობისმოყვარეობით აღვსილნი, და დუდუც შეშფოთებულყო — აწითლებული, შეშინებული, თვალეგაფართოებული და აღგზნებული.

მაგრამ უცნაური ის იყო და საოცარი დადასტურება თუ რაოდენ დალოცვილია ჯანსაღი ძილი; ჟუანა იქვე იწვა, ვით ქმარი წევს ცოლთან ახლო, და უმანკო სიამტკბილობით ხვრინავდა; არც ყვირილს შეურყევია მისი ნეტარი ძილი, ვინემ ჩასძახებდნენ და შეაჯანჯლარებდნენ და მერელა გაახილა თვალნი და დაამთქნარა ოდნავ განცვიფრებულმა.

და მაშინვე დაიწყო მკაცრი დაკითხვა, რასაც, რაკი ყველა ერთობლივ ლაპარაკობდა და დაუსრულებლივ, ვარაუდობდნენ, უკვირდათ, მოყოლას ითხოვდნენ, ერთმანეთში ურევდნენ

ჭკვიანურსა და სულელურს და პასუხს ითხოვდნენ, ნათლად აგვისხენიო.

დუდუ ჯერაც ვერ მოგებოდა გონს და ვერც „ბრუტუსივით ორატორობდა“, ამიტომ თავიდან ვერც ახსნა თუ რა მოხდა.

ბოლო-ბოლო ამოთქვა, რომ ღრმა ძილში ესიზმრა, ტყეში მიდიოდა, „ულრან ტყეში“, ისეთში, სად დანტემ ჰპოვა საკუთარი თავი იმ ხნისამ, როს ყველა კეთილი ხდება; სიცოცხლის ნახევარგზის სახლში, სად ქალბატონი სათნოების გვირგვინს ირგებენ, აღარ ემუქრებათ სიყვარულის განსაცდელნი; და ეს ტყე აღვსილიყო ტკბილი ნაყოფებით, ნაზარდი ხეებითა და განტოტვილი ფესვებით.

შუაგულ ტყეში ოქროს ხე იდგა ვაშლისა, ნაყოფი ესხა ყველაზე შთამბეჭდავი ჯიშისა, მაგრამ ძალზე მალლა და მიუნვდომლად; დუდუ უყურებდა და რაკი პირის ჩატკბარუნება სურდა, დასწვდა ქვებს, რაც კი მოხელა, რათა ესროლა და ჩამოეგდო ნაყოფი, მაცდურად რომ ეკიდა ტოტზე, ქანაობდა, მაგრამ ასე მალლა.

და უეცრივ, როს ყველაზე ნაკლებ ეიმედებოდა, ვაშლი ჩამოვარდა, მის ფეხებთან დაეცა და, ისლა დარჩენოდა, აელო და ჩაეკბიჩა, და როგორც კი ნორჩი ტუჩები უნდა გაეხსნა ოქროს ვაშლის გემოს გასაგებად, ფუტკარი გამოფრინდა და გულზე უკბინა და... და ასე გაელვიდა შეშინებულს ყვირილით.

ესე ყოველი ერთგვარი შეცბუნებითა და შეშფოთებით წარმოთქვა, სწორედ ისე, ცუდ სიზმარს ვით ჰყვებიან და ვერ აუხსნიათ მათი ამაოებისა თუ მჭვრეტელური ნაპერწკალი.

ვიცი ზოგიერთი ზმანება, რომელნიც მართლა წინასწარმეტყველურად მოჩანს, ან ისეთი, ზოგს „უცნაურ დამთხვევად“ რომ მოსჩვენებია, დღეს ვით სჩვევიათ ახსნა-განმარტება.

გოგონებმა, რომელთაც ეგონათ, რალაც დიდი უბედურება მოხდაო, ვითარცა შიმგადატანილთ გვჩვენია, უსაყვედურეს დუდუს ყალბი აგანგამება, ტყუილად რომ გამოადვიდა. მატრონამ, ვისაც თბილი ლოგინი მიატოვებინეს დუდუს ზმანების მოსასმენად, კარგად შეაჯანჯლარა დუდუ, ვინც მხოლოდ ამოიხრა და თქვა:

— ვწუხვარ, რომ გაგაღვიძეთ.

— მსმენია ამბები მამლისა და ხარისა; მაგრამ ვაშლისა და ფუტკრისათვის ჩვენი გაღვიძება, მთელი ოდის წამოყრა ქვეშაგებიდან ოთხის ნახევარზე, გვაფიქრებინებს, რომ მთვარე გაივსო და შენ ვერა ხარ კარგად, შვილო! ვნახოთ, რას იტყვის ხვალ მისი უდიდებულესობის ექიმი ამ შენს ისტერიულ სიზმარზე. საბრალო ჟუანა, ბავშვის პირველი ღამეა ამ კედლებში და ასეთი ნივილ-კივილი ატყდა! მეგონა, სჯობდა უცხო გოგონა მარტო არ ნოლილიყო და ყველაზე მშვიდთან მივუჩინე ადგილი, შენთან, დუდუ, მაგრამ ახლა კი უნდა გადავიყვანო და ლოლას ჩავაბარო, თუმც მისი სარეცელი არცთუ დიდია.

ამის გაგონებაზე ლოლას თვალები გაუბრწყინდა, საბრალო დუდუ კი, თვალებზე ცრემლმომდგარი სიზმრისა თუ საყვედურებისა გამო, შეევედრა:

— ეს ერთი მაპატიეთ და არასდიდებით აღარ გავიმეორებ.

და საბრალო და მავედრებელი კილოთი დასძინა:

— ჟუანას ნუ წაიყვანთ, სიზმრებით აღარ შევანუხებ.

პირობა დასდო, სიზმარს აღაროდეს ვნახავ, ან ისეთს — ასე ვიკვილოო; უკვირდა, ეს როგორ დამემართაო, რა სისულელეა ნერვებს აწყვე და ნება მისცე ჰალუცინაციას დაგიმორჩილოს, სასაცილო გაგხადოსო; მაგრამ სულმოკლეობამ სძლია, ივედრებოდა:

— მაპატიეთ, მოვერევი ამ სისუსტეს ორიოდ საათში და გამოკვეთდები.

და აქ კი ჟუანა დიდსულოვნად ჩაერია და თქვა:

— სადაც ვარ, ძალზე კარგად ვგრძნობ თავს, რასაც მეტყველებს ჩემი ღრმა ძილი, როცა ირგვლივ თითქო განგამის ზარები რეკდნენ; სრულებითაც არა მსურს მივატოვო ნაზი მეზობელი, ვისაც არაფერი დაუშავებია, გარდა იმისა, რომ სიზმარი იხილა „mal-à-propos.“

და ვინემ ჟუანა ამას ამბობდა, დუდუ შებრუნდა და მის მკერდში ჩარგო სახე; კისერილა მოუჩანდა, ვითა ვარდისფერი ბორცვი. ვერ გეტყვით, რატომ განითლდა, ვერც იმას ავხსნი თუ რამ დაარღვია მათი სიმშვიდე. ისლა შემიძლია, ფაქტები გამცნოთ, რაც ნამდვილია და მართალი.

ამრიგად, მშვიდობის ღამე ვუსურვოთ, ან, თუ გნებავთ, მშვიდობის დილა, რადგან მამალმა იყივლა და ნათელმა შემოსა აზიის მთები, და მეჩეთზე მთვარე გამოისახა, გრძელი ქარავანის სამზერზე, ციკსა და ნამიან სისხამს ნელიად რომ მოიკვლევდნენ გზას მთებში, კლდოვან ქამარს რომ მიუყვება და აზიას ერტყმის, კაფიდან ქვევით, ქურთებამდე.

პირველ სხივზე ანუ სისხამზე ადგა მოუსვენარი გულბეიაზი; და შეშფოთებისგან გაფითრებული აღიჭურვა მოსასხამით, მანდილით, ძვირფასეულობით. ბულბული, იგავის კვლობაზე, გულში ღრმად ეკალგარჭობილი რომ გალობს, უფრო დაცულია ეკლისაგან, ვინემ იგი, ვინც ვნებათა გამოისობით თავს კარგავს და ძალად იჩენს ჭირს.

ასეთია მორალი ამ თხზულებისა, ადამიანები რომ წვდებოდნენ მის ნამდვილ აზრს, მაგრამ ისინი დაუეჭვებლად ვერარას უყურებენ, რადგან ყოველ კეთილშობილ მკითხველს აქვს ნიჭი, ვერ დაინახოს, რაც მისი თვალთახედვის არეშია; კეთილშობილ მწერლებსაც სჩვევიათ ხმა აღიმალღონ ერთმანეთის წინააღმდეგ, რაც ბუნებრივია, რაკი მოჭარბებით ქებადიდების სურვილი.

ადგა სულთანა ბრწყინვალე სარეცლიდან, უფრო ფაფუკიდან, ვინემ სიბარიტთაა, რომელთაც უზომო ყვირილი სჩვეოდათ, რადგან მათი ნაზი გრძნობების პატრონნი ვარდის ფურცლებსაც ვერ აიტანდნენ, ზედ რომ დასცემოდათ... სულთანას სილამაზის აღსაწერად ხელოვნება უძლურია, თუმც ფერმკრთალი იყო გადატანილი ჭიდილის გამო, სიყვარულსა და სიამაყეს შორის რომ გაიმართა, და ისე შფოთავდა შეცდომისათვის, სარკეშიც არ ჩაუხედავს.

იმავე დროს, ცოტა მოგვიანებით, ადგა დიდი ბატონი, ბრწყინვალე მფლობელი ოცდაათი დიდებული სამეფოსი და მეუღლისა, რომელთაც სძულდათ. თუმც ეს დიდად მნიშვნელოვანი არ არის იმ მხარეში იმათთვის მაინც, ვისი შემოსავალიც უზუნველჰყოფს შეავსონ თავიანთი საოჯახო ტვირთი და ორ ცოლზე არ დაანესონ ემბარგო.

ამაზე დიდად არასოდეს ჩაფიქრებულა, სხვა მსგავსი წვრილმანებისა არ იყოს, კაცი იყო და ლამაზი ქალები უყვარ-

და, რადგან სიამოვნება მოჰქონდათ მისთვის. საამისოდ ჩერქეზები არსებობდნენ, რათა თავი შეექცია დივანის შემდეგ; თუმცა უცნაური სიყვარული თუ მოვალეობა გაუჩნდა და მიეჩვია ცოლის სილამაზით ტკობა-ტფობას.

და ადგა და აღმოსავლური ჩვეულებისამებრ განბანვათა შემდგომ ილოცა და სხვა წესებიც შეასრულა, მიირთვა ექვსიოდე ფინჯანი ყავა და განმარტოვდა რუსთა ამბის მოსასმენად, ბოლო დროს სულ რომ იმარჯვებდნენ ეკატერინეს მმართველობით, ვის სახელსაც ჯერაც არ გაფერმკრთალებია დიდება, ვითარცა უდიადესი ხელმწიფისა და ბოზის.

მაგრამ, ო, დიდო კანონიერო ხელმწიფეო ალექსანდრ! ეკატერინეს შვილიშვილო, ნუ შეურაცხგყოფთ ბოლო ფრაზა, თუკი სმენას თქვენსას მოსწვდება — ჩვენს დროში ხომ რითმები დაფრინავენ და პეტერბურგამდეც აღწევენ და საშიშ ბიძგებს აჩენენ თავისუფლების მაღალი ტალღები ყოველ მოსახვევში და ბალტიის ზღვის ღრიალსაც კი უერთდებიან — იყავ მხოლოდლა ვაჟი მამიშენისა, ჩემთვის ეს სავსებით კმარა.

სიყვარულით გაჩენილებად რომ შეგვერაცხა მავანნი, ან მათი დედები ტიმონის, ამ კაცთმოძულის, ანტიპოდებად გამოგვეცხადებინა, სირცხვილი იქნებოდა, ან ცილისწამება, ანდა რაც გნებავთ, უწოდეთ, ოლონდაც გაირითმოს; მაგრამ ადამიანთა წინაპრები ისტორიის სათამაშოა; და თუ ერთი ქალბატონის გადაცდომა მთელი შთამომავლობის ცოდვად უნდა იქცეს, მაშინ მაინტერესებს, ნეტა ვინაა საუკეთესო ჯიშისა?

ეკატერინესა და სულთანს რომ სცოდნოდათ მათი ნამდვილი საჭიროებანი, რაც მეფეებმა იშვიათად უწყიან, ვინემ მძიმე გაკვეთილს ასწავლიდეთ, შეიძლებოდა დასრულებულიყო მათი მართლაც რომ უბედურებისმომტანი ბრძოლა; სწორად რომ ეფიქრათ, შესაძლოა პრინციები და ელჩები დაეთხოვათ; ეკატერინეს გვარდია გაეშვა, სულთანს — ჰარემი, შეხვედროდნენ ერთიმეორეს და გაეზიარებინათ თუ რა სურდათ.

მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, მის უდიდებულესობას უნდა გაემართა საბჭოს ყოველდღიური სხდომა, რათა ღონე და საშუალება მოეძიებინათ თუ ვითარ წარემართათ საომარი საქმე-

ნი ამ თანამედროვე ამაზონელსა თუ ბოზთა დედოფალთან; და ვერ ვიტყვით, რომ სიმძიმე მთელ ბოძებს დასწოლოდათ სახელმწიფოსი, მაგრამ აი, იმათ ზურგებს კი ცოტაოდენ აწუხებდათ, ახალი გადასახადი რომ მოელოდათ.

ამასობაში, რაკილა მეფე ნავიდა, გულბეიაზი განმარტოვდა თავისი ბუდუარის მშვენიერ კუთხეში სასაუზმოდ თუ სასიყვარულოდ; ეს კობტა ოთახი ცალკე იყო, მოშორებით, მდიდრულად მორთული მხიარული განსვენებისათვის; ურიცხვი ძვირფასი ქვა ბრწყინავდა ჭერზე და ფაიფურის მრავალი ლარნაკი ავსებულებიყო ყვავილებით ტყვეობის საათთა დამამშვენიებლად.

მარგალიტი, პორფირი და მარმარილო ერთმანეთს ეჯობებოდნენ ამ ძვირფას კუთხეში; და მგალობელ ჩიტთა ჭიკჭიკი მოისმოდა; ფანჯრებში ჩასმული ფერადი შუშები ანათებდნენ ამ ქვაბულს და ასხვაფერებდნენ თვითეულ სხივს, მაგრამ რაც უნდა აღვწერო, მარტოდენ დავამახინჯებ ნამდვილ სურათს, ამიტომ აღარ დავწვრიმალდეთ, ზოგადად მოვხაზოთ უმჯობესია და მკითხველის ცინცხალ ფანტაზიას მივანდოთ დანარჩენი.

აქ გულბეიაზმა მოიხმო ბაბა და მოითხოვა დონ ჟუანის მოყვანა და ამბავიც, თუ რა მოხდა მას შემდეგ, რაც სხვა მონებთან ერთად წაიყვანეს — სად დაბინავდა; ყველაფერი ისე მოხდა თუ არა, ვით განზრახულიყო, და შენიღბვამაც თუ გაამართლა, დაბოლოს, სად გაატარა და ვითარ ღამე დონ ჟუანმა, ამის გაგება ყველაზე მეტად სურდა გულბეიაზს.

ბაბა ცოტა დააბნია კითხვათა ამ გრძელმა კატეხიზმომ, რომელთა დასმაც უფრო ადვილი იყო, ვინემ პასუხის გაცემა; უთხრა: ყველაფერი ვიღონე დავალების შესასრულებლადო, — მაგრამ იყო რაღაც, რის დამალვასაც ისურვებდა, და ყოყმანი უფრო ამჟღავნებდა, ვინემ ფარავდა ამბავს, ყურებს იფხანდა, რასაც უცილოდ მიმართავენ დაბნეული ადამიანები.

გულბეიაზი სულაც არ გახლდათ მოთმინების ჭეშმარიტი ნიმუში, არც სიტყვით უყვარდა ლოდინი და არც საქმით; სწრაფი პასუხები სჩვეოდა საუბრისას და როს გაოჩნება შეატყო ლულულა პასუხებში, ახალ-ახალი შეკითხვებით ჩააგდო საგონებელში, რამაც კიდევ უფრო დააკოჭლა ბაბას მეტყველება,

და გულბეიაზის ლოყები აენტო, თვალთაგან ნაპერწკლები ყა-
რა და ამაყი ცისფერი სისხლძარღვები დაებერა.

როს ბაბამ ეს ნიშნები დაინახა, რაც, იცოდა, კარგს არას
უქადა, ურჩია: ნუ ბრაზობო, — და სთხოვა ბოლომდე მოესმი-
ნა; რაკილა ველარას იზამდა, უამბო, რაც მოხდა, ყველაფერი,
რომ ჟუანი დუდუს ჩააბარეს, მაგრამ: ამ საქმეში მე არაფერ
შუაში ვარო, — იფიცებოდა წმინდა აქლემის კუზს, ყურანს
იმონებდა.

ყველაფერი ოდის მმართველმა ქალბატონმა გადაწყვიტა,
ვისაც ემორჩილება მთელი ჰარემი, და ჰარემის კარს გადააბი-
ჯეს თუ არა, ბაბამ ველარა გაანყო, აქ შეწყდა მისი უფლებამო-
სილება, რალა უნდა ელონა ამ სანყალ ბაბას, რამეს იზამდა და
ისეთი ეჭვი გაჩნდებოდა, შესაძლოა უარესი მომხდარიყო.

— იმედი მქონდა, — ამბობდა ბაბა, — ჟუანი არ გასცემდა
საკუთარ თავს.

ცხადია, სწორად მოიქცეოდა, რადგან სულელური და დაუ-
ფიქრებელი ქცევა არა მხოლოდ საფრთხეს შეუქმნიდა, ტომა-
რაშიც ამოაყოფინებდა თავს და ზღვაშიც მოისროდნენ. და
ამის მერე მიადგა ბაბა დუდუს სიზმარს, რასაც უკვე ხუმრობა
აღარ ეთქმოდა.

ეს ამბავი ფრთხილად აუნყა სხვა ამბებს მოდევნებით, ლა-
პარაკობდა და ეგებ აქამდეც დაეძრა ხმა, რალაც პასუხი რომ
ეპოვა, მაგრამ ტკივილმა შეძრა გულბეიაზის წარბი, ლოყები
აუგიზგიზდა, ყურებმა იკივლეს, ტვინი გადაუბრუნდა, თით-
ქოს უეცარი დარტყმა ეგემოს, გული მსწრაფლ აუძგერდა ტკი-
ვილისაგან და სიცივემ დილის შროშანივით გადააფითრა.

თუმც გულყრები არა სჩვეოდა, ბაბამ იფიქრა, გონებას და-
კარგავსო, მაგრამ შეცდა, მცირე ხანს გაგრძელდა ეს ენითა-
ღუნერელი ცახცახი, რის შესახებაც გვსმენია, უბრალო ადამი-
ანთაგან ვისაც განუცდია, ცოცხალი არავინ გადარჩენილაო...
გულბეიაზმა კი ამ მოკლე აგონიითაც დაამტკიცა ის, რასაც
თვითონაც ვერ იტყოდა და აბა მე ვით ვიტყვი.

იდგა ერთ წუთს, ვით ტიფონი დგას თავის სამკაპზე, აგონი-
აში მყოფი და შთაგონებას ეძებდა გამძვინვარებული, თითქო

ველური ცხენები ენეოდნენ მისი გულის ძარღვებს და ნაწილ-ნაწილ უგლეჯდნენ გულს; მერე და მერე შეანელეს სისწრაფე და ძალდატანება, სკამზე დაეშვა ნელა და განგაშითმოცული თავი მოცახცახე მუხლებში ჩარგო.

სახე აღარ უჩანდა; თმა გრძელ კულულებად ჩამოშლოდა მტირალი ტირიფივით, თითქო მარმარილოსა ჰგვის მისი სკამის ქვეშო, თუ სავარძელი სჯობს (რადგან მთლიანად დაბალი ოტომანური მუთაქებისაგან შედგებოდა), ბნელი უიმედო ტალღებივით ერხეოდა ტანი, თითქო ნაპირს უნდა შეეხალოს და მილენ-მოლენოსო.

თავდახრილს გრძელი თმა ჩაშლოდა და საფარველზე უკეთ მალავდა მის ნაკვეთებს; ოტომანური სამოსლიდან ცალი ხელი უჩანდა, თეთრი, თითქო ცვილისა და ალებასტრისა; მხატვარი რომ ვიყო და შემეძლოს შევაგროვო, რასაც პოეტი ჩამოთვლის, ან სიტყვები ფერებად მექცეს! მათი შუქ-ჩრდილი გადმოსცემდა იმ მონახაზებს.

ბაბამ გამოცდილებით იცოდა, როდის ამოელო ხმა და როდის დაეჭირა ენისთვის კბილი; ახლაც სიტყვა კბილით ეჭირა, ვინემ ვნება გადივლიდა, რას გაბედავდა დაერღვია გულბეიაზის დუმილი ან მეტყველება.

ბოლოს გულბეიაზი ადგა და მიმოსვლა იწყო ოთახში. ჯერ ჩუმად იყო, წარბები დაულაგდა, მაგრამ თვალეში შფოთი ედგა; ქარი ჩადგა, მაგრამ ზღვა ჯერ კიდევ ღელავდა.

გულბეიაზი შედგა და თავი ასნია სალაპარაკოდ, მაგრამ დააყოვნა და კვლავ გააგრძელა სწრაფი სიარული; მერე შეანელა ნაბიჯი გრძნობის მოწოლისა გამო; ხდება, რომ გრძნობას აქსოვ თვითეულ ნაბიჯში, ვითარ აცხადებს სალუსტუსი თავის „კატალინაში“, ვისაც ვნებათა დემონები დევნიდნენ და ეს მის სიარულშიც ჩანდა.

გულბეიაზი შედგა და ბაბას მოუხმო:

— მონავ! მოიყვანე ის ორი მონა! — უთხრა ხმადაბლა, მაგრამ ისე, ბაბას სული კოჭებში გაეპარა, და მაინც არცთუ ხალისით, აცახცახებული შეევედრა (თუმც კარგად იცოდა, რაც უთხრეს), რომელ მონათა მოგვრას ბრძანებდა მისი უდიდებულესობა, რათა შეცდომა არ მოსვლოდა, ვით უკვე მოხდა.

— ქართველი და მისი კურო, — მიუგო მბრძანებლის ცოლ-მა და დასძინა, — ნავი გაამზადეთ საიდუმლო პორტალის მხარეს; დანარჩენი თვითონ იცი.

სიტყვები გაეჩხირა ყელში, თუმც უარყოფილი სიყვარულის გამო მისი სიამაყე მძვინვარებდა; ეს კარგად შენიშნა ბაბამ და თვითეულ ბენვს დაიფიცებდა მუჰამედის წვერისა, რომ გულბეიაზი შეცვლიდა გაცემულ ბრძანებას.

— გისმენ და გემორჩილები, — ჰკადრა, — მაგრამ მაინც, სულთანავ, შედეგებზეც იფიქრეთ. ცხადია, შევასრულებ თქვენს ბრძანებას უკიდურესი სისასტიკით; მაგრამ ასეთმა სასჯელმა ვაითუ უბედურება მოიტანოს და თვით თქვენი უდიდებულესობისთვისაც; თქვენთვის მოტანილ ზიანსა თუ განადგურებას კი არა ვგულისხმობ საქმის მოულოდნელი გამჟღავნებისას, არამედ თქვენს გრძნობებს. თუნდ ყველაფერი დაფარონ მბრუნავმა ტალღებმა, რომელნიც უკვე ბევრ გულს ფარავენ, სიყვარულით რომ ძგერდნენ ზღვის ბნელ უფსკრულებში... თქვენ გიყვართ ეს ახალი სტუმარი, ჰარემში შემოპარული ბიჭი, და ეს სასტიკი საშუალება რომ გამოვიყენოთ, მომიტევეთ თავხედობა, მაგრამ გარწმუნებთ, მისი სიკვდილი ვერ განკურნავთ.

— რა იცი შენ სიყვარულსა ან გრძნობებზე?.. მახინჯო! ნაეთრიე! — დაუყვირა გულბეიაზმა და თვალები დაუბრიალა... — და შეასრულე, რაც გიბრძანე!

ბაბა გაუჩინარდა, რადგან კარგად იცოდა, შეპასუხებას შეიძლება ის მოჰყოლოდა, ჯალათის მოყვანა ებრძანებინათ. და თუმც გულით სურდა ისე გაძლოლოდა ამ საქმეს, ზიანი არავის შეხვედროდა, მაინც საკუთარი კისერი ამჯობინა სხვისას.

მიეშურებოდა დავალების შესასრულებლად, ბუზღუნებდა და ბურდღუნებდა, კაი-კაი თურქული გამოთქმებით იხსენიებდა ყველა ქალს, განსაკუთრებით სულთანათ და მათ ზნეს; მათ სიჯიუტეს, სიამაყესა და ჭირვეულობას, რომ აროდეს იციან, რა სურთ, თუნდ ორიოდე დღით, თავიანთი უკვდავობის გამო შეიყრიან მრავალ ჭირს, რის გამოც ბაბა ყოველდღიურად ლოცავდა თვის ზომიერებას.

მერე კი უხმო თავის მოძმეთ დასახმარებლად, ერთი იმ წყვილის მოსაყვანად გაგზავნა, დაავალა, კარგად ყოფილიყვნენ შემოსილნი, თავიც დაევარცხნათ და მოეყვანათ სულთანასთან, ვინც კარგად გამოიკითხა მათი ამბავი და გაირკვა, რომ დუდუ უცნაურად მოიქცა და ჟუანი — სულელურად, და რომ ახლავე უნდა მოსულიყვნენ.

აქ კი დავტოვებ თავიანთ სამზადისში მის უდიდებულესობასთან წარსადგენად, როს გულბეიაში გულმონყალებას გამოიჩინდა ან ორივეს თავიდან მოიშორებდა, ვით მისი გვარტომის სხვა მრისხანე ქალბატონთ სჩვევიათ.

თმის ერთმა ბენვმა თუ ბუმბულმა შესაძლოა რაღაც მოავაროს, მაგრამ არაფრით მგონია გამოვიცნო, თუ საით შეიძლება წარიმართოს ქალური კაპრიზი.

ახლა მათ დავტოვებ კეთილი სურვილებით, თუმც მეექვება კარგად წაუვიდეთ საქმე ისტორიის ახალი გვერდის წერისას.

ბანკეტისათვის სუფრის ჭურჭელი ხანდახან უნდა გამოიცვალოს; და ვიმედოვნებ, ჟუანი თავს დააღწევს თევზებს, თუმც მისი ყოფა უცნაური ჩანს და უხიფათოს ვერასგზით დავარქმევთ, და რაკი ასეთი გადახვევანი შესაძლებელია, მუზა ოდნავ გადაუხვევს ომისაკენ.



თავი მეშვიდე იზმაილის ალყა

ჰოი, სიყვარულო!

ჰოი, დიდებავ!

რანი ხართ, ასე იშვიათად რომ გამოგვინათებთ? პოლარულ ცაზე არ დაიძებნება მეტეორი, ასე ტრანსცენდენტურად და უსწრაფესად რომ გაიელვებდეს. მიყინულნი და მიჯაჭვულნი ამ ცივ მინაზედ ზე ვიხედებით, თქვენგან რომ ერთ-ერთის სანატრელი გამონათება ვიხილოთ; თვალს მოგვჭრის მრავალათასი ფერადოვნებით და მერე კი გვტოვებს ისევ გაყინულ-გათოშილთ.

და ასეთივეა ჩემი ახლანდელი ამბავიც, აბურდული და ცვალებადი რითმებით, გალექსილი ჩრდილოეთის ციალი; ბერწ, ყინულოვან კლიმატში რომ გამოანათებს. ოდეს შევიცნობთ ყოველივეს ყველას შესახებ, მწუხარება გვმართებს, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, ყველაფერზე სიცილიც არ არის დანაშაული — რადგან მინდა ბოლო-ბოლო გავიგო თუ რანი არიან ყველა და ყველაფერი — მარტოდენ სანახაობა?

ბრალს მდებენ...

მე...

ამ ლექსის დამწერს...

რაში...

არც კი ვიცი...

თითქოსდა ვამდაბლებდე ადამიანურ ძალებსა და სიქველეს და სხვა ყოველს და ბრალს მდებენ, ჰოი, რა სიანჩხლით.

ღმერთო მიშველე! ნეტა რას ამხირებიათ! იმაზე მეტი აბა რა ვთქვი, რაც არ უთქვამს დანტეს, ან სოლომონს და ან სერვან-

ტესს, სვიფტს, მაკიაველის, რომფუკოს, ფენელონს, ლუთერს ან თუნდაც პლატონს; ტილოტსონს, ვესლისა და რუსოს?

რომელთაც უნყოდნენ, ეს ცხოვრება ჩირადაც რომ არა ღირს.

რა მათი ბრალია, ან რა ჩემი ბრალია, თუკი ასეა?

ჩემდათავად არც კატოს ვედრები და არც თუნდ დიოგენეს.

ჩვენ ვცხოვრობთ და ვკვდებით და რომელი რომელს სჯობს, თქვენც არ იცით, ჩემი არ იყოს.

სოკრატე ამბობდა: ის ვიცით, რომ არაფერი ვიცითო; რაოდენ სასიამოვნო ცოდნაა — ყოველ ბრძენკაცს ვირს უთანასწორებს წარსულში, ანმყოსა თუ მომავალში.

ეჰ, ნიუტონიც კი (ეს გონების გამოცანა) აცხადებდა: ყრმასავით დავეხეტები და ნიჟარებს ვაგროვებ ჭეშმარიტების უდიადესი ოკეანის ნაპირზეო.

ეკლესიასტე ამბობს: ამაოება ამაოებათაო...

ყველაზე თანამედროვე მქადაგებელნიც ამასვე იმეორებენ ან გვიჩვენებენ ჭეშმარიტი ქრისტიანობის ნიმუშებით; მოკლედ, ეს ყველამ იცის ან ძალზედ მალე შეიტყობენ; და მაშინ, ოდეს ყველა აღიარებს, არაფერი ვიცითო — წმინდანიც, ბრძენიც, მქადაგებელიც და პოეტიც — მე რატომღა უნდა გავჩერდე შიშით, აცა თავს არ დამესხან-მეთქი, და არ ვამხილო ცხოვრების არარაობა?

ძალღნო თუ კაცნო!.. სწორედაც რომ ქათინაურია თუ ძალღებად მოგიხსენიებთ... უკეთესიცაა... შეგიძლიათ წაიკითხოთ ან არ წაიკითხოთ, რის გადმოცემასაც აქ ვცდილობ თქვენზე. ვითარცა მთვარე არ შეყოვნდება მგლების ყმუილზე, არც კამკაშა მუზა მოგვაკლებს სხივებს თქვენი უქმი სიანჩხლისა გამო! და კვლავ მოავერცხლისფრებს თქვენს შავბნელ ბილიკს.

„მძაფრი სიყვარული და დამატყვევარი ომები“... არ ვიცი, რამდენად კარგი საკითხავია, რასაც ვწერ და არც აქვს მნიშვნელობა; ერთი რამ აშკარაა — ხიფათი არ მეღის, ორივეს ვუმღერ, და ახლა ვაპირებ დავბომბო ქალაქი, ცნობილ ალყას რომ უძლებს ორიგ მხრიდან გარემოცული, მიწიდან და ზღვიდან, სუვოროვის მიერ; თუ ინგლისურად ვთქვა — სუოარუოაი, იგი, ვის ისე უყვარდა სისხლი, ვითარცა ოლდერმენს ძვლისა ტვინი.

ციხე-სიმაგრეს იზმაილი ჰქვია და დუნაის მარცხენა შენაკადსა და მარცხენა ნაპირზე აღმართულა, აღმოსავლური გემოვნებით ნაგები, მაგრამ საუკეთესო ციხესიმაგრეა ანუ იყო, ბოლო-ბოლო ვიდრე დაანგრევდნენ, ჩვენ დამპყრობელთა ხუშტიურიცაა, ზღვიდან ოთხმოციოდე ვერსტზეა და ირგვლივ ათასობით ტუაზს გადაჰყურებს.

ციხე-სიმაგრის შიგნით, მთელ გაყოლებაზე, დასახლება შეფენილა მაღლობის მარცხენა მხარეს, და მომგებიანი განლაგებით თავს დაჰყურებს ქალაქს; სწორედ ამ ადგილას, მაღლობის ირგვლივ, ბერძნებმა რამდენიმე სიმაგრე ააგეს, რათა შეეზღუდათ იმათი ცეცხლი, ვინც აქ გამაგრებულიყო, და მტერს შეშველებოდნენ.

ეს გარემოება წარმოდგენას გვიქმნის ვიღაც ახალი ვაჟბანის დიდ ნიჭიერებაზე; თვითონ ქალაქი ჩაღრმავებულიყო, ვით ოკეანე, იმაზე უფრო მაღალ კედლებს შორის, ვინემ ზედ ჩამოკიდებას ისურვებდი; დიდი სიფრთხილე იყო მაშინ საჭირო (გთხოვთ მაპატიოთ საინჟინრო გადახვევა), არც მონესრიგებულნი გახლდათ აქაურობა, არც ქუჩები — მოკირწყლული, მინიმუმბასაც ვერ იპოვნიდით, ცენტრალური ქუჩა არ გაგვაჩნიაო.

ქვის ბასტიონი ერტყა, ვიწროთხემიანი, კედლები ისეთი სქელი, ვითარ წესია; ორი ბატარეით აღჭურვილიყო *cap-a-pie* ჩვენი წმინდა გიორგის სიმაგრესავით; ერთი კაზემატებში განთავსებულიყო და მეორე — საზარბაზნე სადგომებზე და დუნაის ნაპირს გვარიანად იცავდა; ამავდროულად ოცდაორი ზარბაზანი ჩამორიგებულიყო ქალაქის მარჯვენა მხარეს, მყარ იარუსებზე, ცხენიან კაცს ორმოცი ფუტით რომ აჭარბებდა.

მაგრამ მდინარის მხრიდან ქალაქი სრულიად გახსნილიყო, რადგან თურქებს ვერაფრით დაარწმუნებდი, რუსების გემი გამოჩნდებო; ასე სჯეროდათ, ვინემ თავდასხმას იწვნივდნენ, როს უკვე გვიან იყო რაიმეს გამოსწორება.

დუნაიში ფონით ვერაფრით გადახვალო, იმედოვნებდნენ, და აჰა, იხილეს მოსკოველთა ფლოტილია და ისღა დარჩენოდათ, „ალაჰ, ბისმილაჰ“ ეყვირათ.

რუსები მზად არიან შესატყვად, მაგრამ ვაი, ომისა და დიდების ქალღმერთო! რა ჩამომათვლევინებს იმ უკვდავ კაზაკთა სახელებს ანდა მათ საქმეთ? აფსუს, თუ დავიწყებას მიეცემიან!

თვით აქილევსიც კი არ ყოფილა ისეთი მტკიცე და შიშის-მომგვრელი, ვითარცა ეს ახალი და ბრწყინვალე ხალხი, რომელთა სახელებსაც არაფერი აკლიათ წარმოთქმის გარდა.

და მაინც ჩამოვწერ რამდენიმეს, უფრო იმიტომ, ჩვენი ევფონია გავამდიდრო: იქ იყვნენ სტროგენოფი და სტროკონოფი, მეკნოპი, სერჯ ლვოვი, არსენიევი თანამედროვე საბერძნეთიდან, და ჩიჩაკოფი და როგენოფი და ჩოკენოფი და სხვანიც, დანყვილებულნი თორმეტი თანხმონით; და მეტსაც მოვიძიებდი, რომ გავრჯილიყავ და ჩამენერა; მაგრამ დიდებას (ახირებულ კახპას), მგონი, ყურიც აქვს, გარდა საყვირისა.

და ვერ შეძლებს ჰარმონიულად აანყოს ლექსი ამ მოსკოვური სახელებით; და მაინც, ზოგიერთი ღირსია მოხსენიებისა, ვითარცა აღთქმის მიმცემი ქალწულია დასაფასებელი; ტკბილი სიტყვები ლონდონდერის პატივსაცემადაც კი ილულლულეს გაუთავებლად; რუსთა გვარები კი ბოლოვდება „იშკინ“, „უშკინ“, „იფსკი“, „უსკი“; და ამათ უნდა დაემატოს რუზამუესკი, შერემეტოფი და ჩრემატოფი, კოკლოპტი, კოცლობსკი, კურაკინ და მუშკინ-პუშკინ, ყველა მარჯვედ ხმარობს იარაღს, ათვალწუნებით უყურებს მტერს და ჭრის და ჩეხავს ხმლებით, არც მაჰმადს ერიდებიან და არც მუფთის, მარტო დოღზე გადასაჭიმად თუ გამოადგებათ მათი ტყავი, თუკი პერგამენტი გაძვირდა და ვერარა მოიხელთეს.

მათში ერივნენ უცხოელნიც სახელოვანნი, სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული მოხალისენი, ვინც თავთავისი ქვეყნისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ გენერლობის მიღწევა სწყუროდათ; ქალაქში გასეირნებაზეც არ ამბობდნენ უარს, და მეტი რა ნებავთ მათი ხნის ყმანვილკაცთ?! მათ შორის რამდენიმე ინგლისელიც გახლდათ ქვეყნის გულიდან, თექვსმეტს ტომსონი ერქვა და ცხრამეტს — სმიტი. ჯეკ ტომსონი და ბილ ტომსონი; დანარჩენებს „ჯემი“ ერქვათ, დიდი ბარდის სახელი; არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა წოდება და გერბი, მაგრამ ასეთი ნათლია კი ჰყავდათ საზოგადოებაში წარსადგენად.

სმიტთაგან სამნი პიტერები იყვნენ; საუკეთესო კი მათ შორის შეტევასა თუ დაცვაში ის იყო, სახელგანთქმული „ჰალიფაქსის სასოფლო სახლებში“; მაგრამ ამჟამად ხომ თათრებთან მსახურობდა.

დანარჩენნი იყვნენ ჯეკები და ჯილები და ვილები და ბილები; მაგრამ როს ვამბობ, უფროსი ჯეკ სმიტი ქამბერლენდის მთებში დაიბადა, და მამამისი პატიოსანი მჭედელი იყო-მეთქი, იმის თქმა მინდა, რომ ეს ვიცი იმ სახელის თაობაზე, სამი სტრიქონი რომ იმყოფინა ცნობაში „შმექსმიტის“, მოლდოვას დასავლეთში მდებარე სოფლის ალების შესახებ, სად დაეცა იგი და ბიულეტენმა კი უკვდავჰყო.

ნეტა გამაგებინა (რა თქმა უნდა მარსი ლმერთია და უნდა ვადიდოთ) ბიულეტენში მოხვედრილი კაცის სახელი თუ რამეს შველის ტყვიას — მოხვედრილს მის სხეულში? ვიმედოვნებ, ეს მცირე შეკითხვა ცოდვად არ ჩამომერთმევა, რადგან ეგებ მე ერთი ხეპრე ვინმე ვიყო, მაგრამ ეს შექსპირიც რომ იმავეს ათქმევინებს თავის პიესებში, რასაც მრავალნი იმონმებენ, ვითარცა სიბრძნეს?!

აქვე იყვნენ ფრანგები, გალანტური, მხიარული ყმანვილკაცები; მაგრამ ჩემი დიდი პატრიოტიზმი ნებას არ დამრთავს ჩამოვთვალო მათი გალური სახელები და დიდების დღენი; სჯობს ათი ტყუილი ვთქვა, ვინემ ერთი სიმართლე; ასეთი სიმართლე ლალატია — სამშობლოს ლალატი; და ლალატი კი საძაგლობაა, საძაგლობა — ფრანგების დასახელება ინგლისურ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, ოდეს უჩვენებ, თუ ვით უნდა უმტროს ჯონ ბულმა ფრანგებს მშვიდობის ჟამს.

რუსებმა ორი ბატარეა დადგეს იზმაილის ახლო კუნძულზე და ორი სამიზნეც წინ წასწიეს; პირველით ქალაქის დაბომბვა შეეძლოთ, საჯარო და კერძო სახლთა დანგრევა, რას ინაღვლიდნენ, ლატაკებს თუ რა დაემართებოდათ. ჰო, მართალია ქალაქი წინ გადაშლილიყო, ამფითეატრივით, თვითეული სახლი კარგი სამიზნე იყო ხვრელის გასატანად.

მეორე სამიზნეს შედეგად უნდა მოეტანა საერთო დაბნეულობა, თუ თურქთა ფლოტილიას შეუტევდნენ, იქვე რომ იდგა ყურეში, მშვიდად ლუზარაშვებული: მესამე მოტივი იყო შეეშინებინათ და კაპიტულაციაზე დაეყოლიებინათ; ეს ფანტაზია ხანდახან შეიპყრობთ ხოლმე მეომართ, მანამდე, სანამ ბულოგებად თუ ფოქსტერიერებად გადაიქცეოდნენ.

დასაგამობი ჩვეულება, გვეზიზღებოდეს, ვისაც ვებრძვით, რაც საზოგადოდაა გავრცელებული, გახდა მიზეზი ჩიჩიკოფისა და სმიტის სიკვდილისა; ერთ-ერთი იმ გმირი „სმიტისა“, ვინც დაგვაკლდება იმ ცხრამეტიდან, რომელიც ბოლოს „ფიტს“ (შუაგული) გაუერთმეთ; და ეს გვარი ისეა გავრცელებული „სერსა“ და „მადამს“ შორის, რომ გვეგონია, სულ პირველი „ადამი“ იყო, ვინც ამ გვარს ატარებდა.

რუსული ბატარეები დიდად ვერ დაიკვეხნიდა, რადგან ნაჩქარევად განელაგებინათ; მიზეზი იგივეა, ოდეს ლექსის მუხლი მოიკოჭლებს და არცხვენს ლონგმენსა და ჯონ მარეის, და ახალი წიგნები მსწრაფლ არ იყიდება, ვითარცა მათ გამომცემელთ ჰგონიათ, უნდა იყიდებოდესო.

ასევე შეიძლება თავი შევიკავოთ, თუ რა ამბავს ვუნოდოთ „მკვლელობა“ და რას — „დიდება“.

მათი საინჟინრო უვიცობა იყო, აჩქარება თუ დაუდევრობა, არც ვიცი და არც მადარდებს, ეგებ მოიჯარეებმა სიხარბით სული გაჰყიდეს და კაცთაკვლის ხარჯზე გამდიდრება მოინდომეს, ერთი რამ ცხადია — იქ განლაგებული ბატარეები არ ვარგოდა; ან მიზანს აცდენდნენ, ან მათ არ სცდებოდათ ყუმბარები, და დიდად ამიტომაც შეავსეს დაღუპულთა სიები.

სამნუხაროდ, მანძილი ვერ გამოთვალეს სწორად და ამით საზღვაო ბრძოლაში იზარალეს; სამი ქვემეხებიანი გემი დაკარგეს მანამდე, ადგილამდე სანამ მიაღწევდნენ; პატრუქები ძალზე ადრე ანთეს და ამ მოუქნელობას რაღა ეშველებოდა; შუაგულ მდინარეში იფეთქეს; ცისკარი იყო, მაგრამ თურქებს ეძინათ, ვითარ სჩვეოდათ.

შვიდ საათზე ადგნენ, როგორც იქნა, და იხილეს, რუსული ფლოტილია უახლოვდებოდათ; ცხრა გადარჩენილი წინ მოინევედა, ორას მეტრზე მოსდგომოდნენ იზმაილს და ზარბაზნებიდან უშენდნენ; ამას პასუხი მოჰყვა, უნდა გითხრათ, დააყარეს მუშკეტებიდან და კარტეჩი და მრავალი ხვრელიც გაუჩინეს ტყვიის ზომისა.

ექვსი საათი შეუსვენებლივ უძლებდნენ თურქულ ცეცხლს, ხმელეთიდან თავისი ბატარეებიც რომ ეშველებოდათ, და დიდხანს თოფის სროლის შემდეგ დაასკვნეს, მხოლოდ დაბომბვას

არ შეუძლია ქალაქის დამორჩილებათ, და ნიშანი მისცეს უკან-დახევისა. ერთი გემი აუფეთქდათ და ერთიც, მეჩეჩზე გარჩენილი, თურქებმა წაანიალეს.

მუსლიმანებმაც დაჰკარგეს გემებიცა და ხალხიც; მაგრამ ოდეს იხილეს, მტერმა პირი იბრუნაო, თავზეხელაღებული ჩასხდნენ ნავებში, დაედევნენ და ფიცხელი ცეცხლი გაუხსნეს რუსებს, მთავარ გემზეც კი მოინდომეს ასვლა, მაგრამ ეს სურვილი ველარ აუსრულდათ, გრაფმა დამასმა უკანვე ჩაჰყარა წყალში უნესრიგო პარტყა-პურტყით, გაზეთ „პელ-მელს“ ვითარც სჩვევია.

„რომ შემედლოს“ (ამბობს ისტორიკოსი) „გადმომეცა ყველაფერი, რაც რუსებმა იმ დღეს მოიმოქმედეს, ვფიქრობ, მრავალი ტომიც არ ეყოფოდა, და უამრავი რამ დამრჩებოდა სათქმელი“.

ამიტომაც არას ამბობს და მარტოდენ ქებით მოიხსენიებს რამდენიმე უცხოელს, პრინც დე ლინეს, ლანჟერონს და დამასს, დიდ სახელებს, ბედისწერა რომელთაც სწყალობთ.

აი, აქ შეიძლება ვიხილოთ თუ რას ნიშნავს სახელგანთქმულობა: აბა ამ სამი „მამაცი კავალერიდან“ რომელზე იტყვის უბრალო მკითხველი, ოდესმე უარსებია ან არსებობსო (ეგებ ახლაც ცოცხლები არიან, რა ვიცით)?

ცნობილობა ან მოდის, ან არა; ბედისწერა, უნდა ვალიაროთ, სახელგანთქმულთაც ათამაშებს. მართალია პრინც დე ლინის მემუარები სანახევროდ იხსნის მას დავინყების საკლიტურთაგან, მაგრამ აქვე არიან ვაჟკაცები, ვინც იბრძოლეს ომსა შინა ისრე მამაცურად და ღირსეულად, ვითარც ოდესმე გმირებს უბრძოლიათ, მაგრამ ჩამარხულან ოქმებში და მათი სახელები იშვიათადლა ამოტივტივდება, თუკი ოდესმე ეღირსათ. ასე რომ, კარგი სახელიც შეიძლება დავინყებას მიეცეს და გაჰქრეს დაუმსახურებლად; მთელი ბოლოდროინდელი ბრძოლებიდან, დავნაძღვედეთ, ცხრა სახელსაც ველარ გაიხსენებთ გაზეთებიდან.

მოკლედ, ამ ბოლო შეტევისას, თუმც დიდებული რამ გახლდათ, აღმოჩნდა, რომ ვილაცამ სადღაც რაღაცა დააშავა და ადმირალმა რიბასმა (ცნობილმა რუსულ ამბებში) ძალზე მწარემწარე შენიშვნები გამოთქვა; მას შეეპასუხნენ ახალუხლებიც და მსცოვანნიც და ხანგრძლივი დავა-კამათიც გაიმართა; აქ უნდა

გაგჩერდე, თორემ თვითეული მეომრის სიტყვა რომ გავიმეორო, ვაითუ მკითხველმა ვეღარ მოითმინოს და სულაც გამექცეს.

იყო ერთი კაცი, თუკი მხოლოდ კაცი იყო. არა, მისი კაცობა კი არ არის საეჭვო, ჰერკულესი არ გახლდათ, ისეთი ზომებით შემკულიყო, საჭმლის მოუნელებლობა გაუხნდა ბოლო სნეულეზად, ოდეს დაქანცული და დაუძღურებული მოკვდა ხის ძირას, იმ დაულოცავ მინაზე ამწვანებული მხარისა, რომელიც მანვე გადაბუგა და მკალივით გადაუარა.

გახლდათ იგი პოტიომკინი, დიადი არსება იმ დროში, ოდეს მეფობდა მკვლელობა და გარყვნილება; წოდებებსა და ვარსკვლავებს ქება-დიდებაც მოსდევს, მაგრამ მისი დიდება სანახევროდაც კი არ უდრიდა მის მამულებს. ეს ყმანვილი ექვსი ფუტის სიმაღლე გახლდათ და შეეძლო რუსეთის იმდროინდელი სუვერენის ფანტაზიის აფორიაქება, ვინც კაცებს ისე ზომავდა, ვით თქვენ კოშკთა გაზომვა გჩვევიათ.

და როს მოვლენები ჩაიხლართა, რიბასმა შიკრიკი აფრინა პრინცთან და მანაც ისე მოაგვარა საქმენი, ვითარ სჩვეოდა; არ ვიცი, ვით წარადგენდა თხოვნას, მაგრამ მოკლე ხანში დასტური ხელთ ეპყრა. ამასობაში, ბატარეები სროლას განაგრძობდნენ და ოთხმოციოდე ყუმბარა გაიგზავნა დუნაის ნაპირზე და პასუხიც გაისმა.

და მეცამეტე დღეს, როს ჯარის ნაწილი გადასხეს საალყოდ, შიკრიკმა ახალი ამბავი მოიტანა ახალ შთაგონებათათვის და გაზეთების გულგასახარად და დილეტანტათვისაც ომის საქმეში — გაცხადდა, რომ მეთაურად დანიშნულიყო ომის მოყვარული ფელდმარშალი სუვაროფი.

პრინცის წერილი ამავე მარშლისადმი სპარტელის შესაფერი გახლდათ, და ერთი მიზანი უნდა დაესახა, რაც კეთილშობილ გულს ენდომებოდა: დაეცვა თავისუფლება, ქვეყანა, კანონიერება. მაგრამ აქ ხომ ძალაუფლების წყურვილი ბატონობდა, წარბანეული, ტაშის მოყვარული და აზრის მოკლედ გამოთქმის მოყვარულიც, და ასეც სწერდა:

— ყველაფერი ილონე იზმაილის ასაღებად.

„იყავნ ნათელი! თქვა ღმერთმა, და იქმნა ნათელი!“ „იყავნ სისხლი!“ თქვა კაცმა და ეს იყო ბეჭედი ღამის (რადგან დღე არ არის

მისი საზომი) ამ გადაგვარებული შვილისათვის ნებართვის მისანიჭებლად, და ერთ საათში მეტი ბოროტების ჩადენა შეუძლია, ვიდრე ოცდაათ ნათელ ზაფხულს — მისი გამოსწორება, თუნდაც ისეთი საამო იყოს, ედემის ხილი დაამნიფოს, რადგან ომი არამარტო ტოტებსა ჭრის, არამედ ფესვებიანდაც თხრის.

ჩვენი მეგობარი თურქენი ხმამალალი „ალაჰებით“ რომ აღნიშნავდნენ რუსთა უკანდახევას, ცდებოდნენ, ეშმაკმა დალახვროს; ცოტას თუ შეუძლია თავი შეიკავოს და არ დაიფეროს, რომ მტერი მარცხდა (ანუ დამარცხდა, თუკი გრამატიკის უცოდინრობას დამიყინებთ, გაცხარებისას რომ მავინყდება); მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თურქები ძალზე ცდებოდნენ, ღორები რომ სძულდათ, მაგრამ ბეკონის გადარჩენა კი სურდათ.

რადგან მეთექვსმეტე დღეს ჭენებით მოახლოვდა ორი მხედარი, ერთხანს შორიდან კაზაკებს ჰგავდნენ, ვიდრე მოახლოვდებოდნენ თვალსანიერში. მცირე ბარგი მოეგდოთ ზურგზე, ორიოდე პერანგი თუ ექნებოდათ თან, მოაჭენებდნენ უკრაინულ ცხენებს, და როს ისე მოახლოვდნენ, გარჩევა შეიძლებოდა, აღმოჩნდა, რომ ეს წყვილი სუვოროვი და მისი მხლებელი გახლდათ.

„დიდად ხარობს ახლა ლონდონი!“ იტყვის რომელიღაც უბრიყვესი, ოდეს ლონდონში გრანდიოზულ ილუმინაციას მონაწილეობენ, რაც ჩვენი ილუზიონისტი ჯონ ბულის ოცნებათაგან ყველაზე დიდი ჰალუცინაციაა; და როს ქუჩები სავსეა ფერადი სანათურებით, ის ბრძენი (ვთქვათ, ჯონი) კეთილგონივრულად დათმობს ქისას, სულს, აზრსაც და უაზრობასაც, და კმაყოფილებას განიცდის უზარმაზარ პეპელასავით.

უცნაურია, რომ კიდევ ერთხელ „იბრმავებს თვალთ“, რადგან ისედაც დაბრმავებული აქვს; ის ერთხელ მიცემული ფიცი ეშმაკისთვისაც კი აღარად ღირს მას შემდეგ, რაც ჯონს აღარცერთი აღარაფრად არგია. ვალს ქონებას ეძახის, გადასახადებს — სამოთხეს; შიმშილი, გამხმარი და გაძვალებული, პირში მისჩერებია და ვერაფერი გაუწყვია, ან ფიცულობს, ცერერამ მომივლინაო.

მაგრამ ამბავს დავუბრუნდეთ:

დიდად ხარობდნენ ბანაკში! ხარობდნენ რუსები, თათრები, ინგლისელები, ფრანგები, კაზაკები, რომელთათვისაც სუვო-

როვი მანათობელი შუქურა გახლდათ, ბრწყინვალე შეტევას რომ მოასწავებდა; ან ჭაობიდან გამყვანი ძაფის გორგალი — ჩასაჭიდებლად; მოფარფატე შუქი გახლდათ, ავად თუ კარგად ყველა რომ მისდევდა, ვინც კი ხედავდა.

მართლაც ყველაფერი შეიცვალა; გაჩნდა ენთუზიაზმი და მონონება, ბანაკი და ფლოტი დიდი სიხარულით და მისალმებით აღივსო, ყველა კარგ იღბალს წინასწარმეტყველებდა. და-აზუსტეს ზარბაზანთა სასროლი მანძილ-მიზანი, ააგეს კიბეები, გამოასწორეს ნაკლოვანებანი, შეკრეს კონები და მოანესრიგეს ყველანაირი მანქანა.

ასეა, ოდეს გამბედავი გონება ბრბოს ერთი გზით წაიყვანს, ვითარ ქარი აღელვებს წყალს, ან ჯოგი ეძებს წინამძღოლ ხარს; ან გომია მიუძღვის ბრმას, ან წინამძღოლს მიჰყავს ჟღურტულით შეგროვებულ ფრინველთა გუნდი საკვებისაკენ.

ასეთია დიდ ადამიანთა გავლენა პატარებზე.

მთელი ბანაკი სიხარულით გუგუნებდა; გეგონებოდათ, ქორწილში მიდიანო (ვფიქრობ, ეს მეტაფორა მოსწრებული უნდა იყოს, რადგან ქორწილსაც განხეთქილება მოსდევს): და ერთი ბიჭიც აღარ დარჩენილიყო ალაღში, ვისაც შიში და ფორიაქი მგზნებარებით არ შეცვლოდეს.

და რატომ?

იმიტომ, რომ ერთი ახირებული პერანგისამარა, კაფანდარა ბერიკაცი მოვიდა და სათავეში ჩადგა.

ასე იყო.

მკვირცხლად ემზადებოდნენ; პირველმა დანაყოფმა სამ მწკრივად დაიკავა თავისი პოზიცია და ნიშანსლა ელოდა, მტერს რომ ძგერებოდა; მეორეც სამი მწკრივისაგან შედგებოდა და სახელის მოხვეჭის წყურვილით იზიდებოდა მკვლელობის მორევისაკენ, მესამე ორი მწკრივისაგან შედგებოდა და ზღვიდან უტევდა.

ახალი ბატარეები განალაგეს და შედგა მთავარი საბჭოც, სად სუფევდა ერთსულოვნება, ასერიგად უცხო სათათბიროთათვის, მაგრამ ხანდახან მოხდება და ყველა სიძნელე დაიძლევა, დიდება იწყებს ამობრწყინებას, რადგან როს სუვოროვმა გადწყვიტა მისი მოპოვება, თვითვე ასწავლიდა ახალწვეულთ ხიშტის ხმარებას.

ეს რეალობაა, რომ იგი, მხედართმთავარი, პირადად წვრთნიდა ახალწვეულთ და ამაში ფანტავდა დროს, კაპრალის მოვალეობას ასრულებდა; ისეთებს ხდიდა, სალამანდრებივით ცეცხლი რომ უნდა ეყლაპათ და წარბიც არ შეეხარათ. ასწავლიდა თუ ვითარ ამძვრალიყვნენ კიბეზე (იაკობის კიბე კი არ გეგონოთ), ან ვითარ გადაელახათ თხრილი.

თვითვე აკეთებდა ფიჩხის კონათაგან ტიკინებს, ჩალმას ახურავდა, თურქულ ხმლებსა და ხანჯლებს აჭერინებდა და ჯარისკაცებს აიძულებდა ხიშტებით მიეტანათ იერიში მათზე, თითქო ნამდვილი თურქებიაო: და ოდეს კარგად გაიწვრთნებოდნენ ამ მოჩვენებით სცენებში, შეაფასებდა, რამდენად ღირანო, რაზეც ბრძენკაცნი ჩაიციინებდნენ და წაიოხუნჯებდნენ.

იგი პასუხს არ გასცემდა, ქალაქს კი აიღებდა.

შეტევის წინა საღამოს მთელი ბანაკი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მკაცრი სიმშვიდე ჩამონოლილიყო, რასაც ძნელად თუ ჩანვდება კაცი; მამაკაცები, რომელნიც გადაწყვეტენ, განყდეს, სადაც წვრილიაო, ჩუმად არიან და ელიან, რა მოხდება; ოდნავი ზუზუნი ისმოდა; ზოგი სახლსა და მეგობრებზე ფიქრობდა, სხვები საკუთარ ყოფას ჩალრმავებოდნენ და იმასაც, თუ წინ რა ელოდათ.

სუვოროვი განგაშს მოეცვა, ზომავდა, უკირკიტებდა, ბრძანებდა, ხუმრობდა, ფიქრობდა.

ეს გახლდათ უთუოდ საოცარზე უფრო საოცარი კაცი; გმირი, მასხარა, ნახევრად დემონი, ნახევრად კაცი, ივედრებოდა, არიგებდა, ილანძლებოდა, ტანზე იხევდა, ხან მარსი იყო, ხან მომუსი, ხან ქარიშხალი ტყის გადამბუგი და ხანაც მუნდირში გამონყობილი არლექინი.

შეტევამდე ერთი დღით ადრე ვარჯიშისას, როს ეს დიდი დამპყრობი კაპრალის როლს ასრულებდა, რამდენიმე კაზაკმა, ქორებივით რომ უტრიალებდნენ ბორცვს გარშემო, შებინდებისას ადამიანთა ჯგუფი ნახა. ერთმა იცოდა მათი ენა, კარგად თუ ავად, და ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი გაუგეს, მაგრამ ხმის გამო იყო, მეტყველებისა თუ ქცევისა, მიხვდნენ, ჩვენი დროშის ქვეშ არი ნაბრძოლიო.

ამიტომ, მისი თხოვნისამებრ, იგი და მისი ამხანაგი მსწრაფლ შტაბში მიიყვანეს. მუსლიმურად ეცვათ, მაგრამ იოლად მიხვდებოდით, მასკარადია და მეტი არაფერი მათი თათრული იერიო, და ამ თურქული სამოსის ქვეშ მოჩანდა მათი ქრისტიანობა, რაც ხშირად გამოსჭვივის შიგნიდან გარეთ და ძნელია, შეცდომა მოგივიდეს.

სუვოროვი პერანგისამარა ჩამდგარიყო ყალმუხთა შორის და ავარჯიშებდათ, დასძახოდათ, ხუმრობდა, იგინებოდა უხალისოდ და ასწავლიდათ მკვლელობის კეთილშობილ ხელოვნებას; რადგან მიაჩნდა, რომ ადამიანური თიხა მხოლოდ და მხოლოდ ტალახი იყო. ეს დიადი ფილოსოფოსი წარმოთქვამდა მაქსიმებს, რაც მეომრებს უმტკიცებდა, სიკვდილი იგივეა, რაც პენსიაო.

სუვოროვმა დაინახა ეს საზოგადოება კაზაკებისა და მათ ტყვეთა, მობრუნდა და დააცქერდა წარბდაშვებული, გამჭრიახი თვალით:

— საიდან მოდიხართ?

— ბოლოს კონსტანტინოპოლს ვიყავით ტყვედ, ახლახან გამოვიქეციით, — ასე მიუგეს.

— რანი ხართ?

— რაცა ვართ, ესა ვართ.

მოკლედ იცვლებოდა სიტყვა-პასუხი, რადგან ვინც პასუხობდა, იცოდა, ვისაც ელაპარაკებოდა, და სიტყვებს არა ხარჯავდა.

— თქვენი სახელები?

— მე მქვია ჯონსონი და ჩემს მეგობარს ჟუანი; ორი დანარჩენი ქალია, მესამე კი არც ქალია და არც კაცი.

სარდალმა თვალი გადაავლო ჯგუფს და თქვა:

— მსმენია შენი სახელი, მეორე კი ახალია; დანარჩენი სამის აქ მოყვანა უაზრობაა, მაგრამ მაგას ჯერ თავი დავანებოთ; ვფიქრობ, ნიკოლაევის ნაწილში გამიგონია შენი სახელი?

— სწორედაც რომ.

— ვიდინთან იბრძოდი?

— დიახ.

— შეტევას უძლოდი?

— ვუძლოდი.

- მერე?
- ვერას გეტყვით.
- გარღვევისას წინა რიგებში იყავი?
- ისეთი დედალიც არ გახლდით, სხვებს მივყოლოდი.
- მერე რა მოხდა?
- ტყვია მომხვდა და ზურგზე დავეცი, და მტერს ტყვედ ჩავუვარდი.
- შეგიძლია შური იძიო, ალყაშემორტყმული ქალაქი ორჯერ უფრო ძლიერია, ვინემ ის, სადაც დაგჭრეს. სად იმსახურებ?
- სადაც მიბრძანებთ.
- ვიცი, გსურს ჩაგრულთა იმედი იყო, და უსათუოდ დაუნდობელი იქნები მტრისადმი იმ ჭირის მერე, რაც გადაგხდენია. ამ ყმანვილკაცზე რას მეტყვი, რისი შემძლეა უწვერული ნიკაპითა და დახეული სამოსით?
- იცით რა, გენერალო, თუ იმდენივე ნაკლი ექნება ომში, რამდენიც სიყვარულში აქვს, უკეთესი იქნება თუ შეტევას წინ გაუძღვება.
- ასეც იქნება, თუკი გაბედავს.
- ჟუანმა თავი მდაბლად დაუკრა ამ ქათინაურზე, სუვოროვმა კი განაგრძო:
- ბედისწერამ ისე განსაზღვრა, რომ შენი ძველი ნაწილი მენინავე უნდა იყოს შეტევისას ხვალ, ანუ ამაღამ; რამდენიმე წმინდანს შევთხოვე, გუთანი და ფარცხი გადაატაროს იმას, რაც იზმაილი იყო, და ვერც ამაყად წამომართულმა მეჩეთმა შეუშალოს ხელი. მაშ დიდებისაკენ, ყმანვილებო!
- აქ შებრუნდა და, თითქო მქადაგებელი მოსულიყო რეზერვიდან, ისე დამოდვრა ყველა კლასიკური რუსული ენით, რათა აღენთო დაპყრობისა და ფულის ჩაჩხრიალების იმედით (მქადაგებელი, ვისაც ამქვეყნიური ყველაფერი სძულდა, გარდა მოგებისა) და ბრძანა ამოეხოცათ ქრისტიან იმპერატორ ეკატერინეს არმიისათვის წინააღმდეგობის გამწევი წარმართნი.
- ჯონსონმა გამოცდილებით იცოდა, რაკი ამდენი დრო დახარჯა მასთან საუბარში, უკვე სუვოროვის ფავორიტად ითვლებოდა, გაბედა და მიმართა, თუმც ისეთი აქცენტით, რომ გააოცა.

— ვალიარებ, ვალად მაძევს მოგვედე წინა რიგებში; მაგრამ უფრო წვრილად ხომ არ მიგვითითებდით თუ სად დავდგეთ და რა მოვალეობა შევასრულოთ მე და ჩემმა მეგობარმა?

— სწორია! არ მეცალა და დამავინყდა. ჰო, შენს ყოფილ ნაწილს შეუერთდები, ახლა მზადყოფნაში უნდა იყოს. ეი! კაცკოფ, — უხმო პოლონელ შიკრიკს, — ნაიყვანე თავის პოსტზე, ნიკოლაევის ნაწილს ვგულისხმობ; ეს უცნაური ყმანვილი ჩემთან დარჩეს; კარგი ბიჭი ჩანს. ქალები ალალში გაგ ზავნეთ, ან სნეულთა კარავში.

მაგრამ აქ უკვე სცენა გათამაშდა, ქალბატონები, როგორც ჩანს, ამ ახალი შემობრუნებისათვის არ იყვნენ მზად, თუმცა ჰარემის განათლება ჰქონდათ, რაც უეჭველად ყველა დოქტრინაზე უფრო ჭეშმარიტია, და ევალეზოდან უტყვი მორჩილება, ახლა უეცრივ თავი ასწიეს, ანთებული თვალებიდან ცრემლები ჰყარეს, ხელები აღმართეს, აკრიახდნენ ქათმებივით და ფრთებიც ააფართხუნეს ამ ორი დანინაურებული ვაჟკაცის გარშემო, რომელნიც აღაზვევა უდიადესმა იმ სარდალთა შორის, ვისაც ოდესმე გაუვსია ჯოჯოხეთი მოკლული გმირებით, აუკლია და მწუხარებაში დაუნთქავს ქვეყნები თუ მხარეები.

ოჰ, ბრიყვო მოკვდავო! ვერაფერს გარგებთ გაკვეთილები!

ოჰ, ძღვევამოსილო დაფნავ! შენი ერთი ფოთოლისათვის, შენი წარმოსახვითი უკვდავების ხისათვის სისხლი და ცრემლი ერთვის მღელვარე ზღვას.

სუვოროვმა, ვისაც ვერც ცრემლი შეძრავდა დიდად და ვერც სისხლი შეარხევივებდა წარბს, ერთი გადახედა თმაგაშლილ და ლოყებდახოკილ ქალთა ქოთქოთს და სულ მცირე გრძნობა გამოხატა; რადგან კაცის გული მაინც იძვრის ჩვეულებისამებრ, თუნდაც ხელობით ყასაბი იყოს; ოდნავი სიბრალული გმირებსაც კი ეწვევათ და ასეთი გახლდათ სუვოროვი.

და უთხრა ტკბილი ყალმუხური ხმით:

— ჰეი, ჯონსონ, რა ეშმაკად მოგიტრევია აქ ქალები? მათ არა მოაკლდებათ და ალალში მშვიდობით იქნებიან და მხოლოდ იქ შეიძლება იყვნენ დაცულნი. ვითომ არ იცი, რომ ასეთ ბარგს კარგი არაფერი მოაქვს, ჰადაჰა, ქორწილი მოიტანოს წელიწადში ერთხელ; არ მიყვარს ცოლებიანი წვევამდელები.

— ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო ბრიტანელმა მეგობარმა, — ესენი ჩვენი ცოლები არ გახლავთ, სხვისნი არიან. იმდენად მაინც ვიცნობ სამხედრო წესსა და მოძმე ჯარისკაცებთან სამსახურს, რომ საკუთარი ცოლი არ მოვიყვანო ბანაკში; განა არ ვიცი, რომ ვერაფერი შე-
ანუხებს გულს შეტევისას ისე, როგორც ბანაკში დატოვებული პატარა ოჯახი. ეს ქალბატონები კი თურქეთიდან გახლავთ, მხლებელთან ერთად დაგვეხმარნენ გამოქცევაში და მერე ჩვენთან ერთად გამოიარეს ათასი ხიფათი და დავიდარაბა. მე ნაჩვევი ვარ ამგვარ ცხოვრებას, ამ საბრალოთათვის კი ძნელი გადასატანი იყო, ამიტომ გთხოვთ, თუ გინდათ თავდავინწყებით ვიბრძოლო, უბრძანოთ, თავაზიანად მოეპყრან.

ამ დროს ორი საბრალო გოგონა, თვალცრემლიანი, ისე გამოიყურებოდა, თითქო ველარ ენდობიან თავიანთ დამცველებსო; და მართლაც რომ დარდზე უფრო მეტად გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ბერიკაცს, ველურს უფრო, ვინემ ბრძენს, ახირებულად ჩაცმულს, მტვერში ამოგანგლულს, ყილეტის ამარას, რაც არც ისე სუფთა ჩანდა, და უფრო შიშისმომგვრელს, ვინემ ოდესმე ნანახი სულთნები.

აშკარაა, ყოველი ეკიდა მისი წარბის შეხრაზე, და ამის ამოკითხვა გარშემო ყველას თვალებში შეიძლებოდა, ვინც ამას შეჩვეოდა; ღვთაებასავით იყო; სულთანს, მთელი თავისი ბრჭყვიალა თვლებით, იმპერიული ფარშევანგივით რომ დადიოდა (ეს გახლავთ სამეფო ფრინველი, რომლის დიადემაც კუდშია) და ძალაუფლებას ასხივებდა, საეჭვოა ამდენი ძალაუფლება ჰქონოდა, ასერიგად დანურული და მომართული.

მათი უკიდურესი მღელვარება რომ იხილა, ჯონ ჯონსონი, თუმც კი ნაკლებ ერკვეოდა აღმოსავლურ გრძნობებში, შეეცადა მცირედ ენუგეშებინა ისინი, ვითარც შეეძლო; დონ ჟუანმა კი, ვინც უფრო მგრძნობიარე გახლდათ, დაიფიცა, გამთენიისას აუცილებლად მოგინახულებთ, თუნდ მთელი რუსეთის არმია ძირს დაეფინოსო.

და უცნაურია, რომ ამან ცოტა შვება მოჰგვარათ, რადგან მდედრებს უყვართ გაზვიადებანი.

მერე კი ცრემლმორეულნი, ოხვრითა და მსუბუქი კოცნით დამშვიდებული ქალები წავიდნენ და მოთმინებით უნდა დალოდებოდნენ არტილერიის ნასროლის აცდენასა თუ მოხვედრას, რასაც ბრძენნი შანსს, ღვთის წყალობასა თუ იღბალს უწოდებენ (გაურკვეველობა მრავალთაგან ერთი მადლთაგანია კაცობრიობის საკუთრებათა შორის); ამ დროს კი მათი ძვირფასი მეგობრები იღჭურვებოდნენ, რათა დაენვათ ქალაქი, რომელსაც მათთვის არა დაეშავებინა რა.

სუვოროვი მხოლოდ მთლიანობაში აღიქვამდა მოვლენებს, იმდენად დიდი გახლდათ, დეტალებისათვის სად ეცალა, სიცოცხლეს გროშადაც არ აგდებდა და ერის გლოვა ქარის ზუზუნად ეჩვენებოდა, არ ადარდებდა არმიის დანაკარგები (ოლონდ წარმატებისათვის მიელენია); აბა რა შვება მოჰგვარეს გლოვით ცოლმა და მეგობრებმა ტანჯვაში მყოფ იობს? ამიტომ რაში ადარდებდა სუვოროვს ორი ქალის მოთქმა? არც არაფერში.

დიდებისათვის ემზადებოდნენ, უნდა დაებომბათ და გაეცამტვერებინათ ისე საშინლად, ვით ილიონი, მაგრამ ჰომეროსს არ უნახავს თუ რარიგ ნაყავს ქვემეხი; პრიამოსის ვაჟის მოკვლას კი არავინ აპირებდა, საალყო კიბეებს ამზადებდნენ; ყუმბარები, დოლები, თოფები, ბასტიონები, ბატარეები, ხიშტები, ტყვიები მძიმე სიტყვებია და ნაზ მუზას ყელში ეჩხირება.

ო, მარადიულო ჰომეროს!

შენ შეგიძლია მოხიბლო ყველა ყური, თუნდაც გრძელი; შენი პოეტური მკლავით დაიმორჩილო ეპოქები, წუთისოფელი; დაიმორჩილო იარაღი, რასაც ადამიანი უკვე აღარ იყენებს, რადგან თოფისწამალია აღმოჩენილი ზიანის მისაყენებლად, თუმც უფრო ნაკლები ზიანი მოაქვს, ვინემ რომელიმე სამეფო კარი ისურვებდა, ახლა რომ ერთიანდებიან ახალგაზრდა თავისუფლების შესაშფოთებლად; მაგრამ თვით თავისუფლებას ვერ ჰპოვებენ ტროაში.

ო, უკვდავო ჰომეროს!

ახლა ალყა უნდა დავხატო, სად გაცილებით მეტი ადამიანი დახოცეს სასიკვდილო მანქანებითა და ელვისებრი ცეცხლით, ვინემ შენს ცნობარშია იმ საომარი კამპანიის შესახებ.

და მაინც ისე, ვით ყველა დანარჩენმა, უნდა ვაღიარო, რომ შენთან გაჯიბრება ისეთივე ამაო იქნება, ვით ღელის შეჯიბრება ოკეანესთან.

და მაინც ჩვენ, ახლებს, და შენ ერთი სისხლი გვიდულს, თუ პოეზიაში არა, არსებითად მაინც.

ფაქტი კი სიმართლეა დიდად სასურველი! რითაც მუზა ადგვანერინებს თვითეულ მოქმედებას, თუმც რაღაც თხელი ქვედა საფუძველიც უნდა არსებობდეს.

მაგრამ ქალაქს სადაცაა შეუტევენ; დიადი საქმე აღესრულება...

ვითარ უნდა გადმოვცე?

უკვდავ გენერალთა სულებო! ფებუსი გიყურებთ, რომ შეაფერადოს თვისი სხივები თქვენი ღვანლით.

ო, დიადო ბიულეტენებო ბონაპარტესი!

ო, ნაკლებ დიდებულო გრძელო სიავ მოკლულთა და დაჭრილთა!

ლეონიდეს აჩრდილო, რა გულადად იბრძოდი, როს ჩემი საბრალო საბერძნეთი გარშემორტყმული იყო ისე, ვითარცა ახლა!

ო, კეისრის კომენტარებო!

მითხარით რამე, დიდების აჩრდილნო (თუ არადა, დავიბენი)!

თქვენი მშვენიერი, წარმავალი, ფერმკრთალი მწუხრის ათინათი ერწყმის მუზას.

როს მეომრულ უკვდავებას „ფერმკრთალს“ ვუნოდებ, ვგულისხმობ, რომ ყოველ ეპოქაში და ყოველ წელს და თითქმის ყოველდღე, სამწუხაროდ, გამოირჩევა რძენანყენი გმირი, და ოდეს ვაჯამებთ კაცობრიობის ძვირფას მონაპოვარს, აღმოჩნდება, რომ ეს დიდად გამოჩენილი ვაჟბატონი ყასაბი ყოფილა, და ამჟამად კი თავბრუს ახვევს ახალგაზრდობას.

მედლები, წოდებები, აქსელბანტები, ბაფთები, ამოქარგულობანი, ალისფერი — უკვდავი ნივთებია უკვდავი კაცისათვის, ისევე ვით მენამული — ბაბილონელი მეძავისათვის; ყმანვილებისთვის უნიფორმა იგივეა, რაც მარაო ქალისათვის; ერთი ლაჟღაჟა პაჟიც კი არ მოიძებნება, თავს სახელ-დიდების ეტლში რომ არა ხედავდეს. მაგრამ დიდება დიდება; და თუ გინდა გაიგო თუ რა არის... ღორს ჰკითხე, ქარი რა არის-თქო!

ბოლო-ბოლო ხომ გრძნობს და ეგებ ვინმემ თქვას, ვხედავო, რადგან მის წინ ღორივით დარბის; და თუ ეს მარტივი წინადადება გეუხერხულებათ, ვთქვათ, ბრიგით ან შხუნასავით მის-რიალებს მის წინ-თქო, ან...

მაგრამ დროა ქება დავასრულოთ, თორემ ჩემი მუზა დაიღალა.

მომდევნო ქება დედოზარივით ხმამაღლა დარეკავს, თითქოს სოფლის სამრეკლოდან აფხიზლებდეს ხალხს.

ყური მიუგდეთ!

ცივი, ბნელი ღამის სიჩუმიდან ისმის თუ როგორ გროვდები-ან არმიის რაზმები!

შეხეთ!

ბინდით შებურული ჯგუფები ჩუმად მიიპარებიან საალყო კედლისა და აზღარბული სანაპიროს გასწვრივ რალაც იარაღასხმულ მდინარესავით; რიჟრაჟი მოიბრძვის, ვარსკვლავები ჯერაც ჭიატობენ სიბნელეში უცნაური გვირგვინივით...

ცოტაც და ჯოჯოხეთის კვამლი გამოახვევს უფრო ბნელ საბურველში.

ამჟამად აქ შევისვენოთ... ვითარცა მაშინ, იმ შიშისმომგვრელი შესვენებისას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, როს გადავსებულები გულები ათასობით კაცისა, უკანასკნელი ამოსუნთქვა რომ დარჩენოდათ!

წამიც და ყველაფერი გაცოცხლდება!

მარში!

შეტევა!

შეძახილები ორივ სარწმუნოებისა!

ურა! და ალაჰ!..

კიდევ წამიც და... სასიკვდილო მოთქმა შეერევა საბრძოლო ღრიალს.



თავი მერვე

იზმაილის აღება: გოგონა გვამეპიდან

— აჰ, სისხლი და ქუხილი! და სისხლი და ჭრილობები!

ასეთ მდაბიურ შეძახილთა მოსმენა არ ეამება კეთილშობილ მკითხველს! და არც თავზარდამცემი ხმაური: და აი, მაინც ასეა; ასეთია მისწრაფება დიდებისაკენ, ამოუხსნელი, და რაკილა ჩემი მართალი მუზა ახლა ასეთ რამეებს მომითხრობს, მამ ამგვარადაც ყოფილა შთაგონებული! უნოდეთ შთამაგონებელთ მარსი, ბელონა ან რაც გენებოთ, მაინც ომი იგულისხმება.

ყველაფერი მზა გახლდა: ცეცხლი, მახვილი, კაცები, რათა ემოქმედათ საზარელი დანიშნულებისამებრ. არმია, ლომივით გამოსული ბუნაგიდან, მწყობრად გაეშურა მოზიდული ძარღვებითა და კუნთებით, რათა ეჟლიტა; ეს იყო ადამიანი-ჰიდრა, ამოსული თვისი ჭაობიდან, რათა ცეცხლოვანი ქმენით მოესპო ყოველი თავის გზაზე; მისი თავები იყვნენ გმირები, რომელთაც მოსხებდი და მსწრაფლვე ახლები ამოვიდოდნენ.

ამბავთა მოწოდება ისტორიას მარტოდენ ერთობლივ შეუძლია; მაგრამ რომ შეგვეძლოს მათი შეცნობა დეტალურად, ვთქვათ, მოგებისა და ზარალის გასაწონასწორებლად, ომის წილი უთუოდ ყველას წააჭარბებდა, როს ძალზე ბლომა ოქრო იხარჯება ერთიბენო წიდისათვის, ვით ყოველთვისაც ხდება დაპყრობებისას.

ობოლი ცრემლის შეშრობა უფრო საპატიო მოვალეობაა, ვინემ სისხლის ზღვის დაყენება.

და რისთვის? — იმისთვის, რომ თვითდამკვიდრება მოაქვს; და გარდა ასე მოპოვებული ბრწყინვალეებისა, ქება, ხიდეები, თაღები, სახელმწიფო პენსიები, რისგანაც (ასეც მომხდარა) ბევრი არა რჩება რა დასახარჯავი, დიდი წოდება ან დიდებული ნავთსაყუდარი, თუმც აქვე შეიძლება კორუფციამაც შემოიჭვრიტოს; და მაინც, ბოლოს, მიუხედავად თავისუფლებისათვის ბრძოლისა, არარა რჩება მკვლევლობათა რიგის გარდა.

ასეთნი არიან და ასეთნიც იქნებიან; მაგრამ არა ლეონიდე და ვაშინგტონი, რომელთა ყოველი ბრძოლის ველი წმინდა ადგილია, ერების თავისუფლებით რომ სუნთქავს და არა დაქცეული ქვეყნებით.

რარიგ ტკბილად ისმის ასეთ ხმათა ექო! მაშინ როს სხვა გამარჯვებანი შიშითა და ზარით გვაესებს, ამაონი და მდაბალნი, ასეთი სახელები უნდა გვაფრთხილებდეს, ვიდრე თავისუფალ მომავალს ველირსებოდეთ.

ბნელი ღამე იყო და ნისლი ფარავდა ყოველს, გარდა არტილერიის ცეცხლისა, რაც ცეცხლოვანი ღრუბლის თაღად დასდგომოდა თავზე ჰორიზონტს და დუნაის წყალში ირეკლებოდა, ჯოჯოხეთურ სარკეს რომ ჰგავდა! ქვემეხთა ზალპი და ხმამაღალი განუწყვეტელი ზათქი და ზარი ჭექა-ქუხილზე მეტად ახშობს ყურებს; რადგან ზეცა გვაცლის და იშვიათად ქუხს, ადამიანი კი ფერფლად აქცევს ყოველივეს.

შეტევაზე მიმავალი მწკრივი ის-ისაა რამდენიმე მეტრით გამოსცდა, რომ წვეროსანი მუსლიმები როგორც იქნა ადგნენ და ქრისტიანულ ჭექა-ქუხილს იმავეთი უპასუხეს და ყველაფერი, ცეცხლი, ჰაერი, მინა, წყალი, გაერთიანდა და მძლავრი ხმაურით დაგორდა ქვემოთ; ვიდრე მთელი ზვავი ეტნასავით აგიზგიზდებოდა, ისე, მოუსვენარი ტიტანი რომ გამოდის თვისი ქვაბულიდან.

და იმავე დროს გაისმა ერთი გამაყრუებელი ღრიალი „ალაჰ!“ ისეთივე ხმამაღალი, ვით იმ მოსაკვდინებელ მანქანათა, მტერს რომ ესროდნენ გამეტებით; ქალაქი, მდინარე და სანაპირო ექოთი გამოეხმაურა „ალაჰს!“ და ღრუბლები გასქელდნენ და გადაეფარნენ ომის სცენას, და აიტაცეს ეს გამუდმებული ძახილი.

უსმინეთ! ყველანაირ ხმაურში აღწევს „ალაჰ! ალაჰ ჰუ!“

საბრძოლო მწკრივები მწყობრად მოძრაობდნენ, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც წყლიდან უტევედა, ფოთლებივით დაეფინნენ ძირს ჯარისკაცები, თუმცა წინ არსენივეი უძლოდათ, დიადი ვაჟი სიკვდილისა, მისებრ მამაცს აროდეს გაუსწორებია თვალი ტყვიისა თუ ყუმბარისათვის. „ჟღეტა“ (ამბობს უორდსუორთი) „უფლის ქალიშვილია“. და თუ ასეა, ქრისტეს და ყოფილა და ახლა ისე იქცევა, ვით წმინდა მინაზე.

პრინცი დე ლინე მუხლში დაიჭრა; გრაფ შაპო-ბრასს ტყვია გაეჩხირა ქუდსა და თავს შორის, რაც ამტკიცებს, რომ ჯერთუნახავი არისტოკრატიული თავი ჰქონია, რადგან არავითარი ზიანი არ მისდგომია ტყვიისაგან, მარტოდენ ქუდი გაუხვრეტი; ასეც უნდა იყოს, ტყვიამ ზიანი არ უნდა მიაყენოს უღეგითმურეს თავს; და თუ ვამბობთ: მინა ხარ და მინად იქეცო, — რატომ არ უნდა ვთქვათ: ტყვია ხარ და ტყვიად იქეცო?

აქვე ბრიგადის გენერალმა მარკოვმა უბრძანა, პრინცი მოეცილებინათ იმ ადგილისათვის, სად ათასობით სასიკვდილოდ დაჭრილის კვნესა ისმოდა, უბრალო ბიჭებისა, რომელთაც უნდა ეკრუნჩხათ და ეცახცახათ, და წყალი ეთხოვათ კვნესით, თუმცა დაყრუბულთ არა და არ ესმოდათ; გენერალმა მარკოვმა ამით გამოხატა თანაგრძნობა წოდებისადმი იმ გაკვეთილის დასტურად, რომ მასაც ასევე უნდა მოქცეოდნენ, თუკი ფეხი მოტყდებოდა.

სამასი ყუმბარა ამოანთხიეს ზარბაზნებმა და ოცდაათი ათასი მუშკეტი სტყორცნიდა თავიანთ აბებს, ვითარცა სეტყვას, რათა სისხლდენა გამოენვიათ.

მოკვდავობაჲ! შენ ფლობ ყოველთვიურ ანგარიშებს; და მანც, შენი ეპიდემიები, შიმშილი, ექიმები ნიკნიკით გვამცნობენ სიკვდილის არსებობას; ჩაგვესმის ყურთ წარსულში ანმეოსა თუ მომავალში; მაგრამ რა არის ყოველივე ეს ერთ ბრძოლის ველთან შედარებით, სად მრავალრიცხოვანი, მოულოდნელი ტყვიელები გესევიან მანამდე, სანამ კაცს აღარ ძალუძს ატანა და აგონია ეწვევა, თვალი გაეყინება და ველარას ხედავს, კვნესის, მტვერში გორავს, თვალებს გადაატრიალებს ბუდეში და...

ესაა ჯილდო, რასაც მიიღებენ ათასები, ხოლო დანარჩენნი შესაძლოა ბაფთის ღირსნი შეიქნან მკერდზე შესაბამელად.

და მაინც, მე მიყვარს დიდება; სახელის მოხვეჭა კარგი რამაა; წარმოიდგინეთ, სიბერეკაცისას კეთილი მეფის წყალობას მიიღებთ; ზომიერი პენსია ბრძენკაცთაც კი სჭირდებათ, ამასთან, გმირებს უმღერენ ბარდები; იმას რალა სჯობს, როს ლექსებში უკვდავყოფენ ომებს, სადაც შენ იბრძოდი, აგერ, პენსიითაც უზრუნველყოფილი ხარ მთელი სიცოცხლე და, განა არა ღირს ამისათვის კაცობრიობის გაჟუჟვა?

ამასობაში ჯარები უკვე გადმოიჭრნენ და მარჯვენა მხარეს განლაგებულ ბატარეას შეუტიეს, ისინი კი, ცოტა ქვევით ვინც გადმოსხდნენ, მოწესრიგდნენ და მსწრაფლ მიბაძეს თანამომეტ; აღმართს მკვირცხლად შეუდგნენ გრენადერები, აი, ბავშვი რომ აღოლდება დედის ძუძუებს; შეესივნენ სიმაგრესა და სვეტებს, ისე მწყობრად, თითქოსდა ალღუმზე არიანო.

აღტაცებისმომგვრელი სანახაობა გახლდათ; რადგან ისეთი მხურვალე ცეცხლი ენთო, თითქო წითელი ვეზუვი გადმოპირქვაებულა, ჯოჯოხეთისებრი ლავა გადმოუქცევია და გამოუშვია ქვემოთო.

ოფიცერთა მესამედი მაღლობზე დაეცა, ასე სჭირდება გამარჯვებას უცილოდ, ასეთია ხვედრი შეტევაზე გადასული ჯენტლმენისა; როს მონადირე ააცდენს, დამნაშავენი ძაღლები არიან.

მაგრამ აქ მოვეშვები ზოგად აღწერას, რათა გავედევნო ჩვენს გმირს სახელ-დიდების ბილიკზე; მან თვით უნდა მოიპოვოს თავისი დაფნა.

ორმოცდაათი ათასი გმირისათვის, სახელდებით, სტროფისა თუ ელეგიის მიძღვნა, თუმც ყველანი თანაბრად იმსახურებენ, ძალზე გრძელ ლექსიკონს შეადგენდა ხოტბისა, და რაც უარესია, ამბავს მეტისმეტად გააჭიანურებდა.

ამიტომ მრავალრიცხოვნება გაზეთს დავუთმოთ, რომელიც ეჭვგარეშეა მშვენივრად ჩამოთვლის გარდაცვლილთ, სანგრებში, მინდვრად თუ სადაც დაეცნენ, იქ რომ წვანან სახელოვან ძილში დანთქმულნი; ამ ბოლო დროს მტვერი მათი ტვირ-

თად ექცა მათსავე სულებს; სამგზის ბედნიერია, ვისი სახელიც სწორად ჩანერილა ცნობებში; მე ვიცნობდი კაცს, ვინც დაკარგულელებში მოხსენიებულიყო გროუვად, როს გვარი მისი გახლდათ გროუსი.

ჟუანი და ჯონსონი ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს შეუერთდნენ, და იბრძოდნენ მძლავრად და შეუპოვრად, არ უწყოდნენ თუ საით მიიწევდნენ ამ უცნობ გზაზე, და არც ის გაეგებოდათ თუ წინ რა ელოდათ, მაგრამ მიაბიჯებდნენ, აქეთ-იქით გვამები ცვიოდა, მიაბიჯებდნენ ცეცხლში მგზნებარედ, ჩეხავდნენ გაოფლილნი, გახურებულნი, დაუფიქრებლად იბრძოდნენ გასამარჯვებლად, გადასარჩენად და ბიულეტენში მოსახვედრად.

ამოიგანგლნენ სისხლის ჭაობში, ათასობით მკვდარსა და მომაკვდავს შორის, ძნელად მიიწევდნენ თითო-ოროლა იარდით, შიგადაშიგ მიუახლოვდებოდნენ რომელიღაც კუთხეს სულისმოსათქმელად; ხან ცეცხლში მოხვდებოდნენ, რაც მართლაც ჯოჯოხეთისა და არა სამოთხის წვიმასავით ესხმოდათ, მკვდარ ამხანაგებს ეფარებოდნენ და მათ სისხლში ევლებოდნენ.

თუმც ჟუანისათვის პირველი ბრძოლის ველი გახლდათ, პირველი იყო ღამეული თავშეყრა და ჩუმი მარში სუსხიან სიბნელეში, როს სიმამაცე ისე იოლი არ არის, ვითარცა ტრიუმფალური თალის ქვეშ, და კიდევ ცახცახებდა, ამთქნარებდა და ისე აპარებდა თვალს პირქუში ღრუბლებისაკენ (სახამებელივით რომ გასქელებულიყვნენ და ზეცას ამკვრივებდნენ), რომ, ცხადია, დღე ერჩივნა; და მაინც ყველაფერი აიტანა და არ გაქცეულა.

ანკი სად უნდა გაქცეულიყო.

მაგრამ მერედა რა, რომ გაქცეულიყო?

ყოფილან და არიან გმირები, რომელთაც ბევრად უკეთ სულაც არ დაუწყიათ საქმიანობა, ის კი არა, უფრო ცუდადაც; ფრიდრიხ დიდმა გადანყვიტა მოლვიციდან გაქცეულიყო; ეს იყო პირველად და უკანასკნელად; რადგან მელია იქნება, შევარდენი თუ პატარძალი, მოკვდავთა უმრავლესობა პირველ ციებ-ცხელებას რომ გადაიტანს, ახლისათვის მზადაა და იბრძვის მხარდამხარ ჯამაგირისა თუ პოლიტიკისათვის.

იგი არ ყოფილა, ვითარცა ერინი უწოდებს, ძველი ერსი ანუ ირლანდიელი, ან ეგებ პუნელი (ანტიკვარები, რომელთ დროის მოხელთება შეუძლიათ, და სცნობენ ყოველს, რომაული იქნება ბერძნული თუ რუნული, ჰფიცავენ, რომ პატის ენა იმავე კლიმატმა წარმოშვა, რომელმაც გააჩინა ჰანიბალი და სად ტვიროსულ ტუნიკას ატარებენ, და დიდონას ალფაბეტს იყენებდნენ; და რომ ეს რაციონალურადაა ასე და არა ნაციონალურად)...

მაგრამ ჟუანი „კერკეტი კაკალი“ გახლდათ, მგრძობიარე და გული უმღერდა; ახლაც შეცურდა ზღვაში ალტაცებისა ანუ განცდებისა (თუ წინა სიტყვა არ მოგეწონათ), და თუნდ დალუპულიყო ასეთ კარგ საზოგადოებაში, ბრძოლის, ალყისა და ამგვარი თავშექცევის ჟამს რომ შეიყრებიან ხოლმე, ამგვარი დროსტარება მაინც სასიამოდ დაურჩებოდა.

მაგრამ ვით სჩვეოდა, ბოროტგანზრახვის გარეშე ირჯებოდა; თუკი ომობდა ან უყვარდა, მარტოდენ, ვითარ იტყვიან, „საუკეთესო განზრახვით“, რაც კაცობრიობის კოზირია, საჭიროებისას გამოსაყენებელი.

სახელმწიფო მოღვაწე, გმირი, მეძავი, ვექილი... როს ხალხი გამოიკითხავს, თუ ვითარ აღასრულეს მიზანდასახულება, პასუხოვენ, სიკეთე გვინდოდაო; სამწუხაროა, რომ ამგვარი სურვილი „ჯოჯოხეთის გზას მოკირწყლავს.“

ამ ბოლო ხანს ეჭვი გამიჩნდა ჯოჯოხეთის ტროტუარისა გამო, თუკი ამგვარადაა მოკირწყლული, უკანასკნელ დროს ცოტა ხომ არ გაცვდებოდა, არა იმიტომ, მრავალთ რომ უჩნდებათ კეთილი განზრახვა, არამედ იმ მასების მიზეზით, ქვემოთ რომ მიექანებიან იმ უძველეს კეთილ ზრახვათა გარეშე, რამაც ერთ დროს განმინდა და გადაასწორა ჯოჯოხეთის ქუჩა, მეტისმეტად რომ გვაგონებს პელ მელს.

რალაც უცნაური შემთხვევისა გამო, მეომრებს რომ დააშორებს ომის სისასტიკეში, ვითარცა უმანკო ცოლებს აშორებს ქმრებს პირველი საქორწინო წლის მინურულს, იმ ძველი უცნაურობით ბედისწერის ტრიალისა ჟუანი უეცრად დაიბნა და ამ ტყვიების წვიმაში მარტო დარჩა უმეგობროდ.

არ ვიცი, ეს ვითარ მოხდა, შესაძლოა უმრავლესობა დაიხოცა ან დაიჭრა, დანარჩენები კი წინ გაიჭრნენ; ამგვარი რამ თვით კეისარსაც შეემთხვა, რომლის არმიაც ისე მამაცურად გაიჭრა წინ, კეისარს თვით მოუხდა ფარი აელო, ბრძოლის ველზე გასულიყო და უკან გამოეხმო რომაელები.

აბა ფარი საიდან უნდა მოეტანა ჟუანს, და არც კეისარი გახლდათ, ერთი რიგითი კაი ყმა იყო, ვინც არც უწყოდა, რისთვის იბრძოდა, ამიტომ ნუთით შეჩერდა, ან ეგებ ცოტა მეტხანს დააყოვნა და ვირივით (ნუ გამინანყენდები, კეთილო მკითხველო, ეს შედარება ჰომეროსმა საფერად სცნო აიაქსისათვის, და ჟუანს უკეთაც უნდა მოერგოს)...

და ვირივით გაუყვა გზას, და რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, უკან არ მოუხედავს; არამედ წინ იყურებოდა და, თითქოს ბორცვებს მიღმა დღე იღვიძებსო, შეჰყურებდა ცეცხლს, რასაც შეეძლო დაებრმავებინა ისინი, ვისაც ბრძოლა სძულთ; დაბორძიკობდა, ლამობდა ბილიკი ეპოვნა, რათა თავისი სუსტი მკლავი და ძალა შეემველებინა ჯარისათვის, მეტწილად გვამებად რომ ქცეულიყო.

მერე და მერე მიხვდა, აღარც მეთაური ჰყავდა ჯარისა, აღარც თვით ჯარი, სადღაც გამქრალიყო, ღმერთებმა უწყიან თუ ვითარ (ვერ ჩამოვთვლი ყოველს, რაც ცუდად გამოიყურება ისტორიაში; მაგრამ ის მაინც უნდა ვალიაოთ, რომ არაფერია გასაკვირი, ყმანვილკაცი დიდების ძიებისას წინ იყურებოდეს და ისე ადარდებდეს თვისი ჯარი, ვით მნიკვი ბურნუთი);

რაკილა მიხვდა, აღარც მეთაურია სადმე და აღარც სამეთაუროო, და მარტოდმარტოს დარჩენოდა მემკვიდრეობა, გზა რომ გაეკვლია ცალად დაშთენილს, არკი იცოდა საით; ვით მოგზაურნი მისდევენ ჯაგნარსა და ქაობში მაცთურ ნათებას, ან ნაპირზე გადმოსული მეზღვაურები თავს შერგავენ უახლოეს ქოხში; ჟუანიც მიენდო თავის ყნოსვასა და ღირსების გრძნობას და იქ შევარდა, სად ყველაზე ცხარე ცეცხლი დაენთოთ მტრებს.

არ იცოდა, სად იმყოფებოდა და დიდად არც დაგიდევა, ისწრაფოდა თავბრუდახვეული, ძარღვები თითქო ელვით ავსე-

ბოდა; სული მისი იმ წუთით ავსებულიყო, ვითარც სჩვევიათ ცინცხალ გონებისათ; და სად ყველაზე უმეტეს გიზგიზებდა ცეცხლი და ქვემეხნი ხმამაღლა ქუხდნენ და ანადგურებდნენ, იქ შევარდა, იქ, სად მიწასა და ჰაერს არყევდა ადამიანური გამოგონება, ძმა ბეკონისა!

წინ გაიჭრა და იმათში მოხვდა, რომელთ მეორე მწკრივი უწოდეს და გენერალი ლასკი მეთაურობდა, და ახლა ისე შეკვეცილიყო, ვით მსხვილი ტომი — ლაზათიან ნაწყვეტად დაწურული — შესახებ გამირობისა; ჟუანი მტკიცე გამომეტყველებით ჩადგა მათ შორის, ვინც მამაცური სახეებითა და იარაღმომარჯვებულნი მისეირნობდნენ ციხის ფერდობზე.

სწორედ ამ გასაჭირისას ჯონსონიც მობრუნდა, ვისაც „უკან დაეხია“, რაც ნიშნავს, რომ ადამიანები გარბიან, ნაცვლად იმისა, სიკვდილის კბილებში მოხვდნენ ანუ ეშმაკის ბუნაგში დურთონ თავი; ჭკვიანი ყმანვილი იყო ჯონსონი, იცოდა, როდის „ჩამოეჭრა და მობრუნებოდა“, და აროდეს გარბოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როს გაქცევა კარგი და მამაცური გაცლაა.

და ამრიგად — როს მისი ყველა ჯარისკაცი მოკვდა ან კვდებოდა, გარდა დონ ჟუანისა, უბრალო ახალწვეულისა, რომლის ჭაბუკურ გამბედაობას ფიქრადაც არ მოუვიდოდა გაქცევა, რადგან არა იცოდა რა საფრთხისა, რაც მხოლოდ თაყვანისმცემელთ სწყალობს, ისე ვით უმანკოება მარტოდენ საკუთარ ძალას ენდობა, თავზეხელაღებული ნერვებითა და კუნთებით — ჯონსონმა ცოტა შეისვენა, რათა მოებრუნებინა ისინი, ვისაც სიცივე შეეპარათ ველზე „აჩრდილთა სიკვდილისათა“.

და იქ მცირე ხანს გაერიდა ტყვიებს, რაც რომ აწვიმდა სიმაგრიდან, ბატარეადან, პარაპეტიდან, ფერდობიდან, კაზემატიდან, სახლებიდან, რადგან არ იყო მთელ ამ ქალაქში, საბედისწეროდ გარშემორტყმულში ქრისტიანთაგან, ერთი ადგილიც, ქაჯივით რომ არ ებრძოლა; და მაინც იპოვა რაზმი მონადირეთა, უკან რომ დაეხიათ და გაფანტულიყვნენ ასეთი სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად.

სწორედ მათ უხმო და, გასაკვირია, რომ დაემორჩილნენ მის ბრძანებას, განსხვავებით „უფსკრულიდან გამოძახებულ სულ-

თა“, რომელთაც შეგიძლია მოუხმო, ამბობს ჰოტსპურის, ოლონ-
დაც თუ დატოვებენ თავიანთ სამყოფელს შენს დაძახილზე.
მონადირეთა მორჩილების მიზეზი დაბნეულობა იყო ანდა სირ-
ცხვილი, ტყვიებსა და ყუმბარებს რომ გამოექცნენ, და ის უც-
ნაური ბიძგი, რაც ომსა თუ სარწმუნოებაში ადამიანებს აიძუ-
ლებს საქონელივით აედევნონ წინამძღოლს.

ზევისის მადლმა! კაი ჯველი გახლდათ ჯონსონი, და თუმც
მისი სახელი არა ხმიანებს აიაქსივით ან აქილევსივით, ამ მზის-
ქვეშეთში ვეღარ შევხვდებით მის მსგავსს; ისე მშვიდად მოკ-
ლავდა კაცს, ვით მუსონი უბერავს (თვეობით შეუფერხებლივ);
არც ფერს იცვლიდა, არც ხასიათს, არც გუნება შეუტოკდებო-
და და საქმეს აღასრულებდა ფართიფურთის გარეშე.

და ამიტომაც როს გარბოდა, ამას გააზრებულად სჩადიოდა,
იცოდა, ზურგში სხვებსაც იპოვიდა, ვინც ხალისით იტყოდა
უარს მცონარობაზე, ქარივით რაც შეეპარება ხოლმე გმირულ
მუცლებს. თუმც ძალზე ხშირად ეხუჭებათ თვალები, ყველა
გმირი ბრმა როდი გახლავთ, და ოდეს სიკვდილს შეეყრებიან,
მცირე ხანს შეისვენებენ ხოლმე სულის მოსათქმელად.

მაგრამ ჯონსონი მხოლოდ იმიტომ გაიქცა, უკანვე დაბრუ-
ნებულყო და მრავალ მეომართან ერთად, ვითარ გითხარით,
იქით გაემართა, „იმ ბნელსა და უცნობ მხარეს“, რაც, ვითარცა
ჰამლეტი გვეუბნება, სახიფათო ბილიკია. თუმც ჯეკი ამან მცი-
რეოდნავ თუ შეაწუხა; მისი სული (ისე ვით გაღვანიზმი
მკვდრებზე) ცოცხლებზე გადამცემივით მოქმედებდა და მი-
სდევდა უკან გიზგიზა ცეცხლში.

ღმერთმანი! მეორადაც იგივე დახვდათ, რამაც პირველ ჯერ-
ზე თავზარი დასცა და გააქცია, მიუხედავად იმ ყოველივესი, დი-
დებაზე რასაც ამბობენ და უკვდავებაზე, რაც ალაფრთოვანებს
ჯარის ნაწილებს (ჯამაგირის შემდეგ ანუ იმ ყოველდღიური
გროშისა, გულს რომ უმაგრებს მებრძოლთ), უკან დაბრუნები-
სას იმავენაირად მიესალმნენ, ერთნი რომ ჩააფიქრა, ხოლო
სხვებმა ისედაც უწყოდნენ, ჯოჯოხეთში ვართ მოხვედრილნიო.

ისე ეფინებოდნენ ძირს, ვით დასეტყვილი მოსავალი, მოცე-
ლილი ბალახი ან მომკილი ხორბალი განამტკიცებენ იმ გაცვე-

თილ ძველ ჭეშმარიტებას, სიცოცხლე ისეთივე მყიფეა, ვითარცა სხვა სიკეთენი, რასაც კი კაცი ჯიუტად ეჭიდებაო. თურქული ბატარეები, თითქოს ჯაჭვით სცემენო, ანდა კაი მოკრივესავით ჩეჩქვამდნენ უმამაცესთ, ძირს ანარცხებდნენ თავში დარტყმით, ვიდრე ჩახმახს მოზიდავდნენ.

თურქები მეორე ბასტიონის საფარს უკნიდან და გვერდებიდან უშენდნენ ჯოჯოხეთურ ცეცხლს და ისე აღგვიდნენ ჯარისკაცთა მწკრივებს, ვით ქარი გადააცლის ხოლმე ტალღებს ქაფს; და მაინც, უფალმა უწყის ვითარ, იღბალმა, თავისი ბოროლით რომ გადაასწორებს ხოლმე ქალაქებს, ერებსა და მსოფლიოს, ისე მოაწყო ამ ჯოჯოხეთურ ღრიალში, რომ ჯონსონმა და მისმა რამდენიმე კაცმა, ვინც არ შემდრკალა, ფერდობის თხემს მიაღწიეს.

ჯერ თითო-ოროლა, მერე ხუთი, ექვსი, მერე თორმეტიც აცოცდა მკვირცხლად, სხვა გზა მაინც არ იყო, რადგან ცეცხლი და კუპრი მოთქეშავდა ვითარ ზემოდან, ისე ქვემოდან და ვერ იტყოდი, თუ საით სჯობდა, და ვინ მოიქცნენ უკეთ — ის ჯენტლმენები, ვინც გაბედეს თავიანთი მეომრული თავ-პირი გამოეჩინათ პარაპეტზე, თუ ისინი, ვინც მოცდა ამჯობინეს, ვით კარგთ და მამაცთ სჩვევიათ.

მაგრამ გამბედავნი დარწმუნდნენ, რომ მათ წინსვლას იღბალი შეენია შემთხვევითობისა თუ შეცდომისა გამო. ბერძენი თუ თურქი კოჰორნის უვიცობის გამოისობით ისეთი ღობეები ჩაემწკრივებინათ, გაცდებოდი, ნიდერლანდთა ან საფრანგეთის ფორტებში რომ გეხილათ (თუმც მათი სიმაგრენი ჩვენს გიბრალტართან რას მოვა); და სწორედ პარაპეტის შუაში ჩაემწკრივებინათ ეს ღობეები; ისე, რომ ორივე მხარეს ცხრა-ათი ნაბიჯი რჩებოდა, სად მარშით გავლა შეეძლოთ; დიდად მოსახერხებელი იყო ჩვენებისათვის, ბოლო-ბოლო მათთვის, ვინც ცოცხლები გადარჩნენ, შეეძლოთ ჩამწკრივებულიყვნენ და იერიშზე გადასულიყვნენ, ებრძოლათ კვლავაც; და იმისთვის, რაც ბრძოლაში ეხმარებოდათ, ანუ ღობეთათვის, წიხლი ეკრათ და ძირს დაეყარათ, ბალახთან გაეთანაბრებინათ.

პირველთა შორის — ვერ ვიტყვი პირველი-მეთქი, რადგან

ასეთი რამ, ამგვარ შემთხვევებში, სამკვდრო-სასიცოცხლო ჩხუბს ინვესტს მეგობრებსა და მოკავშირე სახელმწიფოთა შორის; ბრიტონები მამაცნი უთუოდ არიან და მართლაც შეიძლება დავა ჯონ ბულის მოთმინებისა გამო, ოდეს ეტყვიან, ველინგტონმა ვატერლოო წააგოო, თუმც პრუსიელებიც ირწმუნებიან, რომ ბლიუხერს, ბიულოვს, გნეისენაუს და, უფალმა უწყის, კიდევ რამდენ „აუ-ს“ და „ოვ-ს“, დროზე რომ არ მოესწროთ და გამბედაობით არ აღენთოთ ინგლისელები, რომლებიც მანამდე ისე იბრძოდნენ, ვითარცა ვეფხვნი, ჰერცოგ ველინგტონს უკვე შეეწყვიტა ბრძანებათა გაცემა და აღარც პენსიებს იღებდა, კარგა მძიმეებს, ვითა უბნობს ჩვენი ისტორია.

მაგრამ არა უშავს; „ღმერთო ჰვარვიდე მეფეს!“ და მეფეებს! და თუ აღარ დაიფარავს, ვეჭვობ, ადამიანებმა დაიფარონ კიდევ დიდხანს. მგონია მესმის პანია ჩიტის ჭიკჭიკი, რომ ხალხი სულ უფრო და უფრო გაძლიერდება; მიხრწნილი ჯაგლაგი აცახცახდება, გადაძვრალ კანში რომ ჩაეჭდობა გადამეტებული ტვირთი, და ბრბოსაც ყელში ამოუვა იობისათვის მიბაძვა.

ჯერ აბუზღუნდება, მერე გინებას მოჰყვება და მერე კი — დავითივით — მრგვალ კენჭებს სტყორცნის გოლიათს; ბოლოს იარაღს დასწვდება კაცისას, ვისაც იმედის გადანურვა გულს გაუქვავებს და მერე „თოკი დაიჭიმება“, ვეჭვობ, ომის დრო დადგება და ხალხისთ ვიტყოდი, „ბრანნი უჩვენეთ“-მეთქი, რომ არა ვგრძნობდე, მარტოდენ რევოლუციას შეუძლია იხსნას დედამინა ჯოჯოხეთის სიბინძურისაგან.

მაგრამ განვაგრძოთ:

ვთქვი, პირველი არა-მეთქი, მაგრამ პირველთა შორის იყო ჩვენი პატარა მეგობარი დონ ჟუანი, იზმაილის სიმაგრეში რომ შეიჭრა, თითქო ამგვარ ყოფაში გამოზრდილიყოს, არადა, სრულიად უცხო იყო მისთვის, და ვიტყოდი უმრავლესობისათვისაც.

დიდების წყურვილმა, სულ უფრო და უფრო ღრმად რომ იჭრება კაცის გულში, მოიცვა მისი არსება, თუმც კი დიდსულოვანი ადამიანი გახლდათ, გულით — თბილი და ნაკვთებით — ქალისებრ ნაზი.

და აქ იყო იგი, ვინც ქალის მკერდზე ყრმობისას ყრმად გრძნობდა თავს; რაც უნდა იყოს, კაცი ყველაფერ დანარჩენს აღიარებს, და ჟუანი თავს იქ ისე გრძნობდა, ვით ელიზიუმში; მას ხომ იმ უძნელესი გამოცდის ატანაც შეეძლო, რასაც რუსო საექვო საქმეს უწოდებს, „დააკვირდი შენს სატრფოს, როს შენს მკლავებს დატოვებს;“ მაგრამ ჟუანი ხომ აროდეს მიატოვებდა სატრფოთ მანამ, სანამ მომხიბვლელნი იყვნენ, რომ არა ბედისწერა, ან ტალღა, ან ქარი, ან ნათესაობა, რაც ერთი და იგივე გახლავთ.

და აი, იგი აქ იყო, სად კაცობრიობის თვითეული ნასკვი ფოლადითა და ცეცხლით გადაიჭრებოდა; და ჟუანიც, ვისი სხეულიც და გონებაც გაერთიანებულიყო, შემთხვევით მოხვედრილი იქ, სად ყველაზე ამპარტავანიც კი მოილუნება, დროითა და სივრცით აჩქარებული მიისწრაფოდა ვით დეზამოკრული წმინდა სისხლის ბედაური რბოლაში.

ასე აუჩქეფდებოდა ხოლმე სისხლი, ოდეს წინააღმდეგობას წააწყდებოდა, ვით მონადირე, ჭიშკარს ან ლობეს რომ მიადგება, როს ბრიტანელი ყმანვილის ბედი მის წონაზე ჰკიდია, და რაც უფრო მსუბუქია, მით უსაფრთხოდაა; შორიდან თითქო სძულდა სისასტიკე, ვითარცა ყველა კაცს ეჯავრება სისხლი მანამდე, სანამ გახურდებოდეს, და მერე თუნდ თავისი სისხლიც იყოს, გააშეშოს და კვნესაც აღმოხდეს, აღარ დაეძებს.

გენერალ ლასკის, ვისაც სულზე მიუსწრო ასეთმა ილბლიანმა შემწეობამ, მეტად გაუხარდა ასიოდე მგზნებარე ახალწვეულის დანახვა, ისე რომ გამოჩნდნენ, თითქო მთვარიდან ჩამოცვივდნენო; ჟუანს, ვინც ყველაზე ახლოს იყო მასთან, დიდი მადლი უძღვნა, და იმედიც გამოთქვა, ქალაქს მალე ავიღებთო.

არც უფიქრია (ვითარ პისტოლი უწოდებს), „მდაბალ ბეზონელს“ ველაპარაკებიო, ეგონა, ახალგაზრდა ლივონიელიაო.

ჟუანმა, ვისაც იგი გერმანულად მიმართავდა, იმდენივე გაეგებოდა გერმანულისა, რამდენიც სანსკრიტისა, თავი დაუხარა გენერალს, ვინც მისი მეთაური უნდა ყოფილიყო; რადგან ხედავდა აქსელბანტებს, შავსა და თეთრს, ვარსკვლავებს, მედლებსა და ხელში ჩაბლუჯულ სისხლიან ხმალს, ამით იცნო მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც მადლობის კილოთი მიმართავდა.

მოკლე საუბარი შედგა ორ კაცს შორის, ვინც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა; ამასთან, ომი როცაა, ქალაქს იღებენ, ყვირილი და გნიასი იჭრება დიალოგში, მრავალი ცოდვა ხდება მანამდე, სანამ სიტყვა წარმოითქმის, შემზარავი ხმები გაისმის საეკლესიო ზართა რეკვასავით, ოხვრა, კვნესა, კივილი, ღრიალი, ვედრება, და აბა რა დროს მასლაათია.

და ამიტომაც, რაც ორ ოქტავაში მოგიტხრეთ, ერთ პანია ნუთში მოთავდა, ერთ პატარა ნუთში ყოველი ცოდვა ერთად მოგროვდა. ქვემეხის ხმა დაახშო, დააყრუა მუსლიმანთა ხმაურიანმა ლოცვა-ვედრებამ, თითქო სატკაცუნოთა ხმად გადაიქცა ქუხილი, ადამიანური განწირულობის აგონიურ გუგუნში.

აიღეს ქალაქი!

ო, მარადისობავ!

„ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანა და ადამიანმა შეჰქმნა ქალაქი“, ამბობს კაუპერი, და მის აზრს ვიზიარებ, როს ვხედავ დაცემულ რომს, ბაბილონს, ტვიროსს, კართაგენს, ნინევიას, ყველა იმ კედელს, ადამიანი რომ იცნობდა და ველარ გაიცნობს.

და როს ვადარებ ანმეოსა და წარსულს, ვფიქრობ, ტყეები იქნება კაცობრიობის სახლი ბოლო-ბოლო, სახლი ყველა კაცი-სა, გარდა სულასი, კაცისმკვლელისა, ვისაც მეტად იღბლიანი სიცოცხლე და სიკვდილი ერგო, სახლი იმ დიად სახელთა, რომელნიც გვსმენია, გენერალ ბუნისა, ტყეს რომ დაუბრუნდა კენტუკის შტატში, და უბედნიერესი იყო მოკვდავთა შორის, რადგანაც აღარას ჰკლავდა, გარდა ირმისა და დათვისა, და მარტოხელა, სიცოცხლით აღსავსე ტკბებოდა უშფოთველი დღეებით, მოხუცებული რომ დაესახლა უღრან ტყეში.

დანაშაული ახლოსაც ველარ ეკარებოდა — დანაშაულს არ უყვარს მარტოხელანი; ჯანმრთელობა არ ღალატობდა — რადგან სახლად დაეგულებინა უღრანი ტყე, სად კაცის ფეხი არ ჭაჭანებდა, უკაცოდ კი დანაშაულიც არ არსებობს; და თუ ადამიანები სიკვდილს ამჯობინებენ სიცოცხლეს, რას იზამ, ჩვეულება ჩაადენინებთ იმას, რაც გულითა სძულთ ქალაქთა ჯურღმულში მყოფთ. ეს შემთხვევა კი იმიტომ მოვიხმე, რომ ბუნმა ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლა და ინადირა.

და რაც უცნაურია, სახელიც დატოვა, რისთვისაც ადამიანები ყოველ მეთეს ჰკლავენ ურიცხვი ბრბოდან, და არა სახელგანთქმულთ, თუნდ კარგი სახელის მქონეთაც, და უამისოდ დიდება ფუნდუკში ნამღერ სიმღერას უტოლდება, უბრალოს, მშვიდობიანს, ანტიპოდს სირცხვილისას, რასაც მტრობა და შური ვეროდეს ნაახდენს; ასეთია ნამდვილი განდევილი, მსცოვანიც კი ბუნების შვილია და როსელი — კაცი უდაბნოში გასული.

ისიც სიმართლეა, რომ თვისტომთაც კი გაურბოდა, როს მშენებლობანი მოუახლოვდა მის საყვარელ ხეებს, ასიოდე მილით დაიხია და იქ აიგო სადგომი, სად სახლები არ მოიძებნებოდა; ცივილიზაციის ნაკლებობა იმით ვლინდება, რომ ვერც ვერავის აამებ და ვერც ვერავინ გაამებს, მაგრამ ოდეს კაცად კაცს შეხვდებოდა, იმდენ სიკეთეს ამჟღავნებდა, რამდენიც მოკვდავს ძალუძს.

მთლად მარტოც არ გახლდათ; მის ირგვლივ შემოკრბა ტყის ტომი დევნილ არსებათა, ჭაბუკი, მარად ახალი, ჯერაც გაულვიძებელი სამყარო, არც მახვილი რომ არ უხილავს და არც ტანჯვას დაუტოვებია კვალი მის უმანკო შუბლზე, და არც სიბრაზე აღბეჭდვია ადამიანისა თუ ბუნების სახეზე; თავისუფალ ტყეში იმყოფებოდნენ და იყვნენ თავისუფალნი, და ისეთივე ანკარა, ვით წყარო ან ხე.

მაღალნი, მძლავრნი და მკვირცხლნი შორს იყვნენ ქალაქის ჯუჯა ნასხლეტთაგან, აროდეს ფიქრობდნენ ნადავლზე, სარჩოსა და მოგებაზე, მწვანე ტყე ამარაგებდათ, არ აწუხებდათ სულმოკლე აზრი დაბერებაზე, მოდის დაჟინებით თავს არ იმახინჯებდნენ, მარტივნი იყვნენ, მაგრამ ველურნი არა ყოფილან; თოფები ჰქონდათ ნამდვილი, მაგრამ ფუჭად არ ისროდნენ.

დღისით მუშაობდნენ, ღამით ეძინათ, მძიმედ შრომობდნენ, მაგრამ ხალისით; არც ძალიან ბევრნი იყვნენ, არც ძალიან ცოტანი; გადაგვარება ვერ გაიდგამდა მათ გულში ფესვს; ვერც გარყვნილება დაკბენდათ, ვერც ზიზილ-პიპილები აბრკოლებდათ, თავისუფალ ტყეში ხრიოკი არ მოიძევებოდა; ნათელი და უღრუბლო გახლდათ ამ ტყის განდევილ ხალხთა უხინჯო ცხოვრება.

მოვრჩეთ ბუნებაზე საუბარს, მრავალფეროვნებისათვის რომ ჩავურთეთ, და დავუბრუნდეთ ცივილიზაციის დიად სიხარულს! დიდი საზოგადოების ტკბილ ნაყოფს, ომს, ეპიდემიას, ხალხის ამონყვეტას დესპოტთა მიერ, სამეფო მათრახს, წარმატების წყურვილს, ჯარისკაცთა ულუფისათვის გაჟუჟულ მილიონებს, ეკატერინეს ბუდუარის სცენებზე სამოცჯერ მეტს, და ყოველივე ამის გალაზათიანებას იზმაილის იერიშით.

ქალაქი აიღეს: ჯერ ერთმა ნაწილმა გაიკვლია სისხლიანი ბილიკი ყოჩაღად და მერე მეორემ; ცეცხლოვანი შუბებითა და ნაპერწკლებმფრქვეველი მახვილებით შეუტიეს იატაგანებს, დედა შვილს ვერ იყვანდა ხელში და ხსნას ზეცას ევედრებოდნენ; გოგირდოვანი ღრუბლები სულ უფრო ახლოვდებოდა, რომ დილაც მოეშოთ და კაციც, იქ სად გაშმაგებული თურქნი ჯერაც იცავდნენ მშობლიურ ქალაქს.

კუტუზოვს, ვინც მოგვიანებით უკუდარტყმა აგემა და დაახევინა (ცოტა ყინვა და თოვლიც კი წაეხმარა) ნაპოლეონს, როს იგი თავხედურ და სისხლიან გზას დაადგა, ამჯერად თვით მოუხდა უკანდახევა; ხალისიანი ყმანვილკაცი გახლდათ და შეეძლო პირში მიეხალა ხუმრობა ძმაკაცისა თუ მტრისათვის, როს სიცოცხლე, სიკვდილი და გამარჯვება იდო სასწორზე, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ხუმრობა არ გამოუვიდა;

თხრილში ჩაეშვა, თან მიჰყვნენ გრენადერები, გუბებეად დააყენეს სისხლი, მერე მინაყრილზე აძვრა და სწორედ აქ, როს უმაღლეს წერტილს მიაღწია, ზღვარზე აღმოჩნდა (ამ ადგილას ყველა სხვა დალუპულზე მეტად დაგვამნუხრა გენერალ რიბოპიერის სიკვდილი), რადგან მუსლიმებმა უკანვე ჩარეკეს თხრილში.

და რომ არა რომელიღაც დაბნეული ნაწილი, შეტევის ნაკადმა რომ მოაგდო ამ ადგილას და არც იცოდნენ თუ სად იყოფებოდნენ, თავგზადაკარგულნი აღმა-დაღმა დაბორილობდნენ, თითქო სიზმარში არიანო, და აქამდე მოაღწიეს, ისისაა ინათლა კიდევ და ვაივაგლახით გაარკვიეს თუ სად მოხვედრილიყვნენ, დიადი და მხიარული კუტუზოვიც იქ დარჩებოდა, სად მისი ნაწილის მესამედი ჩანოლილიყო.

და მიწაყრილთან მოგროვდა იგივე ჯარი, „კავალერის“ აღების შემძლე, ისევე, ვითარცა კუტუზოვის „საბრალლო იმედმა“ შიში დაძლია და ქამელეონივით გაძვრა და გაუხსნა „კილიად“ ნოდებული ჭიშკარი დაბნეულ გმირთა ერთ გუნდს, იქვე რომ იდგნენ მორცხვად მუხლამდე გაყინულ ტალახში ჩაფლულნი, იქიდან კი ფეხები ადამიანის სისხლის ჭაობში გაილხვეს.

კაზაკები ან, თუ გნებავთ, ყაზახები (დიდად არ ვინუხებ თავს ორთოგრაფიის დაცვით, ოლონდ ფაქტები, სტატისტიკა, პოლიტიკა და გეოგრაფია არ ამერიოს) იმყოფებოდნენ ცხენოსან ჯარში, არც ტოპოგრაფიაში გახლდნენ დილეტანტები, არც სიმაგრეთა ცოდნაში და იბრძოდნენ იქ, სად მეთაურნი უბრძანებდნენ — მცირე ნაწილებად დანაღვივებულნი.

ერთი ნაწილი, მიუხედავად თურქების ბატარეთა ცეცხლისა, მიწაყრილთან მიიჭრა და, ბუნებრივია, ფიქრობდნენ, ქალაქში დაუბრკოლებლივ შევალთო, მაგრამ ვითარც ემართებათ მამაცთ, რაღაც შეეშალათ, თურქნი ვითომ გაიქცნენ და შეიტყუეს კი ორი კოშკის კუთხეში და მძაფრად შემოუტიეს ამ საზიზღარ ქრისტიანთ.

და კუდშიც რომ წაავლეს ხელი — ამგვარი ჩავლება საბედისწეროა ეპისკოპოსთათვისაც და ჯარისკაცთათვისაც — მზის ამოსვლამდე სულ განყვიტეს კაზაკთა რაზმი, იცოდნენ, ველარ გადავრჩებითო, და დაილუპნენ შეუდრეკელნი, და მათი ჩონჩხები კიბეებად გამოადგა პოლკოვნიკ იესუსკოის, პოლუზკოის მამაც ბატალიონს რომ მოუძლოდა.

ამ მამაცმა კაცმა სულ გაჟუჟა წინ შემოყრილი თურქნი, მაგრამ შეჭმა ველარ მოასწრო, რადგან თვითონაც დაეცა მუსლიმანთა ხელით, ვინც გულგრილნი ვერ რჩებოდნენ, როს მათი ქალაქი იწვოდა. სიმაგრის კედლები დაეცა, მაგრამ ჯერაც სადავო იყო, თუ რომელ არმიას მეტი ჰქონდა გამოსაგლოვი; დარტყმას დარტყმა ხვდებოდა თვითეული გოჯისათვის, არც ერთი იხევდა და არც მეორე დრკებოდა.

მეორე ნაწილიც კარგა გვარიანად დაზარალდა: და აქ კი ისტორიკოსთან ერთად უნდა შევნიშნო, ასეთ ჯარისკაცთ, ვისაც დიდად ბრწყინვალე მარშით უყვართ შეტევა, თითო-ოროლა

ტყვია უნდა მისცე და მბზინავ ხიშტთა ამარა გაუშვა, და სწრაფადაც გაეშურებიან და თავის გადასარჩენად არ დაინყებენ უაზრო სროლას უგუნური მანძილიდან.

გენერალ მეკნოფის ხალხი (ოლონდ უგენერლოდ, რადგანაც იგი ცოტა ხნით ადრე დაეცა მძიმედ დაჭრილი) შეუერთდა მათ, ვინც გაბედა აცოცებულები ამ სიკვდილისმომტან მინაყრილზე, და თუმც თურქნი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, სიმაგრე მაინც აიღეს, რასაც სერასკირი მეტად ძვირად აფასებდა.

ჟუანმა და ჯონსონმა და რამდენიმე მოხალისემ პირველებმა შესთავაზეს მას სიცოცხლის შენარჩუნება, სიტყვა, რაც სერასკირს არ უხდება, ან ამ მამაც თათარს არ შეჰფეროდა. და მოკვდა და სამშობლოს ცრემლსაც იმსახურებდა, მოკვდა ვით მოურჯულებელი სამხედრო წამებული.

ინგლისელი საზღვაო ოფიცერიც, ვინც მის ტყვედ ჩაგდებას ლამობდა, დაიღუპა, რადგან პასუხი ამ შეთავაზებაზე იყო დამბაჩის ტყვია, რამაც იქვე განგმირა; რაზედაც დანარჩენებმა დაუყოვნებლივ აამოქმედეს ფოლადი და რკინა, წმინდა ლითონები — ამგვარი შემთხვევისათვის მომარჯვებული; არვინ დაინდეს; სამიათასი მუსლიმი გამოასალმეს სიცოცხლეს, თექვსმეტი შუბი მარტო სერასკირს ჩასცეს.

ქალაქი აიღეს, მაგრამ ნაწილ-ნაწილ და სიკვდილიც დათვრა სისხლით; არ მოიძებნებოდა ქუჩა, სად ვინმე არ იბრძოდა თავგანწირულად, ვისი გულისცემაც უნდა მალე შეწყვეტილიყო. აქ ომმა დაივიწყა თავისი დამანგრეველი ხელობა და დამანგრეველი ბუნება უფრო შეიძინა; და ჟღერის სიმხურვალე ჰგავდა ნილოსის მზით გახურებულ ლაფს, სად ყოველი დანაშაული მხეცურია.

და აი, რუსი ოფიცერი, მარსის მსახური, გზას მიიკვლევდა გვამებს შორის და იგრძნო, რაღაც ქუსლზე მოეჭიდა, თითქო გველმა ჩაასო კბილები, რომლის ეშვებმაც ევას ასწავლა თუ ვით შეეცნო ადამის თესლი; ამოდ ტლინკავდა ოფიცერი, იგინებოდა, იკლაკნებოდა, სისხლი სდიოდა და ყმუოდა: მიშველეთო, — ვით მგლები ყმუიან დამშეულნი. კბილები მაგრად ჩასობოდა, თითქო მართლაც უძველესი გველი ჩასჭიდებიაო.

მომაკვდავ მუსლიმს ეგრძნო, თუ ვით აბიჯებდა თავზე მტერი და ჩაეჭიდა და უკბინა მყესში, რაც ყველაზე მტკივნეულია (და რასაც უძველესი მუზა და თანამედროვე გონება შენს სახელს უწოდებს, აქილევს), ასე ჩაეჭდო კბილები და სიცოცხლის ფასადაც არ გაუშვებდა, და ამბობენ (ტყუიან), ცოცხალ ფეხს ჯერ კიდევ ეჭიდებოდა მოკვეთილი თავიო.

რაც უნდა ყოფილიყო, ერთი რამ ნამდვილია, რუსი ოფიცერი სამუდამოდ დაკოჭლდა, რადგან თურქის კბილები შამფურზე ბასრი გამოდგა, და დაინვალიდა და დააგონჯა; ნანილის ექიმმა ვერა უშველა თავის პაციენტს და ალბათ იგი უფრო უნდა დავადანაშაულოთ, ვინემ შეურიგებელი მტრის თავი, რომელმაც, როს მოკვეთეს, მაშინლა უშვა კბილები.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ჭეშმარიტი პოეტი ცდილობს მოერიდოს გამონაგონს, სადაც კი შეძლებს; რადგან ლექსის დაცვას ცოტა მეტი ხელოვნება სჭირდება სიმართლის დაკლებისაგან, ვინემ პროზისას, თუ მოდამ არ დაისაჭიროვა ის, რასაც ხანდახან პოეტურ ნყობას უწოდებენ, და უზომო მადაა ტყუილის თქმისა, რასაც სატანა შემოუხევეს ხოლმე სულებს ბუზებივით.

ქალაქი აიღეს, მაგრამ ვერ ჩაიბარეს!
ვერა!

ჯერ არცერთ მუსლიმს არ დაუგდია ხმალი: სისხლი დუნაივით მოედინება ქალაქის კედლებთან; მაგრამ არც სიტყვა და არც წერილი არ მოასწავებს ან შიშსა და ან სიკვდილს მტრისას: ამაოდ გასძახიან გამარჯვების სიტყვებს მოსკოველნი, ექოდ უკანასკნელი მტრის კვნესა ესმით მხოლოდ.

შუბი ჩხვლეტს და ხმალი ჩეხავს, კაცის სიცოცხლე გროშის ფასი გამხდარა, შემოდგომის გაყვითლებული ფოთლებივით ცვივიან, როს განძარცულ ტყეს ცივი ქარი დაუბერავს და ააკვნესებს; ასე კვნესოდა ხალხი ქალაქში; ჰქრებოდა კარგი და საყვარელი და შიშვლდებოდა ყველაფერი; ოღონდ ეს იყო შემზარავი დაცემა, ისეთი, მუხა რომ ეცემა ათასი ზამთრით დამძიმებული.

საშინელი თემაა, მაგრამ მე არ მიყვარს შიშის მოგვრა, როცა გინდ იყოს, რადგან თუ დააკვირდები ადამიანურ ბედ-იღბალს,

კარგს, ცუდს, უარესს, მელანქოლიური მხიარულებისა არ იყოს, თუ მეტისმეტად ბევრს მოყვები, ძილისმომგვრელი ხდებოდა; ეწყინებათ თუ გაუხარდებათ მტრებსა თუ მეგობართ, მე აღვწერ სამყაროს ისეთს, როგორიც არის.

მაგრამ ერთი ქმედება ამხელა დანაშაულში „საკმაოდ გამომაცოცხლებლად“ გამოიყურება, ვით უჩვეულო ფრაზა ამ ამბროზიულ, ფარისევლურ დროში, სულ ყველა, რძისა და წყლის გზებგამოვლილი, ცვარ-ნამად რომ ნადგომოდა ჩემს რითმებს; ეს ქმედება ცოტა შეტრუსულია დაპყრობის ალში და მის შედეგათგან გამომდინარე, რაც ეპიკურ პოეზიას ასე იშვიათად ხდის მდიდრულს.

აღებულ სიმაგრეში, სად ათასობით დახოცილი კაცი ეგდო და აქვე — ჯერაც თბილი ჯგუფი დახოცილ ქალთა, ამოდ რომ უძებნიათ თავშესაფარი აცახცახებულთა და გულგახეთქილთ; ამ დროს მაისივით მშვენიერი ათი წლის გოგონა ათროლოებული ცდილობდა დამალულიყო სისხლიან ცხედრებს შორის.

ორი მდაბალი კაზაკი ანთებული თვალებითა და მბზინავ იარაღმომარჯვებული მისდევდა ბავშვს; ყველაზე საშინელსაც კი ციმბირის მხეცთაგან მათზე წმინდა გრძნობები და სუფთა სინდისი აქვს, დათვიც კი ცივილიზებულია და მგელიც გულმონყალე მათთან შედარებით; ბოლო-ბოლო ვის უნდა დავაბრალოთ მათი ბუნების გადაგვარება? ალბათ მათ ბატონებს, ყველაფერი რომ იღონეს ხელქვეითთა დასაღუპავად.

მათი მახვილები აღიმართა გოგონას თავზე, მშვენიერი თმა ყალყზე დაუდგა საბრალოს, თავი მკვდრებს შორის ჩარგო; ამ დროს ჟუანმა მოჰკრა თვალი ამ სამწუხარო სანახაობას, ვერ გავიმეორებ თუ რა თქვა, რადგან „თავაზიანი ყურისათვის“ არ გაიგონება, მაგრამ მოიმოქმედა კი ის, რომ მსწრაფლ მოეყვანა გონზე კაზაკები.

ერთი ბარძაყში დაჭრა და მეორე მხარში, და გაიქცნენ მხეცური ღრიალით, ეგებ სადმე ქირურგი ვიპოვოთ, რომ ეს დამსახურებული ჭრილობები მოგვირჩინოსო, კიოდნენ ტკივილისა და სიბრაზისაგან; ოდნავ დამცხრალმა ჟუანმა კი შეაბრუნა თავისი ფერმკრთალი და სისხლიანი სახე, დასწვდა პატარა ტყვეს და ასწინა გვამების გროვიდან, კინალამ მის სამარედ რომ იქცა.

გოგონაც გვამებზე ვით გაციებულყო და წვრილი სისხლის ზოლი მის სახეზე იუნყებოდა თუ რა ახლოს იყო მისი იღბალი მისივე დაღუპულ თვისტომებთან; იმავე მახვილმა, რომელმაც დედა მოუკლა, გაუსერა სახე და დაუტოვა წითელი კვალი, ვითარცა ბოლო კავშირი ყველაფერ იმასთან, რაც ძვირფასი გახლდათ მისთვის; სხვა მხრივ უვნებელმა გაახილა დიდი თვალები და მეტად განცვიფრებულმა შეჰხედა ჟუანს.

და იმ წამს, როს მათი თვალნი ერთმანეთს შეხვდა ხანგრძლივი მზერით, ჟუანის გამოხედვაში აირია ტკივილი, სიამე, იმედი, შიში და სიხარული, რომ შეძლო და იხსნა, და დარდიც, ჩემს მფარველობის ქვეშ მყოფს არა დაემართოს რაო;

გოგონას თვალებში ბავშვური შიში იდგა, გონდაკარგული იყურებოდა; ფაიფურის ლარნაკსა ჰგავდა, წმინდას, გამჭვირვალეს, ფერმკრთალსა და მაინც გასხივოსნებულს.

ამ დროს თავს წამოადგათ ჯონ ჯონსონი (არ დავუძახებ „ჯექს“, რადგან ვულგარული გამოვა, ცივი და მდაბიური ისეთ დიად მოვლენასთან შეფარდებით, ვითარიც ქალაქის ალებაა, და ჩვენი ამბავიც ხომ ამაზეა), დიახ, თავს წამოადგათ ჯონ ჯონსონი ასიოდე ჯარისკაცით:

— აბა, ყმანვილო! ხელი შეიხვიე, და დოლარზე დავენიძლავები მოსკოვს, რომ მე და შენ წმინდა გიორგის ორდენი დავიმსახურეთ. სერასკირს თავი გავუხეთქეთ, მაგრამ ქვის კოშკი ჯერაც დგას, ბებერი ფაშა იქა ზის რამდენიმე ასეულ მკვდართან ერთად, მშვიდად ეწევა ჩიბუხს ამ ჩვენი და მისი ქვემეხების გუგუნ-გრიალში, ამბობენ, ჩვენი მკვდრები, ბატარეის გარშემო ჩანოლილები, უკვე ნიკაპამდე წვდებოა, და ზალპი ზალპს მოსდევს, თითქო რთველში მონეული ყურძენი იყოს. აბა მომყვი!

მაგრამ ჟუანმა მიუგო:

— შეხედე ამ ბავშვს, გადავარჩინე და ბედის ანაბარა ვერ დავტოვებ; რაღაც თავშესაფარი რომ იყოს და ეს ცახცახ-კანკალი დაიცხროს, სადაც გინდა წამოგყვები.

ჯონსონმა მიმოიხედა და მხრები აიჩეჩა, სახელო და ყელსახვევი მოიქეჯა და უპასუხა:

— მართალი ხარ; საბრალო! რა უნდა ვუყოთ? ვერ მომიფიქრებია.

— რაც უნდა იყოს, — მიუგო ჟუანმა, — ვერ დავტოვებ, ვიდრე არ მეცოდინება, რომ ჩვენზე უსაფრთხოდ მაინცაა.

— ჩვენზე ვერ იტყვის კაცი, უსაფრთხოდ არიანო, — თქვა ჯონსონმა, — მაგრამ, სხვა თუ არაფერი, სახელოვანნი მაინც დავიხოცებით.

— რაც არის, არის, გავუძლებ, — უთხრა ჟუანმა, — მაგრამ ამ გოგოს არ მივატოვებ, უდემამოა, მაშდამე ჩემია.

ჯონსონმა მიაგება:

— ჟუან, დროს ვერ დავკარგავთ; მშვენიერი ბავშვია, ძალზე ლამაზი, ასეთი თვალები ჯერ არ მინახავს, მაგრამ მისმინე! არჩევანი მოგინევს სახელსა და გრძნობებს შორის, სიამაყესა და სიბრალულს შორის; უსმინე! ხმაური ძლიერდება! თავს ვერაფრით გაიმართლებ, როცა ასეთი აურზაურია ქალაქში; არ მინდა უშენოდ გადავიდე შეტევაზე, მაგრამ, ღვთის გულისათვის, დაგვაგვიანდება და პირველ შეტაკებას ვერ მივუსწრებთ.

მაგრამ ჟუანი გაჯიუტდა.

მაშინ ჯონსონმა, ვისაც იგი მართლაც უყვარდა თავისებურად, გამოაცალკევა თავის ხალხში რამდენიმე გამორჩეული, მისი აზრით — ნაკლებ დახარბებული ნადავლს, და დაიფიცა, თუ ბავშვს რამე დაემართება, ხვალვე ყველას დაგხვრეტო, ხოლო თუ საღსალამათს ჩამაბარებთ, სულ ცოტა ორმოცდაათ მანეთს მიიღებთ. და ნაალაფარიდანაც თანაბრად გარგუნებთო.

ამის მერე ჟუანი დათანხმდა მასთან ერთად ქარ-ცეცხლში შევარდნას, რაც ყოველ ნაბიჯზე ათხელებდა მათ რიგებს; და მაინც დანარჩენნი ჟინიანად უტევედნენ და, რა გასაკვირია, მოსახვეჭს ელოდნენ, ასეთი რამ ყოველდღე და ყველგან ხდება, არცერთი გმირი არ ყაბულდება ნახევარ ხელფასს.

აი, ასეთია გამარჯვება და ასეთია კაცი! ბოლო-ბოლო, ცხრა მეათედი იმათგან, ვისაც ასე ვუნოდებთ; უფალს შესაძლოა სხვა სახელი აქვს ნახევარისთვის მათგან, ვისაც ადამიანს ვუნოდებთ, ან შეუცნობელია საქმენი მისნი.

მაგრამ ჩვენს სიუჟეტს დავუბრუნდეთ: მამაცი თათარი ხანი, — ან „სულთანი“, ვითარც ავტორი უწოდებს (იმ პროზაული ნაშრომისა, მე რომ ლექსად გარდავთქვი) ამ ხელისუფალს — როგორღაც დანებებას არ აპირებდა;

გარშემორტყმულმა ხუთი მამაცი ვაჟიშვილით (ასეთია პოლიგამია, ქვირილივით ჰყრიან მეომრებს იქ, სად არავინ ისჯება ორცოლიანობისა გამო), ცხადია, იცოდა, რომ ქალაქს ვეღარღა იხსნიდა, მაგრამ მამაცობის ძაფი არა წყდება.

პრიამოსის, პელევსის ან ზევსის შვილებს აღვწერ? არა, არცერთისას, მხოლოდ ერთი კარგი, პატიოსანი, ზომიერი ბერიკაცისას, რომელიც წინა რიგებში იბრძოდა ხუთ ვაჟიშვილთან ერთად.

მიზანი ტყვედ მისი ჩაგდება გახლდათ. ჭეშმარიტ ვაჟკაცთ, როს ვაჟკაცს გასაჭირში ხედავენ, სურვილი იპყრობთ, დაიცვან და გადაარჩინონ; გმირები ველურ მხეცთაც ჰგვანან და ნახევარღმერთთაც, ხან მძვინვარებენ ზღვასავით, ხანაც სიბრალული იპყრობთ; ხან უძრავი ხეც გადაიხრება ზაფხულის ქარში, თანაღმობა ეწვევა ხოლმე ველურ გონებას.

მაგრამ იგი არ ნებდებოდა, და დანებების მოწოდებებს იმით პასუხობდა, რომ მარჯვნივ და მარცხნივ აწვევდა ქრისტიანთ, ისევე ვით უჯიათი შვედი ჩარლზი ბენდერის ბრძოლაში. სულთნის ხუთი ვაჟიშვილიც არანაკლებ ზიანს აყენებდა მტერს. ამასობაში რუსთა განწყობამ დაჰკარგა სინაზე და სიქველე, მიწიერი მოთმინების საწყაული აღივსო და გადაიზარდა წვრილ კაპასობაში.

ჯონსონისა და ჟუანის ჯიბრზე, მთელი თავისი აღმოსავლურ სიტყვათა მარაგი რომ დახარჯეს, ევედრებოდნენ ღვთის გულისათვის, არწმუნებდნენ ბრძოლის უაზრობაში, და რომ მათთვის პატივი იქნებოდა ასეთი მტრის დანდობა, სულთანმა ხმლით ჩეხვა ამჯობინა, თეოლოგიის დოქტორებივით, სკეპტიკოსებს რომ ეკამათებინა, და ლანძღვა-გინებით გადაჰკრა ხმალი მეგობრებს, აი, ბავშვები რომ სცემენ ხოლმე თავიანთ აღმზრდელთ.

ორივე დაჭრა, ჟუანიცა და ჯონსონიც, მართალია მსუბუქად, მაგრამ ორივე დაეცა, ერთმა ამოიკვნესა, მეორემ წყევლა

შეუთვალა ასეთ ბრაზიან სულთანობას და აურზაურიც დაინყო, ყველა განარისხა ამ ურჯულოს ვერაგობამ და წვიმასავით დაატყდნენ თავს მას და მის შვილებს, მათ კი ისეთივე წინააღმდეგობა გასწიეს, ვითარცა ქვიშიანმა დაბლობმა, რომელიც სვამს და მაინც მშრალია.

ბოლოს ყველანი დაიღუპნენ: მეორე ვაჟი ტყვიამ იმსხვერპლა, მესამე ხმალმა, მეოთხე, ყველაზე საყვარელი ამ ხუთთაგან, ხიშტებზე აღესრულა, მეხუთე ქრისტიანი დედისაგან ჰყავდა და არ დაენახვებოდა, არ უყვარდა, გონჯი გახლდათ, მაგრამ თავი კი გასწირა თავისი ბატონის გადასარჩენად, რომელსაც რცხვენოდა მისი გაჩენა.

უფროსი ვაჟი ქეშმარიტი და მოურჯულებელი თათარი იყო. ისევე სძულდა ნაზარეველნი, ვით ოდესღაც მუჰამედი გამოარჩევდა ნამებულს; შავთვალეზა და მწვანეში გამოწყობილი გოგონები წარმოესახა, ვინც მათთვის შლიან ლოგინებს, ამქვეყნიური სამყოფელი რომ აღარ სჭირდებათ, სამოთხე ურჩევნიათ, იქაურ ჰურიებს ამჯობინებენ, ყველაზე დამატკობელთ.

და თუ რას უპირებდნენ ზეცაში ახალგაზრდა ხანს, არცა ვუნცი და არც მიხვედრას დავეშურები; მაგრამ უსათუოდ ახალგაზრდა, მოხდენილი კაცი ურჩევნიათ მოხუცებულ, კერკეტ გმირებს, და არაფერს დააკლებენ; და ამიტომაცაა უეჭვო, რომ თუ ბრძოლის პირქუშსა და უდაბურ ველს გადავხედავთ, ერთ ქარტეხილებგამოვლილი, გაუხეშებული ვეტერანისა გვამზე ათი ათასი კობტა, სისხლიანი ცხედარი მოდის.

თქვენს ჰურიებსაც ბუნებრივად სიამოვნებთ ახალდაქორწინებულ კაცთა განყვეტა მანამდე, სანამ ქორწინების საათი მიიწურებოდეს და სევდიანი, მეორე მთვარე გაფერმკრთალდებოდეს, ანდა მონანიება მოიცლიდეს მოსაწყენი და გულისგამანწვრილებელი აღსარებისათვის და კვლავ უცოლობას ინატრებდეს კაცი დროდადრო. და თქვენი ჰურია კი (შესაძლოა) უკვე მსჯელობს ახალშემოსული ნაყოფის მოსავალზე.

და ჭაბუკმა ხანმაც ჰურიები წარმოისახა და აღარც გახსენებია ოთხი ნორჩი პატარძალი, ისე გაექანა პირველი ზეციური ღამისათვის, მოკლედ, რაც უნდა გაგვეპრანჭოს ჩვენი იღბალი,

უნდა ვიცოდეთ, რომ მუსლიმები იმ შავთვალეზა ჰურიათათვის იბრძვიან და, თუმც მარტოდენ ერთი ზეცა არსებობს და მის მიღმა არარაა, მაინც, თუ ყველაფერი მართალია, ზეცისა და ჯოჯოხეთის შესახებ რაც გვსმენია, ექვსი ან შვიდი ზეცა უნდა არსებობდეს.

და ისე მკაფიოდ დაჩნდა აჩრდილი მის თვალწინ, რომ გულში ხიშტგარჭობილმა შეჰყვირა „ალაჰ!“ და სამოთხე იხილა მთელი მისი მისტერიებით და ნათელი მარადისობა, შეუნიღბავი მისი სულისათვის უსაზღვრო მზის ამოსვლა, წინასწარმეტყველნი, ჰურიები, ანგელოსნი, წმინდანები მოჩანდნენ ღვთაებრივ ნათელში.

და სახეზე ღვთაებრივნიშნანი მოხუცი ხანი, ვინც ჰურიებს კაიხანია ველარ ხედავდა და აღარც უნდა ენახა თავისი აყვავებული მოდგმის შემყურეს, კედრებივით რომ ერტყმოდნენ გარს ძლევამოსილნი, როს დაინახა მისი ბოლო გმირის დანარცხება მიწაზე მოჭრილ ხესავით, ნუთით შედგა, შეწყვიტა ბრძოლა და გადახედა მოკლულ შვილებს, პირველსა და ბოლოლას.

ჯარისკაცები, რომ დაინახეს მახვილი დაუშვაო, შედგნენ, თითქო კიდევ ერთხელ სურდათ გასცლოდნენ აქაურობას, თუკი ეტყოდათ „გამეცალეთო!“ ვით თავიდან უბრძანა, ველარც მათ ხედავდა და ველარც მათ ქმედებას, მისი გული საგულედან ამოვარდნილიყო და ირწეოდა (აქამდე უძრავი) ვითარცა ლერწამი, და იგრძნო, თუმც სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, რომ მარტო გახლდათ.

მაგრამ ეს წამიერი ყოყმანი იყო; ისკუპა და მკერდით აეგო რუსულ ფოლადზე, ისე დაუდევრად, ვითა პეპელა აფარფატებს თვის ფრთებს სანთლის შუქზე: ახლოს მიიჭრა, რომ უფრო შეფგუფულიყვნენ მის მოსაკლავად, იმ შუბებთან, მისი უმცროსი ვაჟი რომ იმსხვერპლეს, ერთი გადახედა თავის ვაჟებს და ღრმად ამოუშვა სული თვისი.

მეტად უცნაურია, რომ უხეში, გამოჯეკილი ჯარისკაცები, ვინც არც სქესის გამო ინდობდნენ არვის და არც ასაკისა თავიანთი კაცთაკვლის კარიერის მანძილზე, ამ ბერიკაცის ხიშტზე აგების შემდგომ, როს თავის შვილთა გვერდზე მწოლიარეს დაჰყურებდ-

ნენ, შეიძვრნენ მოკლულის ჰეროიზმით და ნუთით მოღბნენ; თუმცა ცრემლი არ გაჩენილა მათ სისხლიან, წითელ თვალებში, მაინც პატივი მიაგეს ასეთ შეუპოვარ დათმობას სიცოცხლისას.

მაგრამ ქვის სიმაგრე ჯერაც აფრქვევდა ცეცხლს, აქ მთავარი ფაშა დინჯად იცავდა თავის პოსტს; ოცჯერ მაინც დაახვეინა რუსებს და აინუნშიაც არ აგდებდა მრავალრიცხოვნებას მტრისა; ბოლოს კეთილი ინება და იკითხა:

— ქალაქის დანარჩენი ნაწილი დგას თუ დაეცა?

და როს შეიტყო, დაეცაო, ერთ-ერთი ბეი გაგზავნა რიბასთან მოსალაპარაკებლად.

თვითონ კი იჯდა ფეხმორთხმით მცირე ხალიჩაზე, აღუშფოთველად, ნანგრევებში და ენეოდა თამბაქოს.

ტროას ასეთი სცენა არ უხილავს; საბრძოლო სტოიზმით აღსავსეს.

ვერაფერი აამღვრევდა მის მკაცრ ფილოსოფიას; ნაზად ივარცხნიდა წვერს და ამბროზიულ ბოლქვებს უშვებდა ჩიბუხიდან, თითქოსდა სამი სიცოცხლე აქვს, ვითა სამი კუდიო.

ქალაქი აიღეს და დანებდებოდა და ჩააბარებდა თუ არა კოშკს, დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; ჯიუტი სიმამაცე ფარად ველარ გამოადგებოდა.

იზმაილი აღარ არსებობდა!

ნახევარმთვარის ვერცხლისფერი ნათელი ჩაქრა და ალისფერი ჯვარი კაშკაშებდა ბრძოლის ველზე, წითელი სისხლი შეუჩერებლივ მოჩქეფდა, და მოგიზგიზე ქუჩათა ანარეკლი მოჩანდა ჟღერისაგან წარმოქმნილ სისხლის ზღვაში, ვითარცა მთვარე კრთოდა მანამდე წყალში.

ყოველი, რასაც გონება განაგდებს, ზედმეტობისა გამო; ყოველი, რასაც სხეული ცუდად მიიჩნევს; ყოველი, რასაც ვკითხულობთ, გვესმის, ხილვად გვევლინება კაცის ხიფათზე; ყოველი, რასაც ეშმაკი დაგვმართებს ჭკუაზე შესაშლელად; ყველაზე უარესი, რაც კალამს შეუძლია აღწეროს; ყოველი, რითაც ჯოჯოხეთი ივსება ხალხით ანუ ჯოჯოხეთზე უფრო სევდიანი, ოდეს უბრალო მოკვდავნი თვის ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ, ყველაფერი ეს აქ ხდებოდა.

ეგებ აქა-იქ შემთხვევითი ნიშნებიც გამოჩნდა სიბრალული-სა და რომელიმე კეთილშობილმა გულმა შეიკავა სისხლისღვრის ჟინი და იხსნა ლამაზი ბავშვი, ან ხნიერი კაცი, ეგება ორიც... ეს რას უშველიდა გაპარტახებულ ქალაქს, სად ცოცხლობდა ათასობით სიყვარული, კავშირები, მოვალეობანი?

ლონდონელო კოკნი! პარიზელო მასკადინო! იხილეთ თუ რა ნეტარი დროსტარებაა ომი.

გახსოვდეთ, რომ გაზეთის კითხვით მოგვრილი სიხარული მოტანილია აგონიითა და დანაშაულით: და თუ არც ეს დაგამნუხრებთ, ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთი ბედისწერა თქვენც მოგელით მომავალში და ამის მაუწყებელია გადასახადები, კასლრეი და ვალეები, კაი ქადაგებასავით ისმის და რითმასაც წაეშველება.

ჰკითხეთ საკუთარ გულს ირლანდიის დღევანდელი ამბები, და მერე გამოაძღეთ დამშეული ერი ველსლის დიდებით.

მაგრამ ჯერაც აქ არის პატრიოტი ერი, ვისაც უყვარს თვისი სამშობლო და თვისი მეფე, საგანი ამაღლებული აღფრთოვანებისა აიტაცე, მუზავ, შენს კაშკაშა ფრთებზე! თუმც მძლავრი კალია გაპარტახებისა აშიშვლებს შენს მინდვრებს და ანადგურებს მოსავალს, მაგრამ ჩონჩხადქცეული შიმშილი ვეროდეს მიაღწევს ტახტამდე, დაე იშიმშილოს ირლანდიამ, დიადი ჯორჯი მაინც ინონის ორასოთხმოც ფუნტს.

მაგრამ ნება მიბოძეთ დავასრულო ჩემი ამბავი:

ბოლო მოელო იზმაილს, ბედუკუღმართ ქალაქს!

შორიდან ჩანდა დუნაის პირას აგიზგიზებული მისი კოშკები. განითლებული მიედინებოდნენ დუნაის ტალღები. შემზარავი საომარი შეძახილები და მსხვერპლის კვილი ჯერაც ისმოდა; მაგრამ ქუხილის ხმა შენელდა, ორმოცი ათასი ზალპიდან, კედლებს რომ ანგრევდა, ასიოდელა შემორჩა, დანარჩენები დუმდნენ.

ერთი მხრივ შეიძლება შევაქოთ რუსეთის არმია ამ შემთხვევაში; ეს სიქველე დაფასებულია დღეს და ღირსია მოხსენიებისა. საკითხი ფაქიზია და ჩემი სიტყვებიც ფრთხილი იქნება; ეგებ ცივი ამინდისა გამო, ეგებ იმიტომაც, რომ დიდხანს დაბინავება უჭირდათ ზამთრობით, ან დასვენება მონებებოდათ და

სურსათიც აკლდათ, ჟინი დაიცხრეს და ძალზე ცოტა იძალადეს და ძარცვეს.

ბევრი დახოცეს, ბევრი ძარცვეს და აქა-იქ არანაკლები სხვა დანაშაულიც ჩაიდინეს, მაგრამ ისეთი დიდი უბედურება არ დაუთევიათ, ვითარცა ფრანგების, ეს ყველაფერს მოდებული ერი რომ სჩადიოდა ქალაქთა შტურმით ალებისას; არ შემიძლია მეტი მიზეზი დავასახელო, გარდა ცივი ზამთრისა და სიბრაღეულისა; მაგრამ ოციოდე ქალზე მეტს არ დაუკარგავს ქალწულობა.

ცოტაოდენი უცნაური შეცდომა კი მოხდა სიბნელეში, რაც მიანიშნებს ფარნების საჭიროებას ან გემოვნებისა... მართლაც რომ ისეთი ბოლი იდგა, ძნელად განასხვავებდი მოკეთეს მტრისაგან; ამასთან, ასეთი რამეც ხდება სიჩქარეში, იშვიათად, მაგრამ მაინც, მაშინაც კი, როს უმანკოთა გადარჩენა სურთ; მაგრამ ექვსი მოხუცი ქალწული, ასე სამოცდაათი წლისა, კი შემოეუბატიურათ ხელში გრენადერებს.

მაგრამ საერთოდ კი დიდად თავშეკავებულად იქცეოდნენ; იმდენადაც, რომ იმედი გაუცრუვდათ მათ, ვისაც დიდად არ ეჭაშნიკება „მარტოხელა დალოცვილობაში“ ცხოვრება და ფიქრობენ, კარგი იქნებოდა (რაკი მათ არ დაბრალდებოდათ, არამედ ბედის მუხტლობას ამ ჯვარის ტარება) თვითეული მორცხვისა და უნიათოსათვის თითო რომაული ჯურის საბინური ქორწილიო, ასე რომ, არც ფული დაეხარჯებოდათ სარეცლის დაქირავებაში.

აქა-იქ შუახნის ჩამრგვალებულ ქალთა ხმებიც გაისმოდა ლოცვა-ვედრების შუაგულიდან (ორმოციოდე წლის დიდი ხნით გამოკეტილი ქვრივებისა):

— რატომ არ იწყება ძალადობა!

მაგრამ როს სისხლისა და ძარცვის წყურვილი ზეობდა, ცოტა დრო რჩებოდა გადამეტებული ცოდვისათვის; და გადაურჩნენ თუ არა, ტყუილ-მართალი ბნელში რჩება და იმედოვნებალა შემიძლია, რომ გადაურჩნენ.

სუვაროვი ახლა უკვე დამპყრობი გახლდათ, ხელობით მსგავსი თემურისა თუ ჩინგიზისა. და ვიდრე მის თვალწინ მერეთები და ქურები ჩალასავით იწვოდა და ქვემეხის ხმა ოდნავ

წყნარდებოდა, სისხლიანი ხელით დანერა პირველი დეპეშა; აი, რას ნერდა სიტყვა-სიტყვით:

„დიდება ღმერთსა და იმპერატრიცას! (ძალაუფლება მარადიულია! მასში ეს სახელებიც ერევა!) იზმაილი ჩვენია“.

ვფიქრობ, ეს უდიადესი სიტყვებია, „მენე, მენე, თეკელ“ და „უფარსინ“-ის მერე მათ შორის, რომელნიც ვინმეს ხელსა თუ კალამს აღუბეჭდავს მახვილის ტრიალის შემდგომ.

ღმერთო მიშველე! მღვდელზე ნაკლებად ვიცი, თუ რა ნაიკითხა დანიელმა ღვთის დანერილი, მკაცრი, ამაღლებული; ნინასწარმეტყველს არ დაუნერია არაფერი ერების ბედისწერაზე; მაგრამ ეს რუსი ისერიგად გამჭრიახი გახლდათ, შეეძლო გაერთიმა ნერონივით, მოგიზგიზე ქალაქის ხილვისას.

მან დანერა და შეასრულა ეს პოლარული მელოდია, შესაფერი აკომპანემენტით კივილისა და კვნესისა, რასაც ცოტა თუ იმღერებს, ვიმედოვნებ, მაგრამ არავის დაავინყდება, რადგან მე ვასწავლი ქვებს, თუკი ეს შესაძლებელია, აღსდგენენ ტირანთა წინააღმდეგ. დაე ნულაროდეს ითქმის, რომ უნდა მონურად დავემორჩილოთ ტახტებს; და თქვენ, ჩვენო შვილიშვილნო! შეაფასეთ თუ რარიგ აღვწერეთ მოვლენები, ვიდრე სამყარო გათავისუფლდებოდა.

იმ საათს ჩვენ ვერ მოვესწრებით, მაგრამ ამ საათებს კი თქვენ გაეცნობით; და დიდ სიხარულს მოგგვრით თქვენს ათასწლეულში, ძლივძლიობით თუ დაიჯერებთ, რომ ეს ყოველი მართლა ხდებოდა, და მე კი კალმით აღვწერ თქვენთვის; მაგრამ მათზე მოგონებაც შეიძლება რომ გაჰქრეს! და მაინც თუ შემორჩა, უნდა გდაგდეთ იმაზე მეტად, ვიდრე გარდასული დროის ველურები გდაგთ, ვინც მკლავებს კი იღებავდნენ, მაგრამ არა სისხლით.

და როს გესმით ისტორიკოსთა ლაპარაკი ტახტებისა და მათ შესახებაც, ვინც მათზე ისხდნენ, დაე ისე უყურებდეთ, ვითარც ჩვენ ვუყურებთ მამონტთა ძვლებს, და გვიკვირს წარსული დროების არსებანი, ან ეგვიპტის ქვებზე ამოკვეთილი იეროგლიფები, სასიამო გამოცანად რომ დაუტოვებიათ მომავლისათვის, რათა გამოვიცნოთ თუ რას მაღავენ ისინი, ანთუ სინამდვილეში რა დანიშნულება ჰქონდათ პირამიდებს.

მკითხველო, მე შევასრულე ჩემი სიტყვა, სხვა თუ არაფერი, პირველ ქებაში დანაპირები ხომ აღასრულე. თქვენს წინაშეა ამბები სიყვარულისა, ქარიშხლისა, მოგზაურობისა, ომისა... ყოველი ზედმინევიანთ აღვწერე, დამეთანხმებით, და ეპიკურადაც, თუკი ნაღდი სიმართლე არსად შემიზღუდავს; რადგან ჩემს წინამორბედებზე გაცილებით ცოტაზე მოვზიდე გრძელი მშვილდი.

დაუდევრად ვიმღეროდი, მაგრამ დროდადრო ფეხუსი მანვდის ლარს, რითაც შემძლია არფა გავმართო, ვითევეზაო და ვიოლინოზეც დავეუკრა.

თუ რა შეიძლება შეემთხვეს შემდგომ ამ დიდი პოეტური გამოცანის გმირს, ნელ-ნელა გეტყვით, თუ საერთოდ მოვახერხე; მაგრამ ან გადავწყვიტე შუაზე გავწყვიტო, დამქანცა იზმაილის ჯიუტი კედელთა დაბომბვამ მაშინ, როს ჟუანი გაგზავნილია შიკრიკად და მთელი პეტერბურგი ამბის მოლოდინშია.

ეს განსაკუთრებული პატივი ერგო, რადგან მამაცურადაც მოიქცა და ადამიანურადაც, რაც ხალხს მოსწონს, როს მოინდომებენ შეაჩერონ სისასტიკე, შობილი ამაოებისაგან.

პატარა ტყვე გოგონას გადარჩენამ ქება მოუტანა ამ მხეცურ, გადარეულ ჟღერებაში, და, მგონი, ამ გოგონას ხსნა უფრორე უხაროდა, ვინემ წმიდა ვლადიმირის ორდენისა ჩამოკიდება.

ობოლი მუსლიმანი თავის მფარველთან ერთად მგზავრობდა, რადგან უბინაო გახლდათ, უსახლო, უსასოო; მისი მეგობრები ჰექტორის ოჯახივით დაილუპნენ ველსა ან კედლებზე; მისი დაბადების ადგილი აჩრდილილა იყო წინანდელისა; აღარ ისმოდა მუეძინის ხმა! უკვე აღარ ისმოდა ლოცვა, ჟუანს შეებრა და ფიცი დასდო, დაეფარა, და სიტყვა შეასრულა.



თავი მეცხრე

პეტიარბურბუნი: კონსტა შიკრიკი და იმპერატრიცა ეკატერინე

ო, ველინგტონ!

ანუ ვილანტონ — ჰარამზადავ (ანუ დიდებისა მიუხედავად ეს გმირული სიტყვა ორივენიარად გამოითქმის; საფრანგეთმა ვერ დაამარცხა შენი ცასმინეწილი სახელი, მაგრამ გაათამაშა და გაამასხრა, დამარცხებულიც კი იცინის შენზე).

ო, ველინგტონ! დიდი პენსიები მიიღე და უფრო დიდი ხოტბა, ვერვინ აღუდგება წინ შენს დიდებას, მაგრამ კაცობრიობა აღსდგება და დაიქუხებს „ნეი!“ (არა).

არა მგონია, კინიარდს კარგად მოჰქცეოდი მარინეტის საქმეში, უგვანად გამოვიდა და, სხვა საქმეებისა არ იყოს, არ ღირს გახსენება შენს საფლავთან ვესტმინსტერის ძველ სააბატოში. სხვა ამბებთან ერთად არსებობის უფლება არც გააჩნია, ასეთი ამბები ეგებ სადმე ჩაის სმის დროს გაიხსენონ ჭორიკნებმა, და თუმცა წლებმა დასასრულისაკენ წაგიყვანა, ჯან-ლონით ჯერაც ჭაბუკი გმირი ხარ.

ბრიტანეთს შენი ბევრი მართებს (და ბევრსაც გიხდის), მაგრამ ევროპას უსათუოდ უფრო მეტი ვალი აქვს შენი: შენ შეაკეთე ლეგიტიმურობის საყრდენი, თუმცა ისეთი უდავო აღარ არის, ვითარცა ადრე: ესპანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში. იხილე თუ რა მძლავრი რესტავრატორი ხარ; ვატერლოომ მსოფლიო შენს მოვალედ გადააქცია (ვისურვებდი შენმა ბარდებმა უკეთ გიმღერონ).

შენ ხარ „ყელის-მჭრელი, საუკეთესო“: ... ახლა არ დამინყო, ასე და ისეო, შექსპირის სიტყვებია და სულაც არაა უადგილოდ მო-

ხმოზილი: ომი თავის გამხეთქი, ძარღვების მბასვრელი ხელოვნებაა, თუნდაც სამართლით იყოს განმტკიცებული. დიდსულოვნად რომ გემოქმედა, მსოფლიოს მბრძანებელნი კი არა, მსოფლიო გაიგებდა და მეც მოხარული ვიქნებოდი მცოდნოდა, გარდა თვით შენი და შენიანებისა, თუ ვის დაშთა სარგებელი ვატერლოოსგან.

მე მლიქვნელი არ გახლავარ, შენ კი გამომძღარხარ მლიქვნელობისგან, ამბობენ, რომ ძალიანაც მოგწონს, და არც დიდად გასაკვირია, რომ კაცი, ვისი მთელი ცხოვრებაც შეტევა და ზარბაზნების სროლა იყო, დაიღალოს ამ გრგვინვა-ქუხილისაგან; და ქება უფრო ეგემრიელოს, ვინემ სატირა, ისიც კი მოენონება, იღბლიან გადაცდომათა გამო რომ აქონ, უნოდონ „ერების მხსნელი“, — ჯერაც რომ არ გამოხსნილან? და „ევროპის გამათავისუფლებელი“ — ჯერაც მონობაში რომაა!

მოვრჩი.

ნადი ახლა და ბრაზილიის პრინცის მიერ მორთმეული ჭურჭლიდან იგემე სადილი, და გუშაგებს, ჭიშკართან რომ დგანან, თითო ნაჭერი გაუგზავნე შენი მდიდრული საკვებიდან: მანაც ხომ იბრძოლა, მაგრამ ისე კარგად არ იკვებება.

ზოგი კიდევ შიმშილობს, ასე ამბობენ, ხალხი ლაპარაკობს, ეჭვი არავის ეპარება, რომ შენ დაიმსახურე შენი არჩივი, მაგრამ გვედრი, ერსაც არგუნე ცოტაოდენი.

არა, გაცემას ვერ მოგთხოვ; ეგეგვარი დიადი ადამიანნი, ვითარც შენა ხარ, ჩემო უფალო ჰერცოგო! შორს არიან ამდაგვარი ქცევისაგან; რომაული ქცევისაგანაც, მაგალითად, ცინცინატუსის მსგავსისაგან, თანამედროვეობას მცირედი რამ თუ აკავშირებს; და თუმც, ვითარცა ირლანდიელს, გიყვარს კარტოფილი, არც მის განაწილებაზე ზრუნვა გჭირია; ნახევარი მილიონი შენი საბინური მამულისათვის ცოტა ძვირია! მჯერა, საზიანოს არას ვამბობ.

დიად ადამიანთ ყოველთვის სძაგდათ დიდი ხარჯები: ეპამინონდასმა იხსნა თვისი თებე და მოკვდა ისე, დასამარხი ფულიც არ დაუტოვებია; ჯორჯ ვაშინგტონმა მადლობები მიიღო და მეტი არაფერი, გარდა შეუბღალავი დიდებისა (რაც ცოტას თუ ღირსებია) სამშობლოს გათავისუფლებისათვის. პიტსაც აქვს

საამაყო, დიდსულოვან მინისტრს სახელმწიფოსი, უანგაროდ რომ ემსახურა დიდ ბრიტანეთს.

აროდეს ჰქონია მოკვდავ ადამიანს ამხელა შესაძლებლობანი, გარდა ნაპოლეონისა, და აროდეს გამოუყენებია ასე ბოროტად; შენ შეგეძლო გაგეთავისუფლებინა ევროპა გაერთიანებულ ტირანთაგან და დაგლოცავდნენ ზღვიდან ზღვამდე; ან კი სად არის შენი დიდება? მუზა იმღერებს შენთვის?

მიდი და ნახე ვითარ ტირის შენი დამშეული ქვეყანა! შეხედე მსოფლიოს! და დანყველე შენი გამარჯვებანი!

რაკი ეს ახალი ქებანი ომის მსგავს გამირობებს ეხება, პირუთვნელი მუზა იტყვის შენზე სიმართლეს, ისეთს, გაზეთებში რომ ვერ ამოიკითხავ, და დროა ვასწავლოთ ხელებში შემყურე ტომს, საკუთარი ქვეყნის სისხლითა და ვალებით რომ სუქდება, სიმართლე, რომელიც წარმოითქმის უქრთამოდ.

დიადი საქმენი აღასრულე, მაგრამ რაკი დიადი გონება არ მოგდევდა, შეუსრულებელი დატოვე უდიადესი... და კაცობრიობაც.

სიკვდილი იცინის...

აბა მიდი და ფიქრებში ჩაღრმავდი ჩონჩხის ხილვაზე, როს კაცი წარმოიდგენს შეუცნობელ მოვლენებს, რასაც ფარავს წარსული; ანდა მზის ჩასვლა, რომელიც სხვაგან ამოდის და მოაქვს ნათელი გაზაფხული... სიკვდილი იცინის ყველაფერზე, რაზეც შენ ტირი; უყურე ამ ყოველნუთიერ მოცახცახე მოლოდინს! როს მუქარის ნესტარი ცხოვრებას შიშად აქცევს, თუნდაც ჯავშნის ქვეშ; ნახე თუ ვითარ ამოუსუნთქავად იკრიჭება მისი უტუჩო პირი!

ნახე, ვითარ დასცინის და სძაგს ყველაფერი ის, რაც შენა ხარ, თუნდ — რაც ყოფილხარ; ყურიდან ყურში არ გადადის მისი სიცილი... არ არსებობს ეგრეთწოდებული ხორციელი ზღვარი; პრანჭვა-გრეხა დიდი ხანია ხმას არ გამოსცემს და მაინც იღიმის; და ახლოს იქნება თუ შორს, ჩამოჰგლეჯს კაცს იმ მოსასხამს (უფრო ძვირფასს, ვინემ მკერავის მიერ შეკერილს), სხეულზე გადაკრულ კანს, თეთრს, შავსა თუ სპილენძისფერს...

მკვდარი ძვლები კბილებს დაკრეჭენ.

და ასე იცინის სიკვდილი, — სევდიანი მხიარულებაა, მაგრამ მაინც ასეა; და ამ მაგალითის შემხედვარე რატომ არ უნდა იყოს

სიცოცხლე ისევე კმაყოფილი, ვითარცა მასზე აღმატებული, და ღიმილით გადაუაროს იმ არარაობათ, ყოველდღიურად რომ ვხვდებით, და რომ ჰქრება ზღვის ქაფივით და უფრო კნინია, ვინემ საყოველთაო წარღვნა, რომელიც შთანთქავს მზეებს ვით სხივებს, სამყაროებს ვით ატომებს, წლებს ვითარ საათებს?

„ყოფნა, არყოფნა? საკითხავი აი ეს არის,“ ამბობს შექსპირი, ვინც სწორედ ახლაა მოდაში. მე არც ალექსანდრე ვარ და არც ჰეფესტიონი, და არც აროდეს მქონია ჟინი აბსტრაქტული დიდებისაკენ; ნეტა კი საჭმელს კარგად ვინელებდე და ბონაპარტეს კიბო სულ არა მჭირდება: აბა რად მინდა ორმოცდაათი გამარჯვება, დიდებისა თუ სირცხვილის მომტანი; თუ არ მექნა კუჭი, რას ვაქნევ კარგ სახელს?

„O dura ilia messorum!“ — „ო, ხისტად მთიბავო ნაწლავე-ბო!“ იმათი სარგებლობისათვის ვთარგმნი, ვინაც უწყის თუ რას ნიშნავს მოუწელებლობა — ეს შინაგანი ბედისწერა, რაც მთელ სტიქსს ერთ პანია კუჭში გაატარებს. გლეხის ოფლი ბატონის მამულს უდრის: იგი ხომ რენტის გადასახდელად შრომობს, და მშვიდად სძინავს და კმაყოფილია.

„ყოფნა, არყოფნა?“ — ვინემ გადავწყვეტდე, მოხარული ვიქნებოდი მცოდნოდა, თუ რას ნიშნავს ყოფნა?

მართალია გრძლად და ფართოდ ვმსჯელობთ და ვვარაუდობთ, რადგან ჩვენ ხომ ვჭვრეტთ, ყოვლისგანმჭვრეტნი ვართ; მე, ჩემდათავად, არცერთ მხარეს არ ავირჩევდი, ვინემ არ დავინახავდი, რომ ორივე მორიგდა ერთხელ და სამუდამოდ. ხანდახან ჩემთვის ვფიქრობ, რომ სიცოცხლე სიკვდილი უფროა, ვინემ სუნთქვის უბრალო მდგომარეობა.

„Que scais-je?“ იყო მონტენის დევიზი და პირველ აკადემიკოსთაც: რომ ყველაფერი საეჭვოა, რასაც კაცმა შეიძლება მიაღწიოს, გახლდათ მათი საყვარელი შეხედულება.

არ არსებობს ეჭვშეუტანელი რამ, და ეს ისევე ცხადია, ვით ნებისმიერი რამ მოკვდავის ყოფაში.

ასე ცოტა ვიცით თუ რანი ვართ ამ წუთისოფელში, ვეჭვობ, თუ ეჭვი თვითონ ეჭვია.

სასიამოვნო მოგზაურობა იქნებოდა, პირონით გვეტივტივა მსჯელობათა ზღვაში, მაგრამ აფრა რომ გაგვექცეს და ნავი

გადაგვიტრიალდეს? ბრძენკაცთ ბევრი არ უწყიან რა ნავიგაციისა; და ხანგრძლივი ცურვა აზროვნების მორევში დამლელია: წყნარი და თავთხელი ნავსაყუდარი ნაპირთან ახლოს, სად კაცი დაიხრება და ლამაზ ნიჟარებს აკრეფს, საუკეთესო რამაა თანამედროვე მოცურავეთათვის.

„მაგრამ ზეცაა მაღლა“, ვითარ კასიო ამბობს — და ნულა ვილაპარაკებთ მეტს ამაზე — „მოდი ვილოცოთ!“ სულები უნდა ვიხსნათ მას შემდეგ, რაც ევა დაცურდა და ადამი დაეცა, რამაც მთელი კაცობრიობა საფლავში ჩააყირავა თევზებთან, ცხოველებსა და ჩიტებთან ერთად; „ბელურის სიკვდილი განსაკუთრებული წინასწარმეტყველებაა“, თუმც რა დააშავა, არ ვიცი, ალბათ იმ ხეზე ბუდობდა, რომელსაც გულმოდგინედ ეძებდა ევა.

ო, უკვდავო ღმერთებო! რა არის თეოგონია? ო, თქვენც, მოკვდავო ადამიანო! რა არის ფილანტროპია? ო, მსოფლიოვ, ყოფილო და არსებულო! რა არის კოსმოგონია?

მავანნი ბრალს მდებენ მიზანთროპიაში, მაგრამ იმაზე მეტი არა ვიცი რა, რაც ამ მაჰოგანის მერხმა, თუ რას გულისხმობენ; ლიკანთროპია წარმომიდგენია, როს გარდაქმნის გარემეც ადამიანები მგლად იქცევიან სულ მცირე შესაძლებლობისთანავე.

მაგრამ მე, ყველაზე ზომიერი და მორჩილი კაცთა შორის, ისეთი ვით მოსე, ან მელანქტონი, ვისაც აროდეს არაფერი ჩაუდენია უკეთური, და (თუმც ვეროდეს ვიტანდი და ავიტან სხეულისა თუ გონების მოხრას) ყოველთვის ვზოგავდი ყველას, რატომ მეძახიან მიზანთროპს?

იმიტომ რომ მათ ვძულვარ მე და მე არ მძულს ისინი.

და აქ კი შევჩერდეთ.

დროა განვაგრძოთ ჩვენი კარგი პოემა, რადგანაც ვზრუნავ, რომ მართლაც კარგი იყოს, არამარტო ძირითადი ნაწილი, არამედ მიძღვნაც, რაც უნდა ძნელად გაიგებოდეს ორივე ამჟამად, მაგრამ თანდათან წარმოაჩინს საკუთარ თავს მთელი ბრწყინვალეობით, თუმც ვიდრე ეს მოხდება, კმაყოფილი უნდა ვიყო, რომ ვინაწილებ მის მშვენიერებასა და სასჯელს.

ჩვენი გმირი (და ვიმედოვნებ, კეთილო მკითხველო, შენიც) დავტოვებ გზაზე მთავარი ქალაქისაკენ, უკვდავი პეტრეს მი-

ერ გაკრიალებული ოტროველებსა, ვინც დღემდე მამაცნი უფრო არიან, ვინემ გონიერნი. ვიცი, დღეს ეს ძღვევამოსილი იმპერია დიდ ხოტბას მოიხვეჭს, თვით ვოლტერიც კი აქებს და სამწუხაროა, რადგანაც მე აბსოლუტურ ავტოკრატის ბარბაროსობად მივიჩნევ, და კიდეე უარესადაც.

და ვიომებ, სიტყვებით მაინც (და — ბედმა ასე მარგუნა — ფაქტებითაც), ყველას წინააღმდეგ, ვინც აზრს ებრძვის; ვიომებ აზროვნების ყველაზე სასტიკ მტრებთან, ტირანებსა და მამებლებთან, ვინც იყვნენ და არიან. მე არ ვიცი, ვინ გაიმარჯვებს, და რომც შემეძლოს განჭვრეტა, ეს ხელს ვერ შეუშლიდა ამ ჩემს პირდაპირ, დაფიცებულ, დამგმობელ ზიზღს ყველანაირი დესპოტიზმისადმი ყოველ ერში.

არ გეგონოთ, ხალხს ვაქებდე: უჩემოდაც საკმაოდ არიან დემაგოგები და ურწმუნონი; მე ძირს ვამხობ ყოველ ბომონს და მათ ადგილას აღვმართავ იმას, რაც საჭიროა. ეგებ მათ სკეპტიციზმი დათესონ ჯოჯოხეთის მოსამკობლად, ვითარცა ქრისტიანული დოგმა ამბობს უხეშად, არ ვიცი, — მსურს ადამიანები იყვნენ თავისუფალნი ვით ბრბოსა, ისე მეფეთაგან — შენგანაც და ჩემგანაც.

ამრიგად, არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი და დავგმობ ყველა პარტიას: ნუ აღელდებით! ჩემი სიტყვები ბოლო-ბოლო უფრო გულიანია და წრფელი, თუნდ ქარის საპირისპიროდაც მსურდეს გაცუტრვა.

ვისაც არა აქვს რა მისაღწევი, ნაკლები ხელოვნებაც სჭირდება; ვისაც არც შებორკვა სურს და არც შემოკლება, შეუძლია სიტყვა გაშალოს, ისევე ვით მე, და ჩემი ხმა მონობის ტურის კივილს არ დაედარება.

აი შესაფერისი შედარებაც — ტურა!

მესმოდა მათი კივილი ნანგრევებში ეფესოს ტაძრისა ღამ-ღამობით, ვითარცა ანგარებიანი მენვრილმანენი ჰკივიან ხოლმე, მდაბალი მოვაჭრენი ძალაუფლებით, გროშის ძებნაში რომ დაიზუზებიან და ეძებენ მსხვერპლს, რასაც მათი ბატონები დააცხრებიან. და მაინც, საბრალო ტურები ნაკლებ საძაგელნი არიან (მამაც ლომთა გამრჯე მომმარაგებელნი), ვინემ ადამიან-მწერები, ობობათა საკვებნი.

მკლავი აღმართეთ მხოლოდ! და მათი ქსელი გადაიგვება; ქსელის გარეშე კი მათი შხამი და ბრჭყალები გამოუსადეგარია.

ყურად იღეთ, კეთილო ხალხო! რასაც ვამბობ (ან, უფრო სწორად, ხალხებო) — ნუ დააყოვნებთ!

ამ ტარანტულთა ქსელი ყოველდღიურად იმატებს, მანამ, სანამ თქვენ საერთო აზრი გაგიჩნდებოდეთ. არავინ, მხოლოდ ესპანური ბუზი და ატიკური ფუტკარი იკბინებიან ცხარედ, რათა გათავისუფლდნენ.

დონ ჟუანი, ვინც თავი გამოიჩინა ამ უკანასკნელ კაცისკვლაში, მარტო მიეშურება გზავნილით ხელში, სად სისხლზე ისეა საუბარი, ვით ჩვენ წყალს ვახსენებთ ხოლმე; და ჩონჩხები, ფიჩხივით დაყრილი, დადუმებული ქალაქის ირგვლივ, მხოლოდ სადიდებლად გამოიყენება ეკატერინესი, ვინც ერების ამ შერკინებას ისე უყურებდა, ვით მამლების ბრძოლას, და უხაროდა, მისიანები კლდესავით რომ იდგნენ.

და მიგორავდა ჟუანი კიბიტკაში მჯდომი (დიდად დაწყევლილი ურესორებო ეტლია, ცუდ გზაზე ძვლებსლა რომ დატოვებს კაცისაგან), ფიქრობდა სახელზე, რაინდობასა და მეფეებზე, და ორდენებსა და ყოველივეზე, რაც მოიმოქმედა — და ოცნებობდა: ნეტა საფოსტო ცხენებს ფრთები ჰქონდეთ პეგასისაო, ან დილიჟანსებს ჰქონდეთ ბუმბული, როს მოგზაური შორეულ გზაზე მიდისო.

თვითეულ დაჯანჯღარებაზე — და ჯანჯღარს რა გამოლევდა — გადახედავდა თავის ციცქნა საზრუნავს და ნატრობდა, ნეტა ჩემსავით არ იტანჯებოდესო, ამ სევდიან შარაზე, ქვალორღისა და ღრმულთა და მშვენიერი ბუნების ამარა რომ მიეტოვებინათ, რომელიც არც გზას ასწორებს, არც ნავეებს უშვებს არხებში, სად ღვთის ხელშია ზღვაც და მინაც, თევზაობაც და მინათმეურნეობაც.

და რენტასაც არ იხდის, და საუკეთესოდ იყენებს იმას, რომ პირველია მათ შორის, ვისაც „ჯენტლმენ ფერმერს“ ვუნოდებთ — ეს მოდგმა საკმაოდ გაიცვითა ამ ბოლო დრომდე, როს რენტა აღარსადაა, და „ჯენტლმენები“ შესაბრალის დღეში ჩაცვივდნენ, „ფერმერთ“ აღარ ძალუძთ დაცემული ცერერას ფეხზე და-

ყენება, ბონაპარტემ ვინც დასცა — რა უცნაურია აზრად მოგივიდეს, აღსდგე, როს იმპერატორები ეცემიან შვრიისა გამო.

მაგრამ ჟუანმა ამ საყვარელ ბავშვს მოხედა, ვინც მოკვდინებას გადაარჩინა — აი, ნადავლი! უჰ! თქვენ, ვინც ძეგლებს იდგამთ სისხლით მოსვრილებს — ნადირ შაჰივით, ამ კუჭში შეკრული სეფიანივით, ვინც ჰინდუსტანის აკლების შემდგომ მოგულს შეუარა ფინჯან ყავაზე, ალბათ დარდის გასაქარველად, მოკლეს, ცოდვილი! ალბათ იმიტომ, სადილს რომ ვეღარ ინელებდა.

აჰ შენ! ან ჩვენ! ან მან! ან იმან! იფიქრეთ, ერთი სიცოცხლე გადარჩენილი, განსაკუთრებით ყმანვილისა და ლამაზისა, უფრო საამო გასახსენებელია, ვინემ მწვანე დაფნა, მონყვეტილი ადამიანურ თიხის ნარჩენთაგან, თუნდ მოფენილი იყოს განთქმული თუ ნამდერი პრიზებისაგან, ყოველ არფაზე აჟღერებულისა თუ შენი გული არ გამოეხმაურება ბანით, სახელ-დიდება მარტოდენ ხმაურად რჩება.

ო! დიდო ავტორნო ბრწყინვალე და დიდტანიან შრომათა! თქვენ, ორ მილიონამდე გადამწერნო! რომელთა პამფლეტებიც, ტომებიც, გაზეთებიც გვანათლებენ! მერედა რა, თუკი მთავრობა გქრთამავთ, რათა დაამტკიცოთ, ვალებში არ ვიხრობითო — ან უხეშად კურნავთ „კარისკაცთა იარებს“ ამ მასხარათა ქუსლებზე; თქვენივე პოპულარობა გკვებავთ, როს ბეჭდავთ ამბებს ნახევარი სამეფოს შიმშილზე.

ო, დიდო ავტორნო! — „**A propos des bottes**“, — დამავინყდა, რის თქმას ვაპირებდი, ასე დიდ ბრძენთაც ემართებათ, რალაცა იყო დამამშვიდებელი ყველა ბრაზისა, ყაზარმებში იქნებოდა, სასახლეებსა თუ ქოხებში, ცხადია, უკუაგდებდნენ, და ესაა, რომ მამშვიდებს, და არ ვდარდობ დაკარგულ რჩევას, თუმც ეჭვიც არ მეპარება, ფასდაუდებელი იქნებოდა.

მაგრამ რაც იყო, იყო; ერთ დღესაც აღმოაჩენენ „წინა მსოფლიოს“ სხვა რელიკვიებთან ერთად, ოდეს ეს მსოფლიო წინა გახდება, მინისქვეშა, თავდაყირა, მოლუნული, გამომშრალი, დაგორგლილი, გამომცხვარი, შემწვარი ანუ დამწვარი, ამობრუნებული თუ დამხრჩვალი, ისევე ვითარცა მანამდელი მსოფ-

ლიონი, ჩვენამდე რომ დაიქცნენ, და მერე ისევ მოდის ქაოსი და ფენა, ზედ რომ გადაგვეფარება.

ამას ამბობს კუვიე;

და შემდეგ ახალი ქმნილება მოვა, აღიმართება ძველ ნამსხვრევებზე, რალაც მისტიკურ, უძველეს ჯიშზე, განადგურებულსა და ჰაერში ეჭვად დარჩენილზე; აი ისეთზე, დღეს რომ ვერთობით საუბრებით ტიტანებზე, გოლიათებზე, ასი ფუტის სიმაღლის ყმანვილებზე, ნულა ვიტყვით, ასი მილისაო, და მამონტებსა და ფრთიან ნიანგებზე.

წარმოიდგინეთ, ჯორჯ მეოთხე რომ ამოთხარონ! ვითარ გაოგნდებიან ახალი მსოფლიოსანი იმ ახალ აღმოსავლეთში, ნეტა სად შეიძლებოდა ევახშმათ ასეთ ცხოველებსო! (რადგან ისინი თვითონ ხომ ბოლო-ბოლო საცოდავი ნასხლეტები იქნებიან, ხშირი შობის შედეგები, ყოველმა ახალმა ქმნილებამ ხომ დაიკლო ზომა; მასალის გადამეტებულმა ხმარებამ ხომ ადამიანები მწერებად აქცია მიწაში აღმოჩენილ უზარმაზარ ნამარხებთან შედარებით).

ვით შეხედავენ — ეს ახალგაზრდა ხალხები, ახალგამოყრილნი რომელიღაცა ნედლი სამოთხიდან, გუთანსმოკიდებულნი, მთხრელნი, ოფლმდინარენი, საქმეს შეჭიდებულნი, მთესავნი, მრგველნი, მომკელნი, მრთველნი, დამფუკველნი, ყველა საქმის შემსწავლელნი, განსაკუთრებით ომისა და გადასახადთ — ვით შეხედავენ ამ დიად გადმონაშთთ, ოდეს იხილავენ ურჩხულთა მსგავსთ ახალ მუზეუმში?

მაგრამ ძალზე გადავიჭერ მეტაფიზიკაში: „დროთა კავშირი დაირღვა“, — და ჩემიც; სულ დამავინყდა, რომ ეს პოემა სალალობოა და სათრეველი და ძალზედ მშრალ საკითხებს შეეხებ. წინასწარ არ ვწყვეტ თუ რა უნდა ვთქვა, და ამას მივიჩნევ პოეტურობად: კაცმა უნდა იცოდეს, რასა წერს და რატომ და რა მიზნით; მაგრამ შენიშვნისა თუ ტექსტის წერისას აროდეს ვუნყი თუ რა იქნება სიტყვა შემდგომი.

ასე ვხლართავ რა, აქა-იქ ვყვები, მერე განსჯას მივეცემი:

ან თხრობის დროა.

ღონ ჟუანი იქ დავტოვე, სად ცხენები მიაჭენებდნენ და ახლა დიდწილად სწორედ აქეთ ნავალთ. მის მოგზაურობას დაწვრი-

ლებით აღარ აღვწერთ, იმდენი გზა გამოვიარეთ ამ ბოლო ხანს; მამ წარმოვიდგინოთ პეტერბურგში;

წარმოვისახოთ ის სახელოვანი დედაქალაქი ფერად-ფერადი თოვლებით.

წარმოიდგინეთ ყუანი მოხდენილ უნიფორმაში, — შავსირმებიან ალისფერ ქურთუკში, გრძელი ბუმბულით, აფრასავით რომ ირხევა ქარში გვერდზე დახურულ ქუდზე დამაგრებული, ხალხით სავსე დარბაზში, ქერნ გორმივით მბრწყინავ ბრიჯით, ვგონებ, ყვითელი ქაშმირისაგან შეკერილით, ახალმონველილ რძესავით თეთრი წინდები უნაკლოდ რომ შემოტკეცოდა ნვივებზე.

წარმოიდგინეთ გვერდზე ჩამოკიდებული ხმლითა და ქუდით ხელში, დამშვენებული სიყმანვილით, სახელ-დიდებითა და არმიის მკერავისა მიერ — ამ დიდი ჯადოქრისა, ვისი ჯოხის ბრძანებასაც მშვენიერება ემორჩილება, და თვით ბუნებაც კი ფერმკრთალდება, როს ხედავს თუ ხელოვნება ვითარ დიდებულების შემქმნელია (როს კაცის კიდურებს არ შებოჭავს ციხის ზედამხედველივით); შეხედეთ ყუანს, თითქო კვარცხლბეკზე იდგეს! ისე ჩანს, თითქო სიყვარული გარდაქმნილა არტილერიის ლეიტენანტადო.

სახვევი მისი ყელსახვევში ჩაიმალა; ფრთები ეპოლეტებმა დაფარა; კაპარჭი ქარქაშად დაიმცრო, ისრები პატარა და ბასრ მახვილად იქცა; მშვილდი გვერდზე დახურულ ქუდად გადაიქცა; მაგრამ მაინც ისე ჰგავდა, ფსიქე სხვა ცოლებზე უფრო ჭკვიანი იქნებოდა (მათზე, ვინც არანაკლებ სისულელეებს სჩადიან), ყუანი კუპიდონში თუ არ აერეოდა.

კარისკაცები თვალს არ აცილებდნენ, ქალბატონები ჩურჩულებდნენ და იმპერატრიცა ილიმებოდა: მონარქის ფავორიტი იბღვირებოდა — დამავიწყდა, რომელი იყო მაშინ იქ; რადგან ძალზე ბევრი არიან, რიგრიგობით რომ იღებდნენ იმ რთულ ბრძანებას იმ დღიდან, რაც მის უდიდებულესობას გვირგვინი დაადგეს: მაგრამ უმეტესწილად ექვსი ფუტის სიმაღლის ფიცხი ჯეელები იყვნენ, პატაგონელსაც კი რომ აეჭვიანებდნენ.

ყუანი მათ არა ჰგავდა, თხელი იყო და წერწეტი, უწვერული და წითლდებოდა; და მაინც იგრძნობოდა მის მოძრაობასა და

უფრო მეტად მის თვალეზში, რომ თუმც რომელიღაცა სერა-ფიმსა ჰგავდა, მამაკაცი იმალებოდა ამ არამინიერ გარეგნობაში. ამასთან, იმპერატრიცას ხანდახან მოსწონდა ბიჭები, განა სულ ახლახან არ დამარხა ლამაზსახიანი ლანსკოი.

და აბა რა გასაკვირია, რომ იერმოლოფს ან მომონოფს, ან შერბატოფს, ანდა სხვას ვისმე შეშინებოდა, მისმა უდიდებულესობამ ადგილი არ გამოძებნოს გულსა თუ სამყოფელში (რაც არც ისე მყარი გახლდათ) ახალი ცეცხლის ალისათვისო; ესევეითარი ბნელი ფიქრნი ჩნდებოდა ამ შემთხვევისა გამო, რაც ძნელი სათქმელია, მსუბუქი იყო თუ მძიმე მისთვის, ვისაც, იმ ვითარების ენაზე, „მაღალი ოფიციალური მდგომარება“ ეკავა.

ო, ნაზო ქალბატონებო! თუ გნებავთ შეიტყოთ, საიდან შემოვიდა ეს დიპლომატიური ფრაზა, სთხოვეთ ირლანდიის ლონდონდერის მარკიზს, გაჩვენოთ თავისეული მეტყველების ნაწილები; და ის უცნაური განლაგება სიტყვებისა, ისე რომ ჩამწკრივებულან, ღვთაებრივისა არა სცხიათ რა, და ყველა კი ემორჩილება; ეგებ რალაცა ახირებული უაზრობა კიდევ გამოიტანო და იმ მწირი სიტყვათმოსავლიდან ფშუტე თავთავიც მოწყვიტო.

ვფიქრობ, შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი ისე, რომ სევდიანი მხეცისა და მსხვერპლის ამბავი არ დამჭირდეს — იმ სფინქსისა, რომლის სიტყვებზეც მუდამ საეჭვო იქნება, მისივე საქმენი რომ ხსნიდეს ყოველდღიურად იმ ურჩხულისებრ იეროგლიფებს იმ გრძელი სადინარიდან სისხლისა და წყლისა, ჩლუნგი კასლრეი რომ გახლავთ!

აქ ერთი ანეკდოტი უნდა გიამბოთ, საბედნიეროდ, არც გრძელია და არც მძიმე სასმენი.

ინგლისელმა ლედმი ჰკითხა იტალიელს, რა არის ნამდვილი და ოფიციალური მოვალეობა იმ უცნაური რამისა, რაც ქალებს ძვირად უღირთ, და რაც ხშირად თავს დასტრიალებს გათხოვილ ლამაზმანებს, და რასაც „ჩიჩისბეის“ უწოდებენ? — პიგმალიონობა ხომ არა, ქანდაკება რომ გააცოცხლა (ეჰ, ვშიშობ, რომ სწორედაც ასეა) მისმა ხელოვნებამო. ქალბატონმა, ვისაც განმარტებას სთხოვდნენ, მიუგო — „ლედი, გვედრით თვითონ გამოიცანით“.

და მეც გვედრით თვითვე ივარაუდოთ, თუ ვითარ ზომიერებით განმარტავდა გათხოვილი ქალი იმპერიული ფავორიტის მდგომარეობას. მაღალი ადგილი გახლდათ, უმაღლესი მთელ სახელმწიფოში, ფაქტობრივად და არა თანამდებობით; და ამ ადგილის მფლობელთ უსათუოდ ეჭვი ღრღნიდათ თვითეული ახალი მხარბეჭის გამოჩენაზე, რაც უფრო ფართო იქნებოდა, მით მაღლა იწევდა მფლობელის საბირჟო ფასი.

ყუანი, ვითარ მოგახსენეთ, ძალზე ლამაზი ჭაბუკი გახლდათ, და ეს ჭაბუკური გამომეტყველება შეენარჩუნებინა, მიუხედავად იმ დროის დადგომისა, როს ბალანი ამოდის და არღვევს სილამაზეს წვერით, უღვაშითა და მისთანანით. მიმზიდველი პარისული გამომეტყველება, რამაც გაანბილა ტროა და დააფუძნებინა დოქტორს ქომონსი — მე გავიზუთხე გაყრათა ამბები, რომლებიც, თუმც ჭადრაკულად, მაგრამ მაინც პირველ ჩანანერში ილიონის ზარალზე გვიამბობს.

და ეკატერინე, ვისაც უყვარდა ყოველი (გარდა თვისი ქმრისა და გაუშვა კიდეც მოუსავალში) და ძალზე მოსწონდა გართობა იმ გოლიათ ჯენტლმენებთან (მეტისმეტი ქალებსაც ყირჭდებათ), რალაც ნაზი გრძნობებიც ჰქონდა და აღმერთებდა იმ გარდაცვლილ ლანსკოის, ვინც ისეთი საყვარელი ყოფილა, უხვ ცრემლად დაუჯდა ეკატერინეს, თუმც მხოლოდ რიგით გრენადერად ჰყავდა.

ო, შენ „*teterrima causa*“ ყველა „*belli*“-სა, შენ, კარიბჭევ სიცოცხლისა და სიკვდილისა — შენ, ძნელალსანერო! ადგილო, სად შევდივართ და სიდან გამოვდივართ, — უნდა შევყოვნდე და ჩავფიქრდე, თუ ვით ეფლობიან ყველანი შენს მრავალწლიან შადრევანში: არ ვუნყი, ვითარ დაეცა კაცი, თუმც ვიცით, თუ ვით შემოეძარცვა ტოტები ქალის პირველ ნაყოფს; მაგრამ არავითარი ეჭვი არ არის, თუ ვით ეცემა და დგება კაცი მას მერე.

მავანნი „ომის ყველაზე ბოროტ გამჩალებელს“ გეძახიან, მაგრამ მე დავიჟინებ, რომ საუკეთესო ხარ: რადგან ბოლო-ბოლო შენგან მოვდივართ და შენთან მოვდივართ, ამიტომ რისთვის უნდა ამოგიშენოთ კედელი და გავაბერწოთ მსოფლიო? რადგან ვერავინ უარჰყოფს, რომ შენ ამრავლებ დიდსა

თუ მცირე ქვეყანას; შენ გამო და უშენოდ ჩერდება ყოველი, შენ, ზღვაო, მშრალი მიწის მომრწყველო!

ეკატერინე დიადი ნიმუში გახლდათ ომის ამ დიადი მიზეზისა, ან ვითარც გნებავთ უწოდეთ (ყველაფრის მიზეზია, რაც კი არსებობს, და თქვენ რაც გენებოთ, ამოარჩიეთ) — და ვით მოგახსენეთ, ეკატერინეს მეტად გაეხარდა ამ კოხტა შიკრიკის დანახვა, ვის ბუმბულებზეც გამარჯვება შემოსკუპულიყო; და როს ყუანმა დაიჩოქა და გზავნილი მიანოდა, უყურებდა და ბეჭდის გატეხვა დაავიწყდა.

მერე გაახსენდა, რომ იმპერატრიცაც ბრძანდებოდა, გარდა იმისა, რომ ქალი გახლდათ (რაც მისი დიადი არსების მესამედ ნაწილს შეადგენდა), და გახსნა წერილი და გაირინდა სამეფო კარი, მის გამომეტყველებას რომ ადევნებდა თვალს, ვინემ სამეფო ღიმილი გადახსნიდა იმ დღის მშვენიერ ამინდს. თუმც სახე მისი ფართო იყო, მაგრამ მაინც კეთილშობილი იერისა, ლამაზთვალეა და მოხდენილი ბაგისა.

დიდი სიხარული შეუდგა, ან უფრო სწორად, სიხარულები: პირველი ის გახლდათ, რომ ქალაქი აღებული იყო და ოცდაათი ათასი თურქიც მოკლული. გამარჯვების სიხარული აღებეჭდა სახეზე, თითქო მზე ამოსულიყოს აღმოსავლეთ ინდოეთიდან. ამან თითქო წუთით დაუცხრო პატივმოყვარეობა, ვით არაბეთის უდაბნოს აცხრობს ზაფხულის წვიმა: ამაოდ! ვითარც წვეთები ვერ შველის გაფიცებულ ქვიშას, სისხლი მარტოდენ ხელებსა ჰბანს პატივმოყვარეობას!

მეორე ის გახლდათ, რომ გაახალისა და ღიმილი მოჰგვარა გიჟი სუვოროვის რითმებმა, ვინც ერთ უშნო რუსულ კუპლეტში ჩატია მთელი გაზეთი მის მიერ ათასობით დახოცილთა.

მესამე ქალური მცდელობა გახლდათ, შეეკავებინა ცახცახი, ბუნებრივად რომ აათროლებს ხოლმე ჩვენს ძარღვებს, როს მბრძანებელს მოკვლის სურვილი მოუვლის და გენერლები ხუმრობაში გაუტარებენ.

პირველი ორ განცდა სავსებით გამოჩნდა, თვალები აენტო, სახე გაებადრა, მთელ სამეფო კარსაც მაშინვე სიხარული მოეფინა და გაიფურჩქნა ვით მორწყული ყვავილები დიდი ხნის

გვალვის შემდეგ. მაგრამ როს მის ფერხთით მყოფ ლეიტენანტს შეხედა მისმა უდიდებულესობამ, ისე შეათვალიერა, ვითარცა ახალი უსტარი, და ლმობიერად დააცქერდა, მთელი მსოფლიო ყურადღებად იქცა.

თუმც რალაცნაირად დიდი იყო, მიუნვდომელი და მრისხანე ცუდ გუნებაზე ყოფნისას, მაგრამ კმაყოფილებისას, მეტად სასიამოვნო არსება გახლდათ; აი, ისევეთარი, ვარდისფერი ნაყოფი რომ უყვართ, მნიფე, ნვნიანი, რომ იტყვი, ნეტა მაყურებინა, ვიდრე შემძლიაო. ყოველ ვნებიან მზერას გულისხმიერად აფასებდა და ჩვეულებად ჰქონდა მაშინვე ზუსტად და სრულად მიელო კუბიდონის ვექსილები და ნისიის უფლებას არავის აძლევდა.

ნისია, თუმც ზოგჯერ მისწრება კია, მაგრამ მასთან საჭირო არ გახლდათ, რადგან ამბობენ, ტანადი იყოო, და თუმც დაუნდობელიც, შემწყნარებლურად გამოიყურებოდა და მუდამ ძალზე კარგად ექცეოდა ფავორიტებს. და თუ ოდესმე მის ბუდუარში შეაბიჯებდი, „იღბალი“ გაგებრიქებოდა, „კაცად იქცეოდი“ (ვით ჯაილსი ამბობს); რადგან თუმც მთელი ერების დაქვრივება შეეძლო, კაცი უყვარდა ვითარცა კაცი.

რა უცნაური რამაა კაცი?

და რაოდენ უფრო უცნაურია ქალი!

რა ქარიშხალი უტრიალებს თავში, და რა სახიფათო მორევია მისი დანარჩენი არსი! გათხოვილია თუ ქვრივი, ქალწულია თუ დედა, შეუძლია ქარივით შეიცვალოს აზრი: რაც უთქვამს თუ ჩაუდენია, არარაა იმასთან, რისი თქმაცა და ჩადენაც შეუძლია; — უძველესია ჩანანერებში და მაინც სულ ცინცხალია!

ოჰ, ეკატერინევ! (ყველა შორისდებული შენდამი მოძღვნილი, აჰ! იქნება თუ ოჰ! სიყვარულს ან ომს განეკუთვნება) რა უცნაურია ადამიანურ აზრთა კავშირი, როს ფიქრისას ერთმანეთს ეჯახებიან! სწორედ ახლა დაიშალნენ შენი ფიქრნი სხვადასხვა ნაწილებად: ჯერ იზმაილის დაპყრობამ შეიპყრო შენი ფანტაზია; მერე ახალ რაინდთა ძლევამოსილი გუნდის წარმოდგენამ; მესამე — იმან, ვინც დეპეშა მოგიტანა!

შექსპირი ახსენებს „მერკურს, ციურთ შიკრიკს, წარმოგზავნილს ცად მიბჯენილ, მალალ მთის წვერზედ;“ და რალაც ასეთი

წარმოუდგა მის უდიდებულესობას, როს ქაბუკმა შიკრიკმა მუხ-
ლი მოიყარა მის წინაშე. მართალია მთა მეტად მაღალი გახლდათ
ლეიტენანტისათვის ასაცოცებლად; მაგრამ ოსტატობას თვით
სიმპლონის ჭიუხები დაუძლევიან და, ღვთის მადლით, სიყმანვი-
ლითა და ჯანმრთელობით, ყველა კოცნა „ცად მიბჯენილა“.

მისმა უდიდებულესობამ დაჰხედა, ქაბუკმა აჰხედა — და
შეუყვარდათ ერთმანეთი — ეკატერინეს მისი სახე შეუყვარდა,
მოხდენილობა და უფალმა უწყის — რა, რადგანაც კუპიდონის
თასი, კვინტესენციური ლაუდანუმი თუ „შავი წვეთი“, პირველი
ყლუპიდანვე ათრობს, ჩაყლაპავ თუ არა, ძირამდე გამოცლა
არა სჭირდება; რადგან თვალი სიყვარულში ყველა შადრევანს
გამოაშრობს (ცრემლებს გარდა).

თავის მხრივ ჟუანს, თუ არ შეუყვარდა, დაეუფლა არანაკ-
ლებ მბრძანებლური გრძნობა, საკუთარი თავის სიყვარული —
რომელიც გვეწვევა, როს განთქმული მომღერალი, მოცეკვავე
ან ჰერცოგინია, პრინცესა, იმპერატრიცა „კეთილს ინებებს და
დაგვიდასტურებს“ (პოუპის ფრაზაა) დიდ ვნებას, თუნდაც ნაჩ-
ქარევს, გამოგვარჩევს ერთს მრავალთაგან, ვრწმუნდებით,
რომ არავიზე ნაკლები არ ვყოფილვართ.

ამასთან, ჟუანი იმ სასიამოვნო ხნისა გახლდათ, როს ყველა
ასაკის ქალი თანაბრად გიყვარს — როს დიდად არც დაგიდევთ,
ვინ გაგვიტაცებს, ისევეთარი მამაცნი ვართ, ვით დანიელი ლო-
მის ბუნავში, და ძალგვიძს ჩვენი მზე დავაცხროთ ახალ ოკეა-
ნეში, ახლად რომ ჩნდება მზის ჩასავალად, ვით ჰელიოსი ჩადის
თეტიდას მარილიან ზღვაში.

თვითონ ეკატერინე (ეს უნდა აღვნიშნოთ ეკატერინეზე)
თუმც სასტიკი და სისხლისმღვრელი იყო, კეთილი გახლდათ
მათდამი, ვისთანაც დროებით ვნება აამებდა, რადგან თვითეუ-
ლი საყვარელი მეფესა ჰგავდა, ეროტიკული ნიმუშის მეფეს,
მონარქიულ ქმარს, ოლონდ უბეჭდოდ, რაც, ჯანდაბა, აუცილე-
ბელი ნაწილია ქორწინებისა, ნესტრის ამოღებასა და თაფლის
დატოვებასა ჰგავს.

და როს ამას დაუმატებ მის ქალურობას, ზენიტში მყოფს,
მის ცისფერსა თუ ნაცრისფერ თვალებს (ისინი, სული რომ

სდგმოდათ, ისეთივე მშვენიერი იქნებოდნენ ან უკეთესნიც, ვით საუკეთესო ნიმუშებზე ამბობენ: ნაპოლეონისა და მარიამის, (სკოტლენდის დედოფლისა), თვალეზში ფერს ტრანსცენდენტური სხივი ერწყმოდა; და პალადისაც იმავე ფერისა ყოფილა, მაგრამ ისეთი ბრძნული, ვერ გაარჩევდი შავი იყო თუ ლურჯი.)

მისი ტკბილი ღიმილი და მისი წარმოსადეგი აღნაგობა, მისი სისავსე და იმპერიული კეთილგანწყობა, რომ ბიჭი ამჯობინა გაცილებით ზორბა კაცებს (ჯეელთ, რომელთაც მესალინა პენსიას დაუნიშნავდა), სიცოცხლით ტკბობა, იმჟამად უხვად რომ მოსჩქეფდა სხვა დანარჩენთან ერთად, რომელთა ჩამოთვლაც საჭირო არაა, სავსებით კმაროდა, რათა ეს ლანირაკი ამოებამი ჩაფლულიყო.

ჰო, საკმარისია, რადგან სიყვარული ხომ ამოებაა, თავკერდა თხემით ტერფამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როს მტკნარი სიგიჟეა, გადამრევი სული, რომელიც ისწრაფის შეერწყას სილამაზის მყიფე სისულელეს, რაზეც ვნების არსია დამყარებული, და ამიტომაც ზოგიერთი წარმართი ფილოსოფოსი სიყვარულს სამყაროს წყაროდ აცხადებს.

გარდა პლატონური სიყვარულისა, გარდა ღვთის სიყვარულისა, გარდა სანტიმენტალური სიყვარულისა, ერთგული წყვილის სიყვარულისა (აქ კი სიყვარულს მტრედი უნდა გავურთიშო [love=dove], რაც კაი ძველი ორთქლმავალი ნავივითაა, ლექსებს რომ ამოდრავებს, გონების ჯიბრზე — გონება ვეროდეს ეწყობა რითმებს და აროდეს დააყენებს ბგერას აზრზე წინ), გარდა მთელი ამ თავისმოტყუებათა წყებისა, არსებობს ისეთი რამ, რასაც გრძნობები ეწოდება;

ის ძვრები, ის გარდაქმნანი ჩვენს სხეულებში, რაც აიძულებთ გამოვიდნენ თიხის გროვიდან და შეერწყან ქალღმერთს, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ყველა ქალი თავდაპირველად ქალღმერთია.

რა მშვენიერია ის წამი!

და რა უცხოა ის ციებ-ცხელება, წინ რომ უძღვის უხალისო უკანდახევას ჩვენთა გრძნობათა! რა ახირებული რამ არის გამომწყვდევა სულისა თიხაში!

ყველაზე კეთილშობილური სიყვარული პლატონური სიყვარულია, იმთავიდან ამთავამდე; მეორე დიადი სიყვარული — ქრისტიანულად მონათლული — კანონიკური სიყვარული გახლავთ, როს სასულიერო პირი ჰკიდებს ხელს საქმეს; მესამე ყაიდისა კი ის არის, რაც აღნიშნულია ჩვენს ქრონიკაში და ჰყვავის მთელ საქრისტიანოში, როს ერთგული დიასახლისები სხვა კავშირთ ფარულ ქორწინებებსაც დაუსართავენ ხოლმე.

ჰო, ნუ მოვყვებით ანალიზს, ჩვენი ამბავი თვითვე იტყვის ყოველივეს: მონარქი გაოგნებული იყო, ჟუანი მეტად ნაამები მისი სიყვარულითა თუ ხურუშით; — არ შემიძლია არ შევცვალო ადრე დაწერილი სიტყვები; და ორივე ისე ამოიგანგლა ადამიანურ მტვერში, რომ თუ ერთს ახსენებდი, მეორეც თავს ნამოჰყოფდა; და ამ ვითარებაში რუსეთის დიადი იმპერატრიცა ისე იქცეოდა, ვით უბრალო დიაცი, ქსლისა მბეჭველი.

მთელი სამეფო კარი დადნა და ვრცელ ჩურჩულად გარდაიქცა, თვითეული ტუჩი თვითეულ ყურს მიენება! აჭრიალდნენ მხცოვან ქალბატონთა ნაოჭები, ეს რა ვნახეთო; ახალგაზრდებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთურთს და საყვარლად, ენის მოჩლექით, ღიმილით განიხილეს საკითხი, მაგრამ მეტოქეობის ცრემლიც აკიაფდა იქვე მდგომი არმიის დაბინდულ თვალებში.

ყველა სახელმწიფოს ყოველმა ელჩმა გამოიკითხა, თუ ვინ იყო ეს ახალი ყმანვილკაცი, ვინც იმედს იძლეოდა, რომ დიდებას მოიხვეჭდა ორიოდ საათში, ძალიან მალე, ეს სოფელიც ხომ წუთისაა. ისინი უკვე ხედავდნენ ვერცხლის შხაპუნას, მანეთთა წვიმას, ჟუანის სკივრში ჩადინებულს, ამასთან, აქსელბანტებსა და ათას სულ ყმასაც.

ეკატერინე გულუხვი გახლდათ, — ასეთი ქალბატონები ყველანი გულუხვნი არიან: სიყვარული დიადი გამლებია გულისა და ყველა გზისა, რაც მისკენ მიდის, ახლოს იქნება თუ შორს, მალლა თუ დაბლა, შეკრული თუ გახსნილი — სიყვარულიყო (თუმც დაწყველილი მადა ჰქონდა ომებისადმი, და არც საუკეთესო ცოლი გახლდათ, კლიტემნესტრასი არ იყოს, თუმც ალბათ სჯობს კაცი მოკვდეს, ვინემ ბორკილები ათრიოს) ეკატერინეს რომ კარნახობდა საყვარლების გამდიდრებას, განსხვა-

ვებით ჩვენი ნახევრად უმანკო ელიზაბეთისაგან, ვინც სიხარბით მოითხოვდა ხარჯების განწევას, თუ ისტორია, დიადი მატყუარა, სიმართლეს ღალადებს; თუმც მწუხარებამ მოუსწრაფა სიცოცხლე მოხუცობისას, რადგან ფავორიტი სიკვდილით დასაჯა; მდაბალმა და გაუგებარმა მეთოდმა არშიყისა და სიხარბემ შეარცხვინა მისი სქესიცი და მდგომარეობაც.

მაგრამ როს ჟრიაშულმა იმატა და აურზაურიც დატრიალდა, სხვადასხვა ქვეყნის ყველა ელჩმა ალყა შემოარტყა ყმანვილკაცს და მილოცვები დააყარეს.

იქვე გაისმა ნაზ ქალბატონთა აბრეშუმის შარიშურიც, რომელთა წრეშიც ძალებს აღიდგენს კაცი, იფიქრებს მათ ლამაზ სახეებზე, განსაკუთრებით მაშინ, ოდეს მალალი მდგომარეობისაკენ მიუძღვიან.

ჟუანმა საკუთარი თავი, არც კი უწყოდა, ვითარ, საერთო ყურადღებით მოსილი რომ იხილა, პასუხებს იძლეოდა ისეთი მოხდენილი თავის დაკვრით, თითქო მინისტრობისათვის დაბადებულაო. თუმც მორიდებული გახლდათ, მაინც მის შეუმკრთალ შუბლზე ეწერა „ჯენტლმენი“. ცოტას იტყოდა, მაგრამ გამიზნულად; და მისმა ქცევამ ირგვლივ ხიბლი ისე გაუვრცელა, თითქოსდა დროშა ყოფილიყოს.

მისი უდიდებულესობის ბრძანებით, ჩვენს ახალგაზრდა ლეიტენანტზე ზრუნვა გულისხმიერ ფარემთ მიანდეს: მთელი ქვეყანა კეთილი იყო მისადმი (ასე ჩანს ხოლმე თავიდან და ყმანვილკაცს ევალება, არ შეცდეს და არ დაიჯეროს), იქვე იყო მის პროტასოფიც, ვისაც მისტიკური საქმიანობისა გამო „l'Éprouveuse“ (გამსინჯავს) უწოდებდნენ. ამ ტერმინს ვერ აუხსნით მუზას.

ვით მოითხოვდა მორჩილების მოვალეობა, ჟუანი მასთან ერთად განმარტოვდა და მეც დავისვენებ, ვინემ ჩემი პეგასი ისე დაილღებოდეს, რომ მინაზე დაეშვებოდეს; „ცად მიბჯენილ, მალალ მთის წვერზედ“ ავანთეთ შუქი, ისე ბრწყინვალე, რომ ვგრძნობ ჭკუა გადამიტრიალდა და ჩემი ფანტაზია წისქვილივით ბრუნავს, რაც იმის ნიშანია ჩემი ნერვებისა თუ ტვინისადმი, რომ ერთხანს ცხენით უნდა ვისეირნო რომელიმე მწვანე მინდორზე.



თავი მეათე

ლონდონისაკენ

როს ნიუტონმა ვაშლის ვარდნა იხილა, ფიქრთაგან ოდნავ გამოერკვა და აღმოაჩინა — ამბობენ, თორემ მე რა ვიცი დედამინაზე ნებისმიერი ბრძენის კრედო თუ კალკულაცია — ხერხი იმის დასამტკიცებლად, დედამინა რომ სწორედ ასე ტრიალებს და ამას ჰქვია „გრაფიტაცია“; და ეს ერთადერთი მოკვდავია, ვინც ეს შეძლო მოეხელთებინა ადამს აქეთ — დაცემითა თუ ვაშლით.

და თუ ეს მართალია, რომ ადამიანები ვაშლით ეცემიან და ვაშლითვე აღსდგებიან; მაშ უნდა ჩავუღრმავდეთ მეთოდს, რომელშიც სერ ისააკ ნიუტონმა შეძლო ამოეხსნა იმ დროისათვის მოუკირწყლავ, ვარსკვლავიან, ხერგილებიან გზაზე ის, რაც აწონასწორებს ჰუმანურ ტანჯვას: რადგან მას შემდეგ უკვდავი კაცი აღენთო ყველანაირი მექანიკით და ძალიან მალე ორთქლის მანქანები გააქროლებენ მთვარისაკენ.

რაში დამჭირდა ეს შესავალი?

რალა ახლა, ამ გაცრეცილ ფურცელს რომ დავწვდი, აღინთო გული ჩემი ყოვლისმომცველი მგზნებარებით და სული ჩემი აღტაცებამ მოიცვა; და თუმც დიდად ჩამოვრჩები მათ, ვინც ლინზებისა თუ ორთქლის მეოხებით იკვლევენ ვარსკვლავთ და დაჭქრიან ქარში, მსურს იმავეს ვენიო პოეზიის ძალმოსილებით.

ქარში კი ვისრიალებდი, მაგრამ ვარსკვლავთათვის ჩემი ტელესკოპი ცოტა ლიბრიანია; ოლონდ საერთო ნაპირს ხომ ავცილდებოდი და შორს მოვიტოვებდი თვალსაწიერიდან მიწას, მარადისობის ქაფს შევწვდებოდი, დამაბრკოლებელთა ღრიალი ოდნავადაც ვერ დათრგუნავდა ჩემს კოხტა ორჩხომელს,

რომელიც სხვა მრავალი ზღვის შესაფერი ნავის მსგავსად იცურებდა იქ, სად გემები იძირებიან.

ჩენი გმირი, დონ ჟუანი, მაშინ დავტოვეთ, როს გაიფურჩქნა ვით ფავორიტი, მაგრამ ჯერ არ განითლებულა; ხოლო ჩემი მუზეები (მე ხომ არაერთი მუზეა მახვევია) შორს არიან იქიდან, რომ ივარაუდონ ან თან გაჰყვნენ სასტუმრო ოთახს მიღმა: საკმაოა, რომ იღბალმა უხვად დააბერტყა სიჭაბუკე, ძალა, მხნეობა, სილამაზე და ისეთი რამაც, რაც ნუთით შეჰკრავს ხოლმე ტკბობის ფრთებს. მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ იშლებიან და ტოვებენ ბუდეს.

„ოჰ! იტყვის მეფსალმუნე, მტრედის ფრთები რომ მქონდეს და გავფრინდე და დავისვენო!“ და იგი, ვინც გაიხსენებს სიჭაბუკის წლებსა და სიყვარულს, — თუმც მსცით მოსილა და მკერდი ჩაჰქრობია და წარმოსახვა დაჩლუნგებია და ველარ გასცილებია ლიბრით მოსილი თვალის საწიერს — ამჯობინებს ამოიხროს თავის ვაჟივით, ვინემ ახველოს პაპამისივით.

მაგრამ ოხვრა ჰქრება და ცრემლები (ქვრივისაც კი) იწრეტება. მდინარე არნოსავით, ზაფხულობით, წყალმარჩხი ხდება და ისე ვინრო, სირცხვილით გაჰყურებს ზამთრის ნაპირთ, ღრმა და ყვითელი წყალდიდობით რომ იმუქრებიან! ასეთი განსხვავებაა, მიუხედავად რამდენიმეთვიანი მანძილისა.

ტანჯვა მდიდარი მინდორი ნუ გგონიათ, რომელიც აროდეს გადაიხვნება; და თუ არ იხვნება, იმიტომ, რომ ბიჭები გუთანს იცვლიან და ახალ მინას ფარცხავენ, რათა დათესონ თავშესაქცევად.

მაგრამ ოხვრა რომ თავდება, ხველა იწყება — ხანდახან მანამდეც, სანამ ოხვრა დასრულდებოდეს; რადგან პირველს ხშირად მოაქვს მეორე, მანამ, სანამ ტბასავით კრიალა შუბლს ნაოჭები აამღვრევდეს ან სიცოცხლის მზე მიუახლოვდებოდეს ათ საათს; და სანამ გზნება, ფიცხელი და ხანმოკლე, აავარდისფერებდეს ლოყას, რომელიც მეტისმეტად კრიალაა მიწისათვის გასამეტებლად, ათასობითა მათი რიცხვი, ვინც იწვის, უყვარს, იმედოვნებს, კვდება, — რა ბედნიერნი არიან!

მაგრამ ჟუანი ასე მალე სიკვდილს სულაც არ აპირებდა. იგი ისეთ დიდების ყოფაში დავტოვეთ, რაც მთვარის ფავორიტო-

ბასა და ქალბატონთა მონონებას თუ მოაქვს, თუმც ნარმა-ვალს, მაგრამ ვინ დაინუნებს იენისის თვეს, იმიტომ, რომ დე-კემბრის ყინვიან-თოვლიანი სუნთქვა წინ უდევს?

უმჯობესია მზის სხივს დაუგურგურო და სითბო მოიმარაგო ზამთრის დღისათვის.

ამასთან, ჟუანს ისეთი თვისებებიც ჰქონდა, რაც შუახნის ქალებს უფრო იზიდავს, ვინემ ახალგაზრდებს: იმათ იციან თუ რა როგორაა, მაშინ როს ახალშეზუმბლულმა ვარიკებმა იმაზე ცოტა მეტი თუ უწყიან სიყვარულზე, რაც ნამღერია ლექსებში, ან ნაოცნებარია (ფანტაზიამ ოინები იცის) იმ ზეცათა ხილვებში, საიდანაც სიყვარული ამოფრინდება.

მავანნი ქალებს მათი მზეებითა და წლებით აფასებენ, მე კი ვფიქრობ, მთვარეებით უნდა აღვზუსხოთ ამ საყვარელ არსებათა ასაკი.

რატომ? იმიტომ, რომ ქალი ცვალებადია და კეთილგონიერი. სხვა მიზეზი არ ვუწყი, რაც უნდა ექვიანობდეს ხალხი, ვინც ჩქარობენ და ნაკლს მიძებნიან, და შესაძლოა დამაჯარიმონ კიდევც; ვერ არიან სამართლიანნი და ვერც მათ „ზნესა და გემოვნებას მოვიწონებ,” თუნდაც ჩემი მეგობარი ჯეფერისნაირს;

და მაინც მიპატიებია და მჯერა, თვითონაც აპატიებს თავის თავს, თუ არადა მე მევალება ვაპატიო.

ძველი მტრები რომ დამეგობრდებიან, მეგობრებად უნდა დარჩნენ, ეს ხომ ღირსების საქმეა; და არ ვიცი თუ რამ უნდა დააბრუნოს მტრობა, ქალს, რომელიც ამას მოინდომებდა, ისე მოვერიდებოდი, ვითარცა ნიორს, თუნდ ასი ხელი და ასი ფეხი ესხას, გავექცეოდი თავქუდმოგლეჯილი.

ძველი ალები ცეცხლისა და ახალი ცოლები ჩვენი უსასტიკესი მტრები ხდებიან — გარდაქმნილი მტრები კი ზიზღით აისხლეტენ და არ შეუერთდებიან მათ.

ეს ყველაზე უარესი დეზერტირობაა — რენეგატები, თვით ცვალებადი საუთიც კი, ეს ხორცშესხმული ცრუპენტელობა, ძნელად თუ შეუერთდებიან „რეფორმატორთ”, რომელნიც მიიტოვა, რათა ლაურეატის გობს მიჯდომოდა; პატიოსანი კაცები ისლანდიიდან ბარბადოსამდე, კალედონიასა თუ იტალიაში,

ყოველ წამობერვაზე არ ტრიალდებიან და ტკივილსაც აიტანენ, როს თქვენ განცხრომაც ვერ გაკმაყოფილებთ.

ვექილი და კრიტიკოსი მხოლოდ მდაბალ მხარეს ხედავს ლიტერატურასა თუ ცხოვრებაში, და არარა რჩება უხილავი და, მეტიც, უთქმელი, მათ მიერ, ვინც გადარეცხავენ ორმაგ ველს შებრძოლებისა. უბრალო ადამიანები უვიცებად ბერდებიან, ვექილი კი მოკლე ხანში ქირურგის დანასავით ჭრის, ჩაკაფავს და ჩანვდება საკითხსაც და ამასთან საჭმლის მონელების პროცესსაც.

კანონის ცოცხი ზნეობის ბუხრის მნმენდავიცაა, და ამიტომაცაა ასე ჭუჭყიანი; სულ ჭვარტლში ტრიალი ისეთ ღრმა ლაქას დაგიტოვებს, პერანგის გამოცვლა ვერას გიშველის; და ზედ დაგრჩება შავფერა ზოლები, ბნელი მცურავებივით განოლილნი, ოცდაცხრა მაინც ოცდაათიდან, მთელი თავისი ჩვეულებებით; — იმდენად შენ არა, რამდენადაც მე მემართება ასე; შენ ისე ატარებ შენს მოსასხამს, ვით კეისარი ტოგას.

და ჩვენი მცირედი მტრობა, ბოლო-ბოლო ის მაინც, რაც მე გიმტრე, ძვირფასო ჯეფრი, ოდესღაც ჩემო მრისხანე მტერო (რამდენადაც რითმასა და კრიტიკას შეუძლია ამგვარ მდაბალ თოჯინებად გვაქციოს), დასრულდა: და ვსვამ სადღეგრძელოს „ძველი გზისა!“ მე შენ არ გიცნობ და შეიძლება ვერც ვეროდეს გნახო, მაგრამ ისე კეთილშობილურად მოიქეცი, სულითა და გულით შენი მოვალე ვარ.

და როს ამ ფრაზას მოვიშველიებ — „ძველი გზა!“ — შენ ვერ მოგმართავ, ჩემდა სამწუხაროდ, რადგან მერჩივნა შენთან დამელია ღვინო, ვინემ სხვასთან (გარდა სკოტისა) შენს ამაყ ქალაქში.

და მაინც, ეგებ ეს საბავშვო ღვინოა და, თუმც არც დიდობასა და არც მახვილგონიერებას ვიჩემებ, მაინც სანახევროდ სკოტი ვარ დაბადებითა და აღზრდით და მთელი ჩემი გული ჩემს თავში გადაფრინდება, ვითარცა ძველი გზა აერთიანებს მთელ სკოტლენდს, სკოტლენდურ მოსასხამს, სკოტლენდური თმის ბადეს ქალისათვის, ლურჯ მთებსა და კამკამა წყაროებს, დიის, დონს ბალგონის ხიდის შავ კედელს, ჩემს ყმანვილურ

გრძნობებს, ჩემს მაშინდელ კეთილშობილურ ოცნებებს, რომ ვოცნებობდი ოცნებებშივე გამოხვეული, ვით ბანქოს ნაშიერი; ჩემს წინ ჩავლილი ბავშვობა ჩემს ბავშვურობას განსაზღვრავს, მერედა რა, ეს ხომ „ძველი გზის“ გაღვებაა.

და თუმც ვითარც გემახსოვრება, თმახუჭუჭა ჭაბუკმა, სიბრაზე და რითმები შევახამე და მივმართე სკოტთა წინააღმდეგ, გადმოვანთხიე ჭკუა და სიბრაზე, გრძნობაც ჩავხლართე და განრისხებაც, ამაო იყო და უნებართვო ამისთანა ოხუნჯობანი, ისინი ვერ ჩააქრობდნენ ცინცხალსა და ადრეულ ახალგაზრდულ გრძნობებს; მე „დავჭერი მხოლოდ, კი ვერ მოვკალი“ ჩემივე სისხლის სკოტლენდელი, მე ხომ მიყვარს „მთა და მდინარენი“ ამ მიწისა.

დონ ჟუანი, რეალური იყო თუ იდეალური — რადგან ეს ორივე ხომ ერთი და იგივეა, ვინაიდან, როს კაცი ფიქრობს, რომ რაიმე არსებობს, მაშინ, როს მოფიქრალი ნაკლებ რეალურია, ვინემ ის, რაზეც იგი ფიქრობს, ამ დროს სული აროდეს დამდაბლდება და ყოველთვის მტკიცედ დაუპირისპირდება სხეულს; და მაინც მეტად დამაბნეველია, იმის ზღვარზე, რასაც მარადისობას ვუნოდებთ, ვუმზიროთ და მეტი არა ვიცოდეთ იმაზე, რაც აქ არის, ვინემ იმაზე, რაც იქ არის — დიახ, დონ ჟუანი ძალზე დახვეწილ რუსად გადაიქცა; არც იმის თქმაა საჭირო თუ ვითარ და არც იმისა — თუ რატომ;

ყმანვილკაცთაგან მცირეოდენის გონება თუ შეძლებს გადაიტანოს თვისი ცხოვრების გზაზე მძიმე თავზარდაცემა და მსუბუქი ცდუნებანი; მაგრამ ამჯერად დონ ჟუანის გზა გადამლილ იყო ფუმფულა ბალიშებივით მონარქის ტახტზე; მხიარული ქალწულები, ცეკვები, ქეიფი, ფული თავზესაყრელი ყინულს სამოთხედ აქცევდა და ზამთარს — მზიან დარად.

იმპერატრიცას ფავორიტობა საამო გახლდათ, თუმც მოვალეობის შესრულება კი ცოტა საძნელო, მაგრამ დონ ჟუანისებრ ჭაბუკს შეეძლო მოხდენილად გაერთვა თავი. იგი ახლა იზრდებოდა ვითარცა მწვანე ხე, შეეძლო სიყვარული, ომი, და ამ საქმეებში იღბალი სწყალობდა მანამდე, სანამ ხანშიშესულს მობეზრდებოდა და ამჯობინებდა მშვიდობიან წრეში ეტრიალა.

ამ დროისთვის, ვით მოსალოდნელი იყო, საყმანვილო ცდუნებებმა და ცუდმა მაგალითებმა დონ ჟუანი დააბნია და გარყვნა; რაც სამწუხაროა, და არამარტო ფეხით თელავს ჩვენს ცინცხალ გრძნობებს, მაგრამ — რაკი მონანილედ ვიქცევით მერყევი ადამიანის ყოველნაირი გამოსწორებელი ქცევისა — თავკერძანიც ვხდებით, და ისე გამოვიკეტებით საკუთარ თავში, ვით ნიჟარაში.

ამას გამოვტოვებთ.

ეჰ, რას იზამ, არათანაბარ წყვილთა შორის წარმოქმნილი ჩვეულებრივ ინტრიგათა განვითარებასაც გამოვტოვებთ.

ჭაბუკი ლეიტენანტი ჯერ მოუხუცებელ დედოფალთან, მაგრამ არცთუ ახალგაზრდასთან, ვითარცა მთელი სამეფო დიდებულებით უტკბილეს ჩვიდმეტი წლის ასაკში გახლდათ. მეფეებს ხელთ უპყრიათ მასალები, მაგრამ არა მატერია, და ნაოჭები — ეს წყეული დემოკრატები! — მლიქვნელობას ვერ ახერხებენ.

და სიკვდილი, მეფეთა მეფე, ვითარცა დიადი გრაკხუსი მოკვდავთა შორის, ათანაბრებს აგრარული კანონებით დიდ მამულთა მფლობელთ, მათ, ვინც ქეიფობს, იბრძვის, ღრიალებს და ბობოქრობს, და ყველას ბალახით დაფარულ გოჯ მინას უწყალობებს (სად ჩათესილ თესლს ლპობა მოელის) იმ პატარა არამზადებთან, ვისაც გოჯი მინაც კი აროდეს ჰქონიათ, — სიკვდილი რეფორმატორია, ყველა ადამიანი უნდა დაემორჩილოს.

იგი ცხოვრობდა (სიკვდილი კი არა, ჟუანი) ფაციფუცში უქნარობისა, ფორიაქისა, კამკაშისა, ბზინვისა, ამ მხიარულ კლიმატში შავი და ბანჯგვლიანი დათვის ტყავებისა — რომელნიც (თუმც ენამწარეობა არ მიყვარს) ხანდახან გამოიჭყიტებოდნენ ხოლმე აურზაურისას იმ „მშვენიერი მენამული საცვლებიდან“, ბაბილონელთ უფრო რომ შეჰფერით, ვინემ რუსეთის სამეფო კახპას — და ანეიტრალებდნენ მის ალისფერ სამოსს.

და არც ამ ყოფას აღვწერთ; ასე ხომ გაგონილსა და მოგონებებს უნდა დავეყრდნობოდით; არამედ მივუახლოვდებით პირქუში დანტეს „უსიერ ტყეს,“ იმ შემზარავ ბუნიობას, იმ საძაგელ ნაწილს ადამიანური წლებისა, სახლს — მდგარს ნახევარგზაზე, იმ უშნო ქოხს, საითაც ბრძენ მოგზაურთ ფრთხილად

მიჰყავთ სევდიანი საფოსტო ცხენები ასაკის მგლოვიარე საზღვრის გავლით და უკან იხედებიან ახალგაზრდობისაკენ, და ობოლი ცრემლი ჩამოუგორდებათ;

არ აღვწერ, თუკი შევძლებ, რომ თავი შევიკავო, და არ ვიფიქრებ, თუკი შევძლებ, რომ დავეხსნა ფიქრს, რაც, ვითარცა ლეკვი ეკვრის სანოვარას, ისე მენებება უფსკრულში ამ უცნაური ლაბირინთისა, ვით ხავსი ეკვრის კლდეს, ანდა ვით საყვარლის კოცნა ენაფება ტუჩებს, მაგრამ არ მინდა ვიფილოსოფოსო, სჯობს ისე დავწერო, რომ ნაიკითხონ.

ჟუანს, ნაცვლად იმისა, ეკარისკაცა, იქით ეკარისკაცებოდნენ; ასეთი რამ იშვიათობაა და ასე იმიტომ მოხდა, რომ ჭაბუკი გახლდათ და განთქმულიყო მისი სიმამაცე;

იმის გამოც, რომ კეთილშობილი სისხლი ეტყობოდა დოღის ცხენივით;

იმის გამოც, რომ ლაზათიანად იმოსებოდა, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა მის სილამაზეს, ვით მენამული ღრუბლები ახავერდებენ მზეს.

მაგრამ მთავარი მიზეზი ხნიერი ქალბატონი და თვით მისი მდგომარეობა გახლდათ.

ესპანეთში ბარათი აფრინა და ყველა მისმა ახლო ნათესავმა შეიტყო, ჟუანი შესანიშნავად გრძნობს თავს და წარმატებისათვისაც მიუღწევიაო და ბიძაშვილებისათვისაც შეუძლია ადგილის შოვნაო, და დაუყოვნებლივაც უპასუხეს.

რამდენიმემ მზადებაც დაიწყო სამემიგრაციოდ; და ამბობდნენ, ბენვიანი მანტილიის მომარაგებასთან ერთად, ყინულის ჭამაც კი დაიწყესო — მადრიდისა და მოსკოვის კლიმატები ხომ განსხვავდება.

დედამ კი, დონა ინესმა, ისიც ურჩია, რომ — ნაცვლად თავისი ბანკირისათვის მიმართვისა, სად ბევრი არაფერი ჰქონდა დარჩენილი — სჯობდა ზღვარი დაედო ხარჯებისათვის, და მისწერა:

„მოხარული ვარ, იმ სიამოვნებით მოცული რომ მეგულები, რაც სანატრელია მჩქეფარე ახალგაზრდისათვის. და ერთადერთი, რაც კაცის გონიერებას დაადასტურებს, ისაა, ბლომა ხარჯი შეზღუდოს.

და ვავედრებ შენს თავს უფალს და ვაჟს მისას და დედას მისას და გაფრთხილებ, მოერიდო ბერძნულ აღმსარებლობას, რაც მიუღებელია კათოლიკური თვალთახედვისათვის; მაგრამ გარეგნულად ნუ გამოამჟღავნებ, მანდ ცუდად გამოჩნდება“.

აცნობებდა, პატარა ძმა გყავსო, მეორე ქორწინებაში შემეძინაო; და ყოვლის უფრორე, ადიდებდა იმპერატრიცას დედობრივ სიყვარულს.

ცხადია, ვერ მოუწონებდა იმპერატრიცას ყმანვილკაცთა სიყვარულს, რომელთა ასაკსა და, მეტიც, ქვეყანასა და კლიმატშიც სკანდალები მოხდებოდა (დროდადრო): და შინ რომ ყოფილიყვნენ, უსიამოვნებას ვერ გადარჩებოდნენ; მაგრამ იქ, სად თერმომეტრი ათზე დაბლა ჩამოდის და მეტიც — ხუთზე, ერთსა და ნულზე დაბლაც, ვერ წარმოიდგენდა, რომ სათნოება მდინარეზე უფრო ადრე გადნებოდა.

ოჰ, ორმოცპასტორიანო სიმძლავრევე გალობისა, შენ ადიდებ ფარისევლობას! ოჰ, შენ უგალობ ხმამაღლა და ადიდებ სიქველეს, მაგრამ ცხოვრებაში არ მისდევ! ოჰ, ანგელოზთა საყვირის ხმავ! ან ყურის საყვირო ჩემი კეთილი, მოხუცი მამიდისა, ვისაც ეგონა, სათვალე ჩაბნელდაო, და მშვიდად გადაიტანა ეს ამბავი, მეტად რომ ველარ წაიკითხავდა წმინდა წერილს.

ბოლო-ბოლო ფარისეველი მაინც არა ყოფილა საბრალო სული, და ისეთი პატიოსანი გზით აღვიდა ზეცად, ვითარცა რომელიც გნებავთ გვამი ასარჩევი გრაგნილიდან, საიდანაც წილები ნაწილდება ღვთის სამსჯავროზე წარდგომის დღისათვის, ზეცაში მამულთა ჩამოსარიგებლად, რაღაც განკითხვის დღის ჯილდოს მსგავსი, ისეთი, უილიამ დაპყრობელმა რომ გადაუხადა თავის რაინდებს, სხვათა საკუთრებიდან, სამოცი ათასი რაინდის ჯამაგირად.

არა ვწუნუნებ, ჩემი წინაპრები არიან: ერნისი და რადულფუსი, ორმოცდარვა კარმიდამო რომ ერგოთ (თუ მეხსიერება არა მღალატობს) ჯილდოდ ბილის დროშების გაყოლისათვის; და თუმც მაინც ვფიქრობ, რომ უსამართლობა იყო საქსონთათვის მიწის წართმევაც და ტყავის გაძრობაც დაბალივით;

რადგან შემოსავლები ეკლესიათა ასაგებად გაიმეტეს, იფიქრებთ, კარგი საქმე აღასრულესო.

ნორჩი ჟუანი გაიფურჩქნა, თუმც დროდადრო თავს ისე გრძნობდა, ვით ის მცენარენი, მგრძნობიარეს რომ ეძახიან და ხმებიან ისე, ვითარცა მონარქთ ემართებათ რითმათაგან, გარდა იმ რითმებისა, საუთის რომ შეუძლია შეთხზვა.

ჟუანს ალბათ ენატრებოდა იმ გამთოშავ ყინვებში ისეთი კლიმატი, ნევის ყინულს რომ გააღლობდა მაისის დადგომამდე; და ალბათ, მიუხედავად მოვალეობისა, მონარქის მკლავებში მშვენიერება ენატრებოდა.

ალბათ, მაგრამ უაღბათოდ ვთქვათ, რა საჭიროა მიზეზნი ვეძიოთ სიყმანვილისა თუ სიბერისა; ჭიას სწორედ ნორჩი და მშვენიერი ღანვები სჭირდება დასახრავად და ამოსანოვად, რომ დაფრთიანდეს; მზრუნველობას — დიასახლისივით — ყოველ კვირა ქვითრები მოაქვს გასანაღლებლად და, რაც უნდა აღვშფოთდეთ, უნდა გავანაღლოთ, რადგან ექვსი დღე მსწრაფლ გაირბენს და მეშვიდე დღეს დარდის გამჩენი მოგადგება და დაჟინებით მოგთხოვს გადახდას.

არ ვუნცი ვითარ, მაგრამ ჟუანი ავად შეიქნა; იმპერატრიცა შეშფოთდა, მისმა ექიმმა (ვინც პეტრეს ექიმიც გახლდათ) დაასკვნა, ჟუანის აჩქარებული პულსი მიანიშნებს მდგომარეობაზე, რომელიც სიკვდილს წინასწარმეტყველებსო, და თუ რაოდენ მსწრაფლ მიიცვლებოდა, ამაზე ციებ-ცხელება მიუთითებდა;

ამან მთელი სამეფო კარი მეტისმეტად დაამწუხრა, მბრძანებელს თავზარი დაეცა, წამლები გააორმაგეს.

ყველგან ჩურჩულებდნენ, ჭორები გამრავლდა; ზოგნი ამბობდნენ, პოტიომკინმა მოწამლაო; სხვები განსწავლულობას იჩენდნენ და რალაც სიმსივნეზე ლაპარაკობდნენ, გადაღლასა და ამგვარ რალაცებზე; სხვანი ამბობდნენ, განწყობილებათა აღრევაო, რაც სისხლში ცვლილებას იწვევს; სხვები კი დაჟინებით ირწმუნებოდნენ, „ბოლო კამპანიისაგან გადაღლის შედეგიაო“.

აი, ინებეთ, მრავალთაგან, ერთი რეცეპტი: „*Sodæ-Sulphat. 3vj.3fs. Mannæ optim. Aq. fervent. f. /3ifs. 3ij. tinct. Sennae Haustus*“ (აქ, ექიმი მოვიდა და კოტომები დაადო) „*Rx Pulv.*

Com. gr. iij. Ipecacuanhæ“ (დიდი გვერდითი მოვლენები გაუჩნდებოდა ჟუანს, მიღება რომ არ შეეწყვიტა). „*Bolus Potassæ Sulphuret. sumendus, Et haustus ter in die capiendus.*“

ესაა საშუალება, რითაც ექიმები მოგვარჩენენ ხოლმე ან ბოლოს მოგვიღებენ, *Secundum artem*: და თუმცა ვქირქილებთ მათზე, როს ჯანმრთელნი ვართ, ავად რომ ვხდებით, ვუხმობთ და შველასა ვთხოვთ და სასაცილოც აღარა გვრჩება რა, როს „*hiatus maxime deflendus*“ ამოივსება ბართა და თოხით, ნაცვლად იმისა, რომ მოხდენილად დაფუყვეთ ლეთას დინებას, საბრალო ბეილისა და მოკრძალებულ აბერნეთის ვაჯავრებთ.

ჟუანი პირველივე ნიშნების გამოჩენისთანავე შეეწინააღმდეგა გარდაცვალებას; და თუმც სიკვდილი გაქრობით ემუქრებოდა, სიჭაბუკემა და აგებულებამ გააძლებინა, და ექიმებმაც ახალი მიმართულება აირჩიეს. და თუმც ყოფა მისი სათუო იყო: გამოჯანსაღების ანარეკლი მცირედლა მოჩანდა მის ჩავარდნილ ღანვებზე და ექიმებისადმი ნდობაც ბენვზე ეკიდა, ვილაცამ თქვა, უნდა იმოგზაუროსო.

თქვეს, მისთვის მეტისმეტად ცივი კლიმატიაო, სამხრეთში დაბადებული იქვეც უნდა გაფურჩქნულიყოო. ამ მოსაზრებამ ცოტა გააბრაზა კეთილგონიერი ეკატერინა, ვისაც სრულებითაც არა სურდა რჩეულის დაკარგვა: მაგრამ როს ხედავდა თუ ვით ჩაუცვივდა და ჩაუშავდა თვალის უპენი, და მისავათდა ვით დაჭრილი არწივი, გადანყვიტა დიპლომატიური მისიით გაეგზავნა, ოღონდ იმ პირობით, რომ მოიხედავდა.

იმ დროს ერთგვარი დისკუსია გაჩაღებულიყო, რაღაც მოლაპარაკებისა თუ ხელშეკრულებისა გამო, ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტსა და რუსეთს შორის მთელი თავისი შეუსაბამობანი, რითაც გამოირჩევიან ასეთ დროს დიდი სახელმწიფონი; ეს რაღაც ბალტიკური ნავიგაციასავითაა — საფლობებით, სანჯავის ნარჩენი ზეთითა და თეტიდას წესებითურთ, რაც ბრიტანელთ თავიანთ „*uti possidetis*“ მიაჩნიათ.

ასე რომ, ეკატერინამ, ვინც მშვენივრად უწყოდა თვის ფავორიტთა მორთვა-მოკაზმვა, საიდუმლო ხარჯი გამოჰყო ჟუანისათვის, რათა, ერთი მხრივ, ეჩვენებინა თავისი სამეფო

ბრწყინვალეობა და, მეორე მხრივ, ყუანი დაეჯილდოებინა განეული სამსახურისათვის.

ყუანმა მეორე დღესვე ხელები დაუკოცნა, მიიღო დარიგება თუ რარიგ ემოქმედა, და დაიტვირთა ყველანაირი საჩუქრითა და ნოდებით, რაც მბოძებლის დიდ ყურადღებას ადასტურებდა.

ეკატერინა ილბლიანი გახლდათ და ილბალი ყველაფერია. თქვენი დედოფლები საზოგადოდ წარმატებულნი არიან მმართველობაში; რაც თავსატეხს გვიჩენს იმის გასაგებად თუ რას ნიშნავს ბედი.

მაგრამ განვაგრძოთ:

თუმც ეკატერინას წლები ეძალებოდა, კლიმაქსი ისე ჩხვლეტდა, ვით სიყმანვილე; და თუმც ღირსება წუნუნის უფლებას არ აძლევდა, ყუანის ამბავმა მაინც გაანბილა, რადგან მისი შემცვლელი მაშინვე ვერ მოიძებნა.

მაგრამ დრო მოდის და ყველაფერს აწესრიგებს; ოცდაოთხ საათში ორმოცდარვა კანდიდატი გამოჩნდა ადგილის დასაკავებლად, რამაც მომდევნო ღამეს ტკბილი ძილი მოუვლინა ეკატერინას: ის კი არ იფიქროთ, აჩქარებით ვინმეზე შეუვარდა გულიო, არც ფავორიტთა რაოდენობის ზრდას ესწრაფოდა, მაგრამ ყოველთვის დინჯად არჩევდა და საშუალებას აძლევდა თავი გამოეჩინათ.

და ვინემ ეს მაღალი ადგილი ფავორიტისა ჯერაც გაურკვეველია, ერთი-ორი დღე, მკითხველო, გთხოვთ ჩვენს გამირთან ერთად მოთავსდეთ ეტლში, რომელმაც იგი გააქროლა პეტერბურგიდან: ეს საუკეთესო ბარუში გახლდათ, ცნობილი იმით, რომ მასში ერთდროს ცარინას აუტოკრატიული არსება მჯდარა, როს ეს ახალი იფიგენია თავრიდში გამგზავრებულა; ახლა ფავორიტისათვის დაეთმო და ყუანს ატარებდა.

ბულდოგი და გულწითელა და ყარყუმე დონ ყუანის საყვარელი არსებანი იყვნენ, რადგან (დაე უფრო ბრძენკაცთ ნამდვილი მიზეზი არკვიონ) მიდრეკილება ჰქონდა, უფრო სისუსტე, იმათადმი, რასაც ადამიანთა უმრავლესობა პარაზიტებს უწოდებს, ანუ ცოცხალი ცხოველებისადმი: ისეთი მიდრეკილება, მოხუცებულ, სამოცწელგადაცილებულ ქალბატონებს რომ უჩნდებათ ჩიტებისა და კატებისადმი და, თუმც არც მოხუცი გახ-

ლდათ და არც ქალი, ზემოთნახსენებ ცხოველთ მაინც დაიპყრეს მისი სამყოფელი: მეორე ეტლში ისხდნენ პაჟები და მდივნები; მის გვერდით კი იჯდა ლეილა, კაზაკთა მახვილებს გადარჩენილი იზმაილის ხოცვა-ჟლეტისას.

თუმც ჩემი ურჩი მუზა იცვლის ნოტებს, ის პატარა გოგონა მაინც არ დავიწყებია, ყუანმა რომ იხსნა, ეს კრიალა და ცოცხალი მარგალიტი.

საბრალო არსება! ისეთივე მშვენიერი იყო, ვითარცა მორჩილი; ისეთი ნაზი და დინჯი ხასიათისა, ძველმოდურ კაცებშიც რომ ვერ შეხვდებით; ისეთი, თვით შენს ყალიბებშიც რომ ვერ ვნახავთ მამონტისა — „დიდო კუეიე!“ სრულიად მოუმზადებელი — შებმოდა ამ ყოვლისმომცველ მსოფლიოს, სად ყველა ცდებდა; მაგრამ ჯერ ხომ მხოლოდ ათი წლისა გახლდათ, და ამიტომაც არა შფოთავდა, თუმც არ იცოდა — ვითარ და რატომ.

დონ ყუანს უყვარდა იგი და მასაც უყვარდა დონ ყუანი, არა ისე, ვით ძმას, მამას, დას და ქალიშვილს უყვართ. არ ძალმიძს გითხრათ თუ ეს რა იყო; ყუანი არც ისე ხნიერი გახლდათ, რომ მამობრივი გრძნობა გასჩენოდა, და, მეორე მხრივ ძმური გრძნობებიც არ გაჰკარებია მის გულს, რადგან და აროდეს ჰყოლია, და რომ ჰყოლოდა, ალბათ რარიგ მოენატრებოდა!

და ამიტომაც იყო, გრძნობა რომ არა ჰქონდა. ამასთან, სულაც არა ყოფილა ბებერი მუსუსი (ვისაც უყვარს მკვახე ხილი, ძარღვებში მლაშე ნაკადის დინება, აი ისეთი, მყავას რომ მოაქვს მდორე, ტუტე სითხე), თუმც (ვითარცა ჩვენს პლანეტაზე ხდება) უმანკო არ გახლდათ, მაინც პირწმინდა პლატონურობით გამსჭვალულიყო მისი გრძნობები, ოღონდ აღარ ახსოვდა.

ამჯერად არავითარი საფრთხე არ არსებობდა ცდუნებისა; უყვარდა მის მიერ გადარჩენილი პატარა ობოლი, ვით პატრიოტებს (დროდადრო) უყვართ სამშობლო; ღირსება ნებას არ მისცემდა, ლეილა მონად ან საკუთრებად ეგულისხმა; მისი ხსნა კი სურდა მასაც და ეკლესიასაც, მაგრამ უცნაური რამ მოხდა და უნდა ითქვას — პანია თურქმა უარი თქვა მონათვლაზე.

უცნაურია, რომ შეხედულება არ შეცვლია ასეთ ცვლილებათა, უბედურების, ხოცვა-ჟლეტის მიუხედავად; და თუმც სამმა

ეპისკოპოსმა აუხსნა, თუ რა სასჯელი ემუქრებოდა, მაინც უკიდურესი ზიზღი გამოამჟღავნა ნაკურთხი წყლისადმი და არც აღსარების სურვილი გასჩენია, ალბათ არც არაფერი ჰქონდა სააღსარებო; და რაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ეკლესიამ ვერა გაანყო, კვლავაც სწამდა, მუჰამედია წინასწარმეტყველიო.

ერთადერთი, ვისაც იტანდა, იყო ჟუანი; ვინც შინაურთა და მეგობრების ადგილი დაიკავა ლეილას გულში. ჟუანს, ბუნებრივია, უყვარდა იგი, ვისაც იცავდა, და ამრიგად, ძალზე უცნაური წყვილი გამოდიოდა, მეურვე ჯერაც ყმანვილი, სამეურვეო კი არ უკავშირდებოდა არც ადგილით, არც დროით, არც სისხლით; და მაინც, ეს იყო მეტად კეთილშობილური შეკავშირება.

განვლეს პოლონეთი და ვარშავა, სახელგანთქმული მარლის საბადოებთა და რკინის უღლით: კურლანდიაც გაიარეს, რომელსაც თავს მოახვიეს ცნობილი ფარსი, როს მის ჰერცოგად უგვანო სახელი „ბირონი“ გამოაცხადეს.

ეს სწორედ ის ადგილია, თანამედროვე მარსმა რომ დათესა, მოსკოვისაკენ როს მიეშურებოდა, და წინ მიუძლოდა სირინოზი, სახელად დიდება! და ერთი თვის ყინვამ დააკარგვინა ოცი წლის დაპყრობანი და გრენადერთა გვარდია.

განა დაცემას არა ჰგავს ეს სცენა?

— ოჰ! ჩემი გვარდია! ჩემი ძველი გვარდია, — წამოიძახა იმ თიხის ღმერთმა.

ან თუნდ მეხისმტყორცნელის ძირს დაცემა, საძილე არტერიის მჭრელი კასლრეი! ეჰ, ის დიდება თოვლმა გააცია! ჩვენ კი გვსურს გზა გავითბოთ პოლონეთში, სად კოსციუშკოს სახელი ცეცხლს გააჩენს ყინულში, ჰეკლას ალებივით.

პოლონეთიდან პრუსიის ტერიტორიაზე გადავიდნენ, გაიარეს მისი დედაქალაქი კენიგსბერგი, თავს რომ იწონებს — გარდა რკინისა, ფოლადისა და ბრინჯაოსი — ანგარდაცვლილი პროფესორი კანტიო. ჟუანმა, ვისაც თამბაქოს მნიკვადაც კი არ უღირდა ფილოსოფია, გზა განაგრძო გერმანიისკენ, სად პრინცი უდრტვინველ მილიონებს ფოსტის მხედრებზე მეტად ჰკრავენ დეზებს.

განვლეს ბერლინი, დრეზდენი და სხვა ქალაქები და მიადგნენ ციხე-კოშკებით მორთულ რაინს;

რა დიდებული გოთიკური სანახაობაა! ვითარ აფორიაქებს არა მხოლოდ ჩემს, არამედ ყველას ფანტაზიას; რუხი კედელი, მწვანითმოსილი ნანგრევი, დაჟანგული პიკი ჩემს სულს წონასწორობას აკარგვინებს, გააბრუებს და გადაალახვინებს წარსულისა და აწმყოს საზღვარს.

ჟუანმა გაიარა მანჰაიმი, ბონი, რომელს წარბშეკვრით გადმოჰყურებს დრაქენფელსი ძველი, კეთილი ფეოდალური დროის მოსაგონებლად, რის შესახებაც ახლა ლექციას ვერ წავიკითხავ.

მას მერე კიოლნს ჩავიდა, ქალაქს, რომელიც დამთვალეიერებელს წარუდგენს თერთმეტი ათასი ქალწულის ნემტს, გვამთა უდიდეს რაოდენობას, რაც კი სმენილა.

აქედან ჰოლანდია, ჰააგა და ჰელვუცლიუსი გაიარა; იქაური მიწა-წყალი და არხები გადასერა, სად ღვიის შესანიშნავ წვეწვანაშადებენ უქონელი, ღარიბი კაცის გასამხიარულებლად. სენატი და ბრძენნი გამობენ მის ყლურწვას, მაგრამ ძნელია აუკრძალო ბრბოს ის, რაც აცმევს, აჭმევს თუ ათბობს; ამიტომ კეთილმა მთავრობამ არ ისასტიკა და დაუთმო.

აქ გემზე ავიდა და მოტყლაშუნე აფრებით გაეშურა თავისუფლების კუნძულისაკენ, საითკენაც ძლიერი ქარი უბერავდა, ტალღებს აღელვებდა, გემს არწევდა, ზღვის სნეულებით შეპყრობილთ ფერი დაეკარგათ, ხოლო ჟუანი, წინა მოგზაურობებში გამოჯეკილი, იდგა და უყურებდა გვერდით მცურავ ბრტყელძირიან ნავებს და აჰა, თვალი მოჰკრა კლდეებს.

შორიდანვე წამოიძარტა, ვით თეთრი კედელი ლურჯი ზღვის საზღვარზე; და ჟუანმა იგრძნო, რასაც ჭაბუკი უცხოელნი მძლავრად შეიგრძნობენ ალბიონის ცარცის ქამრის ხილვისას; ესაა ერთგვარი სიამაყე ამპარტავან მედუქნეთა, ვინც მკაცრად ავრცელებენ თვის საქონელსა და ბრძანებულებათა პოლუსიდან პოლუსამდე, და ტალღებსაც კი ბაჟს ახდევინებენ.

დიდი არაფერი მიზეზი მაქვს მიყვარდეს დედამინის ეს კუთხე, სად ბინადრობს ერი, უკეთილშობილესი რომ უნდა ყო-

ფილიყო, და რასაც მხოლოდ ამქვეყნად გაჩენას ვუმადლი, და მაინც ვგრძნობ შერეულ ნუხილსა და მოწინებას მისი დამდაბლებული დიდებისა და წარსული ღირსების გამო.

შვიდწლიანი (განდევნისათვის გავრცელებული ვადაა) არყოფნა ამშვიდებს ძველ აღშფოთებას, მაშინ როს კაცის სამშობლო ჯანდაბისაკენ მიექანება.

ეჰ, ნეტა თუ ძალუძს სრულად და მართლად იცოდეს თუ რარიგ დაეცა და რარიგ შეიზიზღეს მისი დიადი სახელი; თუ რარიგ ნატრობენ იმ დარტყმას, მის სხეულს მახვილზე რომ წამოაგებს; თუ რარიგ მიიჩნევს ყველა ერი მტრად, ყველაზე საძულველ მტრად მტერთა შორის, ერთ დროს მეგობარს, ვინც უღალატა, კაცობრიობას თავისუფლების გზას ვინც უჩვენებდა და ახლა კი ბორკილებში ჩასვა სულიანხორციანად.

განა შეიძლება იამაყოს და თავი მოიწონოს, თავისუფალი ვარო, ვინც პირველია მონათა შორის? ერები საპყრობილეში გამოუმწყვდევია, და ვინ არის ზედამხედველი? ისიც მსხვერპლია, ცხაურებში გამოკეტილი. ნუთუ საცოდავი უპირატესობა, გასაღების გადატრიალებისა და ტყვის გამოშვებისა თავისუფლებაა? ისიც ისევე შორსაა იმისაგან, რომ დატკბეს ცითა და მინით, ბორკილებს ვინც ადებს, ვითარცა ბორკილებს ვინც ატარებს.

შესცქეროდა დონ ჟუანი ალბიონის პირველ მშვენიერ სანახაობებს, კლდეებს საყვარელი დუვრისა! ნავსადგურსა და ფუნდუკს; საბაჟო სახლს, მისი დახვეწილი ნესრიგით; აქეთიქით მორბენალ მოხელეთ, თავგზას რომ უბნევენ ყველას, უზარმაზარ შეკვრებს, მინასა და წყალზე მოგზაურთათვის წართმეულით სავსეს; დაბოლოს, არ დაგვაგინყდეს, ახალბედა უცხოელთათვის მომზადებული გრძელი საგადასახადო ქვითრები, სად არაფერზეა შეღავათი დანესებული.

თუმც ახალგაზრდა იყო ჟუანი, დაუდევარი და ქედმაღალი, უხვად ებადა რუბლები, ალმასები, ნაღდი ფული და კრედიტები, რაც შეაძლებინებდა არ შეეზღუდა ყოველკვირეულ ვექსილთა რაოდენობა, მაინც დააკვირდა მცირე ხნით ყოველივე ამას და, თუმც გადაიხადა (მისმა მაჟორდომმა, გონიერმა და გამჭრიახმა ბერძენმა მსწრაფლ შეკრიბა ეს შემზარავი ქალა-

დები და ნაიკითხა); უეჭველია აქ ჰაერი, თუმც იშვითად იყო მზიანი, უფასო იქნებოდა, მაგრამ სუნთქვაში კი ფული უნდა გადაგეხადა.

ცხენებზე და ჰერი! კენტერბერისაკენ! ჭახ-ჭუხ ქვაფენილზე და ტყლამ-ტყლუმ გუბებში; ვიშ! რას მიჰქრიან საფოსტო ცხენები! გერმანულებივით კი არ მიზოზინებენ გზაზე, თითქო გასვენებაში უხდიდნენ საზღაურს; ამასთან, „შნაპსსაც“ ყლურჭავენ მნუხარე ძაღლები! ვისაც რომც შეუძახო, „არამზადავ“ ან „ჯანდაბა“, ისე შეანუხებს, ვითარცა გამყოლს ელვის ნათება.

ვერაფერი მიანიჭებს კაცს ასე გზნებას, ვერ აუდუღებს სისხლს ისე, ვით კაიენური პილპილი კაზმავს კერძს, ვითარცა სრული სისწრაფით ჭენებაა, — საითაც უნდა მიეშურებოდეს, მაინცა ჩქარობს, და ალბათ ჩქარობს, რათა იჩქაროს, და ეს ნაკლები მიზეზია ამგვარი ქროლვისა, უფრო მეტი მიზეზი კი მოგზაურობის დასრულება და ადგილამდე მიღწევაა.

მოინახულეს კენტერბერის ტაძარი, შავი ედვარდის მუზარადი და ბეკეტის სისხლით შეღებილი ქვა, ეკლესიის დარაჯმა უჩვენა და უთხრა ყოველი, უცნაური და განყენებული ხმით, რომ დიდება წარმავალია, კეთილო მკითხველო! ყველაფერი მთავრდება მტვრიანი თავის ქალითა და საეჭვო წარმოშობის ძვლებით, ნახევრად რომ მოჩანს ამ სოდისა და მაგნეზიის ხსნარებში, მწარე სამსალას რაც წარმოშობს ადამიანური მოდგმისა.

ჟუანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა: თავის ქალას რომ შეხედა, კრესის ბრძოლის ჰაერი შეისუნთქა, ეს ის თავი გახლდათ, რომელიც მარტოდენ დრო-ჟამის წინ დაემვა.

ოხვრა აღმოხდა ეკლესიის მსახურის აკლდამის წინაშე, ვინც დიდად შეეცადა წინ აღდგომოდა მეფეებს, და ვინც, სხვა თუ არაფერი, კანონს იშველიებდა, ვიდრე დაჩეხავდნენ.

პატარა ლეილამ აჰხედა და ჰკითხა:

— ეს ნაგებობა რისთვისაა ააშენეს?

და როს მიუგეს:

— ღვთის სახლია.

თქვა:

— კარგად მონყობილა, და მხოლოდ ის მარცხებს, თუ ვით ითმენს ურწმუნოთ თვის კარმიდამოში, წყეულ ნაზარეველთ, რომელთაც დააქციეს წმინდა ტაძრები იმ მიწაზე, ჭეშმარიტ მორწმუნეთ რომ კვებავდა.

და მწუხარებით შეჰყარა ბავშვური ნარბები იმის საჩვენებლად, რომ მუჰამედმა ასეთი ტაძარი დატოვა, მარგალიტები დაუყარა ღორებს.

წინ! წინ! ბაღებივით მოვლილი მინდვრების გასწვრივ, ალა-ოს სამოთხისა და მდიდარი ჭირნახულის გასწვრივ; როს ბარდი წლობით იმოგზაურებს უფრო ცხელ ქვეყნებში, ამ ნაყოფიერი მწვანე მინდორთა დანახვისას შეუნდობს, აქ რომ არ არის ისეთი დიდებული მრავალფეროვნება, ვითარცა სამხრეთის ქვეყნებში, ღვინო, ზეთისხილი, ხეობები, მყინვარები, ვულკანები და ყინული.

მაგრამ ოდეს ვფიქრობ ლუდის კათხაზე, წუნუნით არ ვინწუნებ! ასე რომ, გააჭენეთ, მეეტლენო! დეზები ამოსცხეთ და გააფიცხეთ ცხენები, ყოჩალო ბიჭებო!

ჟუანი მოიხიბლა შარავნებით თავისუფალი მილიონებისა; ქვეყნით, რომელიც ყოველმხრივ ძვირფასია, ვითარცა უცხოელის, ისე ადგილობრივისათვის, გარდა ზოგიერთი სულელისა, „ტლინკებს რომ აჰყრიან ხოლმე ხუმრობაზე“ ამგვარ შემთხვევებში, და ტკივილის სანაცვლოდ ახალ ჩხვლეტას განიცდიან.

რა საამო რამ არის ეს ხერგილებიანი გზაშარა! ასეთი სწორი, ასეთი ბრტყელი, გადაკრიალებული გრუნტი, და ისე სწრაფად მგზავრობ, არწივი ვერ გაფრინდება უფრო მსწრაფლ ფართო ფრთათა ქნევით. ასეთი რამ რომ არსებულიყო ფაეტონის დროს, ღმერთი ეტყოდა თავის ვაჟს, ჟინი იორკის საფოსტო ეტლით დაიკმაყოფილეო, მაგრამ წინ გაგნიოთ, „Surgit amari aliquid“, და ფულიც გადავიხადოთ.

ეჰ, რა მწვავედ მტკივნეულია ყველანაირი გადახდა! წარიდეთ სიცოცხლეები, ნაჰგვარეთ ცოლები, ყველაფერი წაიღეთ კაცის ქისის გარდა: ვითარცა მაკიაველი გვეუბნება, ეს ყველაზე მოკლე გზაა საზოგადო წყევლის მოსახვეჭად. ადამიანებს სძულთ მკვლელი, მაგრამ კიდევ მეტად სძულთ მომჩივანი,

ვინც ითხოვს იმ ძვირფას ლითონს, რასაც ყველა უფროთხილდებოდა; ამოუწვივითე კაცს ოჯახი და გამოიტირებს, მაგრამ ხელები შორს მისი შარვლის ჯიბისაგან.

ასე ამბობს ფლორენციელი, და, მონარქებო, ყური დაუგდეთ თქვენს დამრიგებელს.

ოდეს დღე მიიწურა და დაბინდდა, ჟუანი აიყვანეს მაღალ ბორცვზე, რომელიც ამაყად თუ ათვალწუნებით გადაჰყურებს დიად ქალაქს — თქვენ, ვისაც ძარღვებში კოკნის სისხლი გიჩქეფთ, ილიმებით თუ ილუმებით, როს საქმე ან კარგად, ან ცუდად მიდის — უშიშარო ბრიტანელნო, ჩვენ უკვე შუთერის ბორცვზე ვიმყოფებით.

მზე ჩავიდა და კვამლი ამოიწვერა, ვითარცა ნახევრადჩამქარალი ვულკანიდან, იმ სივრცის თავზე, რომელიც სავსებით გამოდგებოდა „ემმაკის სასტუმრო ოთახად,“ ვით უკვე უწოდეს ამ განსაცვიფრებელ ადგილს; მაგრამ ჟუანი ისე გრძნობდა თავს, აჰადა შინ ვბრუნდებო, იმ კაცივით, თუმც სულ სხვა მოდგმისა გახლდათ, ეს მინა რომ უყვარს, დედის იმ ჭეშმარიტი შვილებივით, ნახევარი დედამინა რომ დაჩეხეს და დანარჩენი დააშინეს.

უზარმაზარი გროვა აგურისა და კვამლისა და გემებისა, ჭუჭყიანი და ნისლიანი, მაგრამ სადაც კი თვალი გასწვდება, აქაიქ გამოკრთება იალქანი და ჩაიკარგება ანძათა ტევრში; ნანვეტებული სახურავები ცერებზე დგებიან, რომ ამოიჭვრიტონ ნისლიან-კვამლიანი საფარიდან; დიადი ნაცრისფერი გუმბათი მასხარას ქალაქის ჩაჩივით მოჩანს — აი, ესეც ლონდონი.

მაგრამ ჟუანს ეს არ უხილავს; კვამლის თვითეული ბოლქვი ალქიმისის ღუმელიდან ამოსულ ჯადოსნურ ორთქლად ეჩვენებოდა, საიდანაც ამოიფრქვეოდა მსოფლიო სიმდიდრე (სიმდიდრე ქვითართა და გადასახადთა): ბნელი ღრუბლები თალივით რომ გასდებია თავზე და მზეს ასუსტებენ, ბუნებრივი ამინდია აქაურობისათვის, უკიდურესად სალი, თუმც იშვიათად — ნათელი.

იგი შეჩერდა და მეც შევჩერდები; ვით ეკიპაჟი ჩერდება, როს ხომალდის ცალ მხარეს დაცლის.

თანდათანობით, ჩემო კეთილო თვისტომნო, ჩვენ განვაახლებთ ძველ ნაცნობობას; და, სხვა თუ არაფერი, შევეცდები გაუნწყოთ სიმართლენი, რასაც სიმართლედ არ მიითვლით, რაკილა სიმართლეა; მამრობითი მისის ფრაი გამოგვის თქვენს დარბაზებს ახალი ცოცხით და ჯაგრისით ჩამონმენდს ორიოდეობობას ქსელს თქვენი კედლებიდან.

ეჰ, მისის ფრაი! რისთვის მიეშურები ნიუგეიტის ციხეში? რისთვის უქადაგებ საბრალო არამზადებს? და რატომ არ შეუდგები საქმეს კარლტონიდან ან სხვა რომელიმე სასახლიდან? გამოსცადე შენი თავი უფრო მძიმე იმპერიულ ცოდვებთან. ხალხის გამოსწორება ფუჭი სურვილია, ჟარგონი, უბრალო ფილანტროპული წამოძახილი, ვიდრე მათ შორის საუკეთესოთ გააუკეთესებდე, ფუჰ! მეგონა უკეთ ერკვეოდით რელიგიაში, მისის ფრაი.

ასწავლეთ თუ ვითარ უნდა იქცეოდეს სამოცი წლის კაცი; განკურნეთ მოგზაურობის, ჰუსარობისა და მთიელთა სამოსის ჩაცმის სურვილისაგან; უთხარით, რომ წასული ახალგაზრდობა უკან აღაროდეს ბრუნდება, რომ დაქირავებულთა „ვაშა“ ვერ განკურნავს ამქვეყნიურ გასაჭირს; უთხარით, რომ სერ უილიამ კურტისი მუდოა, მოსაწყენზე მოსაწყენი არსება, უჭკუო ფოლსტაფი მსცოვანი ჰალისათვის, მასხარა, რომლის ზანზალაკებიც აღარ წკარუნობენ.

უთხარით, თუმცა ალბათ ძალზე გვიანია, რომ ცხოვრება ხანმოკლეა, დამქანცველი, დამსიებელი და მომყირჭებელი საიმი-სოდ, რომ ამაოდ ესწრაფოდე დიდებას; და ამაოება არ არის, გასურდეს იყო კეთილი; და შევთანხმდეთ, რომ ყველაზე ღირსეულ მეფეთ ყველაზე ნაკლებ ძალაუფლება უყვარდათ; და უთხარით — მაგრამ არ ეტყვი, საკმარისია, ტყუილად ვიყბედე, მაგრამ დროდადრო მაინც უნდა ვიყვირო, ვითარ საყვირმა როლანისა რონსევალის ხეობაში.



თავი მეთერთმეტე ლონდონში

როს ეპისკოპოსმა ბერკლიმ თქვა: მატერია არ არსებობსო, და დაასაბუთა... რა აზრი აქვს, რაც თქვა; ამბობენ, ამაოა მის სისტემაზე თავდასხმაო, მეტიხმეტად რთულია მიწიერი ადამიანური გონებისათვისო;

და მაინც, ვინ დაიჯერებს ამას? სიამოვნებით გადავჩხრეკდი ყველა მატერიას, ქვებსა და რკინებს, ალმასებს, რათა სული აღმომეჩინა ამქვეყნად, და თავსაც გავიმეტებდი, და უარყოფდი, თავი თუ მახია.

რა დიდებული აღმოჩენაა სამყაროს გადაქცევა სამყაროულ ეგოიზმად, რომ ყველაფერი იდეალურია — ჩვენ ყველა იდეალურნი ვართ!

და მსოფლიოს (იყოს როგორც გნებავთ) ჩამოვიდოდი ნიძლავში, რომ ამ საკითხში განხეთქილება არ არსებობს. მაგრამ ო, ეჭვო! — თუ ის ეჭვი ხარ, რაც ზოგს ჰგონიხარ; მაგრამ რაც მე ძალზედ მაეჭვებს — შენ ერთადერთო პრიზმავე სიმართლის სხივთა, ნუ შეაშფოთებ ჩემს სულს! ზეცის არაყს, რასაც ძლივს ატარებს ჩვენი ტვინი.

გამუდმებით და ხშირად გვევლინება კუჭის მოუნელებლობა (და არა „ნაზი არიელი“) და აფერხებს ჰაერში ჩვენს სრბოლას ახალი შეკითხვით: ეს ისაა, ჩემს სულს რაც ანუხებს, რომ ვერ ვხედავ ადგილს კაცის თვალსანიერში, სად არ იქნება არეულობა სახეობათა და სქესთა შორის, მიუწვდომლობა და გამოუცნობლობა ყოფნისა და ვარსკვლავთა და ამა ქვეყნისა, რაც ყველაზე უარეს შემთხვევაში — ბრწყინვალე შეცდომაა.

ეგებ ეს შემთხვევითობაა; ან ეგებ ძველი ტექსტის თარგზუა ყველაფერი.

მთლად უკეთესი.

ოლონდ ისე კი არ მოხდეს, ცვლილებათა შეტანას ვლამობდეთ, ვით მრავალნი ფიქრობენ, ეს საშიში მკრეხელობაა. ისინი მართალნი არიან; ჩვენი ყოფა მეტისმეტად ხანმოკლეა, რომ შეეძლოთ მსჯელობაში მოვაქციოთ ის, რაც ჯერ ვერვის გადუნყვეტია; და ერთი დღეც დადგება, რომ ყველა გავიგებთ ნათლად, ან სხვა თუ არაფერი, მშვიდად მაინც ვინწვებით.

ამიტომაც თავს დავანებებ მეტაფიზიკურ დისკუსიას, რაც არც აქეთ არის და არც იქით, თუ დავეთანხმები, რომ რაც არის, არის; ამას ვუნოდებდი იოლად გასაგებსა და უსაზღვროდ სამართლიანს; რაც მართალია, მართალია, ამ ბოლო დროს ფტიზიატრიამაც შემომიტია, რა ვიცი, აბა, რა მიზეზით, ალბათ ჰაერისა გამოა, და რაც მეტად მიტევს სნეულებანი, მით მეტად ვმართლმადიდებლდები.

პირველმა შეტევამ იქვე დაამტკიცა ღვთის არსებობა (მაგრამ ამაში არც არასოდეს მეპარებოდა ეჭვი, ისევე ვითარც ეშმაკის არსებობაში); მეორემ — ქალწულის მისტიკური ქალწულობა; მესამემ — ბოროტების ჩვეულებრივი წარმოშობა; მეოთხემ ისე განამტკიცა ეს სამება და უდავო გახადა, რომ სასოებით ვინატრე სამი ოთხად გადაქცეულყო, რომ რაც შეიძლება მეტი მერწმუნა.

მაგრამ ჩვენს თემას დავუბრუნდეთ.

კაცს, რომელიც აკროპოლისზე მდგარა და ატიკისაკენ გადაუხედავს; ან ფერადოვანი კონსტანტინოპოლის ნაპირებთან მიუცურავს, ან ტიმბუქტუ უნახავს, ან ჩაი დაუღვევია ჩინეთის ფაიფურით განთქმულ მეტროპოლისში, ან ნინევიის ნანგრევებში მჯდარა, დიდად არ ჩააფიქრებდა ლონდონის პირველი ხილვა, მაგრამ, აბა, ჰკითხეთ ერთი წლისთავზე თუ რას ფიქრობს?

ჟუანი რომ შუთერის ბორცვზე ავიდა, მზის ჩასვლის დრო დამდგარიყო; აქედან თავკევეზე მოჩანდა კეთილისა და ბოროტის ველი, სად ლონდონის ქუჩები დაეხეტებოდნენ მთელი მონდომებით; გარშემო კი ყოველი მშვიდი და წყნარი იყო, ხმა

არ იძროდა, გარდა მბრუნავ ბორბალთა ქრიალისა... და ფუტკრისებრი ზუზუნის საქმიანი ქალაქისა, ქაფს რომ მოიგდებს, ადუღებულს.

ფიქრებში გახვეული ჟუანი ეტლს უკან მიაბიჯებდა მთის თხემზე, დაბნეული და გაოცებული ამ დიადი ერის ხილვით ჯერაც გონზე ვერ მოდიოდა.

— აქ არის, — წამოიძახა მან, — თავისუფლების რჩეული სადგური; აქ რეკს ხალხის ხმა, რასაც ვერ ახშობს გისოსები, ციხეები, ინკვიზიციები; აღორძინება ელის მას, ახალი შეხვედრა თუ არჩევანი.

აქ ცხოვრობენ ერთგული ცოლები, აქაა წმინდა ყოფა; აქ ხალხი იხდის იმდენს, რამდენიც სურს, და თუ სიძვირეცაა, ეს მხოლოდ მიტომ, რომ უყვართ ფულის ხარჯვა სააშკარაოდ, თუ რამდენს შოულობენ წელიწადში. აქ კანონებს არ არღვევენ, მოგზაურებს არ უსაფრდებიან, ყოველი შარავნა განმენდილია; აქ...

და აქ დანამ შეაჩერა:

— თვალმც გამოგხეტია! ფული ან სული!

ეს თავისუფალი ხმები წარმოთქვა ოთხმა ყაჩაღმა, იქვე რომ ჩასაფრებულებიყვნენ და როს დაინახეს თუ ვითარ მიჩანჩალებდა ჟუანი კარეტის უკან, ვით მოსაზრებულ ყმანვილთ შეჭფერით, იღბლიანი წუთი მოიხელთეს თავდასასხმელად, რადგან გზაზე მოხეტიალე, გაუფრთხილებელი ჯენტლმენი, თუ მებრძოლი არ არის, ამ მდიდარ კუნძულზე განწირული აღმოჩნდება სიცოცხლის ან შარვლის დასაკარგავად.

ჟუანმა არცერთი სიტყვა არ იცოდა ინგლისურად, გარდა იმ ახირებული „დასწყევლოს ღმერთმანისა!“ და ესეც ისე იშვიათად გაეგონა, ხანდახან ფიქრობდა, ეს ამათი „გამარჯობაა“, ან „ღმერთი შეგენიოსო!“ და სულაც არ გახლავთ უაზრობა ამგვარი ფიქრი, რადგან ჩემებრ ნახევრად ინგლისელს (ჩემდა სავალალოდ), არ შეუძლია დაიჟინოს, თითქოს „ღმერთი შეგენიოს“ სხვაგვარად გაეგონოს ოდესმე.

თუმცა ჟუანი მსწრაფლ მიუხვდათ განზრახვას და, რაკი ფიცხი გახლდათ და დაყოვნება არა სჩვეოდა, მაშინვე ამოიღო ჯიბიდან დამბაჩა და დაახალა ერთ-ერთ თავდამსხმელს; იგი

დაეცა, საძოვარზე მყოფი ხარივით დაეზღერთა და ამოიღმუვ-
ლა მშობლიურ ტალახში ამოგანგლულმა, შეჰკმინა უახლოეს
ამხანაგს:

— ვაჰმე ჯეკ! გამაგორა ამ სისხლისმსმელმა ფრანგმა!

ამის გაგონებამ და, ჯეკმა და მისმა ამფსონებმა თავქუდ-
მოგლეჯილებმა მოუსვენეს, ხოლო ჟუანის ამაღლა, კარგა მანძი-
ლით დაშორებული, მსწრაფლ დაბრუნდა მომხდართი გაცე-
ბული და, ვითარ ყოველთვის, ნაგვიანები დახმარებისათვის
მზადმყოფი.

ჟუანმა, როს იხილა, ამ ჩვენს მთვარის ფავორიტს სისხლი
სდის და შესაძლოა სულიც გააფრთხოსო, გასძახა: სახვევები
და საფენები მოიტანეთო, — და ინატრა: ეგებ ჩახმახის დაცემა
არ მეჩქარაო.

„ალბათ, — ფიქრობდა იგი, — ქვეყნის ჩვეულებაა, ამგვა-
რად შეხვდეს უცხოელთ; ვითარც მახსოვს, მედუქნენიც ასე იქ-
ცევინ, ოღონდ ისინი თავის დაკვრით ძარცვავენ, ნაცვლად
შიშველი მახვილისა და თავხედური გამომეტყველებისა. მაგ-
რამ რა უნდა ვქნა, ამ ყმანვილს აქ ვერ დავტოვებ, გზაზე რომ
ინვეს და ღმუოდეს“;

— ასწიეთ, მე დაგეხმარებით.

მაგრამ ვინემ ამ ღვთიურ საქმეს შეუდგებოდნენ, მომაკვ-
დავმა წამოიძახა:

— მოიცათ! მე ჩემი გავათავე! ოჰ, ერთი ჭიქაც რომ ჩამე-
ცეცხლა! იაღლიში მოგვივიდა; მაცადეთ მოვკვდე, სადაც ვარ!

და სულის ამოსვლასთან ერთად სისხლიც წასკდა ჭრილობი-
დან, სუნთქვა გაუძნელდა, ყელსახვევი მოიძრო და წამოიძახა:

— სალს გადაეცითო!

და სულიც განუტევა.

სისხლით დანიწკლული ყელსახვევი დონ ჟუანის ფეხებთან
დაეცა, ვისაც ვერა გაეგო, თუ რატომ გადმოუგდეს, და ვერც ამ
კაცის გამოსამშვიდობებელ სიტყვებს ჩასწვდა. საბრალო ტომი
ერთ დროს ბალღი იყო და ქალაქში დანანწალლებდა, წამდვი-
ლი შარისთავიც გახლდათ და კობტაპრუნაც, ოღრაშიცა და
მიმდებ-მომდებიც, ჯიბის ამხევიც და ტყვიის დამხლეიც.

დონ ჟუანმა ყოველივე ისე საუკეთესოდ შეასრულა, ვითარცა შეეძლო, ამ შემთხვევაში, ვით „მოხელეთა კანონი“ მოითხოვდა, და მსწრაფლ განაგრძო გზა დედაქალაქისაკენ; და ცოტა კი უჭირდა იმის გადახარშვა, რომ სულ რაღაც თორმეტიოდე საათში და მოკლე მანძილზე მოახერხა და თავისუფლადშობილი ინგლისელი მოკლა თავდაცვისას; ეს საფიქრალს უჩენდა.

მან ქვეყანას გამოაკლო დიდი ადამიანი, ვისაც თავისი დროის გმირული ძარცვანი განეხორციელებინა, ვის შეეძლო ისე გაეძვრინა ეტლი, ვითარცა ტომს? ისე ელოთიფოთა ან ბაითი წაელო? ვის შეეძლო ასე გადაეგდო არიფი? ვის შეეძლო (მიუხედავად ბაუსტრიტის აკრძალვისა) ცხენდაცხენ ეყარა? ვის ჰყავდა ასეთი ტოროლა, შავთვალა სალი (მისი ქალი)? ვინ იყო ასეთი დანიანურებული, გამოპრანჭული, ჯიბესქელი და ჭკუისკოლოფი?

მაგრამ ტომი აღარ არის და ამიტომ მოვეშვათ ტომს. გმირები უნდა დაიხოცნენ; და ღვთის მადლით, შორს არაა ის დრო, როს უმრავლესობა შინ დაბრუნდება.

დიდება ტემზავ! დიდება! შენს გასწვრივ მიიჩქარის ჟუანის ეტლი, მიგორავს და ისეთ ხმას გამოსცემს, თითქო დოლი უკრავდეს ქუხილში, გზას მიუყვება, რომელსაც ვერ ასცდება კენინგტონისა და სხვა „ტონის“ გავლით, რაც გვანატრებინებს: ნეტა ახლა ქალაქში ვიყო.

გაიარა „ჭალები“, რასაც ასე იმიტომ ჰქვია, რომ ხე არ გაიჭაჭანებს (აი, შუქი რომ იყოს უსინათლოდ); გაიარა პროსპექტი, სახელად „საამო მთა“, სად ვერაფრით ისიმოვნებ და ვერც მთას ნახავ ასასვლელად; გაიარა აგურისაგან აშენებული პატარა ყუთები, მტვრით სავსენი და: „ქირავდებაო“ რომ აწერია კარზე; გაიარა ქუჩა, რომელსაც მოკრძალებული სახელი „სამოთხე“ ჰქვია, და საიდანაც დაუფიქრებლად წავიდოდა ევა;

გაძვრა ეტლებში, დროგებში, დაშვებულ ხერგილებში, ბორბლების ხმაურში, აურზაურსა და ყაყანში; აქეთ ტავერნები სთავაზობდნენ პინტ კანარულ ღვინოს, იქით ფოსტა მიჰქრის მოჩვენებასავით; იქ სადალაქოთა რიგია ვიტრინებში დახუჭუჭებული პარიკებით; აქ მეფარნენი ასხამენ სითხეს მბჟუტავ შუშებში (მაშინ ხომ ჯერ გაზი არ გვებადა);

ყოველივე ამასა და გაცილებით მეტს გადააწყდებიან მოგზაურნი ძღვევამოსილ ბაბილონში, ცხენით შემოვლენ, ლანდოთი თუ ეტლით, მცირეოდენი განსხვავებებით ყველა გზა ერთმანეთსა ჰგავს. მეტსაც გიამბობდით, მაგრამ არ მინდა საგზაო წიგნებს წინ გადავუსწრო.

მზე ჩავიდა და ღამე მწუხრს ენაცვლებოდა, როს ამალამ ხიდი გადავლო.

აი, აქ კი საამო ხმა გაისმა ტემზის დუდუნისა — მისი ტალღები წამით განწმენდს, თუმც ძლივს გაიგონებ მის ხმას მრავალრიცხოვან წყველა-კრულვაში — ვესტმინსტერის ფარნები მეტად კაშკაშებენ, ქვაფენილი უფრო ფართოა, იქვე ტაძარია, სად მრავალფეროვანი დიდება განისვენებს — აქ მთვარის შუქი დაჰნათის კვარცხლბეკთ — და ეს ყველაზე წმიდა ნაწილია ალბიონის კუნძულისა.

დრუიდთა ჭალების დრო გარდავიდა — და მითუკეთესი; სთოუნ-ჰენჯი აღარ არის — ეს რალა ეშმაკია? მაგრამ ბედლამი ხომ შემოგვრჩა თავისი ბრძენი ბორკილებით, რათა გიჟმა არ გიკბინოს მასთან სტუმრობისას; მსჯავრიც აქა სუფევს, გადავსებული მოვალენით; აქვეა მერის რეზიდენციაც (თუმც ზოგი დაბალ ნიშანს უწერს), თუმც მე დიადი და მტკიცე აღმართულობა მგონია; ამ შემთხვევაში ვესტმინსტერის სააბატო უმაღლესი ნიშნით უნდა შეფასდეს.

სინათლეთა მწკრივიც, ჩარინგ კროსზე, პელ მელზე და ასე შემდეგ, კაშკაშებს ოქროსფრად, შედარებით იმ ჩაფერფლილ კონტინენტურ განათებასთან, სადაც ვერ ვიტყვით, ქალაქები ღამით განათებულიაო. ფრანგები ჯერაც გაუნათებელი ერია და, როს ამას მიაღწევენ, თავიანთ ფარნის ბოძებზე, პატრუქთა ნაცვლად, ბოროტ კაცებს ჩამოკიდებენ.

ქუჩებში ჩამოკონწიალებულ ჯენტლმენტა მწკრივი მთელ კაცობრიობას განათებდა, ისე ვითარცა კოცონებად აგიზგიზებული სასახლენი ანათებს სოფლებს; მაგრამ ისევ ძველებურადა სჯობს, ნახევრად ჩაბნელებულში ყოფნა; ისე ჩანს, ვით ფოსფორი ფილებზე, ერთგვარი ნელი ცეცხლი გონებისა, რაც თუმც დამაბნეველი და შემაშფოთებელია, ჯერ ნაკლებ წვავს და მერმე ანათებს.

მაგრამ ლონდონი ისე კარგადაა განათებული, დიოგენეს რომ შესძლებოდა განეახლებინა ძებნა პატიოსანი ადამიანისა და ვერ ეპოვნა ამ უზარმაზარ ქალაქსა და მის მიდამოებში, ეს ნათურების ბრალი არ იქნებოდა, რომ ვერ მიეგნო მიუგნებელი განძისათვის. თავდაუზოგავად ვეძებდი მოგზაურობისას, რაც თავი მახსოვს, და მხოლოდ ერთი ვეჭილი ვპოვე.

გაიარა ბრბოსა და ეტლებში პელ მელის მორახრახე ქვაფენილზე — რისი ხმაც ვერ შეედრება გადასახადების ამკრეფთა კაკუნს მათთვის დაკეტილსა და შელოცვილ კარზე, დაბინდებისას ადრეული სადილებისათვის რომ იღებოდა მცირეოდენ მოქეიფეთათვის — და ჟუანმა, ჩვენმა ჭაბუკმა ცოდვილმა დიპლომატმა, გზა გაიკვლია და რომელიღაც ოტელს მიადგა, სენტ ჯეიმზის სასახლესა თუ სენტ ჯეიმზის „ჯანდაბებს“.

მიადგენ ოტელს; გამოეფინენ წინკარში კახტადრაცმული მსახურნი, ირგვლივ ბრბო შემოჯარულიყო, იქვე იყვნენ პაფოსელნი, ლონდონს რომ მოედებინ, რაჟამს დღე მიიწურება; თავისუფალნი და უზნეონი, საჭირონი რომ არიან, მალთუსისა არ იყოს, ქორწინებაზე რომ მსჯელობს, მაგრამ მოიცათ, ჟუანი ეტლიდან ჩამოდის...

ერთ-ერთ ყველაზე ლაზათიან სასტუმროსთან, განსაკუთრებით უცხოელთა და უმთავრესად მათთვის, ვისაც ბედ-ილბალი სწყალობს, და ანგარიშის წვრილმანები ძვირად არ ეჩვენება.

იქ უცხოვრიათ და მრავლად ცხოვრობენ ელჩები (ამ ბუნაგში მრავალი დიპლომატური ტყუილი თქმულა) მანამდე, სანამ დიდ ასპარეზზე გამოვიდოდნენ და კარზე ბრინჯაოს დაფაზე დაანერდნენ თავიანთ სახელებს.

ჟუანი, ვისაც დელიკატური პირადი, თუმც საჯაროდ მნიშვნელოვანი, დავალება ჰქონდა, არავითარ ტიტულს არ ატარებდა სიმკვეთრისათვის, თუ კერძოდ რა საქმეზე გამოეგზავნათ. მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ მაღალი რანგის უცხოელი საიდუმლო მისიით გადმობრძანდა ჩვენს ნაპირზე;

ამბობდნენ, ახალგაზრდაა, მოხდენილი, სრულქმნილიო, და იმასაც დასძენდნენ (ჩურჩულთ), თავის მბრძანებელს თავბრუ დაახვიანო.

ჟუანის ჩამოსვლას გაუსწრო და ჭორებიც გავრცელდა მის საოცარ თავგადასავლებზე, ომისა და სიყვარულთა ამბები; და რაკილა რომანტიკული თავები კარგი მხატვრები არიან, და ინგლისელს ქალებს ყველაზე მეტად ახასიათებთ უგზოუკვლოდ ხეტიალი და მიდებ-მოდება, ფხიზელი გონიერების საზღვრების დარღვევა, ჟუანმა აღმოაჩინა, რომ არნახულ მოდამი ყოფილა, რაც ჩვენს მოაზროვნეთ ვნებაში ერევათ ხოლმე.

იმას კი არა ვგულისხმობ, რომ მგზნებარება აკლიათ-მეთქი, სწორედაც პირიქით, მაგრამ ვნება თავში აქვთ; თუმც შედეგები ისეთივე თვალშისაცემია, თითქოსდა გულით მოქმედებდნენ; მას რას უნდა ნიშნავდეს, რომ ქალები თავგადაკლულნი მეცადინეობენ დღედაღამე? ამას მიჰყავთ იმ უსაფრთხო ადგილამდე, რაც ყველას სურს, და რა მნიშვნელობა აქვს, გზა გული იქნება თუ გონება?

ჟუანმა წარუდგინა სადაც ჯერ არს და ვისაც ჯერ არს ყოველი რუსული საბუთი; და მიიღეს შესაფერი გამომეტყველებითაც მათ, რომელნიც სინამდვილეში წარმართავენ განწყობილებას; შეხედეს მომხიბლავ ჭაბუკს და გაიფიქრეს (რაც სახელმწიფო საქმეებში მეტად არსებითია): ამ ყმანვილკაცს მალე დავიმორჩილებთო, — ვით შევარდენი გაჰკრავს ხოლმე კლანჭს ტყის მგალობელ ფრინველს.

ისინი ცდებოდნენ, ვითარ სჩვევიათ ხანდაზმულთ; მერე და მერე ამაზეც ვისაუბრებთ, და თუ არ ვახსენეთ, ეს იმიტომ, რომ დიდად არ მოგვწონს პოლიტიკოსნი და მათი ორპირობა, სიცრუეში რომ ცხოვრობენ და მაინც თამამი ტყუილის თქმას ვერა ბედავენ; ხოლო ქალებში ის მიყვარს, რომ ტყუილის გარეშე არ გაეძღვებათ, მაგრამ ამას ისე კარგად ახერხებენ, სიმართლე სიყალბედ მოგეჩვენებათ მათ ნათქვამთან შედარებით.

და ბოლო-ბოლო რა არის ტყუილი? ეს ხომ სამასკარადოდ გადაცმული სიმართლეა; და მე ვამხელ და მოვუწოდებ ისტორიკოსებს, გამირებს, იურისტებს, ბერებს, ისე წარმოაჩინონ ამბები, ნუ გაბუქავენ ცრუპენტელობით. ერთიბენო ჩრდილიც კი ჭეშმარიტებისა გააცამტვერებს ანალებს, ხილვებს, პოეზიასა და წინასწარმეტყველებას — გარდა იმ შემთხვევებისა,

როს წინასწარმეტყველება მომხდარზე რამდენიმე წლით ადრე ითქმება.

დიდება ყველა ცრუპენტელასა და სიცრუეს!

ან ვილა დაამუნათებს ჩემს საბრალლო მუზას მიზანთროპი-სათვის?

ის მთელი მსოფლიოს გასაგონად რეკს, „დიდება შენდა ღმერთო“, და წითლდება თუ ვინმე ასე არ მოიქცევა; მაგრამ ოხვრა ამოა; დაე სხვებივით ძირს დავემხოთ, ვემთხვიოთ ხე-ლებზე, ფეხებსა და მისი უდიდებულესობის სხვა ნაწილებზე, ამის კარგი მაგალითი ხომ „მწვანე ერინმა“ დაგვისახა, ვისი სამყურის ტარებაც ახლა ალბათ აღარ ღირს.

ღონ ჟუანი წარადგინეს.

მისმა სამოსმა და გარეგნობამ საერთო აღტაცება გამოიწ-ვია. არ ვიცი, ვინ მეტად მოიხიბლა და ვინ ნაკლებ, მაგრამ მეტი ყურადღება მიიპყრო ერთმა უზარმაზარმა აღმასმა, რომე-ლიც, ვითარც შეიტყეს, სიყვარულითა თუ სასმელით მთვრალ ეკატერინეს ებოძებინა; და სიმართლე რომ ითქვას, პატიოსნად იყო მოპოვებული.

ამასთან, მინისტრებიცა და ლაქიებიც, რომელთაც თავაზი-ანობა ევალებათ სრულუფლებიან დიპლომატთა მიმართ მეფე-თა მერყეობისას, ვინემ ისინი ბოლომდე ნაიკითხავენ სამეფო თავსატეხს, კლერკებიც — ის ბინძური ნასხლეტნი, კანცელა-რიებში რომ სხედან და მდაბალი კორუფციის წყაროდან იკვე-ბებიან — კი არ აღმოჩნდნენ უხეშნი სარგოს მოპოვებისას.

ქედმაღლობა ხომ უთუოდ მათი ხელობაა, რადგანაც ყო-ველდღიურად ამ ჭაპანს ეწვევიან ძვირფას კანცელარიებში, სად ომისა და მშვიდობის ამბები წყდება; და თუ ეჭვი გეპარება, გვედრი, კარის მეზობელს ჰკითხე, თუ ვითარ იქცეოდნენ ეს პა-ტარა, გოშია ძალღმობილები, როს პასპორტისა თუ სხვა, თავი-სუფლების მოსაპოვებელი საბუთისათვის მიმართა თავისდა ჭირად.

მაგრამ ჟუანი მეტი კეთილგანწყობით მიიღეს, ეს დახვენი-ლი ფრაზა ჩვენი კარის მეზობლისაგან, ფრანგებისაგან, უნდა ვისესხო, სად, ჭადრაკის ფიგურებივით, უფრო მეტად განასხ-

ვაგებენ სიხარულსა თუ ნუხილს არა მხოლოდ საუბარში, არამედ პრესაშიც.

კაცი კუნძულებზე უფრო პირდაპირი და ბეჯითია, ვინემ კონტინენტზე, თითქოსდა ზღვამ (იხილე უნმანურობა) ჩვენი ენა მეტად გაათავისუფლა.

და რადგანაც ბრიტანული „დასწყევლოს ღმერთმა“ უფრო მეტადაა ატიკური, ხოლო თქვენი კონტინენტური გინება ზღვარგადასულია და ისეთი, რომ არისტოკრატიული სული ვერ იგუებს და მეც კი ვერ შევძლებ მის გამეორებას, რადგან თავაზიანობას დამაშორებს, „დასწყევლოს ღმერთმა“ უფრო ჰაეროვანია, თუმცა გაბედული პლატონური სულიერი მკრეხელობაა.

პირდაპირობა თუ გნებავთ უზრდელობისას, შეგიძლიათ შინ დარჩეთ; წრფელი ან ყალბი თავაზიანობისათვის (რაც დღეს გაიშვიათდა) შეგიძლიათ ლურჯი უფსკრული და თეთრი ქაფი გადასეროთ — პირველი სიმბოლოა (თუმცა იშვიათი) იმისა, რასაც უკან ტოვებ, მეორე ისაა, რის შესახვედრაც მიდიხარ.

რაც უნდა იყო, რა დროს ზოგად თემებზე ლაყობაა; ლექსებმა ერთიანობა უნდა შეინარჩუნოს, ისე ვითარცა ეს ჩემი ლექსი ახერხებს.

იმ დიად სამყაროში, რაც დასავლეთ ანუ უარეს ნაწილს ნიშნავს ქალაქისა, და ორჯერ ორი ათასი ჯიშიანი, ბრძენი და გონებამახვილი ადამიანი წარმოუშვია, რომელთაც ღვიძავთ და სიბრალულით დასცქერიან სამყაროს მაშინ, როს სხვებსა სძინავთ, ჟუანი, ეს ჭაბუკი პატრიციუსი, კარგად მიიღეს შეძლებულთ.

უცოლო გახლდათ, რაც მნიშვნელოვანია ქალწულისა თუ საპატარძლოსათვის, ჰიმენეს იმედებს რომელნიც ელოლიაგებიან; და (თუ მსწრაფლ არ მოიპოვებს სიყვარულსა თუ სიამაყეს) ისიც მოელის, რომ კვლავ ნეკნად გადაიქცევა ქორწილში, რასაც მორთვა-მოკაზმვა სჭირდება, და გადაიხრება იქით, რომ ორმაგ ცოდვაში ვარდება და უარესშიც — ხათაბალაში.

მაგრამ ჟუანი არამარტო უცოლო იყო, არამედ — ხელოვნების მცოდნეც, სხეულის ნაწილთაც და გულთამპყრობელიც გახლდათ; ცეკვავდა, მღეროდა და ისეთივე მგრძობიარე გატაცებით, მოცარტის უტკბილეს მელოდებს ვითარც სჩვევი-

ათ; და სევდიანი იქნებოდა თუ მხიარული, „რიდისა და ძრწოლის“ გარეშე, სწორედაც რომ თავის დროზე გახლდათ; და თუმცა ჭაბუკი იყო, უკვე ენახა ქვეყნიერება — რაც უცნაური რამაა, და სულაც არა ჰგავს იმას, მასზე რასაც წერენ.

მშვენიერი ქალწულნი წითლდებოდნენ მის დანახვაზე; გათხოვილი ქალბატონები იფურჩქნებოდნენ ათასფერად; ორივე სახეობა ბინადრობს ტემზის ნაპირზე, დასახატიც და დახატულიც; ყმანვილნიც და მხცოვანნიც ისეთ მიმართვებს უგზავნიდნენ მის გულს, ვერცერთი ჯენტლმენი ვერ იტყოდა უარს; ქალიშვილთ მისი სამოსი მოსწონდათ, ღვთისმოსავი დედები მის შემოსავალს უკირკიტებდნენ და კითხულობდნენ, ძმები თუ ჰყავსო?

მკერვალნი, — რომელნიც გამოპრანჭავენ გასათხოვარ, „საქსოვილო ასულთ“ მთელი სეზონით და ოცნებობენ, ფულს გადაგვიხდიანო, თაფლობის თვის ბოლო კოცნის დასრულებისას და მთვარის მილევისას, ელვარე ნამგალს რომ ემსგავსება, — ვარაუდობდნენ, ამისთანა შემთხვევა არ დაგვიძვრეს ხელიდან — მდიდარი უცხოელი, მისი კრედიტი, საქმროს ფიცი, ოხვრა და ფულის განაღდებაცო.

ინტელექტუალი ქალბატონები, ნაზ არსებათა მოდგმა, სონეტებზე რომ ოხრავს და „მიმომხილველის“ ბოლო ნომრის ფურცლებით გამოაკრავენ საკუთარი ქუდებისა თუ თავების ინტერიერებს და ლაჟვარდისფრად გადააკრიალებენ, ცუდად ლაპარაკობენ ფრანგულად თუ ესპანურად, „მიმომხილველის“ ბოლო ნომრის ავტორებზე სთხოვდნენ აზრის გამოთქმას ყუანს და იმასაც ეკითხებოდნენ, რომელი უფრო ნაზი ენაა — რუსული თუ კასტილიურიო? და ილიონშიც თუ იყო ნამყოფი მოგზაურობებისას.

ყუანი ცოტა ზედაპირული იყო და ლიტერატურაშიც დიდი დროკანსირი არ გახლდათ, და ამ განათლებულ და განსაკუთრებულ ქალბატონთა ყიურის წინაშე, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა; ემარჯვებოდა მარტოდენ ომი, სიყვარული და სახელმწიფო საქმენი, ცეკვისადმი ბეჯითმა მიდრეკილებამ ჰიპოკრენისაგან დაიფარა, რაც ვითარცა ახლა აღმოაჩინა, ლურჯი ყოფილა და არა მწვანე.

რაც უნდა ყოფილიყო, გაბედა და უპასუხა მორიდებული თავდაჯერებითა და მშვიდი დამაჯერებლობით, რამაც დაადასტურა მისი ბეჯითი განსწავლულობა და ამით ბოლო მოუღო მის შესახებ კამათსა და მსჯელობას. იმ უნიჭიერესმა მის არამინტა სმიტმა (თექვსმეტი წლისამ „შმაგი ჰერკულესი“ რომ თარგმნა შმაგი ინგლისურით) მონყალებით შეჭხედა და მისი გამონათქვამები დღიურში შეიტანა.

ჟუანმა რამდენიმე ენა იცოდა — ვითარც შეეძლო — და ოსტატურად იყენებდა თავის დროზე და თავისი სახელის გადასარჩენად თვითეულ მშვენიერ ქალბატონთან, რომელნიც მან იცნუხდნენ, რომ ჟუანი ლექსებს არ წერდა. ისლა სურდათ, რომ ამ საჭირო საგანსაც აეზიდა (მათთვის) მისი ნიჭი და უნარი ამალღებულობამდე; ლედი ფიც-ფრისკი და მისს მევია მენიში კი ნატრობდნენ, ესპანურმა სიმღერამ აღგვაგზნოსო.

ასეა თუ ისე ყველაფერი გვარიანად გამოუვიდა და ყველა საზოგადოებაში კანდიდატად მიიღეს, და ვით ბანქოს შუშაში, დიდ თავყრილობებსა თუ პატარა წვეულებებზე, ხედავდა ათათას ცოცხალ მწერალს, რაც მხოლოდ საშუალო რიცხვი იყო მათი რაოდენობისა, და კიდევ „ოთხმოც დიდ ცოცხალ პოეტს,“ რადგან თვითეულ უბრალო ჟურნალსაც შეუძლია წარმოგვიდგინოს თავისი დიდი პოეტი.

ორჯერ ხუთ წელიწადში „უდიდესი ცოცხალ პოეტთა შორის“, ვით ფალავანი, რინგზე გამოჰყავთ, რათა დაიცვას თვისი წოდება, ანუ წარმოადგინოს, თუმც ეს ყოველივე წარმოსახვითია.

თვით მე, თუმც ამისი არა ვიცოდი, არ მიძებნია ქვეშევრდომნი, მეფე რომ გავმხდარიყავი, მივუჩნევივართ კაი ხანს დიდ ნაპოლეონად რითმების სფეროში.

მაგრამ ჟუანი აღმოჩნდა ჩემი მოსკოვი, ფალიერო — ჩემი ლაიფციგი, მონ სენ ჟანი კი ალბათ ჩემი კაენია, ბრიყვთა „მშვენიერმა ალიანსმა“ დაამხო, და თუმც ლომი დაცემულია, შესაძლოა წამოდგეს, მაგრამ მეც დავეცემი, ვით ჩემი გმირი დაეცა; ან უნდა იმეფო, ვითარცა მეფემ, ანდა სულაც არ უნდა იმეფო; და რომელიმე განმარტოებულ კუნძულზე გამოგკეტონ ბუნებათაღლითიანმა საუთიმ და ციხის ზედამხედველმა ლოუმ.

სერ უოლტერი მეფობდა ჩემამდე, მური და კემპბელი — ჩემამდეც და შემდგომაც, მაგრამ ან რაკი უფრო ნმინდანნი შეიქნენ, მუზებმა სიონის ბორცვზე უნდა ისეირნონ იმ პოეტებთან ერთად, რომელნიც, თითქმის ან მართლაც, სასულიერო პირნიც არიან, და პეგასმაც საფსალმუნო ჩორთი ისწავლა ღირსი რაული პაულისაგან, ვინც ამ დიდებულ ცხოველს ოჩოფეხებზე შესვამს, თანამედროვე ძველი პისტოლისა არ იყოს — ხმლის ვადის მადლმა?

და თუმც აჭარბებს იმ ვითომ მძიმე მშრომელს, იმავ ვენახში მოღვაწეს, რა ვუყოთ, რომ ვაზი მხოლოდ ძმრით აჯილდოებს; ეს არსაითა, გამოშტერებული დორუსი, ცხრა მუზას რომ დარაჯობს, ეს შავგვრემანი სპორუსი, არც კაცი და არც ბარდი; ეს ლექსში შებმული ხარი, ოფლისღვრა რომ უწევს ყოველი სტრიქონისათვის, კამბიზეს ღრიალი რომაელთ დაძლიეს ბოლო-ბოლო, კიბელეს ქურუმის მგლოვიარე წიგნი „ებრაელთადმი“.

მერე ჩემი კეთილი ეუფუესი მოდის, ვინც, ვითარც ამბობენ, ცდილობს ჩემ ზნეობას გამოეჯიბროს; ერთ დღესაც ნახავს, რომ ეს ცოტა ძნელი ყოფილა, ან ორივე უნდა იყოს, ანდა ერთერთი; ზოგნი ფიქრობენ, კოლრიჯი ჯაბნისო, ხოლო უორდსუორთს მომხრენი ჰყავსო, ჰა-და-ჰა ორი ან სამი; ხოლო იმ პირლია ბეოტიელმა „სევიჯ ლენდორმა“ გედის დასახატად საუთის დედალი ბატი გამოიყენა.

ჯონ კიტსი ერთმა კრიტიკულმა წერილმა მოკლა, არადა რალაც დიდის შექმნას გვპირდებოდა, თუნდაც გაურკვეველის, აპირებდა არა ბერძნულ, არამედ გვიანდელ ღმერთებზე მოეთხრო, ვითარცა ისინი ილაპარაკებდნენ.

საბრალო ყმანვილი!

დაუმორჩილებელი ბუნებისა იყო; უცნაურია, რომ გონება, ეს ცეცხლოვანი ნაწილაკი, ამოქრება რალაც ერთი სტატიისა გამო.

ცოცხალ და მკვდარ პრეტენდენტთა სია იზრდება და მოგებული კი ვერვინ დარჩება ანუ არვის ეცოდინება, ვინ იქნება დამპყრობელი, ბოლო-ბოლო, ვინემ დრო წარმოაჩენდეს მის უკანსასკნელ ჯილდოს, მაღალი ბალახი დაჰფარავს მის ამომწვარ ტვინსა და გამომხმარ ჭვარტლს.

წინასწარმეტყველების უფლება თუ მაქვს, მცირედ შევაფასებდი მათ შანსებს; მეტისმეტად ბევრნი არიან, ოცდაათი ვითომტირანივით, იმდროინდელით, როს რომის ჭუჭყიანი მატინი იწერებოდა.

ესაა მდაბიორ ლიტერატორთა იმპერია, სად პრეტორიელთა ბანდები ხელთ იგდებენ ძალაუფლებას; „საშიშარი საქმეა“, იმისა არ იყოს, „ზღვის კამას“ ვინც ჰკრეფს; უხეში ჯარისკაცები არიან, უნდა ამშვიდო და აქო ისეთი გრძნობით, თითქო ვამპირს არჯულებდე. შინ რომ ვყოფილიყავ და კაი გაკილვის გუნებაზეც, შევეცდებოდი შემეფასებინა ეს ჯანიზარიები, და მეჩვენებინა მათთვის, თუ რარიგია ინტელექტუალური ომი.

ვფიქრობ, ვიცი ორიოდე ილეთი, მათ ფლაგებს რომ მიშლმომშლიდა, მაგრამ, აბა, რას მარგებს, ასე რომ დავნვრიმალდე; მაგისტვის საჭირო გესლი სად მომეძეება; ჩემი ბუნებრივი წრთობა შეუდრეკელობას მოითხოვს და თვით ჩემი მუზა გმობს ღიმილს, მსწრაფლ დაგიკრავს თავს თანამედროვე თავაზიანობით და გასრიალდება, დარწმუნებული, ზიანს რომ აროდეს მოგაყენებს.

ჩემმა ჟუანმა, სასიკვდილო განსაცდელში რომ დავტოვე, ცოცხალ პოეტთა და ცისფერ ქალბატონთა გარემოცვაში, მცირედი მოგებით გამოიარა ეს უნაყოფო მინდორი; დროულად მოიყირჭა, და არც ბოლომ და არც უკანასკნელმა მიატოვა ისინი, ვინემ საძაგლად მოექცეოდნენ; მას შემდეგ უფრო ხალისიან გარემოში ამოჰყო თავი, თანამედროვე ამაღლებულ სულთა შორის, მზის ჭეშმარიტმა შვილმა, სხივმა და არა ორთქლმა.

დილაობით საქმიანობდა, რაც, თუ დავნვრიმალდებით, ყველა სხვა საქმესავით ფუჭად შრომა გახლდათ, რაც დამქანცველია და მომწამვლელი კენტავრ ნესუსის მომაკვდინებელი მოსასხამივით, ვსხედვართ საცოდავად სავარძლებში და ავადმყოფური შიშით ვსაუბრობთ ყველანაირ საშუალებაზე ქვეყნისა ჩვენის სასიკეთოდ, რასაც არა შევლის რა, თუმც უნდა გაუმჯობესებულიყო.

ნაშუადღევს სტუმრად მიდიოდა ოფიციალურ სამხარზე, სალონებში ან კრივზე; მწუხრისას ამხედრდებოდა და შემოუვლიდა იმ შემოღობილ ბოსტნეულის ბაღებს, „პარკებს“ რომ უწო-

დებენ, სად არც ხილია და არც ყვავილები, რათა ფუტკრები ოდნავ მაინც უზრუნველჰყოს; მაგრამ რას იზამ, ეს ერთადერთი „ფანჩატურია“ (მურისა არ იყოს) მოდური ბაზრობისათვის სუფთა ჰაერზე.

შემდეგ გამოენყობოდა და სადილად მიდიოდა.

ამ დროს იღვიძებს მსოფლიო! აინთება ფარნები, ამოძრავდება ბორბლები, ახმაურდება ქუჩები და მოედნები, ჩაიქროლებენ ეტლები ელექტრული მეტეორებივით; შემდეგ იატაკზე გადაინაცვლებდა გაფერადებული პრანჭვა-გრეხისა და ჩახუჭუჭებულ გირლანდთა გარემოცვაში; გაისმოდა ბრინჯაოს დასაკაკუნებელთა ქუხილი კარებზე, რომლებიც გაიღებოდა მცირეოდენ ბედნიერთათვის ამქვეყნიურ სამოთხეში შესასვლელად.

იქ კი იდგა კეთილშობილი დიასახლისი, და თავბრუ დაეხვეოდა ათასი თავაზიანი რენესანსით; და ვალსი, ერთადერთი ცეკვა, რომელიც გოგონებს ფიქრს ასწავლის, და შეაყვარებს და ცოდვას ჩაადენინებს მავანსა და მავანს. სალონი, ოთახი, დარბაზი — ნაპირებამდე გადავსებული, გრძელია მწკრივი იქ მიმსვლელთა, რომელნიც თავს ამოჰყოფენ სამეფო კარის ნევრთა, ჰერცოგთა და ქალბატონთა წრეში და დროზე დაიკავებენ ერთ გოჯს თუნდ კიბეზე.

სამგზის ბედნიერია, ვინც კარგი საზოგადოების გაცნობის შემდეგ კუთხეს გამოძებნის კართან ბუდუარისა, სად შეუძლია ჩაეჭეჭყოს პატარა „ჯეკ ქორნერივით“, და დაე ბაბილონს ეყაყანა მის გარშემო და თვითონ კი ეცქირა, ვით მგლოვიარეს, ან ათვალწუნებით ეთვალეირებინა ყველა, ან მოწონების თვალით, ანდა უბრალო მაყურებლისა და ემთქნარებინა, ღამე რომ დადგებოდა.

მაგრამ მერე და მერე ესეც არა კმარა; და ვინც დონ ჟუანით მონდომებით მონანილეობს ყველაფერში, ფრთხილად უნდა გაცუროს ამ მოკაშკაშე ზღვაში ძვირფასი თვლებისა, ბუმბულებისა, აბრეშუმისა და მარგალიტთა, სად თვისი ადგილი ეგულება; ვალსის ცეკვით განზავდეს ეთერში ან ამაყად იარებოდეს მერკურისებრი ლაზათით, იქ სად მეცნიერება საკუთარ კადრილსა მართავს.

მაგრამ თუ არა ცეკვაეს, ოღონდ ამალღებული აზრები უტ-რიალებს რომელიმე მდიდარ მემკვიდრე გოგონასა თუ მეზო-ბელი პატარძლის გამო, გაუშვით მიხედოს, რადგან რასაც ესნ-რაფის, იოლი მისანვდომი არ არის. მრავალი მონადინებული ჯენტლმენი თანაუგრძნობს აჩქარებისა გამო: მოუთმენლობა გზის მაჩვენებლად არ გამოდგება; ამას ურჩევენ ისინი, რომელთაც სახელი გაითქვეს განაზრებებით და რომელთაც უყვართ თავი სულელად მოაჩვენონ — სიფრთხილისა გამო.

მაგრამ თუ მოახერხებთ, გვერდით მიუჯექით ვახშამზე; ან თუ დაგაგვიანდათ, წინ ჩამოუყუნცდით და მგზნებარე თვალები მიაპყართ: ო, ღვთაებრივო წამო! მუდამ ხალისიანად იყავით რაღაც სანტიმენტალურ ჭინკასავით, რათა საძუესავით ამოედოთ მეხსიერებას, ვითარცა აჩრდილი გამქრალი ნეტარებისა! მრავალი ამბის მოთხრობა შეიძლება ზეალსვლისა და დაცემისა, იმედებისა და შიშისა, რაც რომელიმე ბალზე გახმაურებულა.

მაგრამ სიფრთხილის ეს ზომები ეხება მხოლოდ უბრალო ხალხს, რომელთაც უნდა სდიონ, უთვალთვალონ, უმეურვეონ; რომელთა განზრახვანიც სიტყვის მეტ-ნაკლებად ტრიალია; და არა იმ მცირეოდენთ თუ მრავალთ (ხანდახან მრავლდებიან ხოლმე), რომელთაც კარგი გარეგნობა, განსაკუთრებით თუ ახალია, სახელი, განთქმულობა, მახვილგონიერება, ომი, განცდა ანდა არარაც, ნებას აძლევთ მიიღონ ყოველი, რაცა სურთ, ან დიდხანს არ ელოდონ.

ჩვენი გმირი, ვითა გმირი, ჭაბუკი იყო და თვალტანადი, კეთილშობილი, მდიდარი, სახელგანთქმული და უცხოელი, სხვა ყმებივით, ცხადია, მასაც უნდა გადაეხადა გამოსასყიდი, ვინემ გაექცეოდა საშიშროებას, გარს რომ ეხვევა ცნობილ ადამიანს.

ზოგი ლაპარაკობს პოეზიაზე, ზოგი „ბაგაზე“, სიმახინჯეზე, სნეულებაზე, ჭაპანწყეტასა და სიდუხჭირეზე; ეჰ, ნეტა ჭაბუკი კეთილშობილის ცხოვრებას იცნობდნენ.

ჭაბუკნი არიან და ახალგაზრდობისა არა იციან რა — ეს თავისთავად ცხადია; თვალტანადნი არიან, მაგრამ გაბერნებულნი, მდიდრები არიან და გროშიც რ აბადიათ; მათი ჯან-ღონე ათასო-

ბით მკლავებში იხარჯება; მათი ფული და ქონება ურიებს ბარდებათ; ორივე პალატა ხედავს, ვით მონაწილეობენ ხმის მიცემისას ტირანთა და ტრიბუნთა დაჯგუფებებში; და ოდეს ხმას მისცემენ, ისადილებენ, ილოთებენ, ითამაშებენ და იბოზებენ, საოჯახო აკლდამა კიდევ ერთ ლორდს ჩაიკრავს გულში.

— სადაა მსოფლიო? — იყვირა ოთხმოცი წლის იანგმა, — სადაა მსოფლიო, სად ადამიანი დაიბადა?

ექვ! სადაა ის მსოფლიო, ოთხმოცი წლის წინათ რომ იყო? აქ იყო, იმას დავეძებ — გარდავიდა შუშის გლობუსი! დაბარბაცდა, დაიბზარა, გაჰქრა, აღარ ჩანს, მდუმარედ გარდაიქმნა, განიბნია მბზინავ მასაში. სახელმწიფო მოღვაწენი, ბელადები, ორატორნი, დედოფლები, პატრიოტები, მეფენი, დენდები, ყველა გაჰქრა, ქარის ფრთებს გაჰყვა.

სადაა ნაპოლეონ დიდი? ღმერთმა უწყის.

სადაა პატარა კასლრეი? ეშმაკი გეტყვით;

სად არიან გრატანი, კურანი, შერიდანი, ყველა, ვინც ტრიბუნაზე იდგა სენატსა თუ სასამართლოში?

სადაა უბედური დედოფალი, მწუხარების გადამტანი?

და სადაა მისი ქალიშვილი, ასე რომ უყვარდათ კუნძულებზე?

სად არიან ის წამებულნი, ხუთ პროცენტ მოგებას რომ გვპირდებოდნენ?

და სადაა, ოჰ, სად ეშმაკებში ნავიდა რენტა?

სადაა ბრუმელი? დამხობილია.

სადაა აყლაყუდა ველსლი? დატინგიცობს. სადაა ვაითბრედი? რომილი?

სადაა ჯორჯ მესამე? სადაა ანდერძი? (არც ისე ადვილად გასაშიფრი) და სადაა „ფამ“ მეოთხე, ჩვენი „სამეფო ჩიტი?“

როგორც ჩანს, სკოტლენდში აარბინაო, საუნის ვიოლინოს მოსასმენადო, გავიგონეთ; „დამფხანე, დამფხანე“ — ექვსი თვე გრძელდებოდა სამეფო ქავილი და ქვეშევრდომული ფხანა.

და ეს ლორდი სადღაა?

და ის მილედი?

სად არიან ღირსეული მისისები და მისტრისები?

ზოგიერთი გვერდზე მიუგდიათ ძველი ოპერის ცილინდრივით, დაქორწინებულან, განქორწინებულან, ხელახლა დაქორწინებულან (ამგვარ ევოლუციას ხშირად მიმართავენ ამ ბოლო ხანს).

სადღაა დუბლინის ღრიალი — და ლონდონის ქირქილი? სად არიან გრენვილები? ბუნებათაღლითიანები.

ჩემი მეგობარი ვიგები სადღა არიან? სწორედ იქ, სადაც არიან.

სად არიან ლედი კაროლინები და ფრენსისები? გაეყარნენ ქმრებს თუ ჰა-და-ჰა. მატიანე მოგვითხრობს მათ ბრწყინვალე რაუტებსა და ცეკვებს, — „მორნინგ პოსტ“, მაცნევ მუსაიფისა, დამსხვრეული კარეტებისა და მოდურ ფანტაზიათა, გვითხარ ახლა, რა დინებანი მიედინებთან იმ არხებში? ზოგი მოკვდა, ზოგიც გაიქცა, გაჰქრა კონტინენტზე, რადგან დრომ ერთი ხიზანიც კი არ შეარჩინა.

ზოგი, ვინც წინდახედულ ჰერცოგებს უპირებდა მახეში გაბმას, ბოლოს მათივ უმცროს ძმებს დასჯერდა: ზოგ მემკვიდრეთ თაღლითმა ქონებაზე მონადირეებმა გამოჰკრეს კლანჭი: ზოგი ქალწული ცოლი გახდა, ზოგი კი მხოლოდ დედა; სხვებმა დაჰკარგეს ის ცინცხალი და ფერიული გამოხედვა: მოკლედ, მანუხებს ცვლილებათა ჩამონათვალი. აბა, რა არის ამეებში გასაკვირი, მაგრამ უცნაურია სისწრაფე ამ საყოველთაო ცვლილებათა.

აბა, სამოცდაათი წელი რა ასაკია; შვიდ წელიწადში უფრო მეტი ცვლილების მონმე გავხდი, მონარქათაგან მოყოლებული ყველაზე მდაბალი არსებით დამთავრებული ამქვეყნად. მაშ დავჯერდეთ და გავლიოთ ეს მოკრძალებული საუკუნე. ვიცოდი, მარადიული არა იყო რა, მაგრამ ახლა თვით ცვლილებაც კი მეტისმეტად ცვალებადია და ახალი არაფერი ხდება; არარაა მარადიული კაცთა შორის, გარდა იმისა, რომ ვიგები ვერ იმარჯვებენ.

მე მინახავს ნაპოლეონი — იუპიტერსა ჰგავდა სატურნამდე შეკვეცილს.

მინახავს ჰერცოგი (რა მნიშვნელობა აქვს, რომელი) — ჩლუნგ პოლიტიკოსად გადაქცეული, ამას თუნდ მისი გახვეებული სახე ადასტურებს.

მაგრამ დროა ჩემი „ლურჯი პიტერი“ ავაფრიალო და ახალი თემისაკენ გავცურო: მინახავს, და შევმცბარვარ, თუ ვით სისინებდა მეფე და მერე ვით დამტკბარა, მაგრამ ვერ გეტყვით, თუ რომელი სჯობდა.

მე მინახავს მდუმარე მინათმფლობელნი, მინახავს ჯოანა საუთქოთი, მინახავს თემთა პალატა — გადასახადთა მახედ ქცეული, მინახავს სევდიანი ამბავი გარდაცვლილი დედოფლისა, მინახავს ვით ატარებენ გვირგვინს მასხარის ჩაჩის ნაცვლად, მინახავს კონგრესი, საზარლად რომ საქმიანობს, მინახავს ერები — ტვირთმძიმე ვირებივით ტვირთს რომ გადაიდებენ, მაღალ კლასებს ვგულისხმობ ტვირთში.

მინახავს პატარა პოეტები და უფრო დიდი პროზაიკები, მინახავს გაჭიანურებულად — და არა გამუდმებულად — მოლაპარაკენი, მინახავს ომის გამო დაკარგული სახლი და მიწა, მინახავს დამსმენად გადაქცეული სოფლელი ჯენტლმენი, მინახავს ხალხი, რომელსაც ამხედრებული მონები ხედნიან, მინახავს თუ ვით გადაუქცევია ალაოს წვენი „მსუბუქ ალკოჰოლად“ ჯონ ბულს, მინახავს ვით ისუღელებს თავს ჯონი.

მაგრამ „carpe diem,“ ჟუან, „carpe, carpe!“ ხვალ სხვა ხალხი მოვა, ასევე დროებითი და მხიარული და იგივე ჰარპია შესანსლავს, „სიცოცხლე საწყალი მსახიობია“, „მაშ ითამაშე შე არამზადავ!“ ფხიზლად ადევნე ყველაფერს თვალყური, უფრო ნაკლები ყურადღება მიაქციე, თუ რას აკეთებ, ვიდრე იმას, თუ რას ამბობ, იყავ თვალთმაქცი, ფრთხილი, იყავ არა ის, რაც ჩანხარ, არამედ — ვითარცა ყოველთვის ხედავ.

მაგრამ ვითარ მოგიტხროთ მომდევნო თავებში თუ რა შეემთხვა ჩვენს გმირს მიწაზე, რომელსაც მდაბიო ძაღლები — ცრუობენ და — ზნეობრივ ქვეყანას უწოდებენ? მაგრამ ხელს გავაჩერებ, რადგან მძულს ისე წერა, ვით „ატლანტისის“ ავტორი წერს; მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ თქვენ ზნეობრივი ხალხი ხართ, და ყოველიც მოგეხსენებათ ძალზე გულწრფელი პოეტის გარეშეც.

ჩემი ამბავი იქნება იმაზე, რაც ჟუანმა ნახა და გამოიარა; მოგიტხრობთ იმ საჭირო თავშეკავებით, რასაც თავაზიანობა

მოითხოვს; და რასაც ვიხსენებ, მხოლოდ შეთხზულია, არც ჩემს თავს ვუმღერ და არც თავს გარდახდენილს. თუმც ყველა მწერალს უხდება თხრობის მსვლელობისას გადახვევები და ევლინება ალუზიები. ნუ დაექვდებით ამაზე, როს მე მისმენთ, მე არა ვგულისხმობ, მე ვყვები:

დაქორწინდა თუ არა რომელიმე, ქმარზე მონადირე, ბრძენი გრაფინიას მესამე ან მეოთხე შთამომავალზე, ან რომელიმე სათნო ქალწულზე (ვგულისხმობ საქორწინო კავშირებს ბედ-იღბალისა) და შეუდგა დედამინაზე ხალხის გამრავლებას, რისი კანონიერი და საძაგელი წყაროც ქორწინებაა, ან ხიფათი ხომ არ შეემთხვა და ზარალის ანაზღაურება დაეკისრა, რადგან ძალზე დაუდევარი იყო ერთგულების თვალსაზრისით, ეს ჯერ კიდევ წასაკითხია ამიტომ, წინ გასწიე, ჩემო სიმღერავ, კვლავაც მოგამარაგებ უხვი რითმებით, ჩვენ ხომ იმდენი თავდასხმა გადავიტანეთ, რაც ჯერაც არ ღირსებია ხელოვნების ქმნილებას, იმათგან, რომელთაც უყვართ მტკიცება, თეთრი შავიაო.

ამიტომ — რაც მეტი, მითუკეთესი! მარტო ვიდგები, მაგრამ მაინც არ შევიცვლი ჩემს თავისუფალ აზრებს ტახტის შესახებ.



თავი მეთორმეტე

ქალაქური ამბები, ქალაქური ჭორები

ბარბაროსულ შუა დროთაგან, რომელიც გნებავთ იგულისხმეთ, ყველაზე ბარბაროსული ადამიანის საშუალო ასაკია; ეს — არა მგონია, ვიცოდე — რაა; მაგრამ ის ჯამია, როს დავფრინავთ სისულელესა და სიბრძნეს შორის და ზუსტად არ ვუნწყით, რას მივადგებით.

ეს ჟამი რალაციტ ჰგავს ნაბეჭდ გვერდს, შავ ასოს თეთრ ფურცელზე; ამ დროს ჩვენი თმა ივერცხლება და ის აღარა ვართ, რაც ვიყავით.

ოდეს კაცი სიჭაბუკისთვის მეტად ხნიერი, მაგრამ მაინც ახალგაზრდა, ოცდათხუთმეტი წლისა ხარ, ბიჭებს ველარ აჰყვები, სამოცი წლისებშიც ვერ ჩაჯდები; ვფიქრობ, მარტო უნდა დარჩე, რადგან ჯერაც არსებობ, მაგრამ მოსაბეზრებელი ხდება ცხოვრება.

სიყვარული ჯერაც იგვიანებს, თუმც ნაგვიანეცია დაქორწინება; რაც შეეხება სხვაგვარ სიყვარულს, ილუზიები გაჰქრა; და ფული კი, ეს ყველაზე ცხადლივი წარმოსახვა, სადღაც აღმოსავალში თულა მოჩანს.

ოქრო! რატომ ვუნოდებთ ძუნწებს საცოდავთ? მათ მიერ განცდილი ნეტარება აროდეს გაუფასურდება; მათ ყველაზე უკეთ აქვთ ღუზა ჩამვებული; მტკიცე ჯაჭვით უჭირავთ ყველა სხვა სიამე, დიდი თუ მცირე.

ვისაც უხილავს მომჭირნე კაცი მაგიდასთან და ზიზლით შეუხედავს მისი ზომიერებასათვის და გაჰკვირვებია თუ ვითარ შეიძლება მდიდარი კაცი ხელმოჭერილი იყოსო, არ უწყის, თუ რა ხილვები აღიძვრება თვითეული დანაზოგისაგან.

სიყვარული თუ მრუშობა ასნეულებს ადამიანს, ღვინო კი-
დევე მეტადაც აზიანებს; პატივმოყვარეობა ანგრევს და თამაშს
კი წაგება მოაქვს; ხოლო ფულის კეთება, ჯერ ნელნელაობით,
მერე კი სწრაფად, და მიმატება ყოველ ჯერსა და შეხვედრაზე,
სჯაბნის სიყვარულსაც და სასმელსაც, მოთამაშის ანგარიშსაც
და პოლიტიკოსის ჭვარტლსაც. ოქროვ! ჯერაც მირჩევინხარ
ქალაქის ფულს, რაც საბანკო კრედიტს ორთქლის გროვას
ამსგავსებს.

ვინ ანონასნორებს მსოფლიოს?

ვინ მართავს კონგრესებს, როიალისტი იქნება თუ ლიბერალი?

ვინ ააჯანყა ესპანეთის შიშველ-ტიტველი პატრიოტები (რა-
მაც გადარია და ააღუღლულა ევროპის ჟურნალები)?

ვინ განაცდევინებს ძველსა თუ ახალ ევროპას ტკივილსა თუ
სიხარულს?

ვინ წარმართავს ნარნარად პოლიტიკას?

აჩრდილი ბონაპარტეს კეთილშობილური მცდელობისა?

ებრაელი როტშილდი და მისი მეგობარი, ქრისტიანი ბარინგი!!!

სხვანიც, თუნდ ქეშმარიტი ლიბერალი ლაფიტი, ნამდვილი
ლორდნი არიან ევროპისა. თვითეული სესხი მხოლოდ სპეკუ-
ლაციურ მიზანს კი არ ისახავს, არამედ ერებს მიუჩინს ადგილს
ბირჟაზე და ტახტებს არყევს. რესპუბლიკეებიც ჩაერთვნენ ამა-
ში; კოლუმბიის აქციათა მფლობელი ცნობილია და თვით პე-
რუს მინიდან ამოღებული ვერცხლი ებრაელის მიერ გაიცემა
დისკაუნტით.

რატომ ვუნოდებთ ძუნწებს საცოდავთ? ადრე გითხარით,
ხელმომჭირნე ცხოვრებით ცხოვრობენ ისინი, რომელთაც
წმინდანნი და კინიკოსები აქებენ; განდეგილის კანონიზაცია
იმავე მიზეზით ხდება; და რატომ უნდა განვსაჯოთ გამომხმა-
რი სიმდიდრის სიმკაცრენი? და რაკი იტყვიოთ, სულაც არაა სა-
ჭიროა ამგვარი სასამართლოო, მეტი ღირსებაც ყოფილა ძუნ-
წის მიერ საკუთარი თავის მსხვერპლშენიშვა.

იგია შენი ერთადერთი პოეტი, ვნებავ კრიალა და მბზინავი
ოქროს ბორცვების, ვიტრინების, საკუთრების, წიაღისეული-
სადმი, რაზეც ეფუძნება უფსკრულის პირას მყოფ ერთა იმედი;

ოქროს სხივები დასტრიალებს საბადოებში ჩამალულ ლითონთ; ძუნწს უნათებს ალმასები ბრილიანტის ბრწყინვალეობით და დღის მიწურვილი ზურმუხტისა და სხვა თვლების ბინდით ბზინავს ძუნწის მზერის დასატკობად.

მის ხელთაა ყოველმხრივ გადაშლილი მინები; გემები მოემართებიან ცვილონიდან, ინდოეთიდან თუ შორეული ხატაეთიდან და თვითეული მოგზაურობის შემდგომ მათთვის გადმოიტვირთება სურნელოვანი ნაწარმი; მისია ჭირნახულით დატვირთული ურმები, რომელთა ქვეშაც გმინავენ გზანი, და ვაზი იფერება წითლად, ვით ავრორას ტუჩები; მისი სარდაფი მეფის საცხოვრისად გამოდგება; და იგი, ვისაც სძულს ყოველნაირი მგრძნობიარება, ბრძანებს, ვითარც ინტელექტუალური მეუფე.

ეგებ დიადი პროექტები უტრიალებს გონებაში, სურს აშენება კოლეჯისა, ქსენონისა ან ეკლესიისა ან თვის შემდგომად სურს დატოვოს დიადი შენობა, რათა არ დაავინყდეთ მისი ძუნწი სახე; ან ეგებ კაცობრიობის გათავისუფლებას ესწრაფის სწორედ იმ საბადოებით, რომლებმაც ადამიანი დააბეჩავა, ან ეგებ სურს, ყველაზე მდიდარი იყოს თავის ერში, ან ეგებ ანგარიშიში ჰპოვებს განცხრომასა და ნეტარებას.

ჩამონათვალიდან შესაძლოა თვითეული ან არცერთი არ იყოს დამგროვებლის მოქმედების საფუარი, და სულელმა ეგებ ამას მანია ან სნეულება უწოდოს; მაგრამ თვითონ მისი მანია ან სნეულება ვითარილა? მიდით და ნახეთ საქმენი საგმირონი: ომები, ნადიმები, სიყვარულები, — ამათგან რომელს მოაქვს სარგებელი უფრო მეტი, რაც „მარტივ წილადებს“? რით აჯილდოებენ კაცობრიობას? გაძვალტყავებულო ძუნწო! დაე მფლანგველთა მემკვიდრეთ გამოარკვიონ, ვინ უფრო ბრძენია!

რა მშვენიერია ლითონის ფულის შეკვრები! რა მიმზიდველია საცავები, სად ინახება ოქროს ფილები, დოლარებით სავსე ჩანთები, ლაზათიანი მონეტები (ვერცერთი ძველი ტრიუმფატორი, რომელთა თავები და ქედებიც გამოსახულია სიფრიფანა ლითონზე, ვერ აინონის იმავ ლითონს, საიდანაც მისი გამოსახულება შემოგვანათებს) ჩამუქებული ოქროსი, რასაც ბუნდოვნად თუ ემსგავსება გაჩახჩახებულ არენაზე გამოსული თა-

ნამედროვეობის ბატონ-პატრონი სტერლინგი, ბრიყვული მარკა; ჰო! ნაღდი ფული იგივეა, რაც ალადინის ლამპარი.

„სიყვარული მართავს ბანაკს, სამეფო კარს, ჭალაკს“... „რადგან სიყვარული ზეცაა და ზეცა სიყვარულია“ — ასე მღერის ბარდი, თუმცა ძნელი სამტკიცებელი კია (მტკიცება საზოგადოდ ძნელია პოეზიაში). თუმცა შეიძლება „ჭალა“ (Grove) რამეში გამოდგეს, ბოლო-ბოლო სიყვარულს (love) ერითმება; მაგრამ ვეჭვობ (და არანაკლებ, ვინემ მინათმფლობელნი — რენტას), რომ „ბანაკიცა“ და „სამეფო კარიც“ ასევე სენტიმენტალური იყოს.

მაგრამ თუ სიყვარული ვერ შეიძლება, ფული შეიძლება, მართოდენ ფული: ფული მართავს ჭალას და გაჩეხავს კიდეც; უფულოდ ბანაკები მცირერიცხოვანი იქნება და სამეფო კარი აღარ იარსებებს; უფულოდ, მალთუსი ამბობს, ცოლს ნუ შეერთავთო. ასე რომ, ფული მართავს მბრძანებელ სიყვარულს თავისებური წესით, ვითარ ქალწული ცინტია მართავს ტალღებს; აი, ზეცა კი — „ზეცა სიყვარულიაო“, მაშ რატომ არ ვამბობთ, თაფლი ცვილიაო? ზეცა სიყვარული არაა, ის ქორწინებაა.

განა ყოველნაირი სიყვარული აკრძალული არ არის, გარდა ქორწინებისა? ესეც ერთგვარი სიყვარულია, უთუოდ და უთუმცაოდ, მაგრამ ხალხში ამ სიტყვებს ამ აზრით აროდეს წარმოთქვამენ; სიყვარულმა შესაძლოა იარსებოს ქორწინებაში ოდესმე, და ქორწინებამაც იარსებოს უსიყვარულოდ, ხოლო უქორწილო სიყვარული ცოდვაცაა და სირცხვილიც და სულ სხვა სახელის მორგება ევალება.

აბა, თუ „სამეფო კარი, ბანაკი და ჭალა“ არ შეივსება სამუდამოდ დაქორწინებულ კაცთაგან, არ ვისურვებდით მათ მეზობელთა ტყავში ყოფნას; მგონი, ეს სტრიქონი შეცდომით გაეპარა ჩემს „*buon camerado*“ სკოტს, ვინც ასე განთქმულია თავისი ზნეობით და ვისაც ჩვენი ჯეფრი მაგალითად დამისახავს მე, ვისთვისაც ეს ზნეობა სანიმუშოა.

რას იზამ, თუ ვერ გავიმარჯვებ, ხომ გამიმარჯვია, და საკმარისია; გამიმარჯვია სიჭაბუკისას, იმ დროს, როს გამარჯვება საჭიროა; და ჩემმა წარმატებამ მომიტანა, რაც მართლაც

მჭირდებოდა; იმას ახლა არც კი მოვითხოვ: რაც იყო, ჩემი იყო; მართალია მოგვიანებით მაზღვევინეს წარმატება, მაგრამ ის კი ვერ მასწავლეს, რომ ნაკლებად მდომებოდა.

ის პროცესი, ლორდ კანცლერის სამსჯავროში ჯერ არდაბადებულის დასაცავად რომ წამოიწყეს ზოგიერთებმა, რათა გაემართლებინათ თავიანთი რწმენა გამრავლებისა, შთამომავლობის ანუ მომავალი თაობის მონათვლისა, ჩემი აზრით, საექვო ხავსია ჩასაჭიდებლად ან შესაშველებლად; ამოდ ჩაუვლით, რადგან, ვფიქრობ, შთამომავლობას არ ეცოდინება მათზე და არც მათ ეცოდინებათ იმ ქალზე.

ჰო, რა?! მეც ხომ შთამომავლობა ვარ და თქვენც; და რამდენი სახელი გვახსოვს? ასი ხომ არა?

ყველა ნამდვილად გასახსენებელი რომ ჩამოვთვალოთ, ათიოდე ან ოციოდე სახელი თუ შეკონინდება და ისიც შეცდომით; პლუტარქემაც ხომ ძლივძლიობით შეაგროვა რამდენიმე, და იმ რამდენიმეს დასტრიალებენ ხმაურით თქვენი ანაღისტები; ეს ჩვენი მიტფორდი კი XIX საუკუნეში, ბერძნული სიმართლით, ძველ კეთილ ბერძნებზე ტყუილებს გვიამბობს.

კეთილო ადამიანებო ყველა ფენისა, დამჯერო მკითხველებო და მოურჯულებლო მწერლებო, მსურს ამ, მეთორმეტე ქებაში სერიოზული ვიყო, ვითარცა ისეთი მთხრობელნი, მალთუსისა ან ვილბერფორსის მსგავსნი: ვილბერფორსმა ზანგები გაათავისუფლა და მილიონი მტერი გაიჩინა, ველინგტონმა კი თეთრკანიანები დაიმონა; მალთუსი ისეთ რამეს სჩადიოდა, რასაც თავის ნაწერებში კიცხავდა.

სერიოზულად ვამბობ და ასე იქცევა ყველა, ვინც წერს; და რატომაც არ უნდა შევიდე განაზრებებში და რატომ უნდა დავუშალო მზეს ჩემი პატარა სანთელი? კაცობრიობა ამჟამად შუამდგომლობებში ჩაფლულა კონსტიტუციათა და ორთქლის ხომალდთა გამო, ხოლო ბრძენკაცნი წერენ ნაშრომებს გამრავლების საწინააღმდეგოდ, მანამდე, სანამ კაცი გამოიანგარიშებდეს თუ რა დაუჯდება ბავშვის შენახვა, როს დედა ძუძუს მოსხლიტავს.

რა კეთილშობილურია! რაოდენ რომანტიკული!

ჩემი მხრივ, ვფიქრობ „ჩასახვის სიყვარულია“ (აი, ეს კი ჩემი გულიდან აღმომხდარი სიტყვაა, თუმცა უფრო მოკლე სიტყვაც არსებობს ამის აღმნიშვნელი, თუკი თავაზიანობას გვერდზე გადავდებდით; მაგრამ გადავწყვიტე, არაფერი ვთქვა უნმანურ-რი), და ვითარცა გეუბნებოდით, „ჩასახვის სიყვარულია“ ის, რამაც კაცთაგან მიტევება უნდა გვაღირსოს.

ახლა კი საქმეს დავუბრუნდეთ, ჩემო ძვირფასო ჟუნან, ლონ-ღონში იმყოფები — იმ საამო ალაგს, სად ყოველდღიურად უბედურებას გადაეყრება კაცი, ალაგს, რომელიც იტყუებს მგზნებარე ახალგაზრდებს თავის ველურ რბოლაში. მართალია კარიერას არ დაეძებ; არც ახალბედა ხარ თავდაუზოგავ ყმანვილკაცურ დევნაში, მაგრამ ეს ახალი მინაა, რასაც უცხოელნი ვეროდეს გაუგებენ.

კლიმატის მცირეოდენ განსხვავებულობას რაც შეეხება, ცხელი იქნება თუ ცივი, ცვალებადი თუ ერთგვაროვანი, საეპისკოპოსო მინდობილობას გავუგზავნიდი ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებს; მაგრამ, დიდო ბრიტანეთო, შენ ყველაზე ძნელი გასართიმი ხარ მათ შორის, რაც კი მუშამ შეიძლება მოიხელთოს. ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი „ლომები“, მაგრამ შენ მთელი სამხეცე მოგეძევება.

მაგრამ დამალა პოლიტიკამ. დავინწყოთ „aulo Majora“.

ჟუნან ვერ გადაეწყვიტა თუ რა ნაბიჯები „გადაედგა“; ვით მოციგურავე ყინულზე, ისე დასრიალებდა, და როს დაიღალა თამაშით, უცოდველი არშიყი დაუნყო იმ მშვენიერ ქმნილებათ, რომელთაც სახელი გაეთქვათ ვით უმანკო ტანჯულთ, ყველა ცოდვა რომ სძულთ, გარდა რეპუტაციისა.

მაგრამ ასეთნი ცოტანი არიან და ბოლო-ბოლო ისე ეშმაკურად იცელქებენ თუ იხუნტრუცებენ, ყველაზე წესიერ ხალხსაც კი აერევა, მათი ქცევა სიქველეა თუ მოლიპულ ბილიკზე შედგომა; და მერე ისრე გაიკვირვებენ, თითქო ახალი ვირი დალაპარაკებოდეს ბალაამს, და პირიდან ყურში გადაინაცვლებს წკრიალა ხმანი, რაც (თუ შეგიმჩნევიათ) ბოლოვდება ერთგვარი ამქვეყნიური ამინით — „ვინ იფიქრებდა?“

პატარა ლეილას აღმოსავლური თვალები და აზიური მშვიდი განწყობილება (დასავლურ საგნებს ოდნავი გაკვირვებით რომ

უმზერდა, რაც აოცებდათ შეძლებულ ადამიანთ, რომელნიც ფიქრობენ, სიახლენი პეპლებია, რასაც გაუმაძღრად უნდა სდევდეთ), მოსხლეტილი ტანი და რომანტიკული ამბავი მოდურ საიდუმლოსავით გადაიქცა.

ქალები დაიყვნენ და დაპირისპირდნენ, ვითარცა ხდება მათ სქესში დიდ თუ წვრილ საგანთა გამოისობით. არ გეგონოთ თქვენი შეურაცხყოფა განმეზრახოს, მშვენიერო ქმნილებანო, ყოველთვის უფრორე მეტად მომწონდით, ვინემ გამოვთქვამდი: და მას მერე ხომ მორალურად გავიზარდე, და მაინც უნდა დაგადანაშაულოთ მეტისმეტად ბევრ მითქმა-მოთქმაში; და ახლაც საყოველთაო შფოთი ატყდა თქვენს შორის ლეილას განათლებისა გამო.

მხოლოდ ერთ საკითხში შეთანხმდით და მიზეზიც არსებობდა; და მიზეზი ისაა, რომ მშვენიერი ბავშვისათვის, ისეთივე ლამაზისა, ვითარცა მისივე მშობლიური მიწაა, რომელსაც მეტად დაშორებოდა, უკანასკნელი კვირტისათვის თავისი რასისა — რაოდენ კარგადაც უნდა აღეზარდა თვით დონ ჟუანს, ხუთი იქნებოდა, ოთხი, სამი თუ ორი წელი — ემჯობინებოდა თუ პერის მეუღლისა თუ ქვრივის მეთვალყურეობით აღიზრდებოდა, თან ისეთისა, ვისაც ნაძახებით ვერას ნასძახებდი.

ასე რომ, ჯერ საერთო პაექრობა დაიწყო და მერე საერთო შეჯიბრში გადაიზარდა, თუ ვის უნდა ეკისრა ობლის აღზრდა.

რაკი ჟუანი შეძლებული კაცი იყო, საჯარო შეურაცხყოფა იქნებოდა ხელმოწერასა თუ პეტიციის შედგენაზე საუბარი; მაგრამ თექვსმეტი მემკვიდრეობამიღებული ქვრივი, ათი გაუთხოვარი ბრძენქალი, რომელთა ზღაპრებიც „ჰალამის შუა საუკუნეებიდანაა“ ამოკრეფილი, და კიდევ ორიოდე ქმარგაყრილი ქალბატონი, რომელთა რტონიც აღაროდეს აყვავილდებოდა, ივედრებოდნენ: ჩვენ აღვზრდით პატარა გოგონას და „გამოვიყვანთო“, — რაც ნიშნავს, რომ ქალწული პირველად წარსდგება რაუტზე ლოყაანითლებული და ყველას თვალნათლივ დაუმტკიცებს კეთილშობილებას; და გარწმუნებთ, ახალი თაფლივით შეიტკობენ პირველ სეზონს (განსაკუთრებით მაშინ, თუ ფული მოეძევათ).

ვითარ ხდება, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი პატივსაცემი ბატონები, გაღარიბებული პერი, ან იმედგადაწყვეტილი დენდი, მოთვალთვალე დედები და ფრთხილი დები (რომელნიც, თუ ჭკვიანები გამოდგნენ, ნაბიჯ-ნაბიჯ უფრო მოხერხებულად აკვარახჭინებენ ქორწინებას, და ისიც იციან, რომ „ოქროა, რაც ბრწყინავს“, ვინემ მათი მამრობითი ნათესავეები), ბუზებივით დასტრიალებენ ტკბილეულს, დაჰბზუიან „ილბალს“ მთელი ძალ-ღონით, რათა თავი მოაბრუნებინონ სასურველ საპატარძლოს, ცეკვით იქნება თუ არშიყობით!

თვითეულ მამიდას, თვითეულ ბიძაშვილს თავისი მოსაზრებანი აქვს; თუმც გათხოვილი ქალები დროდადრო ამჟღავნებენ წმინდა უანგარობას ვნებებისადმი და თავიანთ მემკვიდრე თავიანთ საყვარლისათვის გაურიგებიან. „Tantæne!“ ასეთი დიადი ღირსებანია ჩვენს იმედისმომცემ კუნძულზე, რომლის შესავალ-გასავალიც დუვრია! ასეთ დროს საბრალო მდიდარი, მათი მზუნველობით გარემოცული, ნატრობს, ნეტა ჩემს მეურვეს მამრობითი მემკვიდრენი ჰყოლოდაო.

ზოგიერთი მალე დაბინავდება, ზოგი კი სამიოდე დუჟინ ხელისმთხოვნელს ეტყვის უარს. საამურია იმის ცქერა თუ ვითარ ფანტავენ უარს და ვითარ ბრაზობს თვითეული ბიძაშვილი (თანამესუფრე), და ვითარ ბუზლუნებენ:

— თუ მის (ბლენკი) საბრალო ფრედერიკის არჩევას არ აპირებდა, მის წერილებს რატომღა კითხულობდა? არ რატომ ცეკვავდა ვალსს მასთან? გამაგებინეთ ერთი, ნუხელ რად მოაჩვენა, რომ თანხმდებოდა, თუ დღეს უარი უნდა მიეხალა?

— რატომ? რატომ?

— ფრედი ხომ მართლაც მონდომებული იყო; რას იზამ, ამ გოგოს ბედი არა ყოფილა, ფრედი უმაგისოდაც გაძლებს: დრო მოვა, უთუოდ ინატრებს, ნეტა იმ შეწყალებას ჩავჭიდებოდით; მაგრამ ბებერმა მარკიზამ რალაც ჩახლართა, ხვალინდელ რაუტზე ვეტყვი უარს; ბოლო-ბოლო ეგებ უკეთესიც იყოს საბრალო ფრედერიკისათვის — მისადმი პასუხად იმ გოგოს მონერილი წერილი ნახე?

ჰო, ქალიშვილი რიგრიგობით უკუაგდებას მოხდენილ უნიფორმებსა და მბზინავ გვირგვინებს, ვინემ ბოლო-ბოლო რიგი

მოუნვედეს ვინმეს იმ მამაკაცთა შორის, რომელთაც არ დაზოგეს დრო, გულისთქმა, სანაძლეოები ხელსაყრელი საცოლისათვის; და კობტა ქმნილება აირჩევს თუ არა მავან ჯენტლმენს, ვინც მეტრძოლია, მწერალია ანდა მხედარი, უარყოფილთა რაზმი მშვიდდება, ოდეს ხედავენ ცუდ არჩევანს.

ხანდახან იმას ირჩევენ, ვინც დიდხანს სთხოვს ხელს, რადგან ილღებიან მიძალებით; ან იმას ჩაუვარდებიან ხელთ (ასეთი შემთხვევები ძალზე ცოტაა), რომელთაც სულაც არ უთხოვიათ ხელი გაურკვეველი ქვრივისათვის, ორმოცს რომ ნამდვილად გადააბიჯა (და ეს სულაც არ არის ფუჭი მაგალითი გასახსენებლად), სამაგიეროდ ძვირფასი ჯილდო ჩაიგდო ხელთ, და ეს სულაც არ არის სხვა ლატარიაზე უფრო უცნაური.

მე, ჩემი მხრივ (ერთი „მოდერნული ნიმუშიც“ დავამატოთ, „მართალია, ცოდოა — ცოდოა, მართალია“), სატრფიალო ნიშნით გამომარჩიეს, თუმც ჩემს მიერ განვლილი წლები სხვებზე ნაკლებ დამამშვიდებელი იყო; და თუმც საგრძნობლად გამოვსწორდი, მაინც ისე მოხდა, რომ ვინც ერთნი უნდა იყვნენ, მალე ორნი ხდებიან; მე ვერ უარვყოფ საჯაროდ გავრცელებულ ხმებს, რომ ყმანვილმა ქალმა ჩემი სახით ურჩხული აირჩია.

ეჰ, მომიტევეთ თემიდან გადახვევა, ან რაც არის, არის, ყურადღებით ნაიკითხეთ!

ჩემს მსჯელობას ყოველთვის მორალით ვამთავრებ, თითქო ვლოცულობდე ჭამის წინ; რადგან მოხუც მამიდასა ან აბეზარი მეგობარივით, ჯიუტი მცველივით თუ მსასობელი მღვდელივით, ჩემი მუზა მოწოდებულია გამოასწოროს ყველა ადამიანი, ყველა დროში და ყველგან, რის გამოც ჩემს პეგასს ასეთი დამღლევი ჭენება უნევს.

მაგრამ ახლა ამორალური გავხდები; რადგან ვაპირებ გიჩვენოთ საგნები ისეთნი, ვითარნიც არიან და ვითარნიც უნდა იყვნენ; რადგან ვაცხადებ, რომ ვინემ ვიხილავდეთ, თუ რა ხდება სინამდვილეში, შორს დავრჩებით გამოსწორებისაგან და იმ გუთანივით დაგვემართება, მხოლოდ ზედაპირს რომ გადაფხანის და ნაკანრს დატოვებს ცოდვათა ნეხვით გადაშავებულ თიხაზე, და ჭირნახულის ფასი ისევ ძველი დარჩება.

მაგრამ ჯერ პატარა ლეილა დავაბინაოთ;

იგი ცისკარივით ნორჩი და მშვენიერი იყო, ან შესაძლო ძველი შედარება მოვიშველიოთ თოვლისა, რაც წმინდა კია, მაგრამ, ცხადია, ტკბილი არ არის. ვით ყველა სხვას ენდომებოდა, ჟუანს ძალზე გაეხარებოდა თუ ბავშვზე ზრუნვას კარგ მომვლელს გადააბარებდა, ვინც მეტისმეტად ბევრს არ მოითხოვდა.

ამასთან, ჟუანი მიხვდა, აღმზრდელად არ გამოვდგებო (ნეტა სხვებიც მიხდებოდნენ), და სურდა რომ ასეთ საქმეებში არ ჩარეულიყო, რადგან რეგვენ აღსაზრდელთა ნაკლი აღმზრდელთ მიენერებათ ხოლმე; და ყველა კანდიდატს რომ შეხვდა მოხუც ქალბატონთან, რომელნიც პატარა ველური აზიელის მორჯულებას კისრულობდნენ, მოეთათბირა „ცოდვის დამთრგუნველ საზოგადოებას“ და ლედი ფინჩბუკი ამოარჩია.

მსცოვანი გახლდათ, მაგრამ ამავე დროს ძალზე ახალგაზრდაც; მჯერა, კეთილგონიერი იყო ყოველთვის; თუმც ქვეყნად ბოროტი ენა ბევრია, მაგრამ ჩემი ცოდვილი ყურნიც კი არ გაიკარებენ თუნდ ერთ მარცვალს — მასზე ცუდად ამოსროლილს; მართლაც არაფერი მამწუხრებს უფრორე მეტად, ვინემ საზიზლარი მითქმა-მოთქმა, რასაც ცოხნის და გადმოანთხევს ხოლმე ადამიანთა ჯოგი.

ამასთან, შემინიშნავს (და ერთ დროს მოკრძალებულ დამკვირვებლადაც ვიგულისხმებოდი), და ბრიყვთა გარდა სხვანიც შენიშნავდნენ, რომ ქალბატონები სიყმანვილეში მხიარულნი არიან, ვინემ შეიძენენ ამ სოფლის ცოდნას და გაიგებენ სამწუხარო შედეგს ბილიკიდან გადახვევისა, და უფრო ბრძენნი ხდებიან, და გაფრთხილებენ იმ საშიშროებისა გამო, რომლის შესახებაც არ უნყის უემოციო და გამოცდილებას მოკლებულმა პირმა.

მაშინ, როს ნამუსის მკაცრად დამცველი ქალი უფრთხილდება თავის ღირსებას იმით, რომ ზღუდეს აღმართავს უცნობი და საეჭვო ვნებისაგან დასაცავად, ცდილობს გადაგარჩინოს და არა ტკივილი მოგაყენოს, ან რაც უარესია, მოდიდან ამოგაგდოს, კეთილი ვეტერანი ტკბილი სიტყვებით დაგამშვიდებს, წრფელად შეგვედრის, თავი შეიკავო და არ გადაეშვა უფსკრულში;

განგიმარტავს და თვალნათლივ გიჩვენებს გამოცანას ეპიკური სიყვარულის დასაწყისისა, შუაგულისა და დასასრულისა.

ჰო, ასე იქნება, თუ უფრო მკაცრნი არიან, რადგან უწყიან, რომ ასე სჯობს, ამას მრავალი საოჯახო სურათიდან შეიტიყობთ, რომ ამგვარ დედათა ქალიშვილნი ქვეყანას გამოცდილებით ეცნობიან და არა ლექციებით, და უფრო მზად არიან სმიტფილდის სანახაობისათვის იმ ვესტას მსახურთაგან, რომელნიც საქორწინო ბაზრობაზე გაჰყავთ, ვინემ ისინი, რომელნიც უგულო ამკრძალავთ აღუზრდიათ.

ვთქვი, ლედი პინჩბეკზე ბევრი ულაპარაკიათ-მეთქი — ანკი ვისზე არ ულაპარაკიათ, ახალგაზრდა და კობტა ქალთაგან? მაგრამ უკვე გამქრალიყო სკანდალის აჩრდილი, მას მიიჩნევდნენ სანდომიან და გონიერ ქალად და მის მახვილგონივრულ გამონათქვამებზე ტაციობა იყო, თანაგრძნობასა და ქველმოქმედებას მისცემოდა და (სიცოცხლის მიმწუხრს მაინც) ცხოვრობდა ვითარცა სანიმუშო ცოლი.

მალალ საზოგადოებაში თავმომნონედ იქცეოდა, საკუთარ საზოგადოებაში კი — გულმონყალედ, გახლდათ ახალგაზრდების მშვიდი დამრიგებელი, ოდეს — რაც ნიშნავს: ყოველდღიურად — მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ უწესობისადმი.

მის კეთილ საქმეთა ჩამონათვალი უცნობია ან, თუნდ ვიცოდეთ, ძალზე გამიგრძელებს სიმღერას; მოკლედ მოვჭრათ, პანანინა აღმოსავლელმა ობოლმა ლედი პინჩბეკის მზარდი ცნობისწადილი აღძრა.

ჟუანიც მისი ფავორიტივით იყო, რადგან ამ ყმანვილკაცში მიმალული კეთილი გული დაინახა. ცოტა გარყვნილი კი გახლდათ, მაგრამ ბოლომდე არა, რაც გასაკვირია, თუ გავიხსენებთ, ვის ხელში გამოიარა და რა გარდახდა თავს, ვით გადარჩა, არც კი იცოდა: და თუ ესე ყოველი სხვას ნახებდნდა, ჟუანი გადარჩა, მთლად არ გარყვნილა, რადგან სიჭაბუკეში იმდენი რამ გამოიარა, აღარა უკვირდა.

თავგადასავლები სიჭაბუკეში სჯობს; რადგან მოწიფულობისას რომ გადაგხდება, კაცი ბედისწერას აყვედრის, და მართლაც ჰგონია და განცვიფრებულია, ღვთის განგება რომ შეცდა.

განსაცდელი პირველი ნაბიჯია ჭეშმარიტებისაკენ გადადგ-
მული: ვისაც კი გაუძლია ომის, ქარიშხლისა თუ ქალის მრისხა-
ნებისათვის, რამდენი ზამთარიც გინდ გამოეცვლოს, თვრამეტი
თუ ოთხმოცი, იმდენი გამოცდილება დაუგროვებია, დინჯი
განსჯა უსწავლია.

სხვა საქმეა თუ რა სარგებელი მოაქვს. ჩვენი გმირი კმაყოფი-
ლი იყო იმის აღქმით, რომ ამ ქალბატონთან არც არა ეხარჯებო-
და და არც საფრთხე ემუქრებოდა, ვის ქალიშვილთაგანაც ნაბო-
ლარაც კი დიდი ხნის დაქორწინებული გახლდათ, და ყველაფრი-
სათვის მიეღნია, რაც დედას დაერიგებინა და გადაეცა — ლორდ
მერის ბარჟასავით — შთამომავლობისათვის, ან თუნდ მუზებს
დავუჯეროთ და ვთქვათ, ვენერას ნიჟარასავითო.

ამგვარ ქმედებას გადაცემას ვუნოდებ, რადგან არსებობს
მედიანი წონასწორობა მიღწევათა, რაც აყალიბებს ჯიშს და გა-
დაეცემა ერთი ქალიდან მეორეს; ასე უყალიბდებათ გონებაც
და ზურგიც.

ზოგი ვალსს ცეკვავს, ზოგი ხატავს, ზოგიც მეტაფიზიკის
აჩრდილს მისდევს, სხვებს მუსიკა ურჩევნიათ; ყველაზე მორ-
ცხვები მახვილგონიერებით გამოირჩევიან; სხვებს კი გენია-
ლური ნიჭი მომადლებიათ გულყრისა.

მაგრამ გულყრა იქნება, მახვილგონიერება თუ კლავესინი,
თეოლოგია, ხელოვნება თუ ლაზათიანი კორსეტი ჯენტლმენ-
თა თუ ლორდთა თუ უგვარო წარმოშობის კაცთა მისატყუებ-
ლად, რაც ჩვენს დროში ნებადართულია, ამ ბოლო დროს ახლე-
ბურად გადაეცემა დაგროვილი საგანძური ახალ ქურუმთ ვეს-
ტასი, რომელნიც კვლავაც წამოაძახებინებენ კაცებს: კეკლუ-
ციანო; და ამისთანათ, ახალი გუნდები რომ იკრიბება შეუდარე-
ბელ ქმნილებათა, მეუღლეებს რომ დაექებენ.

მაგრამ ახლა კი დავინწყებ ჩემს პოემას.

ცოტა უცნაური კია, თუ სრული სიახლე არა, რომ პირველი
ქებიდან მოყოლებული აქამდე არ დამინყია ის, რაც უნდა გაგ-
ვევლო, ეს პირველი თორმეტი წიგნი მარტოდენ გაფურჩქვნაა,
პრელუდიები, ორიოდე სიმის მოსინჯვა ჩემს ლირაზე, ან თითე-
ბის გავარჯიშება, და ამის მერე უნდა მოისმინოთ უვერტიურა.

ჩემს მუშებს კანიფოლით გაპოხვა არა სჭირდებათ წარმატებისა თუ წარუმატებლობისათვის; ამგვარი აზრები ვერ შესწვდებიან სიმს, რომელიც მათ შეარჩიეს; ეს „დიადი ზნეობრივი გაკვეთილია“, რასაც ისინი გვიკითხავენ.

თავიდან ვგონებდი, ორიოდე დუჟინი ქებაც იკმარებდა, მაგრამ აპოლონის წინაშე თხოვნის შემდგომ, რასაც ალბათ ჩემს პეგასს უნდა ვუმაღლოდე, ვფიქრობ, ასიოდე ქება ვიმღერო.

ღონ ჟუნანი იმ მიკროკოსმოსს, ეგრეთწოდებულ დიად მსოფლიოს, ქედმაღლურად დაჰყურებდა; ვით მცირეზე მცირეს, თუმც უმაღლესს; მაგრამ ვითარ ხმლებს აქვთ ვადა, რაც უძლიერებთ სიავეს, ოდეს კაცი ომობს ან ჩხუბობს, მდაბალი ქვეყანაც, ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთითა თუ აღმოსავლეთით, უნდა დაემორჩილოს მაღალს, რაც მათი სახელური იქნება, მათი მთვარე, მზე, მათი ეთერი, მათი სანთელი.

ბევრი ცოლიანი მეგობარი ჰყავდა და ქმრებიც კარგი თვალთ უყურებდნენ და ცოლებიც; მეგობრობა ჰქონდათ რიგიანი და მოსაწონიც; მაღალ კლასში შესვლა არც სიკეთის მომტანია და არც სიავისა, ოღონდ უმთავრესად ღამლამობით უნდა იმორჩაო, როს ბილეთს გიგზავნიან; და რაც შეეხება მასკარადებს, ბალებსა და დღეობებს, პირველ სეზონში აროდეს გიმტყუნებს.

ყმანვილკაცს, უცოლოს, კარგი სახელისა და ქონების პატრონს, მძიმე მოვალეობა აწევს, უნდა ითამაშოს, რადგან მაღალი საზოგადოება თამაშის მეტი არაფერია, ვთქვათ, „სამეფო თამაში ბატისა“, სად, უნდა ითქვას, ყველას თავისი მიზანი მოეძვეება, პასუხის მიღება იქნება თუ კვერცხის დადება; ცალებს დანყვილება სურთ, გათხოვილებს კი — ქალწულთა შველა გასაჭირში.

იმას კი არ ვგულისხმობ, ყველანი საქმროს გამოჭერას ესწრაფიან-მეთქი, ასეთი ცალკეული მაგალითები შეიძლება დაიდებნოს; თუმც მრავალთ ამაყად უჭირავთ თავი ალვის ხესავით ასვეტილთა და ფესვებგამდგართ; მრავალთ ბადენი მზადა აქვთ „ადამიანებზე სათევზაოდ“, სირინოზებივით ნაზად აჟღერებენ არფებს; ჰადაჰა ექვსჯერ გამოელაპარაკები ასეთ ქალს და საქორწილო კაბის გამზადებას იწყებენ.

ეგებ დედამ მოგწეროს წერილი, რომ მისი ქალიშვილის გული გალიაშია გამომწყვედელი; ან ეგებ ძმა გენვიოთ, გაჯგიმული, გაშტრიკინებული, ულვაშებგანკეპილი, და პასუხი მოითხოვოს: რა მიზნები გაქვთო?

ერთი იქნება თუ მეორე, ქალიშვილის გული თქვენს ხელს მოელის, და ისიც გებრალებათ და საკუთარი თავიც, და განსაკურნებლად დაოჯახებულთა სიას დაემატები.

ერთი ღუჟინი ქორწინება მაინც ვიცი ასე მომხდარი, და მათ შორის, დიდგვაროვანებისაც; თუმც ისეთ ყმანვილკაცთა ამბებიც ვიცი, რომელთაც თუმც აბეზრებდათ თავსდატეხილი ყვედრებანი, არც ქალთა კაპას შემოტევას შეუშინდნენ და არც ულვაშებგანკეპილთ და ცალად დარჩნენ მათსავით, რომელთაც გული მოუკლეს, და მარტოხელა სიდუხჭირეში უფრო ბედნიერად გრძნობდნენ თავს, ვინემ უღელში თავგაყოფილნი იგრძნობდნენ.

გამოუცდელთ ღამლამობით კიდევ ერთი საფრთხე ელოდებათ, არაა აუცილებელი, სიყვარულსა თუ ქორწინებას ჰგავდეს, მაგრამ ამით ოდნავადაც არ უფასურდება; სულაც არ მინდა ღირსება დაფუკარგო ათვალწუნებულთაც კი — ვისაც გამბედაობა გარეგნულ მომხიბვლელობასაც სძენს — მაგრამ მაინც უნდა ვამხილო ამფიბიის მსგავსი მეძავი, „Couleur de rose“, ვინც არც თეთრია და არც ალისფერი.

ასეთია ცივი პრანჭია, ვინც არც „არას“ ამბობს და არც „ჰოს“ და ხან გრძელ საბელზე ჰყავხარ და ხანაც მოკლეზე გამობმულს გასეირნებს ქარიან ნაპირზე, ვინემ ქარი ამოქროლდებოდეს, და შემდეგ კი გუნებაში დასცინის შენს დამსხვრეულ გულს.

ასე ჩნდება ქვეყნად სანტიმენტალური მწუხარება და ახალგაზრდა ვერტერები ყოველწლიურად ჩაესვენებიან ხოლმე კუბოში; მაგრამ არსებობს უმანკო არშიყიც, ღალატი კი არა, თუ მაინცდამაინც, არამედ თვალთმაქცობა.

„ჰე ღმერთებო, მოლაპარაკე გავხდი!“ მოდი ვილაყბოთ. მორიგი ხიფათია, თუმც ეს ყველაზე საშიში მგონია, როს არად დაგიდევს „ეკლესიასა და სახელმწიფოს“, და ცოლი ამკარად

და ახდილად იჩენს საყვარელს. საზღვარგარეთ ასეთი რამ ორიოდე ქალისათვის თუ გახდება საბედისწერო (მოგზაურო! შენ ხომ იცი, რომ ეს სიმართლეა), მაგრამ ამ ჩვენს ბებერ ინგლისში თუ ახალგაზრდა პატარძალმა შესცოდა, ვაი საბრალო! ევას საქმე მასთან შედარებით არად მოგეჩვენებათ.

ამ ქვეყანაში, სად ტოლ-სნორთ ეკრძალებათ მეგობრობა, სოფლის შიშით დაინყება მდაბალი ჭორობა, ატყდებიან გაზეთები, ბანალური აურზაური მოიცავს ყველას, ჩაერევა კანონი, მერე თავს წამოჰყოფს ის ბინძური და წყეული ხრიკი ზარალის ანაზღაურებისა! მერე ვერდიქტი — დამაქცევარი მტერი მათთვის, ვისაც გამოუტანეს! რა სამწუხარო დასასრულია რომანტიკული თავყვანებისა; აქეთ ადვოკატთა მომრიგებელი სიტყვები ისმის და იქით მკითხველთა ზეიმის ხმები.

მაგრამ ვისაც ასეთი იაღლიში მოსდით, უმნიფარი დამწყებნი არიან. ფარისევლობის ქირქილის წვიმას გადაურჩება ათასობით ბრწყინვალე შემცოდე, ჯინოკრატის ულამაზესი ოლიგარქები; მათ შეხვდებით ყველა ბალზე, ყველა სადილზე, უმაღლესი არისტოკრატის წრეში, ისეთი ნაზები არიან, ისეთი მომხიბვლელნი, ქველმომქმედნი, გემოვნებიანნიც და თავაზიანნიც.

ჟუანი უხერხულობას არ გრძნობდა, რომ ვიღაც უბრალო ახალბედა არ გახლდათ, მაგრამ მეტი ვერა დაიცავდა რა; ავად არ იყო, არა, ეს სიტყვა მის ყოფას არ შეჰფერის, მაგრამ იმდენი სიყვარული გამოეცადა აქამდე, მისი გულის შეძვრა ძნელი გახლდათ; ასე კი იყო, მაგრამ არც ათვალწუნებით უყურებდა თეთრ კლდეებს, თეთრ ყელკისერს, ლურჯ ცასა და უფრო ლურჯ წინდებს, საეკლესიო მებათედს, გადასახადებს, გადასახადის ამკრეფთ და კარს, ორმაგი დაკაკუნებით რომ იღება.

მაგრამ რაკი სიჭაბუკე იმ მიწებზე და რომანტიკულ გარემოში გაეტარებინა, სად ვნებას სამსჯავრო კი არა, სიცოცხლის დაკარგვის ხიფათი მოაქვს, და თვითონ ვნებასაც საშიში სუნის ასდის, და ამ ქვეყანაში კი ნახევარვნებას ხედავდა, რაც ხან პედანტობად და ხანაც კომერციად ეჩვენებოდა, და მაინც პატივს სცემდა ამ მორალურ ერს; ამასთან (ეჰ! მიუტყვევთ უგემოვნობა), თავიდან ფიქრობდა: აქაური ქალები ლამაზები არ არიანო.

თავიდან-მეთქი, რადგან ბოლო-ბოლო, თანდათანობით, აღ-
მოაჩინა, რომ აქაური ქალები უფრო მშვენიერი ყოფილან, ვი-
ნემ ის მგზნებარე ქალბატონები, რომელთა ბედისწერასაც აღ-
მოსავლეთის ვარსკვლავი წარმართავს.

ამის დადასტურება არ უნდა ვიჩქაროთ; თუმცა გამოუცდე-
ლობას არ უნდა დავაბრალოთ, სიმართლე ისაა, რომ თუ კაცი
გამოტყდება, სიახლე შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ არ
გვატკბობს.

თუმცა მიმოგზაურია, აროდეს გადავყრივარ იმ დაღლარა
ზანგებს, არ ვყოფილვარ ნილოსისა თუ ნიგერის ნაპირებზე, იმ
მიუწვდომელ ქვეყანა ტიმბუქტუში, რომელსაც გეოგრაფიაც
ვერას მოსთხოვს, რუკაზეც ვერ მონიშნავს გარკვევით, რად-
გან ევროპა აფრიკას ხნავს ვით „bos piger“, მაგრამ მე რომ ტიმ-
ბუქტუში მოვხვედრილიყავ, უსათუოდ შავკანიანის სილამაზეს
შევასხამდი ხოტბას.

დიახ, ვერ დავიფიცებ, რომ შავი თეთრია; მაგრამ ეჭვი ნამდ-
ვილად მაქვს, რომ თეთრი შავია, და ყოველივე ჰკიდია თვალ-
თახედვაზე.

ჰკითხეთ ბრმას, იგი საუკეთესო მსაჯულია.

თქვენ ამ ახალ პოზიციასაც შეუტევთ, მაგრამ მე მართალი
ვარ.

და თუ ვცდები, უკან არ დავიხევ; ბრმამ არც დილა იცის და
არც ღამე, მისთვის სულ ბნელა; და შენ რაღას ხედავ? საეჭვო
ნაპერწკლებს.

მაგრამ ასე ხომ მეტაფიზიკაში ჩავიძირები, იმ ლაბირინთში,
საიდანაც გამოსასვლელი ისეთივე ჩახლართულია, ვით თქვენი
მკურნალობა გართულებული ქლექისა, ვით ის კაშკაშა პეპლე-
ბი, მბჟუტავ ალს რომ დაჰფარფატებენ; ამ განაზრებებმა წმინ-
და ფიზიკასთან უნდა მიმიყვანოს, და მშვენიერებასთან უცხო-
ელ ქალბატონთა, რომელთაც შევადარებ ჩვენს ძვირფას წმინ-
დანყლის მარგალიტებს, იმ პოლარულ ზაფხულთ, სულ მხესა-
ვით რომ ანათებენ და ცოტა ცინული ურევიათ.

ან მოდი იმ კეთილგონიერ სირინოზთ შევადაროთ, რომელ-
თაც მშვენიერი სახე აქვთ და თევზის ტანი; მათ შორის მრავა-

ლია ისეთი, რომელნიც პატივს სცემენ საკუთარ სურვილთ. და რუსებზე ვით გამოცვივიან ცხელი აბანოდან და თოვლში კოტ-რიალობენ და კეთილგონიერნი უფრო არიან, ვინემ ცოდვილნი: ხვევნა-კოცნით სცოდავენ, მაგრამ სამარქაფოდ მუდამ შემონახული აქვთ მონანიება.

მაგრამ რა შუაშია ეს ყოველივე ინგლისელ ქალთა გარეგნობასთან? ყუანი ხომ მათ ლამაზებად არც მიიჩნევდა ერთი შეხედვით; რადგან მშვენიერი ბრიტანელნი თავიანთი მომხიბვლელობის ნახევარს მალავენ, ალბათ სიბრაღულისა გამო, და გულში წყნარად შემოგეპარებიან, შემდეგ მტრულად შემოგიტყვენ და ქალაქსაც აიღებენ; და როს იქ შევლენ (თუ ეჭვი გეპარებათ, სცადეთ, გეთაყვა), ჭეშმარიტ მოკავშირესავით შეგინახავენ.

იგი არ დადის ვით ბერბერული ბედაური, ანდა ვით ანდალუზიელი გოგონა, წირვიდან მომავალი, არც ისე მოხდენილად ატარებს სამოსს, ვით გალები, არც ავსონიელებით უგიზგიზებს თვალები; ტკბილი ხმა აქვს, მაგრამ ისე დამატკბობლადაც არა ჟღერტულებს (ვითარს ჯერაც ვსწავლობ, თუმც შვიდი წელია იტალიაში ვარ, და ყურიც ძალზე გახედნილი მაქვს და კარგადაც მემსახურება).

ინგლისელს ეს არ შეუძლია და არც ორიოდე სხვა რამ, დაუფიქრებელი და ლალი მოქმედება, რაც ასე ბევრს გართმევს და ეშმაკის ხელშიაც გაგდებს; არც ღიმილს გასცემს უხვად და არც ერთ საუბარში მოათავებს ყველაფერს (ხომ ვიცით, ასეთი ქცევა დროსაც დაგაზოგვინებს და ოფლის ღვრასაც); და თუმც ყამირი დროსა და ჭაპანწყვეტას მოითხოვს, როს დამუშავდება, ორმაგად აგინაზღაურებს.

და თუ „დიდ ვნებაზე“ მიდგება საქმე, მართლაც სერიოზული რამ მოხდება. ათიდან ცხრა შემთხვევაში ეს კაპრიზია ან მოდა, პრანჭიაობა, ან სურვილი — სხვებს აჯობოს, ბავშვური სიამაყე და თავმონონება ახალი ბაფთის მორგებით, ან ნადილი — სისხლი იხილოს მეტოქის მკერდზე; მაგრამ მეთაუე უკვე ქარიშხალი იქნება, და ამას კი ვერ იტყვი, თუ რას იზამენ, ანთუ რა შეუძლიათ.

მიზეზი ცხადია; თუკი ყოველივე სააშკარაოზე გამოვა, კასტიდან განიდევნებიან და პარიად გადაიქცევიან; და როს კანონის წვრილმანები შეავსებენ ფურცლებს მრავალფეროვანი კომენტარებით, საზოგადოება, ეს უნაკლო ფაიფური (რა ფარისევლობაა!), განდევნის ისე, ვითარც განდევნეს მარიუსი, და ისხდებიან თვისი დანაშაულის ნანგრევებში; რადგან კართაგენი დიდებას მსწრაფლ ვერ დაიბრუნებს.

აღბათ ასეც უნდა იყოს; ასე ესმით სახარების „ნულარ შესცოდავ და ცოდვები მოგეტეება“, მაგრამ ამის შესახებ დასკვნის გამოტანას წმიდანთ მივანდობ. სხვა ქვეყნებში, უეჭველია, არასწორად იქცევიან მსგავს შემთხვევებში, შემცოდე ქალს კარს არ მიუკეტავენ, რათა პატიოსნების აღდგენა შეძლოს, და მიიღებენ ყველანი სახლში.

ამდაგვარ საქმეთ ყურადღებას არ მივაქცევდი, რადგან ვიცი, უზნეო საქციელი ხალხს ნაკლებ ან სულაც არ ადარდებს და ათი შემთხვევიდან ათივეში გახმაურება და ჭორები უფრო სურს, ვინემ ზნეობის დაცვა.

სათნოებას კი კანონებითა და უმკაცრესი იურისტებით ვერ მიაღწევ, უფრორე მეტად გააღრმავებ დანაშაულს, რომლის აღკვეთაც ვერ შეძელი იმით, რომ სასონარკვეთას მოუტან მათ, რომელნიც სხვაგვარად მოინანიებდნენ.

მაგრამ ჟუანი კაზუისტი არ გახლდათ და არც კაცობრიობის ზნეობრივ გაკვეთილებს უღრმავდებოდა; ამასთან, ამ ასობით ქალში ჯერ თავისი ჭკუისა ვერ ამოერჩია. ოდნავ გულგრილად იქცეოდა და გასაკვირიც არაა, მის გულს ხომ უხეში კლიტე ედო. და თუმც სულაც არ ამაცობდა თვისი წარსული წარმატებანით, უეჭველია, ნაკლებ მგრძნობიარე გამხდარიყო.

თან სანახაობებითაც გართულიყო, ენვია პარლამენტსა და მის პალატებს; საღამოობით სვეტებქვეშ მოთავსდებოდა დავაკამათის მოსასმენად, რომელთა მქუხარებაც მსოფლიოს აღვიძებდა (ვეღარ აღვიძებს), რათა ეხილათ ჩრდილოეთის ნათება, რომლის შუქიც იქამდე სწვდება, სად ჩრდილოური ხარები ცხოვრობენ, ხანდახან ტახტის უკანაც იდგა, მაგრამ უდროოდროს, გრეი ჯერ არსად ჩანდა და ჩეთჰემი კი გარდასულიყო.

და მაინც, სესიის დახურვას დაესწრო, დაესწრო ამ კეთილშობილურ სანახაობას, როს მართლაც რომ თავისუფალი ერის მეფე კონსტიტუციური უფლებამოსილებით ადის ტახტზე, ვითარცა ყველაზე საამაყო ადგილზე.

ამას დესპოტნი ვერ გაიგებენ, ვინემ დროთა განმავლობაში არ დაასრულებენ თავიანთ განათლებას. რადგან სამეფო ბრწყინვალება, თვალისათვის იქნება თუ გულისათვის, სხვა არსაიდან მოდის თუ არა ხალხის ნდობიდან.

აქ იხილა ჟუანმა უფლისწული (ვითარც უნდა გამხდარიყო დღესდღეისობით), უფლისწულთა უფლისწული იმ დროში მომხიბვლელი დიდებულებით გამოირჩეოდა, იმედებს იძლეოდა, ვითარ წყარო ბრწყინვალებისა. თუმც მეფური ღირსება შუბლზე აღბეჭდოდა, დახვენილიც გახლდათ, განსაკუთრებულებიც და გამორჩეულებიც, არც პრანჭია და არც მუსუსი, ჯენტლმენი იყო თხემით ტერფამდე.

და ვითარც ითქვა, ჟუანი მიიღეს საუკეთესო საზოგადოებაში და, ვშიშობ, იქ მოხდა, რაც ხშირად ხდება, რაოდენ მონესრიგებული და თავშეკავებულიც უნდა იყოს კაცი. გამოავლინა ნიჭი და მახვილგონიერება და თავაზიანი ქცევა, ამასთან, ღირსეულად ეჭირა თავი და ყოველივე ეს, ბუნებრივია, ცდუნების საფრთხეს უქმნიდა, თუმც თვითონ ცდილობდა ამგვარ რამეს გარიდებოდა.

მაგრამ რა, სად, ვისთან, როდის და რატომ? ყველაფერი ერთბაშად არ გამოვა; და რაკილა ჩემი მიზანი ზნეობრიობაა (რაც უნდა თქვას ხალხმა), არ ვიცი, შევძლებ თუ არა მშრალად დავტოვო მკითხველის თვალები, მაგრამ შევეცდები გამოვაცოცხლო მისნი გრძნობანი მანამდე, სანამ დაჭკნებიან, და გამოვკვეთო დიდი ქანდაკი აღფრთოვანებისა, ისეთი, ვითარ ფილიპეს ვაჟმა ბრძანა, გამოეკვეთათ ათოსისაგან.

აქა მთავრდება ჩვენი შესავლის მეთორმეტე ქება, ოდეს ნიგნის მთავარი სხეული დაიწყება, ნახავთ, სულ სხვაგვარი აღნაგობა ექნება; რაზეც მხოლოდ მაშინ გამოითქმის აზრი, როს მოთავდება; ახლა ჯერ მუშავდება გეგმა და ვერ გაიძულე, მკითხველო, წაკითხვას; ეგ შენი საქმეა და არა ჩემი; ვაჟკაცი არადჩაგდებასაც გაუძლებს და არც ნუნუნს მოჰყვება.

და თუ ჩემს ელვას ქუხილი ყოველთვის არ ახლავს, გახსოვ-
დეს, მკითხველო! ძლიერი ქარიშხლებიც გიჩვენე და საუკეთესო
ბრძოლებიც და სისხლის დუღილიც და მდინარენიც, ამას-
თან, ბრწყინვალეობაც და, უფალმა უწყის, კიდევ რა; მეტი აბა
რა უნდა მომეთხოვებოდეს, მაგრამ საუკეთესო ქებანი წინაა,
ერთ-ერთი ასტრონომიას შეეხება, რაც გადაიზრდება „პოლი-
ტიკურ ეკონომიაში“.

აი, ინებეთ თქვენთვის პოპულარული თემა; ზღვარი არ
უძევს ამ თემით საჯარო დაინტერესებას, პატრიოტულ სათნო-
ებამდე ამალღებულა, რათა ხალხს ასწავლონ საუკეთესო გზა
მსხვრევისა.

ჩემი გეგმა (ჯერჯერობით არ გავამხელ) უცილოდ ხორცს შე-
ისხამს. მანამდე წაიკითხეთ ყველაფერი ეროვნულ ვალზე მოაზ-
როვნეთა, და აუნყეთ, თუ რას ფიქრობთ ამ მოაზროვნებზე.



თავი მეცამეტე

ნორმანული სააზატო: ლედი ადელაინ ამანდევილი

ან კი სერიოზულობა მმართვეს.

დროცაა, რადგან სიცილს აღარ მიაგებენ პატივს ჩვენს ხანაში. ცოდვაზე ხუმრობა დანაშაულად გამოცხადებულა სიქველის თვალთახედვით, და დაგმობილა, ვით ზიანის მომტანი: ამასთან, ამაღლებულის წყარო ხომ სევდაა, თუმც ხანგრძლივი სევდა გვლლის; და ამიტომაც ჩემი სიმღერა საზეიმოდ აფრინდება მაღლა, ვით ძველი ტაძარი, რომლისგანაც მარტოდენ სვეტნი დაშთენილა.

ლედი ადელაინ ამანდევილი (ძველნორმანულია, საგვარტომო ნუსხებში მოიძევენ ისინი, რომელნიც ჯერაც დაეხეტებიან იმ გარდასულ გოტიკურ ველებზე) დიდგვაროვანი გახლდათ, მდიდარი — მამის ანდერძისა წყალობით, და გამორჩეულად ლამაზი იქაც კი, სად ლამაზნი უხვად არიან, ბრიტანეთში — ქვეყანაში, რომელსაც ჭეშმარიტი პატრიოტები საუკეთესო მიწა-წყლად მიიჩნევენ სხეულისა და გონებისათვის.

მათ უნებურს არას ვიტყვი; რას ვერჩი; ჰქონდეთ თვისი გემოვნება, რაც უთუოდ საუკეთესოა: თვალი თვალია, შავი იქნება თუ ცისფერი, რა ბედენაა, და რადგან მათზე მოთხოვნილებაა, ფერს არვინ დაგიდევთ, უაზრობაა ფერზე მსჯელობა, ეგებ ყველაზე კეთილი სჯობდეს დანარჩენთ.

მშვენიერი სქესი ყოველთვის მშვენიერი იქნება და ოცდაათ წლამდე კაცი დიდად ვერც არჩევს სილამაზეს.

და იმ უღრუბლო და რალაცნაირად მოსაწყენი ჟამის გასვლის შემდგომ, იმ მოსახვევისა, როს ჩვენი დღენი მშვიდდება, და როს

მთვარეც დაცხრება, ეგება შევძლოთ კრიტიკა თუ ქების შესხმა; რადგან განურჩევლობა მიაძინებს ვნებათა ჩვენთა და სიბრძნის გზებით ვინყებთ სიარულს; ამასთან, სხეულიცა და სახეც მიგვანიშნებს, დროა ახალგაზრდებს დაუთმოთ გზაო.

ვიცი, ბევრი გადასდებდა ამ ჟამის დადგომას, ვით არცერთ თანამედებობის პირს არ სურს გადადგომა; მაგრამ მათი სურვილი ოდენ ქიმერაა, რადგან უკვე გადააბიჯეს სიცოცხლის ბუნიობის ხაზს: მერე ისლა დაშთენიათ, კლარეტითა და მედეირათი მორწყონ მშრალი დაღმართი; საგრაფოს კრებებს დაესწრონ და პარლამენტის სხდომებს, ვალებს მიხედონ და კიდევ, რა ვიცი, რაიმეში ჰპოვონ ნუგეში.

ხომ არსებობს რელიგია, რეფორმები, მშვიდობა, ომი, გადასახადები და ის, რასაც „ერს“ უწოდებენ?

ხომ ეწრაფიან მესაჭეობას ქარიშხალში?

ხომ სპეკულანტობენ ფულითა და მიწით?

ხომ ხარობენ, ორმხრივი სიძულვილის ცეცხლი რომ არ ქრება. და გიზგიზებს სიყვარულის ნაცვლად, რაც მხოლოდ ჰალუცინაციაა?

მტრობა დღეს ყველაზე ხანგრძლივი სიამეა; ადამიანები სიყვარულში ჩქარობენ, ხოლო მოცალეობის ჟამს სიძულვილში ატარებენ.

მოურიდებელმა ჯონსონმა, დიდმა მორალისტმა, სწორედაც რომ პატიოსნად განაცხადა: მომწონს პატიოსანი მოძულეო! ესაა ერთადერთი სიმართლე, რაც უღიარებიათ ბოლო ათას წელინადს.

ეგებ გონებამახვილი ბერიკაცი ხუმრობდა; მე კი, ჩემი მხრივ, ამგვარი რამის უშუალო მომსწრე ვარ და მინახავს სასახლეშიცა და საბძელშიც რაღაც, აი, ისეთი, გოეთეს მეფისტოფელი რომაა.

თუმცა ძველებურად აღარც მიყვარს და აღარც მძულს თავდავინყებით, და თუ ხანდახან დავცინი, იმიტომ, რომ ამის მეტი აღარა შემიძლია რა და ჩემი რითმებიც შიგადაშიგ ამასა მთხოვენ, ხანდახან სულითა და გულით ვისურვებდი, ადამიანს გამოესწორებინა ნაკლოვანებანი, და კი არ დაგვესაჯა, არამედ

თავიდან აგვეცილებინა დანაშაული, მაგრამ სერვანტესმა ხომ გვიჩვენა იმ მართალ ამბავში დონ კიხოტისა, ყველა ასეთი მცდელობა დამარცხებისათვის რომაა განწირული.

ეს თხზულება ყველა სხვა თხზულებაზე უფრო სევდიანია და უფრო სევდიანიც იმიტომაა, რომ გვაცინებს: მისი გმირი მართალია და მთელი მისი მცდელობაც მართალია, ერთადერთ მიზნად დაესახა ბოროტის დამარცხება და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას მიითვლიდა ჯილდოდ! სწორედ რომ საკუთარმა სიქველემ გადარია! მაგრამ მისი თავგადასავლები სევდიანია და მწუხარებაში ზნეობის დიდი მოძღვარი, და ყველაზე ნამდვილი ეპოსია მათ შორის, რაც კი წარმოგვიდგენია.

ჭრილობაზე საღბუნის დადება, ავსულზე შურისძიება, მანდილოსნის ხსნა და მხდალის დამხობა, გაერთიანებულ ბოროტებასთან მარტოდმარტო რკენა, უცხოელის უღლისაგან უმწეო თვისტომის ხსნა: ეჰ! ეს ხომ ყველაზე კეთილშობილური საქციელია, ვითარცა ძველი სიმღერა უბნობს; შემოქმედებით ნაწარმოებს უფრორე განუთქვამს სახელს ხუმრობა და მახვილგონიერება! და ნუთუ სოკრატე უფრო ბრძენია, ვინემ დონ კიხოტი?

სერვანტესმა დასცინა ესპანურ რაინდობას; უბრალო სიცილმა დაადუნა მისი ქვეყნის მარჯვენა; მას შემდეგ დღემდე ესპანეთს გმირები იშვითადლა თუ ჰყოლია. საგმირო რომანის მომხიბვლელობა გაჰქრა და ნაიყოლა რაინდთა ჯარი; და სერვანტესის ტომებმა ისეთი ზიანი მიაყენა, რომ მთელი მათი დიდება თხზულებებთან ერთად მიწასთან გასწორდა.

ისევ ძველებურად „ვიონბაზობ“, გადავუხვიე და დამავინყა და ლედი ადელაინ ამანდევილი; ყველაზე საბედისწერო მშვენიერი ქმნილება, ვისაც კი ჟუანი შეხვედრია; თუმც არც ბოროტი გახლდათ და არც სიავე სურდა; მაგრამ ბედმა და ვნებამ გაშალეს ბადე (ბედი კაი თავგასამართლებელია ჩვენიც სურვილთა) და გააბეს ისინი; ან რაა ისეთი, რასაც ბედი და ვნება ვერ დაიჭერენ? მაგრამ მე ხომ ოიდიპოსი არა ვარ და ცხოვრება კი — სფინქსი.

ისე მოვყვები ამბავს, ვითარც ყოფილა, ვერ გავბედავ ამოვხსნა, რადგან „*avus sum!*“ ან კი წყვილზე მოგახსენებთ.

კობტა ადელაინი დედა ფუტკარი იყო მსოფლიოს მხიარულ ფუტკართა სკაში და ყოველივე მშვენიერის ანარეკლი; მისმა მომხიბვლელობამ ყველა კაცი აალაპარაკა და ყველა ქალი დაამუნჯა. აი, ეს კი სასწაულია და ასეც შერაცხეს და მას მერე ასეთი რამ აღარც განმეორებულა.

კეთილგონიერი იყო ჭორიკნების გულგასახეთქად, და — ერთზე დაქორწინებული — შეყვარებულიც მასზე გახლდათ, კაცზე, ვინც განთქმულიყო ერის მრჩეველთა შორის, დინჯი, ნამდვილი ინგლისელი, აღუშფოთველი, თუმც შეეძლო ცეცხლთან თამაშიც, თუ საჭირო იქნებოდა, საკუთარი თავითაც ამაცობდა და ცოლითაც, ქვეყნად ვერვის მოუბრუნდებოდა ენა ან ერთის, ან მეორის გასაქილიკებლად და ორივე დაცულიყო, ცოლი — ნამუსიანობით და ქმარი — ქედმაღლობით.

საქმე ისე მოიგანდა, რომ დიპლომატიური ურთიერთობანი ხშირად ახვედრებდა ერთმანეთს ადელაინის ქმარსა და ჟუანს, და ერთად ყოფნამ დააახლოვათ. თუმც თავშეკავებული იყო და გარეგნულად არას იმჩნევდა, ჟუანის სიჭაბუკემ, თავდაჭერამ, ნიჭმა მის ქედმაღალ ბუნებაზეც კი იმოქმედა და საფუძველი ჩაუყარა პატივისცემას, რასაც მამაკაცები მიჰყავს იქამდე, საზოგადოებაში მეგობრობას რასაც ეძახიან.

ლორდ ჰენრი — ვინც იმდენად ფრთხილი გახლდათ, რამდენადაც თავშეკავებულობა და სიამაყე აძლევდა ნებას, და აუჩქარებელი ადამიანის შეფასებისას, რომ ოდეს განსჯიდა და გადაწყვეტდა, სწორად თუ მცდარად, მტერს შეეხებოდა თუ მეგობარს, ისეთ სიჯიუტეს იჩენდა, ვით სიამაყე უკარნახებდა, რამაც უკანდახევა არ იცის და სიყვარულშიც თუ სიძულვილშიც სძაგდა სხვის ჭკუაზე სიარული და ყველაფერს ისე წყვეტდა, ვითარცა თვითონ ენება.

ამიტომაც მისი მეგობრობაც და მტრობაც ხშირად საღ საძირკველზე დაშენებულიყო და მისი განწყობილებაც, ვითარცა სპარსთა და მიდიელთა კანონები, აროდეს იცვლებოდა. მის გრძნობებს არ ახასიათებდა ციებცხელებიანი ცაბცახი, არც საყოველთაო გემოვნებას ასდევდა, რაც მრავალთ ცრემლს აღვრევინებს სიცილის ნაცვლად, ხან სიცხეს შეჰყრის და ხანაც სიცივეს.

„მოკვდავთა ხელთ არ არის წარმატების მართვა: მაგრამ განა შენ უფრო მეტად იმსახურებ მას, სეპრონიუს?“ და ჩემი სიტყვა დაიმასხოვრე, სხვაზე ნაკლებს არ მიაღწევ. ფრთხილად, დრო შეარჩიე და მუდამ მზად იყავ; გაეცალე, როს მეტისმეტად დიდი ძალა გემეტოქება; სინდისს რაც შეეხება, ისწავლე თუ ვით გამოაწრთო, რადგან ისევე წაგადგება უქენჯნელად, ვითარცა მრბოლელს ან მოკრივეს შველის ვარჯიში.

უფროსობაც უყვარდა ლორდ ჰენრის, კაცებს ხომ უყვართ უფროსობა — დიდთ თუ პატარათ; ყველაზე ჩიაც კი თავისზე სუსტს გამოძებნის, ან ჰგონია, გამოვძებნეო, და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილებს; ძალზე ცოტა რამ მოიძებნება უფრო გულისგამანვრილებელი, ვინემ მარტოხელა ამპარტავანის მჩაგვრელობაა, რასაც მოკვდავნი დიდსულოვნად ავრცელებენ, და აიძულებენ სხვებს, ატარონ ისინი ზურგზე შესმული, წარმომავლობით, წოდებით, ქონებით თანასწორ ჟუანს იგი ვერაფრით დაემჯობინებოდა; ასაკით უფროსი იყო და სწამდა, ჩემი ქვეყანაც უკეთესიაო, თამამი ბრიტანეთი, ენითა და მწერლობით თავისუფალი, რომლის მიბაძვასაც ყველა თანამედროვე ერი ამოდ ესწრაფოდა; თვითონ ლორდ ჰენრი დიდი მოკამათე გახლდათ და პარლამენტში ცოტა ვინმე თუ უძლებდა მასთან გვიანობამდე დავიდარაბას.

ამგვარ უპირატესობებს ფლობდა და ფიქრობდა, ეს ჩემი სისუსტეაო, მაგრამ არა რაღაც საბედისწერო რამ, მასავით რომ მხოლოდ ორიოდე კაცს ან სულ არავის შეეძლო ჩანვდომოდა სამეფო კარის საიდუმლოებებს; მინისტრი გახლდათ და უყვარდა იმის სწავლება, რაც თვითონ შეესწავლა; ბრწყინავდა ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა; ფლობდა ყველა თვისებას, რაც ამშვენებს კაცს, მუდამ პატრიოტობდა და თანამდებობანი ეკავა.

მოენონა კეთილშობილი ესპანელის თავდაჭერა, აღაფრთოვანა მისმა მიხვედრილობამ; რადგან თუმც ყმანვილკაცი თავაზიანად და უსიტყვოდ თანხმდებოდა, თუ რაიმეს არ დაყაბულდებოდა, ამას ამაყი თავმდაბლობით იქმდა. ცხოვრებას იცნობდა და ცოდვა-ნაკლს არა ჩხრეკდა იქ, სად მინის ნაყოფიერება მოჩანდა, რადგან თუ სარეველამ მცენარეს გადაასწრო, მერე მისი შეჩერება ძალზე ძნელია.

საუბრობდა მასთან მადრიდზე, კონსტანტინოპოლსა და სხვა შორეულ ადგილებზე; სად ხალხი იმას სჩადის, რასაც უბრძანებენ, სჩადის, რაც არა სურს, მაგრამ უცხოელთ ნებავთ ასე.

საუბრობდნენ ბედაურებზე: ჰენრი კარგი მხედარი იყო, ვით ინგლისელთა უმრავლესობა, და უყვარდა რბოლები; ჟუანი კი, ვით ჭეშმარიტი ანდალუზიელი, ცხენს ისე მართავდა, ვით დესპოტნი მართავენ რუსებს.

ასე ვითარდებოდა მათი ნაცნობობა, მაღალი საზოგადოების რაუტებზე, დიპლომატიურ სადილებზე და სხვაგანაც, რადგან ჟუანი ყველგან იმყოფებოდა, შინ და გარეთ, ვითარცა თავისუფალ მასონთა მაღალი რანგის მფლობელ ძმათაგანი. მის ნიჭიერებაში ჰენრის ეჭვი არ ეპარებოდა; მის ქცევა უჩვენებდა, რომ დიდგვაროვანი დედის შვილი იყო; და ყველას უყვარს, სტუმარმასპინძლობა გამოიჩინოს მისადმი, ვისი წარმოშობაც შეჭვერის მისივე აღზრდასა და თვისებებს.

უსახელო მოედანზე — არ გავცემ ამ მოედანს, არც ქუჩას დავასახელებ, რადგან ადამიანები ისეთი კირკიტნი გახდნენ და შეუყვარდათ ავტორის იფქლში ღვარძლის შერევა და სათავისო, უნამუსო ალუზიების მოხმობა, რაზეც არავის უფიქრია, არც სასიყვარულო ამბავი ყოფილა, რასაც მუდამ ავი ჭორები გამოუწვევია, და ამიტომაც წინასწარ ვაცხადებ, რომ ლორდ ჰენრის სასახლე უსახელო მოედანზე იდგა.

და კიდევ ერთი სათნო მიზეზი დაიძებნება, თუ რატომ არ ვარქმევ სახელებს ქუჩებსა და მოედნებს; რაც ისაა, რომ ძნელად თუ გადარჩება წელიწადის ერთი დრო, როს ყველაზე ბრწყინვალე სახლსაც კი არ შეარყევს თუნდ მცირეოდენი გულისძვრა შინაურული ღალატისა და აიზიდება მაღლა-მაღლა სანეტარო სკანდალი, რაზეც მოულოდნელად წავბორძიკებულვარ, თუმცა ვიცოდი, რომ ის მოედანი სრულიად უმანკო ყოფილა.

ჰო, მართალია შემეძლო პიკადილი დამესახელებინა, რომლისთვისაც უცხოა მცირე ცოდვანი; მაგრამ მაქვს მიზეზი, არ ვიცი, ბრძნული თუ სულელური, რომ თავი დავანებო იმ წმინდა ტაძარს. ამიტომაც არ ვასახელებ არც მოედანს, არც ქუჩას,

არც ადგილს მანამდე, სანამ მივაგნებდე ისეთს, რომელსაც ვერას დასწამებენ, გულით უმანკო ვესტალთა ტაძარს, ვითარ... მაგრამ არა, ლონდონის რუკა დამეკარგა.

ჰენრის სასახლეში, უსახელო მოედანზე, ჟუანი რჩეულ სტუმართაგანი იყო სხვა მრავალ დიდგვაროვან მემკვიდრეთა შორის; მათი, რომელთათვისაც მარტოდენ კოხტაპრუნობის შნო მიუცია ღმერთს ან სიმდიდრე, რაც ყველგან შესასვლელი პასპორტია, ან მოდური ჩაცმულობა, რაც საუკეთესო რეკომენდაციაა და სხვას ყოველს სჯობნის.

და რადგანაც „რიცხვმრავალ მრჩეველებში გადარჩება ხალხი“, ვით სოლომონს უთქვამს, ანდა ვილაცას უთქვამს მის ნაცვლად, ბრძნული და დინჯი კილოთი; ყოველდღიურად ვხედავთ ამის დასტურს სენატებში, სასამართლოებში, სიტყვიერ ბრძოლებში, სად აღლუმს მართავს კოლექტიური სიბრძნე, რაც, ვითარ ვხვდებით, ერთადერთი მიზეზია, ბრიტანეთის დღევანდელი სიმდიდრისა და ბედნიერებისა;

მაგრამ თუკი „მრჩეველთა“ მრავალრიცხოვნება „იხსნის“ მამაკაცს, დედაკაცთ ნამუსს შეუნახავს თაყვანისმცემელთა ფართო წრე; და თუ ფეხი დაუცდა, არჩევანის მრავალრიცხოვნება შეაშველებს ხელს.

როს ირგვლივ კლდეებია, უფრო ფრთხილად იქცევი, და ასეა ქალებშიც, ურიცხვი არშეიყნი თუ გახვევია გარს, შეგიძლია გადაურჩე სიყვარულის ცდუნებას.

მაგრამ ადელაინს ისეთი ფარი არ ესაჭიროებოდა, რაც ნამდვილ სიქველეს ან კარგ განათლებას ფასს უკარგავს; მისი მთავარი დამცველი იყო მისივე მაღალი სული, რაც ადამიანთა ნამდვილ ფასს ამცნობდა; კეკლუცობა სძულდა, ისედაც იმდენი აღფრთოვანება ერგებოდა წილად ყოველდღიურად, ქებადიდებას აღარად აგდებდა.

ყველას მიმართ თავშეკავებულად თავაზიანი იყო; ზოგისადმი ისეთ ყურადღებას იჩენდა, თითქო აიმედებდა, მაგრამ ისეთი კილოთი, რომ არ დაეძრახება არც გათხოვილ ქალს და არც ქალიშვილს; თავაზიანი, კეთილგანწყობილი, ზომიერი ხასიათი ჰქონდა და ასეთი იყო მათდამი, რომელთაც ეს დაემსა-

ხურებიანთ, რათა ენუგეშებიან სევდიანი დიდება დიდებულ-
თათვის, რაც, მიუხედავად ჩემი პატივისცემისა, ორიოდე შემ-
თხვევის გარდა, მიტოვებულია და გასაწყლებული.

შეჰხედეთ ჩრდილში დარჩენილ გამორჩეულ კაცებს, მარიო-
ნეტებად რომ გადაქცეულან სახელოვნებისა და ხოტბისა, რაც
დევნით; ან შეჰხედეთ ბედის ნებიერთ და, მზით გაბრწყინებულ
დაფნის გვირგვინქვეშ რას დაინახავთ? — მოოქროვილ ღრუ-
ბელს!

ადელაინს, ცხადია, მოსდგამდა ის პატრიციული თვისება,
რომ აროდეს უნდა გადააბიჯო ზღვარს, და ბუნებრიობას არო-
დეს უღალატო; ვით მანდარინს ვერას მოაწონებ ანუ მისი თავ-
დაჭერილობის გამო ვერ გამოიცნობ თუ რა უფრო მოსწონს
მათ შორის, რასაც ათვალეირებს; ალბათ ეს თვისება ჩინელთა-
გან შევითვისეთ.

ან ეგებ ჰორაციუსისაგან: მისი „არა გაიკვირვო“ იყო ის, რა-
საც „ბედნიერების ხელოვნებას“ უწოდებდა; ესაა ხელოვნება,
ხელოვანთა შორის რაც ცვალებადობს და დიდ წარმატებას ამ
საქმეში ვერ მიაღწიეს. რაც უნდა იყოს, სიფრთხილე სასურვე-
ლია, განურჩევლობას ტკივილები არ ახლავს; და მძაფრი
მგზნებარება კარგ საზოგადოებაში სხვა არა არის რა, თუ არა
ზნეობრივი მემთვრალეობა.

მაგრამ ადელაინი განურჩეველი არ გახლდათ: ბანალური
შედარება იქნება, მაგრამ ვით ვულკანის ლავა დუღს თოვლქ-
ვეშ, *et cetera*.

გავაგრძელო? — არა! მძულს გაცვეთილ მეტაფორათა გა-
მოყენება, ასე რომ, მოვასვენებ მრავალჯერ განმეორებულ
ვულკანს. საბრალო! იმდენჯერ გვიხსენებია მე თუ სხვებს,
ამოძრავდა და ლამის დაგვახრჩოს მისმა კვამლმა.

ამ წუთას სხვა ხატი წარმომესახა: რას იტყოდით შამპანუ-
რის ბოთლზე? საღვინე ყინულში ჩააციებულზე, სიდან უკვდავი
წვიმის წვეთები ამოიფრქვევა, ხოლო შუაში რჩება ყველაზე
ძვირფასი ერთი ჭიქა და ის უფრო მძლავრია, ვინემ ყველაზე
დიდსა და მზის თვალით აღვსილ, ღვინოდ სახეცვლილ მტევანს
შეეძლო გამოეხატა.

ასე აღწევს სული კვინტესენციას; გაყინულ გარემოში მოექცევა დაფარული ნექტარი.

ასე არიან მრავალნი, თუმც მე მარტოდენ ადელაინს ვგულისხმობ და სწორედ მისგან ვიღებ ზნეობრივ გაკვეთილებს, სად შეღწევასაც მუზა ყოველთვის ცდილობს და ცივი ადამიანები ყოველთვის უძვირფასესნი ხდებიან, ოდეს მათ გარემომცველ ყინულს გატეხავ.

ისინი ხომ ჩრდილო-დასავლეთის გზით მიემართებიან, სულის მოგიზგიზე ინდოეთისაკენ; და ამ გზით ნასულმა კეთილნაგებმა ხომალდებმა ეგებ ჩრდილო პოლუსს ვერც მიაღწიონ (თუმც მცდელობაც დიდი საქმეა), და ჯენტლმენები თავთხელში დარჩნენ, თუ პოლუსი გაყინული იქნება (ეს შესაძლოა) და ცურვის ნაცვლად ხომალდს დავკარგავთ.

ახალუხლებმა იმით უნდა დაიწყონ, რომ მშვიდად იცურონ ქალის ოკეანეში; მათ კი, დამწყებთ რომელთაც ვერ ვუნოდებთ, ეგებ იმდენიც გაბედონ, პორტში შეცურონ, ვინემ დროჟამი სასიგნალო, ჭაღარაშერეულ ალამს დაუქნევდეთ; და წარსული დრო, სევდიანი „*uimus*“ ყველაფერი ადამიანურისა, დაღმა დაშვებას განიშნებს, სიცოცხლის ძაფი დაიხვევა და პირდაღებული მემკვიდრე და ნიკრისის ქარილა შეგრჩება.

მაგრამ ზეცა სხვაგვარად გადახრის ხოლმე; და მისი მიმართულებანი ხანდახან უმოწყალოა, მაგრამ არა უშავს: მაინც შეიძლება ითქვას წუთისოფელზე (ეგებ დასამშვიდებლად), კეთილი სჭარბობსო; და სპარსელთა ეშმაკეული დოქტრინა ორი საწყისის შესახებ იმდენსავე ეჭვებს აჩენს, რამდენსაც სხვა დოქტრინები, და უღელს ისევე ჩამოგვაცვამს.

ინგლისური ზამთარი, ივლისში რომ მთავრდება და აგვისტოში განახლდება, დასრულდა. შიკრიკთა სამოთხე დადგა. გზებზე გაფრინდნენ თვლები, აღმოსავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით, დასავლეთით. მაგრამ ფოსტის ცხენები რა საყვარელია? კაცებს ებრალებათ საკუთარი თავი კოლეჯიდან დაბრუნებული ვაჟის შემყურეთ, რომელსაც ვალები მეტი ჩამოუტანია, ვინემ ცოდნა.

ლონდონური ზამთარი ივლისში მთავრდება და ხანდახან მოგვიანებითაც. არაფერი მემლება; რამდენიც უნდა მიკიჟი-

ნონ ზურგსუკან, მაინც დავამტკიცებ და ჩემს მუზას ერთ ჭიქა ამინდოლოგიასაც გადავაცლაპებ, რადგან პარლამენტი ჩვენი ბარომეტრი: დაე რადიკალებმა შეუტიონ, სესიები მაინც ჩვენი ერთადერთი ალმანახია.

და როს მათი ფაციფუცი ნულს გაუტოლდება, იხილეთ ვით დაიძვრიან ეტლები, ორთვალანი ბარგი-ბარხანით, ეკიპაჟებით კარლტონის სასახლიდან სოჰოსაკენ, და ბედნიერნი არიან ისინი, რომელთაც ცხენები იშოვეს; ხერგილებს ბული ასდით და როთენ როუ მიიძინებს კაშკაშა ეპოქის რაინდობისაგან მოსვენებული; ვაჭრებს ხელთ შერჩებათ გრძელი ვექსილები და სახეები უგრძელდებათ, ოდეს მეეტლენი გზებს გაუყვებთან.

ვაჭრები და მათი ვექსილები, „ორივენი არკადიელნი“, რჩებიან მომავალი სესიის ბერძნულ კალენდართა იმედად. ეჰ, რაღა იმედია, როს ნალდი ფული ეკარგებათ? და ხელთ შერჩებათ დიდსულოვანი დაპირება, ვით საჩუქარი, დიდხანს, ვინემ ახალთახალ დაპირებას მიიღებენ, და ფასდაკლებით გაყიდვას შეეცდებიან, რათა პირწმინდა წაგებას გადაურჩენ.

მაგრამ ეს წვრილმანებია.

გზას მიუყვება ფრენა-ფრენით ჩვენი ლორდი, გვერდით ლედი უზის კარეტაში და თავს უკანტურებს. გავეშუროთ! გავეშუროთ! ისმის ძახილი:

— ცხენები ჩქარა!

და ისე სწრაფად იცვლებიან, ვითარცა გულები ნაქორნინევს; მორჩილი მოიჯარენი გულლიად ხვდებიან; მეეტლენი არასდიდებით არ დაუკლებენ ფეხის ქირას; დასველებული ბორბლები მისრიალებს, მეჯინიბე ივედრება, მეც მარგუნეთ რამეო.

ყველაფერი მზადაა და კოფოზე დასკუბდება ლაქია, ეს ჯენტლმენი ლორდთა და ჯენტლმენტთა კარზე; ქალბატონის მოახლეც იქვეა, ეშმაკუნა, ოინბაზი, მაგრამ ისეთი მორცხვი, პოეტის კალამი ვერც კი აღწერს, „Cosi viaggino i Ricchi!“ (მომიტევით აქა-იქ უცხოური სიტყვების ჩაკვებება, რაც მიაწმინებს, რომ მიმოგზაურია, და რაა მოგზაურობა, თუ უადგილო ციტირებას არ გასწავლის?)

ლონდონური ზამთარი და სოფლური ზაფხულიც მალე გადის. საცოდაობაა, როს მშვენიერ სამოსში გამონწყობილი ბუნებისაკენ არ იყურები და ამ საუკეთესო თვეებს ოფლიან ქალაქში ატარებ, და ვერ ხვდები, რომ ბუღბუღი მალე დადუმდება, და რაღაც დავა-კამათს უსმენ, თუნდ ბრძნული იყოს და მახვილგონივრული;

ჰო, ქვეყანა დაიხსომებს თავის ერთგულ შვილებს, მაგრამ კაკბებზე ნადირობის სეზონი მხოლოდ სექტემბრამდე გრძელდება.

მოვრჩი ტირადას.

ყველანი გავიდნენ, ოთხიათასი რჩეული ამა სოფლისა გაეშურა დროებითი განმარტოებისათვის, სააღლუმოდ ოცდაათი-ოდე მსახური დაიტოვეს და ამდენივე, თუ ცოტა მეტი, სტუმარი იახლეს, რომელთათვისაც ამდენივე ქვეშაგები უნდა გაშლილიყო და ამდენივე საწოლს ეჭრიალა ყოველდღიურად;

მოდინე გაეკვიცხავთ ძველ ინგლისურ სტუმარმასპინძლობას, რაკი რაოდენობას ხარისხს ამჯობინებდნენ.

ლორდი ჰენრი და ლედი ადელაინიც სხვა პერებითურთ მშვენიერი კარმიდამოსაკენ, ათასწლოვანი გოთიკური კოშკისაკენ გაეშურნენ. მათსავით გრძელ ჯაჭვს წინაპრებისა ვერვინ დაიქადნიდა, იმ დროიდან მოდიოდნენ, როს გმირები და მშვენიერი ბანოვანნი მართავდნენ ქვეყანას; და საგვარეულოსავით ძველი მუხები ესაუბრებოდნენ მათ ძირში დამარხულ ბატონთ.

ყველა გაზეთმა დაბეჭდა ცნობა მათ გამგზავრებაზე: ასეთია თანამედროვე პოპულარობის ნაყოფი. სამწუხაროა, რომ მხოლოდ განცხადებათა მსგავსი რაღაც ქვეყნდება ხოლმე. მელანი შრება თუ არა, ხმაც ცივდება.

„მორნინგ პოსტმა“ ყველაზე ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„დღეს, ლორდი ჰ. ამანდევილი და ლედი ა. სოფლის მამულში გაემგზავრნენ.

ფიქრობთ, ბრწყინვალე მასპინძელი ამ შემოდგომაზე გართობას იზრახავს კეთილშობილ მეგობართა მრავალრიცხოვანი გუნდისა; რომელთა შორისაც, სარწმუნო წყაროები გვატყობინებენ, გახლავთ ჰერცოგი დ., ნადირობის სეზონის გასატარებ-

ლად სხვა ტიტულოვან გვამებთან ერთად; და ერთი უცხოელიც, რუსეთიდან ამჟამად ჩამოსული ელჩი“.

და ვითარ ვხედავთ (ვინ დაეჭვდება „მორნინგ პოსტზე“, რომლის სტატიებიც „ოცდაცხრამეტივითა“, როს ვისაც ყველაზე მეტად სჯერა, ყველაზე მეტად ჰფიციან) — ჩვენი ყმანვილი რუსესპანელი განწესებულიყო ებრწყინა მასპინძლის სხივთა ნათელში, მათთან ერთად, რომელნიც, ვით პოუპი ამბობს, „უმამაცესად სადილობდნენ“.

უცნაურია, მაგრამ სიმართლეა, რომ ბოლო ომმა ამგვარ სადილებზე უფრო გაამრავლა ცნობები, ვინემ დახოცილებსა თუ დაჭრილებზე.

ვთქვათ ასეთი:

„ხუთშაბათს დიდი სადილი გაიმართა; ესწრებოდნენ, ლორდები ა. ბ. გ“.

გრაფები და ჰერცოგები სახელდებით ჩამოთვლილიყვნენ და იმგვარივე ბრწყინვალეობით, ვითარცა ძლევა მოსილი გამარჯვებულნი; და იქვე, ქვევით, იმავე სვეტში, მიწერილიყო ცნობა:

„ფალშუთი. ამ ბოლო დროს აქ იდგა სახელგანთქმული პოლკი, რომლის დანაკარგებსაც ასე ვწუხვართ; ვაკანსიები უკვე შევსებულია — იხ. გაზეთი“.

ნორმანული სააბატოსაკენ მიემუერებოდა კეთილშობილი წყვილი; ერთ დროს ძველი მონასტრისაკენ, ან კარმიდამოდ რომ ქცეულიყო, მაგრამ სიძველე შემორჩენოდა; გამორჩეული და მდიდრული ნაგებობა გახლდათ, შერეული გოტიკური სტილისა, რომლის ნიმუშებიც ჯერაც შემონახულა შესადარებლად; დაბლობზე მდებარეობდა, რადგან ბერებს ერჩივნათ ზურგსუკან ბორცვი ჰქონოდათ, რომ მათი სასოება ქარისაგან დაცულიყო.

იდგა, გულში ჩაჰხუტებოდა მშვენიერ ველს, რომელიც ტყეებით დაგვირგვინებულიყო, სად აღმართულიყო დრუიდათა მუხა, ვითარცა კარაქტაკუსი, ფართოდ გაშლილი მკლავებით იქაურობას ელვისაგან იცავდა, მის ტოტებსქვემოთ უეცრად სისხამზე მეტყევეთ დაინახავდი, ქორბუდა ხარირემიც ჩაივლიდა, არვესთან ერთად რომ მიემუერებოდა ჩიტივით მოჟღურტულე წყაროსაკენ.

სასახლის წინ ტბა კამკამებდა, ვეება, ღრმა, გამჭვირვალე, გამდინარე წყლით უზრუნველი; იქვე მდორედ ატალღული მდინარე აწვდიდა ანკარა წყალს გაშლილი შენაკადებიდან, ირგვლივ ნაყოფიერ მინდვრებზე ფრინველნი იბუდებდნენ ნოტიო ბუდეებში; ტყე დაბლა ეშვებოდა მდინარის ნაპირამდე და ხეთა მწვანე სახეები ირეკლებოდა წყალში.

მდინარის ერთი ტოტი გრძელ ჩანჩქერად ეშვებოდა, შხეფებსა ჰყრიდა ნაპერწკლებივით, ბავშვივით კისკისებდა, ვინემ ბოლომდე დაეშვებოდა, ტალღებად გადიქცეოდა და რუმი ალიკლიკდებოდა და მშვიდად გააგრძელებდა თავის გზას, ხან ბზინავდა და ხანაც ხეთა ჩრდილქვეშ იმალებოდა, ხან თეთრი იყო, ხანაც ლურჯი იმის კვალობაზე, თუ ცის რა ფერს აირეკლავდა.

გოტიკური ნაგებობის დიდებული ნგრეული ნაშთი (იმდროინდელი, როს ეკლესია რომს ეკუთვნოდა) განცალკევებით იდგა, დიადი თალი, ოდესღაც ტაძრის ფრთა. ტაძარი გაჰქრა, დაეკარგა ხელოვნებას; წინათ მდიდრული სამკაული იყო მიწისა, და ყველაზე უხემ გულშიც კი გრძნობას შთასახავდა, და სინანული აღგექვრით ქარიშხლიან დროთა მოგონებებში, ოდეს ამ უძველეს თალს შესცქერით.

მის წვერთან ახლოს, ნიშაში ერთდროს ქვაში გამოკვეთილი თორმეტი წმინდანი მდგარა; მაგრამ გამქრალან, მაშინ კი არა, ბერები რომ გაჰყარეს, არამედ იმ ომისას, ჩარლზი რომ გადმოაგდეს ტახტიდან, როს ყველა სახლი ციხე-სიმაგრედ ქცეულიყო, ვითარც მოგვითხრობენ მატთანენი, თუ ვით დაიღუპნენ მოხდენილი კავალერები, ამაოდ რომ იცავდნენ მას, ვისაც ვერ გაეგო, გადამდგარიყო თუ ემართა სამეფო.

მაგრამ ზემოთა ნიშაში მარტოდმარტო გვირგვინოსანი ქალწული, ღვთისმშობელი დედა მოჩანს, შვილი უპყრია კურთხეული ხელებით, გარშემო იყურება, შემთხვევით გადარჩენილი მაშინ, როს ირგვლივ ყოველი დაინგრა; მისი იქ ყოფნა დაბლა, მიწას კურთხეულად მოგაჩვენებს, თუნდ სისუსტედ, ველურობად ან რელიგიურ ცრურწმენად ჩამომართვათ, მაგრამ მცირედი ნაშთიც კი ამ ტაძრისა აღვიძებს თაყვანისცემასა და ღვთაებრივ ფიქრებს.

ფართო, გულამოდებული სარკმელი, ოდესღაც მისი მინები ათასობით ფერს რომ აირეკლავდა და შემოდინოდა იდუმალი და ღრმა დიდება, მოედინებოდა მზისაგან თითქოსდა სერაფიმთა ფრთებით, ან მიგდებული და უმოქმედო ამთქნარებს, ხან ხმამალა და ხანაც ხმადაბლა, ქარიშხალი დათარეშობს მასში და ხშირად მღერის ჭოტი თავის ჰიმნს, მაგრამ ალილუიას კი ვეღარ ეუბნება გადამქრალი გუნდი.

მაგრამ როს მთვარე ზენიტზეა და ქარი დაუბერავს ზეციდან, რაღაც ზებუნებრივი უცნაური ხმა აკენესდება უცხო მუსიკით, გარდასული კილოკავი მოისმის უზარმაზარი თალიდან, ალივივდება და ჩაქრება, ზოგნი ფიქრობენ, რომ ესაა შორეული ექო, რომელიც ღამეულ ქარს მოაქვს ჩანჩქერიდან და ჰარმონიულად შეერწყმის უძველეს კედელთა ქორალს.

სხვანი ირწმუნებიან, რომ რაღაცა შემთხვევისა გამო ამ რუხ ნანგრევთაგან ამოსული ძალა (თუმც ნაკლებ, ვინემ მემნონის ქანდაკებისა, ეგვიპტური მზე რომ ათბობს და ამღერდება განსაზღვრულ ჟამს) ხმას გამოსცემს და აჯადოებს. სევდიანი, მაგრამ მშვიდი თავს დასტრიალებს კოშკსა თუ ხეებს, არ ვიცი, რა მიზეზით და ვერც გავიგებ; მაგრამ მოსმენით მომისმენია, ერთხელ ალბათ მეტისმეტად დიდხანსაც ვუგდებდი ყურს.

ეზოს შუაგულში გოტიკური შადრევანი ჩუხჩუხებდა, სიმეტრიული, ოღონდ ლაზათიანი ჩუქურთმებით მორთული, უცნაური სამასკაროდო სახეებით ადამიანთა; აქეთ ურჩხული, იქით წმინდანი; წყალი გრანიტის მკაცრი სახეებიდან ამოიფრქვეოდა და მილიკლიკებდა აუზებში, სად მისი ციცქნა ნაკადი ათასობით ბუშტებს აჩენდა, მსგავსს კაცის ამაო დიდებისა და კიდევ უფრო ამაო შეჭირვებისა.

მამული ვრცელი იყო და მოკრძალების აღმძვრელი, აქ უფრო მეტი შემორჩენილიყო მონასტრული, ვინემ სხვაგან სადმე: ტალანები ჯერაც ხელუხლებელი გახლდათ, მგონი, სენაკებიცა და სატრაპეზოც; პატარა, კოხტა სამლოცველო მოქმედი იყო, უვნებელი და გარემოს ამშვენებდა; დანარჩენი გადაეკეთებინათ, გადაეადგილებინათ ან დაენგრიათ, და ბარონს უფრო შეჰფეროდა, ვინემ მონაზონს.

უზარმაზარი დარბაზები, გრძელი დერეფნები, ფართო ოთახები, შეერთებული არცთუ მთლად ხელოვნების წესით, მცოდნეს გააოგნებდა, მაგრამ მაინც ურთიერთს ერწყმოდა და ერთ მთლიანობას შეადგენდა, რომლის ნაწილებიც უჩვეულოდ გამოიყურებოდა, და მაინც იპყრობდა გონებას, იმათსას მაინც, რომელნიც გულით იხედებიან: გოლიათისა ხომ სიდიდე გვხიბლავს და არ განვსჯით, თუ ვით შეჭფერის ბუნებას.

რკინის ბარონები დადნენ და ახალი თაობა წამოვიდა აბრე-შუმში გამონკეპილი მხიარული და წვივსაკრავიანი გრაფებისა, კედლებიდან იმზირებიან კარგად შენახულნი; და ლედი მერიები იფურჩქნებიან გრძელკულულებიან გოგონებს შორის, ისინიც აქ იმყოფებიან; ხნიერი გრაფინიებიც, მოსასხამებსა და მარგალიტებში რომ სხედან: აქვე არიან სერ პიტერ ლელის მიერ დახატული მზეთუნახავნიც, რომელთა სამოსიც ნებას არ დაგვრთავს არ აღვფრთოვანდეთ სულითა და გულით.

დიდებული ყარყუმის ბენვით მორთული მოსამართლენიც აქ იყვნენ, რომელთა შეკრული წარბებიც სრულებითაც ვერ დაარწმუნებდა ბრალდებულს, რომ ზვიადი ლორდი მათ საქმეში დიდად შეინუხებდა თავს, გაერჩია სავარაუდო და სამართლიანი. ეპისკოპოსნი, ერთი წირვაც რომ არ გაეცდინათ; გენერალური პროკურორები, დასანახად შემზარავნი, რომელნიც (თუ არა ვცდებით) უმაღლეს სამეფო სამსჯავროზე მეტს ოცნებობდნენ, ვინემ ჰაბეას კორპუსზე.

ჯავშნით შეჭურვილი გენერლები იმ ძველი რკინის ხანიდან, ვინემ ტყვია უსარგებლოდ აქცევდა ჯავშანს; სხვანი პარიკებდახურულნი, მარლბოროს წინამძღოლობით რომ იბრძოდნენ, თორმეტზე მეტნი იქნებოდნენ ჩვენი გადაგვარებული გვარიდან; ლორდები, თეთრი კვერთხითა და ოქროს გასაღებით; ცხენზე ამხედრებული ნებროთები, ძლივს რომ ეტეოდნენ ტილოზე, აქა-იქ ნამდვილი პატრიოტებიც მოჩანდნენ, რომელთაც ადგილი არ ერგოთ მათ შორის, ვისაც ემართლებოდნენ.

მაგრამ აქვე, მემკვიდეობითი დიდების ხილვით გადაქანცული თქვენი თვალის დასამშვიდებლად, იყვნენ კარლო დოლჩე

და ტიცციანი, ან მძვინვარე სალვატორეს ნახატები, აქ ცეკვავდნენ ალბანოს ბიჭები, და ვერნეს ოკეანის შუქიც აქ თამაშობდა; შიში შეგიპყრობდათ სპანოლეტოს ფუნჯით შექმნილი წმინდა ნამებულთა დაღვრილი სისხლის ხილვით.

აი, ტურფად გადაშლილი ლორენის პეიზაჟი, იქ კი რემბრანდტი უხამებს სინათლეს სიბნელეს, ან კარავაჯოს უფრო პირქუშ ბრინჯაოსფრად დახატული ხმელ-ხმელი სტოელი ანაქორეტი; მაგრამ აგერ ტენიერსის არშიყობანი, და არცთუ ამაო, და თქვენი თვალები მშვენიერი სანახაობით ტკებება, ამ მშვენიერი თასიდან დაღვევა ისე მინდება, ვით დანიელს ან ჰოლანდიელს სწყურია... რა და, რაინული ღვინო!

ჰეი, მკითხველო!

თუ მკითხველი ხარ, გეცოდინება, რომ არა კმარა დამარცვლა შეგედლოს, ან თუნდ კითხვა იცოდე, რომ მკითხველი გახდე; აქ საჭიროა სიქველე, რაც ორივეს, შენცა და მეც, გვჭირდება; უპირველესად თავიდან უნდა დაიწყო (თუმც კი ძნელია შეჭიდება); მეორე — გააგრძელო თანმიმდევრულად; მესამე — ფინალიდან ნუ დაიწყებ, ანდა თუ ამ ცოდვას ჩაიდენ, ბოლო-ბოლო, დასაწყისით დაასრულე.

მაგრამ, მკითხველო, აქამდე ხომ მოთმინებით მისმენდი, როს დაუნდობლად გაყრიდი რითმებსა და ფათერაკებს; და იმდენი რამ დავახვავე, ფებუსი აუქციონერად ამიყვანდა.

პოეტები ხომ ასეთნი ვართ ადაბაბიდან, ამას ადასტურებს ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი“; მაგრამ ჩვენი დროის ერთ რიგით პოეტს მორიდება მართებს, და ხომ დაგინდე და ავეჯი და ჭურჭელი არ აღვინერე.

დადგა ბარაქიანი შემოდგომა და თან მოიტანა აღთქმული ტკბობა და თავშეყრილობა.

ყანა მომკილია, მამული გართობაში ჩაეფლო; პოინტერი გაინვართა, შინდისფერ ქურთუკებში გამოწყობილი მოყვარული მონადირე ფრინველს აფრთხობს; ფოცხვერივით მისდევს მიზანს; აბგას აივსებს ნანადირევით და ლალად მოაბიჯებს.

აი, კაკლისფერი კაკბები! მზინავი ხობბები! და ბრაკონიერთა დევნა! გლეხებს ამ სპორტში რა ესაქმებათ!

თუმც ვაზი და რთველი არ ამშვენებს ინგლისურ შემოდგომას, არ ლაჟღაჟებს მსვლელობის ჟამს, ბახუსის გვირგვინებით მორთული, გირლანდებით ჩანწული ქარვისფერი მტყვინით დამშვენებულნი რომ მიაბიჯებენ მზისა და სიმღერის ქვეყნებში. და მაინც, ნარჩევი ღვინოები ხომ მოიპოვება, მსუბუქი კლარეტი, შუმი მადეირა. და თუ ბრიტანეთი უვაზობას დაიჩივლებს, ვეტყვით, საუკეთესო ვენახები სარდაფებშიაო.

ჰო, ინგლისმა არ იცის შემოდგომის მიწურული, ვით სამხრეთული შემოდგომის დღეებმა; ისეთი, გაზაფხულის ალორძინება რომ გეგონება; აქ მაშინვე მოდის პირქუში ზამთარი და ჭერქვეშ მყუდროობას მოგასურვებს; „წლის ყველაზე ნაადრევი“, აგუზგუზდება ქვანახშირი; სახლგარეთ კი აქაური შემოდგომა მაინც გაეჯიბრება სამხრეთულს იმით, რომ რასაც მწვანით ჰკარგავს, ყვითლით ინაზღაურებს.

რაც შეეხება ნაზი სქესის სასოფლო გართობას, ძაღლებზე მეტად საყვირების ხმა ისმის დევნისას, ისეთი მომწუსხველია, წმინდანთ ააწვევინებს თავს კრიალოსნიდან და მონანილეობას მოანდომებს, ნებროთი მიატოვებდა დურას დაბლობებს, მელტონის უხემ ქურთუკს ჩაიცვამდა, ადგილის შესაფერს: ტახს თუ ვერ მოინადირებენ, ვინმე მუდოს გამოთხრიან და გაერთობიან.

კეთილშობილი სტუმრები შეიკრიბნენ სააბატოში.

ჯერ ქალებზე მოგახსენებთ: ჰერცოგინია ფიც-ფალკი, გრაფინია ქრები, ქალბატონები სცილი და ბასი; მის ნარჩინება, მის ბამბაზია, მის მაკსთეი, მის ო'ტაბი, მის რაბი, მდიდარი ბანკირის სკვო, და ღირსეული მისის სლიფი, თეთრ კრავს რომ მოჰგავდა, თუმც შავი ცხვარი გახლდათ.

აქ იყვნენ გრაფინიები ბლენკ — მაგრამ დიდგვაროვნები; აქ იყო „სიცრუე“ და „ელიტა“ ხალხისა, ვით ავზში გადასული გაფილტრული წყალი, გასუფთავებულ-განწმენდილნი მშობლიური ავდრის ან ბანკიდან აღებული სესხისაგან; რა ვიცი, ვითარ ან რატომ, მაგრამ პასპორტში წარსული არ მოჩანს; კარგი საზოგადოება ხომ შემწყნარებლობით უფრო ფასდება, ვინემ ღვთისმოსაობით.

ასეა გარკვეულ ნერტილამდე; რაც მიანიშნებს ყველაზე მეტ სირთულეს მართლწერაში. გარეგნულობა საფუძველია კავშირთა შექმნისა, ვითარცა ჩანს, მაღალი დონის მტკიცე ჯაჭვს რომ აბამს; და საჭირო აღარ არის ღრიალი „გაეთრიე, შე კუდიანო!“ ანუ ყველა მედეას ჰყავს თავისი იაზონი ან (თუნდ ჰორაციუსსა და პულჩის მივმართოთ) „*Omne tulit punctum, quæ miscuit utile dulci*“.

მათ წესრიგს თვალს კარგად ვერ მივადევნებ, რალაც ლატარიის მსგავსია. მინახავს წესიერი ქალი ვით განუქიქებიათ ერთი სურვილით შეპყრობილ ჭორიკნებს; ისიც მსმენია, ვითომ ქალბატონ ოჯახის დედას ვითარი თავხედური შეთქმულებებით დაუბრუნებია თავისი ადგილი საზოგადოებაში, და გაუბრწყინია სირიუსივით, და მცირე ნადავლიდა დაუტოვებია მოქირქილე ენათათვის.

მეტი მინახავს, ვინემ ვამბობ, მაგრამ იმასაც ვიხილავთ თუ ჩვენი *villeggiatura* ვით განვითარდება.

წვეულება ოცდაცამეტი უმაღლესი წრის ადამიანისაგან, მოდის ბრაჰმანთაგან, შედგებოდა. რამდენიმე დავასახელე და ისინიც ყველაზე მოწინავენი არა ყოფილან, ნაჩქარევად ავკრიფე, ვითარცა რითმა მოითხოვდა. მათ შორის აქა-იქ გაფანტულნი, ირლანდიელი ებსენტიისტებიც ერივნენ.

აქ იყო პაროლესი, ცნობილი ჩხუბისთავი, ვინც ბრძოლებს მართავს სამსჯავროსა და სენატში, ხოლო სხვაგან მიპატიჟებული სიტყვებით უფრო ჩხუბობს, ვინემ ორთაბრძოლაში. აქ გახლდათ ყმანვილი რეკრაიმი, ახლახან წამოყვინჩული, თვენახევრიანი ვარსკვლავივით ბრწყინავდა. აქვე იყო ლორდი პირო, გამოჩენილი თავისუფლად მოაზროვნე; და სერ პოტელდიფი, უძირო ქვევრი, სმაში განთქმული.

აქვე გახლდათ ჰერცოგი დეში — ჰერცოგი „თხემით ტარფამდე“; თორმეტი პერიც აქ იმყოფებოდა, კარლოს დიდის თორმეტი რაინდის მსგავსნი, ისეთი გამოხედვა ჰქონდათ და ინტელექტი, არავისში შეგეშლებოდათ. ექვსი და როუბოლდი, ძვირფასი გოგონები, სიმღერებსა და გრძნობებს აფრქვევდა, და გული გვირგვინისაკენ უფრო მიუწევდათ, ვინემ მონასტრისაკენ.

აქ იმყოფებოდა ოთხი ღირსეული ბატონი, რომელთა ღირსებაც წინ უფრო უსწრებდა მათ სახელებს, ვინემ უკან მიჰყვებოდა; იყო რაინდი შევალეი დე ლა რუსი, ვინც ჩვენკენ საფრანგეთმა და ბედ-ილბალმა გამოდევნა, მას ჰქონდა თავშექცევის უვნებელი ნიჭი; კლუბებში მის გარშემო მუდამ მხიარულება სუფევდა, რადგან ჯადოსნური ნიჭი და ძალა მომადლებოდა, ეამებინა ყველასათვის, ისეთიც კი, კამათელს რომ აჯადოებს თავისი ოხუნჯობებით.

აქვე იყო დიკ დუბიოსი, მეტაფიზიკოსი, უყვარდა ფილოსოფია და ყუათიანი სადილი; ანგლი, ეგრეთნოდებული მათემატიკოსი; სერ ჰენრი სილვერქაფი, დოლებში გამარჯვებული, აგრეთვე ღირსი როდომონტ პრესიჟენი, ვისაც ცოდვა ისე არა სძულდა, ვითარცა ცოდვილი; და სერ ავგუსტუს ფიც-პლანტაგენეტი, ყველაფერი ემარჯვებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად სანაძლეოები.

აქ გახლდათ ჯექ ჟარგონი, გოლიათი გვარდიელი; და გენერალი ფაიერფეისი, ბრძოლის ველზე სახელგანთქმული, დიდი ტაქტიკოსი და არანაკლები მოხმალავე, ბოლო ომში უფრო მეტი იანკი რომ შესანსლა, ვინემ დახოცა. აქ იყო ცელქი უელსელი მსაჯული, ჯეფერის ჰარდსმანი, თავის პირქუშ საქმეში ისე გამონრთობილი, რომ ბრალდებულისათვის განაჩენის გამოტანისას მზად ჰქონდა ხუმრობა ხვედრის შესამსუბუქებლად.

კარგი საზოგადოება ჭადრაკის დაფასა ჰგავს, მასზე დგანან მეფეები, დედოფლები, ოფიცრები, მხედრები, ეტლები, პაიკები; ქვეყანა თამაშია; ოღონდ მარიონეტები თვითონ ქაჩავენ თავიანთ ბანრებს, მხიარული პანჩიც ხომ ასე იქცევა.

ჩემს მუზას მარტოდენ ფრთები აქვს პეპელასავით და არ იკბინება და დაფარფატებს უმიზნოდ, ძირს იშვიათად ეშვება, კრაზანა რომ იყოს, იცოცხლე, ბოროტება ექნებოდა დაგროვილი გამოსაგლოვად.

სულ დამავინყდა — არ უნდა დამვიწყნოდა — ბოლო სესიის ორატორი, ვინც მწყობრი სიტყვა წარმოთქვა, თავისი პირველი ჭაბუკური ნაბიჯი გადადგა და დავიდარაბაში შეაბიჯა; გაზეთები გამოეხმაურნენ მის დებიუტს, რამაც დიდი შთაბეჭდილება

მოახდინა და შეფასდა, ვითარ ყოველდღიურად აფასებენ ხოლმე, „საუკეთესო პირველ სიტყვად, რაც კი წარმოუთქვამთ“.

ამაყობდა, მის გარშემო რომ ისმოდა:

— ყური დაუგდეო!

ამაყობდა აღიარებით და ორატორობაში შედგმული ნაბიჯით, ამაყობდა განსწავლულობით (ციტატები საკმაოდ მოჰქონდა), ტკბებოდა ციციერონისებრი დიდებით, ბრწყინვალე მეხსიერებით, გონებამახვილობით, კალამბურებითა და ამბის თხრობით, ღირსეულად დაჯილდოებული და გათამამებული. „ქვეყნის სიამაყე“, ქვეყნად გამოსული.

აქ იმყოფებოდა გონიერებით საყოველთაოდ აღიარებული ორი კაცი, ლონგბაუ ირლანდიიდან და სტრონგბაუ ტვიდის ნაპირიდან, ორივე იურისტი და ორივე განათლებული, თუმცა სტრონგბაუ უფრო დახვეწილი გახლდათ, ლონგბაუს უფრო მდიდარი წარმოსახვა ჰქონდა, ბედაურივით მოხდენილსა და მიმსწრაფს, მაგრამ ხანდახან კარტოფილზე წაიბოროძიკებდა ხოლმე, სტრონგბაუს სიძლიერე კი ალბათ კატონისაგან შთაბერვოდა.

სტრონგბაუ ახალაწყობილი კლავესინივით იყო; ლონგბაუ კი — ეოლიური არფასავით დაუმორჩილებელი, სად ღვთაებრივი ქარი იღებს აკორდს და ჰქმნის მუსიკას, მშვიდსა თუ მძაფრს. სტრონგბაუს გამოსვლაში ერთ სიტყვასაც ვერ შეცვლიდით, ლონგბაუს კი შეიძლებოდა რაღაც ფრაზის გამო შედავებოდით. ორივე გონიერი იყო, ერთი დაბადებით, მეორე მოდგმით, ერთი გულით და მეორე თავით.

თუ გგონიათ, რომ მეტად ჭრელი ხალხი შეიკრიბა სოფლის მამულში, დაფიქრდით, ყველა ფენიდან თითო სანიმუშო პიროვნება უკეთესი არ არის მოსაწყენ *tete-a-tete* შეხვედრებზე? კომედიის ჟამი გარდავიდა, ეჰ! წავიდა ის დრო, როს კონგრისის სულელი მოლიერის ბრიყვს ეჯიბრებოდა, საზოგადოება ისეთი ერთგვაროვანი გახდა, რომ საქციელიც კი აღარ განსხვავდება ისევე, ვით ტანისამოსი.

სასაცილომ უკანა პლანზე გადაინაცვლა, საკმაოდ სახალისოა, მაგრამ მოსაწყენიც; პროფესიაც კი აღარაა პროფესიული

და აღარც აღარაფერი — მასხარასათვის კბილის გასაკრავი; და თუმც მასხარები ბლომადაა, მაგრამ გაბერნდნენ და ტკივილს ველარ ინვევენ.

საზოგადოება განკრიალებულ ნახირად იქცა, ორი მძლავრი ტომისაგან რომ შედგება — მომაბეზრებულნი და გაბეზრებულნი.

ფერმერები ვიყავით და შემგროვებლებად გადავიქეციით, ვაგროვებთ გაფანტულ, ოღონდ კარგად გალენილ ჭირნახულს მართალ ყურთათვის; და, კეთილო მკითხველო! როს აზრს ჩანვდები, შენ ბოყაზი იქნები და მე — მორცხვი რუთი.

კიდევ გავიხსენებდი, მაგრამ წმიდა წერილი კრძალავს გადახვევას.

ყმანვილობაში დიდად შთამაგონა მისის ადამსმა თავისი ნამოძახილით: ეკლესიის გარეთ მომარჯვებულნი წმიდა წერილის სიტყვები მკრეხელობააო.

მაგრამ რა უნდა შევავროვოთ ამ ჩვენს მდაბალ საუკუნეში მომკილი ყანიდან, თუნდ ჭირნახულს ვაგროვებდეთ. არ მინდა გამომრჩეს მოლაპარაკე ბრძენი კიტ-კეტიდან, ცნობილი მოსაუბრე, რომელსაც თავის ჩანანერთა წიგნში მომზადებული ჰქონდა ფრაზები ყოველი დილა-სალამოსათვის, „სია, ოჰ, სია!“ — „ოჰ, საბრალო, ბედ-კრულო სულო!“ — რა მოულოდნელი ჭირ-ვარამი მოელის მათ, ვინც ოხუნჯობებს იზეპირებს!

ჯერ საუბარი უნდა წარმართონ, მრავალი მისახვევ-მოსახვევი დაძლიონ, რათა მიზანში მოარტყან; მერე — ხელიდან არ უნდა გაუშვან შემთხვევა და მსმენელთ ყურადღება წამითაც არ მოადუნებინონ, რომ ხელსაყრელი წუთი არ გაუსხლტეთ და შთაბეჭდილება მოახდინონ, თუ შეძლებენ; მესამე — არ უნდა შედრკნენ თუ ვინმე ენამახვილი წამოედება, და ბოლო სიტყვა დაიტოვონ, რაც უსათუოდ საუკეთესო უნდა იყოს.

ლორდ ჰენრი და მისი ქალბატონი მასპინძლები იყვნენ; ჩამოთვლილი წვეულნი კი სტუმრები. სუფრა ისეთი ჰქონდათ, თვით აჩრდილთ აცდუნებდათ, სტიქსი გადმოელახათ და ირგვლივ შემოსხდომოდნენ;

არ შევჩერდები რაგუთა და შემწვარ-მოხრაკულის აღწერაზე, თუმც ადამიანთა ისტორია ადასტურებს, რომ მშვიერი ცოდ-

ვილის, კაცის გულს ახარებს ქეიფი! მას შემდეგ, რაც ევამ ვაშლი მიირთვა, ბევრი რამ ჰკივია სადილზე.

იხილეთ მინები, სად „ღვარად მოედინება რძე და თაფლი“, იმედი მშიერ ისრაელიტთა; დავუმატოთ ფულის სიყვარული, ერთადერთი სიამე, რაც სარგებელს გაძლევს. სიჭაბუკე ფერმკრთალდება და ჩვენი დღენი მზეს აღარ შეჰხარის; დაგვღალეს ქალებმა და პარაზიტებმა; მაგრამ, ო, ამბროზიასებრო ფულო! ეჰ! ვინ დაგკარგავს, თუნდ ხარჯვა აღარ შეგვეძლოს და გამუნათებდეთ.

ჯენტლმენები ალიონზე წამოდგნენ, სასროლადა თუ სანადიროდ; ჭაბუკნი იმიტომ აეჩქარნენ, რომ ეს სპორტი უყვართ ბიჭებს ყველაზე მეტად თამაშისა და ხილის მერე; შუახნისანი იმიტომ ადგნენ, დღე შეემოკლებინათ; რადგან მონყენილობა ჩაზრდილია ინგლისურ ფესვებში, თუმც სახელი არ ჰქვია ჩვენს ენაზე; ამ ფაქტს სიტყვის უქონლობით უარყოფთ და დაე ფრანგებმა თარგმნონ მთქნარება, რასაც ძილიც ვერას შველის.

ხანშიშესულნი ბიბლიოთეკაში დაბორიალობდნენ, წიგნებზე ბორძიკობდნენ, ნახატებს აკრიტიკებდნენ, ან ბალებში დასერივნოდნენ მორჩილად და ორანჟერეის აგებულებას იწუნებდნენ, ან იორლა პონიზე შესხდებოდნენ, ანდა დილის გაზეთებს კითხულობდნენ და თვალს არ აცილებდნენ საათს. და სამოცი წლისანი ექვსის დადგომას ნატრობდნენ.

ყველა თავის ნებაზე მიშვებულყო, როს სადილის საათი დარეკავდა; მანამდე ისე იქცეოდნენ, ვითარც სურდათ, ან ჯგუფურად, ან მარტო, ვითარ სწადდათ, ისე გაჰყავდათ დრო, რომლის დინებაზეც ძალზე ცოტა რამაა ცნობილი.

როს ენებათ, მაშინ დგებოდნენ, რამდენიც ენებათ, იმდენ დროს ხარჯავდნენ ჩაცმაზე, ენებათ იმარხულებდნენ, ან სადაც ენებათ, როს ენებათ და ვითარ ენებათ, ისრე იკვებებოდნენ.

ქალბატონები, ზოგი ვარდისფერლოყება, ზოგიც ფერმკრთალი, დილას ისე ხვდებიან, ვით მართებთ. თუ დარია, ამხედრდებიან ან გაისეირნებენ; თუ ავდარია, კითხულობენ, ამბებს ჰყვებიან, მღერეიან, ან ახლახან საზღვარგარეთიდან შემოტა-

ნილ ცეკვაში ვარჯიშობენ; არჩევენ მოდას, თუ რაა მოსალოდ-
ნელი, მსჯელობენ თავსაბურავის ბოლო ყაიდაზე, ან თორმეტ
ფურცელს მიახარჯავენ ერთი პანია წერილის დასაწერად, და
ვალად დაადებენ ბარათის მიმღებს.

ზოგს არარსებული მიჯნური ჰყავს, მეგობრები კი ყველას
უვის. დედამინაზე არაფერია ქალის ეპისტოლეს სადარი; ძნელი
სათქმელია, მაგრამ ალბათ ზეციურია, რადგან დასასრული არ
გააჩნია. მიყვარს იღუმალება ქალის ლიტურგიის წიგნისა, რაც,
მრწამსისა არ იყოს, აროდეს ამხელს განზრახვას, არამედ ცბიე-
რობს ულისესავით, საბრალო დოლონს რომ ატყუებდა, და გირ-
ჩევნიათ იფრთხილოთ, ოდეს ამგვარ წერილს უპასუხებთ.

ერთობოდნენ ბილიარდით, ქალაღდით, მაგრამ არა კამათ-
ლით; კლუბებშიც კი ღირსეული კაცი კამათელს არ ეკარება;
წყალი როცაა, ნავებით დაცურავენ, ყინულის დროს კი ციგურ-
აობენ, როს ყინული სურნელებას გააქრობს არემარედან, ან-
კესებით თევზაობენ განმარტოებულნი, აიზეკ ვალტონი რასაც
უმღერის; ეს ახირებული, ბებერი კოხტაპრუნა, ანკესით რომ
უდარაჯებს პატარა კალმასს.

სალამოს მოჰქონდა ბანკეტი და ღვინო; ლექსები, ლიტერა-
ტურა; დუეტი, მეტ-ნაკლებად ღვთაებრივი ხმებით (ჩემს გულ-
სა და გონებაში ჯერაც შემორჩენილია მოგონებანი). მხიარულ
საზოგადოებაში ბრწყინავდა ოთხი და როუბოლდი. ორს არფის
დაკვრა უყვარდა, რადგან მუსიკის ხიბლს მათი მოხდენილი
კისრები, თეთრი ხელები და მკლავები აძლიერებდა.

შიგდაშიგ ცეკვებიც იმართებოდა (თუმც ნადირობის შემ-
დეგ ჯენტლმენები დაღლილნი იყვნენ). გაიბზოდა ნარნარ ქალ-
თა ლაბირინთი; თავის დროზე მასლაათობდნენ; ფლირტიც
იყო — ზედაპირული; ხოტბის შესხმა მშვენიერებისა, რითი
ტკბობაც ან ეგებოდა, ან — არა. მონადირენი მელიის დევნას
იხსენებდნენ და ათ საათზე ფხიზელნი იშლებოდნენ.

პოლიტიკოსები კუთხეში განმარტოვდებოდნენ და მსჯე-
ლობდნენ მსოფლიო საქმეებზე და წყვეტდნენ ყველა საკითხს;
ოხუნჯები ზვერავდნენ ყველა სიმაგრეს, რათა ხელოვნება გა-
მოეჩინათ და წარმოეჩინათ მახვილი ყური და გონება; ერთი ნა-

მის დაჭერა ნლებად უღირდათ, ვინემ დროს იპოვიდნენ, რომ გაებრწყინათ. და მაშინაც კი ვინმე მუდოს შეიძლება წყალში გადაეყარა ამდენი შრომა.

ყველანი კეთილშობილნი და არისტოკრატები იყვნენ ამ ჩვენს წვეულებაზე; დახვეწილნი, მონესრიგებულნი, თავდაჭერილნი. ბერძნული მარმარილოდან ფიდიასის გამოკვეთილთ ჰგავდნენ. ჩვენს დროში აღარ არიან სკვადრი ვესტერნები; და სოფიებმაც ემოციურობას მოუკლეს, თუმც ისეთივე მშვენიერი არიან საცქერად. არც პირნავარდნილი არამზადები გვყავს, ტომ ჯონსის მსგავსნი, ჩვენი ჯენტლმენები ქვაში გამოკვეთილსა ჰგვანან.

ადრე იშლებოდნენ, ანუ შუალამემდე, რაც ლონდონისათვის ნაშუადღევია; სოფლად ქალბატონები უფრო ადრე მიაშურებენ ხოლმე თავიანთ ბუდუართ, ვინემ მილეული მთვარე.

ლამე მშვიდობისა, ყვავილებო, ტკბილ ძილს გისურვებთ, დაე ვარდმა მალე დაიბრუნოს თვისი ფერი! ცისკარმა შეგიღებოთ მშვენიერი ღანვნი უმარილზე უკეთ, და ფასიც დააკლოს, ზამთარში მაინც.



თავი მეოთხემეტე

სოფლური სიამენი

დიადი ბუნების ან ჩვენი აზროვნების სიღრმეში ჩაყურყუმე-
ლავება რომ ძალგვიძდეს და შევიძლოთ სინამდვილის არსს
შთავნვდეთ, ალბათ კაცობრიობა იმ ბილიკს იპოვნიდა, რაც აკ-
ლია, მაგრამ ამით ფილოსოფიას დააზარალებდა. ერთი სისტემა
მეორეს ჭამს ისე, ვით ბებერი სატურნი თქვლევდა საკუთარ შვი-
ლებს; რადგან ოდეს მორჩილმა მეუღლემ ქვეები მიართვა ვაჟების
ნაცვლად, ერთბაშად შთანთქა, ძვლებამდე კი არ გამოუხრავს.

სისტემა თავდაყირა აყენებს ტიტანის საუზმეს და საკუთარ
მშობლებს მიირთმევს, თუმც კი მონელება უჭირს.

მითხარით, გვედრით, შეგიძლიათ სათანადო კვლევისა შემ-
დგომ იოლად დაიჯეროთ რაიმე?

საუკუნეებს თუ ჩაჰხედავთ, სვეტზე მიიჯაჭვავთ თავს და
რომელიმე მეთოდს საუკეთესოდ აღიარებთ. იმაზე უკეთესი რა
იქნება, საკუთარ შეგრძნებებს თუ ენდობით, მაგრამ მეტი რა
საბუთი მოგეპოვებათ?

რაიცა შემეხება მე, არრა ვიცი, არრას უარვყოფ, არრას ვა-
ღიარებ, არცა უარვყოფ, არც არა მძულს რა; და თქვენ რაღა
უნწყით, გარდა იმისა, რომ იმიტომ დაიბადეთ, რომ მოკვდეთ?

და შეიძლება ისე აღმოჩნდეს, რომ ორივე ფუჭი გამოდგეს.

შესაძლოა დრო დადგეს, მარადისობის ემბაზში ამოვლებუ-
ლი, როს აღარც ძველი იქნება და აღარც ახალი. სიკვდილი საგ-
ლოვია ადამიანისათვის, და მაინც ცხოვრების მესამედს ძილში
ატარებს.

უსიზმრო ძილია, შრომით დამქანცველი დღის შემდეგ რას
ყველაზე მეტად ვესწრაფით; და მაინც, რარეც უფრთხის თიხა

უფრო მშვიდ თიხად ყოფნას! თვითმკვლელს, ვალებს რომ იხდის თანხის შეუტანლად (ძველი, კრედიტორთათვის სამწუხარო მეთოდია ვალის გადახდისა) და მოუთმენლად იძრობ სულს, სიცოცხლე ნაკლებ სძულს სიკვდილის შიშთან შედარებით.

შიში გარს ახვევია, მასთანაა, ახლოს, აქეთ, იქით, ყველგან; და გაბედულება შიშისაგან ამოიზრდება ალბათ ყველაზე განწირულ არსებაში, ვინც ვერც გაბედავს მის შეცნობას — მთის წვერზე მდგარი, კლდეს რომ ჩაჰყურებ შიშით და პირდაფრენილი უფსკრული ამოგყურებს — ერთ ნუთსაც კი ვერ გაძლებ, რომ საშინელი სურვილი არ დაგეუფლოს მასში ჩახტომისა.

მართალია, არ ჩახტები, არამედ გაფითრებული და ზარდაცემული გამობრუნდები, მაგრამ განცდილი შთაბეჭდილება თანა გდევს! და ხვდები, შენ ფიქრთა სარკესთან აცახცახებული და საკუთარი თავისათვის აღსარების მთქმელი, რომ რაღაც საიზიდავს, სწორად თუ მცდარად, შეუცნობლისაკენ; რაღაც საიდუმლო ახირება გაიძულებს ჩაიძირო მთელი შენი შიშით, მაგრამ რაში? არ იცი და ამიტომაცაა, რომ მიინევ და ჩერდები.

მაგრამ: რატომ წერ ამასო? — მკითხავ.

კეთილო მკითხველო, უბრალოდ ვმსჯელობ, რაც ერთადერთი რამის გამო მეპატიება — ასე მჩვევია; ხან მიზეზი მაქვს და ხანაც უსაბაზოდ ვწერ იმაზე, რაც საჭიროა და არ გადაიდება: იმიტომ კი არ ვყვები, რათა მოვყვე, არამედ ფანტაზიას უნდა ავყვე და ჰაერში ავფრინდე, უბრალო ამბები უბრალო ადგილას განვათავსო.

გეცოდინება ან ეგებ არც უწყი, დიდ ბეკონს უთქვამს: ბზეს თუ აისვრი, გაიგებ საიდანა ჰქრის ქარიო, — ჩემს ადამიანურ გულში დაბადებული პოეზია ამგვარი ბზეა და გონების კვლობაზე ანათებს; ქალაღდის ფრანია, სიკვდილ-სიცოცხლეს შუა რომ დაფრინავს, ჩრდილია, სულს წინ რომ მიუძღვის მუდამ, ბუშტია, რომელიც ხოტბისათვის არა სკდება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ითამაშოს — ციდა ბალღით.

მსოფლიო ჩემს წინაა ან უკან, რადგან მინახავს მისი ნაწილი და იმდენი რამ, რომ დამმახსოვრებოდა; საძრახი ვნებათედელვაც საკმაოდ გამომიცდია ჩვენი მეგობრების, კაცობრიობის

სასიამოდ, რომელს უყვარს დიდებაში ხინჯის შერევა; და უკვე საკმაოდ სახელოვანი ვიყავი მანამაც, სანამ რითმებში მოვსინჯავდი ძალ-ღონეს.

მთლად ეს ქვეყანა ავიმხედრე და დამატებით ის ქვეყანაც, სამღვდელოებას ვგულისხმობ, ვინც თავს დამატება ჭქეა-ქუხილი აურაცხელი ღვთისმოსავი ცილისწამებით.

და მაინც კვირაში ერთხელ ვჯღაბნი, არა იმიტომ, ახალი მკითხველი მოვიძიო, არამედ — ძველი მკითხველი დავქანცო.

ყმანვილკაცობისას ვწერდი, რადგან ჩემი გონება სავსე იყო, ახლა კი იმიტომ, რომ მონყენა მეუფლება.

აბა მამ რატომ ვაქვეყნებ?

როს ქვეყანას მობეზრდები, აღარც სახელ-დიდებაა და აღარც სარგებელი.

შეკითხვას დაგიბრუნებთ, ბანქოს რატომღა თამაშობთ? რატომღა სვამთ? რატომღა კითხულობთ? — რათა სევდა-წუხილს რამდენიმე საათი გამოსტაცოთ.

მე კი უკან ვაბრუნებ, რაც მინახავს და რაზეც მიფიქრია, სევდიანი იქნება თუ მხიარული, და რასაც ვწერ, დინებას ვაყოლებ, რათა იცუროს ან ჩაიძიროს. ბოლო-ბოლო ოცნებაც ხომ მქონდა.

ვფიქრობ, დარწმუნებული რომ ვიყო წარმატებაში, ერთ სტრიქონსაც ველარ შევთხზავდი; ამდენი ხანი, მეტ-ნაკლებ, იმიტომ მიბრძოლია, ვერარა მარცხი რომ ვერ დამამორებს ცხრა მუზისაგან. ამ განცდის გადმოცემა იოლი არ გახლავთ, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც დაუმარცხებელია დღემდე.

თამაშში ორი სიამეა ასარჩევად, ერთი — გამარჯვებისა და მეორე — დამარცხებისა.

ამასთან, ჩემი მუზა ვერაფრით შეენყობა გამონაგონს, ის ფაქტთა რეპერტუარს გვთავაზობს, თუმც ერთგვარი შეზღუდვითა და მარაგის დატოვებით, მაგრამ უპირატესად ადამიანურ საგნებსა და ქმედებებს უმღერის.

და სწორედ ამ მიზეზით ეჩეხება ბევრი წინააღმდეგობა, რადგან ბევრი სიმართლე აროდესაა მიმზიდველი ერთი შეხედვით; და მისი მიზანი მხოლოდ ის რომ ყოფილიყო, რასაც დიდებას ვუნოდებთ, უფრო ადვილად გაიმბობღით სხვა ამბავს.

ცხადია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიყვარული, ომი და ქარიშხალი, და განსხვავებულია მსუბუქი სეზონური განაზრებანიც, ფრინველის სიმალლიდან გადახედვა ამ შეშლილი საზოგადოებისათვის; თვალის გადავლება ადამიანთა ნაირსახეობათათვის. და თუ სხვა არაფერი, ამით მაინც ხომ მოიკლავ სანახაობის წყურვილს. და თუ ეს სტრიქონები მარტოდენ ჩემოდნის ჩასალაგებლად გამოდგება, ამ სიმღერათა გაყიდვასაც ხომ შეაშველებს ხელს.

ამ ქვეყნის ეს ნაწილი, რაც ამჯერად შევარჩიე მომდევნო დამოდღვრის შესავსებად, ჯერხნობით არვის აღუწერია. და თუ რატომაც ასე, მიზეზი იოლი მისაგნებია. რადგან თუმც სასიამოვნო და გამორჩეული ჩანს, მაინც რალაც განმეორებაა ამ ძვირფასეულობებსა და ბენვეულობაში. საუკუნეობით დადგენილი საოჯახო მონყენილობაა და დიდს არას ჰპირდება პოეტურ გვერდებს.

ძალიანაც რომ მოინდომო, ვერას ნახავ განსაადიდებელს, რაიმეს, რაც ყველა დროის ადამიანთათვის იქნებოდა გასაგები; აქ ყველა ნაკლი გაკრიალებულია; და ყოველივე საერთოა, თვით დანაშაულიც კი; ვნებანი მოჩვენებითია და მახვილგონიერებას მარილი აკლია; არსადაა ის ქეშმარიტი ბუნება, რაც სიმართლით გვხიბლავს; ხასიათებიც კი უხინჯო და მონოტონური აქვთ, თუკი მოეპოვება ვინმეს.

მართალია, ხანდახან ნაალღუმევეს დაშლილი ჯარისკაცებით არღვევენ მწკრივს და ისვენებენ, მაგრამ ისევ გასათვლელად მოუწოდებენ და მწყობრს უბრუნდებიან, და კვლავ სწორედ ისეთნი ხდებიან, ვითარნიც უნდა იყვნენ; და მაინც, უეჭველად ბრწყინვალე მასკარადია; მაგრამ როს პირველი ნახვით დატკბები, მოსაბეზრებელი ხდება. სხვისთვის თუ არა, ჩემთვის ასეთი გამოდგა ეს სამოთხე სიამისა და მონყენისა.

როს მოვიღვეთ სიყვარულს, ვითამაშებთ ჩვენს თამაშს, ჩავიცვამთ, ხმას მივცემთ, გავიბრწყინებთ და შესაძლოა სხვა რამაც გადაგვხდეს; ვისადილებთ დენდისთან, მოვისმენთ სენატორთა გამოსვლებს; ვნახავთ ვით გაჰყავთ მშვენიერი ქალები ბაზარზე დასაფასებლად; თუ ვითარ დაფხანენ დარდიან ქმრებს — მოსარჯულეებლად; და აღარა დაგვრჩება რა, გარდა გაბეზრებისა და მონყე-

ნისა; შეჰხედეთ იმ *ci-devant jeunes homes*, დინებას რომ მიჰყვებიან და არა ტოვებენ სოფელს, რომელმაც ისინი უკვე მიატოვა.

ამბობენ — და ეს საყოველთაო უკმაყოფილებაა — ვერავინ შეძლო დაეხატა ბომონდი ისე, ვითარ საჭირო იყო;

ზოგი ამბობს, ავტორები მხოლოდ იმას მოიხელთებენ, რასაც შვეიცარს დასტყუებენ ქრთამის ფასად, რაღაც იაფფასიან სკანდალებს, უცნაურსა და ახირებულს, რათა მორალი გამოწურონ ანეკდოტიდანო; და მათ წიგნებს საერთო სტილი ახასიათებს, ქალბატონის ლაყბობიდან ამოკენკილი და მოახლის მიერ გადმოცემულიო.

მაგრამ ეს უკვე სიმართლე აღარ გამოდის, რადგან მწერლები სწორედაც ბომონდის წევრობისათვის გამოიზრდებიან ხოლმე: მინახავს, ჩხუბისთავებსაც კი არ დაუდებდნენ ხოლმე ტოლს, განსაკუთრებით ჭაბუკობისას. და რატომ ღალატობს მათივე ჩანაწერები ამ მთხვევით იქ, სად, ვითარცა თვითონ ჰგონებენ, ყველაზე თანმიმდევრულნი უნდა იყვნენ, როს უმაღლეს ტომს აღწერენ?

აღბათ იმიტომ, რომ ძალზე ცოტაა აღსაწერი.

„*Haud ignara loquor*“; ესაა ის წვრილმანები, „*quarum Pars parva fui*“, მაგრამ მაინც თანამოზიარე ვარ. კაცმა რომ თქვას, უფრო იოლად აღწერდი ჰარემს, ბრძოლას, გემის ჩაძირვას ან გულის ისტორიას, ვინემ ამდაგვარ ამბებს; ამასთან, მინდა დავინდო და შემოვინახო იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც გამოვეცალე. „*Vetabo Cereris sacrum qui vulgarit*“, რაც ნიშნავს, რომ მდაბიორთ ამეებს არ გავანდობდი.

და თუ რამეს უკუვაგდებ, უკუვაგდებ დამდაბლებულ, დამჟავებულ იდეალს, აი ისეთს, თავისუფალ მასონთა ისტორია რომაა; რაც ისევე ახლოა სინამდვილესთან, ვითარცა კაპიტან პერის მოგზაურობა იაზონის მოგზაურობასთან.

დიადი საიდუმლო ყველა ადამიანისათვის არაა სახილველი. ჩემს მუსიკას აქვს ზოგიერთი მისტიკური დიაპაზონი; და ამიტომაც სწორად ვერ შეაფასებენ ისინი, რომელნიც განდობილნი არ არიან.

ეჰ, ქვეყნები იქცევა და ქალი, მიზეზი ქვეყნის დაქცევისა (ვითა ისტორია მოგვითხრობს, ეგებ თავაზიანად არა, მაგრამ

მკაცრად გადმოგვცემს სიმართლეს), ჯერაც არ იშლის თავისას. ჩვეულებათა ხელშია ჩავარდნილი! იძულებულია დაემორჩილოს; მსხვერპლია, როს ტყუის, და წამებულა, როს მართალა; მისი სასჯელია ბავშვის გაჩენა, ისევე ვით კაცის ცოდვათათვის სასჯელია პირის მოპარსვა, განსაკუთრებით ნიკაპისა.

ეს ხომ ყოველდღიური ჭირია, რაც მთლიანობაში შეიძლება შევადაროთ მშობიარობას. ხოლო ქალებს რაც შეეხება, რა შეედრება მათ მართლაც რომ წამდვილ ტანჯვას სქესისა გამო? კაცები კი მათდამი კეთილგანწყობილნი მხოლოდ ეგოისტური გრძნობისა და ეჭვისა გამო არიან. ქალთა სიყვარულიც, სიქველევც, მშვენიერებაც და განათლებაც საიმისოდ გვარგია, კარგი დიასახლისები დადგენ და ერი გაამრავლონ.

ეს ყველაფერი კარგი და უკეთესიც არ შეიძლება, მაგრამ, ღმერთმანი, ესეც ძნელია, რადგან ქალს დაბადებითვე უამრავი გასაჭირი ჩასაფრებია, და რა მნიშვნელობა აქვს მეგობართაგან მოდის თუ მტერთაგან; და ჰა, ოქროს ბორკილებიც მალე გაცვდება, და აბა ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ ქალს (ოლონდ ოცდაათ წელს მიღწეულს), რა ურჩევნია, ქალი რომ იყოს თუ კაცი? მოსწავლე ბიჭი თუ დედოფალი?

„კაბის კალთის გავლენის“ ყვედრებას ვინ გადაურჩება, და ვინც ემორჩილება, ვერსად გაუსხლტება, ვით მშიერ ქარიყლაპიას ნაფოტა თევზი; მაგრამ რადგან მისი წიაღიდან ვიბადებით ამქვეყნად, და ცხოვრების ეტლის ჯაყჯაყში გადავდივართ, და მეც ვეთაყვანები კაბის კალთას, რა მისტიკური ქსოვილისაგანაც უნდა იყოს მოქსოვილი, მუქი წითელი იქნება, აბრეშუმისა თუ ბამბისა.

დიდ პატივს ვცემდი და დიდად ვეთაყვანებოდი ჩემს სიყმანვილეში ამ სათნო და კეთილ ქსოვილს, რაც ინახავს განძს, ვითარ ძუნწი თავის ქონებას, და მითუფრო გიზიდავს, რაც მეტად ფარავს, ვით ოქროს ქარქაში დამასკურ მახვილს; საყვარლის ბარათი დაბეჭდილი მისტიკური ბეჭდით; დარდისაგან განმკურნებელი წამალი; და რამ უნდა აგაღელვოს ისე, ვით კაბის კალთით დაფარულმა კოჭმა?

და როს მდუმარე ავდრიან დღეს, ვთქვათ, ქვენა ქარი წამოუბერავს, როს ზღვაც ჩამუქდება აღელვებული, და პირქუშად

ააგორებს ტალღებს მდინარე, და ცასაც ტყვიისფერი გადაეკვრის და, ნაცვლად ბრწყინვალეებისა, მოიღუშება, რა უნდა იყოს იმაზე სასიამო, თუნდ მშვენიერ გლეხი გოგოს რომ მოჰკრა თვალი.

ჩვენი გმირები და გმირი ქალები ისეთ მშვენიერ გარემოში დავტოვეთ, რომელიც კლიმატს არ ემორჩილება და დამოუკიდებელია ზოდიაქოს ნიშანთაგანაც, თუმც უთუოდ ძნელი გასართომია, რადგან მზეც, ვარსკვლავებიც და ყოველი, რაც ბრწყინავს, მთებიც და ყოველი, რაც ამაღლებულია, იქ ხშირად მონყენილია და პირქუში, და რალა ცა და რალა ვაჭარი, ყველა ერთია.

ჭერქვეშ ცხოვრება ნაკლებ პოეტურია; გარეთ ჟინჟულავს, ნისლია და ჭყაპი; აბა ამაზე რა პასტორალი გამომივა?! ისეთი რომ იყოს, ვითარ უნდა, ბარდი ყველანაირ სიძნელეს დაძლევადა, დიდსა თუ მცირეს, ხელს არ ნაიხდენდა და საქმეს სრულყოფდა, და სულს აზეიმებდა სხეულზე, რასაც უნდა შეეშალა ხელი, წყალი იქნებოდა თუ ცეცხლი.

ამ თვალსაზრისით, ჟუანი ნმიდანს მოგაგონებდათ, ყველანაირ ადამიანს ენყობოდა, ცხოვრობდა მშვიდად, დაუნუნუნებლად, ბანაკი იქნებოდა, ხომალდი, ქოხი თუ სამეფო კარი; ბედნიერი იყო და იხტიბარს აროდეს იტეხდა, შრომა იქნებოდა თუ სპორტი, ყველაფერში თავმდაბლობას იჩენდა, ყველა ქალისათვის სასიამოვნო თანმხლები იყო და ქალაჩუნა კაცებივით პრანჭვა-გრეხა არა სჩვეოდა.

უცხოელისათვის მელიაზე ნადირობა უცხო ხილია; და ორმაგი საშიშროება ახლავს: პირველი, შეიძლება ცხენიდან ჩამოვარდე, და მეორე, შეიძლება ვილაც აბეზარი უცნობის დასაცინი შეიქნე; მაგრამ ჟუანი ყრმობიდანვე შეჩვეოდა ჭირვეულ ბედაურებს, არაბს არ ჩამოუვარდებოდა ამ საქმეში, ასე რომ, მისმა ცხენმა, საომარი იქნებოდა, სანადირო თუ საჩაქჩაქო, იცოდა, ზურგზე მხედარი მაზისო.

და ამ ახალ მოედანზეც აღტაცება გამოიწვია, ბუჩქებზეც გადახტა, რუზეც, ორმაგი დაბრკოლებაც დაძლია და ხერგილიც და არსად წაყელყელავებულა, და ორიოდე „faux pas“ თუ გაეპარა, შეიძლება ცოტაც გაფიცხდა და ცოტა კანონიც დაარღვია ნადირობისა, რადგან ყველაზე ბრძენი ჭაბუკიც კი ნაი-

ფორხილებს; აქა-იქ ძაღლები გადათელა და რამდენიმე სოფ-
ლელი ჯენტლმენიც დააზიანა.

ერთიანობაში თვითონაც ისახელა თავი და ცხენიც ასახელა;
სკვაირები კვირობდნენ:

დაგვიხედეთ უცხოელსაო;

გლებები გაიძახოდნენ:

ემშაკმა წაილოს, ვინ იფიქრებდაო?

ბატონები, ძველი თაობის ნესტორები ამ სპორტში, აქებდ-
ნენ და ადრეულ ამბებს იხსენებდნენ, და თვით მონადირეთუ-
ხუცესმაც გაიმეტა ღიმილი და ქება.

ნადავლად არც შუბი მოუპოვებია და არც ფარი, დაძლეული
წინალობანი და რბოლადა შეერჩა და რამდენიმე მელიის კუდი;
და მაინც უნდა ვაღიარო — თუმც პატრიოტული გრძობა მა-
მოძრავებს ბრიტანული ჩვეულებისადმი — რომ გულში თავა-
ზიანად ისე ფიქრობდა, ვით ჩესტერფილდი, ვინც დიდხანს ქე-
ნება-დევისს შემდეგ ველებზე, სერებსა და ბურქნარში თუმც
თავი გამოიჩინა, მეორე დღეს იკითხა:

ვინმეს თუ უნადირია მელიებზე ორჯერო?

ამასთან, ჟუანს ჰქონდა არაჩვეულებრივი თვისება, რაც არ
გააჩნიათ მელიებზე მონადირეთ, რომელნიც ზამთარში სისხამ-
ზე დგებიან, მამლის ყვილზე, და დეკემბრის სუსხიან დილით
რბოლას იწყებენ; ამის მერე ჟუანს შეეძლო ესმინა ქალის სხარ-
ტი და გრძელი საუბრისათვის და ნასადილევს არ ჩასძინებოდა;
ქალებს კი უყვართ მსმენელი, წმიდანი იქნება თუ ცოდვილი.

ჟუანი მსუბუქად და ჰაეროვნად იდგა საგუშაგოზე, და ღია-
ლოგის ყველაზე საუკეთესო ნაწილში ბრწყინავდა, როს საჭი-
რო იყო, ხუმრობდა და ყურადღებით უსმენდა იმას, რაც მოდა-
ში იყო; ხან სერიოზული გახლდათ, ხანაც მხიარული, მაგრამ
მოსაწყენი და მოსაბეზრებელი — აროდეს; ჩაცინებაც სჩვეო-
და ეშმაკურად! შეცდომა აროდეს მოუვიდოდა; მოკლედ, ჯერ
არ ყოფილა მასზე უკეთესი მსმენელი.

ამასთან ცეკვავდა — ყველა უცხოელს უყვარს ანკესის გა-
მოდება დახვეწილი პანტომიმით — ვითარც გაუნყეთ, მარჯ-
ვედ ცეკვავდა, გრძნობითა და გამომხატველობით, რაც აუცი-

ლებელია ფეხთა თამაშისას; არც თეატრალობაზე სდებდა თავს და არც ბალეტის ოსტატს ჰბაძავდა, დახვეწილ ფერიებს შორის ჩამდგარს, არამედ ცეკვავდა ვითა ჯენტლმენი.

უნაკლოდ ადგამდა ნაბიჯს და წინასწორობას ინარჩუნებდა, ელეგანტურობით ანათებდა მისი სხეული; მკვირცხლი კამილასავით ფეხი აროდეს დაუცურდებოდა, და თავდაჭერილი უფრო იყო, ვინემ ენერგიას აყოლილი; მუსიკალური სმენა ჰქონდა და კრიტიკოსები წუნს ვერ დასდებდნენ. კლასიკური პას შესრულება შეეძლო ჩვენს გმირს და ხორცშესხმულ ბოლეროს ჰგავდა ანდა ავრორას წინ მფრინავ ცისკრის საათს, გვიდოს მშვენიერ ფრესკაზე გამოსახულს, თუნდ მარტო ამისათვის რომ ღირს რომის მონახულება, მეტი რომ არც არაფერი გადარჩენილიყოს ძველი სამყაროდან.

ჟუანის მოძრაობის მოხდენილობა იდეალურს უახლოვდებოდა — სანახავადაც იშვიათსა და აღსანერადაც ძნელს, რადგან პოეტთა და პროზაიკოსთა სამწუხაროდ სიტყვებს აკლია ფერი.

და რაღაა გასაოცარი, რომ ფავორიტობდა; ეს ზრდასრული კუპიდონი ყველას მოსწონდა; ცოტა გათამამებული გახლდათ, მაგრამ არც ისე; ბოლო-ბოლო ამპარტავნებას იოკებდა. ისეთი ტაქტიანი იყო, შეეძლო თანაბრად მოეხიბლა კეთილგონიერიცა და მგზნებარეც. და ჰერცოგინია ფიც-ფალკმა, ვისაც უყვარდა *tracasserie*, დაიწყო მის მიმართ *agacerie*-ს გამოვლენა.

იგი მშვენიერი ქერათმიანი ქალი გახლდათ, სასურველი, გამორჩეული, აღიარებული და არაერთ ზამთრის სეზონზე ულამაზესად აღიარებული.

არას ვიტყვი მის თავგადასავლებზე, რადგან საჩოთირო თემაა; ამასთან, შესაძლოა ტყუილიცაა, რასაც ამბობენ; ბოლო დროს თვალი დაედგა ლორდ ავგუსტუს ფიც-პლანტაგენეტზე.

ამ დიდგვაროვანმა პირმა წარბი შეიკრა, ამ ახალი არშიყობის თაობაზე რომ შეიტყო, მაგრამ ასეთი პანია ცელქობა უნდა მოითმინოს საყვარელმა და ქალს მცირედი თავისუფლება მიანიჭოს.

ვაი მას, ვინც გაბედავს მუნათს!

ამით მხოლოდ დააჩქარებს მისთვის მეტად არასახარბიელო მდგომარეობას, რაც კარგად მოეხსენებათ მათ, რომელთაც ქალი გაუზომ-აუნონიათ.

და დატრიალდა: ჯერ ღიმილი, მერე ჩურჩული და მერე ქირ-ქილი; გასათხოვარნი ჩუმათობდნენ, მანდილოსნებმა წარბი შეკრეს; ზოგი იმედოვნებდა, ისეთი ცუდიც არა მოხდება, ვითარცა ვშიშობთო; ზოგი მიიჩნევდა, ქალი ამას ვით იკადრებსო; ზოგს არც სჯეროდა ნახევარი იმისა, რაც ესმოდა; ზოგი დაბნეულიყო, ზოგიც საგონებელში ჩავარდნილი და ბევრსაც გულწრფელად ეცოდებოდა საბრალო ლორდი ფიც-პლანტაგენეტი.

მაგრამ უცნაურია, რომ არვინ ახსენებდა ჰერცოგ ფიც-ფალკს, ვისაც, უნდა ვიფიქროთ, რალაც ადგილი ეკავა ამ ამბავში; მართალია იქ არ იმყოფებოდა და, ვითარ ამბობენ, სულაც არ ადარდებდა, სად რა ხდებოდა ან მისი მეუღლე რას სჩადიოდა; და თუ იგი ითმენდა მის ცელქობას, ვის ჰქონდა უფლება, თვალები გადმოეკარკლა; მათ საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ, უეჭველია, რასაც ვერსად შეხვდებით, და ამიტომ არც იჩხუბებდნენ.

მაგრამ, ეჰ! რა სევდიანი სტრიქონის დაწერა მიწვეს! ზნეობის აბსტრაქტული სიყვარულის ცეცხლით ანთებულ ლედი ადელაინს, ჩემს დიანა ეფესელს, შეუჩნდა ფიქრი, რომ ჰერცოგინიამ ზღვარი გადალახა; ძალზე შეწუხდა: ეს რა ჩაიდინაო, — და ბზარიც გაჩნდა ურთიერთობაში, მწუხარე და გამტკნარებული უყურებდა მეგობრის ქარაფშუტობას, რასაც ყველა მეგობარი განიცდის.

ამ საძაგელ ქვეყანაში რა უნდა იყოს თანაგრძნობის მსგავსი, სულსაც უხდება და სახესაც, ტკბილ მუსიკასავით გაისმის ჰარმონიული ოხვრა და ალერსიან მეგობრობას ბრიუსელურ მაქმანში გამოაწყობს.

რა იქნებოდა კაცობრიობა მეგობრობის გარეშე, რაც ჩვენს შეცდომებს მოხდენილად მოინადირებს? და ვით გვამშვიდებს:

ორჯერ გაფიქრება გმართებდა! ეჰ, ჩემი რჩევისათვის რომ დაგეჯერებინა!

აჰ, იობ!

შენ ორი მეგობარი გყავდა; არადა, ერთიც საკმარისია, განსაკუთრებით მაშინ, როს გიჭირს; ისინი ხომ ცუდი მეგზურნი არიან ავდარში, დიდი ვერაფერი ექიმები — მკურნალობასა და

არა ფულის გამორთმევაში. და ნუ იზუზუნებთ, თუ დაკარგავთ პირველივე ყინვისას ჩამოცვენილი ფოთლებივით; და თუ ასე მოხდება, ვითარც უნდა იყოს, ყავის სახლს მიაკითხეთ და მეორე იმოვნეთ.

მაგრამ მე ასე არ ვიქცევი: ასეც რომ იყოს, გადავიტანე გულის გატეხვა რამდენჯერმე; არა უშავს, კუ ხომ არა ვარ, ბაკანში შევმალე თავი და ავდარს დავემალე. უმჯობესია ნახო და იგრძნო ის, რაც კაცს უნდა გარდახდეს და ან აიტანოს, ან ვერა; ასე ისწავლის მგრძნობიარე კაცი გარჩევას და მოვარდნილ ფიქრთა ოკეანეს საცერში არ გადაუშვებს.

მნუხარების გამომხატველ ყველაზე შემადრწუნებელ და გონჯ სიტყვათაგან, შუალამისას მოსმენილ ჭოტის ძახილზე სევდიანი, გახლავთ ნიშანდობლივი ფრაზა: ხომ გეუბნებოდი, — ნათქვამი მეგობრების, წარსულისა ამ წინასწარმეტყველთა მიერ, რომელნიც ნაცვლად იმისა, გირჩიონ, ან ვითარ უნდა მოიქცე, თავიანთ წინასწარხედვას იხსენებენ, რომ ბოლოს დაეცემოდი, და სწუხან შენი ნაბორძიკებისა გამო, ზნეობას რომ გადაუხვიე, და გარდასულ ამბებს გახსენებენ.

ლედი ადელაინის მშვიდი სიმკაცრე არ შეზღუდულიყო გრძნობებით თავისი მეგობრისადმი; ეეჭვებოდა, რომ მის სახელს შთამომავლობა გაიხსენებდა, თუ მისი საქციელი არ გამოსწორდებოდა; თუმცა ყუანიც იზიარებდა მის მკაცრ განაჩენს, მაგრამ სიბრალულსაც შეურევდა, აქამდე აღუწერელს; ყუანის გამოუცდელიობა იწვევდა ადელაინის ნაზ სიბრალულს და (რადგან ყუანი ექვსი კვირით უმცროსი იყო) ასაკით ორმოცდღიანი უფროსობა ადელაინს ერთგვარი გამოთვლის უფლებას ანიჭებდა, თავის ასაკსაც ახსენებდა და სახელოვან წინაპართა ჩამოთვლასაც არ ერიდებოდა; ამით მიუთითებდა, რომ უფლება ჰქონდა დედობრივი მზრუნველობა გამოეხატა ყმანვილკაცის ჯეროვნად აღზრდისა გამო. არადა, ჯერ შორს იყო იმ ქალური ასაკისაგან, ნლების დაგროვება რომ დაარისხებს ხოლმე.

სადღაც ოცდაათ წლამდე ხდება ასე, ვთქვათ, ოცდაშვიდი წლისა რომ შესრულდები; რადგან აროდეს მსმენია, ასაკს სიმკაცრე და სიქველე უფრო ადრე მოეტანოს.

ეჰ, დროვ! რატომ არ შეჩერდები? შენმა ჟანგიანმა ცელმა უთუოდ უნდა მკას და თიბოს; მაგრამ მოდი გადაასხვაფერე; უფრო ნელა გაათიბინე, უფრო თანაბრად, თუკი შეგიძლია მთიბავს რამე შეასმინო.

მაგრამ ადელაინი ჯერ შორს იმყოფებოდა სიმნიფის ასაკიდან, რასაც — საუკეთესო შემთხვევაშიც კი — სიმწარე უფრო მეტი მოაქვს; სიბრძნე გამოცდილებამ უფრო შესძინა, რადგან ცხოვრება ნანახი ჰქონდა, გამოცდებისთვისაც გაეძლო. ვითარ გაუნყეთ — არ მახსოვს, რომელ გვერდზე, მაგრამ აქამდე მიხვდებოდით, რომ ჩემს მუზას არ უყვარს დამონმებანი — გამოაკელით ოცდაშვიდს ექვსი და ადელაინის ასაკსაც შეიტყობთ.

თექვსმეტი წლისა საზოგადოებას წარუდგა და მაშინვე ქება მოიმკო, და ჩვიდმეტი წლისას ყველა გვირგვინი ჰქონდა მოხვეჭილი, და ქვეყანა ჯერაც მოხიბლულიყო მათი ბრწყინვალე ოკეანიდან ამოსული ახალი ვენერათი. თვრამეტი წლისას ფერხით ეფინა სამსხვერპლოდ გამზადებულ მთხოვნელთა ჯარი. და იგიც დათანხმდა, რომ გამოერჩია ადამი, „კაცთა შორის უბედნიერესი“.

მას შემდეგ სამი ელვარე ზამთარი ბრწყინავდა — მომაჯადოებელი და სათაყვანო; მაგრამ ისე წესიერად იქცეოდა, ყველაზე ენამწარე მოქილიკენიც საგონებელში ჩააგდო, და ეს იმიტომ კი არა, რომ ფრთხილობდა; ნასახიც ვერვინ მოიძია ლაქისა, რაც ამ მარმარილოს ქანდაკს დააზიანებდა. და ამასობაში კი, ქორწინების შემდგომ, ვაჟი და მემკვიდრეც გააჩინა და მუცელიც მოეშალა.

ნაზად დაფრინავდნენ მის გარშემო ციციანათელები, ლონდონის ღამეთა ეს ციციქნა მანათობელნი; მაგრამ ვერცერთმა შეძლო მისთვის კბილის გაკვრა; ეს დენდები მის სიმაღლემდე ვერ აფრინდებოდნენ. და ალბათ სურდა კიდევ, უფრო ღირსეული რაყიფი გამოსჩენოდა, მაგრამ რაც უნდა ეფიქრა, ქცევა არ ეშლებოდა; და თუკი სიცივე, სიამაყე და სიქველე ღირსებას ანიჭებს ქალს და ეს კარგია, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს?

მძულს საბაბი, ისევე ვით უქმად მდგარი ბოთლი, მასპინძელს რომ დაავიწყდება ჩამოსხმა და საყლაპავები შრება, განსაკუთ-

რებით პოლიტიკაზე ლაპარაკისას; მძულს ისე, ვით მორბენალი ნახირი, მტვერს რომ ააბორიყებს ქარაშოტივით; მძულს ისე, ვით კამათი, ლაურეატის ოდა და პირმოთნე პერთა „თანხმობა.“

მოსანყენია საგანთა ფესვებში ჩაღრმავება, ისე ჩახლართულან მიწაში; ტოტები კი ისე ლაზათიანად ამოისვრიან სიმწვანეს, რა მნიშვნელობა აქვს, რომ რკოსაგან ამოზრდილან. მათი იდუმალი ამოზრდის კვალზე სვლა მართლაც რომ მელანქოლიურ მხიარულებას აჩენს; მაგრამ ახლა ეს სრულიად არ მანუხებს და ამაზე ბჭობას ბრძენ ოქსენშტერნს მივანდობ.

ლედი ადელაინი ცდილობდა სკანდალისაგან გადაერჩინა დიპლომატიც და ჰერცოგინიაც, რადგან მიხვდა, ჟუანი მაინც-დამაინც არ ეწინააღმდეგებოდა (უცხოელებმა არ უწყიან, რომ faux pas-ს ინგლისში სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულად უყურებენ და მეტად მკაცრი ვერდიქტი გამოაქვთ, რაც ამგვარი ცოდვისათვის კარგი წამალია).

ლედი ადელაინმა გადანყვიტა ისე ემოქმედა, ხელი შეეშალა ამ სამწუხარო შეცდომის განვითარებისათვის. მართლაც რომ გულუბრყვილოდ ფიქრობდა; მაგრამ უმანკოება საქონდაქროსთანაც კი გამბედავია და უბრალოა ამქვეყანაზე და არც შემოღობვა სჭირდება იმ ქალბატონთა მიერ, რომელთა საქმენიც გამოუძიებელია.

ერთი რამისა ნამდვილად არ ეშინოდა: მისი ბრწყინვალეობა გონებადამჯდარი, ოჯახის კაცი იყო და მაშინვე არ აფეთქებოდა და სცენებს არ მოაწყობდა, და ერთბაშად სულაც არ შეუერთებოდა დოქტორს ქომონსის კლიენტთა კლანს; ლედი ადელაინს უფრო ჯერ მისი თილისმისა ეშინოდა, და შემდეგ (ეტყობოდა, რომ ბრაზობდა) ჩხუბისა ლორდ ავგუსტუს ფიც-პლანტაგენეტთან.

თვითონ ჰერცოგინია ფიც-ფალკს ინტრიგები მეტად უყვარდა და კაი მაგარი კუდიანიც გახლდათ ამურულ საქმეებში; ერთ-ერთი იმ კოხტა, ლამაზ ჭირთაგანი, ტკბილი და სანატრელი ჭირვეულობით რომ ინადირებენ საყვარელს, ანჩხლობენ, წელინადში ყოველდღე თითოს თუ ვერ მოიხელთებენ; აჯადოებენ, აწამებენ, ყინვასა და ცეცხლს შეჰყრიან და — რაც ყველაზე უარესია — ხელიდანაც არ უშვებენ.

ყმანვილკაცს თავბრუს იოლად ახვევენ ან ბოლო-ბოლო ვერტერად გადააქცევენ. და რა გასაკვირია, უმანკო სულისათვის საშიში ყოფილიყო ამგვარ სათნო ქალბატონთან მეგობრობა; ამას სჯობდა მომკვდარიყო ან უღელში გაეყო თავი, ვინემ თვისი გული დასაგლეჯად მიეცა ასეთი ქალისათვის.

სჯობს შევჩერდეთ და ჩავფიქრდეთ, მართლაც სიკეთეს მოგვიტანს თუ არა კეთილი იღბალი.

ჯერ, ვინემ ახალთახალი იყო მღელვარება მისი გულისა, რომლისთვისაც უცხო გახლდათ მზაკვრობა, რამდენჯერმე გაიხმო ქმარი და სთხოვა, მოლაპარაკებოდა ჟუანს.

ლორდ ჰენრიმ ღიმილით მოისმინა მისი ამო გეგმები, თუ ვით უნდა გამოეხსნათ ჟუანი სირინოზის ჯადოსაგან; და უპასუხა, ვით სახელმწიფო მოღვაწემ და წინასწარმეტყველმა: ამ საქმეში ვერას გააწყობო.

— ჯერ ერთი, — უთხრა, — მე აროდეს ვერევი სხვის საქმეებში, თუ არ მეფისა; მეორე — აროდეს განვსჯი, რაც ასე ჩანს, თუ საფუძვლიანი მიზეზი არ მექნა. მესამე — ჟუანს უფრო მეტი ჭკუა აქვს, ვინემ წვერი, და ბადეში იოლად არ გაებმის; და მეოთხეც, რასაც ორჯერ გამეორება არა სჭირდება — კარგ რჩევას სიკეთე იშვიათად მოაქვს.

და ამიტომაც უთუოდ ბოლო აქსიომის ჭეშმარიტების კვალობაზე, ცოლს ურჩია, ორივე მხარისათვის თავი დაენებებინა, ცხადია, რამდენადაც ამას თავაზიანობის წესი მოითხოვდა;

რომ დრო დააცხრობდა ჟუანის ყმანვილურ ცოდვებს;

რომ ამ ჭაბუკს სამონასტრო ფიცი არ დაუდევს;

და რომ წინააღმდეგობა უფრო გაამძაფრებდა...

მაგრამ აქ შიკრიკმა დეპეშები შემოუტანა;

და რადგანაც საიდუმლო საბჭოს წევრი იყო, ლორდ ჰენრიმ თავის კაბინეტს მიაშურა, რათა საქმეს ჩაჯდომოდა და რომელიმე მომავალ ლივიუსს ეთქვა, თუ ვით შეამცირა სახელმწიფო ვალი; და თუ ყველაფერს ვერ მოგიტხრობთ, მხოლოდ იმიტომ, ჯერ არა ვუნცი რა; მაგრამ მოკლე ბოლოსიტყვაში დაკურთავ ამ ჩემი ეპოსისა.

მაგრამ ვინემ წავიდოდა, ორიოდ ბანალური, თავაზიანი სიტყვაც გაიმეტა, საუბრის საკაზმავად რომ იყენებენ ხოლმე, რაშიც ახალი არაფერია და მხოლოდ კეთილი სურვილით ვიშველიებთ; და მერე პაკეტი გახსნა, რათა ენახა თუ შიგ რა იდო, და ზერელედ გადაათვალიერა, და ვინემ გატრიალდებოდა, ნაზად აკოცა ცოლს, ოლონდ ისე, ხნიერ დებს რომ ჰკოცნიან.

ცივი კაცი იყო, კეთილი, ღირსეული, დაბადებითვე თვისი ყოველი ეამაყებოდა; სამეფო ტახტისათვის თავდადებული, ღირსი გახლდათ მეფის წინაშე დგომისა; მაღალი, ბრგე, ზედგამოჭრილი სიმბოლოებით მორთული სამეფო ეტლისათვის წინ გასაძღოლად მეფის დაბადების დღეს; სახლთუხუცესის შესაფერი მოდელი და გახდება კიდეც, ოდეს ტახტზე ავალ.

მაგრამ მთლიანობაში მაინც რაღაც აკლდა; არ ვიცი, რა, და ამიტომაც ვერ გეტყვით; აკლდა ის, რასაც ლამაზმანები, ტკბილი სულები, სულს ეძახიან. ცხადია, სხეული უნაკლო ჰქონდა; კარგი აგებულებით გამოირჩეოდა, ვითა ალვის ხე, ანდა ბოძი; მოხდენილი კაცი იყო, ადამიანური საოცრება; და სიყვარულშიც და ომშიც მუდამ წელგამართული იდგა.

და მაინც, რაღაცა აკლდა, ვითარ გაუნყეთ, ის განუსაზღვრელი „Je ne sais quoi“, რამაც, ვით გვსმენია, ძველად ჰომეროსს „ილიადა“ შეაქმნევინა — სპარტელის სანოლს მოსტაცა და ტროაში ჩაიყვანა ბერძენი ევა — ელენე; თუმც მთლიანობაში დარდანილი ბიჭი უსათუოდ ბევრად ჩამოუვარდებოდა მეფე მენელაოსს, მაგრამ ეს რაღაცაა სწორედ ის, რის გამოც ქალები გვღალატობენ.

არსებობს ერთი უხერხულობა, რაც თავგზას გვიბნევს, თუ ბრძენი ტირესიასავით რიგრიგობით ორივე სქესს შორის განსხვავებას არ გამოვცდით; და მაინც ვერ გავიგებთ, თუ ვით უნდა გვიყვარდეს.

გრძნობა მოკლე ხნით გვაერთიანებს და გაუთავებლად რაღაცას ვიქადნებით; და ორნი ერთად კენტავრს ვემსგავსებით, ვის ზურგზე შეჯდომაც სიკეთეს არ მოიტანს.

სქესი ყოველთვის დაეძებს რაღაცას, რაც გულს სავსებით დააკმაყოფილებს; მაგრამ ვითარ შეივსოს ეს ცარიელი ადგილი? აქ არის დაბრკოლება — და სწორედ აქაა სქესი სუსტი.

ვნებას აყოლილნი ზღვაში ურუკოდ გასულ ვაიმეზღვაურთ ჰგევანან, ქარის წინააღმდეგ მიცურავენ ზღვის ღელვისას და როს ნაპირს მიმართავენ ოდნავი შერყევისას, შემთხვევით იქ კლდეს ნაანყდებიან ხოლმე.

არსებობს ყვავილი, რომელს „ამაო ტრფობას“ უწოდებენ, მის მოსაძებნად მიმართეთ შექსპირის მარადაყვავებულ ბალნარს; მის აღწერას არ შევეუდგები, და მის ბრიტანულ ღვთაებრიობას ბოდიშს მოვუხდი, თუკი რითმის თავგანწირული ძიებისას მის განკარგულებაში მყოფი ერთი ფურცელიც შევბღალე; და თუმც ეს ყვავილი განსხვავებულია, მაინც შევძახებ ფრანგ თუ შვეიცარიელ რუსოსავით, **“Voilà la Pervenche!”**

ევრიკა! ვიპოვე!

იმის თქმა მინდოდა, რომ სიყვარული კი არ არის ამაოება, არამედ, ვითარ მივხვდი, სიყვარულის ნაწილია ამაოება.

მძიმე შრომა მაჭანკლად ვერ გამოდგება; საქმიან ადამიანებს არ უყვართ დიდ ვნებათა გამოხატვა, როს მათი სავაჭრო ხომალდი, არგო, წამოიყვანს მედეას, ვით უძვირფასეს ტვირთს.

„**Beatus ille procul! negotiis**“, თქვა ჰორაციუსმა და ოდნავ შეცდა დიდი პოეტი; მისი მეორე მაქსიმა „**Noscitur a sociis**“ უფრო მართებულია და შეესაბამება მისი სიმღერის მიზანს; თუმც შეიძლება მეტად დიდხანს ერთად ყოფნამ კარგი საზოგადოებაც კი გაამძვინვაროს.

მე კი პირში მივახლიდი, ვინც უნდა იყოს და რა მაღალი მდგომარეობაც უნდა ეჭიროს, რომ სამგზის ბედნიერია ის, ვინც საქმეს აღასრულებს.

ადამმა სამოთხე გუთანზე გაცვალა, ევამ ლეღვის ფოთლებით კერვა დაინყო, პირველი ცოდნა სწორედ ხემ გვიბოძა, ვითარ მე ვუწყი, ამას გვეუბნება ეკლესია; და მას მერე, დიდი მტკიცება ამას არ უნდა, მრავალი განსაცდელი, რაც იწვევს კაცის ნუხილს და უფრო მეტად ქალისა, მოსდევს უშრომველობას და სიამოვნება კი — შრომის მერე დასვენებას.

და ამიტომაცაა მაღალი საზოგადოების ცხოვრება ხშირად ფშუტე, სიამეთა ასხმულა, რისთვისაც ვიგონებთ ათას რამეს, ვყიდულობთ და მოწყენისაგან ვბეზრდებით. ბარდებს თუ სურთ, უმ-

ღერონ კმაყოფილებას; „კმაყოფილს“ თუ ვთარგმნით, „მოყირჭე-ბული“ გამოგვივა; და აქედან აღიძვრის სანტიმენტალური მწუხარება, მელანქოლიური კაცები, ინტელექტუალური ქალები, რომანები, ყოველდღიურობად ქცეული და ცეკვასავით წარმართულნი.

ვაცხადებ და ხელრთვით ვადასტურებ, რომ ისეთი რომანები მინახავს, მსგავსი არ წამიკითხავს; და რომ ქვეყანას მოვუთხრო მათზე, არვინ დაიჯერებს, ასეთი რამ თუ შეიძლება მომხდარიყო; მაგრამ ასეთი რამ აროდეს განმიზრახავს და არც განვიზრახავ; ზოგი სიმართლე ფარდის უკან უნდა დარჩეს, განსაკუთებით მაშინ, თუ ტყუილსა ჰგავს;

ამიტომაც განზოგადებით შემოვიფარგლები.

„სიყვარული ხამანკასაც კი შეიძლება ეწვიოს“, იმიტომ, რომ უსაქმურად შეყუჟულა თავის ნიჟარაში, ფშვინავს და ბუმტებს უშვებს ეულად, ვით სენაკში მჯდარი ბერი; ხოლო რაც შეეხება ბერებს, მათი ღვთისმოსაობრივი უქმობა ძნელი გასაძღვია; და ამ ბოსტნეულთ კათოლიკური რწმენისა სჩვევიათ გამოვარდნა და თესვის დანყება.

ჰეი, ვილბერფორს! შავკანიანებში სახელგანთქმულო, ვისი დამსახურებისათვის ჯერ არვის უმღერია, შენ ერთი უზარმაზარი კოლოსი დაამხე, ღირსეულო ვაშინგტონო აფრიკისა! მაგრამ, მგონია, ერთი პატარა საქმე დაგრჩა, რაც უნდა აღასრულო ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, და სამართალი დაამყარო დედამიწის მეორე მხარეს; შავები ხომ გაათავისუფლე, მოდი ახლა თეთრები გამოკეტე.

გამოამწყვდიე ქეციანი ჩხუბისთავი ალექსანდრე! წმიდა სამეული გემით გაამგზავრე სენეგალს; ასწავლე, რომ „ბატის საკაზში მებატისთვისაც გამოდგება“, და ჰკითხე ერთი, როგორია მონობაში ყოფნა? გამოამწყვდიე თვითეული აღზევებული გმირი სალამანდრა, მუქთად რომ ყლაპავს ცეცხლს (ან გროშებს იხდის); გამოკეტე — არა, მეფე კი არა, პავილიონი — თორემ თუ გამოიპარნენ, კიდევ მილიონებს შეინირავენ.

მთელი მსოფლიო გამოამწყვდიე და ბედლამის კარი გააღე;

და გაგიკვირდება, დაინახავ, ყოველივე ისევე იმ მიმართულე-ბით გაგრძელდება, ვით ახლა ხდება, ეგრეთნოდებული, გონიერების მმართველობისას.

ამას ვამტკიცებ და ეჭვიც არ მეპარება, რომ ჭკუის ნასახიც არ მოიპოვება კაცთა შორის.

და ვინემ საყრდენი წერტილი მოიძებნება, არქიმედისა არ იყოს, დარჩეს დედამინა ვითარც არის.

ჩვენს ნაზ ადელაინს ერთი ნაკლი ჰქონდა; მისი გულის ბრწყინვალე სასახლე ცარიელი იყო; მისი ქცევა წესიერებით გამოირჩეოდა და არც არვის უცდია მის გულზე თავდასხმა. მერყევი სული იოლად შეიძლება დაიმსხვრეს, რადგან მყიფეა, უმანკო და არა ერთგული; მაგრამ თუ კარის გაღება გადაწყვიტა, მისი შინაგანი ნგრევა მინისძვრას დაემსგავსება.

უყვარდა თავისი ლორდი, ან ეგონა, მიყვარსო; მაგრამ ეს სიყვარული ძალდატანებული იყო, რაც სამნუხარო შრომაა, სიზიფეს ქვის სიძიმისა, როს ჩვენს გრძნობებს ბუნების წინააღმდეგ მივმართავთ. სანუნუნო ან საბუზღუნო არა ჰქონდა რა, არც ქიშპი და არც საოჯახო აურზაური; სანიმუშო კავშირით შეკრულიყვნენ ყველას თვალში, მშვიდი და კეთილშობილური ცოლქმრობით, მაგრამ — ცივით.

ასაკში იმდენი განსხვავებაც არა ყოფილა მათ შორის, რამდენიც ხასიათში; მაგრამ აროდეს ქიშპობდნენ. თავთავიანთ სფეროში მოქცეული და ასე შესკვნილი ვარსკვლავებივით მიჰყვებოდნენ ორბიტას; ან ვით რონასა და ლემანის წყლები, ერთდებიან და მაინც ცალ-ცალკე მოჩანან მდინარე და ტბა, ორივე ლურჯად რჩება შეერთებული და ორივე ისე ანკარაა და შეუმკრთალი, თითქო ტბა ბავშვ-მდინარეს აძინებდეს იავნანათი.

ვითარც კი რამისადმი ცნობისნადილი გაუჩნდებოდა, ადელაინი თავს დაირწმუნებდა, საუკეთესო განზრახვა მამოძრავებსო; და სწორედ ეს მძაფრი განზრახვებია საშიში; შთაბეჭდილებანი უფრო მძლავრი იყო, ვინემ იგი ფიქრობდა, და ისე გროვდებოდა მის გონებაში, ვით ნიაღვარი; და მითუმეტეს, გული მისი თავიდან არც ისე ხალისიანად შეიძროდა.

მაგრამ ვითარც კი შეიძვროდა, ის ორბუნებოვანი და ორსახელიანი, ჩასაფრებული დემონი დაეუფლებოდა ხოლმე — სიმტკიცეს უწოდებენ წარმატებულ გმირთა, მეფეთა და მეზღვაურთა დასახასიათებლად; და სიჯიუტეს — ქალთა და კაცთა,

როს მათი ტრიუმფი დაიფუშება და ვარსკვლავი გაფერმკრთალდება; და კაზუისტებს უჭირთ ზნეობრივი განსაზღვრა ამ საშიში თვისების ზუსტ საზღვართა.

ბონაპარტეს ვატერლოოში რომ გაემარჯვა, სიმტკიცე ერქმეოდა, ახლა სიჯიუტე ჰქვია.

რომელი რომელია ამ ორს შორის, ბრძენთ დავუტოვებ გადასაწყვეტად და ზღვარის გასავლებად სიყალბესა და სიმართლეს შორის, თუკი ამას შეძლებს ადამიანი; მე კი დავუბრუნდები ლედი ადელაინს, თავისებურად გმირი ვინც გახლდათ.

იგი თვითონ არ იცნობდა საკუთარ გულს და მე ვითარ უნდა ვიცნობდე?

ვფიქრობ, მაშინ ჯერაც არ შეჰყვარებოდა ჟუანი, ასე რომ ყოფილიყო, მოძებნიდა ძალას, გაჰქცეოდა მისთვის უცხო, გარეულ გრძნობას; მარტოდენ ზოგადი თანაგრძნობით განმსჭვალულიყო (ვერ ვიტყვი, ყალბითა თუ წრფელით) მისადმი, რადგან ეგონა, ხიფათშია ჩემი ქმრისა და ჩემი მეგობარი, ჭაბუკი უცხოელიო.

ლედი ადელაინი იყო ან ფიქრობდა, ვარ ჟუანის მეგობარიო; ნამდვილი მეგობარი სიყალბისა და პლატონური ტროფობის გარეშე, რაც ხშირად არასწორ გზაზე აყენებს ქალბატონთ, რომელთაც მეგობრობა საფრანგეთსა ან გერმანიაში უსწავლიათ, სად ადამიანები უმანკოდ ჰკოცნიან ერთურთს.

აქამდე ადელაინი აღარ წასულა, ოღონდ თუ კაცებს შორის შეიძლება მეგობრობა, მაშინ მასაც შეეძლო.

უსათუოდ სქესის საიდუმლო გავლენა მოქმედებდა და სისხლიც აჩუხჩუხდა, ვით უმანკო დანართი ამ ყოველივეზე, და თავისი ჟღერადობით ჰარმონია შემატა. თუ მეგობრობას არანაირი ფათერაკი, ვნება არ გაეკარება და სწორად გაიაზრება შენი გრძნობები, ქალზე უკეთესი მეგობარი დედამიწაზე არ მოიძებნება, ოღონდ საყვარლები არ უნდა იყოს ან გახდეთ.

სიყვარულს თავის მკერდში აქვს ჩანასახი ცვლილებისა; აბა სხვაგვარად ვითარ იქნება?

სასტიკი საგნები რომ მსწრაფლ, გვიჩვენებს მთელი წყება ბუნების ანალოგიათა; და აბა ვითარ უნდა იყოს უსასტიკესი გამძლე?

განა ელვა დიდხანს ჩერდება ცაზე?

თვით სიყვარულის სახელი გვიჩვენებს, რომ ასეა; ვითარ უნდა იყოს „ნაზი ვნება“ მტკიცე?

ეჰ! საყოველთაო გამოცდილება გვეუბნება, ჯერ იშვიათად ყოფილა (იმას გიმეორებთ, რაც სხვათაგან მსმენია), შეყვარებულებს რაიმე მიზეზით არ ენანოთ სწორედ ის ვნება, რამაც სოლომონი გამოასულელაო.

მინახავს ცოლებიც (რათა არ დავივიწყოთ დაოჯახებულნი, ღირსეულნი იქნებიან თუ უღირსნი), რომელნიც სანიმუშო მეუღლენი ყოფილან, მაგრამ ორიოდ სიცოცხლე მაინც გაუმნარებიათ.

მეც კი შემხვედრია მდებრობითი მეგობარი (უცნაურია, მაგრამ სიმართლეა და, თუ საჭიროა, დავამტკიცებ), ერთგული ჭირსა და ლხინში, შინა თუ გარეთ, და მეტი გახლდათ, ვინემ სიყვარული ყოფილა ოდესმე, არ მიფუტოვებია, როს ყველა თავს მესხმოდა; არცერთი სკანდალის გამო არ დაუხევიდა უკან; და ჩემს მაგივრად იბრძოდა ჩემი არყოფნისას, მიუხედავად საზოგადოების გველური სისინისა და გამაყრუებელი ღრიალისა.

ჟუანი და სათნო ადელაინი ამგვარი მეგობრები გახდნენ თუ სხვაგვარი, შემდგომ განვსჯით, ვიმედოვნებ; ამჯერად მოხარული ვარ, რომ ჰაერში მოფარფატეს ვტოვებ, რადგან შედეგი მშვენიერია — მკაცრი მკითხველი დაეჭვებულია; საუკეთესო გზა ქალბატონებისა და წიგნებისათვის ისაა, რომ სატყუარას გადმოაგდებენ ან ეკლებზე დასვამენ, ვინც უნდა იყოს, ცხენზე იჯდება თუ ფეხით ივლის, თუკი ესპანურს ისწავლის „ღონ კიხოტის“ ნასაკითხად ორიგინალში, რაც ისეთი სიამეა და რის წინაშეც ფერმკრთალდება ყოველი; და ცოტას ილაპარაკებენ თუ ბევრს, ყველა მათ თემას გავფანტავ შემდგომ თავში; სად ალბათ მიზანს მივუახლოვდები და ჩემი მხრივ დიდ ნიჭსაც გამოვამჟღავნებ.

ამასთან, ყველას ვთხოვ, ნუ აჩქარდებიან ამბის მსვლელობის გამოცნობისას; მხოლოდ შეცდომა მოუვით მშვენიერი ქალისა და ჟუანის წინაშე, განსაკუთრებით ჟუანისა.

და მეც ძალზე სერიოზული ვიქნები, ვინემ აქამდე ვყოფილვარ ამ ეპიკურ სატირაში.

ჯერ ცხადი არ არის, დაეცემიან თუ არა ჟუანი და ადელაინი; და თუ ასე მოხდება, პირწმინდად განადგურდებიან.

მაგრამ დიადი მოვლენები მცირედით იწყება... წარმოიდგენდით სიყმანვილეში, რომ ისერიგად საშიში ვნება, რამაც კაცი და ქალი უფსკრულის პირას მიიყვანა, ისეთი უმნიშვნელო შემთხვევიდან ამოიზრდებოდა, რომ ვერვინ იფიქრებდა, თუ ასეთი ძაფი შეიძლებოდა გაბმულიყო მეტად სამწუხარო მოვლენამდე?

ვერაფრით მიხვდებით, მილიონზე დაგენიძლავებით, მილიონზე, რომ ყველაფერი დაიწყო უვნებელი თამაშიდან ბილიონდამდე.

უცნაურია, მაგრამ სიმართლეა; რადგან სიმართლე მუდამ უცნაურია; უცნაურია ვინემ თხზულება;

თუკი შევძლებდით, რამდენს მოიგებდნენ რომანები გარდასახვით!

რაოდენ განსხვავებულად აღიქვამდნენ ადამიანები მსოფლიოს!

რაოდენ მსწრაფლ შეიცვლიდნენ ადგილებს უზნეობა და ღირსება!

ახალი მსოფლიო არაფრით ემგვანებოდა ძველს, რომელიმე კოლუმბს რომ გაეცურა ზნეობის ზღვანი და კაცობრიობისათვის მათ სულთა ანტიპოდები ეჩვენებინა.

რა „ვრცელ ქვაბულებსა და უნაყოფო უდაბნოებს“ აღმოვაჩენდით ადამიანის სულში!

რა აისბერგებს ვნახავდით მძლავრ კაცთა გულებში, თავკერძობას — მათ პოლუსთა შუაგულებში!

ვნახავდით თუ რა ანთროპოფაგები არიან ათიდან ცხრანი მათგან, რომელნიც სამეფოებს მართავენ; და თუ ყველაფერს საკუთარ სახელს ვუნოდებდით, კეისარსაც კი შერცხვებოდა სახელ-დიდებისა.



თავი მეოთხთმეტე

ნაღიმი

ეჰ, ამის შემდეგ რაღა უნდა იყოს, აზრნი მისხლტება; რაც უნდა მოჰყვეს, სწორედ შესაფერი იქნება ხსოვნისა და იმედისა, თითქო ფიქრი მჭვრეტელი მომდევდეს თავისუფლად. ანმყო ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ შორისდებულია — „ოჰ“! „აჰ“! მწუხარებისა და სიხარულისათვის, ან „ჰა! ჰა!“ ან „ფიე“! — მთქნარება, ანდა „თფუ“! რომელთაგან ეს ყველაზე მართებულია.

მაგრამ მეტ-ნაკლები მთლიანობისას, გულნასვლა იქნება თუ სლოკინი, ემოციის გამომხატველია, რაც დიადი ანტითეზაა დიადი მონყენილობისა, და სკდება ჩვენი ბუშტები ოკეანეში, მარადისობის ამ მონახაზში, ანდა მინიატურაში ბოლო-ბოლო, რამდენადაც ვუნცი, რაც მბრძანებლობს ჩვენს სულიერ ნეტარებაზე, როს ხედავს იმას, რაც მხედველობის მიღმაა.

მაგრამ იმას მაინც სჯობს, რომ ოხვრა დავიოკოთ და გული ჟანგს შევაჭმევინოთ, გარეგნობა ნიღბით დაფვაროთ და ადამიანური ბუნება ხელოვნებაში გადავცვალოთ.

ორიოდე კაცი თუ გაბედავს თვის ფიქრთა ჩვენებას კარგად თუ ავად; ტყუილი ყველგან მოძებნის თავისთვის კუნჭულს და ამიტომაც თხზულება ის, რაც ნაკლები წინააღმდეგობით ჩაივლის.

აჰ! ვინ ჩამოთვლის? ან, უფრო სწორად, ვის არ ახსოვს, ჩამოუთვლელად, ვნების შეცდომები?

დავინყების მორევში ჩაყვინთვას, თუნდ ლოთობას, თვალთა სილურჯე მოჰყვება დილის სარკეში; თუნდ ლეთეს დინებას გაუყვეს ტივტივით, ხელის კანკალსა და შიშებს მაინც ვერ ჩადირავს მასში; იმ ლალისფერი ღვინით სავსე ჭიქასაც კი, ხელთ რომ უპყრიათ, დრო დაუტოვებს სევდიან ნალექს.

და სიყვარულზე, — ო, სიყვარულო! — მოდი განვაგრძოთ.

ლედი ადელაინ ამანდევილმა, წასაკითხადაც კი მშვენიერი სახელია, უნდა აღამაღლოს და გააჰარმონიულოს ჩემი კალმის მელოდიურობა.

არის მუსიკა ლერნმის კვენესაში; არის მუსიკა წყაროს სევდიან ლიკლიკში;

მუსიკა ყველაფერშია თუ კაცს ყურნი ასხია: დედამინა მარტოდენ ექოა სფეროებისა.

ლედი ადელაინი, ღირსეული და ღირსეულადაც დაფასებული, ხიფათის წინაშე იდგა, დაეკარგა ჰარმონიულობა; ორიოდეს თუ შეუძლია, სუსტი სქესიდან, ძალზე მტკიცე და შეურყეველი იყოს, ეჰ! რას იზამ, უნდა ვთქვა! მერყევი არიან ისე, ვით ღვინის იარლიყი არ ესადაგება ხარისხს ღვინისა, როს ჩამოახამ; ასე მგონია, თუმც ვერ დავიფიცებ; და მაინც, ვინემ დაძველდებოდნენ, ქალისა და ღვინის გაყალბება შეიძლება.

მაგრამ ადელაინი ხომ უწმინდესი რთველის მონეული, შეურყენელი მტევნის ნაჟური გახლდათ; მზინავი, ვით ახალნაჭედი ნაპოლეონი, ანდა მბრწყინავი მონახნაგული ბრილიანტივით; ფურცელი, რომელზეც ჯერ დროს ასაკი არ აღებეჭდა, რის კვალობაზეც ვალს ითხოვს ბუნება, ერთადერთი კრედიტორი, რომლის პროცესიც უკლებლივ მოიცავს ყველას.

აჰ, სიკვდილო! ყველაზე მიდეგავ და მომაბეზრებელო! ყოველდღიურად რომ აკაკუნებ კარზე, ჯერ ვითომ მორიდებულად, მორცხვ მოვაჭრესავით, ვინც მკრთალი სახით მიადგება რომელიმე ბრწყინვალე მოვალეს — სისხლის გამოსანოვად; მაგრამ ხშირად უარყოფილი, როს მოთმინება დაეკარგება, გაღიზიანებული ურახუნებს, და (თუ შეუშვს) დაჟინებითა და უკმეხად მოითხოვს ან ფულსა და ან „გამოსასყიდის აღსრულებას“.

რაც გინდა წაიღე, ოლონდ ცოტა ხანს ადროვე საბრალო სილამაზეს!

ის ისერიგად იშვიათია, შენ კი უამრავი ნანადირევი მოგეძევება.

მერე შენ რა, თუ ხანდახან მოვალეობას ივინყებს, მეტი მიზეზი გაქვს, რომ დაელოდო. ჩამომხმარო ღორმუცელავ! მთელი ერები მოგიხელთებია, ცოტა შებრალება გამოიჩინე; ოლონ-

დაც ცოტა შეაჩერე ქალური სნეულებანი და, რამდენი გმირიც გენებოს, იმდენი ნაიყვანე ზეცად.

მშვენიერ ადელაინს გულწრფელი ცნობისნადილი სჩვეოდა (ვითარც ამბობდნენ), მაგრამ არა სჩვეოდა, ზოგიერთი ჩვენგანით, ერთი ნახვით მოწონება, ანდა ისეთი ჯიშისა იყო და ისე აღზრდილი, არ ამჟღავნებდა (ამეების გარჩევას ახლა არ შევუდგებით); გაუპრანჭავად მიუძღვნიდა გულსაც და თავსაც უმანკობას და ისეთ რამეს, რაც თანაგრძნობას იმსახურებდა.

ადელაინს მოესმინა ჭორებად გასულ-გამოსული ამბები ჟუანისა, რითაც ცხოვრობენ გაზეთები და რაც ზიანის მისაყენებლად ვრცელდება, მაგრამ ქალები უფრო იუმორით შეჰყურებენ ამ გადაცდომებს, ვინემ ჩვენ, მკაცრი კაცები; ამასთან, ინგლისში ჟუანი თავდაჭერილად და დინჯად იქცეოდა, რადგანაც ფლობდა, ალკიბიადესავით, ყველანაირ კლიმატში იოლად ცხოვრების ხელოვნებას.

მისი ქცევა მითუფრო მაცდუნებელი იყო, თითქო არც აპირებდა ვინმეს ცდუნებას; არ გახლდათ ხელოვნური, მზაკვარი, თვითკმაყოფილი ან კეთილგანწყობის მაძიებელი; არ გააჩნდა მიდრეკილებანი, რაც შელახავდა მის რეპუტაციას; ისარმომართულ კუპიდონს ჰგავდა, რომ გეუბნება „გამიძელი თუ შეგიძლია“... ასე იქცევა დენდი, როს კაცის გარყვნას დააპირებს.

სიმართლეს გეუბნებითო, გვარწმუნებენ, მაგრამ გვატყუებენ, მათ რჩევას არ უნდა აყყვეთ. მაგრამ ტყუილია თუ მართალი, დონ ჟუანს რჩევა არ სჭირდებოდა; ისე იქცეოდა, ვითარც გახლდათ; გულწრფელი იყო... ეჭვი არც შეგეპარებოდა, მისი ხმის ტონალობას როს მოისმენდი.

ემმაკს არც გააჩნია უფრო ჟრჟოლვისმომგვრელი იარაღი, ვინემ ტკბილი ხმით ნასროლი ისარი.

ბუნებით მშვიდი გახლდათ, და მისი თავდაჭერა ეჭვს ინვევდა, რადგან მხდალი არ ჩანდა, მაგრამ განზე დგომას არჩევდა, უფრო თავს იცავდა და თავდასხმას არც იზრახავდა. ეგებ ადვილი დასამტკიცებელი არ არის, მაგრამ მორიდებულობაც სიქველეა და შეიძლება გამარჯვების მიღწევა; და მიუძალებლადაც შეიძლება უფრო შორს ნახვიდე, თუმც ალარ გავაგრძელებ.

მშვიდი გახლდათ, თავდაჯერებული, მხიარული, მაგრამ არა ხმაურიანი; კეთილგანწყობას თავმოუბეზრებლადაც მოიპოვებდა; აკვირდებოდა ბრბოს სისუსტეებს, თუმც ამას საუბარში არ გაამჟღავნებდა; ამაყთან ამაყი იყო, ოღონდ თავაზიანი, ისე, რომ ყველას მიუჩინდა თავისას თუ თავთავის ადგილს; პირველობისათვის არ იბრძოდა, არც არავისთან ქედმაღლობდა და არც არავის ქედმაღლობას მოითმენდა.

ასეთი იყო კაცებთან, ქალებთან კი ისეთი, ვითარცა ქალებს სურდათ, რომ ყოფილიყო; ქალთა წარმოსახვა კი სავსებით კმარა, რათა მშვენიერი სურათი მოხაზონ, ტილოსაც შეავსებენ და „verbum sat“. და თუკი მათი ფანტაზია მოინდომებს რომელიმე საგნის დახატვას, სევდიანი იქნება თუ მხიარული, ამას რაფაელზე უკეთ შეასრულებენ.

ადელაინი დიდი ვერაფერი შემფასებელი იყო ხასიათისა და უყვარდა თავისი სურვილისამებრ შეფერადება; ასე მოსდით შეცდომა გულწრფელ ადამიანთ და ბრძენთა, რაც ხშირად გვინახავს.

გამოცდილება უმთავრესი ფოლოსოფოსია, მაგრამ ყველაზე მწუხარეც, როს მისი ცოდნა საყოველთაო ხდება; და როს დევნილი ბრძენნი ცოდნას გადასცემენ, ავინყდებათ, რომ სულელებიც არსებობენ.

ასე არ არის, დიადო ლოკ?

და უფრო დიადო ბეკონ?

დიადო სოკრატეც?

და შენც, უფრო ღვთაებრივო? ვისაც წილად ხვდა ადამიანთა უმადურება და შენი წმინდა მოძღვრება ყველა უბედურების ნებართვად იქცა? ამქვეყნიურ ცოდვათა გამოსყიდვას რომ იზრახავდი, რა მიიღე პასუხად?

ტომები შეიძლება შევავსოთ მსგავსი სამწუხარო მაგალითებით, მაგრამ სჯობს ერების სინდისზე დავტოვოთ.

მე მოკრძალებულ ადგილს დავჯერდები ცხოვრების უსაზღვრო მრავალფეროვნებაში; დიდად არ დავინტერესდები, თუ რას უწოდებენ დიდებას, არამედ მიმოვიხედავ და ვიფიქრებ, თუ რა მოუხდება და რა არ მოუხდება ჩემს მოთხრობას, და დი-

დად არ დავიძაბები გალექსვისას, და ვიზურდღუნებ, ვითა ვინ-მესთან ლაპარაკისას, ქვეითად თუ ცხენზე ამხედრებული.

სულაც არა მგონია, დიდ უნარს ვიჩენდე ამ უთანაბრო რით-მათა შეთხზვაში; ეს მხოლოდ სამასლაათო საშუალებაა, რაც შეიძლება საათობით გახანგრძლივდეს. ერთ რამეში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ვერარა მლიქვნელობას ვერ ნახავთ ამ ჩემს უთანაბრო რეკვაში ზარისა, რაც ეხმაურება ყველაზე მნიშვნელოვანს ძველად თუ ახლა, და თავს Improvisatore-დ მივიჩნევ.

„Omnia vult belle Matho dicere — dic aliquando Et bene, dic neutrum, dic aliquando male“. პირველი ძნელი შესასრულებელია მოკვდავისათვის, მეორე — იოლი დასაძლევია, თუნდ მწუხარედ და თუნდ მხიარულად; მესამე კიდეც უფრო ძნელი გადასატანი; მეოთხე ის არის, რასაც ყოველდღე ვისმენთ, ვხედავთ და ვლაპარაკობთ. ყველაფერი ერთად კი, ვისურვებდი, ამ თავსატეხის ამოხსნაში დამხმარებოდა.

მოკრძალებული იმედია, მაგრამ მორიდებულობა ხომ ჩემი ძლიერი მხარეა, ხოლო სიამაყე — ჩემი სისუსტე;

გზა გავაგრძელოთ.

მსურდა ჩემი პოემა ძალზე მოკლე ყოფილიყო, მაგრამ ახლა აღარ ვუნცი, საით გაიქცევა. ეჭვგარეშეა, რომ მდომოდა ხარკი მეხადა კრიტიკოსთათვის, ან ხოტბა შემესხა ყველანაირი ტირანიის ჩამავალ მზეთათვის, უფრო მოკლედ დავწერდი; მაგრამ მე ხომ ოპოზიციონერობისათვის დავიბადე.

მაგრამ ეს ხომ ნიშნავს, რომ მე სუსტის მხარეს ვარ;

ამრიგად, ჭეშმარიტად მწამს, რომ თუ ისინი, რომელნიც ახლა სიამაყით იბერებიან, დაემხოებიან და „ძაღლების დრო დადგება“, თუნდ თავიდან შემთხვევითაც ვიცინო მათ დაცემაზე, მაინც შემოვბრუნდები და ულტრაროიალისტთა მხარეს გადავალ, რადგან მძულს მძლავრობა, თუნდ დემოკრატებისა იყოს.

ვფიქრობ, შევძლებდი ღირსეული ქმარი ვყოფილიყავ, საკუთარი სისუსტე რომ დამეძლია;

ვფიქრობ, შევძლებდი მონასტრული წესი მიმეღო, რომ არა საკუთარი ცრურწმენა;

ლექსისკენ აროდეს გავიხედავდი, არც კისერს წავიტეხდი აროდეს, თუნდ პრისციანის წინაშე, არც პოეტის ჭრელ მოსასახამს მოვისხამდი, ჩემთვის ეს საქმე რომ არ აეკრძალათ.

მაგრამ *laissez aller...* მე ვუმღერი რაინდებსა და ქალბატონებს, ისე ვითარცა დროს შევჭერის. ესაა ცაში აფრენა, რასაც უპირველესად მაღალი ფრთები სჭირდება, მემკული ლონგინეს ან სტაგირელის მიერ; სიძნელე ფერთა შეხამებაშია (სწორ პროპორციათა დაცვაც საჭიროა), ბუნებრიობა უნდა მიანიჭო ხელოვნურს და გადმოსცე ზოგადად ის, რაც კერძოა.

განსხვავება ისაა, რომ ძველ დროში ადამიანებმა შეჭქმნეს წესები; ახლა წესები ჰქმნიან ადამიანებს... ფარასავით ერთად შეყრილთ საჩიხში და გაპარსულთ, ცხრას ერთად მაინც ან ათიოდეს. და ეს ყველაფერი დინჯად უნდა გადმოსცენ თქვენმა მწერლებმა, ან ძველად დახატული უკეთესად გადახატონ, ანდა ანმყოს მოჰკიდონ ხელი, ახალ სამოსში გამოწყობილს.

შევეცდებით საუკეთესოდ გამოვიჩინოთ თავი: წინ გასწი, ჩემო მუზავ!

თუ ფრენა არ ძალგდის, ფრთები მაინც აფართხუნე; და თუ ბრწყინვალეობას ვერ გამოიჩენ, იმხიარულე მაინც, ან ისე დადინჯდი, ვით სახელმწიფო მოღვაწეთ შეჭვერით.

უთუოდ აღმოვაჩენთ რაღაც ახალს; კოლუმბმა ახალ ქვეყანას კატერით მიაგნო, თუ ბრიგანტინით, თუ პატარა გემით, და მაინც, ეს ამერიკა გახლდათ, ნორჩი.

ადელაინი სულ უფრო და უფრო უღრმავდებოდა ჟუანის ღირსებებსა და მის ყოფას, და სულ უფრო იპყრობდა ცნობისნადილი; ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალი, ცინცხალი განცდა იყო, ანდა იმიტომ, რომ ჟუანი უმანკო გარეგნობით გამოირჩეოდა, რაც უმანკოთათვის სამწუხარო საცთური; ქალებს საერთოდ არ უყვართ ნაწილობრივი ქმედებანი და ადელაინმა გადანყვიტა გადაერჩინა ჟუანის სული.

კარგი აზრიც გაუჩნდა რჩევათა გასაზიარებლად, მათსავით, რომელნიც ბევრს ზრუნავენ უანგარო რჩევის გასაცემად თუ მისაღებად და რომელთათვისაც მცირე მადლობაც საბაზრო ფასს უტოლდება, მაშინაც კი, როს ფასები მეტად გაზრდილია.

ბევრი იფიქრა ამაზე თუ ცოტა იფიქრა, ზნეობრივი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ზნეობისათვის ყველაზე შესაფერისი — ქორწინებაა, და ამ აზრით შეიარაღებულმა, მტკიცედ ურჩია ჟუანს ცოლის შერთვა.

ჟუანმა შესაფერი პატივით უპასუხა, რომ მასაც ჰქონდა სურვილი ამგვარი შეკავშირებისა, მაგრამ ამჟამად ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც აძნელებდა მისი ან იმ ქალის სურვილის შესრულებას, ვისაც ხელს სთხოვდა, რადგან ისინი, ვისზე დაქორწინებასაც ისურვებდა, სწორედ ის ქალბატონები უკვე დაქორწინებულნი გახლდნენ.

მას მერე, საკუთარ ცალს რომ იპოვიან, დააქორწინებენ ქალიშვილებს, ძმებს, დებსა თუ ნათესავთ და განალაგებენ თაროზე წიგნებივით, არა უყვართ რა ქალებს იმაზე მეტად, რომ სხვებსაც დაუგურგურონ (ფარის მფლობელივით — შემოსავალს რომ ითვლის) და იმაჭანკლონ; ცხადია, ეს ცოდვა არაა, არამედ წინასწარი ზომა ხიფათის ასაცილებლად.

მაგრამ ჯერ არ ყოფილა (გარდა გასათხოვარი ან გაუთხოვარი ქალისა, ვინც ამას უარჰყოფს) პატიოსანი ქალბატონი, რომელსაც თავში არ უტრიალებდეს საქორწინო კავშირის შედეგად წარმოშობილი დრამის სიუჟეტი, დანვრილებით განხილული თათბირზე თუ სანოღში, არისტოტელესებურად; თუმც ხანდახან მელოდრამად თუ პანტომიმად გადააქცევენ.

საზოგადოდ, გამოძებნიან ვინმეს ვაჟიშვილს, მემკვიდრეს დიდი ქონებისა, მეგობარს ძველი ოჯახისა, მავან მხიარულ სერჯონს, ან პირქუშ ლორდ ჯორჯს, ვისთანაც მთავრდება მემკვიდრეობითი ხაზი, და რჩება გაფანტული მემკვიდრეობა ნათესაობას, თუკი ქორწინება არ მოაწესრიგებს მათ იმედებსა და ზნეობას; და ბლომად საპატარძლოებიც გამზადებულნი ჰყავთ საამისოდ.

ამიტომაც ფრთხილად არჩევენ: ამისთვის მემკვიდრეს, იმისთვის კი ლამაზს; ერთისათვის უნაკლოსა და ტკბილად მომღერალს, სხვისათვის საქმიანსა და გამრჯე მეუღლეს. ამისთვის ლედის, რომელსაც ვერავინ დაიწუნებს მათგან, ვისაც ქონება ძარცვა-გლეჯით დაუგროვებია, მეორისათვის სა-

პატარძლოს ბრწყინვალე კავშირებით; მესამესთვის კი ისეთს, ვერა წუნს რომ ვერ უპოვი.

რაც ჰარმონისტმა ქორწინება რომ აკრძალა თავის ჰარმონიულ დასახლებაში (რაც გასაკვირია, მაგრამ მაინც ჰყვავის და ჰყვავის მოუშლელად, რადგან სწორედ იმდენი წვერი ჰყავს, რამდენსაც ჰკვებავს, და არ სჭირდება ის დანახარჯები, რაც ამცირებს იმას, ბუნებრივი რომაა)... რატომ ეწოდება „ჰარმონია“ ცოლ-ქმრობის გარეშე ცხოვრებას? აი, სწორედ აქ შემყავს მქადაგებელი ჩიხში, იმიტომ, რომ ან ჰარმონიაზე ქირქილი სურდა, ან ქორწინებაზე, ასე უცნაურად იმიტომაც აცალკევებს წყვილებს. მაგრამ, იმის მიუხედავად, ღირსმა რაპმა ეს ყოველივე გერმანიაში ისწავლა თუ არა, ამბობენ, მისი სექტა მდიდარი და მორწმუნეაო, ღვთისმოსავი და წმიდაო, რასაც ვერ ვიტყვი ჩვენს სექტებზე, თუმც ისინი უფრო ფართოდ გავრცელებულან. მე უფრო მის სახელს უარვყოფ, ვინემ რიტუალს, თუმც მიკვირს, ამას ვით ეჩვევიან.

მაგრამ რაპის წინააღმდეგ გამოდიან ჩვენი ბეჯითი ქალები, ვინც გამრავლების მომხრენი არიან, მიუხედავად მალთუსისა და იმ პროფესორთა კეთილი, მოკრძალებული მოძღვრებისა, რომელნიც მიიჩნევენ, მოსახლეობის გამრავლებას ემიგრაცია მოაქვსო; ესაა ვნებისა და კარტოფილის სევდიანი შედეგი, ესაა ორი სარეველა, რომელსაც განიხილავენ ჩვენი ეკონომისტი კატონები.

ნეტა ადელაინს მალთუსი წაკითხული თუ ჰქონდა? ვერ გეტყვით, მაგრამ ნეტა ჰქონოდა; მისი წიგნი მეთერთმეტე მცნებაა, რომელიც ამბობს: „არა იქორწინო“, ვინემ ქონებას არ დააგროვებო; ამას გულისხმობდა (რამდენადაც მესმის). მაგრამ მის ნააზრევზე მსჯელობას არ გავაგრძელებ, არც იმაზე, თუ რას ნიშნავს ასეთი „ამაღლებული ხელი“; თუმც ის ასკეტურ ცხოვრებასაც აქეზებს და ქორწინების გარდაქმნასაც არითმეტიკად.

ადელაინი ალბათ იმასაც ვარაუდობდა, ყუანი საკმაოდ შეძლებული კაცია, რომ თუ ქორწინება იღბლიანი არ გამოდგა, გაყრაც არ დააზარალებსო, რადგან საერთოდ ეს შანსი რჩებათ სი-

ძეებს მას შემდეგ, რაც კარგად გამოპრანჭავენ, რომ შეუძლიათ უკუსვლა საქორწინო ცეკვისას (რაც სახელგანთქმულმა ჰოლბეინმა დახატა „სიკვდილის ცეკვაში“, მაგრამ ეს ხომ იგივეა);

მაგრამ ადელაინმა გონებაში გადანყვიტა ყუანის დაქორწინება და ეს საკმარისია ქალისათვის;

მაგრამ ვისზე?

აქ იყო ბრძენი მის რიდინგი, მის როუ, მის ფლო, მის შოუმენი და მის ნოუმენი და ორი თანამემკვიდრე გილტბედინგი.

ადელაინი ყუანის ღირსებებს დიდად აფასებდა, ამიტომ ისეთი პრეტენდენტები შეარჩია, წუნი არ დაედებოდათ, და თუ კარგადაც დაქოქავდი, საათივით იმუშავებდნენ.

აქ იყო მის მილპონდი, ხავერდოვანი, ვით ზაფხულის ზღვა, სრულყოფილების ნიმუში, ვით დედისერთა, შეუმკრთალი, ვით მოხდილი ნაღები და რძე და წყალი და ეგებ ცოტა სილურჯეც გადაჰკრავდა სიღრმეში, მაგრამ ეს რა შუაშია? სიყვარული მშფოთვარეა, ხოლო ქორწინება მშვიდი, რძის დიეტაზე ყოფნა კი — დამლუპველი.

და აქ გახლდათ მის აუდასია შუსტრინგიც, თამამი ქალიშვილი, კაი შეძლების მქონე, ვისი გულიც ჩინ-მედლებსა და ბაფთებს დაეძებდა; მაგრამ ინგლისელი ჰერცოგები რალაც აღარ ჩანდნენ ამ ბოლო დროს, ან თვითონ ვერ დაეგო კაკანათი, რითაც ამგვარი სირინოზები ნადირობენ, ამიტომ ბოლოს უცხოელი ამოირჩია, რუსი იყო თუ თურქი, რას დაეძებდა.

და კიდევ აქ იყო, მაგრამ რატომ უნდა გავაგრძელო ჩამოთვლა, თუ მჯობნის მჯობნი არ დაილევა?

ოლონდ ერთი იყო მართლაც რომ მშვენიერი და ფერიის მსგავსი, საუკეთესო კლასიდან და უმჯობესი, ვინემ მისივე კლასი; აურორა რები, ნორჩი ვარსკვლავი, ცხოვრებას რომ ანათებდა, მეტისმეტად საყვარელი ამქვეყნიური სარკისათვის; სანატრელი არსება, ჯერ დაუსრულებელი, ვარდი, რომლის დარი ტკბილი ფურცლებიც ჯერ არ გაშლილა.

მდიდარი, კეთილშობილი, მაგრამ ობოლი; დედისერთა, კარგ და კეთილ მეურვეთა ანაბარა დარჩენილი, და ყველაფერში ეტყობოდა მარტოსულობა! სისხლი წყალი არ არის და სად

უნდა ვპოვოთ სიკვდილის მიერ დაჩაგრული ყმანვილის გრძნობათა სადარი?

როს მარტო ვრჩებით, ეჰ! უმეგობრო სასახლეში ოჯახი გვენატრება და ჩვენი ახლობლები კი საფლავეში განისვენებენ.

ასაკითაც ნორჩი იყო და აღნაგობითაც, სერაფიმული სრულყოფილება ანათებდა მის სევდიან თვალთაგან, ყმანვილური, მაგრამ დროის მიღმურიც, მოკაშკაშე და დაფიქრებული, თითქო კაცთა მოდგმის დაქვეითებას დარდობდა; მგლოვიარე, მაგრამ სხვის დანაშაულს გლოვობდა, ისე გამოიყურებოდა, თითქო ედემის კართან დგას და სწუხს მათ გამო, რომელთაც იქ დაბრუნება არ უნერიათო.

კათოლიკე იყო, გულწრფელი და მტკიცე, რამდენადაც ნაზი გული შეაძლებინებდა, და ის დაკნინებული აღმსარებლობა უფრო იმიტომაც ეძვირფასებოდა, რომ დაკნინებული იყო; მისი წინაპრები ამაყად და თავდადებით ემსახურებოდნენ ერს და აროდეს მოუხრიათ ქედი ან მუხლი ახალი ძალის წინაშე; და რაკილა მარტო დარჩენილიყო, სწორედ იმიტომ ებლაუჭებოდა ძველ რწმენასა და გრძნობებს.

ყურადღებით ათვალეირებდა მსოფლიოს, რომელსაც ჯერ არც კი იცნობდა და თითქო არც კი სურდა შეცნობა; მდუმარი და მარტოსული, ყვავილივით ამოზრდილი, მშვიდად ნაზარდი გულსაც სათნოდ ამყოფებდა საგულეში. მისი სასოება პატივისცემას აღძრავდა, მისი სული თითქოსდა წუთისოფლისაგან განზე მდგარ ტახტზე იჯდა საკუთარი სიძლიერის შეგრძნებით, რაც ასე უცხოა ასეთი ყმანვილისათვის.

ისე მოხდა, რომ ადელაინის კატალოგში აურორა გამორჩენილიყო, თუმც ნარმოშობა და სიმდიდრე უკვე ჩამოთვლილ მომხიბლელთა წინ დააყენებდა, სილამაზით კი არვის ჩამოუვარდებოდა, ხოლო ღირსებებით ყველას აჭარბებდა, და თუ რომელიმე ჯენტლმენი გადაწყვეტდა ცოლის შერთვას, მაშინ აურორა ორჯერ მეტად სასურველი უნდა ყოფილიყო.

და ამ სახელის გამოტოვებამ, ისე ვით ბრუტუსის არყოფნამ ტიბერიუსის დაკრძალვაზე, ჟუანი დააინტერესა და არც გასაკვირია, რომ ასე მოხდა.

და იკითხა ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად სერიოზულად; რაზეც ადელაინმა ერთგვარი ამრეზით და შეიძლება ითქვას, მბრძანებლური ტონითაც მიუგო:

— გასაკვირია, რა ნახე ისეთი ამ ბავშვში, ეს მუდო, ჩუმჩუმელა და ცივი აურორა რები რომ არის?

ჟუანმა მიუგო:

— კათოლიკე გახლავთ და რწმენის გამო ყველაზე შესაფერია ჩემთვის; ვიცი, რომ სხვა შემთხვევაში დედა ლოგინად ჩამივარდება, ხოლო პაპი ეკლესიიდან განმკვეთს.

მაგრამ ადელაინმა, ვისაც არ უყვარდა შემოკამათება და განსხვავებული აზრის მოსმენა, ჩვეულებისამებრ დაიჟინა და იგივე მიზეზი გაიმეორა.

და რატომაც არა?

გონივრულ მიზეზს, თუკი კარგია, არაფერი დაუშავდება გამეორებით, მაგრამ თუ ცუდია, კარგი იქნება თუ გასაბრაზებლად გამოიყენებ და გაამძაფრებ და გააფართოვებ, რადგან სიმოკლე დააზარალებს;

ასეც ხდება ხოლმე, რომ დაჟინება, დროული თუ უდროო, ყველას არწმუნებს, პოლიტიკოსებსაც კი; ან — რაც ერთი და იგივეა — ქანცავთ. და როს მიზანი მიღწეულია, რას დაეძებთ საშუალებას.

რატომ გასჩენოდა ადელაინს ასეთი ახირებული შეხედულება — ნამდვილად რომ ახირებული — ასეთ წმინდა ქმნილებაზე, ფორმითა და ხასიათით მომხიბვლელზე, გაუგებარია; ჩემთვის ეს იოლი ასახსნელი არ არის, რადგან ადელაინს ბუნებით არა სჩვეოდა ახირებანი, მაგრამ ბუნება ბუნებაა და უფრო მეტი ხუმტურები მოსდგამს, ვინემ დრო მაქვს ან სურვილი გაანალიზებისა.

ალბათ არ მოსწონდა ის სიმშვიდე და აულელვებლობა, ვითარ ავრორა უყურებდა ყოველნაირ ზიზილ-პიპილებს, რაც ყველას ხიბლავს ადრეული დღეებიდანვე, რადგან არ არსებობს ქვეყნად უფრო ძნელ ასატანი კაცისა თუ ქალისათვის, რომ, ასე ვთქვათ, უეცრად აღმოაჩინო, ჩემი გენიალური მიდრეკილებანი ვილაცას აუთვალწუნებია, ვით „კეისარი ანტონიუსს“, და ისე უყურებს, თვითონ რომ ეპრიანებო.

ეს არა ყოფილა შური, ადელაინი შურიანი არ გახლდათ; მისგან შორს იყო ასეთი რამ, მის გონებას ვერ მიეკარებოდა. არც ზიზლი — აბა რა ესაქმებოდა ამგვარ გრძნობას ისეთ ადამიანთან, ვისი უდიდესი ნაკლიც იმგვარი ყოფაა, ცოტა ვინმეს თუ რომ ღირსება. ვფიქრობ, არც ეჭვი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოვერიდოთ ამ ფუჭ გრძნობას კაცობრიობისა. არც ის ყოფილა — მაგრამ ეჭ, უფრო ადვილია ვთქვათ, თუ რა არ იყო, ვინემ — თუ რა იყო.

რას ნარმოიდგენდა აურორა, რომ ესეგვარი მსჯელობის საგანი გამხდარიყო. სტუმრად იმყოფებოდა და მშვენიერ ტალღათაგანი გახლდათ ბრწყინვალე სიმდიდრისა და სიყმაწვილის მდინარისა, სხვებს შორის ყველაზე წმინდა, აჰყვებოდა დინებას და უყურებდა წამიერად კენწეროზე მოქცეულთა გაბრწყინებას. რომ სცოდნოდა, ჩემზე ლაპარაკობენო, აუღელვებლად გაიღიმებდა, ჯერაც ხომ ბავშვი იყო ასე თუ ისე.

ადელაინის ლალი და ამაყი გამომეტყველება მასზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა; მის ბრწყინვას ციციანათელას თუ შეაღარებდა, თვითონ კი ვარსკვლავებისკენ მიეპყრო თვალი; და ჟუანზე წინასწარმეტყველებას ვერ ააგებდა, რადგან ახალი სამყაროს სიბილა არ გახლდათ; და ეს მეტეორი თვალთ ვერ მოჭრიდა, რადგან გაელვებისა არა სწამდა რა.

არც ჟუანის სახელ-დიდება ანაღვლებდა, ჟუანს ხომ ისეთი სახელი მოეხვეჭა, ეშმაკი რომ იყენებს ქალთა სქესის მოსახიბლად, მათ აჯადოებთ ბრწყინვალე დანაშაულნი, ნახევრად სიქველე და ნახევრად ცოდვა, ურთიერთჩახლართული, მოუშინაურებელი, თვალისმომჭრელად ბრწყინვალე ნაკლოვანებანი; მის ცვილზე დასმული ამგვარი ბეჭედი აურორაზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა; ასეთი უკარება და ცივი გახლდათ.

ასეთი ხასიათის ადამიანი უცნობი იყო ჟუანისათვის, მის დაკარგულ ჰაიდეს არა ჰგავდა; თუმც ორივე ბრწყინავდა თავთავის ადგილზე; კუნძულელი გოგო, ზღვის შუაგულში აღზრდილი, უფრო თბილი იყო, უფრო ცოცხალი და არანაკლებ წრფელი; იგი ბუნების შვილი გახლდათ, აურორა რაც ვერ იქნებოდა; რალა მათ შორის განსხვავება და რალა ყვავილისა და ძვირფასი ქვისა.

ამ ბრწყინვალე შედარებით აღელვებულებმა, მოდი გავაგრძელოთ თხრობა, და ვით ჩემი მეგობარი სკოტი ამბობს, „საყვირში ჩაზებერ შეტევისათვის“; სკოტი ბევრად მჯობს, სკოტი, ვისაც შეუძლია დახატოს ქრისტიანი რაინდი თუ სარკინოზი, გლენი იქნება, ლორდი თუ კაცი, და დახატოს ისეთი ნიჭით, რომ ვერვინ შეედრებოდა, შექსპირი და ვოლტერი რომ არ ყოფილიყვნენ, რომელთაგან ერთ-ერთისა ან ორივეს მემკვიდრეცაა.

ყური დამიგდეთ, გავაგრძელებ ჩემი უსწორმასწორო გზებით სიარულს კაცობრიობის ზედაპირზე. აღვწერ მსოფლიოს და არ დავეძებ, მსოფლიო კითხულობს თუ არა, თუნდ ამიტომაც არ დავინდობ მის ამაოებას.

ჩემმა მუზამ უკვე ბევრი მტერი გამიჩინა და კიდევ მეტსაც გამიჩენს, თუნდ ამ ხელნაწერით; ოდეს ვინყებდი, ვიცოდი, შეიძლება ასე მოხდეს-მეთქი, ახლა კი ვიცი, რომ ასეა, მაგრამ ჯერაც ვარ, ან ვიყავ, კარგი პოეტი.

კონფერენციასა თუ კონგრესზე (რადგანაც დასრულდა ბოლოდროინდელ კონგრესებივით) ყუანისა და ლედი ადელაინისა, რალაც ტკბილ-მწარე გამოერია, რადგან მიღედი ფიცხი გახლდათ; მაგრამ ამ საქმეს ეშველებოდა, ვერცხლის ზარმა დარეკა, რაც „სადილისათვის მზადყოფნას“ კი არ იუნყებოდა, არამედ — გამოცვლის საათს, თუმც ქალთა სამოსის გამოცვლას საათი არ უნდა სჭირდებოდეს.

დიადი საქმენი ახლა სუფრასთან უნდა გადაწყვეტილიყო, დიდი თეფშები ფარებად გამოდგება, დანა-ჩანგლები — იარაღად; და მუზამ უნდა მომანიჭოს ჰომეროსის ნიჭი (მისი ნადიმები ეპოსის უარესი ნაწილი სულაც არაა), რომ თანმიმდევრულად აღვწერო დღის განაწესი თანამედროვე სადილებისა! სად საიდუმლო ჩასაფრებულია წვნიანებში, სანებლებსა თუ რაგუებში, და არა კუდიანთა, მეძავთა თუ ექიმთა ნახარშებში.

მიართვეს გემრიელი, „soupe à la bonne femme“, თუმც უფალმა უწყის, საიდან წარმოიშვა; აგრეთვე კამბალა იმათ საამებლად, ამოყორვა ვისაც უყვარს, დამხმარედ მოდიოდა „dindon à la Périgeux“; აგრეთვე — რა მემშველება მე, ცოდვილს! ვით გავუძღვე ამ გურმანულ ტაეპს? — „Soupe à la Beauveau“,

რომელს თევზი მოსდევდა მარქაფად და მერე შაშხი სრული ნეტარებისათვის.

მაგრამ ყოველი ერთად უნდა ავურდავურიო ან შევაგროვო; რადგან დანვრილებით რომ განვიხილო, მეტისმეტი მოუვა ჩემ მუზას და ბუზლუნა ხალხი ყბედს შეარქმევს; და თუმც *bonne vivante*-ია, უნდა ვალიარო, რომ მუცელმერთობა არა სჭირს; და მაინც, ამ ამბავს ცოტაოდენი საუზმე ესაჭიროება, რომ მუზამაც ცოტა მოისაქმოს.

ფრინველი „à la Condé,” ორაგულის თხელი ნაჭრები „sauces Genevoises“-ით და ირმის ბარკალი; ღვინოებიც ისეთი, კვლავ საფლავში ჩაიყვანდნენ ჭაბუკ ამონს, კაცს, რომლის მსგავსსაც, იმედია, კიდევ დიდხანს, დიდხანს ველარ ვიხილავთ; შემოიტანეს კრიალა ვესტფალური ლორი, რას აპიციუსიც მონიონებდა; და კიდევ შუშხუნა შამპანური, ისეთი თეთრი, ვით კლეოპატრას დნობადი მარგალიტები.

შემდეგ მოდიოდა ღმერთმა უწყის რა „à l'Allemande“, „À l'Espagnole“, „timballe“ და „salpicon“, ისეთი რამე-რუმენით, რასაც ვერც ვიტან და ვერც ვიგებ, თუმც პიკანტურად ვყლაპავ მთლიანად; და მოსართავეები, ხელზე რომ ჩამოგენუნება, მდაბალ სულთა იავნანა; და ტრუფელებით გატენილი ნორჩი კაკბები, თვით დიადი ტრიუმფატორი ლუკულუსი რომ ამზადებდა.

განა ამ ფილევებს გამარჯვებულის შუბლის დამამშვენებელი ბაფთა შეედრება? ჩვარი და მტვერია მარტოდენ.

სად არის თალი, დამხობილ ერებს რომელიც დაჰყურებდა? სადაა გამარჯვებულ ეტლთა ამაცი სვლა? ისევე ჩაიარა გამარჯვებებთან ერთად, ვითა სადილი ჩაივლის.

ალარ გავაგრძელებ კვლევა-ძიებას; მაგრამ აჰ! თანამედროვე მასრებასხმულო გმირნო, როდისლა გაანათებს თქვენი სახელი თუნდ ლუკულუსის კაკბებივით.

ის ტრუფელებიც სულაც არ არის უგემური, მითუმეტეს, თუ „petits puits d'amour“ ახლავს, კერძი, რაზეც მზარეულთა აზრი იყოფა, ასე რომ, ყველას შეუძლია ისე შეკმაზოს, ვითარ სურს, და საუკეთესო ლექსიკონებიც გამოიყენოს, სად ენციკლოპე-

დიურადაა ჩამოთვლილი ხორცი თუ თევზი; და უმურაბოდაც, სიმართლეს მოგახსენებთ, გემრიელია **petits puits**.

დავიბენი ამ დიად ინტელექტუალურ განაზრებებში, რაც ორი მიმართულებით ვითარდება; ხოლო მოუხელებლობის დიდ გამრავლებას იმდენი არითმეტიკა სჭირდება, მე სად შემიძლია!

ვინ წარმოიდგენდა, ადამის უბრალო საკვების შემდგომ სამზარეულო ასეთ მრავალფეროვნებას თუ მიაღწევდა, რომ მეცნიერება და ნომენკლატურა განვითარდებოდა უბრალო ბუნებრივი მოთხოვნილებიდან.

ჭიქები წკარუნობდნენ, თეფშები ჭახუნობდნენ; გამოჩენილი საზოგადოება ლაზათიანად სადილობდა; ქალბატონები თავშეკავებით შეექცეოდნენ ნადიმისას და იმაზე ნაკლებ იკიკნებოდნენ, რომ რა გითხრათ; ყმანვილკაცებიც მონიფულ ასაკამდე თავს იკავებენ გურმანობის გამომჟღავნებას და ძლომისად ჭამას გვერდით მჯდომ კოხტა მოტიკტიკესთან ჩურჩულს ამჯობინებენ.

როგორ! აღუნერელი უნდა დავტოვო **gibier, salmi, consommé, purée**, ყოველივე ის, რაც რითმებს შემიმსუბუქებს?

და როსტ ბიფი ჩვენებურად, ჯონ ბულისებურად? და თუნდ ნეკნები არ აღვწერო, „**Bubble and squeak**“ კი ჩემს მელოდიას დაამახინჯებს, მაგრამ უკვე ვისადილე და უნდა გამოვტოვო, ეჰ! თუნდ ტყის ქათმის კერძის აღწერილობა.

და ხილი და ნაყინი და ყოველი, რასაც ბუნება გვანვდის და ხელოვნება გარდაქმნის პირის ჩასატკბარუნებლად — დააგემოვნე და მიილე ნიკრისის ქარი, და ნახე რა დაემართება შენს კუჭს! ფრანგული კარგია, ვინემ ისადილებ, მაგრამ შემდგომ გარკვეული ნიშნები გატყობინებს, კარგი ინგლისური უმჯობესიაო.

გეჰონია როდისმე ნიკრისის ქარი? — მე არა, მაგრამ შესაძლოა შევიძინოთ მეცა და შენც, მკითხველო, მოერიდე!

და ზეთისხილი, ღვინის საუკეთესო მოკავშირე, გამოვტოვო ჩემს სატარიფო ჩამონათვალში? უნდა გამოვტოვო, თუმც ესპანეთში, ლუკასა და ათენში, ყველგან, სად დავბინავებულვარ, პური და ზეთისხილი ჩემი საუკეთესო სადილი ყოფილა, ბალახი გახლდათ სუფრა, ღია ცის ქვეშ, სუნიოსა თუ იმეტუსზე, დი-

ოგენესავით ვიკვებებოდი, ვისგანაც ჩემი ფილოსოფიის ნახევარი მოჩქაფუნობს.

თევზის, ხორცის, ფრინველისა და ბოსტნეულის მასკარადში სტუმრები ისხდნენ მათი წოდების საფერად, ისეთივე მრავალფეროვანნი, ვითარცა მორთმეული კერძები; დონ ჟუანი „à l'Espagnole“-ის წინ იჯდა, ეს ესპანელი ქალი კი არ ყოფილა, არამედ კერძი, ვითარ ითქვა; მაგრამ ძალიან ნააგავდა ქალბატონს იმიტომ, რომ ულამაზესად მოკაზმულიყო და პიკანტურად გამოიყურებოდა.

რალაც უცნაური შემთხვევის წყალობით აურორასა და ლედი ადელაინს შორის მოხვდა; რთული ვითარება შეიქმნა, მგონია, კაცის თვალთა და ყურთათვის, სადილისთვის ხომ ვილას ეცალა. ამ ვითარებაში ვერც გაბედავდა და ველარ გაიბრწყინებდა, რადგან ადელაინმა ორიოდ სიტყვა უთხრა და ორი გამჭოლი თვალი აღარც მოუცილებია.

ხანდახან მგონია, თვალებს ყურები ასხია; და ნამდვილად ასეა, რადგან საიდან უნდა იგებდნენ ნათქვამს მშვენიერი ქალები, როს ყურთასმენა არ მიუწვდებათ და ვერც ცოდნით ბრწყინავენ. სფეროთა იმ მისტიკური მუსიკასავით, რასაც ვერავინ იგებს, თუმც ხმამაღლა რეკს, განსაცვიფრებელია თუ ვით ესმით სუსტი სქესისათ გრძელი დიალოგები, როს სიტყვაც არ დაძრულა.

აურორა ისეთი განურჩეველი სახით იჯდა, უთუოდ გაანაწყენებდა ჩაუქ მხედარს და ასეც მოხდა; ყველაზე მძიმე შეურაცხყოფას მაშინ გაყენებენ, როს ფიქრის ღირსადაც არ გაგდებენ, და ჟუანი თუმც თვითკმაყოფილების ნატამალიც არ გააჩნდა, ნასიამოვნები ვერ დარჩებოდა ასეგვარი მოპყრობით; ასეთი კარგი გზის გავლის შემდეგ გემს დაემგვანა, ყინულებში გაჩხერილს.

ხალისიან გადალაპარაკებაზე არაფერი უპასუხა, ან თითქმის არარა, თავაზიანობა რასაც მოითხოვდა. გვერდზეც არ გაუხედავს აურორას და არც კი გაუღიმიოდა, ისე, სხვათაშორისაც. ეშმაკი ჩასახლებოდა ამ გოგოს!

ნუთუ ეს სიამაყე იყო?

თუ მოკრძალება?
თუ განურჩევლობა?
თუ სიცარიელე?
ღმერთმა უწყის!

ხოლო ადელაინის თვალები ნიშნისმოგებით კაშკაშებდნენ, თითქო ამბობდნენ, ხომ გითხარიო;

მე არ ვურჩევდი ამგვარ ტრიუმფს, რადგან ხანდახან ისე ხდება, ვითარ მინახავს ან ნამიკითხავს, სასიყვარულო ამბები იქნება თუ სამეგობრო, ჯენტლმენი გამოწვევას იღებს და ის, რაც ხუმრობად ჩაფიქრებულის, სერიოზულ დასასრულამდე მიჰყავს; რადგან კაცებს არ ანალვლებთ წინასწარმეტყველება და სძულთ, როს წინ გადაელობებიან.

ამრიგად, ჟუანი ყურადღებად გადაიქცა და მცირე, მაგრამ გამოკვეთილი იერიში მიიტანა იმით, რომ განსაკუთრებული დელიკატურობით წარმოაჩინა მშვენიერი ქალის ღირსებანი. და აურორამაც ბოლო-ბოლო (ასე გადმოგვცემენ, ოღონდ უფრო ვარაუდებით, ვინემ ფაქტებით) მშვიდად გამოუშვა ფიქრნი ტკბილი საპატიმროდან და ერთი-ორჯერ გაიღიმა, თუმც სმენად არ გადაქცეულა.

ჯერ უსმენდა, მერე კი კითხვებიც დაუსვა; ამას იშვიათად სჩადიოდა, და ადელაინი, ვინც მიხვდა, ჩემი წინასწარმეტყველება არ შესრულდაო, შეწუხდა, ახლა პრანჭიაობაც არ დაინყოსო.

ამბობენ, ძნელია გადაჭარბებისაგან თავშეკავება, თუკი მოძრაობა დაინწყეო, მაგრამ აქაც ვერ გამოიცილო — აურორას სული ესეგვარი არ გახლდათ.

მაგრამ ჟუანს გამარჯვების თვისი ხერხი ჰქონდა — ამაყი თავმდაბლობა, თუკი არსებობს ასეთი რამ; და ისე ეჭირა თავი, თითქო ქალის ნათქვამი თვითეული მომხიბვლელი სიტყვა კანონის ძალით აღვსილიყო. თავშეკავებული იყო და ზომას იცავდა მხიარულებასაცა და სერიოზულობაშიც, იცოდა, როდის ყოფილიყო ლალი და როდის თავდაჭერილი; ფლობდა ხელოვნებას, გული გაეხსნევიებინა ადამიანთათვის, თვითონ კი დაფარული დარჩენილიყო.

აურორა ჩვეული განურჩევლობით ჟუანს მოარშიყეთა გავრცელებულ ბრბოს მიაკუთვნებდა, და თუმცა რიგით მოჩურჩულე კობტაპრუნად არ მიიჩნევდა და არც მოხარხარე ოხუნჯად, იგრძნო (გულგრილობა ხომ გრძნობაში გადაიზრდება ხოლმე), რომ ქათინაურები, რომლებიც ამაყთა ყურადღებას იქცევენ, განსხვავებულია, ვინემ უბრალო ქათინაური, და დახვეწილ მოაზროვნეთაც მოინადირებს.

ამასთან, ჟუანი ლამაზიც იყო; ეს კი **Nem. con.**-ია ქალთა შორის, რაც, ვნუხვარ, **crim.con.**-ში გადაიზრდება ხოლმე დაქორწინებულებში, თუმცა ეს საქმე მსაჯულთ დავეუტოვოთ, რადგან გადახვევებით ძალზე გადავაჭარბეთ.

ჩვენ ხომ ძველთაგან ვიცით, გარეგნობა მაცდუნებელიაო, და ყოველთვის ასე ყოფილა, რომ შთაბეჭდილება კარგ წიგნებსა სჯობს.

აურორა, ვინც წიგნებში უფრო იყურებოდა, ვინემ სახეებში, ძალზე ახალგაზრდა გახლდათ, თუმცა ძალზე გონიერიც, და მინერვას უფრო ეთაყვანებოდა, ვინემ გრაციებს, განსაკუთრებით ნაბეჭდ ფურცელზე გამოსახულს. მაგრამ სიქველე, მთელი თავისი შემბორკავი თოკებით, მკაცრ მოხუცებშიც კი ვერ ძლებს ბუნებრივად; და სოკრატეც, ეს მოდელი პასუხისმგებლობისა, მართალია ფრთხილად, მაგრამ მაინც ეთაყვანებოდა მშვენიერებას.

და თექვსმეტი წლის გოგონები სწორედ რომ უმანკოდ სოკრატესებურნი არიან; და მართლაც, თუ ეს დიადი ატიკელი ბრძენი, სამოცდაათი წლისა, ასე ოცნებობდა, რასაც პლატონი დრამატულად გვიჩვენებს თავის დიალოგებში, ვერ ვიგებ, რატომ დაეგმობათ ქალწულთ, ოღონდ, ცხადია, ყოველთვის მოკრძალებულად; ყურადღება მიაქციეთ, მიმაჩნია, რომ ეს „*sine qua*“.

დააკვირდით, აგრეთვე, რომ დიდი ლორდ ქუკივით (იხ. ლიტლტონი) როს ორ თვალსაზრისს გამოვთქვამ, რაც, ერთი შეხედვით, ორი საპირისპირო აზრია, მეორე ყოველთვის უმჯობესია. ალბათ მესამე შეხედულებაც მომეძევება, კუთხეში მიმალული, ან არც გამაჩნია, და უიღბლო ხუმრობა გამომივიდა; მაგრამ თუკი მწერალი სავსებით თანმიმდევრული იქნებოდა, ვით შეძლებდა გამოეხატა არსებული საგნები?

თუ ხალხი ერთმანეთს ენინააღმდეგება, მე ვით შევძლებ არ შევენინააღმდეგო ყველას და თვით საკუთარ სიმართლის მთქმელ თავს? მაგრამ ტყუილია; აროდეს მოვქცეულვარ ასე და არც აროდეს მოვიქცევი; ვითარ იქნება? ვინც ყველაფერში დაეჭვებულია, ვერას უარჰყოფს; სიმართლის შადრევანი ეგებ კამკამაა, მაგრამ მდინარე ტალახიანია და დაპირისპირებათა არხებში გავლისას ხშირად უწევს თხზულების გზით გავლა.

აპოლოგია, თქმულება, პოეზია და იგავ-არაკი სიცრუეა, მაგრამ სიმართლეს შეიძლება გვამცნონ, ოღონდ მათ, ვინც კარგ ნახნავში თესავენ.

საოცარია, რაც იგავ-არაკით გადმოიცემა! ამბობენ, რეალობა უფრო ასატანი ხდებაო; მაგრამ რა არის რეალობა? ვინ მოუძებნის გასაღებს? ფილოსოფია? ვერა: ძალზე ბევრს უარჰყოფს. რელიგია? დიახ; მაგრამ რომელი მთელ ამ სექტათაგან?

ცხადია, მრავალი მილიონი შესაძლოა ცდებოდეს; ან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ყველა მართალია.

ღმერთო გვიშველე! ამიტომაც საჭიროა ჩვენს წინსვლას წმიდა შუქურები უნათებდნენ გზას კამკამით.

დროა გამოჩნდეს ვინმე ახალი წინასწარმეტყველი, ან ძველმა შეაგულიანოს კაცი ახალი ხედვით.

შეხედულებანი ცვდება ათასობით წლის მანძილზე, თუ მცირე განახლებანი არ შეეშველება.

აჰა, კიდეც — ნეტა რატომ ვიხლართები ამ მეტაფიზიკაში?

არა მძულს რა ისე, ვით ყოველნაირი კამათი; და ეს დაუდევრობა მჭირს და ჩემი ბედიც ასე მიდის, ყოველთვის თავს ვურტყამ რომელიმე კუთხეს, წარსულისა იქნება, ანმყოსი და მომავლის ყოფისა. თუმც სიკეთეს ვუსურვებ ტროელსაც და ტვიროსელსაც, მე ხომ ზომიერ პრესვიტერიანელად აღვიზარდე.

და თუმც თავშეკავებული თეოლოგი ვარ და მოკრძალებული მეტაფიზიკოსიც, არ ვერევი ტვიროსელთა და ტროელთა კამათში, არ ვებძები ელდონსა და გიჟების კომისიას... პოლიტიკაში ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ჯონ ბულს დავანახო თუ რა ხდება, დავანახო სოფლის დაცემული ყოფა. ამ დროს სისხლი მიდულს, ვითარცა ჰეკლას წყაროები, იმის ხილვისას,

თუ ვით ითმენენ ადამიანები ხელისუფალთა მიერ კანონის დარღვევას.

ხოლო პოლიტიკოსები, პოლიტიკა და ღვთისმოსაობა ის თემებია, რომლებიც დროდადრო შემომაქვს, და არა მრავალფეროვნების, არამედ ზნეობის დასახმარებლად; რადგან ვალად მაძევს, შევმოსო საზოგადოება, სიბრძნით გამოვტენო ეს ნორჩი ბატი.

და ახლა, რაკი შევძელით ყველანაირი მატერიალური გემოვნება დაგვეკმაყოფილებინა, ვაპირებ ვცადო და ზებუნებრივსაც შევბედო.

მაგრამ ან თავს დავანებებ დასაბუთებას, და ამის მერე ვერარა ცდუნება „ველარ გამასულელებს უკიდურესობამდე;“ დიახ, შევუდგები სრულ გარდაქმნას.

მართლაც რომ ვერა გამიგია, თუ რას გულისხმობს ხალხი, როს მიიჩნევს, რომ ჩემი მუზის საუბარი საშიშია; ვფიქრობ, ისეთივე უვნებელია, ვითარცა მავანი, ვინც უფრო მეტს შრომობს, ვინემ მოხიბვლა შეუძლია.

სასტიკო მკითხველო!

გიხილავს ოდესმე აჩრდილი? არა, მაგრამ გსმენია — მესმის — ნურას იტყვი! და ნუ დაგენანება დრო, რაც დაჰკარგე კითხვისას, რადგან ჯერ წინ გელის სიამე: და ნუ იფიქრებ, რომ ყველაფერს დავცინი და გამასხრებით ვაუფასურებ ყოველს, რაც ამაღლებული და იდუმალია, გარკვეულ მიზეზთა გამო ჩემი რწმენა ამ შემთხვევაში სერიოზულია.

სერიოზულიო? გაგეცინათ; — კი ბატონო, მე არ გავიცინებ; ან გულწრფელად გავიღიმებ და ან სულაც არა.

გეუბნებით, რომ მჯერა სულთა მოვლინებისა.

სად? ეს არ მახსოვს, რადგან მირჩევნია დავივიწყო, შესაძლოა შეადრწუნონ „აჩრდილებმა რიჩარდის სული“. მოკლედ, ამასთან დაკავშირებით ისეთივე შეშფოთება მიპყრობს, ვით ფილოსოფოს მალმსბერელს.

ლამე (მე ლამით ვმღერი, ხან ბუ ვარ და ხანაც ბულბული) ბნელია და ხმამაღალი კვილი ბრძენი მინერვას ფრინველისა გარს დამტრიალებს, ვით შეუნყობელი ჰიმნი; კედლებიდან პირქუშად

მომჩერებიან ძველი პორტრეტები — ზეცას ვევედრი, ასე დაუნდობლად ნუ მიმზერენ; ბუხარში ნახშირი ქრება — იმასაც ვფიქრობ, ასე გვიანობამდე არ უნდა შემოვრჩენილიყავ.

და ამიტომაც, თუმცა სრულებით არა მჩვევია დღისით გართმევა — მაშინ, როს სხვა საფიქრალი მიტრიალებს, თუკი საერთოდ ვფიქრობ — გეუბნებით, შუალამის გამყინავი ცახცახი მიპყრობს და კეთილგონივრულად გადავდებ ხოლმე შუადღემდე ამ საქმეს, რაც, ვაჰ! აჩრდილებს მოუძღვის; და ვინემ ცრურწმენაში დამდებდეთ ბრალს, ჩემს მდგომარეობაში უნდა ჩადგეთ.

სიცოცხლე ვარსკვლავივით დალივლივებს ორ სოფელს შუა, ღამესა და დილას შორის ირხევა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე.

რაოდენ ცოტა ვიცით ჩვენი არსებობის შესახებ!

და კიდევ უფრო ცოტა, თუ რანი ვიქნებით!

დროის მარადიული ტალღის მოქცევა გაფანტავს ჩვენს ბუშტუკებს; ძველი გასკდება და ახალი გაჩნდება საუკუნეთა ქაფიდან;

ასე იცვლებიან ნარმავალ ზვირთებივით იმპერიათა სასაფლაონი.



თავი მეთექვსმეტე ბერის აჩრდილი

ანტიკური სპარსელნი სამ სასარგებლო რამეს ასწავლიდნენ — მშვილდის მოზიდვას, მხედრობასა და სიმართლის თქმას.

ესეც მეთოდი კიროსისა, მეფეთა შორის უკეთესისა, და ეს მეთოდი მას შემდეგ თანამედროვე ახალგაზრდობამაც შეითვისა. მათ საზოგადოდ ორსაბამიანი მშვილდი აქვთ; ცხენთა დაუნდობელი და სასტიკი ჭენება იციან; სიმართლის სათქმელად ალბათ ჭკუა არა ჰყოფნით, მაგრამ მოხრა ახლა უკეთ იციან, ვინემ ოდესმე.

ამ მიღწევისა თუ ნაკლის მიზეზის — „რადგან ეს შედეგი ხარვეზიანი ხდება მიზეზით“ — გარკვევისათვის დრო არ გამაჩნია; მაგრამ ის კი შემიძლია ვთქვა ჩემივ თავის საქებრად, რომ ყველა მუზიდან, რაც კი მახსოვს და რაც უნდა ნაკლი და ცოდვა მოეძევაოდეთ, ზოგიერთ შემთხვევაში ჩემი ყველაზე მეტადაა დაშორებული წინააღმდეგობებს, და ყველაზე ნრფელია, რაც შემხვედრია თხზულებებში.

და რადგან ყველაფერს ეხება და უკან აროდეს იხევს, ამ ეპოსში იქნება გაუვალი ტყე ყველაზე უჩვეულო აზრთა და ხატთა, რასაც სხვაგან სულ ტყუილად დაუნყებ ძებნას. მართალია მწარეც გამოერევა ტკბილში, და მაინც, ისე შეუმჩნევლად შეერევა, ჩივილის შესაძლებლობა არ მოგეცემა.

და მართლაც მცირედაა ჩემს ამბავში, რაც გახლავთ „*De rebus cunctis et quibusdam aliis*“.

მაგრამ ყველა იმ სიმართლიდან, რაც მუზამ მიაძბო, ყველაზე მართალი ის არის, რის მოყოლასაც ახლა აპირებს.

გითხარით, ეს ამბავი აჩრდილის შესახებაა-მეთქი, და რა მერე? მარტოდენ ის ვუნყი, რომ ასე მოხდა.

გამოგიკვლევიათ საზღვრები იმ ნაპირისა, სად დედამიწის ყველა მოსახლე უნდა დაბინავდეს?

დროა დავადუმოთ ის სკეპტიკოსი არარაობანი, რომელთაც არა სჯერათ კოლუმბისა.

მავანნი ალბათ ავტორიტეტებს მიმართავენ და დაიმონმებენ ტურიზინის ან ჯეფრი მონმუთელის ქრონიკებს; ავტორთ, რომელთა ისტორიული უპირატესობაც სწორედ რომ სასწაულებითაა განპირობებული.

უპირველეს ადგილზე დგას ნმიდა ავგუსტინე, ვინც ადამიანებს სთხოვს ირწმუნონ შეუძლებელი, რადგან ასეა სინამდვილეში. და ვინც საწინააღმდეგოს ჯღაბნის, უნდა მოეშვას თავის „*quia impossibile*“-ს.

და ამიტომაც მოკვდავნი სულაც არა ჭირვეულობენ; სწამთ: თუ წარმოუდგენელია, უნდა დაიჯერო, — ხოლო თუ შეუძლებელია, ვალდებულიც ხარ, დაიჯერო; ყოველთვის უმჯობესია ნდობა შეგეძლოს.

მე არ ვმკრეხელობ, ოდეს ვიხსენებ ნმიდა მისტერიებს, რასაც ბრძენნი და სამართლიანნი ევანგელედ სახელდებენ, და რაც, ვით ყველა სიმართლეს სჩვევია, მითუფრო იდგამს ფესვებს, რაც მეტად ეკამათებთან.

იმავეს თქმა მინდა, რასაც ჯონსონი ამბობდა, ყველა ხალხს რომ სჯეროდა, ექვსი ათას წელიწადში ერთხელ მიცვალებულთა სამყოფელიდან დროდადრო სტუმარი მოდისო; და საკვირველი ის არის ამ საოცრებაში, რომ რაც უნდა უარჰყოს გონებამ ამგვარი რწმენა, არის რალაც უფრო ძლიერი, რაც მას ამაგრებს, და დაე უარჰყონ რამდენიც ნებავთ.

სადილი და წვეულება მოთავდა, ვახშამიც განიხილეს, ქალბატონები იწონებდნენ, მოქეიფენი გაიკრიფნენ ერთიერთმანეთის მიყოლებით, სიმღერა შეწყდა, ცეკვა დასრულდა; და შემორჩენილი კაბებიც გაშრიალდნენ, ვით ხავერდოვანი ღრუბლები ქრებიან ციდან, და აღარა ანათებდა დარბაზს, გარდა მიმქრალ სანთელთა და ფანჯრებიდან მომზირალი მთვარისა.

მხიარული დღის დასრულება ბოლო ჭიქა შამპანურსა ჰგავს, ის ქაფი რომ გამოლევია, რაც სიცელქით აღავსებდა; ან რომე-

ლიმე სისტემას, ეჭვი რომ დაძმობილება; ან სოდიანი წყლის ბოთლს, შუშხუნა ბუშტები რომ ამოქარვია და სული გასცლია; ან ზღვას, რომელიც ქარიშხლებს მიუტოვებიათ და უძრავად დაშენილს ქარიც ველარ აღძრავს.

ან თრიაქსა ჰგავს, რომელს მღელვარე მოსვენება მოაქვს, ან ვერც მოაქვს; ან ჰგავს — არასა ჰგავს ჩემთვის ნაცნობს, გარდა საკუთარი თავისა; ასეთია ადამიანის გული; საგანი, რომლის მსგავსიც არა დაიძებნება რა, — ისევე ვითარცა ტვიროსელთა წითელი მოსასხამის ფერისა, დღესაც რომ ვერვინ იტყვის, რისგან იღებდნენ — მოლუსკისა თუ ჭიაფერისაგან.

დაე ასევე ნაწილ-ნაწილ გამქრალიყოს ტირანთა მოსასხამებიც.

რაუტისა თუ ბალისათვის ჩაცმის შემდგომ მეორე უბედურებად გახდა გაგვიხდა; ჩვენი საშინაო ხალათი ნესოსის სამოსივით შემოგვეხვევა და ქარვისფრად ყვითელი, მაგრამ ნაკლებ გამჭვირვალე ფიქრები გვეწვევა.

— დღე დავკარგე! — წამოიძახა ტიტუსმა და ყველა იმ ღამეთა და დღეთაგან, რაც ადამიანებს ახსოვთ (ორივე მახსოვს და ზოგი არცა მძულს), ნეტა რამდენზე იტყვიან, დღე მოვიპოვეო?

დასაძინებლად წასული ჟუანი თავს მოუსვენრად, დაბნეულად და გაცურებულად გრძნობდა: ფიქრობდა, აურორა რების თვალები უფრო კაშკაშებენ, ვინემ ადელაინმა დაახასიათაო (ასე სჩვევიათ დაახასიათება); ჟუანს რომ ნათლად სცოდნოდა საკუთარი მოვალეობა, ალბათ იფილოსოფოსებდა, რაც დიდი შემწეა ყველასათვის და არვინ უკუაგდება, ვისაც სჭირდება; მაგრამ ჟუანი მარტოდენ ოხრავდა.

ჟუანი ოხრავდა;

შემდეგი შემწე სავსე მთვარეა, რისკენაც მიემართება ყველა ოხვრა;

და ახლაც იღბალზე გამოჩნდა, უნაკლო დისკო ანათებდა ისე კანთიელად, ვით ამგვარ კლიმატშია შესაძლებელი; და ჟუანის გონებაც ისე მომართულიყო, უნდა მისჩერებოდა და ხოტბა შეესხა მთვარისათვის:

— ოჰ, შენ!

ვნებიანი ეგოტიზმით ტუიზმისა, რისი შემდგომი ახსნაც ტრუიზმი იქნებოდა.

მაგრამ მიჯნური, პოეტი ან ასტრონომი, მწყემსი თუ გაგ-რია, ვინც უნდა იყოს, რალაც აბსტრაქტულს განიცდიან, როს მთვარეს უმზერენ; დიადი აზრები იქიდან შთაგვესახვის (გარ-და იმ შემთხვევათა, ოდეს ცივა, თუ ჩემი შეგრძნებანი არა ცდებიან); ყველაზე დაფარულ საიდუმლოებებს ეუბნებიან მის მრგვალ ნათებას; იგი ამოძრავებს ოკეანის მოქცევას და მოკვ-დავთა ტვინებს და გულებსაც, თუკი ბალადები სიმართლეს ჰყვებიან.

ჟუანი რალაც სევდასა გრძნობდა და ფიქრისათვის უფრო განწყობილიყო, ვინემ ბალიშისათვის: გოტიკური ოთახში, სა-დაც დაბინავებულიყო, ქვევიდან ტბის ტალღათა ტყლაშუნი ისმოდა, და შუალამის წიაღში ჩასახული ყველა საიდუმლოსა-მებრ ფანჯრის ქვეშ ძენნა ირხეოდა (რა თქმა უნდა); იგი იდგა და შადრევანს გადაჰყურებდა, აჩქეფებულსა და ჩრდილებით ჩალუსკუმებულს.

მის სანერსა თუ საპირფარემო მაგიდაზე — გაურკვეველია, რომელი იყო (ამას იმიტომ ვაქცევ ყურადღებას, ვფრთხილობ, რათა ზუსტად აღვწერო ყველა წვრილმანი) — სანთელი ენთო, თვითონ კი კუთხეებს აწყდებოდა, სად ქვაში გამოკვეთილი თუ ფერადი მინებით მორთული მრავალი ორნამენტი შემორჩენი-ლიყო იმ დროიდან, ოდეს ჩვენი წინაპრები რთავდნენ თავიანთ დარბაზებს.

მერე, რაკი ღამე განათებულიყო, თუმც ციოდა, ოთახის კარი გადახსნა და დერეფანში გამოვიდა, რომელს პირქუში ჩრდილე-ბი დაუფლებოდა, გრძელი იყო და მორთული დიდად მნიშვნე-ლოვანი ძველი ნახატებით გმირ რაინდთა და სათნო ბანოვანთა, ვითარნიც უნდა იყვნენ უეჭველად მაღალი წარმოშობისანი. მაგრამ ცუდად განათებული პორტრეტები გარდაცვლილთა უბედური და შემადრწუნებელი აჩრდილებივით მოჩანდნენ.

სასტიკ რაინდთა აღნაგობა და წმიდანთა სახენი თითქო გა-მოაცოცხლა მთვარემ და როს წინ და უკან მისდევდი შენიც ნა-ბიჯთა მინავლულ ექოს, აკლდამებიდან თითქო ხმები გამოის-

მოდა და უჩვეულო ველური აჩრდილები გადმოდიოდნენ აქამდე მკაცრად დაცულ ჩარჩოთაგან, თითქო გეკითხებიან, თუ ვით გაბედე აქ ბოლთის ცემა, სად მიცვალებულთ სძინავთ?

და ბჭუტავდა ცაში მოკაშკაშე ვარსკვლავთა შუქში საფლავში მწოლიარე ლამაზმანთა მკრთალი ღიმილი, ხიბლი გარდასულ დღეთა; მათი დამარხული კულულები ჯერაც ირხეოდა ტილოებზე; მათი გამოხედვა ჩვენს ფიქრებს ჰგავდა ან რომელიმე ბნელი ქვაბულიდან მომზირალი თანატოლისა, ვისაც სიკვდილმა შემოჰხვია თვისი აჩრდილოვანი სხივები.

სურათი წარსულზე გვიყვება, თუნდ მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, წარსულზე იმისა, ვინც შეუცვლელი რჩება მასზე.

რაკი ჟუანი ცვალებადობაზე ჩაფიქრებულიყო ანუ მასპინძელ ქალბატონზე — ეს ერთსა და იმავეს გულისხმობს — და მისი ოხვრისა და ნაბიჯთა სევდიანი ხმის გარდა არა ისმოდა რა უძველეს სახლში; უეცრად გაიგონა ან მოეჩვენა, გავიგონეო, იქვე, ზებუნებრივი არსების ხმა, ანთუ თავვისა, პანია მღრღნელის ცუნცულ-შრიალი ჭერში შემფოთებით რომ შეამფოთებს ხოლმე ადამიანთა უმრავლესობას.

მაგრამ ეს არ ყოფილა თავვი, არამედ — ყური მიგდეთ!

ეს იყო ბერი, შავ ანაფორაში გახვეული, თავდახურული, კრიალოსანი ჩამოკონწიალებდა და კრთებოდა მთვარის შუქსა და ჩრდილებში, მძიმე, მაგრამ უხმაურო ნაბიჯით მოდიოდა, ოდნავ შრიალებდა მისი მოსასხამი; ისე მოძრაობდა, ვითარცა კუდიანი დები, ნელინელა, და როს ჟუანს გაუსწორდა, წამით შემოხედა გამყინავი მზერით.

ჟუანი გაქვავდა;

სმენოდა მითქმა-მოთქმა ამ უძველეს დარბაზებში ამდაგვარი სულის არსებობაზე, მაგრამ უმრავლესობასავით ფიქრობდა, მარტოდენ ჭორებითააა ეს გადმოცემა ნაკვებიო, შემორჩენილი ცრუმორწმუნეობით გამოჭედილიო, რომელსაც აჩრდილი მიმოქცევაში შემოაქვს ვითარ ოქრო, იშვიათად რომ ჩნდება ქალაქდთან შედარებით.

და მართლაც იხილა?

თუ კვამლი იყო?

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ აიარ-ჩაიარა ამ ჰაეროვანმა, მიწიერმა თუ ზეციურმა, თუ სხვა ადგილიდან მოსულმა რალაც არსებამ; ჟუანი თვალს არ აშორებდა, მაგრამ არც ლაპარაკი შეეძლო და არც განძრევა; ქანდაკივით გაშეშებულიყო; თმა ჩამოშლოდა და გველებივით შემოხვეოდა სახეზე; სურდა ხმა ამოელო და ეკითხა ამ ღირსი პიროვნებისათვის თუ რა სურდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მესამედაც ჩაიარა აჩრდილმა, მაგრამ საით წავიდა?

დერეფანი გრძელი იყო და ძნელი სულაც არ იქნებოდა გეფიქრა, ზებუნებრივ გაჭქრაო; კარი ბევრი დაეტანებინათ, რომლებშიც — ფიზიკის კანონთა კვალობაზე — მაღალი თუ დაბალი სხეული შევიდ-გამოვიდოდა, მაგრამ ჟუანმა ვერ დაადგინა, თუ რომელ კარში გაუჩინარდა მოჩვენება.

არ იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდა, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე იდგა ძალაგამოცლილი, მომლოდინე, თვალები იმ წერტილს მიშტერებოდა, სადით მოჩვენება გამოჩნდა; მერე ნელინელ მოიკრიფა ძალა და თითქო ძილიდან გამოერკვაო, მაგრამ ვერ ფხიზლდებოდა; გრძნობდა, თითქო იღვიძებდა, და თავის ოთახში დაბრუნება შეიძლო ნახევრად ძალამოკრეფილმა.

იქ ყველაფერი ისე იყო, ვითარ დატოვა, სანთელი ენთო, და ენთო კანთიელად, მოკრძალებულად, ცისფრად კი არა, მგრძნობიარედ რომ ათამაშებს ხოლმე ჩრდილებს; თვალნი მოიფშვნიტა, და მათ იცნეს ოთახი, ძველ გაზეთს წამოავლო ხელი, აი ეს კი ადვილი იყო; წაიკითხა სტატია, რომელიც მეფეს ესხმოდა თავს, და გრძელი ხოტბა „ფეხსაცმლის გამპრიალებლისა“.

ამით ამქვეყანას მოუბრუნდა; მაგრამ ხელი კვლავ უცახცახებდა, კარი დაკეტა და კიდევ ერთი აბზაცის წაკითხვის შემდეგ, მგონი ჰორნ ტუკზე იყო, სამოსი გაიძრო და ნელა შეწვა ლოგინში. კარგად მოეწყო, ბალიშზე მისდო თავი, რასაც შეეფარა წარმოსახვის მოსაშორებლად, და თუმც ძილის წამალი არ მიუღია, თვლემა თანდათან მიეპარა და ჩაეძინა.

დროულად გამოეღვიძა და, ვით სავარაუდოა, თავის სტუ-

მარსა თუ ხილვაზე ფიქრობდა, და იმაზეც, ღირდა თუ არა გამ-
ხელა, და ცრუმორწმუნეობას ხომ არ დასწამებდნენ. და რაც
მეტს ფიქრობდა, მით უფრო შედიოდა ჩიხში; ამ დროს კი მსა-
ხურმა, დიდი სიზუსტით რომ გამოირჩეოდა, რადგან ბატონს
ლოდინი არ უყვარდა, დაუკაკუნა და აცნობა, ჩაცმის დროაო.

ჩაიცვა; ვითარ ყმანვილკაცთა უმეტესობას, მასაც უყვარდა
ჭირვეულობა ჩაცმისას, მაგრამ ამ დილით ძალზე ცოტა დრო
მონადომა, მალე გადადგეს გვერდზე მისი სარკე; კულულები
უნესრიგოდ ეყარა შუბლზე, სამოსიც ჩვეულად არ მოერგო,
ყელსახვევი გორდიას კვანძის ყაიდაზე გამოენასკვა და ცოტა
გვერდზე გადახროდა.

ქვევით ჩავიდა სალონში და ჩაფიქრებული მიუჯდა ჩაის, და
დიდხანს ვერც გაიგებდა, თუ რას სჩადიოდა, ჩაი ქაფქაფა ცხე-
ლი რომ არ გამომდგარიყო, რამაც აიძულა საშველად კოვზი-
სათვის მიემართა;

ისე დაბნეულიყო, ყველამ შეამჩნია და ადელაინმა — პირ-
ველმა, მაგრამ რა ხდებოდა, კარგად ვერ გამოიცნო.

რომ შეხედა და დაინახა, ფერმკრთალიაო, თვითონაც გა-
ფითრდა; მერე ნაჩქარევად დახარა თვალნი და რალაც ჩაიბუტ-
ბუტა, რაც ჩემს ნაამბობში მოსატანი არ არის.

ლორდ ჰენრიმ თქვა, ნაზუქს კარაქი აკლიაო;

ჰენცოგინია ფიც-ფალკი თავის პირბადეს აწვალედა, დაჟი-
ნებით მისჩერებოდა ჟუანს და არას ამბობდა.

აურორა რები კი მშვიდი გაკვირვებით ათვალეირებდა ჟუ-
ანს დიდი შავი თვალეებით.

და როს ყველამ შენიშნა და გაიკვირვა ჟუანის სიცივე და
დუმილი, მშვენიერმა ადელაინმა ჰკითხა:

— ავად ხომ არა ხართ?

ჟუანი შეხტა და უპასუხა:

— დიახ, არა, უფრო დიახ.

ოჯახის ექიმი დიდად გამოცდილი გახლდათ და, რაკი იქვე
იმყოფებოდა, მზადყოფნა გამოთქვა გაესინჯა პულსი და მიზე-
ზი დაედგინა, მაგრამ ჟუანმა მიუგო:

— არა მიჭირს რა.

„არა მიჭირს; დიახ... არა“ — ეს პასუხები იდუმალებით მოცულიყო, და მაინც ისე გამოიყურებოდა, ყველაფერი შეიძლება გეფიქრა, და მაინც ეგონათ, ბოდავსო; რალაც მზარდი სნეულება დაუფლებოდა მის სულს, თუმც სერიოზული არ უნდა ყოფილიყო; დანარჩენი კი, რაკილა თვითონ არ ინდომებდა გამჟღავნებას, უნდა ევარაუდათ, რომ თუკი რაიმე სჭირდებოდა, ექიმი ნამდვილად არა.

ლორდ ჰენრიმ, ვინც მანამდე კარაქის სიმცირე შენიშნა, ახლა შოკოლადის გემო განიხილა და თქვა:

— ჟუანი ვერ გამოიყურება წინანდებურად სიცოცხლით სავსედ, რაც გასაკვირია; არ უნვიმია და რანაირად გაცივდებოდა;

მერე ჰერცოგინიას ჰკითხა:

— მისი უგანათლებულებსობა ვითარ ბრძანდება?

ჰერცოგინიამ მიუგო:

— ოდნავ ანუხებს საგვარეულო სნეულება, ნიკრისის ქარი, სახსრებს რაც უხრავს არისტოკრატებს.

მერე ჰენრი ჟუანს მიუბრუნდა და ორიოდ სიტყვით სინანული გამოთქვა მისი მდგომარეობის გამო.

— ისე გამოიყურებით, — უთხრა მან, — თითქო თქვენი მოსვენება წუხელ შავ ბერს დაერღვიოს.

— რომელ ბერს? — რაც შეეძლო განონასწორებული, დაუდევარი და მშვიდი ხმით იკითხა ჟუანმა; მაგრამ მცდელობის მიუხედავად ვერ შეძლო დაემალა, რომ კიდევ უფრო გაფითრდა.

— ოჰო! შავ ბერზე არაფერი გსმენიათ? არაფერი გსმენიათ ამ სასახლის მოჩვენებაზე?

— სიმართლე გითხრათ, არა.

— ლეგენდა გვიყვება — თუმც ლეგენდები ხშირად ცრუობენ — უცნაურ ამბავს, რასაც მოგითხრობთ, თუმც უნდა გითხრათ, რომ ალბათ მოჩვენება მოკრძალებული გახდა, ან ჩვენ წინაპრებს უფრო მახვილი თვალი ჰქონდათ საჭვრეტად; ამ ამბის ნახევარსაც არ იჯერებენ, და ამ ბოლო ხანს ბერიც აღარ გამოჩენილა. სულ ბოლოს გამოჩნდა...

— გვედრებით, — თქვა ადელაინმა (ვინც დონ ჟუანის შუბლზე ცვლილება შენიშნა, და ყოველივედან შეძლო გამოეცნო,

რომ კავშირი ამ ლეგენდასთან ჟუანს მეტი ექნებოდა, ვინემ ჰენრი ვარაუდობდა), — თუ ხუმრობის გაგრძელებას აპირებთ, სხვა თემა შეარჩიეთ, რადგან ეს ამბავი მრავალჯერ თქმულა, და სულაც არ უმჯობესდება სიძველის გამოისობით.

— ხუმრობაო! — ბრძანა მილორდმა — კი მაგრამ, ადელაინ, ხომ გახსოვთ, რომ ჩვენ თვითონ თაფლობის თვეში, „ვნახეთ“...

— ჰო, კარგი, დიდი ხნის წინათ იყო; მაგრამ მოდი შენს ამბავს მუსიკა შევუნაცვლოთ.

და გრაციოზულად, ვითარცა დიანა, გადაიხარა და არფას დასწვდა, რომლის სიმებიც წამსვე აენტენენ, შეხებისთანავე, და დაიწყო დაკრა სევდიანი სიმღერისა „რუხი ორდენის ბერზე“.

— ლექსიც, ლექსიც, — წამოიძახა ჰენრიმ, — შენივე შექმნილი; ადელაინი ხომ პოეტიც გახლავთ.

შემობრუნდა და ღიმილით ამცნო სტუმრებს. ცხადია, სხვებმაც თავაზიანად ისურვეს მესამე ნიჭის წარმოჩენის მოწმენიც გამხდარიყვნენ, რადგან სამივე ერთად — ხმა, ლექსი შეთხზვა და არფის დაკვრის ოსტატობა — ისეთი რამაა, რასაც ვინმე ჩლუნგი ვერაგზით შეძლებს.

თავიდან მოხდენილად დააყოვნა, რაც კიდევ უფრო შვენიით მწყაზარ ქმნილებათ, რომელთაც, არც კი ვუნყი, რატომ უყვართ ასეთი მზაკვრობა, და მომხიბვლელმა ადელაინმა ჯერ ძირს დახარა თვალნი, მერე აღენტო, გამოცოცხლდა და ტკბილი ხმა თვისი საკრავის ბგერებს შეუერთა და სადად ამღერდა; ეს კი ისეთი ნიჭია, და იმდენად ძვირფასი, რამდენადაც იშვიათად ვისმენთ.

ფრთხილად! ფრთხილად! შავი ბერი, ნორმანულ ქვასთან ჩამომჯდარა, ლოცვებს ბუტბუტებს შუალამისას, წირვას ასრულებს გარდასულ დღეთა. ოდეს მთის ლორდმა ამანდევილმა, მოინადირა ნორმანული ტაძარი, და ბერები გამორეკა, ვერ განდევნა ერთი ბერი.

თუმც ძალა ჰქონდა მეფე ჰენრისგან მინიჭებული, დაუფლებოდა მონასტრის ქონებას, ხელში მახვილით და ჩირალდნით ცეცხლს დაანთებდა, თუკი უარს გაიგონებდა; ეს ბერი გადურ-

ჩა დევნასა და ჯაჭვს, და არც მინად გადაქცეულა, რადგან ჩნდება ტალანებში და ტაძარშიც ჩნდება, თუმც დღისით თვალს ვერ მოჰკრავთ.

მე ვერას გეტყვით კარგის და ავისას, მაგის არ შემწევს ძალა; მაგრამ კვლავ ამენდევითა სახლშია დღისითაც და ღამითაც. ლორდთა ქორნილის სარეცელს დასტრიალებს ჯვრისნერის ღამეს; და ბედისწერასავით მიეახლება სიკვდილის სარეცელს და არა მწუხარე სახით.

გლოვობს, როს მემკვიდრე იზადება, და თუ დაცემის ჟამმა დაჰკრა ამ უძველესი გვარისა, მთვარის შუქზე მთლად დაივლის დარბაზებს. მის დანახვას კი შეიძლებთ, მაგრამ სახეს თვალს ვერ დაჰკრავთ, მოსასხამით დაბურულს; თვალეები გამოკრთება სიღრმიდან გარდასული სულისა.

ფრთხილად! ფრთხილად! შავი ბერი ჯერაც დაბორიალობს, მემკვიდრეა ეკლესიის, თუნდაც დაქცეულია. ამანდევითი დღისითაა ბატონი, ღამით კი ბატონობს ბერი; ვერც ღვინო და ვერც არაყი ვერ გააბედინებს ყმას, შეედავოს ამ უფლებას ბერისა.

უთხარი რამე, როს ტალანში ჩაივლის, და ისიც მოგიგებს რამეს, გაისრიალებს მტვრიან მოსასხამში გახვეული, ვითარცა ბალახზე გადივლის ნამი. მერე გრამერსი! შავი ბერისათვის; ღმერთმა დალოცოს, ნათელია თუ ბნელი! და რა ლოცვებსაც უნდა ბუტბუტებდეს, ჩვენ ვილოცოთ სულისა მისისათვის.

ქალის ხმა შეწყდა, მღელვარე სიმები დადუმდნენ, რადგან აღარვინ არხედათ; ამას პაუზა მოჰყვა, რაც სიმღერის დასრულებას ახლავს, მსმენელნი წუთით დუმილს არჩევენ, და შემდეგ რა თქმა უნდა აღფრთოვანებას გამოხატავენ, ტაშს უკრავენ, რასაც თავაზიანობა მოითხოვს, მუსიკის, გრძნობის, შესრულების გამო, შემსრულებელი კი დარცხვენილი და დაბნეულია.

მშვენიერი ადელაინი თითქოსდა დაუდევრად მიიჩნევა თავის შემოქმედებას, მარტოდენ უქმ დროსტარებად, ამით გარკვეულ მიზანს ისახავდა, რაც თითქოსდა არც უნდა გამოაშკარავებულყო, თუმც სინამდვილეში სწორედაც საჩვენებლად სჩა-

დიოდა და სხვა ამგვარ წარმოდგენებზე ქედმაღლურად ილიმებოდა, რითაც ცხადყოფდა, თუ ვინმეს ძალუძს, მეც შემიძლიაო.

ეს ამბავი (განზე ვთქვათ, ჩურჩულით) ჰგავს — მომიტევეთ პედანტური ილუსტრაცია — პლატონის სიამაყის გათელვას უფრო დიდი სიამაყით, ერთხელ ცინიკოსმა რომ ჩაიდინა; ეგონა, ხალიჩის დახვევით ბრძენს გულს მოუუკლავ ან ფილოსოფიურ ვნებებს ავუშლიო, მაგრამ „ატიკურმა ფუტკარმა“ სწორედაც რომ სიმშვიდით უპასუხა და კმაყოფილიც დარჩა.

სწორედ ასე დაჩრდილავდა ხოლმე ადელაინი (თუ მოინდომებდა, იოლად გამოსდიოდა, დაეჩრდილა დილეთანტთა ზეიმი და აღტაცება) იმგვარ ვაიპროფესიონალიზმს, რაც — ძალზე ხშირად წარმოჩენილი — დიდ აღფრთოვანებას იწვევდა; ამის შესახებ ხომ ყველას მოეხსენება, ვისაც მოუსმენია მისს მავანისა თუ ლედი მავანისათვის, წვეულებისა და დედის დასატკბობად რომ შეუსრულებიათ.

აჰ! გრძელ საღამოთა დუეტები და ტრიოები! აღფრთოვანებანი და განხილვანი! „Mamma Mia“-ები! და „Amor Mio“-ები, „Tanti palpiti“-ებიც ამგვარ შემთხვევათათვის: „Lasciami“-ები და მოცახცახე „Addio“-ები! ამ ჩვენს ყველაზე უფრო მუსიკალურ ერში; პორტუგალიური „Tu mi chamas“-ით ყურით დატკბობაც რომ დაემატება, თუ იტალიური მოგვებზრდება.

ბაბილონის არიები იქნებოდა თუ მშობლიური ბალადები მწვანე ერინისა თუ რუხი მთებისა, რომელნიც ძველ ლოხაბერს წარმოგვისახავენ კანთიელად და ვხედავთ შორს ატლანტის ოკეანის კუნძულებს და გვესმის მომაჯადოებელი მუსიკა, რაც მთიელს აფიქრებინებს, ჰადაჰა, მთებს მივატანეო;

ადელაინი ეგებ სხვაში არა, მაგრამ მარჯვედ დახელოვნებულიყო ამგვარ რამეებში, გალექსვაშიცა და კომპოზიციაშიც.

„ლურჯი“ ფერიც დაჰკრავდა მის განწყობილებას, ლექსებს თხზავდა და მეტიც შეეძლო, ხანდახან ეპიგრამებსაც აგვირისტებდა თავის მეგობრებზე, რაც ყველას სჩვევია, მაგრამ ლურჯი ფერმკრთალდებოდა და, განსაკუთრებით ბოლო დროს, განზე განუდგებოდა; იმდენად სუსტი იყო, პოუპი დიდ პოეტად მიაჩნდა, და რაც უარესია, არ რცხვენოდა ამის განცხადება.

აურორა — რაკი გემოვნებას შევეხეთ, ამ თერმომეტრს, რისი გრადუსის მიხედვითაც ხარისხებიან ხასიათები — უფრო შექსპირელი იყო, თუ არ მეშლება რაიმე. იგი ამ შემაშფოთებელი და ამაოებით აღსავსე სოფლის მიღმა იყურებოდა და იქ ცხოვრობდა, იმ ღრმა გრძნობებში, უსაზღვრო და უღრმეს ფიქრებში, მაგრამ მდუმარეც იყო, ვით უსაზღვროება.

ასეთი არ გახლდათ გრაციოზული, მშვენიერი და სათნოებას-მოკლებული, მისი უგანათლებულესობა, ზრდასრული ჰებე, ფიც-ფალკი, ვისი გონებაც, თუკი მოეპოვებოდა, სახეზე აღბეჭდოდა და სწორედ ამით იყო მომაჯადოებელი. ცხადია, საშიშროებაც მოჩანს იქავე, მაგრამ რას დავეძებთ; ასეთი გემოვნებიანი ქალები ხომ ასე იშვიათია, შიშიც რომ ახლავთ, მაგრამ ზეცასაც გაზიარებენ.

არა მსმენია რა მისი პოეტურობის შესახებ, თუმც ერთხელ უნახავთ, „ბათის ცნობარს“ რომ კითხულობდა, და ჰეილის „ტრიუმფებსაც“, რაც პათეტიკურად მიიჩნია, მეტისმეტად გადამღალაო, უთქვამს, რადგან ეს ბარდი ისეთი წინასწარმეტყველი გამომდგარა, მთელი მისი პატარძლობის შემდგომი განცდები უჩვენებია; პოეზიიდან მისადმი მიძღვნილი ლექსები უყვარდა და კიდევ — გართიმვაში გაჯიბრება.

ძნელი სათქმელია, თუ რა მიზანი ჩაეთქვა ადელაინს, როს ეს ბალადა იმღერა; ეგებ ჟუანის დამშვიდება სურდა, ან ეგებ მისი გამხიარულება და მოსალოდნელი მღელვარების დაძლევაში დახმარება; ან ეგებ სულაც პირიქით, სურდა მასში მღელვარება გაეძლიერებინა, თუმც რატომ უნდა ჩაედინა ეს, ვერ ვიტყვი, ყოველ შემთხვევაში ამ წუთას არ ვიცი.

მთავარი და სასწრაფო შედეგი კი ის უნდა ყოფილიყო, რომ ჟუანს გონება მოეკრიფა, ეს აუცილებელი რამაა რჩეულთათვის, ვისაც სურს, თავისი ქცევა საზოგადოების ქცევას შეუთავსოს; აქ ძალზე ფრთხილი ვერ იქნებით, ვერც ხუმრობაში დაიცავთ ზომას და ვერც სათნოებაში, მაგრამ უახლესი ფარისევლობის მოსასხამი კი უნდა მოისხა, ან გადიტანო შენტვის უსიამოვნო ჯინოკრატია.

სწორედ ამიტომ ჟუანმა გონს მოსვლა დაიწყო და ბევრი ახსნა-განმარტების გარეშე ოხუნჯობას შეუდგა ამ და სხვა ამგ-

ვარ თემებზე. მისი უგანათლებულესობის მეუღლემაც მიჰბაძა და სხვადასხვაგვარ მსგავს შემთხვევათა ჩამოთვლა იწყო, და მოისურვა უფრო დანვრილებითი ამბები მისტიკური ბერის უცნაურ საქმეებზე, ამ ოჯახის სიკვდილებსა და ხათაბალებზე.

ყოველივე ამაზე ცოტა თუ ეტყოდა მეტს, რაც უკვე ითქვა; ისე ჩაატარეს, ვითარცა ხდება ხოლმე, ზოგმა ცრუმორწმუნეობა უწოდა, სხვებმა კი, ვინც უფრო მეტად შეზარა და ჩააფიქრა ამ თემამ, ნაწილობრივ ნდობაც კი გამოუცხადეს ამ უცნაურ ტრადიციას; ბევრი ისაუბრეს და იმსჯელეს მასზე; მაგრამ როს ჟუანს ჩაეკითხნენ, ხომ არ გინახავსო (თუმც თვითონ არ უღიარებია), მიედ-მოედო და ბუნდოვნად უპასუხა.

მერე მოშუადღევდა კიდეც და კრებული დასაშლელად მოემზადა; ზოგი თავის გასართობს დაუბრუნდა, ან უქმად იჯდა, ზოგი ფიქრობდა, ადრეაო, ზოგიც — დაგვიანდაო. ზოგი კაი რბოლის სანახავად გაეშურა, მწევრები უნდა გაეჯიბრებინათ ძველი ჯიშის ახალგაზრდა დოლის ცხენისათვის, რომელსაც გაზაფხულის რბოლებისათვის ამზადებდნენ;

რბოლის ნახვა ბევრმა ისურვა.

ნახატების გამყიდველიც გამოჩნდა, ტიცვიანის ნახატი ჰქონდა გასაყიდად, ირწმუნებოდა, ნამდვილიაო. ისეთი ძვირფასი იყო, ყიდვა არც შეიძლებოდა, თუმც უფლისწულნი გარს ეხვეოდნენ მფლობელს. თვით მეფესაც კი სურდა შეძენა, ფასის დაკლებას სთხოვდა, მაგრამ იფიქრა, სამოქალაქო შემოსავალი რაც შესდიოდა (რითაც თავის ქვეშევრდომთათვის დიდ წყალობას იღებდა), ძალზე მცირე იყო, თუნდ დაბალგადასახადიანობის დროსაც.

მაგრამ რაკი ლორდ ჰენრი მცოდნე გახლდათ და მეგობარი მხატვართა, თუ მხატვრებისა არა, ნახატის მფლობელი, კლასიკური და წმინდა მოტივებით აღბეჭდილის, სულაც შემწირველი იქნებოდა და არა გამყიდველი, ასე ლარიბი რომ არა ყოფილიყო; და ისეთ დიდ პატივად მიაჩნდა ლორდის მფარველობა, ხელოვნების ნიმუში გასაყიდად კი არ მოეტანა, არამედ განსასჯელად შეუმცდარ თვალთა წინაშე.

თანამედროვე გოთიც აქ იმყოფებოდა, ვგულისხმობ გოთურ კირითხუროს ბაბილონისა; არქიტექტორი ეწოდებოდა; მოსუ-

ლიყო რუხ კედელთა შესამონმებლად, რომელნიც, თუმც სქელნი, შესაძლოა დროთა განმავლობაში მცირედ დაზიანებულიყვნენ; და რომ გადაჩხრიკა სააბატოს სქელი თუ თხელი კედლები, გეგმა წარმოადგინა ზუსტად ასეთ ახალ შენობათა აგებისა და ძველის დანგრევისა და ამას უწოდებდა რესტავრაციას.

ფასი უმნიშვნელო, — „ძველ სიმღერასავით” სულ რამდენიმე ათასი (მძიმე ტვირთი კია, როს გამუდმებით ერთ მოტივს ჩაგზუზუნებენ ყურში) — და დანახარჯი მსწრაფლ ანაზღაურდებოდა, ოდეს წამოიმართებოდა ახალი შენობა, მყარცა და ბრწყინვალეც, რითაც ლორდი ჰენრის კარგი გემოვნების ამბავი კიდევ უფრო გახმაურდებოდა და განითქმოდა, საუკუნეთ გაანათებდა ინგლისური ფულით წარმოჩენილი გოთური მისწრაფება.

აქ იმყოფებოდა ორი იურისტიც, გირავნობის საკითხებზე მომუშავენი; ლორდ ჰენრის ახალი ქონების შექენა სურდა და სასამართლო წარმოების დაწყებას აპირებდა მიწის მფლობელობის გადასახადსა და კიდევ — საეკლესიო მეთედზე, რაც სწორედაც რომ უთანხმოების ნაპერწკალია, რელიგიას ცეცხლად რომ ექცევა ხოლმე, როს სკვადრები „აიშვებენ და ბრძოლას იწყებენ ეკლესიის წინააღმდეგ”;

არ გამოგვრჩეს საპრიზო ხარი, საპრიზო ღორი და გუთნისდედაც არ დაგვაგინყდეს, რადგან ჰენრი ცოტ-ცოტა საბინელობასაც იჩემებდა.

მერე მოიყვანეს ორი ბრაკონიერი, რკინის მახეთა დაგებისას დაჭერილი, გამოსასწორებელი საპატიმროსათვის გამზადებულნი; აქვე სოფლელი გოგოც იმყოფებოდა — თავდახურული და ალისფერ მოსასხამში გახვეული (მძულს ამგვარი სანახაობა, მას შემდეგ, რაც... რაც სიყმანვილეში სამნუხარო შეცდომა ჩამიდენია... და კიდევ კარგი, მას შემდეგ სამრევლო გადასახადს ვიხდი); ალისფერი მოსასხამი, ეჰ! თუ უხეშად შემოხსნი, საჭირბოროტოდ დაინახავ დაორსულებულს.

საიდან მოხვდა კოჭი ბოთლში, საიდუმლოა, აბა ვინ იტყვის, ვით უნდა ჩადო და ამოიღო; ამიტომაც ბუნებისმცოდნეობის საკითხებს იმათ ვუტოვებ, რომელთაც ეჭვების გაფანტვა უყვართ; აქ კი ჩვეულებრივი გარემო იყო და არა კონსისტორია,

ლორდ ჰენრი მსაჯული გახლდათ და ორდერით აღჭურვილმა კონსტებლმა კანონდამრღვევნი მემამულეს წარუდგინა.

ჰო, მომრიგებელმა მსაჯულებმა ყოველი უნდა განსაჯონ, ყველანაირი დანაშაული, და დაიცვან სასოფლო ცხოვრება იმათ ხუშტურთაგან, რომელთაც ნებართვა არ გააჩნიათ ნადირობისა, და სხვა ყოველიც, გარდა იჯარისა და მეთაედისა, რადგანაც ამის მოწესრიგება მართლაც ძალზე ძნელია; კაკბე-ბიც უნდა დაიცვან და კობტა გოგოებიც, აი ეს კი დამაბნეველია ყველაზე უფრო წინდახედულ სამსჯავროსთვისაც.

ეს ბრალდებული მეტისმეტად გაფითრებულიყო, თითქო საღებავით გაუთეთრებიათო; ღანვები ბუნებრივი სინითლით უღვიოდა; ჩვენი მაღალი საზოგადოების ქალბატონთა ლოყები თეთრია, როს ლოგინიდან ახალნამომდგარნი არიან. ალბათ გოგონას რცხვენოდა უზნეობის გამოჩენისა, საბრალო სული! სოფელში დაიბადა და გაიზარდა, მორალისა იმაზე მეტი არ გაეგებოდა, რამდენიც თეთრი ფერუშმარილისა — რადგან განითლება რჩეულთა ხვედრია.

შავ, კრიალა, დაბლა დახრილ და მაინც ეშმაკურ და ცელქ თვალთა კუთხეებში ცრემლი დაჰგროვებოდა, რის შესრობასაც ლამობდა საბრალო, რადგან სანტიმენტალური მგლოვიარე არ გახლდათ, თავიანთ გრძნობებს რომ გადმოჰფენენ, არც იმდენად ამაყი, რომ ათვალნუნებით შეეხედა ამთვალნუნებელთათვის, არამედ იდგა, ცახცახებდა, ჭირის გაძლებას ლამობდა, რაც გამოსაცდელად მოვლენოდა.

სტუმართა ჯგუფები, ცხადია, აქეთ-იქით გაფანტულიყო, არცთუ მოშორებით ქალბატონთა მხიარულ სალონებში შეკრებილიყვნენ. ვექილები კაბინეტში ისხდნენ; საპრიზო ღორი, გუთნისდედა და ბრაკონიერები კარში იყვნენ; ქალაქიდან ჩამოსულნი — ანუ არქიტექტორი და ვაჭარი — მეტად დაკავებულნი ბრძანდებოდნენ (ვით კარავში მყოფი გენერალი, დეპეშებს რომ წერს) და თავიანთ სამყოფელში ეგზალტირებულ ფიქრებს მისცემოდნენ.

მარტოდენ ეს საბრალო გოგონა დაეტოვებინათ დიდ დარბაზში, ვინემ კონსტებლი, სამრევლოს ზნეობის მცველი, მსჯე-

ლობდა ორმაგი ელით სავსე დიდ კათხასთან (სძულდა, ლუდი თუ „მცირე“ იყო) განმარტოებული. გოგონა კი ელოდა, თუ როდის ინებებდა სამართალი საკადრისი მიეზლო მისი სიფერმკრთალისათვის, და მზად იყო ჩამოეთვალა ყოველი, გარდა იმისა, რაც ყველა ქალიშვილს უჭირს — დაესახელებინა ბავშვის მამა.

ლორდ ჰენრის საკმარისზე მეტი საქმე დაგროვებოდა, აქეთ ძაღლები, იქით ცხენები, დიდ განამანიაში იყო და კიდევ ერთი ნადირობისათვის ემზადებოდა; ამასთან, ვითარცა მისი მდგომარეობა და თანამდებობა მოითხოვდა, და რაც სავალდებულოა დიდ მემამულეთათვის, „საჯარო დღეებიც“ უნდა ჰქონოდა, როს ყველა უნდა დაეპატიჟა საქეიფოდ, თუმცე ეს მთლად ის არ ყოფილა, რასაც „ღია კარს“ უწოდებენ.

მაგრამ კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ დაუპატიჟებელთ (ასე ვთარგმნით საერთო დაპატიჟებას), ყველა სოფლელ ჯენტლმენს, სკვაირი იქნება თუ რაინდი, შეუძლია მობრძანდეს სავიზიტო ბარათის გარეშე, დაიკავოს თავისი ადგილი საერთო სუფრაზე და ისიამოვნოს საუკეთესო ღვინოებითა და მასლათით; და განიხილონ ამ დიდ შეკრებაზე წარსული და მომავალი არჩევნები.

ლორდ ჰენრი არჩევნების დიდოსტატი გახლდათ; ისე გათხრიდა საარჩევნო უბანს, ვითარ ვირთხა ან კურდღელი; მაგრამ ოლქის საარჩევნო კონკურენცია ძვირად უჯდებოდა, რადგან მეზობლად მცხოვრები სკოტლენდელი გრაფი გიფთგებიტი თავის გავლენას ინგლისურ მხარეზეც ავრცელებდა; მისი ვაჟი, კეთილშობილი დიკ დისერდრებიტი „სხვა ინტერესთა“ წევრი იყო (ეს კი ნიშნავს, რომ საკუთარი თავი აინტერესებდა სხვადასხვა მხრივ).

ლორდი ჰენრი ფრთხილად და თავაზიანად ირჯებოდა თავის ოლქში, ყველაფერს ასრულებდა თვისი ხალხისთვის, ზოგს კეთილად ეპყრობოდა, ზოგსაც მოქრთამავდა, დანარჩენებს დაპირდებოდა, რაც შესაძლოა საკმაოდ ძვირიც დაჯდომოდა, და მაინც არ ანგარიშობდა. და თუმცე ზოგს უსრულებდა დანაპირებს და ზოგსაც პირს უტეხდა, მისი სიტყვა მაინც სხვაზე მეტად ფასობდა.

მეგობრობდა თავისუფლებასა და თავისუფალ მინათმფლობელთ — და არანაკლებ მეგობრობდა მთავრობას — შეეძლო ზუსტად შუაგულში მოერტყა ადგილსა და პატრიოტიზმს შორის, თუმცა ვალდებული იყო სუვერენის ნებას დაჰყოლოდა (ეგაა, უხალისოდ, ვით მორიდებით აღნიშნავდა ხოლმე მეამბოხეთა გამოსვლებისას), სიამოვნებით გაჰყრიდა სინეკურთა ჯგუფს, მაგრამ ამას კანონმდებლობის შეცვლაც მოჰყვებოდა.

მას შეეძლო „თავისუფლად აღიარება“ (საიდანაა ეს ფრაზა? ინგლისურია? — არა, მხოლოდ პარლამენტური), რომ განახლების სულმა დღესდღეობით მეტს მიაღწია, ვინემ გასულ საუკუნეში. განხეთქილების ბილიკზე არ შედგებოდა, თუმცა საზოგადო სიკეთისათვის თავს დიდად გამოიღებდა; რაც შეეხება მის თანამდებობას, მხოლოდ ის შეეძლო ეთქვა, რომ ოფლს მეტსა ღვრიდა, ვინემ შემოსავალს იმკიდა.

ზეცამ და მისმა მეგობებმა უწყოდნენ, რომ მისი ერთადერთი და საბოლოო მისწრაფება პირადი ცხოვრება იყო; მაგრამ ვითარ უნდა მიეტოვებინა მეფე ამ ბრძოლაში, რაც მთელ ქვეყანას დაღუპვით ემუქრებოდა? როს ყასბის დანით შეიარაღებული დემაგოგები ჭრიდნენ და ჭრიდნენ (უჰ, ეს სატანური ჭრილობანი!) გორდიას ანუ ჯორდიას კვანძს, რომლის ძაფე-ბიც აერთებდა თემს, ლორდთა და მეფეთ.

ამას სჯობს „ჩადგეს სამოქალაქო თანამდებობაში და შეებრძოლოს მთელი ძალით“, — და ასეც იქმს, ვინემ იმედი გაუცრუოს და გაეცალოს; მოგებას არ დაეძებს, დაე სხვებმა მოიმკან; მაგრამ თუ დადგება დღე, როს თანამდებობანი აღარ იქნება, აი სწორედ ეს უნდა იგლოვოს ქვეყანამ; რადგან მერე საითლა ნავა? ვის შეუძლია ამის ახსნა!

იგი ხომ ამაცობდა ინგლისელობით.

დამოუკიდებელი გახლდათ და მეტადაც, ვინემ ისინი, რომელთაც დამოუკიდებლობისათვის ჯამაგირს აძლევენ, ვთქვათ, რიგითი ჯარისკაცები ან რიგითი კახპები, რომელნიც შრომითა თუ ხელოვნებით, სისხლისღვრითა თუ მრუშობით ამაღლებულან დილეტანტებზე, თავს რომ ვერ გამოიჩინენ პროფესიონალიზმით.

ამიტომ, რომ ყველა სახელმწიფო მოღვაწეს სურს ბრბოს დაუმტკიცოს თავისი უპირატესობა, ისე ვით ლაქია აპანჩურებს მათხოვარს.

ყოველივე ეს (გარდა ბოლო სტროფისა) ჰენრიმ ბრძანა და იფიქრა.

მე მეტს არას ვიტყვი — ისედაც ბევრი მოგახსენეთ; რადგან ჩვენ ყველას გაგვიგონია ან წაგვიკითხავს ასეთი მინიშნებანი, არჩევნებისას ამოძახილი დამოუკიდებელი გულიდან ან თავიდან ოფიციალური კანდიდატისა.

მეტს აღარას ვიტყვი ამაზე, სადილის ზარმა დარეკა, ლოცვა წარმოითქვა; ამ ლოცვაზეც უნდა მესაუბრა, მაგრამ ძალზე დამაგვიანდა და ამიტომაც თავს შევიქცევ.

დიდი ბანკეტი იყო, ისეთი, ძველი ალბიონიც კი დაიტრახებდა — თითქოსდა ღორმუცელობა ფრიად სადიდებელი იყოს. მაგრამ საჯარო ქეიფი გახლდათ და საჯარო დღე, ხალხით სავსე, მოსაწყენი, სტუმრებს სცხელოდათ, კერძები გაციებულყო, ყველაფერი უხვად ელაგა და ფორმლობაც დაეცვათ, ნაკლებ მხიარულობდნენ და თავი შინაურულად არვის უგრძენია.

სკვირები ცერემონიებს დიდად არ დაგიდევნენ, აი მილორდები და მილედები კი ამაყად და მონყალედ იქცევიან; მსახურნი ცდილობენ ხერხიანად შეუცვალონ თეფშები და საამისოდ მეტისმეტი მოხრა უნევთ თავთავიანთ ადგილზე კარადებთან გაჭიმულად მდგომთ; და მაინც, უფროსებისა არ იყოს, ეშინიათ, ვაითუ შევცდეთო, რადგან ერთი აღრევა რანგისა შეიძლება უფროსსა და უმცროსსაც ადგილად დაუჯდეს.

აქ იყვნენ გაბედული მონადირენი და ცხენოსნობის მოყვარულნი, რომელთა მეძებრებსა და მდევრებს ჯერ გეში არ შეცდენიათ და არც მწევრებს გაჰქცევიათ ნადირი; მიზანსაუცდენელი მსროლელნი იყვნენ, სექტემბრელები, ადრე ადგომა უყვარდათ და დაჭრილი კაკაბი ბალახში ვერ დაემალებოდათ.

გატიკნული საეკლესიო პირებიც აქ ბრძანდებოდნენ, მეთედის ამკრეფნი და კაი მაჭანკლები, და ისეთნიც, ფსალმუნთა გალობას მოხვეჭა რომ ერჩივნათ.

აქ იყვნენ სოფლელი ოხუნჯებიც და, ეჰ! ქალაქიდან გამოქცეულნიც, იძულებულნი რომ გახდნენ ქვაფენილის ნაცვლად ბალახისთვის ეცქირათ და თერთმეტის ნაცვლად ცხრაზე ამდგარიყვნენ.

და ყური დამიგდეთ! სწორედ იმ დღეს იქ ვიჯექი ზეცის შეუდარებელი ვაჟის, ყოვლისშემძლე მღვდლის პიტერ პიტის გვერდით, ყველაზე ღრიალა ოხუნჯი რომ გახლდათ, ვისაც კი დავუყურებოვარ.

ლონდონის მხიარული დღეებიდან ვიცნობდი; თუმც სულ სასულიერო პირებთან სადილობდა ხოლმე, მოხდენილად ხუმრობდა და ქებასაც იმსახურებდა, ვინემ დაანინაურებდნენ, ძალიან მალე (აი განგებაც ამას ჰქვია! ვინ გამოიცნობს, რა საჩუქარს გვიმზადებს?) ლინკოლნის ჭაობებისაკენ მოსახლე მრევლი უბოძეს და რაღა ჰქონდა საფიქრალი.

ხუმრობისას ქადაგებდა და ქადაგებისას ხუმრობდა; მაგრამ ყველაფერი უქმად ცვიოდა ჭაობებში, რადგან გონებამახვილობას დიდი გასავალი არა აქვს მალარიით სნეულებში. აღარსად იყო დაცქვეტილი ყურები მის მოსასმენად და სტენოგრაფისტები — მისი მახვილგონიერების ამ მხიარულ ამბავთა ჩასაწერად; და საბრალო მღვდელიც დაბლა დაეშვა, ხმამალალ და გრძელ უნმანურობებზე გადავიდა, რათა ხვიხვინი მოესმინა ჩლუნგი ბრბოსაგან.

ვითარ სიმღერა იუნყება, არის განსხვავება „მათხოვარსა და დედოფალს შორის“, ან იყო განსხვავება (დედოფალს მეტად გაუჭირდა, ვითარ ვიხილეთ, თუმც მოდი ნურას ვიტყვით სახელმწიფო ამბებზე); განსხვავებაა „ეპისკოპოსსა და წინამძღვარს შორის,“ განსხვავებაა მეთუნესა და თეფშს შორის, განსხვავებაა ინგლისურ საქონლის ხორცსა და სპარტანულ წვნიანს შორის, და მაინც დიადი გმირები გამოზრდილან ორივეთი.

მაგრამ ბუნების ყველა განსხვავებას შორის არცერთია მთლიანობაში ისეთი დიდი, ვითარ — სოფელსა და ქალაქს შორის, რომელთაგან მეორე ფლობს ყველა უპირატესობას მასთან შედარებით, ვისაც საკუთარი არა გააჩნია, და ფიქრობს, მოქმედებს ან განიცდის თავისი პატარა გეგმისა და ამბიციისდა კვლად, რომელთაგან ორივე არარაობაა.

მაგრამ *en avant!* მსუბუქი სიყვარული ჭკნება ხანგრძლივ ბანკეტებსა და ბევრ სტუმარს შორის, თუმც მცირე ნახემსება კიდევ უფრო უძლიერებს სიყვარულს ადამიანს; ვითარცა ჩვენი გრამატიკული სკოლებიდან შეგვისწავლია, ბახუსი და ცერერა ძველისძველი მეგობრები არიან ცხოველმყოფელი ვენერასი, ვინც ამათ უნდა უმადლოდეს შამპანურისა და ტრუფელების გამოგონებას; ზომიერება უყვარს, ხანგრძლივი მარხვა კი ალიზიანებს.

სადილი მოსაწყენად მიედინებოდა, ჟუანი თავის ადგილას იჯდა, არც კი იცოდა, თუ სად; შეცბუნებული, დაბნეული და გონებგაფანტული ისე იჯდა, თითქო სკამზე მიულურსმავთო; თუმც დანები და ჩანგლები ისე წკრიალებდნენ ირგვლივ, თითქო ბრძოლააო, არაფერი ესმოდა, თუ რა ხდებოდა, ვინემ ვილაცა ოხვრით სთხოვდა (ერთი-ორჯერ), თევზი გადმომანოდეო.

მესამედ რომ სთხოვეს, გამოფხიზლდა; შენიშნა, ირგვლივ ვითარ ილიმოდნენ, უკვე იკრიჭებოდნენ კიდევ, განითლდა ერთხელ და მეორედ და აჩქარებით — რადგან ჭკვიან კაცს არაფერი აბნევს უფრო მეტად, ვინემ ბრიყვთა სიცილი — დანა მაგრად ჩაარჭო თევზს და აჩქარებით, თითქო დამორჩილება სურსო, თავისი მეზობლის თხოვნა ჰალტუსის ნახევრით დააკმაყოფილა.

დიდი შეცდომა არ ჩაუდენია, ვით ხდება ხოლმე, რადგან მთხოვნელი თევზის მოყვარული აღმოჩნდა, მაგრამ სხვანი, რომელთაც მესამედიც კი არ დარჩათ, გაბრაზდნენ, რაც სავსებით გასაგებია. უკვირდათ, ვით შეეძლო ლორდ ჰენრის ასეთი ჩერჩეტი ყმანვილკაცი დაეპატიჟა და მოეთმინა; ამან და კიდევ იმან, რომ მარცვლის ფასიც არ გაეგებოდა ბაზარზე, მასპინძელს სამი ხმა დააკარგვინა.

აბა რა იცოდნენ, და დიდად არც იდარდებდნენ, რომ სცოდნოდათ, წინა ღამეს აჩრდილი რომ ენახა, ეს ამბავი კი ცოტა თუ შეჭფეროდა გარემოს და ჩაიყლაპა ამ მინიერი წვეულების მიერ, და ისე გამატერიალურდა, კაცმა არ იცის, თუ რა უფრო იყო გასაოცარი (მართლაც ახირებული საკითხია) — ვითარ შეიძლება ამგვარ გვამებს სული ჰქონოდათ ან სულს — ამგვარი გვამები.

მაგრამ თუმცა ყველა სკვაირი და სკვაირის ცოლი მას მიშტერებოდა, და აკვირვებდათ მისი გამომეტყველების განყენებულობა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ცნობილი გამხდარიყო მშვენიერთა მიერ მისადმი ცხოველი ინტერესი, თვით სასოფლო ცხოვრების შეზღუდულ სივრცეშიც (მილორდის მამულის ირგვლივაც კი ვრცელდებოდა მითქმა-მოთქმა დიდი და მცირე) და ყველაფრის მიუხედავად ჟუანი დააბნია იმან, რომ აურორა უყურებდა და რალაც ღიმილის მსგავსი აღბეჭდოდა სახეზე.

აი, ეს კი მართლაც ვერ გაიგო.

მათი ღიმილი, ვინც იშვიათად იღიმებიან, უნდა მოასწავებდეს ძლიერ გარეგნულ მოტივს; აურორას ამ ღიმილში კი არა ყოფილა რა მტრული, იმედისმომცემი, სასიყვარულო ან ეშმაკური, რასაც მავანი ქალბატონთა ღიმილში დაეძებს ხოლმე.

ეს იყო მარტოდენ მშვიდი და ფიქრიანი ღიმილი, რაც გაკვირვებასა და სიბრალულს გამოხატავდა; და ჟუანს ცეცხლი წაეკიდა უკმაყოფილებისაგან, რაც არც ჭკვიანური გახლდათ და არც ძალზე გონივრული, სხვა თუ არა, დაკვირვება ხომ მაინც გამოსტყუა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევაა ქალაქელისათვის; და ამას ჟუანი მიხვდებოდა, მისი გრძნობები წინა რამეს აჩრდილს რომ არ აერდაერია.

ცუდი ისაა, რომ აურორა არ განითლებულა საპასუხოდ და არც დაბნეული ჩანდა. პირიქით; ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, არცთუ მკაცრად და თვალებიც მიაბრუნა, მდაბლ კი არ დახარა, ოღონდ ცოტა გაფითრდა; რის გამო? შენუხდა? ვერ მოგახსენებთ; მაგრამ ლაჟღაჟა აროდეს ყოფილა, ოდნავი განითლება თუ სჩვეოდა და ყოველთვის ისე კრიალებდა, ვითარცა ზღვა მზიან ამინდში.

ამ დროს ადელაინი იმ დღის მოსახვეჭს იხვეჭდა; აკვირდებოდა, აჯადოებდა, მონყალედ ექცეოდა თევზის, ფრინველის მშთანთქმელთა და გართობის მოყვარულთ; ღირსებასა და თავაზიანობას ახამებდა, ვით ყველა უნდა მოიქცეს (განსაკუთრებით მაშინ, ექვსი წელი რომ გადის), როს ქმრის ვაჟის ან ნათესავისათვის საჭიროა უსაფრთხოდ გაცურვა გადარჩევნების კლდეთა შორის.

თუმც მთლიანობაში ეს ჩვეულებრივი და საპასუხიმგებლო საქციელი გახლდათ, და როს ადელაინს დააკვირდა ამ დიდი როლის შესრულებისას, რასაც იგი ისე თამაშობდა, თითქო ცეკვავსო, აქ-იქ თუ შეეშლებოდა განწყობა, ცერად გაიხედავდა საითმე (დაღლილობისა თუ გაღიზიანებისა გამო), ჟუანს რალაც ეჭვი გაუჩნდა, ეს ადელაინი ნამდვილია თუ არაო.

ისე კარგად მოქმედებდა ყველგან და ყველაფერში თანმიმდევრულად, ცოცხლად და მრავალფეროვნად, ხალხი იფიქრებდა, გულით ირჯებო. შეცდებოდნენ, ეს იყო მხოლოდ, რასაც mobility-ის უწოდებენ, ტემპერამენტის ნაყოფი რომაა და არა ხელოვნებისა, თუმც ასე მოჩანს შეძლებისდაგვარად; და სიყალბეა, თუმც ნამდვილი; რადგან სწორედ ისინი არიან ნრფელნი, რომელნიც ენერგიულად მოქმედებენ ახლობელთათვის.

ასე ხდებიან მსახიობები, მხატვრები და რომანისტები ხანდახან გმირები, თუმც ძალზე იშვიათად, აი ბრძენნი კი — აროდეს; ეს ნიჭი ჰკვებავს სპიკერებს, ბარდებს, დიპლომატებს და მოცეკვავეთ, დიადნი მცირდებიან, ჭკუას კი ბევრი სწავლობს; უმრავლესობა ორატორი გამოდის, უმცირესობა — ფინანსისტი, თუმც ყოველი ფინანსთა მინისტრი კანცლერობისაკენ ისწრაფის, ამ ბოლო დროს, კოკერის სიზუსტეს არად აგდებენ და მეტაფორები ურჩევნიათ ციფრებს.

ისინი არითმეტიკის პოეტები არიან, რომელთაც, თუმც არ ამტკიცებენ, ორჯერ ორი ხუთიაო, რაც კიდევაც უნდა მოემოქმედათ მორიდებულად, ნათლად გამოხატეს, რომ ოთხი სამია, ოდეს იმას ანგარიშობენ, თუ რას გვართმევენ და რას გვიბრუნებენ.

გამოსასყიდი ფონდი უძირო ზღვაა, ყველაზე არალიკვიდური სითხე, ვალს არა ფარავს, და რასაც მიიღებს, ყოველს მალავს და ჩქმალავს.

ვინემ ადელაინი თავის ხიბლსა და მოხდენილობას აფრქვევდა, მშვენიერმა ფიც-ფალკმა დრო იხელთა; ადამიანთა გამომეტყველების გამოცნობაში კარგად დახელოვნებულიყო, მისი მოცინარე ლურჯი თვალები ერთი შეხედვით მოიხელთებდნენ მასხრად ასაგდებს ყველგან და ყოველთვის, რაც თაფლია ჩვენ

მოდურ ფუტკართათვის, და შეინახავდა ცელქი გართობისათვის, და იმჟამად სწორედ ამით დაკავებულიყო.

რაც უნდა იყოს, ყველა დღე გადის და ეს დღეც გავიდა, საღამოც მიიწურა და ყავა შემოიტანეს, ეტლების გამოცხადება დაიწყო და ქალბატონები ადგნენ და რევერანსები შეასრულეს, ვითარც სჩვევიათ სოფელ ბანოვანთ; ნავიდნენ და მათი მორჩილი სკვაირებიც უკან მიჰყვნენ ძალზე მოუქნელი თავდაკვრით, კმაყოფილნი სადილითა და მასპინძლით, მაგრამ განსაკუთრებით ლედი ადელაინით მოხიბლულნი.

ზოგი სილამაზეს უქებდა, ზოგიც მიხრა-მოხრას; თავაზიანობას, სითბოს, სინრფელეს, რაც სახეზე ეხატა, და მისი ქცევა სიმართლის სხივებით ანათებდა.

დიახაც რომ იმსახურებდა მაღალ მდგომარეობას! არვის შეშურდებოდა მისი დამსახურებული წარმატებანი.

და მისი კაბა — რა მშვენიერი სისადავით წარმოაჩინდა მისი აღნაგობის გასაოცარ ღვთაებრიობას!

ამასობაში გულმონყალე ადელაინი დამსახურებულად მიითვლიდა მათ ხოტბას და მიუკერძოებლად და ძალდაუტანებლად უბრუნებდა თავაზიანი ფრაზებით მაღალზნეობრივ მუსაიფში, რაც აისახებოდა მიმავალ სტუმართა სახის გამომეტყველებაზე, თუნდ ძალზე შორეულთა; ქალები შეუხედავნი იყვნენ, კაცები აჯაჯულ-დაჯაჯულნი, და თმაც უშნოდ აჩეჩოდათ.

ჰო, ცოტას იტყოდა — დანარჩენები იფრქვეოდნენ საყოველთაო ეპიგრამებად — და თუ იტყოდა რაიმეს, მარტოდენ გამიზნულად დაიხარჯებოდა: ადისონისა არ იყოს, „გადაკრული ფრაზით“, და გასაკილავად გამზადებულით, რაც მისი იყო და ყველას ხუმრობას წარმოშობდა, ვით მელოდრამაში ჩაქსოვილი მუსიკა.

რა სასახელო მოვალეობაა, გამოესარჩლო იქ არმყოფ მეგობარს! მე ჩემებს ვთხოვ — ნუ დამიცავენ.

მარტოდენ ორნი არ ერეოდნენ გამომშვიდებულთა მიმართ სიტყვებისა და მახვილგონიერების გაცხარებულ მიმოსროლაში; ერთი აურორა იყო, თავისი კრიალა და სათნო გამომეტყველებით; და მეორე — ჟუანს არავიზე გამოუთქვამს მხიარული

შენიშვნა, ვინც დაინახა და მოუსმინა, ჩუმად იჯდა, ჩვეული ხალისი დაჰკარგოდა. ამაოდ ისმოდა სხვათა ხორხოცი, ერთი რეპლიკითაც კი არ შეხმანებია.

მართალია დაინახა აურორას გამოხედვა, თითქო რომ უწონებდა ამგვარ დუმილს; აურორა ალბათ ცდებოდა და მიზეზი მისი დუმილისა ეგონა გულმონყალეობა, რაც ვალად გვდევს იქ არმყოფთა მიმართ, მაგრამ აროდეს ვიჩინთ და არც გვადარდებს, რა სწორია და რა მრუდი.

მაგრამ ჟუანი ჩუმად იჯდა კუთხეში და ჩაფიქრებული ვერას ამჩნევდა, და მარტოდენ ის დაინახა, რისი დანახვაც სურდა.

აჩრდილმა ჟუანს ის სიკეთე მაინც შესძინა, რომ აჩრდილივით მღუმარი გახადა, რადგან ამჯერად ის მაინც მოხდა, რომ დაფასება იქ მოიპოვა, სად ყველაზე ძვირი ღირდა. და, ცხადია, აურორამ მასში გამოაცოცხლა ის გრძნობანი, რაც ამ ბოლო დროს დაჰკარგოდა, ან გაუხეშებოდა; ალბათ იდეალური გრძნობები, ისეთი ღვთაებრივნი, რეალობად ვერც კი შთავრაცხავ.

ასეთია სიყვარული ამაღლებული საგნებისა და უკეთეს დღეთა; უსაზღვრო იმედი და ღვთაებრივი არადრადგება იმისა, რასაც ამ სოფელს ვუწოდებთ და ამქვეყნიურ გზებს; წამები, ოდეს ერთი შეხედვიდან მეტ ნეტარებას განვიცდით, ვინემ მთელი მომავალი სიამაყიდან და ქება-დიდებადანი, რაც ალაგზნებს ადამიანთ, მაგრამ ვეროდეს შეაღწევს მათივე არსის სიღრმეში, რომლის სამყოფელიც სხვა უფსკრულია.

ვის არ აღმოხდენია ოხვრა, *ΑΙ ΑΙ ΤΑΝ ΚΥΘΕΡΕΙΑΝ!* ვისაც კი მეხსიერება ჰქონია და გული? ეჰ! მისი ვარსკვლავიც ისე ჩაქრება, ვითარცა დიანასი; სხივები ჰქრებიან, წლები წლებს მიჰყვება. ანაკრეონტმა მარტოდენ ის შეძლო, ეროსის ჩაუმქრალი კვერთხი მარადმწვანე მირტით შეამკო; და სიყვარულო, თუმც მრავალი ოინი მოგიწყვია ჩვენთვის, მაინც გეთაყვანებით, „*Alma Venus Genetrix!*“

და ვეება, ორ სოფელს შორის წამოგრაგნილი, ტალღებივით მონოლილი გრძნობებით აღვსილი დონ ჟუანი შუალამის დადგომისა და ძილის დროის მოსვლისთანავე განმარტოვდა თავის საძინებელში, მაგრამ უფრო იმისათვის, რომ ედარდა, ვინემ

დაეძინა. ყაყაჩოთა ღალანის ნაცვლად ძენა გლოვობდა მის ლოგინზე; გაიაზრებდა, ჩადირული იმ ტკბილ-მწარე ფიქრებში, რაც ძილს დევნის, დასცინის ამქვეყნიურს და აქვითინებს ყმანვილს.

ღამე ჩამოდგა კვლავინდებურად.

ღონ ჟუანს შილიფად მოეცვა ღამის ხალათი, რაც საშინაო მოსასხამია, თითქმის შიშველი გახლდათ, უშარვლო და უპერანგო; მოკლედ, ამაზე მეტად გახდილი ძნელად თუ იქნებოდა, და რაკილა სტუმრად მოჩვენებას ელოდა, ძნელგადმოსაცემი განცდები დაუფლებოდა (იმათთვის ძნელი, რომელთაც ამგვარი სტუმრები არა ჰყოლიათ) აჩრდილის ახალი ქმედების მოლოდინში.

და ამოდ კი არ ისმენდა; ჩუმად! ეს რაა? გასაგებია... გასაგები... არა, ის არაა... და მაინც... ო, ძალნო ციურნო! ეს ხომ ისაა... ისაა... ფუჰ! კატა! ეშმაკსაც ნაუღია მისი მიმპარავი მოძრაობა! ვით ჰგავს სულიერ ცახცახს, ან დამწყები შეყვარებულის თითის წვერებზე სვლას, პირველად რომ მისრიალებს პაემანზე და საკუთარი უზადო ფეხის ხმის გაგონება აფრთხობს.

ისევ... ეს რაღაა? ქარი? არა, არა... ამჯერად ისევ შავი ბერია, რიტმივით თანმიმდევრული, შიშისმომგვრელი ნაბიჯებით, ან (იმავე რიტმებით, ოღონდ ჩვენ დროში) ბევრად მეტით; და კუნაპეტივით ღამეში, როს ადამიანთ ღრმა ძილით სძინავთ და ქვეყანას ვარსკვლავებიანი სიმრუმე ძვირფასი ქვებით მორთული ქამარავით შემორტყმია... ბერმა კვლავ ინყო წყეული შემოვლა.

ისეთი ხმა გაისმა, თითქო სველ თითებს გადაეველოს ჭიქაზე და კბილის კრაჭუნის გამოენვიოს; და ფარდას გაეშრიალოს, შუალამის ნიავით შერხეულს.

ზებუნებრივი წყლის ჩხრიალი მისწვდა ჟუანის ყურს, რამაც გულისცემა აუჩქარა.

ეჰ! ისევ სერიოზული არამატერიალისტური საკითხავი; ისეთი, რომ ღრმადმორწმუნეც კი, რომელს სულის უკვდავებისა სჯერა, სულთან პირისპირ შეხვედრას უფრთხის.

თვალეები ღია დარჩენოდა? — დიახ!

და პირიც.

ეს განცვიფრებას მოსდევს — კაცს დაამუნჯებს, თუნდ ენამჭევრობის კარი ისე გაეღოს, თითქო გრძელი სიტყვის წარმოთქმას აპირებსო.

შიშისმომგვრელი ხმები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, უზარმაზარი დაფდაფივით გაისმოდა; ყუანს თვალები დაეჭყიტა და (ვითარც აღინიშნა) პირიც.

და კიდევ რა გაიღო?

კარი.

ისეთი ჯანდაბური ჭრიალით გაიღო, თითქო ჯოჯოხეთისააო. „Lasciate ogni speranza Voi che entrate!“ ანჯამა თითქო ალაპარაკდა, ვით დანტეს ტერცინები ან ეს სტროფი; ან... მაგრამ ამ თემაზე წარმოთქმული ყოველი სიტყვა სუსტია, ერთი მინიშნებაც კი საკმაოა გმირის შემოსასვლელად, ანუ რაა არსი სულისა? ანუ ვით ცახცახებს სხეული მის სიახლოვეს?

ფართოდ გადიხსნა კარი, მსწრაფლ კი არა, თოლიათა თანაბარ, დინჯ ფრენასავით, და კვლავ დაიხურა; კი არ დაიკეტა, ღრიჭოდ დარჩა, გრძელი ჩრდილები შემოუშვა სინათლეში ყუანის სანთლებისა; ორი იყო, მაგრამ მკაფიოდ ანათებდნენ; და კარის წინ კუნაპეტზე უფრო კუნაპეტი იდგა შავი ბერი, პირქუშად თავდაბურული.

ყუანი აცახცახდა, ვით მანამდეც, წინა ღამეს; მაგრამ მობეზრდა ცახცახი, პირველად განენყო ეფიქრა, რომ შესაძლოა ცდებოდა; და უკვე შერცხვა ამგვარი შეცდომისა; მისმა შინაგანმა აჩრდილმა გამოლვიძება იწყო და დაახშო ტანის კანკალი, მიაინიშნა, რომ სულიცა და ხორციც აღიძვრნენ ამ უსხეული სულის წინააღმდეგ.

და შიში მრისხანებად გადაექცა და მრისხანება გაუმძვინვარდა; ადგა, დაიძრა, აჩრდილმა უკან დაიხია; მაგრამ ყუანს ძლიერ მოუხნდა სიმართლე გაეგო და მიჰყვა, ძარღვებში გაყინული სისხლი გაუთბა, გადაწყვიტა შებმოდა საიდუმლოს, რადაც უნდა დაჯდომოდა დამარცხება;

აჩრდილი შედგა, წაექნჩრა, მერე დაიხია, ვინემ მიადგებოდა ძველ კედელს, და მერე კი გაქვავდა.

ჟუანმა ხელი აღმართა, ციურნო ძალნო! და შეეხო არა სულს, არა სხეულს, არამედ კედელს, რაზეც მთვარის სხივები ეცემოდა ვერცხლისფერ ნაკადად, და ირეკლავდა დარბაზის ხვეულთ; შეკრთა, რადგან უმამაცესსაც კი აშინებს, როს ვერა ხვდება, რასთან აქვს საქმე. და რა უცნაურია, რომ უსხეულო ჭინკამ შეიძლება მეტად შეგზაროს, ვინემ მთელმა ლაშქარმა.

მაგრამ ჩრდილი არ გატოკებულა; ცისფერი თვალები შემოჰყურებდნენ და არცთუ მომაკვდინებლად; და რამაც ქვესკნელი გადაავინყა, ის იყო, რომ აჩრდილი აშკარად ტკბილად სუნთქავდა. ჩამოშლილი კულული მიანიშნებდა, რომ ქერა თმა ჰქონდა, წითელი ტუჩები, და შიგნით მარგალიტთა წყება ისე ანათებდა, ვით სუროს მიღმა ღრუბელს თავდაღწეული მთვარე სარკმელში.

ჟუანი გაოგნდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა მეორე ხელიც აღმართა და, საოცრებაჲ! შეეხო მკვრივ, მაგრამ მგზნებარე მკერდს, რომელიც ისე თრთოდა, თითქო მის ქვეშ თბილი გული ფეთქავდა.

და მიხვდა, ვით მაძიებელი კაცი მიხვდება, რომ თავიდან ბრიყველად შეცდა, და დაბნეულობით კედელს შეეხო და არა იმას, რასაც ეძებდა.

აჩრდილი, თუ ეს აჩრდილი იყო, აღმოჩნდა ყველაზე მშვენიერი არსება, ვინც კი ბერის მოსასხამში გახვეულა; ჩაჩვრეტილი ნიკაპით, სპილოსძვლისფერი კისრით, სისხლ-ხორცეული; ბერის სამოსი და თავსაბურავი გადაეძრო და გამოჩნდა, — ეჰ! მთელი სავსებით! ვნებიანი, ტანწერწეტა, მოჩვენება მისი ცელქი უგანათლებულესობისა — ფიც-ფალკი.



თავი მეჩვიდმეტე

ობლოვისათვის: ჰერცოგინია ფიც-ვალკი

ქვეყანა სავსეა ობლებით; ჯერ ისინი ვახსენოთ, ობლები ვინც არიან, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით; მაგრამ მრავალი მარტოსული ხე ყველაზე მაღალი იზრდება, ვინემ სხვები, უღრან ტყეში ჩაკარგულნი.

შემდეგ ისინი ვახსენოთ, ბედმა ვისაც ალერსიანი მშობლები დააკარგვინა სიყმანვილეში, მოაკლო მშობლიური მზრუნველობა და ობლობისათვის გაუწირა გულები.

შემდეგ მოდიან „დედისერთანი“, ვითარც უწოდებენ, და „მარტო“ ვინც იზრდებიან, და ვითარც ამბობენ, „მარტო“ ნიშნავს გათამამებულს, მაგრამ შორს ნუ წავალთ, ვიცი, რომ, ვითარ წესი, მათი განათლებისას გამოჩენილი სიყვარულისა თუ გაღმერთების გამო, დაზარალებულნი, გულითა თუ ცოდნით, თვითვე არიან, და შედეგად ობლებს მოვიმკით.

მაგრამ დავუბრუნდეთ უფრო მკაცრ წესებს — იმდენად, რამდენადაც სიტყვებით იქმნება წესები — ჩვენი საერთო წარმოსახვა ობლებზე ერთბაშად დაგვიხატავს სამრევლო სკოლას, ნახევრად მშიერ ბავშვს, ცხოვრების ოკეანის მიერ დამსხვრეულ ნავს, ადამიან „ჯორს“, ვით იტალიელნი უწოდებენ.

დიდად შესაბრალო საგანია, მაგრამ თუ კარგად გავსინჯავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უმდიდრესი ობლები უფრო საცოდავნი არიან.

მალე ისინი თვითვე ხდებიან საკუთარი თავის მშობლები, რადგან აბა რანი არიან აღმზრდელნი, მცველები და მისთანანი ბუნების უშუალო მშობლობასთან შედარებით?

მეურვეობაში მყოფი ბავშვი, თუნდ სამეფო პალატის მფარველობაში იყო (იმ შედარებას მოვიხმობ, პირველად რაც მომაფიქრდა), კრუხის მიერ გამოჩეკილი იხვის ჭუჭულივითაა, განსაკუთრებით თუ გოგონაა, მოხუც ქათამს მიატოვებს და წყლისაკენ გარბის საჭყუმპალაოდ.

არის ასეთი საყოველთაო ნიგნიერი არგუმენტი, მრავალმნიშვნელოვნად რომ გადადის ყველა ენაში, ოდეს ვინმე გაბედავს ახალი ხედვა წარმოაჩინოს: „თუ შენ ხარ მართალი, მაშინ ყველა ცდება“!

მოვიხმობთ ამ პრეცედენტის საპირისპირო, ხშირად ხმამალა და ხანგრძლივად დაჟინებული არგუმენტი: „თუ შენ ცდები, მაშინ ყველა მართალია“!

განა ოდესმე ასე ვინმე მორიგებულა?

ამიტომაც მოვითხოვ თავისუფალ დისკუსიას ყველა საკითხზე — რა მნიშვნელობა აქვს, რაა და ვისია — რადგან საუკუნეთა სვლაში ასე ხდება, რომ შემდგომი თაობა ადანაშაულებს მანამდელს: ბევრი თავსატეხი დამიტოვე, რადგან ბრიყვი და ჩლუნგი იყავი;

ლუთერი დამემონებდა, რომ ის, რაც ადრე პარადოქსი იყო, დღეს სიმართლეა.

შვიდი საიდუმლო ორამდე შემცირდა, კუდიანები სულ გაჰქრნენ, თუმც მოგვიანებით დედაბერთა დანვაც მიუღებლად გამოცხადდა, სერ მეთიუ ჰეილის ჰუმანურობის მიუხედავად (ოლონდ რამდენიმე — კუდიანი კი არა, მეძავი — ოჯახებს ვინც ანგრევენ, და ვისზეც გვსმენია, ნება მიბოძეთ განვაცხადო, ცოტა რომ შეგვებრანა, მოუხდებოდათ).

დიად გალილეოს მზის ნახვა აუკრძალეს, რადგან თავის ადგილი მიუჩინა, და ლაპარაკიც აუკრძალეს, თუ ვით ტრიალებს დედამინა მზის ორბიტაზე; ამით მის ფეხებს მოძრაობა შეუზღუდეს. კაცი თითქმის მკვდარი იყო და იმაზე ფიქრობდნენ, მის თავის ქალას ამოლესვა სჭირდებაო; ახლა კი ცხადია, მართალი გამოდგა, მისი შეხედულებანი გამართლდა, რაც დიდი შვებაა მისი ნეშტისათვის.

პითაგორა, ლოკი, სოკრატე — მაგრამ ფურცლები არ მეყოფა ყველანაირი ბრძენის ჩამოთვლით, და ამაოდ გავირჯები,

ვით აქამომდე — ყველანი სიცოცხლეში ახირებულებად მიიჩნეოდნენ. ამაღლებული გონებანი წინ უწრებდნენ კუს ნაბიჯებით მავალ საუკუნეთ, ეს უნდა გავიგოთ და ავიტანოთ, და უფრო მეტიც: ბრძენმა იცის, თუ დღეს ვერ უგებენ, შთამომავლობა დააფასებს.

თუკი ასეთია ხვედრი ინტელექტუალურ გოლიათთა, ჩვენ, პატარა ხალხს, ჩვენი მცირე არ გვაკლია და ცხოვრების ციციქნა ჩქმეტებისადმი მეტი მოთმინება გვმართებს, და ასეც უნდა ვიქცეოდე, და ასეც მოვიქცეოდი, ნაკლებ გესლიანი რომ ვიყო, მაგრამ მიმიფურთხებია!

ყოველდღიურად ჩავაგონებ ჩემს თავს, იყავი „totus, teres“, სტოელი, ბრძენი, მაგრამ ქარი წამოუბერავს და გავცოფდები.

ზომიერი ვარ, მაგრამ ზომას ვეროდეს ვიცავ; მორიდებული ვარ, მაგრამ ცოტა ამპარტავანიც; ცვალებადიც ვარ, და მაინც რალაცნაირად „Idem semper“; მომთმენი ვარ, მაგრამ მუდმივობა დიდად არ მიყვარს; მხიარული ვარ, მაგრამ ხანდახან სევდა შემიპყრობს; რბილი ვარ, მაგრამ უეცრად წამომივლის ერთგვარი „Hercules furens“;

ასე რომ, თითქმის დარწმუნებული ვარ, ამ ტყავში ორი-სამი კაცი ცხოვრობს.

მეთექვსმეტე თავში ჩვენი გმირი ნაზ მთვარიან ვითარებაში დავტოვეთ, რაც განაწყობს კაცს, გამოავლინის ან ზნეობრივი, ან ფიზიკური ძალა; ამჯერად ან მისი სიქველე იზეიმებდა, ანაც ცოდვა, რადგან იგი ხომ მგზნებარე ერის შვილი გახლდათ.

ეს ისეთი რამაა, აღწერას მე ვერ გავბედავ, თუ რომელიმე ლამაზმანი კოცნას არ დამპირდება.

ამასაც პრობლემად დავტოვებ, ვით სხვა ბევრ რამეს;

გათენდა დილა, საუზმე, ჩაი, გაფიცხებული პურის ნაჭერი, რაც ყველას უყვარს, მაგრამ არვინ უმღერის.

საზოგადოება, რომელთა წარმოშობას, სიმდიდრეს, მიღწევებსა და ფასს უმღერის ჩემი ჩანგი ყოველი სიმით, შემოეკრიბა დიასახლისსა და მასპინძელს;

სტუმრები შემოვიდნენ; ბოლოსწინა მისი უგანათლებულესობა გახლდათ და ბოლო კი ჟუანი, უმანკო სახით.

რა სჯობს, შეხვდე აჩრდილს თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჟუანი ისე გამოიყურებოდა, თითქო მრავალს ერთად შებრძოლებოდა; დაქანცული იყო და გაფითრებული, ჩაღამებულთვალება, ძლივს რომ იხილეს გოთურ ფანჯარაში შემოსული სინათლე.

მისი უგანათლებულესობაც ერთგვარად შეფერთხილი ჩანდა, ფერმკრთალი იყო და შეციებული, თითქო სადარაჯოდ მდგარიყოს, ან უფრო ეოცნებოს, ვინემ სძინებოდა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ზ ი

მიქლვანა

რადგან პოემა ანონიმურად უნდა გამოქვეყნდეს, გამოტოვეთ „მიძღვ-
ნა“ — არ მსურს თავს დავესხა ძალს სიბნელეში — ასეთი რამ მასავით
არამზადებსა და რენეგატებს სჩვევიათ, — მისწერდა გამომცემელს, ჯონ
მარეის, ლორდ ბაირონი.

დაიწერა 1818 წლის 3 ივლისიდან 16 სექტემბრამდე, ვენეციაში.

ბობ საუთი! პოეტი ბრძანდები და ლაურეატიცა ბრძანდები — რობერტ
(ბობ) საუთი (1774-1843) — ინგლისელი პოეტი და პროზაიკოსი. იგი უფრო მე-
ტად ახსოვთ სემუელ ტეილორ კოლრიჯსა (1772-1834) და უილიამ უორდსუორ-
თთან (1770-1850) მეგობრობის გამო. ეს პოეტები იყვნენ ინგლისური რომანტი-
კული მოძრაობის წინამძღოლები. ლორდ ბაირონისათვის ყოვლად მიუღებელი
იყო პოეტის დაახლოება ხელისუფლებასთან. მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი
კომპრომისების გარეშე ეს ვერაფრისდიდებით ვერ მოხერხდებოდა.

სინიღისი მთელი რასისა — არც ჰიპერბოლაა და არც დაცივნა. ამ შემთხ-
ვევაში ბაირონი გულწრფელია.

რეგენტი ბრძანდებოდეს, თუ გინდა — იმ დროს, როცა ბაირონი ამას წერ-
და, ინგლისის მეფე ჯორჯ მეოთხე სულიერად დაავადდა და მისი ვაჟი, მომა-
ვალი ჯორჯ მეოთხე, პრინც რეგენტი იყო 1812 წლამდე. საუთი მას ხოტბას
ასხამდა, რითაც რეგენტი მეტად კმაყოფილი გახლდათ.

თუ სხვა ტბელებს ჩაჰკვირხარ — სამად სამი ტბელი არსებობდა, უორდ-
სუორთი, კოლრიჯი, საუთი.

ერს მეტაფიზიკის ამხსნელად დასდგომია — იგულისხმება კოლრიჯის
„ბიოგრაფია ლიტერარია“ („ლიტერატურული ბიოგრაფია“, 1817). კოლრიჯი
იყო ერთადერთი ლეიკისტი (ტბელი), ვისთანაც მეგობრობდა ბაირონი. 1817
წელს გამოაქვეყნა, სადაც შეტანილია მსჯელობა ტრადიციულ სატანურ დონ
ჟუანზე. ეგებ ამანაც გამოიწვია ბაირონის გაღიზიანება. ამ წიგნში წარმოდ-
გენილია კოლრიჯის ფილოსოფია შემოკლებული ფორმით. ბაირონმა წაი-
კითხა ეს წიგნი და ირონიულად გამოეხმაურა. ერთ ადგილზე კოლრიჯი იხსე-
ნებს თავის ცხოვრებას გერმანიაში, 1798 წელს: თავს ვგრძნობდი, გალიიდან
გათავისუფლებული ჩიტვით, რომელმაც პირველად შეიფრთხილა ცაში.

გამოხვევებულო ბობ — იმდროინდელი სლენგით, dry bob („გამოხვევებულო ბობი“) აღნიშნავდა დაუსრულებელ სქესობრივ აქტს. ასეთი უნმანური კალამბური, ალბათ არ შეიძლება შესულიყო 1818 წლის გამოცემაში.

„ექსკურსია“ — უორდსუორთის პოემაა, რაც 1814 წელს გამოაქვეყნა. ბაირონი არ არის ერთადერთი კრიტიკოსი, რომელმაც აღნიშნა ნანარმოების ბუნდოვანება.

ძალსაც გააცოფებს — ძალის ვარსკვლავი, სირიუსი, ყველაზე მკაფიოდ მოჩანს გვიან ზაფხულში.

კესუიკი — ქალაქი კამბერლენდში, სადაც საუთი ცხოვრობდა. უორსუორთი ცხოვრობდა რადალ მაუნთში.

უორდსუორთიც აქციზში მოკალათდა — უორდსუორთის ადგილი საბაჟოშია — ან აქციზში — ან კიდევ ლორდ ლონსდეილის სუფრასთან, სადაც ეს პოეზიის შარლატანი და პოლიტიკური პარაზიტი ნახორხალს თქველვს გაჩქარებული; ეს მოქცეული იაკობინელი დიდი ხანია მოერგო არისტოკრატული ფარისევლობის ყველაზე უარეს სახეობას — მასხარულ მლიქვნელობას (აქ და ქვემოთაც თვითონ ლორდ ბაირონის კომენტარები გამოყოფილია მუქი შრიფტით).

უკვდავების ბორცვი — პარნასის მთა, მუზათა სამყოფელი. ბაირონმა მონახსულა ჰობზაუსთან ერთად 1809 წლის 16 დეკემბერს.

რობერტ სკოტი (1771-1832), ტომას კემპბელი (1777-1844), სემუელ როჯერსი (1763-1855), ტომას მური (1779-1852) და ჯორჯ ქრაბი (1754-1832) — ბაირონის თანამედროვე ხუთი პოეტი. სკოტის რომანები დღესაც პოპულარულია, მაშინ კი ყველგან კითხულობდნენ მის პოემებს, „მარმიონი“ და „ტბის ასული“. ტომას კემპბელი ავტორია პოემისა „გერტრუდა ვაიომინგიდან“. სემუელ როჯერსი და ტომას მური მეგობრობდნენ ბაირონთან, ისევე როგორც სკოტი. ჯორჯ ქრაბი ავტორია პოემისა პიტერ გრაიში.

ფეხოსანი მუზეები — ბაირონი ეხმაურება ჰორაციუსს, სატირები II, ვი. რომაელი პოეტი ასხენებს muza pedestri-ს, რითაც ხობტას ასხმას განმარტობას ბუნებაში და მოცილებას იმ ადგილებიდან, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან კარიერის მიღწევაში.

ჯონ მილტონი (1608-74) — „დაკარგული სამოთხის“ (მასთან ერთად „დაბრუნებული სამოთხის“) ავტორი. სიმბოლო განდევნილი პატიოსნებისა, ვინც ყველა სიძნელე დაძლია და ერს შედევერი დაუტოვა.

ნიჭი მოუხმარია დანაშაულებრივ — ბაირონი დაიჟინებს, საუთი შესანიშნავად წერდა ადრეულ პერიოდში და ტრაგედია, „უოტ ტაილერი“, საუკეთესოა, რაც კი დაუწერიაო.

სამუელივით სამარიდან აღდგომა — სამუელის აჩრდილი გამოცეხადება საულს და ეუზნება, ღმერთმა მიგატოვაო. იხ. სამუელი 28, 7-25.

უმნეოდ მომზირალი გულქვა ქალიშვილების ხელში, დაქანცული, ფერმკრთალი — „ფერმკრთალი, მაგრამ არა გვამივით გაფითრებული“ — ამბობენ რომ ორმა ქალიშვილმა მოპარა მილტონს ნიგნები, თაღლითობით დაუქციეს სახლი. ასეთი სისასტიკე, როგორც მშობელსა და სწავლულს აღ-

ბათ დიდ ტკივილს განაცდევინებდა, ჰეილი მას ლირს ადარებს. იხ. მისი „მილტონის ცხოვრება“.

დაქანცული, ფერმკრთალი და ლატაკი — სემუელ ჯონსონი „მილტონის ცხოვრებაში“ წერს, „სხვა გადმოცემის მიხედვით, იგი უნახავთ პატარა სახლში, საკმაოდ კარგად ჩაცმული, იჯდა მწვანედ მორთულ ოთახში, ფერმკრთალი, მაგრამ არა მკვდარივით გაფითებული“.

განა სულთანს ვაალმერეთებდა — შეიძლებაოდა ასეც: „განა იგი ლაურეატთა დაქირავებულ ცხენზე შეჯდებოდა, გახდებოდა მჯღაბნელი, თავგაყიდული, სულგაქირავებული, საზიზღარი ისკარიოტელი?“ საეჭვოა „ლაურეატი“ და „ისკარიოტელი“ კარგი რითმა იყოს, მაგრამ მაინც გამოდგება, ისევე როგორც ბენ ჯონსონმა შეაგება მარჯვე პასუხი სილვესტრს.

სილვესტრი გაეშაირა: მე, ჯონ სილვესტრი, ვინეკი შენს დასთანო (sister); ჯონსონმა კი მიუყო: მე, ბენ ჯონსონი, ვინეკი შენს ცოლთანო. რითმა ვერ აანყო, შენიშნა სილვესტრმა; ჰო, რითმა ვერ ავანყე, მაგრამ სიმართლე კი ავანყეო, აუხსნა ჯონსონმა.

ან გონებრივად საჭურის კასლრეის ქედს შეუშვერდა... — ბაირონი სწერდა მარეის: **როგორც გამომცემელმა, საადმირალოსი და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისა, თუ დაინახო, რომ კასლრეისადმი მიძღვნილი სტროფები გავნებს, გამოტოვე გამოცემაშიო.**

ერინის სისხლი — კასლრეი იყო ირლანდიის საქმეთა მდივანი 1798-1801 წლებში, და, თვითონ ირლანდიელმა, სასტიკად ჩაახშო გაერთიანებულ ირლანდიელთა პატრიოტული მოძრაობა.

იქსიონი — თესალიის მეფე; იგი შემთხვევითობამ მოახვედრა ღმერთების სუფრასთან, სადაც ჰერას ცთუნებას შეეცადა და ზევსმა მარადმბრუნავ ჯოჯოხეთის დოლაბზე მიაბა.

ღვთისა და კაცის ზიზღს იმკის — ეხმაურება ჰორაციუსს, „პოეზიის ბუნება“, 372-3, „არც კაცები, არც ღმერთები და არც წიგნის გამყიდველები არ მოიწონებენ“, ეს სიტყვები პოეზიას ეხება; ბაირონს ტირანიზე გადააქვს.

ეუტროპიუსი — საჭურისი, ვინც დიდი ძალაუფლება ჩაიგდო ხელთ კონსტანტინოპოლის სულთანის კარზე. **ეუტროპიუსის, საჭურისისა და არკადიუსის სამეფო კარის მინისტრის, გასაცნობად იხ. გიბონი.**

ლურჯ-ყვითელად ვრჩები — ვიგების პარტიის ფერები.

განდგომილების პოლიტიკა — ვგულისხმობ არა ჩვენი მეგობრის, ლენდორის, გმირს, მოლაღატე გრაფ ჯულიანს, არამედ გიბონის გმირს, მდებიურად ვერეთნოდებულ „განდგომილს“.

იულიანეზედ იულიანე — იგულისხმება იმპერატორი იულიანე ანუ იულიანე განდგომილი, კონსტანტინეს ძმისწული, იმპერატორის სიკვდილის შემდეგ გადაეცა ძალაუფლება, უარყო ქრისტიანობა, დაუნყო მათ დევნა-შევიწროება და ანტიკური რომის ღმერთების თაყვანისცემას მიუბრუნდა.

თავი პირველი

დაიწერა 1818 წლის 3 ივლისიდან 1818 წლის 6 სექტემბრამდე, ვენეციაში. გადაათეთრა ბაირონმა 1819 წლის სექტემბერ-ნოემბერში. გამოაქვეყნა ჯონ მარეიმ მეორე ქებასთან ერთად, ანონიმურად, 1819 წლის 15 ივლისს.

ჩვენი უძველესი მეგობარი დონ ჟუანია — დონ ჟუანის თავდაპირველი ესპანური ლეგენდა მას მიიჩნევს სექსუალურ ენერგიისა და ცოდვათა წყაროდ. ბაირონის მახვილგონივრული ვერსია კი დონ ჟუანს მსხვერპლად უფრო სახავს, ვიდრე მოძალადედ; იგი მხიარული, კეთილგანწყობილი, მომხიბვლელი, თავაზიანი და დამთმობია. ქალები არიან, ქალები, სულსაც რომ არ ამოათქმევინებენ.

დონ ჟუანის საწყისებს მივყავართ ესპანურ პიესამდე, რომელიც დაიდგა 1630 წელს და ერქვა „სევილიელი მასხარა და ქვის სტუმარი“. პიესის ავტორი იყო ბერი გაბრიელ ტელეზი, უფრო ცნობილი ტირსო დე მოლინას სახელით. მთავარმა გმირმა მალე გაითქვა სახელი. ეს არის დაუღვევარი და მკრეხელი არისტოკრატი მუსუსი, ვინც საკადრისს მიიღებს, როცა სტუმრად ეწვევა აზრდილს კაცისა, ვისი ქალიშვილიც აცდუნა და თვითონ კი დუელში მოკლა. ქეიფის მერე იგი ჯოჯოხეთში ამოჰყოფს თავს. მოცარტის დონ ჯიოვანი და მოლიერის დონ ჟუანი ყველაზე ცნობილი თეატრალური ვერსიებია.

პანტომიმა — არსებობდა უამრავი დადგმა, ჩვეულებრივი მსახიობებისაც და არლეკინების ჯგუფებისაც, თოჯინურიც კი. 1817 წელს ექვსი სხვადასხვა ვერსია იდგმებოდა ლონდონში: „დონ ჯიოვანი“ სამეფო თეატრში, „დონ ჯიოვანი“ — კოვენტ გარდენში, „დონ ჯიოვანი ანუ ამხედრებული აზრდილი“ — სარეიში, „დონ ჟუანი ანუ მუსუსი“ — ლიცეუმში და აგრეთვე არლეკინური ვერსია — დრიური ლეინში.

ვერნონსაც, ყასაბ კამბერლენდსაც — ბაირონი ჩამოთვლის ბრიტანელ გმირებს: შვიდწლიანი ომისა, 1845 წლის აჯანყებისა და ნაპოლეონის ომებისა. ედუარდ ვერნონი, ადმირალი იყო და 1745 წელს ფრანგები თავიანთ პორტებში ჩაჰკეტა, ვიდრე კამბერლენდის ჰერცოგი, უილიამ ავგუსტუსი, სკოტებს დაამარცხებდა ქულოდენის ბრძოლაში და ყასაბის, ან მყრალი ბილის სახელს მოიპოვებდა. ჯეიმზ ვულფიც ქულოდენში იბრძოდა, მაგრამ უფრო ცნობილია კვებეკზე შეტევით, 1759 წელს, როცა ფრანგები გარეკა კანადიდან; ადმირალმა ედუარდ ჰოუკმა ფრანგები დაამარცხა ქუიბერონის ყურეში 1759 წელს. ფერდინანდმა, ბრუნსვიკის ჰერცოგმა, ფრანგები დაამარცხა მიდენში 1759 წელს. ბაირონი ადიდებს მისი ვაჟის დაღუპვას ვატერლოოში. მარკიზ დე გრანბიც ქულოდენის ბრძოლაში მონაწილეობდა, მაგრამ სახელი გაითქვა 1760 წელს, როცა ავსტრიელები დაამარცხა ვარზურგში. ჯონ ბარგონი ამერიკელებმა დაამარცხეს სარატოგაში, 1777 წელს. ადმირალი კეპელი იბრძოდა ქუიბერონის ყურეში და 1762 წელს აიღო ჰავანა. გრაფმა ჰოუმ

დაამარცხა ფრანგები აშანთში 1794 წელს და ჩაახშო ამბოხება სფითჰედში 1797 წელს. ფლოტში ცნობილი იყო შავი ჯეკის სახელით.

არტურ უელსლი, უელინგტონის დუკა (1769-1852) — 1814 წელს შეიქმნა დუკად, ნაპოლეონთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდგომ, გახლდათ მაშინდელი ბრიტანეთის თვალსაჩინო სამხედრო ფიგურა. ამჟამადაც ცნობილია, როგორც ვატერლოოს გამირი (1815).

იმ ლორის „ცხრა გოჭივით“ — ეს ხატი ახლა საკმაოდ ბუნდოვანი ჩანს, წინ უძღვის იმ თავისებურებებს, რაც მთელ პოემას მსჭვალავს. ცხრა გოჭი ის ცხრა გამირია, ამ ლექსში რომ იხსენიებიან. ისე არიან წარმოსახულნი, თითქოს ჩამწკრივებულნი უკან მისდევდნენ დედალორს და შედარებულნი არიან რვა მეფის მწკრივს, ბანქოსაგან რომ უნდა იშვან, როგორც კუდიანებმა აუწყეს მაკბეტს (მოქმედება IV, სცენა I), როდესაც აჩრდილთა აღლუმის დანწყების წინ მღერიან:

თავის ცხრა გოჭი რომ გადაჰყლაპა,
იმ ლორის სისხლიც ჩაასხით აბა,
და ალში თავი უკარით ქონსა,
სახრჩობელის ხის გამონაჟონსა.

ბონაპარტე და დუმორიე — საფრანგეთის რევოლუციის გენერლები. ბონაპარტე ჯერ პირველი კონსული გახდა, მერე იმპერატორი და მთელი ევროპა დაიპყრო.

„მონიტორი“ და „კურიერი“ — ფრანგული რევოლუციური გაზეთები; თუმც კურიერი ინგლისელი ტორების გაზეთიც იყო, რობერტ საუთი მის ფურცლებზე იბეჭდებოდა.

აღნუსხა ბარნავი — ფრანგ გამირებს ბაირონი ჩამოთვლის, როგორც დამარცხებულ იდეალისტებს: ანტუან ბარნავი ზომიერი რევოლუციონერი იყო, 1793 წელს აიყვანეს გილიოტინაზე. ჟაკ პიერ ბრისო დე ვარვილი იყო ზომიერ ჟირონდისტთა ლიდერი, და მანაც გილიოტინაზე ჰპოვა აღსასრული 1793 წელს. მარკიზ დე კონდორსე ბრწყინვალე მათემატიკოსი და მწერალი იყო, იაკობინელებმა მოკლეს 1794 წელს. გრაფი დე მირაბო, კიდევ ერთი დიდი რევოლუციონერი და მწერალი, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 1791 წელს. პეტიონ დე ვილენუვი გახლდათ პირველი თავმჯდომარე ეროვნული კონვენტისა, კიდევ ერთი ზომიერი, დაიღუპა ბუნდოვან ვითარებაში, 1794 წელს. ჟორჟ დანტონი იყო კიდევ ერთი დიდი რევოლუციონერი, მაქსიმილიან რობესპიერმა აიყვანა გილიოტინაზე 1794 წელს. ჟან-პოლ მარატი საკუთარ აბაზანაში მოკლა შარლოტა კორდემ, 1793 წელს. მარკიზ დე ლა ფაიეტი იბრძოდა ამერიკაშიც და საფრანგეთშიც. იგი გადაურჩა გილიოტინას და გარდაიცვალა 1834 წელს.

ფრანგების მეორე რიგი ძირითადად რევოლუციონერი გენერლები არიან. ჟოზეფ ჟუბერი მწერალიც იყო და გადაურჩა რევოლუციას. ლაზარ შოში და ფრანსუა მარსო ადრეული რესპუბლიკელი გენერლები იყვნენ; ჟან ლანესი,

ლუი დეზე და ჟან მორო ნაპოლეონის წარმატებული სამხედრო კოლეგები იყვნენ.

ნელსონი, ჰორაციო (1758-1805) — ნაპოლეონის დროინდელი ომების ჟამს ბრიტანეთის უდიდესი ადმირალი. 1801 წელს შეიქმნა ვიკონტად, კოპენჰაგენთან ფრანგების დამარცხების გამო. დაიღუპა ტრაფალგარის ძლევამოსილი ბრძოლისას.

დანკანი, ჰოუი და ჯერვისი — ცნობილი ბრიტანელი ადმირალები.

აგამემნონამდეც უცხოვრიათ მამაც ვაჟკაცებს — ეს სტრიქონი პირდაპირაა გადმოტანილი ჰომეროსის ერთ-ერთი ჰიმნიდან. აგამემნონი — ბერძენთა მთავარსარდალი ილიონის ომში.

ინგლისელი მწერალისა და ბაირონის მეგობრის, ტომას მედენის (1788-1869) წიგნში „საუბრები ბაირონთან“ ლორდ ბაირონი ამბობს, „მე იგი [დონ ჟუანი] არც ქალაქელ დენდიდ გამოიყავს და არც სოფელელ მელიებზე მონადირედ. მან ყველანაირი ფათურაკი უნდა გამოიაროს და თავისი კარიერა საფრანგეთში დაასრულოს! საბრალო ჟუანი გილიოტინაზე დაიღუპება საფრანგეთის რევოლუციის დროს. რას იტყვი ჩემს სიუჟეტზე? ოცდაოთხი წიგნი უნდა დავწერო, კანონიერი რიცხვი... თუ ეს ეპოსი არ არის, სწორედ არისტოტელეს მიხედვით, მაშინ არ ვიცი, რას ნიშნავს ეპიკური პოემა“.

in medios res — ამბავთა შუაგულიდან. ბერძნული საგმირო ეპოსი, როგორც წესი, „ამბავთა შუაგულიდან“ იწყება. ამის კანონიკური ნიმუშია „ილიადა“. რომაელმა ჰორაციუსმა, ვინც ბერძნული მოდელის მიმდევარი გახლდათ, ეს ხერხი კანონად გამოაცხადა.

ყველა ცოდვაზე ცოდვას — პოემის მეტი ნაწილი გადახვევებითაა სავსე. ეს სტრიქონი ნართაულად მიგვანიშნებს, რომ ბაირონი ამას იზრახავდა თავიდანვე.

სევილია — ბაირონმა სევილიაში იმოგზაურა 1809 წლის ივლის-აგვისტოში.

კადიზი — ამავე დროს კადიზიც მოინახულა

ქეშმარიტი იდაღო — სუფთა სისხლის ესპანელი. არაბები და ებრაელები ესპანეთში უცხოელებად ითვლებოდნენ.

დედა ნასწავლი ქალი გახლდათ... — თუმცა თვითონ უარყოფდა, მაგრამ ბაირონმა თავისი გამორეხული ცოლის თვისებანი მიანერა დონა ინესს, დონ ჟუანის დედას.

კალდერონ დე ლა ბარკა (1600-81) და ლოპე დე ვეგა (1562-1625) — ორი დიდი ესპანელი დრამატურგი; მათსავე რიგში მოიაზრება ტირსო დე მოლინაც (1579-1648), პირველი მწერალი ვინც დონ ჟუანზე დაწერა პიესა.

ფინეგლის ხელოვნება — გრეგორ ფონ ფინეგლი მწემონიკის (დამახსოვრების) სისტემას ასწავლიდა.

საყვარელ მეცნიერებად მათემატიკა ეგულეობდა — ლედი ბაირონი გამოიჩინა მათემატიკის კარგი ცოდნით; ბაირონის ქალიშვილი, ავგუსტა ადა, სახელგანთქმული მათემატიკოსი გახლდათ. როცა ბაირონისა და ენ იზაბელას ნიშნობის საკითხი წყდებოდა, ბაირონი თავის საცოლეს „პარალელოგრამების პრინციპსას“ უწოდებდა.

ებრაული არსებითი სახელი, „მე ვარ“-ს რომ აღნიშნავს, ინგლისურში ყოველთვის „წყევლად“ ითქმის — ბაირონი ხუმრობით მიმართავს სიტყვათა თამაშს შდრ. *Goddam = God am* (წყეული და ღმერთი ვარ). და ამას ინგლისურ ჩვეულებად მიიჩნევს.

სერ სემუელ რომილი — ბაირონის ვექილი გახლდათ, მაგრამ განქორწინებისას ლედი ბაირონს ადვოკატობდა, რითაც პოეტის რისხვა გამოიწვია. 1818 წელს, ცოლის გარდაცვალების შემდეგ, თავი მოიკლა.

მის ეჯუორთი — მარია ეჯუორთი (1767-1849) პოპულარული განმანათლებელი და რომანისტი თავისი დროისა, ძალიან რომ აფასებდა უოლტერ სკოტი და თავის წინამორბედად აღიარებდა. ავტორი რომანისა „რაკრენტის ციხესიმაგრე“.

მისის ტრიმერი — სარა ტრიმერი (1741-1810), წერდა კონსერვატულ, საგანმანათლებლო პამფლეტებს.

კოელების ცოლი — ჰანა მორის (1745-1810) რომანი. ეს სამი ზნეობრივი მწერალი ქალი დონა ინესის მოწონებას იმსახურებდა.

„ქალთა შეცდომების ცვენა“ — შრდ. პოუპის „კულულის შეჭრა“, ბელინდას აღწერა, II სიმღერა, 17-18 სტრ.: თუ მას წილად ხვდა ქალთა ცდომილების ცვენა, შეხედე მის სახეს და ყოველივე დაგავინყდება. ბელ, ანაბელის ერთ-ერთი მეტსახელი იყო.

ჰარისონი — ჯონ ჰარისონი (1693-1776) ცნობილი ქრონოლოგისტი, გამოიგონა ხელსაწყო, რომელსაც დიდხანს იყენებდნენ, განსაზღვრავდა გემის მდებარეობის გრძედს.

თვინიერ მენი „სწორუპოვარი ზეთისა“, *მაკასარ!* — მაკასარის ზეთს იყენებდნენ თმის გასამაგრებლად, ამზადებდნენ საფრანგეთის კუნძულ მაკასარზე. დღესდღეობით შემორჩენილია „ანიმაკასარის“ სახელით, გამოსადეგია ტილოს გადასაფარებლისათვის, რათა ზეთიანმა თმამ ავეჯი არ დასვა-როს. ამ ზეთის რეკლამას ეწერა „სწორუპოვარი“.

„თავიანთივე ქალბატონის მარათი გამოუბერტყო ტვინი თავიდან“ — „ჰენრი IV“, ნაწილი I, მოქმედება II, სურათი III. ამ ფრაზას სიტყვა-სიტყვით ამბობს ჰოტსპერი.

Malus animus — ბოროტი სული.

ნუმასავით (პომპილიუსად ხმობილის) — რომის მეორე მეფე, რომულუსის შემდგომ. წინამორბედისაგან განსხვავებით, არა ყოფილა მეომარი, მშვიდობიანი საქმიანობა ერჩივნა. ვარაუდობენ მის კავშირს ნიმფა ეგრერიასთან, ვისი სახელითაც მრავალი სიახლე შემოიღო მთავრობასა და რელიგიაში (ვერგილიუსი, „ენეიდა“, სიმღერა I, XXXV).

დედის ანაბარა დარჩენილი ერთადერთი ვაჟი — ეს ავტობიოგრაფიული შტრიხი სატირულად წარმოგვისახავს ბაირონის ურთიერთობას ცოლთანაც და დედასთანაც.

ბაირონის ცოლი — მილბენკი, ენ იზაბელა. ისინი დაქორწინდნენ 1815 წელს და გაცილდნენ ბაირონის ერთადერთი კანონიერი შვილის, ავგუსტა ადას, დაბადებიდან ერთი წლის თავზე. ლედი ბაირონი, ცნობების მიხედვით,

გახლდათ მკაცრი და განათლებული ქალი, ვინც გატაცებული იყო რელიგიითა და მათემატიკით. ვერ იტანდა მეუღლის ბრწყინვალეობას და ვერაფრისდებოდა ვერ ეგუებოდა ბაირონის სასიყვარულო თავგადასავლებს. განშორებისას მას ყურში ჩააწვეთეს ბაირონის ადრეულ ურთიერთობაზე საკუთარ ნახევარ დასთან, ავგუსტასთან, და გადანყვიტა, აღარასოდეს შერიგებოდა.

ბაირონის ანტიპათია ცოლისა და ქორწინების ინსტიტუტის მიმართ ნაკლებმნიშვნელოვანი თემაა „დონ ჟუანში“. გმირის დედა, დონა ინესი, ბევრნილად ჩამოშვავს ლედი ბაირონს. დონა ინესისა და დონ ხოზეს ურთიერთობა პირველ სიმღერაში რეალობიდანაა გადმოტანილი — ბაირონის ქორწინების ამბებიდან.

გაყრამ, რაც ძალზე გახმაურდა, საკმაოდ დააზარალა ბაირონი. აღარ დაიფარა მისი ურთიერთობანი ლედი კაროლინა ლემსა და საკუთარ ნახევარ დასთან. იგი მოიკვეთა პურიტანულმა საზოგადოებამ. ამის გამოისობით დატოვა ინგლისი 1816 წელს და აღარც დაბრუნებულა სამშობლოში.

ბაირონის დედა მკაცრი პრესბიტერიელი გახლდათ და შვილი ამ სექტის პრინციპებით აღზარდა. დონა ინესივით ქვრივი იყო. ბაირონს მამა სამი წლისას გარდაეცვალა. დონა ინესივით არც მას აკლდა სიფიცხე.

ოვიდიუსი — რომაელი პოეტი, ცნობილი მითოლოგიის დამუშავებითა და ეროტიკული ლექსებით

ანაკრეონი — ბერძენი ლირიკული პოეტი უმღეროდა სიყვარულსა და თრობას.

კატულუსი — რომაელი პოეტი, რომლის ზოგიერთი ლექსიც მეტისმეტად უნმანურია.

საფოს ოდეები — იგულისხმება ბერძენი ლესბოსელი პოეტი და მისი „ოდა აფროდიტესადმი“.

ლონგინე — გვიანდელი ბერძენი კრიტიკოსი და ესთეტიკოსი, მას მიეწერებოდა ტრაქტატი „ამაღლებულისათვის“. მართალია მისი ავტორობა არ დადასტურდებოდა, მაგრამ რადგანაც ყველაზე დიდხანს მაინც მას მიიჩნევენ ამ ტრაქტატის შემქმნელად, ავტორის ნაცვლად ფსევდო-ლონგინე აწერია მის ყველა ევროპულ გამოცემას და მათ შორის ბაჩანა ბრეგვაძისეულ ქართულ ვერსიასაც.

ვერგილიუსის სიმღერები — იგულისხმება მისი პასტორალური ლექსები და ეკლოგები.

Formosum Pastor Corydor — „მშვენნიერი მწყემსი“. ეკლოგა ეხება მწყემს კორიდონის სიყვარულს ბიჭ ალექსისადმი.

დასახიჩრებულისადმი სიბრალულისა გამო ყველაფერი დანართში გადაიტანეს — არსებობდა ასეთი გამოცემაც, სადაც მარციალისის საძაგელი ეპიგრამები ბოლოში მოათავსეს.

Missal — ლიტურგიული წიგნი წირვის წესებზე.

შეშურდეს მისი შეცოდებანი — იხ. „აღსარებანი“, I, IX. ყოველივე იმის მიხედვით, რასაც ნეტარი ავგუსტინე (345–430) მოგვითხრობს თავის სიყმანვილეზე, იოლია დანახვა, რომ იგი ქაზაფშუტა ყოფილა. სკოლას ისე უფრთხოდა, როგორც ჭირს. უყვარდა თამაში და სახალხო სანახაობანი; რასაც მოას-

წრებდა, მამას ჰპარავდა; იგონებდა ათასგვარ ტყუილს, წკეპლისათვის თავი რომ დაეღწია, რასაც მისი უწესობის გამო იყენებდნენ დასასჯელად.

„*Verbum Sat*“ — სიტყვა საკმარისია ბრძენისათვის.

„*mi vien in mente*“ (იტ.) — ეს მე მეხება.

თოვლი არ იყო, წმ. ანტონი ჭკუაზე რომ მოიყვანა? — ბაირონი მიუთითებს, რომ შესაძლოა ეშლება და ეს იყო არა წმიდა ანტონი, არამედ წმიდა ფრანცისკი, ვინც „თოვლი შეირთო ცოლად“, მაშინ უნდა იყოს: „წმიდა ფრანცისკი ჭკუაზე რომ მოიყვანა“.

Inter nos — ჩვენ შორის რომ ითქვას.

posse comitatus — თანხლების შესაძლებლობა.

Elle vous suit partout — იგი ჩვენ ყველგან მოგვყვება.

cornelian — სერდოლიკი.

non ego hoc ferrem calida iurenta consule Planco — მე არ ვყოფილვარ კონსულისათვის თბილი წყლის მიმწოდებელი პლანკო (მუნაცაიუსთა მოდგმის საგვარეულო სახელი).

„*Formosum Pastor Corydon*“ — მეორე ეკლოგაში მოთხრობილია ერთი მწყემსის, კორიდონის სიყვარული, მეორისადმი, ალექსისადმი.

მას (საფოს) სურს გვიჩვენოს არა ერთი ემოცია, არამედ მთელი წყება ემოციებისა.

ლუკრეციუსი — რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი.

იუვენალი — რომაელი სატირიკოსი, გავლენა მოახდინა ბაირონზე.

მარციალი — რომაელი ეპიგრამისტი, ბაირონი თარგმნიდა.

იერონიმედან ქრისტოსტომამდე — ადრეული საეკლესიო მამები; იერონიმემ თარგმნა ბიბლია ლათინურ ენაზე (ვულგატა). იგი მიჩნეულია მთარგმნელთა მფარველად და ერთგვარ სიმბოლოდ.

თავი მეორე

დაინერა 1818-19 წლების დეკემბერ-იანვარს, ვენეციაში. გადაათეთრა ბაირონმა 1819 წლის აპრილში. გამოაქვეყნა ჯომ მარეიმ პირველ თავთან ერთად, ანონიმურად, 1819 წლის ივლისში.

მესამე კლასში ან თუნდ მეოთხეში — იგულისხმება ისეთი ინგლისური საჯარო სკოლა, ბაირონი რომ სწავლობდა.

ვინემ პერუ ამბობდებოდა — პერუს აჯანყება ესპანეთის წინააღმდეგ დაიწყო 1813 წელს და დასრულდა 1821 წელს. ამის აღსანიშნავად ბაირონმა თავის იახტას „ბოლივარი“ დაარქვა, პერუს გამათავისუფლებლის სახელი.

ვენეციური ფაზილიდან — გამჭვირვალე თეთრი ცხვირსახოცი.

გვიუცხოვდება სიმორის გამო და გადავდივართ საწყალოსნო არსებობაში — ძალზე მტკივნეული სტროფია. ბაირონი მიიჩნევდა, რომ იძულებით გადასახლებაში იმყოფებოდა და ინგლისის დატოვების შემდეგ არასოდეს გაწუზრახავს უკან დაბრუნება.

ეტლის ბოლოს დამაგრებას დაუწყებენ ახალ ჩემოდნებს, რომელთაც ალბათ, ჩემი ახალი სიმღერა შექმნის — სკივრებისა და ჩემოდნების დამამზადებელნი ხშირად იყენებდნენ წიგნებიდან ამოხეულ ფურცლებს თავის ნახელავში ჩასაფენად. იოლი წარმოსადგენია, რომ დახლებზე დარჩენილი პოეზია მზა მასალა იქნებოდა მათთვის.

„ტკბილი ტკბილთან“ — გეოტრუდას სიტყვები „ჰამლეტიდან“ V. i.

ვაითუ ორიოდე აფრაც მოგლიჯოსო — გემის დალუპვის დეტალები აქაც და მომდევნო სტრიქონებშიც ბაირონმა ისესხა სერ ჯ. დ. დალიელის წიგნიდან „გემთა ჩაძირვანი და საზღვაო ფათერაკები“, ედინბურგში რომ გამოიცა 1812 წელს.

მისტერ მანისა, ლონდონის მკვიდრის — მისტერ მანი წყლის საქაჩ ტუმბოებს ამზადებდა ლონდონში, მაგრამ ბაირონი ორლესულად ხუმრობს: ექიმმა ფრენსის ლე მანმა ამშობიარა ანაბელა; ამას გარდა იგი იყო ერთი იმ ორ ექიმთაგან, რომელთაც ანაბელა დადასტურებას სთხოვდა, რომ მისი საყვარელი ბატონი [ბაირონი] გაგიჟდა.

უკანასკნელ აღთქმას სდებდა, გამოვსწორდებო — როგორც ჩანს, პედრილო ფარულად რეფორმაციისაკენ იხრებოდა.

ლიონის ყურეში დაიღუპო — მურთან საუბრისას ბაირონი ვარაუდობდა, რომ ნაპოლეონს აქ დაემსხვრა გემი. უოლტერ სკოტის „აივენჰოში“, რომელიც „დონ ჟუანის“ ამ ქების დაბეჭდვის შემდეგ გამოქვეყნდა, ისააკ იორკელი იხსენებს, შტორმისას როგორ გადაჰყარა საქონელი გემიდან ლიონის ყურეში.

ბატისტა (მოკლედ: ტიტა) — აქ მოხსენიებულია ბაირონის ვენეციელი გონდოლიერი და მსახური სიცოცხლის ბოლომდე — ჯოვანი ბატისტა ფალციერი.

ატროპოსის მაკრატელი — ერთ-ერთი ბედისწერათაგანი, რომელიც განაგებდა დაბადებას, სიცოცხლესა და სიკვდილს. კლოთო ბედის ბორბალს უჯდა, ლაქესი სიცოცხლის ძაფს ართავდა, ატროპოსი კი გადაჭრიდა ხოლმე სიცოცხლის ძაფს.

ჩემს ახალგაზრდობაში უსესხებიათ ჩემთვისაც ფული და გადახდა მეტისმეტად გამჭირვებია — ოქსფორდში სწავლის ბოლო ხანს ბაირონს ბევრი ფული ემართა ებრაელი ბანკირებისა და ვერც გადაიხადა მრავალ წელიწადს.

რას გადმოგვცემს უგოლინო — იგულისხმება დანტეს „ჯოჯოხეთის“ 33-ე წიგნი, 76-78 სტრიქონები: „ესა თქვა და თვალები დაუელამდა, კვლავ დასწვდა თავის ქალას კბილებით, რასაც ხრავდა როგორც ძალღიძვე“. ნაგულისხმევია მანამდე ნახსენები უგოლინო.

იქ ყოფნას ინატრებდით, სად ჭეშმარიტებაა — ჭაში — „ჭეშმარიტება ძვეს ჭის ფსკერზე“ — ანდაზა; მასში დემოკრიტეს აზრია ჩანწეხილი.

კანდია — იგულისხმება კრეტა.

მას ალბათ შეეძლო გადაეცურა ჰელესპონტი, ვით ერთხელ (საამაყოდ გვაქვს ეს გმირობა) ლეანდრმა, მისტერ ეკენჰედმა და მე გადაეცურეთ — ჰელესპონტსა თუ დარდანელში არის ვინრო გასასვლელი რითაც შავი ზღვა უერთდება ხმელთაშუა ზღვას. აქ დაიხრჩო ლეანდრი, ვისაც სურდა მისულიყო თავის სატროფო ჰეროსთან. 1810 წელს ბაირონმა ლეიტენანტ ეკენჰედთან ერთად სესტოსიდან — ანუ ევროპის სანაპიროდან — გადაცურა აბიდოსამ-

დე, — ანუ აზიის სანაპირომდე. ბაირონი უნივერსიტეტის დღეებშივე იყო კარგი მოცურავე და ამით ამაყობდა. 1812 წელს მან დაწერა ლექსი “სესტო-სიდან აზიდოსამდე გადაცურვის შემდგომ”

ირლანდიელი ქალბატონი — უნდა იგულისხმებოდეს ტომას მურის ნაცნობი, ლედი ადელაინ ფორბსი, მისი სახელი ნახსენებია ბაირონის წერილებში.

ბასკუინა — ესპანური ქვედატანი ქალისა, იცვამენ შინაურ სამოსს ზემოთ.

მანტილა — ქალის მოსასხამი.

ერთ იმ უდაბურ და პატარა ციკლადზე — კუნძულთა ჯგუფი ეგეოსის ზღვაში საბერძნეთსა და თურქეთს შორის.

ჰაიდე — ეს სახელი ბაირონმა შესაძლოა ბერძნული ხალხური სიმღერებიდან გამოიყენა. პრატის მიხედვით, ის ნიშნავს ალერსიანს ან მოსაალერსებელს.

„ნოუს“ — ბერძნულად უნდა იწერებოდეს “*nu, omicron, upsilon, sigma*” და ლათინური შრიფტით იმიტომ წერია რომ იმ დროს სტამბაში ბერძნული შრიფტი არ გააჩნდათ. ნიშნავს — ჭკუას, გონებას.

მის განსაცდელს ვერ შეედრება მონათხრობი, გადმოცემული პაპაჩემის „ამბებში“ — კაპიტანმა ჯონ ბაირონმა, ვისაც “გადარეულ ჯეკს” უწოდებდნენ, გამოაქვეყნა წიგნი: “ამბავი კეთილშობილი ჯონ ბაირონისა (მსოფლიოს გარშემო ბოლოდროინდელი მოგზაურობის მეთაურისა)”, სადაც გადმოცემულია ის დიდი გაჭირვება, რაც მან და მისმა ამაღამ გამოიარეს პატაგონიის ნაპირებთან, მოყოლებული 1740 წლიდან 1746 წლამდე, ვიდრე ინგლისში დაბრუნდებოდნენ; დაწერილი მის მიერვე.

სკიო — ბერძნული კუნძული ეგეოსის ზღვაში.

იონიური აქცენტი — ბაირონმა უკვე მოათავსა თავისი კუნძული ციკლადებში, რაც საბერძნეთის სახმელეთო ნაწილის აღმოსავლეთით მდებარეობს, იონიის კუნძულები კი დასავლეთითაა.

პასიფაე — კრეტის მეფის მინოსის ცოლი. მინოსმა უარი თქვა თეთრი ხარი შეენირა ღმერთებისათვის. რის გამოც ნეპტუნმა შური იმით იძია, რომ პასიფაეს შეუყვარდა ხარი. ხელოვანმა დედალუსმა ისეთი მონყობილობა ააგო, რომ პასიფემ შეძლო ვნების დაკმაყოფილება; შედეგად გაჩნდა მინოტავრი.

ბერი... ოლდერმენი — ბერი და ოლდერმენი ძალზე არაპოპულარულნი იყვნენ იმ დროში, ბერი — იტალიაში, და ოლდერმენი — ინგლისში.

ჟუანს არ ესმოდა ახალი ბერძნული — ის ახალბერძნული, რაზეც ლაპარაკობდნენ ბაირონის დროს.

არა იმისათვის, რომ იო მოეტაცა — იო ძროხად გადააქცია ზევსმა რათა დაემალა და დაეცვა ეჭვიანი ჰერას შურისძიებისაგან. იო არავის მოუტაცია.

ქსერქსე — სპარსეთის მეფე (519-465), იგი სპარტელებმა შეაჩერეს თერმოპილეს ხეობაში და ათენელებმა დაამარცხეს სალამინსა და პლატეაში. ამბობენ, რომ იგი ჯილდოს ჰპირდებოდა მას, ვინც მანამდე განუცდელ ტკობას მოიგონებდა მისთვის.

ბაროუ, აიზეკ (1630-1677) — ტრინიტი კოლეჯის (კემბრიჯის უნივერსიტეტი) ხელმძღვანელი და სახელგანთქმული მქადაგებელი.

საუთი, რობერტ (1634-1677) — სახალხო ორატორი ოქსფორდში. ქადაგებდა მეფის კარზეც.

ტილოტსონი, ჯონ (1630-1694) — კენტერბერის არქიეპისკოპოსი. ეპისკოპოს ბარნეტის მიხედვით, “იგი არა მარტო საუკეთესო მქადაგებელი გახლდათ ყველა დროსა, არამედ ქადაგება თითქმის სრულყოფილებამდე მიიყვანა”

ბლერი, პიუ (1718-1800) — რიტორიკისა და ნატივი ხელოვნების რევიუს პროფესორი ედინბურგის უნივერსიტეტში 1762 წლიდან 1783 წლამდე.

ჰორაციუსი, კატულუსი, ოვიდიუსი — რომაელი პოეტები, რომელნიც სიყვარულს უმღეროდნენ. მათ შორის ბაირონი ჰორაციუსს გამოარჩევდა.

საფოც, ცისფერწინდებიანი ბრძენი — ცისფერწინდებიანი ინტელექტუალ ქალს აღნიშნავდა ბაირონისდროინდელ ინგლისში. ბაირონს მოსწონს ლეგენდა, საფოს ზღვაში გადახტომისა ლევკადიის კლდიდან.

რაგუზი — ხორვატული საპორტო ქალაქის, დუბროვნიკის, იტალიური სახელი.

გამამსხრებ უძლიერეს ადამიანებს: კეისარს, პომპეუსს, მუჰამედს, ბელიზარიუსს — პიროვნებანი, რომელთა ცოლებიც გზას აცდნენ, ან ჭორები დადიოდა მათზე.

— კეისრის მესამე ცოლი, პომპეა, პლუტარქეს მიხედვით, კლოდიუსთან არშიყობდა.

— პომპეუსის მესამე ცოლი, მუსია, კეისართან ღალატობდა.

— მუჰამედის ერთ-ერთ ცოლზე ეჭვები დადიოდა.

— ბელიზარიუსის ცოლის საქციელზე ანდაზები შეიქმნა.

ეპიკურე (ქრისტემდე 341-271) — ელინური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი. ეპიკურული სკოლის დამაარსებელი. ბერძენი ეპიკურელი, ვინც წერდა ტკობის საგნის შესახებ.

არისტოფუსი — მეოთხე-მესამე საუკუნეთა ბერძენი ფილოსოფოსი, რომელიც ამტკიცებდა, ამქვეყნიური სიამოვნება უდიდესი სიკეთეაო.

„Beau Ideal“ — მშვენიერი იდეალი

სარდანაპალი (669-640) — ასურეთის მეფე. ბაირონს ტრაგედია აქვს დაწერილი მასზე.

თავი მესამე

დასრულდა 1819 წლის 30 ნოემბერს, ვენეციაში. ჯერ განზრახული იყო ერთ თავად, მეოთხე თავთან ერთად, მერე გაიყო. გადაათეთრა ბაირონმა 1820 წელს. გამოაქვეყნა ჯონ მარეიმ ანონიმურად, მეოთხე და მეხუთე თავებთან ერთად, 1821 წლის 8 აგვისტოს.

კვიპაროსები — სიმბოლო სიკვდილისა და გლოვისა.

პირველი ვნებით ქალს თავისი სატროფო უყვარს, მერე და მერე კი თვით სიყვარული — პერიფრაზები ფრანსუა დე ლა როშფოუკოს მაქსიმებიდან: „პირველი ვნებისას ქალებს უყვარდებათ სეყვარებულები და მერე უყვართ

სიყვარული“. „შეგვიძლია ვიპოვოთ ქალი, რომელსაც არასოდეს ჰყოლია საყვარელი, მაგრამ იშვიათია ქალი, რომელსაც მხოლოდ ერთი საყვარელი ჰყოლია“.

დაფიქრდით, ლაურა რომ პეტრარკას ცოლი ყოფილიყო — ფრანჩესკო პეტრარკა (1304-74), მამამთავარი იტალიური სასიყვარულო სონეტისა, ლექსებს უძღვნიდა გათხოვილ ქალს, ლაურას. თვითონ არასოდეს დაქორწინებულა, მაგრამ ორი უკანონო შვილი ჰყავდა უცნობი ქალისაგან. ლაურა რომ მისი ცოლი ყოფილიყო, ალბათ სხვას მიუძღვნიდა ლექსებს.

სიკვიდისა თუ ქალბატონზე — პოპულარული ბალადა, პირველად გამოქვეყნდა 1736 წელს. მარჩანდი პირქუშს უწოდებს.

მხოლოდ ორმა უმღერა ზეცასა და ჯოჯოხეთს ანუ ქორწინებას, დანტემ და მილტონმა და ორივესთან სიყვარული უბედურების მომტანი აღმოჩნდა ქორწინების გამო — დანტე „ჯოჯოხეთში“ თავის ცოლს მტაცებელს უწოდებს. მილტონის პირველი ცოლი შინიდან გაიქცა ქორწინებიდან პირველივე თვეში. ასე რომ არ მოქცეულიყო, რა უნდა ელონა მილტონს?

დანტეს ბეატრიჩე და მილტონის ევა... ქმრებს არ გაჰქცევიათ — მილტონსა და დანტეს — შექსპირსა და დრადენივით და უთუოდ ბაირონივით — ქორწინებამ არ გაუმართლათ. თამამად შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰაიდეს ხასიათი ლედი ბაირონის თარგზეა დახატული.

დანტე... გულისხმობდა... მათემატიკას — იმ დროში ფართოდ განიხილებოდა კავშირი მათემატიკასა და მისტიციზმს შორის; დანტეს „სამოთხე“ განსაკუთრებით ახლოა მათემატიკასთან; მაგრამ ბაირობის ირონია აქ მისივე მეუღლეს შეეხება.

მატაპანი — თანამედროვე ტაინარონი, უკიდურესი სამხრეთი ნერტილი სამერძეთის ხმელეთისა.

მეონიტები — ბერძენი მეკობრეები, ბაირონი ძლივს გადაურჩა მათ 1810 წელს.

ტუნისი ... ტრიპოლი — სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში.

ალეკანტე — ქალაქი სამხრეთ ესპანეთში. ლამბროს კომერციული ინტერესები მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთს სწვდებოდა.

ითაკა — სამშობლო ოდესესისა, რომლის ძალღი არგუსიც ცნობილია ლიტერატურაში.

ულისე — „ოდისეას“ მთავარი გმირის, ოდისევსის სახელის ლათინიზებული ფორმა.

ჰიმენე — ქორწინების ღვთაება და თვით ქორწინება.

ლამბრო — პირველად ახსენებს ამ სახელს. ამბობენ, მოდელად ჰყავდა ალო ფაშა, თავისი ალბანელი მასპინძელი; მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ცნობილი ბერძენი მეკობრე, ლამბროს კაცონესი.

ციბრუტივით რომ ბრუნავენ, მიხვდა რომ პირპიქულ ცეკვას ასრულებდნენ — დერვიშთა ცეკვა თურქეთში თავანყვეტილი და ორგიასტული იყო. ბერძნებსა და ალბანელებს ჰქონდათ საკუთარი მძვინვარი „სამომარი“ ცეკვები, რაშიც ასახიერებდნენ დარტყმასა და მოგერიებას.

ვისაც საკუთარი თავის მართვა შეუძლია, შეძლებს მბრძანებლობას — თითქმის ისე, ვითარცა გუელფი — ირიბი მინიშნება ინგლისის სამეფო სახლზე, ჰანოვერთა ოჯახზე. ისინი გერმანული გველფების ტომის შთამომავლებად ითვლებიან. ბაირონი არ ყოფილა ჰანოვერთა დინასტიის თავყანისმცემელი, მაგრამ საკმარისი ჭკუა ჰქონდა, რომ პირდაპირ ბრალი არ დაედო მეფე ჯორჯებისათვის. შემდგომდროინდელი პოეტიები ნაკლებ ფრთხილობდნენ. უინთროპ მაკუორთ პრედი წერდა ლექსში „ეპიტაფია სენდვიჩის კუნძულების მეფისა“, სადაც იგულისხმებოდა ჯორჯ IV, ცნობილი ლოთობისა და დებოშის სიყვარულით. ჯორჯ III-ც დიდად არაფრით დახსომებია შთამომავლობას.

სილამაზე — დაისის ჟამს დაუშნოვებული, გენიოსი — სმით სიკვდილის პირას რომ მიიყვანს თავს — ბაირონი გულისხმობს კაროლინ ლემსა და შერიდანს. პირველი ბაირონთან რომანის შემდეგ გალოთდა და მეორე კი ყოველთვის ბევრს სვამდა, განსაკუთრებით სიცოცხლის მიწურულს.

მეთოდისტად გარდაქმნილი გარყვნილი ან ეკლექტიკოსი — „ეკლექტიკ რევიუ“ ერქვა ჟურნალს, რომელიც არ იწონებდა ბაირონის ზნეობასა და პოეზიას.

უძვირფასესი ლითონი შემოვლებოდა უთეთრეს კანს — კაბა მავრულია და სამაჯურების და საკეტებიც შესაფერისი. ამით მკითხველი მიხვდება, რომ რაკილა ჰაიდეს დედა ფეხიდან (მაროკო) იყო, მისი ქალიშვილი დედის სამშობლოს სამოსს ატარებს.

ოქროს სარტყელი შემორტყმოდა წვივზე — ოქროს სარტყელი წვივზე მიანიშნებს ქალის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე ოჯახში, და მის ნათესავ ქალებსაც უფლება აქვთ ატარონ ეს სამკაული.

მისი თმის მონითალო ხორბლისფერი ტალღები კოჭებამდე ეშვებოდა, ვითარცა ალპური ჩანჩქერი, მზე რომ შეფერავს დილის ნათელით, და შეეძლო ერთიანად გახვეულიყო მათში — ბაირონისათვის ეს არ არის გადაჭარბება: სულ ოთხი ქალი ახსოვდა ასეთი თმით; აქედან სამი ინგლისელი გახლდათ, ერთი კი — ლევანტიდან. ისეთი გრძელი და სქელი თმა ჰქონდათ, ჩამოშლილი მთლიანად ფარავდათ და თითქოს სამოსი აღარც სჭირდებოდათ. მათგან მხოლოდ ერთს ჰქონდა მუქი ფერის თმა; აღმოსავლელს ალბათ ყველაზე ღია ფერისა ექნებოდა.

ფსიქეა — პრინცესა, რომელიც კუპიდონს უყვარდა; ხშირადაა მიჩნეული უმანკო სულად. იხ. კიტსის „ოდა“, ან აპულეუსის „ოქროს ვირი“.

ანტიიაკობინელი — ანტიიაკობინელთა პარტია არსებობდა ინგლისში, უპირისპირდებოდა საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკას და ქადაგებდა ძველი, ნაცადი და ჭეშმარიტი ინგლისური კონსტიტუციის ერთგულებას.

ლაურეატის პენსია — საუთის პენსია ას ფუნტ სტერლინგს უდრიდა.

Vates irritable — სიტყვა-სიტყვით, „გალიზიანებული პოეტი“. მურის აზრით, აქ ნაგულისხმევია კოლრიჯის „ბიოგრაფია ლიტერარისა“ მეორე თავი, რომელიც შეეხება „სავარაუდო გალიზიანებულობას გენიოსებისა“.

მკრეჭავი — ის, ვინც პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს იცავს; ეს ფრაზა ნიშნავს მკერავის თანაშემწესაც; ბაირონი საუთის ცოლს „ბათელ მკერავს“ უწოდებდა. ამით შეფარვით შეურაცხყოფდა თავის მტერს.

ემოგზაურა არაბეთში, თურქეთში, ფრანკებში — აღმოსავლეთ ხმელთა-შუაზღვისპირეთში ყველა დასავლეთ ევროპელს ფრანკს უწოდებდნენ.

Ca ira — პოპულარული სიმღერა საფრანგეთის რევოლუციის დროს, სიტყვა-სიტყვით, „ნავა“.

Trecentisti — იტალიელი პოეტები მე-14 საუკუნისა, ვიქვათ, დანტე.

საბერძნეთის კუნძულები — უპირველეს ყოვლისა უნდა გავიხსენოთ ბაირონის გატაცება ცხოვრების უკანასკნელ წლებში — საბერძნეთის გათავისუფლება თურქთა მონობიდან. იგი ადარებს ძველ და ახალ ბერძნებს და სთხოვს თანამედროვეთ, მიბაძონ წინაპრებს. ამ თემას ეხება ბაირონი „ჩაილდ ჰაროლდის“ მეორე სიმღერაშიც. ეს ლექსი თითქმის ყველა ანთოლოგიურ გამოცემაში შედის.

დელოსი... ფებუსი — კუნძული დელოსი პოსეიდონმა შექქმნა. ფებუსი (აპოლონი) იქ დაიბადა.

სკიანური და ტვიანური — მუზეები, რომლებიც შთააგონებდნენ ეპიკოს ჰომეროსსა და ლირიკოს ანაკრეონტს. იხ. „ოდიხა“ VIII.

დალოცვილი კუნძულნი — დალოცვილად ბერძენი პოეტები მოიხსენიებდნენ ქეიპ დე ვერდეს ან კანარის კუნძულებს. პრეტი აღნიშნავს, ეს სტრიქონები ჰესიოდეს შრომიდანაა ამოღებულიო.

მარათონი — ადგილი სახმელეთო ბრძოლისა, რომელიც გაიმართა ქრისტეს დაბადებამდე 490 წელს და სადაც ათენელებმა დაამარცხეს დარიოს I. ბაირონმა ჰობზაუსთან ერთად მოინახულა ეს ადგილი. აქ ისინი საჭმლით მოინამლნენ.

სალამინი — საზღვაო ბრძოლა, ქრისტეს დაბადებამდე 480 წელს, სადაც ათენელებმა დაამარცხეს სპარსელთა დიდი ფლოტი.

...და ოდეს მზე ჩაესვენა, სადღა იყვნენ? — განადგურება; თავისი ტახტიდან, ბორცვზე რომ დაედგათ მწუხარე ღრიალით შემოიხია მეფური სამოსი, და თავის ჯარებს მიმოფანტულს ნაპირზე, ნიშანი მისცა უკანდახვეის; და ისინიც უწესრიგოდ მიმოიფანტნენ (ესქილე).

სპარტელთა... თერმოპილე — ქრისტეს დაბადებამდე 480 წელს სპარტელთა მეფე ლეონიდე სამას სპარტელთან ერთად იცავდა თერმოპილეს ხეობას სპარსელთაგან, ვიდრე დანარჩენი საბერძენი საბრძოლველად ემზადებოდა.

სამოსური — კუნძულ სამოსზე ცხოვრობდა ანაკრეონტი, ირონიული სიტყვის გადაკვრაა ლადეს ბრძოლაზე, სადაც სამოსელებმა ილაჩრეს. პოეტი მიუთითებს, რომ სამოსელთა ლალატმა განაპირობა ბერძენთა მარცხი ლადეს ბრძოლაში 494 წელს ქრისტემდე, და ამბობს, ეს ლალატი მეორდება და ბერძნებმა უნდა შეწყვიტონ თავიანთი მიწის მიყიდვა თურქებისთვისო.

ქიოსური — ჰომეროსის დაბადების ადგილი, სადაც 1822 წელს თურქებმა ამოჟლიტეს თითქმის მთელი მოსახლეობა.

სული — კლდოვანი მხარე საბერძნეთში. სულიელნი თავს სპარტელთა შთამომავლად ასალებენ. ბაირონს აქაური მცველი ჰყავდა მისოლონგის ბრძოლის დროს, მაგრამ ძალზე გაუტყდა გული მათი სიხარბის გამო.

პარგა — ქალაქი საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროზე. მისი ხსენება დაკავშირებული უნდა იყოს ინგლისელთა მიერ ალი ფაშასათვის პარგას გადაცემასთან, რასაც სამარცხვინო ფაქტად მოიხსენიებდნენ ინგლისელი პოლიტიკოსები ვიგების პარტიიდან.

ღორიელები — პირველი ბერძენი მოსახლენი.

ჭერაკლიდები — ჭერაკლეს შთამომავალნი.

ნუ მიენდობით ფრანკებს... მათი მეფე ყიდის და ყიდულობს — მეფეში იგულისხმება ტახტების დამბრუნებელ მეფეთა კონგრესი ვენაში 1815 წელს. პოეტი ფიქრობს, რომ მთელი დასავლეთ ევროპა ერთი ქვეყანაა და ერთი მეფე ჰყავს.

მშობლიურ მახვილთ და მშობლიურ მებრძოლთ — 1821 წლის გაზაფხულზე ბერძნები აჯანყდნენ და თურქული დასახლებანი გაუფუეს.

სუნიუმი — კონცხი ათენის მახლობლად. აქ ბაირონმა 1810 წლის 23 იანვარს ინახულა პოსეიდონის ტაძრის ნანგრევები.

ჰოილი, ედმუნდ (1672-1769) — დაწერა ვისტის სათამაშო სახელმძღვანელო. აგრეთვე, სახელმძღვანელოები ნარდის, ჭადრაკის და სხვა სამამდიო თამაშებისათვის.

მარლბორო — ჯონ ჩერჩილი, მარლბოროს პირველი ჰერცოგი (1650-1722), ძალზე წარმატებული ინგლისელი გენერალი. მრავალი გამარჯვება მოპოვა ესპანეთის ტახტისათვის ომში (1702-13).

უილიამ კოქსი (1747-1828) — კემბრიჯის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი და ვილტჰიმის არქიდიაკვანი. ბაირონს მინცადამინც არ მოსწონდა მისი ნაშრომი.

რათა ვიმღერო გედივით და მოეკვდე — სოფოკლე, „აიაქსი“, V.1217

ამბობენ, მილტონი, ეს დიადი ქურუმი, კოლეჯში გაუნკეპლავთ, უხეში ბატონი ყოფილა, ახირებული ქმარი და მისის მილტონი ამიტომაც წასულა შინიდან — იხ. ჯონსონის „მილტონის ცხოვრება“.

შექსპირი... ლორდი ბეკონი... ტიტუსი... კეისარი... ბერნსი... დოქტორი კიური... კრომველი — შექსპირსა და კრომველზე უნდა ითქვას, რომ ალბათ უდანაშაულონი იყვნენ სიცვლექეში. დანარჩენები კი (ბეკონი მექრთამეობაში, რომაელები — გარყვნილებასა და სისასტიკეში, დოქტორმა კიურამ 1800 წელს გამოსცა წიგნი, სადაც ბერნსი ალკოჰოლიკადაა დახასიათებული) სცოდავდნენ.

ყველა საუთის მსგავსი მორალისტები ხომ არა ვართ, „პანტისოკრატიაზე“ რომ ლაქლაქებს, ან უორდსუორთის მსგავსნი, უაქციზოდა და უსამსახუროდ დარჩენილი სეზონურად რომ აცხობს თავის საწვრილმანო ლექსებს დემოკრატიაზე, ან კოლრიჯის მსგავსნი, რომლის თავქარიანმა კალამმა არისტოკრატიულობა განუმტკიცა „მორნინგ პოსტს“ — კვლავ საუთის, კოლრიჯისა და უორდსუორთის შეურაცხყოფა. 1794 წელს პირველმა ორმა დაგემგემს უტოპიური თემის „პანტისოკრატია“, დაარსება მდინარე სასქუეპანას ნაპირზე (ტერმინი „პანტისოკრატია“ შემდეგ საზოგადოდ მოერგო ლეიკისტებს ანუ ტბის სკოლის პოეტებს). ადრეული ლექსები უორდსუორთისა (რასაც ბაი-

რონი „სანწრილმანოს“ უწოდებს) და კოლრიჯისა (ვიდრე იგი „მორნინგ პოსტის“ მსგავს ტორების პერიოდულ გამოცემებისათვის დაიწყებდა წერას) მიჩნეულია საუკეთესოდ მათ შემოქმედებაში. „ბათელი მოდური მკერავები“ გულისხმობს დებს, გვარად ფრიკებს, სარას (კოლრიჯს გაჰყვა ცოლად) და ედითს (საუთის გაჰყვა ცოლად). თუმცა კეთილშობილ ოჯახში აღიზარდნენ, ღარიბები იყვნენ, მაგრამ არ არსებობს არავითარი ცნობა, რომ მკერავები ან მოდისტები ყოფილიყვნენ. მარჩანდის მიხედვით, მოდისტები მამინ მსუბუქი ყოფაცქევის ქალებად იყვნენ მიჩნეული. საუთი წერდა ტორების გაზეთ „მორნინგ პოსტისათვის“ კვირაში ერთ ლექსს თითო გინეად, 1798 წლიდან 1803 წლამდე.

ბოტანი ბი — დამნაშავეთა კოლონია ავსტრალიაში. ბაირონი ალბათ სიტყვას გადაუკრავს საუთის ბოტანი ბაის ეკლოგებზე (1794).

„ექსკურსია“ (1814) — ცოტა ვინმე თუ მიულოცავდა საკუთარ თავს გმირობას უორდსვორთის ამ ნიგნის ნაკითხვისა გამო.

ჯოანა საუთქოთის შილოსა და მისი სექტის მსგავსნი — ჯოანა საუთქოთი (1750-1814) აცხადებდა, ქალწული ვარო, და ბავშვი ჩამესახა ახალი მესიისაგან — „შილოსაგან“. ბევრი ფანატიკოსი მომხრე გაიჩინა. წლების განმავლობაში რჩებოდა „ფეხმძიმედ“. ექიმებმა მას წყალმანკის დიაგნოზი დაუსვეს.

არიოსტო, ლუდოვიკო (1474-1533) — ბაირონის საყვარელი „შმაგი ორლანდოს“ ავტორი.

ბობ საუთისაგან რომ მოედინება ყოველ გაზაფხულზე — ბაირონი აჭარბებს. საუთიმ მხოლოდ ხუთი პოემა დაწერა 1796-1814 წლებში. თვით-ეული ბაირონს ყურადღებით ნაუკითხავს.

Longueur (ფრ) — გაგრძელებული; იგულისხმება გრძელი პოემა.

the Epopée — ეპოსი.

ჰომეროსი ხანდახან ჩათვლემს — ჰორაციუსი, „პოეზიის ხელოვნება“, 480-1.

„პატარა ნავი“ — იხ. უორსვორთის „პიტერ ბელი“, შელის „ალასტორი“, საუთის „ტალაბა დამაქცევარი“.

ჩარლზის ურიკა — გუთანის თანავარსკვლავედი.

მედეა — ბერძნული ტრაგედიის გმირი, ვინც შვილებს დახოცავს და ურჩხულ-შებშული ეტლით გაფრინდება.

პოუპი და დრაიდენი — ბაირონი აღტაცებული იყო ამ ორი პოეტის ხელოვნებით და საუკეთესოდ მიიჩნევდა ინგლისურ ტრადიციაში.

ჯეკ ქეიდი — მეფის წინააღმდეგ მონყობილი აჯანყების წინამძღოლი 1450 წელს.

ქირქილი დაიწყოს „აქიტოფელის“ დამხატვავზე — „დრაიდენის ლექსები, ერთ დროს დიდად განთქმული, დავიწყებულია“. მრ. უორდსვორთის წინასიტყვაობიდან.

ავე მარია — ნაწყვეტები „ავე მარიადან“ და ორი დანარჩენი სტროფი ალბათ არ მიიჩნეოდა თანამედროვეთა მიერ ბაირონის ურწმუნოების დასამტკიცებლად. ჯერაც მოდაში იყო ქირქილი კათოლიკურ რწმენასა და რიტუალებ-

ზე. და მინც, ბაირონმა საჭიროდ მიიჩნია დაეცვა თავისი რწმენა 104 სტროფში: „ჩემი საკუთრებელები მთები და ოკეანეა, დედამინა, ჰაერი, ვარსკვლავები. ადრიანეს ნაკადი — რავენა იყო პორტი, სადაც ადრიატიკის ზღვა ბოლოვდებოდა.

სად კეისრის სიმაგრე იდგა — რავენა ბოლო შტაბი იყო დასავლეთ რომის იმპერატორებისა. იხ. გიბონი, „დაქვეითება და დაცემა“, თ. 33-36.

ბოკაჩო — „დეკამერონის“ მეხუთე დღის ამბავი რავენაში ხდება. დრადენმა დაწერა ინგლისური ვერსია ბოკაჩოს ამ ნოველისა, სათაურით „თეოდორა და ჰონორია“.

ონესტის გვარის მონადირის ჩრდილი — ბოკაჩოს მოთხრობის გმირი.

ეჰ! მართლაც რომ არაფერი კვდება დაუტირებლად! — ეს ბოლო სტრიქონი გრეის ელეგიიდანაა, მიუთითებლად რომ აულია დანტესგან.

ოდეს ნერონი დაიღუპა სამართლიანი ბედისწერით განგმირული, რომელიც ანადგურებს გამანადგურებელს, ხმაურში გათავისუფლებული რომისა, გათავისუფლებული ერებისა და მსოფლიოს ზეიმში, მაინც ვილაცის უხილავ-მა ხელმა ყვავილები მოაბნია მის საფლავზე — ამის შესახებ იხ. სვეტონიუსი.

კანტაბის სახელმთხვეჭილთა შორის, ყველაზე დაბალი ხარისხი რომ მიიღეს — კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტები (კანტაბრიჯიელები). თუ უმაღლესი მიღწევა არ ჰქონდათ, ხის კოვზებით აჯილდოებდნენ.

თავი მეოთხე

დაინერა 1819 წლის მიწურულსა და 1820 წლის დამდეგს, რავენაში. თავიდან მესამე თავთან ერთად იყო ჩაფიქრებული, მერე გაიყო. გადაათეთრა ბაირონმა 17 იანვარს. გამოსცა ჯონ მარეიმ ანონიმურად, მესამე და მეხუთე თავებთან ერთად, 1821 წლის 8 აგვისტოს.

როს ზრდამ „ყვითელ ფოთლამდე“ მიაღწია — იხ. „მაკბეტი“, V, iii. მაკბეტი ნუხს დაკარგვას ღირსებისა, სიყვარულისა, მორჩილებისა და მეგობართა იმის გამო, რომ დაბერდა და ბევრი დანაშაული ჩაიდინა.

და თუ დავცინი რომელიმე მოკვდავ საგანს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიტყვი — ეს აზრი გამოთქმული აქვს ბომარშეს („ფიგაროს ქორწინება“, I, ii) და რიჩარდსონს („კლარისა“, წერილი ლავლესისა ბედფორდისადმი, 92) და ბაირონიც იმონებს მათ, თუმცა თვითონაც აქვს გამოთქმული ეს აზრი.

ლუთა — დავინწყების მდინარე ქვესკნელში. იხ. მილტონის „დაკარგული სამოთხე“, II 582-6, ან შექსპირის „მეთორმეტე ღამე“, IV, i.

თეტისმა... სტიქსში — თეტისმა აქილევსის დედამ, ყრმა აქილევსი მდინარე სტიქსში ამოავლი, რათა მოუწყვლადი გაეხადა.

მავანმა ბრალი დამდო უცნაურ განზრახვაში — ბაირონის შესახებ მრავალი ცუდი რეცენზია იწერებოდა, საინტერესო იქნებოდა მათი შეგროვება და ხელახალი დაბეჭდვა.

პულჩი ლუიჯი (1432-1484) — იტალიელი პოეტი. ბაირონს მოსწონდა ბაძავდა მას, თარგმნა კიდევ მისი „მორგანტეს“ პირველი ქება.

ეს ხომ ლიბერალური საუკუნეა და აზროვნება თავისუფალია — თუ რაოდენ არალიბერალურად მიაჩნდა ბაირონს თავისი საუკუნე, იხ. „მიძღვნა“.

აპოლონი მიწვევს ყურს — აპოლონი პოეზიის მფარველი ღვთაებაა. ეს სტრიქონი კი ვერგილიუსის მეექვსე ეკლოგის, 3-4, პერიფრაზია.

ღმერთს ვინც უყვარს, ახალგაზრდები კვდებიანო, უთქვამთ დიდი ხნის წინათ — იხ. ჰეროდოტე, „მეანერის“ ფრაგმენტი.

ბებერი მშვილდოსანი — იგულისხმება სიკვდილი.

კლდეს მიჯაჭვული — აშკარა გამოძახილია ანდრომედას ამბისა, ვინც კლდეზე მიაჯაჭვეს პოსეიდონის ურჩხულისათვის შესანიშნავად. მაგრამ ანდრომედას გადაარჩენენ.

ჯენტლმენტა მანძილია — ბაირონი დუელში უნდა გასულიყო მალტაზე 1809 წელს, მაგრამ დუელი არ შედგა; ბაირონს დუელში ჰყავდა გამოწვეული, აგრეთვე ჰიუსონ კლარკი, საუთი და ბროგემი; ეს დუელებიც ჩაიშალა სხვადასახვა მიზეზთა გამო.

ირლანდიური — შეურაცხმყოფელი ფრაზაა ირლანდიელთათვის, გული-სხმობს „ნაკლებ მგრძნობიარეს“.

გალიოტები — მცირე საზღვაო გემები.

ცრემლთა ჩინური ნიმფა... მწვანე ჩაი — 1839 წლამდე ევროპაში მხოლოდ ჩინურ ჩაის სვამდნენ და არა ინდურს.

კასანდრა — ტროას მეფის ასული, ვინც დანყევლილი იყო და თუმცა მისი წინასწარმეტყველებანი სიმართლეს ღალატებდა, არავინ უჯერებდა.

ბოჰეა — დაბალი ხარისხის ჩაი ბუ-ი ვუ-ის რეგიონიდან ჩინეთში.

ნიადა ფლეგეტონური წყაროსი — ფლეგეტონი ჯოჯოხეთის მდინარეა; იხ. „დაკარგული სამოთხე“, II, 580. ამრიგად ბრენდი ჯოჯოხეთის ალია.

ფეზი — ქალაქი მაროკოში.

ვენერა... ლაოკოონი... გლადიატორი — ბერძნულ და რომაულ ქანდაკებათა დასახელებით სურს ბაირონს უჩვენოს ჰაიდეს სილამაზის ჩაქრობა და სასონარკვეთა.

„ჩაკეტილმა, ჩარაზულმა, ჩამწყვედილმა“ — ეს ერთ-ერთია ექვსიოდე ციტატიდან, რაც „მაკეტეტიდან“ მოაქვს ბაირონს ამ ქებაში. ციტატები ბუნდოვანია, მაგრამ ქების ცალკეული ადგილები ნაცნობი გვეჩვენება პირველი ნაკითხვისთანავე. თავის ბარათებში, სხვა დროსა და ვითარებაში, როცა „დონ ჟუანს“ არ წერდა, ბაირონი გვიჩვენებს ენციკლოპედიურ ცოდნას შექსპირის შემოქმედებისა. როგორც მერჩანდი მიუთითებს, ბაირონს უყვარს ნაკლებად ცნობილ, იშვიათად ციტირებულ ადგილთა მოხმობა შექსპირიდან.

ილიონი — იგივე ტროა, სავარაუდოდ მდებარეობდა დარდანელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების შესართავთან.

სიგეუმის კონცხი — დარდანელის სამხრეთით.

უმამაცესი მამაცთა შორის — ასე მოიხსენიებდა ნაპოლეონი მარშალ ნეის (1769-1815).

ბრაიანტი — 1796 წელს ჯეიკობ ბრაიანტმა გამოაქვეყნა, დისერტაცია ტროას ომისა და ბერძენთა ექსპედიციის შესახებ, რაც აღწერა ჰომეროსმა; დისერტაცია ირწმუნება, რომ ასეთი რამ არ მომხდარა და არც ფრიგიული ქალაქი არსებულა.

პატროკლე, აიაქსი, პროტესილაუსი — გმირები, რომლებიც სავარუდოდ ტროაში ცხოვრობდნენ.

იდა — მთა იდა, რომელიც ტროას გადაჰყურებს.

სქამანდერი — მდინარე, რომელიც ტროას დაბლობზე მიედინება.

მწყემსები (და არა პარისი) — პარისი, ვისმა და ელენეს სიყვარულმაც გამოიწვია ტროას ომი, იყო ის მწყემსი, რომელმაც ამოარჩია ულამაზესი სამ ქალღმერთს შორის.

იმპრესარიოს გაუყიდა ჩალის ფასად — ასეთი რამ მართლაც მომხდარა, მავანმა დაიქირავა დასი, ჩასხა გემში, წაიყვანა ალჟირში და გაჰყიდა. ტყვეთაგან ერთ ქალს მოუხერხდა თავის დაღწევა; ვენეციაში, 1817 წელს ბაირონს მოუსმენია სიმღერა როსინის ოპერიდან „იტალიელი ალჟირში“.

პაპის მიერ ადრევე მიღებული გადაწყვეტილებით — უცნაურია, რომ პაპიც და სულთანიც ერთნაირად უყურებდნენ ამ საქმეს, ქალებს ეკრძალებოდათ სიმღერა წმ. პეტრეს ტაძარში და სანდოდ არ იყვნენ მიჩნეულნი ჰარამხანის მცველებად.

რუკოკანტიზე გსმენიათ? მე გახლავართ; ალბათ მეც მომისმენთ ოდესმე; ლუგოს ბაზრობას არ სწვევიახართ შარშან — გაურკვეველია თუ რატომ გადადის რუკოკანტი სასაუბრო მეტყველებაზე. ეს, ეტყობა, მაღალი კლასის მიდრეკილებაა. ბაირონი ცდილობს გვაჩვენოს ორი დენდი, ოპერაზე რომ საუბრობენ, მიუხედავად თავსდატეხილი ხიფათისა.

„Arcades ambo“, id est — არამზადები ორივე — „არკადიელები ორივე“, ციტატა ვერგილიუსის „ბუკოლიკებიდან“, ამ ფრაზას ბაირონი რამდენიმე ბარათში იყენებს, როგორც ჩანს, მოსწონდა.

რომანიელი — რავენას გარშემო არსებული მხარე, რომანიიდან.

ანკონა — საზღვაო პორტი რომანიაში.

„bella donna“ — მშვენიერი ქალი; ასე უწოდებენ სანამღვასაც.

ჟუანმა ამჯერად ასე თუ ისე გაუძლო ცდუნებას — იგულისხმება, რომ გონება ხშირად ვერ აკავებს გრძნობებს; ამით კიდევ ერთხელ იკვეთება ჟუანის გაოგნება.

„ცეცხლი ხელში ჩაგიქრება თუ ყინულოვან კავკასიონზე ფიქრობო“ — შექსპირი, „რიჩარდ მეორე“, I i.

გამომცემელი — ჯონ მარეი შეუძლებლად მიიჩნევდა „დონ ჟუანის“ გამოცემას მეხუთე ქების შემდეგ.

მიყვარს თხრობა, ამიტომაც დამითმია მათთვის უფრო წმინდა საკითხავი სმოლეტისა, პრიორისა, არიოსტოსი, ფილდინგისა — ბაირონი ხელიდან არ უშვებდა შემთხვევას აღენიშნა, რომ მისი მკითხველების, განსაკუთრებით ქალების, ზნეობა გაცილებით უფრო დაცული იყო, ვიდრე სხვა მწერალთა მკითხველთა. აი, ფრაგმენტი ტომას ლითლზე (ტომას მურის ადრეული ფსევდონიმი) ბაირონის სატირული პოემიდან „ინგლისელი ბარდები და სკოტლენ-“

დელი მიმომხილველები“: „ვისაც მორჩილი გარეგნობა აქვს, გარშემორტყმულია ქალწულთა გუნდით, ვინც არ დნება ვესტას ცეცხლზე, თვალები უბრწყინავს და ლოყები გზნებით უვარვარებს, ჩამოჰკრავს თავის ველურ ლირას, და ქალბატონები ჩუმად უსმენენ? ეს პატარა (Little) ყმაწვილი კატულუსის მსგავსად ტკბილი და ისეთივე ამორალური სიმღერებით!“

ასლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში — იხ. მათე, XIX, 24.

სმოლეთი, პრაიორი, არიოსტო, ფილდინგი — არანაკლებ ენამწარე და თავშეუკავებელი მწერლები, ვიდრე ბაირონი იყო. ტობიას სმოლეთი (1721-1771) „ჰამფრი კლინკერისა“ და „როდერიკ რენდომის“ ავტორი. მეთიუ პრაიორი (1664-1721) მეთვრამეტე საუკუნის პოეტი, ლუდოვიკო არიოსტო (1474-1533) „ორლანდო ფურიოზოს“ ავტორი; ჰენრი ფილდინგით (1707-1754) „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბისა“ და „ჯონათან უაილდის“ ავტორით, ბაირონი აღფრთოვანებული იყო.

მეც მიყვარდა კინკლაობა — 1822 წელს ბაირონი სწერდა უოლტერ სკოტს: ბიჭობაში ჩხუბი მიყვარდა და ხშირად ვჩხუბობდიო.

ყოველ ნაშუადღევს ცხენით ჩავუქროლებ — ამ და მომდევნო სტრიქონებში, ბაირონი აღწერს რავენას შემოგარენს, სადაც ცხოვროდა ამ ქების წერისას.

სად გმირულად დაიღუპა ყმაწვილკაცი, დე ფუა — გასტონ დე ფუა (1489-1512) ფრანგი გენერალი. ოცდასამი წლისა დაიღუპა რავენასთან ბრძოლაში, 1512 წლის აღდგომის დღეს, თუმცა მისმა ჯარმა გაიმარჯვა.

სად დანტეს ძვლები განისვენებენ — დანტე დასაფლავებულია რავენაში და ბაირონი ხშირად მიდიოდა მის საფლავზე; შდრ. „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“, IV, 56-7.

ნუთუ უჩინარ მზარეულებში უნდა ჩავიკარგო? — იგულისხმება ნახმარი ნიგნების მიყიდვა მზარეულთათვის, რომელნიც ფურცლებს ნამცხვრების გასახვევად იყენებდნენ.

კორნუოლელ ბაცაცებში პარნასელთა ნამსხვრევებისა — დამსხვევულ გემებს ხშირად ძარცვავდნენ კორნუოლში. „პარნასულ ნამსხვრევში“ ცუდი ლექსი იგულისხმება.

მაშ იმ ერთადერთ მენესტრელად უნდა დავრჩე, ვისაც აკრძალული აქვს სმა თქვენი კასტალიური ჩაისა — ამ ჩახლართულ სტრიქონთა საშუალებით პოეტი დაცინვით ევედრება კეთილგონიერ საზოგადოებას, მიიღოს მისი კოჟემა. თუ ისინი არ მიიღებენ, იგი იძულებული გახდება „მზარეულებში ჩავიკარგოს“, ვინც ალბათ თავის ღვეზელებს გაახვევენ წიგნის ფურცლებში. კორნუოლის ნაპირზე დამსხვრეულ ხომალდებს მალევე ძარცვავდნენ ადგილობრივები და შიშობს, მის პოემასაც იგივე არ დაემართოს. ირონიულად ადარებს ლურჯწინდებიანთა ჩაის, კასტალიური წყაროების შთამაგონებელ წყალს.

რომ ოხრავს „აჰ ვერ გამომითქვამსო“, იორიკის შოშიასავით — მინიმნებაა ლორენს სტერნის რომანის „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და შეხედულებანი“ პერსონაჟ, ლირს მისტერ იორიკსა და გალიაში ჩასმულ შოშიაზე. ოჰ! „უძირო, მუქო, მშვენიერო სილურჯევე“, ვითარც უმღერის ვილაცა ზეცას — ესაა საუთი თავის ლექსში, „მედოქი უელსში“.

და ნაზად შემოჰკვირიათ ლურჯი წვივსაკრავები მარცხენა ფეხს პატრიციებისა — მუქი ლურჯი წვივსაკრავები ეკეთათ მარცხენა ფეხზე, როგორც

სიმბოლო „წვეისაკრავის ორდენისა“, ინგლისელ კავალერთა უმაღლესი ორდენისა. რა თქმა უნდა ეს მდიდართა კლუბი იყო. წევრები სარგებლობდნენ პრივილეგიით დილის მიღებაზე მისვლისა რეგენტის საწოლ ოთახში.

ვიცნობდი ერთ ქალს ამ მენამული სკოლიდან, საყვარელ, უმანკო, უნაკლო ქმნილებას, მაგრამ საკმაოდ სულელს — ალბათ აქ მინიშნებაა ლედი შარლემონზე, ვინც იყო ცოლი ირლანდიის მეორე გრაფისა. 1813 წლის 1 დეკემბერს ბაირონს ჩაუწერია დღიურში: „ალბათ ლურჯფრთიანი ქაშირში გამონყობილი ნასწავლი პეპელა, ლედი შარლემონიც იქნება იქ. ვიმედოვნებ, დავტკბები ამ მეტად მშვენიერი სახის ჭვრეტით“. ნოემბერში კი წერს: „ყველა ლურჯი და სათავეში ლედი შარლემონი“.

ჰუმბოლდტს... გამოუგონია, დამავინყდა, რალაც დაურქმევია და ისიც დამავინყდა, როდის აღმოუჩენია, საჰაერო ინსტრუმენტი, რითაც ცდილობს დაადგინოს ატმოსფერული მდგომარეობა — ინსტრუმენტს ერქვა ციანომეტრი და სინამდვილეში სოსიურმა გამოიგონა. იდეა ის გახლდათ, რომ ატმოსფეროს ტენიანობა შეესაბამებოდა ცის სილურჯეს. ინსტრუმენტი მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის არა, განსაკუთრებით ღამით და ღრუბლიანობისას.

ო, ლედი დაფნავ! გამაზომინე თავი! — ბაირონი დგება ღვთაებრივი მაცთუნებლის, აპოლონის როლში, ნიმფა დაფნა კი, ვინც მცენარედ გადაიქცა, რათა ღმერთის ვნებათაღელვას გაჰქცეოდა, ლურჯწინდებიანი არისტოკრატი ქალია. იხ. ოვიდიუსი „მეტამორფოზები“, წიგნი I.

თუმც ვილბერფორსმა ორჯერ სცადა ბოლო-ბოლო მონობის გაუქმებამდე — უილიამ ვილბერფორსი (1759-1833) — ევანგელისტი და სმის მოწინააღმდეგე. იყო მონობის გაუქმების მომხრე, რასაც მიაღწია კიდევ ინგლისის პარლამენტში 1807 წელს.

ოსიანი — 1760-63 წლებში სკოტლენდელმა პოეტმა ჯეიმზ მაკფერსონმა გამოაქვეყნა ორი პოემა, ვითომდა თარგმნილი გელი პოეტის, ოსიანის თხზულებებიდან. დუანს ოსიანი ლექსს ან სიმღერას უწოდებდაო. მოგვიანებით გამჟღავნდა, რომ პოემები მაკფერსონის დაწერილი ყოფილა.

თავი მისუთი

დაინერა 1820 წლის 16-27 ოქტომბერს, რავენაში. გადათეთრა 26 დეკემბერს. გამოაქვეყნა ჯონ მარეიმ ანონიმურად, მესამე და მეოთხე თავებთან ერთად, 1821 წლის 8 აგვისტოს.

ოკეანის სამოცდათოთხმეტი ნაკადი, აქეთ-იქით მიმართული — ჰომეროსის ეს ფრაზა უამრავჯერ გააკრიტიკეს: არ შესაბამება ჩვენს შეხედულებას ოკეანეზეო, — მაგრამ სავსებით შესაფერისია ჰელესპონტის, ბოსფორისა და კუნძულებით დასერილი ეგეოსის ზღვისათვის.

სოფიას გუმბათი — კონსტანტინოპოლის დიადი ტაძარი, წმინდა სოფიაში, თურქებმა მეჩეთად გადააკეთეს. ბაირონი კონსტანტინოპოლში

1810 წლის 13 მაისიდან 14 ივლისამდე იმყოფებოდა და ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა დაათვალიერა.

ლედი მერი ვორთლი მონტეგეიუ (1689-1762) — ცნობილი გახლდათ დამოუკიდებელი ქვევით, გონიერებითა და მოგზაურობის სიყვერულით. მისი ქმარი ბრიტანეთის ელჩი იყო კონსტანტინოპოლში 1716-18 წლებში. ლედი მერის წერილები თურქეთის საელჩოს შესახებ კლასიკაა და ბაირონს თან ჰქონდა კონსტანტინოპოლში ყოფნისას.

მიყვარს სახელი „მერი“, რადგანაც ერთ დროს ჯადოსნურად ჩამესმოდა — ბიოგრაფები სამ მერის ითვლიან ბაირონის ცხოვრებაში — ადრეული, უცნობი მერი, მერი დაფი და ყველაზე მეტად მერი ჩავორტი.

ლურჯი სიმპლევადები — ორი კუნძული მარმარილოს ზღვაში, ბოსფორის სამხრეთ შესასვლელში. როცა იაზონს უნდა გაეელო მათ შორის, ისინი იკეტებოდნენ და ამსხვრევდნენ ხომალდებს.

დიდებულია ეს სანახაობა გოლიათის საფლავიდან — „გოლიათის საფლავი“ მალლობია ბოსფორის აზიის სანაპიროზე, აქაურობას ხშირად სტუმრობენ დღესასწაულობის დროს, ისე როგორც ჰაროუსა და ჰაიგეიტს.

პარკებმა უეცრივ შეწყვიტეს ზღვაში გასულთა ბედის ქსოვა — პარკები ბედისწერის მოციქულებია. თუ როგორ აწამებენ ისინი მეზღვაურებს იხ. შექსპირი, „მაკბეტი“, I, iii.

ესე ყოველი სტოელსაც კი შეარყევდა — სტოიციზმის მიმდევარნი რომაულ ფილოსოფიაში აქებდნენ ბედისწერის სიავის წინაშე წარბმეუხრელად დგომას.

ყველა შეიძლება გაიყიდოს — გამოთქმას „ყველა კაცს თავისი ფასი აქვს“ მიაწერენ სერ რობერტ უოლპოლს (1676-1745) ინგლისის პირველ პრემიერ-მინისტრს.

ვოლტერი, ფრანსუა მარი არუე (1694-1778) — ფრანგი განმანათლებელი, მწერალი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

ჭამაზე ფილიპეს ვაჟივით ვფიქრობ — იხ. პლუტარქეს „ალექსანდრე მაკედონელი“ და სერ რიჩარდ კლეტონის „ალექსანდრე დიდის ცხოვრების კრიტიკული გამოკვლევა.“

ვნახე ქუჩაში გამოტილი სამხედრო მეთაური — ძლივსლა სუნთქავდა — ეს მკვლელობა მოხდა 1820 წლის 8 დეკემბერს, რავენას ქუჩებში, პოეტის სახლიდან ხუთასიოდე ნაბიჯზე. მოკლული იტალიელი ოფიცერი იყო, სახელად ლუიჯი დალ პინტო.

ქაიქი — ასე ეწოდება მსუბუქ და მოხდენილ ნაევებს, კონსტანტინოპოლის ნავმისადგომებს შორის რომ მოძრაობს.

et Cetera (ლათ.) — და ასე შემდეგ.

წმინდა ბართლომესაგან განსხვავებით ტყავიც გადავირჩინეთ — ცნობილია რომ წმ. ბართლომეს ტყავი ცოცხლად გააძრეს.

ესავისა არ იყოს — იხ. დაბადება 25, 29-34, ესავი ხომ რალაც შეჭამანდში დაუთმობს თავის ძმას, იაკობს, პირმშობას.

რადგან გონებას მიაჩნია, რომ ყველანაირი განსჯა ყველგასულია — ბაირონი განასხვავებს გონების ფილოსოფიურ გააზრებას (კოლრიჯის „გონება“ და კანტის „წმინდა გონება“) და ჩვეულებრივ საღ აზრს.

ზოგიც ჭიქა რომით ხელში სავაზშმოდ ემზადებოდა — თურქ მუსულმანებს შორის გავრცელებული ჩვეულებაა, რამდენიმე ჭიქა ძლიერი სპირტიანი სასმელის დალევა სადილობამდე. იფიცებთან, სადილს უკეთ შეგვარგებენბსო. მე ჩავატარე ექსპერიმენტი და იმ სკოტლენდელივით დამემართა, ვისაც ურჩიეს, თოლია ჩიტის ჭამას მადაზე მოჰყავს კაციო. იმანაც ექვსიოდე გადაყლაპა და დაიჩივლა: „ასე მშვიერი ხომ, ვიდრე შევჭამდი, მაშინაც ვიყავიო“.

თურქებს ზარი სად აბადიათ — ზარებს ისლამი კრძალავს.

სად ჩქეფდა მარმარილოს შადრევანი — ჩვეული მორთულობაა. მაგონდება მიღება ალი ფაშასთან, დიდ, მარმარილოთი მოფენილ დარბაზში იდგა მარმარილოს აუზები და შუაში შადრევანი ჩქეფდა, და ა.შ.

გაზით განათებული თეატრი — გაზით განათება ქუჩებშიც და თეატრშიც სიახლე იყო.

სალამოებს ვრცელ დარბაზებში ვატარებ, მარტოდმარტო — ამ დროს ბაირონი რავენაში, გვიჩიოლის სასახლეში ცხოვრობდა და იქ წერდა. ან შეიძლება ნიუსტედის სააბატოს იხსენებდეს.

ბაბილონი ნებროთის სანადირო ადგილი იყო, მერე ბაღნართა ქალაქი, განსაცვიფრებლად მდიდარი, სადაც კაცთა მეფე ნაბუქოდონოსორი მბრძანებლობდა... ცნობილია... თუ როგორ დასწამეს ცილი სემირამიდას — ბაბილონი გააფართოვა ნიმრუდმა, გააძლიერა და გაამშვენიერა ნაბუქოდონოსორმა და გადააკეთა სემირამიდად.

ბაბილონი, ნებროთი, ნაბუქოდონოსორი, დანიელი, ლომები, პირამოსი და თისბე, სემირამიდა — ეს ადგილი გვიჩვენებს ბაირონის დაუდევრობას და მისი გონების უცნაურ მიმოქცევას; „სემირამიდა“ ამ პასაჟში მთავარი სიტყვაა, მის გარშემოა აგებული დანარჩენი ბიბლიური ალუზიები. ბაბილონი ნებროთმა გააფართოვა (დაბადება 10,10), შემდეგ გააძლიერა და განამშვენიერა მეფე ნაბუქოდონოსორმა, შემდგომ სემირამიდად დაამშვენა. დანიელი ლომებიან ხაროში განრისხებულმა ნაბუქოდონოსორმა ჩააგდო. პირამუსი და თისბე ცხოვრობდნენ ბაბილონში, აქ უყვარდათ ერთმანეთი და აქ დაიხოცნენ.

„მერანის“ ნაცვლად „ვერანს“ დანერენ — დედანშია courser და courier; „დოლის ცხენი“ და „დაბლომატიური კურიერი“; საქმე ისაა, რომ მეფე ჯორჯ მეოთხის მეუღლეს, დედოფალ კეროლაინს ბრალი დასდეს მეუღლის ლალატში დიპკურიერ ბართოლომეო პერგამისტან. კეროლაინი გამართლდა, და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. ბაირონი პარაოლენს ავლებს ამ ამბავს და დედოფალ ეკატერინეს ამბავს შორის, ვისზეც ამბობდნენ, თავისი ცხენი უყვარსო. აგრეთვე სემირამიდასთან...

კლოდიუს რიჩი, ესკვაირი (1787-1820) — ავტორია ორი ნიგნისა: „მემუარები ბაბილონის ნანგრევებზე“ და „მეორე მემუარები ბაბილონზე“. დარწმუ-

ნებით არ შეიძლება თქმა, იცნობდა თუ არა ბაირონი ამ წიგნებს. რიჩი იყო სიძე სერ ჯეიმზ მაკინტოშისა, ბრწყინვალე ორიენტალისტი და მოგზაურისა.

Et Sepulchri immemor struis domos — და საფლავი ავიწყდებათ და სასახლეს აშენებენ. ჰორაციუსი, „ოდები“, II, 18, 11.

და ისე ბრწყინვალედ მოჩუქურთმებულიყო კარი — მინისტრული მეტაფორა, „ჩუქურთმა, რაზეც ეს საკითხი ჰკვიდია“, იხილე „ფუჯების ოჯახი“, ან უსმინე კასლრეის. კასლრი ცნობილი იყო აბდაუბდა ორატორობით, უაზრო მეტაფორებს ჩაურთავდა ხოლმე. ეს შენიშვნა ეხმაურება მურის სატირას „ფუჯის ოჯახი პარიზში“.

დილაადრიან მარმარილოს ზღვაში შეეცურათ უნავებოდ, ტომრებს ჩაკერილებმა — ამგვარ ზღვაოსნობას აქ ხშირად მიმართავენ, როგორც კი შემთხვევა გაუჩნდებათ — რამდენიმე წლის წინათ მუხტარ ფაშას ცოლმა მამას შესჩივლა: შენი ვაჟი მლაღატობსო; კითხვაზე, თუ ვისთან, ქალს ეყო სისასტიკე და დაასახელა თორმეტი ულამაზესი ქალი იანინაში. ისინი იმავე რამეს შეიპყრეს, ტომრებში ჩასვეს და ტბაში დაახრჩვეს. ერთ-ერთმა მცველმა, ვინც დასჯას ესწრებოდა, მაცნობა, რომ არცერთ მსხვერპლ-თაგანს არ დაუძრავს კრინტი და არც შიში გამოუმჟღავნებია „მის მიმართ, ვისაც ყველა ვიცნობთ და ყველას გვიყვარს“.

პაფიელი — პაფოსი, ქალაქია კვიპროსზე, სადაც მდებარეობა აფროდიტეს ცნობილი ტაძარი. იხ. „ჩაილდ ჰაროლდი“, I, 66.

მისი მენამული მოსახლამი — ნითელი ფერი, რომაული ჩვეულებიდან მომდინარე, მიუთითებს იმპერიულ უდიდებულესობას.

სკოტების დედოფალი მერი — სემირამიდას მსგავსად, მისი სქესობრივი მადა ისეთივე დიდი იყო, როგორც პოლიტიკური. სკოტს ჰყავს აღწერილი, თავის „აბატში“, ბაირონმა შესაძლოა აქედან ისარგებლა.

ენ დე ლ'ენკლო (1620-1705) — ფრანგი კურტიზანი, ცნობილი თავისი ლიტერატურული სალონით, აქ დადიოდნენ, მოლიერი, ფონტენელი, ლა როფუეკო და ყმანვილი ვოლტერიც. ეს ქალი ნოლილა თავის შვილთან (ვისაც თავი მოუკლავს, როცა შეუტყვია, დედასთან ვნოლილვარო) და შვილიშვილთანაც კი; ფიზიკური მომხიბვლელობა და ჟინი ოთხმოცი წლისასაც კი შეუნარჩუნებია.

დიანას რაზმი — მიანიშნებს ქალწულთა გუნდზე, რომელიც ახლდა დიანას (არტემიდეს), უმანკოებისა და ნადირობის ქალღმერთს. თუმც გულბენაზს უმანკოების ქალღმერთს ვერ ვუნოდებდით.

Nil Admirari — „არა გაიკვირო“, სტოიკური ლოზუნგი ჰორაციუსისა, „ეპისტოლე“, I, vi.

ამ ჯიშთან და მშვენიერ თითებზე — ალბათ არაფერია უფრო მეტად მიმანიშნებელი წარმოშობაზე, ვიდრე ხელი. ეს თითქმის ერთადერთი ნიშანია ჯიშისა, რისი გადაცემაც არისტოკრატისა შეუძლია.

ფოტიფარის ცოლი — აქ ჟუანი შედარებულია იოსებ მშვენიერს, დაბადება 39, 7-23.

ლედი ბუბი — ჯოზეფ ენდრიუსის მაცდუნებელი ფილდინგის ამავე სახელწოდების რომანიდან.

ფედრა — მაცდუნებლის ტრაგიკული ვერსია, ევრიპიდეს „იპოლიტედან“ და რასინის „ფედრადან“.

ვით ზომიერმა ჰოტსპურმა იმ უკვდავ ფურცელთაგან — იხ. შექსპირი, „შენრი მეოთხე“, I iii.

ერთი რამ სურდა მხოლოდ ლირივით — “მოჰკალ, მოჰკალ, მოჰკალ” — იხ. შექსპირი, „მეფე ლირი“, IV, vi.

ვით ბობ აკრს ეპარებოდა ფრჩხილებში სიმამაცე — იხ. შერიდანი, „მეტოქენი“, V iii. (აკრს ჰგონია რომ დუელში გასვლა მოუწევს და ცივი ოფლი ასხამს).

კანტემირი და კნოლსი რომ აღწერენ — ავტორები თურქებზე არსებული ორი ცნობილი ისტორიისა, რაც ბაირონს სიყმანვილეში წაუკითხავს, რიჩარდ კნოლსის „თურქების ზოგადი ისტორია“ (1621) და დიმიტრი კანტემირის „ოტომანთა იმპერიის აღზევება და დაქვეითება“ (1734).

მათ შორის მცირედნი თუ კაშკაშებენ, გარდა სულეიმანისა, შტოს მანათობლის — ეგებ არც ღირდეს შენიშვნად, რომ ბეკონი თავის ესეიში „იმპერიისათვის“, მიგვანიშნებს, სულეიმანი უკანასკნელი იყო თავის შტოში; რის საფუძველზე ასკვნის, არ ვიცი. აი, რას ამბობს: „მუსტაფას განადგურება საბედისწერო გამოდგა სულეიმანის შტოსათვის, რადგან მას შემდეგ საზი აღარ იყო წმინდა და შერეული გახდა; სელიმ მეორე, ფიქრობენ, თვითმარქვია იყო“. მაგრამ ბეკონი ისტორიაში ხშირად იჩენს უზუსტობებს. შემიძლია ნახევარი დუჟინი მაგალითი მოვიყვანო მარტო მისი „აპოპთეგმებიდან“.

იმწყემსებოდნენ ისევე მშვიდად, ვითა ქრისტიანი დედოფალი — ბაირონი ხუმრობს ჯორჯ მეოთხის ცოლზე, კეროლაინზე, ვისაც მეფე ვერ მწყემსავდა, მხოლოდ ერთხელ შეეცადა დაედანაშაულებინა ლალატში.

შვიდი კოშკი — ციხე კონსტანტინოპოლში, სადაც ისხდნენ პოლიტიკური დამნაშავენი და ელჩები, რომელთაც თურქები განურჩევლად მძევლებად რაცხდნენ.

თავი მამქსა

დაინერა 1822 წლის იანვარ-თებერვალსა და აპრილში, პიზაში. გადა-
ნერა მერი შელიმ იქვე, იმავე წელს. გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეშვიდე და
მერვე თავებთან ერთად.

მარკიზ გაბრიელ კასტელნაუს წიგნი რუსეთის ისტორიაზე გამოქვეყნდა
1820 წელს. ესაა აპოლოგია პოტიომკინის მიერ უკრაინის ანექსიისა 1780
წელს.

არმან ემანუელ დიუ პლესი, ჰერცოგი დე რიშელიე, რუსეთის არმიაში
იბრძოდა იზმაილის ალყის დროს. 1803-14 წლებში იყო ოდესის მმართველი.
მის ხელში ქალაქი გაიზარდა და დამშვენდა. მისი ძეგლი დგას ოდესაში.

რობერტ სტიუარტი, ვიკონტ კასლრი, მარკიზ დე ლონდონდერი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი თვითმკვლელობამდე, 1822 წლის 12 აგვისტომდე. ირლანდიის მინისტრად ყოფნისას მან სისხლში ჩაახშო გაერთიანებული ირლანდია 1798 წელს.

მისი მალაპროპი — რიჩარდ ბრინსლი შერიდანის პიესის, „მეტოქენი“ (1775), პერსონაჟი, რომელიც არამარტო ბევრს ლაპარაკობს, არამედ ყოველთვის არაზუსტად, მცდარად იყენებს სიტყვებს, გამოთქმებსა და ტერმინებს.

სემუელ ფერნანდ უოლინგტონი და ჯეიმზ უოტსონი ცნობილი რადიკალები იყვნენ.

კასლრიმ ყელი ფანქრის სათლელი დანით გამოიჭრა.

ჰენრი გრატანი (1746-1820) — ირლანდიელი პოლიტიკოსი, ვინც მოითხოვდა ირლანდიის პარლამენტის დამოუკიდებლობას XVIII საუკუნეში. ეწინააღმდეგებოდა შეერთების (იუნიონის) აქტს 1800 წლისა, რამაც შეაკავშირა ირლანდია და დიდი ბრიტანეთი. მოგვიანებით იძულებული შეიქნა გამხდარიყო გაერთიანებული პარლამენტის წევრი ლონდონში.

ვერტერი გოეთეს რომანის, "ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი"(1774), თვითმკვლეელი გმირია.

„სირცხვილმა დაუტევა კაცთა გულები და თავი შეაფარა ტურჩებს... რაც უფრო გადაგვარდება ზნეობა, მითუფრო ფხიზელი ხდება ენა; გვჯერა, რომ ლინგვისტურად აღვადგენთ იმას, რაც ზნეობრივად დავეკარგეთ“ — ნერილი მუსიე ერატოსაგან მუსიე კლოკპიტრს, ლენდგრეივის (თავადის) კაპელანს (1759). ეს ციტატი მთელი „დონ ჟუანის“ ეპიგრაფად გამოდგებოდა; მასში მოჩანს თუ რა ყურადღებით კითხულობდა ბაირონი ვოლტერს.

რიჩარდ კარლაილი იყო იმ დროის ყველაზე რადიკალი გამომცემელი და ამის გამო ხშირად იჯდა ციხეში.

დეიზმი — რწმენა, რომ სამყარო შექმნა ღმერთმა და ადამიანებს დაუტოვა, რათა ბუნებრივი კანონებით ეცხოვრა.

ჰეტეროდოქსია — გულისმობს განსხვავებულ რელიგიურ მიმართულებათა არსებობას, და წინააღმდეგია ორთოდოქსიისა.

წმინდა ალიანსი რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის ისეთი მტაცებლური მისწრაფებებით გამოირჩეოდა, რომ თვით კასლრიც კი შეწუხებული იყო.

ბაირონმა დაიწყო მეექვსე თავის წერა ტერეზა გვიჩიოლის წინააღმდეგობის მიუხედავად, ვისაც სურდა სრულებით შეენყვიცა ბაირონს პოემის შექმნა. ხელნაწერზე დაწერის თარიღი ამოშლილია, მაგრამ სავარაუდოდ 1822 წლის დამდეგს იწერებოდა. თავს წამძღვარებული ჰქონდა ეპიგრაფი: „ასე გგონია? რომ რადგან ქველი ხარ, წამცხვრები და ელი აღარ უნდა არსებობდეს? დიახ! და ჯინჯერიც ცხელი უნდა უყოს პირშიც!“ (შექსპირი, „მეთორმეტე ღამე“).

„კაცთ ბედის ჩარხი ზღვის ტალღების მიმოქცევას ჰგავს: თუ ზე-ამავალს პირს მოექვც“ — იხ. შექსპირი, „იულიუს კეისარი“, მოქ. iv, სცენა iii.

იაკობ ბიომე (1575-1624) — გერმანელი მისტიკოსი.

მრავალ მანიქველს ერთად გაასულელებდა — მანიქველები იყვნენ მანის, ქრისტიან-ზოროასტრული ერეტიკოსის, მიმდევარნი, რომელიც ქრისტეს შემდგომ მესამე საუკუნეში ცხოვრობდა სპარსეთში. ქადაგებდა, რომ ხორცი და სული, ბნელი და ნათელი გამიჯნულია და სულსა და ნათელს ზნეობრივ უპირატესობას ანიჭებდა. მისი სახელი ასოცირდება ყველა რწმენასთან, სადაც ორი პრინციპი იბრძვის უპირატესობის მოსაპოვებლად. ეს იდეა მოსწონდა ბაირონს და წარმოაჩენდა თუნდაც „კაენში“; როგორც ჩანს, შემდგომ გადააფასა თავისი შეხედულება და უარყო მანიქეიზმი, როგორც სატანური მოძღვრება სპარსელთა. ამ კონტექსტში ბაირონი დაცინვით წარმოაჩენს მდედრს — როგორც ბნელს, და მამრს — როგორც ნათელს.

აქტიუმიზმისთვის, კლეოპატრას თვალთა გამოისობით რომ დათმო, რაც კეისრის ყველა გამარჯვებას გადანონის — შექსპირის ანტონიუსი არ დაეთანხმებოდა ამ აზრს; იხ. „ანტონიოს და კლეოპატრა“, III xii.

ორმოცდაათი წლისა გახლდათ და ორმოცი წლის დედოფალისათვის აღესრულა — ვარაუდობენ, რომ ანტონიუსი ორმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა, ხოლო კლეოპატრა — ოცდაცხრამეტისა; თვით ბაირონი ოცდათექვსმეტი წლისა იყო, როდესაც აღესრულა, ამ სტრიქონების დაწერიდან ორი წლის თავზე.

სოფელი ვეროდეს ამინაზლაურებს უმანკო გრძნობებს, რაც წარხდა — ვარაუდობენ, რომ აქ და კიდევ ბევრ ადგილებსი, სადაც ბაირონი უმანკი გრძნობებს მისტირის, მერი ჩაჯორტი იგულისხმება.

არ ეთანხმებიან ბრძენ რომაელს, გმირსა და სტოელს — კატოს, სენტენ-ციათა მოყვარულს, ვინც ცოლი თვისი მეგობარს თვისას ჰორტენზიუსს მია-ქირავა — კატომ თავისი ცოლი მარცია თავისივე მეგობარ ჰორტენზიუსს დაუთმო; მისი გარდაცვალების შემდგომ კი უკანვე წამოიყვანა. ამ საქცი-ელისათვის რომაელები დასცინოდნენ, ვინც იხილეს, რომ მარცია ჰორ-ტენზიუსის სახლში ღარიბ-ღატაკი შევიდა, კატოს ლოგინს კი ძვირფასე-ულობით მოკაზმული დაუბრუნდა (პლუტარქე).

კასიოსავით არითმეტიკოსი არა ვარ — იაგოს ეჭვიანი სიტყვებიდან თავისი მეტოქის გამო. შექსპირი, „ოტელო“, I, i.

ვეარის სანოლი — ცნობილი ჰერთფორდშირული სანოლი, თორმეტი კვადრატული ფუნტის სიდიდისა.

„შეგებებას მთებზე უმაღლესს“ — იხ. უოლტერ სკოტის „უეივერლი“. თავი 19-20. თუმცა იქ ეროტიკული არაფერია.

და თვით წმინდა ფრანცისკსაც კი სწვევია მონასტრულ თოვლიან ცხოვ-რებაში — „ერთ დღეს წმინდა ფრანცისკმა, მეტისმეტად რომ შეანუხა ხორციელმა ვნებებმა, სამოსი გაიძრო და დაუნდობლად გაიმათრახა თა-ვი; მერე კი საოცარ რწმენით აღვსილი თოვლში ჩანვა. ეშმაკი დამარცხ-და. მაშინვე განეშორა და წმინდანი გამარჯვებული დაბრუნდა სენაკში“. იხ. ბატილერი, წმინდანთა ცხოვრებანი.

„ნეტა კაცობრიობას ერთი კისერი ჰქონოდა, ერთი დაკვრით რომ გადა-მეჭრაო“ — კალიგულა, იხ. სვეტონიუსი. „ხალხზე გაბრაზებულმა, ცირ-

კის თამაშებში მონინალმდევის მხარე რატომ დაიჭირესო, წამოიყვირა: ნეტა რომაელ ხალხს ერთი კისერი ჰქონდესო”.

ბრიარეუსი — ასხელიანი და ორმოცდაათთავიანი ურჩხული, ჰომეროსთან, ვერგილიუსსა და დანტესთან.

პატავონიის მინები — ჩილეს და არგენტინის სამხრეთით მდებარე მიწები. ამბობენ, რომ აქ ცხოვრობდნენ გოლიათები.

მშვენიერი ოდალისკები — ჰარემის ბინადარი ქალები. ნაწარმოებია ოდადან, ანუ ჰარემის ოთახიდან; ანუ ქალები, რომლებიც ოდაში ცხოვრობენ.

ბარონ დე ტოტის მემურება (1785) კიდევ ერთი წიგნი, რითაც ბაირონი სარგებლობდა. „ქალიშვილთა დედას“ მხოლოდ დე ტოტი ახსენებს.

მშვენიერი ქალწული, ნორჩი და „ულამაზესი“, უბრწყინვალეს ქართველთა ცოლს არ დაუდებდა — „საქართველოს, სამეგრელოსა და ჩერქეზეთის ურთიერთმეზობელ კლიმატებში ბუნებამ გააჩინა, ბოლოსდაბოლოს ჩვენი თვალთახედვით, სილამაზის ნიმუში: კიდურების მოყვანილობით, კანის ფერით, ნაკვთების სიმეტრიითა და გამომეტყველებით; კაცნი მოქმედებისათვის არიან შექმნილნი და ქალნი — სიყვარულისათვის”. გიბონი.

ფადიშაჰი — თურქეთში წოდებაა უმაღლესი მმართველისა.

მის ატიკურ შუბლსა და ფიდიასის ცხვირს — დაბალი მაგრამ ფართო შუბლი, ქალთა ძველ ბერძნულ ქანდაკებებს რომ აქვთ, და სწორი, მკაცრი ცხვირი, ათენელი მოქანდაკის ფიდიასის ქანდაკებებს რომ სჩვევია.

რაც ყველაზე შესაფერისად გადმოიცემა, „Lucus a non lucendo“, არა იმით, რაც იყო, არამედ — რაც არ იყო — რთული და გაუგებარი კლასიკური და პოლიტიკური ხუმრობა. Lucus ჭალაა, lucendo — დასაშვები სინათლე.

ლოტის ცოლს მარილადექუელს — გამოხატულია ნოსტალგია ცოდვისადმი. ლოტის ცოლმა ვერ შეძლო არ მიეხედა ცეცხლმოდებული სოდომისაკენ და ღმერთმა მარილის სვეტად აქცია. იხ. დაბადება 19, 26. სინმინდისთან ამ ხატის შეუსაბამობის გამო მოიბოდიშებს ბაირონი.

„ულრან ტყეში“, ისეთში, სად დანტემ ჰპოვა საკუთარი თავი — „უსიერ ტყეში ამ ცხოვრების ნახევარ გზაზე, ანაზღუდად გამოფხიზლდი გზადაკარგული.“ — დანტე ალიგიერი, „ჯოჯოხეთი“.

იფიცებოდა აქლემის კუზს, ყურანს იმონებდა — წმიდა აქლემი დონ ჟუანსი კიდევ ერთხელ ჩნდება (vii 73); ბაირონი კომიკურად წარმოგვიჩენს ბაბას შიშს, თუმც ისლამი წმიდა აქლემს არ იცნობს.

ტიფონი დგას თავის სამკაპზე — სიამაყის ემბლემა თავის მწვერვალზე. პითიელი ქურუმი ქალი დელფოს ორაკულში იწოდება გველ პითონის სახელით, რომელიც მოჰქვია აპოლონმა.

სალუსტუსი თავის „კატალინაში“, ვისაც ვნებათა დემონები დევნიდნენ — ისტორიკოსი სალუსტუსი წერდა ლუციუს სერგიუს კატლინაზე (110-62), დაუოკებელ რომაელ პატრიციუსზე, ვინც კონსულობისათვის პაექრობაში ორჯერ დაამარცხა ციცერონი; ამზადებდა შეთქმულებას ძალაუფლების მისატაცებლად, მაგრამ დამარცხდა.

ოქროს ხე... ვაშლისა — პირველ რიგში გაგვახსენებს ედემის ხილს (იხ. დაბადება 3, 6-7) ან მილტონის „დაკარგულ სამოთხეს“; ან ჰესპერიდების ბაღსა და ჰერაკლეს მეთორმეტე გმირობას. მაგრამ დუდუს სურვილი, მისწვდეს ვაშლს, უფრო ახლოსაა ჩოსერის ვაჭრის ამბავთან („კენტერბერიული მოთხრობები“), რაც მერე პოუპმა გაათანამედროვა (იანვარი და მაისი).

ამბები მამლისა და ხარისა — იხ. ლორენს სტერნი, „ტრისტრამ შენდი“ (IX 33): „ღმერთო, რის შესახებაა ეს ამბავი? იკითხა დედამ; — მამლისა და ხარის შესახებ, თქვა იორიკმა“.

mal-a-propos — შეუფერებელ, უდროოდ დროს.

კლდოვან ქამარს რომ მიუყვება და აზიას ერტყმის, კაფიდან ქვევით ქურთუბამდე — კაფში კავკასიის მთები იგულისხმება, რაც აღმოსავლური მითების მიხედვით, მხოლოდ აზიას კი არა, მთელ დედამიწას ერტყმის. ქურთები კავკასიის სამხრეთით თურქეთის დასავლეთსა და ირანის აღმოსავლეთში ცხოვრობენ.

უფრო ფაფუკიდან, ვიდრე სიბარიტთაა — სიბარიტი სიმდიდრით განთქმული ბერძნული ქალაქის მაცხოვრებელს ერქვა და შემდგომ გადაიქცა, ფუფუნებაში მცხოვრების სინონიმად.

რუსთა ამბის... ბოლო დროს სულ რომ იმარჯვებდნენ — ბაირონი კიდევ ერთხელ ეხება ისტორიულ კონტექსტს, ეკატერინეს ლაშქრობებს რუსეთის სამხრეთით უკრაინასა და ყირიმში. მან თავის ვაჟს კონსტანტინე დაარქვა, რათა თურქეთი დაეპყრო და კონსტანტინოპოლის ტახტზე დაესვა. ჟუანი მალე ჩაებმება ამ ამბებში, როგორც იზმაილის ალყის მონაწილე და ეკატერინეს საყვარელი.

ეკატერინეს... ვითარცა უდიდესი ხელმწიფისა და ბოზის — როგორც კი დავემშვიდობებით გულბეიაზს, ბაირონს მაშინვე შემოჰყავს პოემაში ახალი გმირი ქალი.

ო, დიდო კანონიერო ხელმწიფო ალექსანდე — ალექსანდრე I (1777-1825) ტახტზე ავიდა მას შემდეგ, რაც მამამისი, საძულველი მეფე პავლე, შეთქმულებმა მოკლეს. ალექსანდრე იყო წმინდა ალიანსის მთავარი ფიგურა ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ.

ჩვენს დროში ხომ რითმები დაფრინავენ და პეტერბურგამდეც აღწევენ — ბაირონის ადრეულ პოეზიას იცნობდნენ და აფასებდნენ რუსეთში. პუშკინის მრავალი ნაწარმოები მისი გავლენით იწერებოდა. თუმცა შემდგომ აიკრძალა. როგორც ჯომ მარეი წერდა, თუ მოგზაურს ბაირონის წიგნებს, განსაკუთრებით დონ ჟუანს უპოვნინდნენ, ჩამოართმევდნენ.

ტიმონის, ამ კაცთმოძულის — ტიმონ ათენელი, მიზანთროპიის სიმბოლო. იხ. შექსპირის ამ სახელწოდების პიესა.

იფიცებოდა აქლემის კუზს, ყურანს იმონებდა — წმიდა აქლემი დონ ჟუანსი კიდევ ერთხელ ჩნდება (VII 73); ბაირონი კომიკურად წარმოგვიჩენს ბაბას შიშს, თუმცა ისლამი წმიდა აქლემს არ იცნობს.

ტიფონი დგას თავის სამკაპზე — სიამაყის ემბლემა თავის მწვერვალზე. პითიელი ქურუმი ქალი დელფოს ორაკულში იწოდება გველ პითონის სახელით, რომელიც მოჰკლა აპოლონმა.

სალუსტუსი თავის „კატალინაში“, ვისაც ვნებათა დემონები დევნიდნენ — ისტორიკოსი სალუსტუსი წერდა ლუციუს სერგიუს კატლინაზე (110-62), დაუოკებელ რომაელ პატრიციუსზე, ვინც კონსულობისათვის პაექრობაში ორჯერ დაამარცხა ციცერონი; ამზადებდა შეთქმულებას ძალაუფლების მისატაცებლად, მაგრამ დამარცხდა.

თავი მეშვიდე

დაიწერა 1822 წლის ივნისში, პიზაში. გადწერა მერი შელიმ იქვე, იმავე წელს. გამოსცა ჯონ ჰანტმა მეექვსე და მერვე თავებთან ერთად 1823 წლის 15 ივლისს.

დანტეს... სოლომონს... სერვანტესს, სვიფტს, მაკიაველის, როშფუკოს, ფენელონს, ლუთერს... პლატონს, ტილოტსონს, ვესლის და რუსოს — აქ აქ დასახელებულ მწერალთაგან, ფილოსოფოსებსა და მქადაგებელთაგან ფენელონის, როშფუკოს, სვიფტისა და ვესლის სახელები სხვაგან აღარ გვხვდება პოემაში, დანარჩენებს კი ხშირად მოიხსენიებს ბაირონი.

„მძაფრი სიყვარული და დამაქცევარი ომები“ — არასწორი ციტატა ედმუნდ სპენსერის „ფერია დედოფლიდან“. უნდა იყოს: „მძაფრი ომები და ერთგული სიყვარული“.

სებასტიან ლა პრესტრე დე ვაუბანი (1633-1707) — სახელგანთქმული ფრანგი სამხედრო ინჟინერი ლუი XIV-ის კარზე. მან შემოავლო საფრანგეთს სიმაგრეების ჯაჭვი.

ვერსტი... ტუაზი — ვერსტი მანძილის რუსული საზომია, დაახლოებით კილომეტრნახევარს უდრის, ტუაზი სიგრძის ფრანგული საზომია და ორ მეტრს უიგივდება; ბაირონი ალბათ დაცინვით იყენებს უცხო ტერმინებს.

cap-a-pie — აქ: თხემით ტერფამდე.

რუსები მზად არიან შესატყვად — აქ სერიოზული ისტორიული გადაცდომაა. რუსებმა ალყა შემოარტყეს იზმაილს 1790 წლის მაისში; ცდილობდნენ შიმშილითა და წყურვილით აეძულებინათ თურქები დანებებულებად; შეტევა უაზრობად მიანდათ, ციხე-სიმაგრე აუღებელი ჩანდა. დეკემბერში მოვიდა სუვოროვი და გადანყდა შეტევა; და მაშინაც შეუძლებელი ჩანდა თეორიულად, მაგრამ სუვოროვის ავტორიტეტმა გადანონა და კიდევ შეუტყეს და აიღეს.

მეკნობი, სერჟ ლოვოვი, არსენიევი — რეალურად არსებულ სარდალთა გვარებია.

რუსთა გვარები კი ბოლოვდება „იმკინ“, „უშკინ“, „იფსკჩი“, „უსკი“; და ამით უნდა დაემატოს რუზამუფსკი, შერემეტოფი და ჩრემატოფი, კოკლოპტი, კოცლობსკი, კურაკინ და მუშკინ-პუშკინ — ბაირონი არასწორად იმონებებს რუსულ გვარებს, ეგებ შეგნებულადაც კი.

ჯემზ ტომსონი (1700-1748) — სკოტლენდელი პოეტი.

ის იყო სახელგანთქმული ჰალიფაქსის სასოფლო სახლებში — ციტატა ჯორჯ კოლმენ-უმცროსის (1762-1836) ფარსიდან „სიყვარული იცინის ხარატთან“.

პელ-მელს ვითარც სჩვევია — „პელ-მელ გაზეთი“ იყო მოდური ლონდონური პერიოდული გამოცემა.

როჟე დე დამასი (1765-1823) — ფრანგი გენერალი, იბრძოდა რუსეთის არმიის რევოლუციის წინააღმდეგ.

პრინცი შარლ ჟოზეფ დე ლინე (1735-1814) — ფრანგი ფელდმარშალი, მწერალი.

ხოსე პასკუალ დომინგო დე რიბასი (1749-1800) — იტალიური წარმოშობის გენერალი რუსეთის არმიის; რუსები უწოდებდნენ იოსიფ ნიკოლაევიჩ დერიბასს; ქალაქი ოდესა მისი დაარსებულა.

გახლდათ იგი პოტიომკინი — გრიგორი ალექსანდროვიჩ პოტიომკინი (1736-91), ეკატერინე მეორის უპირველესი ფავორიტი, მისი მრჩეველი ყველა თვით სასიყვარულო საქმეებშიც. ისეთი გავლენიანი პიროვნება იყო იმ დროს, რომ გასაკურია, ბაირონმა მეტი დრო რომ არ დაუთმო მის აღწერას. მისი მონდომებითა და წინამძღოლობით დაიპყრეს რუსებმა უკრაინა და ყირიმი და გავიდნენ შავ ზღვაზე, რათა მომზადებულიყვნენ კონსტანტინოპოლის დასამხობად.

იყავნ ნათელი — იხ. დაბადება 1, 3.

„დიდად ხარობს ახლა ლონდონი!“ — იგულისხმება ლონდონის ილუმინაცია რუსეთის ცარისა, პრუსიისა და საფრანგეთის მეფეების პატივსაცემად 1814 წელს. „სულელებში“ ბაირონი უნდა გულისხმობდეს ენდრიუ ნიკოლსონსა და რობერტ საუთის, რომლის 1805 წელს დაწერილი ლექსიც „უოლესის სიკვდილი“ ასე იწყებოდა: „ხარობს, ხარობს ახლა ლონდონი“.

როს სუფოროვმა გადაწყვიტა მისი მოპოვება, თვითვე ასწავლიდა ახალწვეულთ ხიშტის ხმარებას — **სუფოროვი მართლაც პირადად ასწავლიდა.**

ხან მარსი იყო, ხან მომუხი — მარსი ომის ღმერთია, მომუხი — სატირისა.

ყალმუხები... კაზაკები — ბაირონი ალბათ ვერ გამოარჩევდა უკრაინაში ჩასახლებულ კაზაკებსა და კასპიისპირეთის მომთაბარე მონღოლურ ტომს — ყალმუხებს.

ორი დანარჩენი ქალაი — ის რომ ბაირონს აღარ აინტერესებს ეს პერსონაჟები, კრიტიკოსთა ყურადღების ღირსი არ გამხდარა; ერთი ალბათ დუდუა, მეორე გაურკვეველია, ყოველ შემთხვევაში, გულბეიაზი არ უნდა იყოს. პოემაში ისინი აღარსად ჩნდებიან.

ფეგუსი — აპოლონი, პოეზიისა და ხელოვნების მფარველი ღვთაება.

კეისრის კომენტარები — იგულისხმება იულიუს კეისრის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „გალებისა და სამოქალაქო ომების ისტორია“.

ვით მენამული — ბაბილონელი მეძავისათვის — იხ. გამოცხადება, 17, 3. ბაბილონელი მეძავი ძირითადად ალისფერ სამოსში ყოფილა გამოწყობილი და არა მენამული; გამოიყენება პოლიტიკური ძალადობის სინონიმად.

ლორს ჰკითხე, ქარი რა არის-თქო — ამბობენ, რომ ღორები ყველაზე უკეთ გრძნობენ ცუდი ამინდის მთახლოებას. ბაირონი ალბათ იხსენებს სემუელ ბატლერის (1613-80) პოემას „ჰადიბრასი“, სადაც ნახსენებია, რომ ღორები ხედავენ ქარს.

თავი მარჯვ

ნერა დაასრულა 1822 წლის ივლის-აგვისტოს, პიზაში. გადაათეთრა მერი შელიმ, ამავე წელს ამავე ქალაქში. გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეექვსე და მეშვიდე თავებთან ერთად, 1823 წლის 15 ივლისს.

ალაჰ! ალაჰჰჰჰ — მუსლიმანთა საომარი შეძახილი, მახვილი მოუდის ბოლო მარცვალზე, რაც განსაკუთრებით ველურ ხმიანებას იწვევს (ბაირონი პირველად არ იყენებს ამ საომარ შეძახილს; იხ., „გიაური“, 734; „კორინთოს ალყა“, 668).

„ჟლეტა“ (ამბობს უორდსუორთი) „უფლის ქალიშვილია“ — უილიამ უორდსუორთის „ოდა მადლიერების დღესასწაულს“: „მაგრამ შენი (უფლის) ყველაზე უფრო საშინელი იარაღი, რომელიც სუფთა განზრახვით ირჯება, ერთუროს დასახოცად შეიარაღებული კაცებია; დიახ, ჟლეტა შენი ქალიშვილია!“

დაკარგულელებში მოხსენიებულიყო გროუვად, როს გვარი მისი გახლდათ გროუსი — ეს ფაქტია; იხილეთ ვატერლოოს გაზეთები. მახსოვს, მაშინ მეგობარს მივწერე: „აი, სახელგანთქმულობა! კაცი დაიღუპა, სახელად გროუსი, დაბეჭდეს კი გროუვად“. დაღუპული ჩემი თანაკოლეჯელი იყო, სასიამოვნო, ჭკვიანი კაცი, მასთან ურთიერთობა უხაროდათ მისი მახვილგონიერების, მხიარულებისა და „Chansons à boire“ გამო.

იგი არ ყოფილა... ძველი ერსი ანუ ირლანდიელი, ან ეგებ პუნელი (ანტიკვარები, რომელთა დროის მოხელთება შეუძლიათ — იხ. გენერალი ვალენსი და სერ ლორენს პარსონსი (ფილოლოგები, მაიორი (შემდგომ გენერალი) ჩარლზ ვალენსი (1721-1812) და სერ ლორენს პარსონსი (შემდგომ როსის გრაფი) (1756-1841) ირლანდიელი პატრიოტები იყვნენ. პარსონსი, როგორც პარლამენტის წევრი დუბლინის უნივერსიტეტიდან, წინააღმდეგი იყო ინგლისთან გაერთიანებისა 1801 წელს. კვლევებმა ისინი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ირლანდიელებს კართაგენელებს ენათესავებოდნენ და, ამრიგად, უფრო ძველი და წმინდა სისხლისანი იყვნენ, ვიდრე ინგლისელები.

„ჯოჯოხეთის გზას მოკირწყლავს“ — პორტუგალიური ანდაზა ამბობს, ჯოჯოხეთი მოკირწყლულია კეთილი ზრახვებით.

მეტისმეტად რომ გვაგონებს პელ მელს — ლონდონში, პელ მელის ქუჩაზე განლაგებული იყო სათამაშო სახლთა უმრავლესობა და ჯერაც კლუბური ცხოვრების ცენტრია.

სად მიწასა და ჰაერს არყევდა ადამიანური გამოგონება, ძმა ბეკონისა — ამბობენ, რომ თოფისწამალი სწორედ ბერმა, ძმა ბეკონმა გამოიგონა.

„ჩამოეჭრა და მობრუნებოდა“ — ეს არ არის სამხედრო ტერმინი, ალბათ უფრო კლუბური ტერმინია, სადილობისას ხორცის მოჭრას და შემდგომ მიბრუნებას და კვლავ ჩამოჭრას გულისხმობს.

„აჩრდილთა სიკვდილისათა“ — ფსლმ. 22, ვიდოდი ლათუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა

ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან — ამათ ნუგეშინის-მცეს მე. სუ-
ვოროვის მიერ იზმაილის ალების კონტექსტში ფსალმუნის მოხმობა, ცხადია,
ირონიულია, რადგან ამ გზაზე დამდგარი ჯარისკაცები ეშმაკის კერძებად
მიაჩნია ბაირონს.

„უფსკრულიდან გამოძახებულ სულთა“ — ჰენრი IV, I, iii

„იმ ბნელსა და უცნობ მხარეს“ — ჰამლეტი, III, i: მთელი სტრიქონი ასეა
ივანე მანაბლის თარგმანში — „იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც
ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება“.

თურქი კოჰორნი — იგულისხმება ბარონი მენო ვან კოოჰორნი (1641-
1704) ჰოლანდიელი სამხედრო ინჟინერი, ფრანგი ვაჟბანის რანგის სპეცია-
ლისტი. მისი ხსენებით ბაირონი ირონიულად მიანიშნებს, რომ იზმაილის
ფორტიფიკაციებს აშენებდა ფრანგი ინჟინერი, მაგრამ დაასრულა არაკვა-
ლიფიციურმა თურქმა ინჟინერმა.

მარტოდენ რევოლუციას შეუძლია იხსნას დედამინა ჯოჯოხეთის სიბინ-
ძურისაგან — ბაირონმა იცის თუ რა მოუტანა რევოლუციამ საფრანგეთს,
მაგრამ მაინც ჯიუტად იმეორებს უტოპიურ თვალსაზრისს, რომ რევოლუცი-
ას შეუძლია დაცემული ადამიანის გამოსწორება.

ვინც ქალის მკერდზე ყრმობისას ყრმად გრძნობდა თავს — შდრ. პირვე-
ლი კორინთელთა მიმართ, 13, 11: როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყვოდი, როგორც
ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო რო-
დესაც დავეკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობისდროინდელს. როგორც
ვხედავთ ბაირონი ომს არ მიიჩნევს ყრმობისდროინდელ მოვლენად.

„დააკვირდი შენს სატრფოს, როს შენს მკლავებს დატოვებს“ — რუსო,
„ჟიული ანუ ახალი ელოზა“, თ. I, წერილი, V, რუსოს ალუზია ბაირონის რო-
მანტიკულ განწყობილებაზე მიუთითებს.

„მდაბალ ბეზონელს“ — ბეზონელი (Bezonian) დამახინჯებული იტალიუ-
რია (bisognoso) და ნიშნავს „ლატაკ არამზადას“. ჰენრი IV, II, Y, iv; პისტოლი:
ლივონიად იმ დროს ბალტიისპირეთის მხარე მოიხსენიებოდა, დღევანდელი
ესტონეთი და ლატვია.

გენერალ ბუნისა, ტყეს რომ დაუბრუნდა — ამერიკელი გენერალი, დენი-
ელ ბუნი (1735-1820), ვინც მართლაც ტყეში დაესახლა, შედარებულია ვე-
ლინგტონს, სუვოროვსა და სხვებს. მკვლევარები დავობენ, თუ საიდან უნდა
აეღო ეს ამბავი ბაირონს.

ბუნმა ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლა — სინამდვილეში ბუნი 80 წლისა
გარდაიცვალა.

კაცი უდაბნოში გასული — ჯონ კირლი, ჰერფორდშირელი მინათმფლო-
ბელი, ცნობილი ფილანტროპიითა და მოკრძალებული ცხოვრებით.

„კავალერის“ ალების შემძლე — კავალერი ამ შემთხვევაში დიდი შენობაა,
აგებული ქვემეხთა და თოფების განსათავსებლად.

„საბრალო იმედმა“ შიში დაძლია — ეს იყო სამხედრო ნაწილი, გამწესებუ-
ლი წინა ხაზზე და, ამრიგად, განწირული დასალუპავად.

გაუხსნა „კილიად“ ნოდებული ჭიშკარი — ამგვარი სახელწოდებებით იზმაილის ალებას ტროას მსგავსი ეპიკურობა ენიჭება. გაიხსენეთ ტროას ჭიშკრების სახელწოდებანი და აღწერილობანი „ილიადაში“.

ამგვარი ჩავლება საბედისწეროა ეპისკოპოსთათვისაც — თავდაპირველ ვარიანტში ყოფილა: საბედისწეროა მეომრებისა და ქალებისათვის, — მაგრამ მერი შელის უარი უთქვამს ამ სტრიქონების გადწერაზე და ბაირონს შეუცვლია ანტიქალაური სტრიქონი... ანტიეპისკოპოსურით. 1822 წლის 19 ივლისს, ლონდონში, ჰაიმარკეტზე, სენტ ოლბანის რაიონში, ფუნდუკ უაით ლაიონში, წესრიგის დამცველებს დაუკავებიათ ღირსი პერსი ჯოსელინი, ირლანდიის, კლოგერის ეპარქიის ეპისკოპოსი, ვისაც სამარცხვინო ქმედებაში წაასწრეს რიგით ჯეიმზ მოვერლისთან. ეპისკოპოსი გაქცევას შეეცადა, მაგრამ სამოსმა შეუშალა ხელი. დაკავებულებმა გირაოთი დაიხსნეს სასამართლოსგან თავი და ეპისკოპოსი ინგლისიდან გადახვეწილა. ამ სკანდალმა დიდად გაახარა უღმერთო რადიკალები.

სერასკირი — სამხედრო მინისტრი თურქულ არმიაში. პოტიომკინის წერილში იზმაილის სერასკირი მოხსენიებულია აიდოს მეჰმეთად.

ამ მამაც თათარს — იზმაილში მყოფი თურქული ჯარის მთავარსარდალი თათარი არ ყოფილა, ბაირონს ალბათ რითმისათვის დასჭირდა.

წმინდა გიორგის ორდენი — **რუსული სამხედრო ჯილდო.**

მამაცი თათარი ხანი — თათარი ხანისა და მისი ხუთი ვაჟის ამბავი იზმაილის ქრონიკებიდან არ არის აღებული. ეს არის ამბავი ქრისტიან ლათინუსისა და მისი ვაჟებისა, ტორკვატო ტასოს „გათავისუფლებული იერუსალიმიდან“ (ქება IX)

ვით უჯიათი შვედი ჩარლზი ბენდერის ბრძოლაში — პოლტავის ბრძოლაში (8 ივლისი 1709) დამარცხების შემდეგ შვედების მეფე კარლოს XII-მ დნეპრი გადალახა და თურქთა ტერიტორიაზე, სოფელ ბენდერში დაბანაკდა სამასიოდე მხლებელთან ერთად. თურქებმა ალყა შემოარტყეს და დანებება მოსთხოვეს, მან უარი განუცხადა და მამაცურად იცავდა თავს, ვიდრე ტყვედ ჩაიგდებდნენ.

„გამეცალეთ“ — იხ. მაკბეტი, I, iii, მაჩაბლისეულ ქართულ თარგმანში ეს მიმართვა გამოტოვებულია.

მისი გული საგულედან ამოვარდნილიყო — შდრ. ჰამლეტი, I, V, ორიგინალშია: *out of joint* (ამოვარდნა), მაჩაბლისეულ ქართულ თარგმანში ასეა: კავშირი დაირღვა.

თითქოსდა სამი სიცოცხლე აქვს, ვითა სამი კუდიო — ფაშას რანგი განისაზღვრებოდა ცხენის კუდებით, რომელსაც თავის ალამზე ამაგრებდა. ეს ფაშა სხვებზე მაღლა იდგა. იმავეს წერს ბაირონი „აბიდოსელ პატარძალში“.

პარიზელო მასკადინო — საშუალო კლასის ახალგაზრდები, რომელნიც იაკობინური ტერორის დამხობის შემდეგ სანკიულოტებს სდევნიდნენ და ხოცავდნენ. ბაირონი მათ შეუპირისპირებს ლონდონელ მდაბიოს, კოკნის.

„მარტოხელა დალოცვილობაში“ — შდრ. შექსპირი, „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“, I, i.

რატომ არ იწყება ძალადობა! — ეს ხუმრობა ორჯერ არის მოხმობილი სერ უოლტერ სკოტის ჩანაწერებში; 1745 წელს, მთიელთა თავდასხმის დროს, ხმა გავრცელდა, მთიელები ყველა ქალს აუპატიურებენო. კარლაილი მცხოვრები ხნიერი ქალი ჩაკეტილა თავის საძინებელში და მორჩილად ელოდა თუ რა მოხდებოდა. ხანი რომ გამოხდა და არავინ შეეჭრა, მორიდებით გამოიხდა გარეთ და იკითხა: „გეთაყვა, ვერ მეტყვი, როდის იწყება გაუპატიურება?“

„დიდება ღმერთსა და იმპერატრიცას! იზმაილი ჩვენია“ — ცნობილია, რომ სუვოროვმა გართიმული კუპლეტი გაუგზავნა ეკატერინე მეორეს: „სლავა ბოგუ, სლავა ვამ, კრეპოსტ ვზიატა, ი ია ტამ.“

ეს უდიადესი სიტყვებია, „მენე, მენე, თეკელ“ და „უფარსინ“-ის მერე — დანიელი 5, 25-8. ბაირონს სულაც ლექსი აქვს დაწერილი ამ თემაზე, იხ. „ებრაული მელოდები“.

თავი მეცხრა

ინერბოდა 1819 წლის ივლისსა და 1822 წლის აგვისტო-სექტემბერში, პიზასა და ვენეციაში; გადანერა მერი შელიმ; გამოაქვეყნა ლი ჰანტმა — ანონიმურად, მეთე და მეთერთმეტე თავებთან ერთად, 1823 წლის 29 აგვისტოს.

კაცობრიობა აღსდგება და დაიქუხებს „ნეი!“ (არა) — მარშალი ნეი უნდა ყოფილიყო? — მბეჭდავის ქარგალს მოჰკითხეთ. არა [nay] და მარშალის სახელი [Ney] სხვადასხვაგვარად იწერება.

არა მგონია, კინიარდს კარგად მოჰქცეოდი მარინეტის საქმეში — ლორდი კინიარდი ბაირონის მეგობრის, დუგლას კინიარდის, უფროსი ძმა გახლდათ. თანაუგრძნობდა ბონაპარტისტებს. 1818 წელს ბრიუსელში გაიცნო ვინმე მარინეტი, ვინც აცნობა, შეთქმულება მზადდება ველინგტონის მოსაკლავადო. მკვლელობის მცდელობა მართლაც მოხდა ველინგტონის სიცოცხლეში. მარინეტი დაითანხმეს, ჩასულიყო პარიზში და ამოეცნო მკვლელი; კინიარდის მეშვეობით დაპირდნენ, რომ იმუნიტეტი ექნებოდა და არ დაადანაშაულებდნენ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ დააპატიმრა და გაასამართლა. იგი გაამართლეს. ველინგტონი ძალზე ცუდად განეწყო კინიარდის მიმართ და რევოლუციონერს უწოდებდა.

ასეთი ამბები ეგებ... გაიხსენონ ჭორიკნებმა — ველინგტონის საყვარლები გაუთავებელი ჭორების საფუძველი იყო.

ჯან-ლონით ჯერაც ჭაბუკი გმირი ხარ — ხუმრობა ველინგტონის განთქმული მამრული ენერჯის გამო.

ესპანეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში — ამ ქვეყნებში აღადგინა სამეფო ტახტები ვენის კონგრესმა ნაპოლეონის დამხობის შემდგომ.

ვისურვებდი შენმა ბარდებმა უკეთ გიმღერონ — ველინგტონის შესახებ დაწერილ სახოტბო ლექსებს შორისაა რობერტ საუთის „პოეტის მოგზაურობა ვატერლოოში“.

„ყელის-მჭრელი, საუკეთესო“ — მაკბეტის სიტყვები მკვლელისადმი, III, iv. და „ვეროპის გამათავისუფლებელი“ — ჯერაც მონობაში რომაა — ვრცელი სიტყვები პარლამენტში, ვატერლოოს ბრძოლის შემდგომ.

ბრაზილიის პრინციის მიერ მორთმეული ჭურჭლიდან — პორტუგალიის მეფე, დონ ჟოაო VI, ცნობილი იყო, როგორც ბრაზილიის პრინცი, რადგანაც — ნაპოლეონის მიერ დევნილი — ბრაზილიას აფარებდა თავს. 1815 წელს მან მართავა ველინგტონს ვერცხლის სუფრის მონყობილობა, რასაც *Baixela da Victoria*-ს უწოდებენ და სამოცდაათი ფიგურისაგან შედგებოდა. ველინგტონი ვატერლოოს გამარჯვების წლისთავზე გააშლევინებდა ხოლმე.

ნახევარი მილიონი შენი საბინური მამულისათვის — ველინგტონის საპერცოვო შედარებულია მამულს, რომელიც მეცენატმა უბოძა ჰორაციუსს.

პიტსაქ აქეს საამაყო — ცინცინატუსი (519-438 ქ-მდე) ორჯერ დაადგინეს რომის დიქტატორად არეულობის ჟამს. ორივეჯერ სოფლიდან ჩამოიყვანეს, სადაც მძიმედ შრომობდა. და ორივეჯერ იქ დაბრუნდა, როცა სამშობლოს წინაშე ვალი მოიხადა. ეპამინონდასი (418-362 ქ-მდე) თებელი სახელმწიფო მოღვაწე და წინამძღოლი სპარტასთან ომის დროს. ისე უანგაროდ იმსახურა, რომ როცა გარდაიცვალა, გროშიც არ გააჩნდა და საჯარო ხარჯით დაკრძალეს. ჯორჯ ვაშინგტონი (1732-99) აშშ პირველი პრეზიდენტი, იმდენად მომჭირნე სახელმწიფო საქმეებში, პრეზიდენტის ხელფასზეც კი უარს ამბობდა. უილიამ პიტი უმცროსი (1759-1806) ინგლისის პრემიერ მინისტრი 1784 წლიდან 1804 წლამდე. სილარიებში ჩავარდნილმა უარი თქვა 100 000 ფუნტ სტერლინგზე, რომელიც სითიმ შესთავაზა ვალეზის დასაფარად.

„*O dura ilia messorum!*“ — „ო, ხისტად მთიბავო ნაწლავებო“ — პერიფრაზი ჰორაციუსის სიტყვებისა, „ეპოდები“ III, 4.

„*Que scais-je?*“ — უნდა იყოს: *Que sais-je*, ვინ იცის?

პირონით გვეტივტივა მსჯელობათა ზღვაში — ქადაგებდა უკიდურეს სკეპტიციზმს ყველაფრის მიმართ.

„მაგრამ ზეცაა მალლა“, როგორც კასიო ამბობს — იხილე „ოტელო“.

„ბელაშის სიკვდილი განსაკუთრებული წინასწარმეტყველებაა“ — კიდევ ერთი არაზუსტი ციტირება შექსპირისა, ჰამლეტი ამბობს (V,ii), *There is special providence in the fall of a sparrow...* „ჩიტიც კი უგანგებოდ არ მოკვდება“ (ივანე მაჩაბელი).

მესმოდა მათი კვილი ნანგრევებში ეფესოს ტაძრისა — საბერძნეთში არ მინახავს და არც გამეგონა ამ ცხოველის ხმა, მაგრამ ეფესოს ნანგრევებში ასობით ტურის ხმა მესმოდა.

მხოლოდ ესპანური ბუზი და ატიკური ფუტკარი იკბინებიან ცხარედ, რათა გათავისუფლდნენ — იგულისხმება ამბობება ესპანეთში ფერდინანდ VII-ისა და საბერძნეთში — თურქთა წინააღმდეგ.

როს იმპერატორები ეცემიან შერისა გამო — იგულისხმება მარცვლეულობის ფასების ხელოვნურად აწევა ინგლისელ მსხვილ მინათმფლობელთა მიერ ომის დროს და შემდეგ ვარდნა, რამაც ეკონომიკური კრიზისი გამოიწ-

ვია, ბაირონი ირონიულად მიანიშნებს, ნაპოლეონი ინგლისელი ტორების ინტერესებს შეეწირაო.

ნადირ შაჰივით... სადილს რომ ველარ ინელებდა — ნადირ შაჰი აქ არაფერ შუაშია, მაგრამ მხოლოდ რითმის გამო არ არის შემოტანილი პოემაში; ბაირონმა იცოდა ნადირ შაჰის სწეულების შესახებ. იცოდა, რომ იგივე სჭირდა პოტიომკინს და თვითონაც ხომ კუჭის სწეულებით იტანჯებოდა და სჯეროდა, რომ ადამიანის სხეულის პრობლემები გავლენას ახდენს მათ ბუნებასა და ქცევაზე. თავის შენიშვნებში იგი წერს: იგი შეთქმულებმა მოკლეს მას შემდეგ, რაც სულ მთლად გაუფუჭდა ხასიათი და სიციხემდე მივიდაო.

ო, დილო ავტორნო! — „*A propos des bottes*“ — იდიომური გამოთქმა; იგულისხმება, რომ ავტორს არაფერი სუბიექტური არ ამოძრავებს, ამას რომ წერს.

კუვიე, ლეოპოლდ კრეტინე ფრედერიკ დაგობერტ (1769-1832) — ფრანგი ანატომი, პალეონტოლოგი და განათლების თეორიის მიმდევარი, იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელიც იკვლევდა სამარხებს და სწავლობდა დინოზავრთა ნაშთებს.

ნარმოიდგინეთ, ჯორჯ მეოთხე რომ ამოთხარონ — ჯორჯ მეოთხე ერთხანს ისე გასუქდა, რომ ხალხში გამოჩენისა სცხვენოდა. ბაირონსაც ხომ იგივე სჭირდა, სუქდებოდა, როგორც კი მადიანად ილუკებოდა.

ხალხით სავსე დარბაზში, ქერნ გორმივით — მთაგრეხილი მაღალმთიან სკოტლენდში; ყვითელი ან ღვინისფერი მთის კრისტალი.

პატავონელი — სამხრეთ არგენტინისა და ჩილეს უძველესი ბინადარი, რომლებზეც ამბობდნენ, გოლიათური აღნაგობისანი იყვნენო.

იმპერატრიცას ხანდახან მოსწონდა ბიჭები, განა სულ ახლახან არ დამარხა ლამაზსახიანი ლანსკოი — **იხ.** „*ეკატერინეს ცხოვრება*“, თავი „*ლანსკოი*“.

სთხოვეთ ირლანდიის ლონდონდერის მარკიზს, გაჩვენოთ თავისეული მეტყველების ნაწილები — **ეს ამ პიროვნების სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე დაწერა.**

ჩიჩისბეი — იტალიურად „*Cavalier Servente*“ ნიშნავდა სოციალურად პატივსაცემი პიროვნებას, გათხოვილი მდიდარი ქალის საყვარელი საზოგადოებაში, სადაც მიიწინადა, რომ ქორწინება არსებობს ფუფუნების, ფულისა და რესპექტაბელობისათვის, ხოლო სიყვარული სხვაგან შეიძლება მოძებნო. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო იტალიაში, განსაკუთრებით ვენეციაში. თვით ბაირონი გახლდათ *cavalier servente* მარკიზა ტერეზა გვიჩიოლისა.

ქომონსი — ადვოკატთა და სამართლის დოქტორთა კოლეჯი, ნმ. პავლეს ტაძართან ახლოს, სადაც პრაქტიკა ჰქონდათ საეკლესიო ადვოკატებს, მონოპოლიას ვინც ფლობდნენ გაყრის საქმეებზე.

ო, შენ „tetrissima causa“ ყველა „belli“-სა — **ჰორაციუსი, „სატირები“, წ. I, სატ. III;** „სამინელო მიზეზო ომისა“, ჰორაციუსი ახსენებს ქალის სასქესო ორგანოს: *nam fuit ante Helenam cunnus taeterrima belli causa ...*

„იღბალი“ გაგებრიქებოდა, „*კაცად იქცეოდი*“ (ვით ჯაილსი ამბობს) — **რადგან თუმცა მთელი ერების დაქვრივება შეეძლო, „იღბალი ებრიქება,**

**რანგი მიუღია, დაქორწინებულია“, სერ ჯაილს ოვერიჩი მესინჯერის პი-
ესა, ახალი სამუალები ძველი ვალების გადასახდელად.**

*„მერკურს, ციურთ შიკრიკს, წარმოგ ზავნილს ცად მიბჯენილ, მაღალ
მთის წვერზედ“ — ჰამლეტი, iii, iv.*

*„შავი წვეთი“ — ეს იყო წამალი, დამზადებული ოპიუმისა და ძმრისაგან,
კიდევ რალაც სანელელებიც ურია; ბაირონს ჰქონია ცოტაოდენი ლონდონ-
ში; ამტკიცებდა, ანაბელამ ნახა და აილოო.*

*ვით ჰელიოსი ჩადის თეტიდას მარილიან ზღვაში — არცერთი მითი არ
ადასტურებს ჰელიოსისა და თეტიდას კავშირს, თუმცა სემუელ ბატლერს
თავის ჰადიბრასში აღნიშნული აქვს მათი კავშირი, როგორც ჩანს, აქედან ახ-
სოვდა ბაირონსაც.*

მესალინა — იმპერატორ კლავდიუსის თავნება მეუღლე.

ათას სულ ყმასაც — რუსული მამული მონათა რაოდენობით იზომებოდა.

*რადგან ფავორიტი სიკვდილით დასაჯა — ელიზაბეთს არ დაუსჯია ფა-
ვორიტი სიკვდილით, როგორც ამას ეკატერინე იზამდა, გრაფი ესექსი 1601
წლის შეთქმულებისათვის დაისაჯა.*

*ვისაც მისტიკური საქმიანობისა გამო „l'Éproueuse“ (გამსინჯავს)
უნოდებდნენ — სულ ორიოდ ისტორიული ცნობა თუ მიანიშნებს, რომ მა-
დამ პროტასოვა გასინჯავდა ხოლმე ახალ ფავორიტთა მამრულ ძალას ეკა-
ტერინესთან მიყვანამდე.*

თავი მათი

**დასრულდა 1822 წლის 5 ოქტომბერს, გენუაში. გადაათეთრა მერი შე-
ლიმ, დაბეჭდა ჯონ ჰანტმა მეცხრე და მეთერთმეტე თავებთან ერთად
1823 წლის 29 აგვისტოს.**

*ამ გაცრეცილ ფურცელს — მეთე ქების დასაწყისი მართლაც შელან-
დლულ ფურცელზე იყო დაწერილი.*

*„ოჰ! იტყვის მეფსალმუნე, მტრედის ფრთები რომ მქონდეს და გავფრინ-
დე და დავისვენო!“ — ფსალმუნი 55, 11.*

*თუნდაც ჩემი მეგობარი ჯეფრისნაირს — ფრენსის ჯეფრი გახლდათ რე-
დაქტორი და მონინავეთა ავტორი ჟურნალ „ედიზბურგის მიმომხილველისა“. ბაირონი
მცდარად მიიჩნევდა, რომ მის პირველ წიგნზე დაწერილი კრიტიკუ-
ლი წერილის ავტორი ჯეფრი იყო. ფრენსის ჯეფრი გამოესარჩლა საუთის და
დაიცვა ბაირონის გამანადგურებელი კრიტიკისაგან. როგორც ჩანს, ბაირონი
ჯეფრის ურიგდება და სთხოვს, საუთის მეტად აღარ გამოესარჩლოო.*

*ძნელად თუ შეუერთდებიან „რეფორმატორთ“ — „რეფორმატორები“,
ან, უკეთ, „რეფორმირებულები“. ბაირონი ბრედუორდინი, „უევერლიდან“,
გახლავთ ავტორი ამ სიტყვისა.*

ვექლი და კრიტიკოსი — ჯეფრი ადვოკატიც იყო და ლიტერატორიც.

კანონის ცოცხი — broom ინგლისურად ცოცხია და ბაირონი კალამბურს გვთავაზობს ჰენრი ბრაუმის გვარზე.

სულ ქვარტლში ტრიალი ისეთ ღრმა ლაქას დავიტოვებს — ქვარტლის (soot) ნაცვლად კოსტიუმი (suit) უნდა იყოს? ქარგალის შეცდომაა.

და ვსვამ სადღეგრძელოს „ძველი გზისა!“ — „Auld Lang Syne!“ სკოტლენდური სიმღერაა, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ძველ კეთილ დროს“, მიენერება რობერტ ბერნსს; თამარ ერისთავის მშვენიერ თარგმანშია „ძველი გზა“ და ჩვენც ასე დავტოვეთ.

დიის, დონის ბალგონის ხიდის შავ კედელს — დონის ხიდი, ძველი ქალაქის აბერდინის ახლოს, თავისი ცალი თაღით და მის ქვეშ მუქი, ორაგულით სავსე მდინარით, გუშინდელივით მახსოვს. მახსოვს, თუმც შვიძლება არასწორად მაგონდება უშნო ანდაზა, რომელსაც ვერ გამოვთქვამდი, და მაინც გადავეყუდებოდი ხოლმე ბალღური სიხალისით; მეც ხომ დედისერთა ვიყავი. ანდაზა ასეთი მახსოვს, და აღარც მსმენია მას შემდეგ, ცხრა წლისა რომ ვიყავი: „ბალგონის ხიდი, შავკედლიანო, დედისერთა და ფაშატისერთა არ ჩამოაგდო, არ დააზიანო“.

დიი და დონი მდინარეებია, რომლებიც ზღვაში აბერდინის ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩაედინებიან; აქ ბაირონი სამი წლისა ჩამოიყვანეს და ათ წლამდე ცხოვრობდა. ბალგონის ხიდი რობერტ ბრუსს აუშენებია 1320 წელს. ამ ხიდიდან მოჩანს, როგორ ჩაედინება დონი ზღვაში. ხიდი არასოდეს დანგრეულა, თუმც დიდი წყალდიდობები გადაუტანია.

„დაეჭერი მხოლოდ, კი ვერ მოვკალი“ — სახალხო ტრიბუნმა ტიბერიუს გრაკუსსმა, ხალხის სახელით მოითხოვა აგრარული კანონის გატარება, რის ძალითაც მდიდარ მინათმფლობელებს უნდა ჩამორთმეოდათ მიწების ნაწილი და გადასცემოდათ ღარიბ მოქალაქეებს.

ტიბერიუს სემპრონიუს გრაკუსი (168-133 ქრისტეს შობამდე) კლასიკური გამთანაბრებელი იყო და ცდილობდა აემოქმედებინა ძველი კანონი, რომელიც მდიდრებს აიძულებდა ზედმეტი მიწის ნაკვეთების გადაცემას ღარიბთათვის. მის წინააღმდეგ აამხედრეს ხალხი და იგიც და მისი სამასი მიმდევარიც ამოხოცეს.

ორმოცპასტორიანო სიმძლავრეე გალობისა — ეს მეტაფორა „ორმოც ცხენისძალიანი“ ორთქლის მანქანიდან ავიღე. იმ გადარეულმა მახსარამ, ღირსმა სიდნი სმიტმა, სადილის დროს მოძმე სასულიერო პირთან რომ იჯდა, მოგვიანებით აღნიშნა, ჩემს მოსაწყენ მეზობელს „თორმეცპასტორიანი სიმძლავრე“ ჰქონდა საუბრისაო.

რომელიც გნებავთ გვაძი ასარჩევი გრავნილიდან — ორმაგი სატირაა: ერთი მხრივ ჯოანა საუთკოტის ბეჭედია გაშარჟებული, რომლითაც ხსნისათვის არჩეულნი უნდა აღნიშნულიყვნენ; მეორე მხრივ უილიამ დამპყრობელია გამოყვანილი ღმერთის როლში.

საქსონთათვის მიწის წართმევა და ტყავის გაძრობაც დაბალივით — დარწმუნებული ვარ, რომ მიწის წართმევა შესაფერისი ტერმინია, და შარიანი გადასახადის შედეგად განხორციელდა.

იმპერატრიცა შემფოთდა, მისმა ექიმმა (ვინც პეტრეს ექიმიც გახლდათ) დაასკვნა — ეკატერინას ექიმი იყო სკოტლენდელი დრ. ჯონ როჯერსონი; არაფერი ამტკიცებს, რომ იგი ესწრებოდა პეტრე მესამის მკვლევობას.

ზოგნი ამბობდნენ, პოტიომკინმა მონამლო — ჟუანის სნეულება და განუღიანი მკურნალობა დაფუძნებულია ეკატერინას ფავორიტის ლასკოის სნეულებასა და სიკვდილზე. ამბობდნენ, პოტიომკინს მისი ეშინოდა და ამიტომაც მონამლო. ლანსკოი საზარელი ტყვიელებით მიიცვალა.

...„*Bolus Potassæ Sulphuret. sumendus, Et haustus ter in die capiendus.*“

— პირველი რეცეპტი: „ექვსი დრამი სოდის სულფატი და ნახევარი დრამი საუკეთესო მანანა“ (აქ, ცხადია, არ იგულისხმება ბიბლიური ციური მანანა, არამედ წვენი მცენარისა, რომელიც კალაბრიასა თუ სიცილიაში მოჰყავთ და სასაქმებლად ხმარობენ). ერთნახევარი უნცია ადუღებული წყალი და ორი დრამი სინამაქის ფოთოლის ნაყენი, დასალევად. მეორე რეცეპტი: „შერეული ფხვნილი, სამი მარცვალი იპეკაკაი“ (იპეკაკაი, სამხრეთ ამერიკული *ipacacuanha*, მცენარე, რომელიც პირლებინებას იწვევს. ერთი დიდი აბი გოგირდოვანი პოტაშისა მიიღოს სამჯერ დღეში.“ ეს წამლები გამოიწვევდნენ პირლებინებასა და ოფლის დენას.

Secundem Artem — როგორც სჩვევიათ, ... *that „hiatus maxime deflendus“*

— დიდად საგლოვი ბზარი.

ჯონ აბერნეთი (1764-1831) — ქრისტეს ჰოსპიტალის ქირურგი, ანატომიის და ქირურგიის პროფესორი ქირურგიის კოლეჯში, ნმ. ბართოლომეოს სრული ქირურგი; ცნობილი იყო ექსცენტრიულობითა და უხეშობით.

და მისავათდა ვით დაჭრილი არნივი — „უკანასკნელი ფრინველი, რომელიც ტყვიით დაჭერი იყო არნივი; ეს მოხდა ლეპანტოს ყურეში, ვოსტიტზასთან ახლოს. შევეცადე მომერჩინა; ისეთი გიზგიზა თვალებით იყურებოდა! მაგრამ ჩაიფერფლა და რამდენიმე დღეში მოკვდა. მე აღარც მომიკლავს და აღარც მოვკლავ რომელიმე ფრინველს“ (ბაირონის დღიური, 1814 წ. 20 მარტი).

ეს სტრიქონი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთი უხეში ძალით დაეუფლა ზღვა-სა და მართავს.

ბარუში — მდიდრული ოთხადგილიანი ეტლი, ნახევრად გადაფარებული, წვიმისაგან დასაცავად.

ახლა ფავორიტისათვის დაეთმო და ჟუანს ატარებდა — იმპერატრიცას ყირიმში უმოგზაურია, ავსტრიის იმპერატორ იოსებთან ერთად — არ მახსოვს რომელ წელს.

ეს იყო 1787 წელი, როცა პოტიომკინმა ახალდაპყრობილ ყირიმში ამოგზაურა და თავის მიერ აშენებული გზები და სოფლები აჩვენა.

განელეს პოლონეთი და ვარშავა, სახელგანთქმული მარილის საბადოებითა და რკინის უღლით — ბაირონი მიანიშნებს, რომ პოლონეთის ძირითადი სიმდიდრე მარილის საბადოებია, და აგრეთვე პოლონეთის მხეცურ დაგლეჯა-დანაწილებაზე.

როს მის ჰერცოგად უგვანო სახელი „ბირონი“ გამოაცხადეს — იმპერატრიცა ანამ მიანიჭა სახელი და გერბი ფრანგი „ბირონებისა“ თავის ფავო-

რიტ ბირენს. ამ თვითმარქვია ოჯახის ნასხლეტები ჯერაც შემორჩნენ ინგლისში. და კურლანდის გვარს ატარებენ. ერთ-ერთი მეც გამაცნეს მოკავშირეობის იმ დალოცვილ წელს (1814); სომერსეტის ჰერცოგინიამ წარმომიდგინა როგორც მოგვარე.

იმპერატრიცა ანამ 1737 წელს თავის ფავორიტს, მდაბიო ერნსტ იოჰან ბიურენს, მიანიჭა კურლანდიის ჰერცოგის ტიტული.

ოპ! ჩემი გვარდია! ჩემი ძველი გვარდია — ნაპოლეონმა ეს წუხილი — რუსეთის ექსპედიციაში ძველი გვარდიის დაკარგვის გამო — 1815 წლის 23 ივნისს, ელისეს სასახლეში გამოთქვა.

თადეუშ კოსციუშკო (1746-1817) — პოლონელი პატრიოტი; გმირულად იბრძოდა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ 1792 წელს. პოლონეთის დამარცხების შემდეგ, რაც ძირითადად სუვოროვის დამსახურებაა, გადასახლდა შვეიცარიაში. ბაირონმა მას ხოტბა შეასხა „ბრინჯაოს ეპოქაში“.

ჰეკლა — ვულკანია ისლანდიაში.

თამბაქოს მნიკვადაც კი არ უღირდა ფილოსოფია — აქ კანტის რთული და ძნელად ჩასანვდომი ფილოსოფია შედარებულია მძიმე ლითონებთან. თვითონ ბაირონს, როგორც ჩანს, ღონ ჟუანზე სულ ოდნავ მეტად აინტერესებდა კანტის ფილოსოფია.

ფოსტის მხედრებზე მეტად ჰკრავენ დეზებს — ბაირონის აზრით, გერმანია სავსე იყო ყველანაირი წვრილმანი დესპოტიზმით.

რა დიდებული გოთიკური სანახაობაა — ბაირონმა, ვინც არასოდეს ყოფილა პრუსიასა და ჩრდილოეთ გერმანიაში, რაინზე იმოგზაურა 1816 წლის მაისში. ამის შესახებ იგი სწერდა ჰობზაუსს: „მშვენიერი იყო რაინზე მოგზაურობა, გადააჭარბა ჩემს მოლოდინს, თუმცა ჩემი შეხედულებანი გამართლდა.“ იგი რაინის ველს ადარებს პორტუგალიას და საბერძნეთს და ისეთი აღფრთოვანება არ გამოუხატავს, როგორსაც „ღონ ჟუანში“ ვხვდებით. ასეთი აღფრთოვანება გვხვდება „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე ქებაშიც.

თერთმეტი ათასი ქალწულის ნეშტს, გვამთა უდიდეს რაოდენობას, რაც კი სმენილა — **წმიდა ურსულასა და მისი თანმხლები თერთმეტი ათასი ქალწულის ნეშტები ჯერაც შემორჩენილია და ალბათ მარადიულადაც შეინახება.**

კიოლნის ქალწულთა ნეშტები სინამდვილეში რომაულ საფლავთა გახსნისას იპოვეს და რაოდენობაც მეტისმეტად გაზვიადებულია.

კრესის ბრძოლა (1346) — იყო პირველი, სადაც გაიმარჯვა შავმა პრინცმა, მაშინ თექვსმეტი წლისა გახლდათ. შემდეგ იყო პუატიე (1356) და ნავარა (1367).

მარტოდენ დრო-ჟამის წინ დაეშვა — შავი პრინცის სიკვდილი გამოიწვია მრავალრიცხოვანმა ჭრილობებმა, რომელთა გამოც სიცოცხლის ბოლო წლები ავონიაში გაატარა; გარდაიცვალა 1376 წელს.

კანონს იმველიებდა, ვიდრე დაჩეხავდნენ — არქიეპისკოპოს ბეკეტის უთანხმოება მეფესთან არც დემოკრატიული რეფორმების გამო მომხდარა და არც კორუფციის წინააღმდეგ გალაშქრებისა. იგი იცავდა რომის პაპის კათოლიკურ ეკლესიას.

„ტლინკებს რომ აჰყრიან ხოლმე ხუმრობაზე“ — აქ ბაირონი დასცინის იმ რადიკალებს, რომელთაც არც მოლაპარაკება შეუძლიათ და არც კომპრომისი.

„Surgit amari aliquid“ — ლუკრეციუსი, „ბუნებისათვის“ IV, 1133; Surgit amari aliquid quod in ipseis floribus angat — სიმნარე, რომელიც წამლავს ყვავილთა სურნელებას.

ეს ყველაზე მოკლე გზა საზოგადო წყევლის მოსახვეჭად — მაკიაველი წერს „მთავარის“ მეორე ნიგნში, რომ მთავარმა თავი უნდა შეიკავოს საკუთრების წართმევისაგან, რადგან კაცი მამის სიკვდილს უფრო იოლად აპატიებს ვინმეს, ვიდრე ქონების წართმევას.

შუთერის ბორცვი — ეს იყო შემალღებული ადგილი ლონდონ-დუერის გზაზე, სადაც ხშირად დათარეშობდნენ გზის ყაჩაღები.

„ემშაკის სასტუმრო ოთახად,“ ვით უკვე უწოდეს ამ განსაცვიფრებელ ადგილს — ფრაზა ტობიას სმოლეტის „როდერიკ რენდომიდან“: „ლონდონის ემშაკის სასტუმრო ოთახია“; ეს ციტატა მიგვანიშნებს, რომ — ბაირონის აზრით — ლონდონი ჯოჯოხეთია, საითკენაც მიისწრაფის დონ ჟუანი.

ღიადი ნაცრისფერი გუმბათი მასხარას ქალაქის ჩაჩივით მოჩანს — ბაირონი წმიდა პავლეს ტაძრის გუმბათს გულისხმობს.

საიდანაც ამოიფრქვეოდა მსოფლიო სიმდიდრე — აქ ბაირონი კიდევ ერთხელ იხსენებს ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრეს“ (ქართულად თარგმნილია ფილიპე გოგინაიშვილის მიერ ამ სათაურით, ალბათ აჯობებდა „ერების სიმდიდრე“)

ელიზაბეთ ფრაი (1780-1845) — ნორფოლკელი კვაკერი, იმ დროისათვის ძალზე ცნობილი და გავლენიანი ინგლისელი ფილანტროპი; მისი ვიზიტები ციხეში და შედეგად განხორციელებული რეფორმები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია ინგლისური ფილანტროპიისა. მისი გაშარყება არ გახლდათ მომგებიანი ბაირონისათვის და ერთ-ერთ მიზეზადაც იქცა, რის გამოც სამშობლოში ვედარ ბრუნდებოდა.

და რატომ არ შეუდგები საქმეს კარლტონიდან — კარლტონის სასახლე პელ მელში პრინც რეგენტის (შემდგომ — ჯორჯ IV) საცხოვრებელი იყო; სასახლე იყიდა ჯორჯ III-ის მამამ, უელსის პრინცმა ფრედერიკმა, ჯორჯმა, თავის მხრივ, შვილს გადასცა, ვინც განაახლა, გაამდიდრა და მორთო-მოკაზმა; ორი სახელგანთქმული ბალი გაიმართა ამ სასახლეში: 1811 წელს — რეგენტობის დაწყებისადმი მიძღვნილი, და 1814 წელს ველინგტონისადმი მიძღვნილი. თუმც, როცა ჯორჯ IV ტახტზე ავიდა, მიიჩნია, რომ სასახლე საკმარისად ღიადი არ იყო და დაანგრია. მისი ნაწილები გადარჩა, ვთქვათ: სვეტები და პორტიკი ამშვენებს ეროვნულ გალერეას.

მეგონა უკეთ ერკვეოდით რელიგიაში, მისის ფრაი — ბაირონს მიაჩნია, რომ მისის ფრაი ვერ ერკვევა იმ უბრალო ქრისტიანულ საკითხში, რომ ქრისტი უფრო მეტად მოწყალე იყო დამნაშავეთა და შერისხულთა მიმართ, ვიდრე მდიდრებისა და ძალაუფლების მპყრობელთადმი; მისის ფრაი მართლაც დადავებდა მდიდრულ სასახლეებში, კერძოდ კარლტონში.

ასწავლეთ თუ ვითარ უნდა იქცეოდეს სამოცი წლის კაცი — ჯორჯ მესამე სამოცი წლისა შესრულდა 1822 წელს.

სერ უილიამ კურტისი (1752-1829) — სხვადასხვა დროს ლონდონის ლორდ მერი და პარლამენტის წევრი, ლონდონიდან. ჯორჯ მეოთხესთან დაახლოებული პირი, გარეგნულადაც ჰგავდა და შეხედულებებითაც. ედინბურგში ერთად იმყოფებოდნენ და ორივე კილტში იყო გამონყობილი.

უჭკუო ფოლსტაფი მსცოვანი ჰალისათვის — ბაირონი საკუთარ თავს სთავაზობდა, როგორც ჭკვიანი ფოლსტაფი.

თავი მეთერთმეტი

დაინერა 6-7 ოქტომბერს 1822 წელს, გენუაში. გადაწერა მერი შელიმ, გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეცხრე და მეათე თავებთან ერთად 1822 წლის 29 აგვისტოს.

როს ეპისკოპოსმა ბერკლიმ თქვა მატერია არ არსებობს — ჯორჯ ბერკლი (1685-1753) ანგლიკანელთა ირლანდიელი ეპისკოპოსი, ცნობილი თავისი ცოდნითა და პატიოსნებით, ბაირონი ქველ ბერკლის უწოდებდა და წერდა, სიყმანვილეში ნავიკითხეო. ნაშრომში „ტრაქტატი ადამიანური ცოდნის პრინციპების შესახებ“ (1710) ასაბუთებდა სულის უპირატესობას მატერიაზე. ბაირონი ამახინჯებს მის ნათქვამს.

გამუდმებით და ხშირად გვევლინება კუჭის მოუნელებლობა (და არა „ნაზი არიელი“) — 1822 წლის სექტემბერში ბაირონს სტანჯავდა კუჭის მძიმე შეკრულობა; საერთოდ ხშირად აწუხებდა კუჭ-ნაწლავის გართულებანი, რაც ალბათ მისი დიეტის შედეგი იყო. არიელი შექსპირის „ქარიშხალის“ პერსონაჟია (V.i).

რაც არის, არის — შდრ. შექსპირის მეთორმეტე ღამე, IV. ii.

ამ ბოლო დროს ფტიზიატრიამაც შემომიტია — ფტიზიატრიული ანუ ფილტვების დაავადებაზე ბაირონს არასოდეს დაუჩივლია. ალბათ რითიმისათვის დასჭირდა.

ჩემებრ ნახევრად ინგლისელს (ჩემდა სავალალოდ) — ბაირონი ამაცობდა სკოტლენდელი წინაპრებით და ცდილობდა დაშორებოდა მშობლიური ენის გარემოს.

„მოხელეთა კანონი“ — ორიგინალშია „კორონერი“; ეს იყო მოხელე, ვისაც ევალებოდა სიკვდილის (ძალადობრივი) მიზეზთა დადგენა. იხ. „ჰამლეტი“ V. i.

მან ქვეყანას გამოაკლო დიდი ადამიანი — აქ ტომი შედარებულია ჰენრი ფილდინგის პერსონაჟ ჯონათან ვაილდთან, ყაჩაღთან, ვისაც ფილდინგი „დიადს“ უწოდებს. ბაირონი ფილდინგს „პროზის ჰომეროსად“ მიიჩნევდა.

ვინ იყო ასეთი დაწინაურებული, გამოპრანჭული, ჯიბესქელი და ჭკუის-კოლოფი? — მეცნიერებისა და ენის დაწინაურებამ თავიდან აგვარიდა ამგვარი კარგი და მართალი ინგლისურის თარგმნა, რომელზეც რჩეული მდაბონი და მათი პატრონები ლაპარაკობენ; ეს სიტყვები ჩემს სიყმანვილეში გავრცელებული პოპულარული სიმღერებიდანაა.

კენინგტონის და სხვა „ტონის“ გავლით — ჟუანმა, საბრალო ტომის მოკვლის შემდეგ, გაიარა სამხრეთ-აღმოსავლეთ ლონდონი, რასაც ახლა ბლექ-ჰითს ვეძახით, და მიაღწია ვესტმინსტერის ხილამდე, გრინვიჩის, ნიუინგტონისა და კენინგტონის გავლით; ამასთან, „ტონ“-ში იგულისხმება ყველაფერი, რაც ფუფუნებასა და მაღალ საზოგადოებას ეხება.

პიტ კანარულ ღვინოს — იგივე სამეფო კანარული, სასმელი რომელშიც არეულია ლუდი და ჯინი და შეზავებულია არომატული მცენარეებით.

მაშინ ხომ ჯერ გაზი არ გვებადა — სითის, ვესტმინსტერსა და საუთვარკს გაზი მიენოდა 1812 წელს. მოქმედება კი სადღაც 1790 წელს ხდება, პოემაში.

ხიდი — იგულისხმება ვესტმინსტერის ხიდი, სამხრეთის შესასვლელი ვესტენდში, გაიხსნა 1750 წელს, როგორც ალტერნატივა პუტნის ანუ ლონდონის ხიდისა. ვატერლოოს ხიდი აშენდა 1817 წელს, საუთვარკისა — 1819 წელს.

იქვე ტაძარია, სად მრავალფეროვანი დიდება განისვენებს — იგულისხმება პოეტთა კუთხე ვესტმინსტერის სააბატოში.

ვითარცა კოცონებად ავიზიზებული სასახლენი ანათებს სოფლებს — იგულისხმება ფრანგ მიწათმფლობელთა დამწვარი სასახლეები საფრანგეთის რევოლუციის დროს ან მსგავსი ხანძრები 1815 წლის სასოფლო აჯანყებისას ინგლისში.

რაც თავი მახსოვს, და მხოლოდ ერთი ვეჭილი ვპოვე — ესე იგი კაცი, ვისაც განზრახული აქვს მთელი ფული გამოგცინცლოს. ბაირონი ალბათ თავის ვეჭილს ჯონ ჰენსონს გულისხმობდა.

მიადგა, სენტ ჯეიმზის სასახლესა თუ სენტ ჯეიმზის „ჯანდაბებს“ — „ჯანდაბები“ — სათამაშო სახლები. ამქვეყნად რამდენია, არ ვიცი; ხანში შესვლამდეც კარგად ვიცოდი მათ შესახებ, ორივესი — „ოქროსიც“ და „ვერცხლისაც“. ერთხელ როცა ერთმა ნაცნობმა მკითხა, სად შეიძლება ჩემმა სულმა ამოჰყოს თავიო, ვუპასუხე: ვერცხლის ჯანდაბაში-მეთქი.

სენტ ჯეიმზის სასახლეს და სენტ ჯეიმზის „ჯანდაბებიც“, სენტ ჯეიმზის პარკის ჩრდილოეთით მდებარეობს. სასახლე მეფის ოფიციალური რეზიდენცია იყო მანამდე, სანამ ბუკინგემის სასახლე გახდებოდა მეფის რეზიდენცია. „ჯანდაბები“ სათამაშო სახლები იყო პელ მელისა და სენტ ჯეიმზის ქუჩების შემოგარენში.

იქვე იყვნენ პაფოსელნი — იგულისხმება მეძავეები, რომლებიც სათამაშო სახლებთან იკრიბებოდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ კუნძულ პაფოსზე მდებარეობდა აფროდიტეს ტაძარი.

მალთუსისა არ იყოს, ქორწინებაზე რომ მსჯელობს — ბაირონი თავის სატირას მიმართავს ლონდონურ ქორწინებათა წინააღმდეგ. ტომას მალთუსის ხსენება ალბათ იმიტომ დასჭირდა, რომ ეთქვა: ლონდონელი ქალები ქმრებს ვერ აკმაყოფილებენ და ამიტომაც გამრავლდნენ მეძავებით; ამგვარად ხალხიც აღარ გამრავლდებაო.

„მწვანე ერინი“ — იგულისხმება ირლანდია. 1821 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჯორჯ IV ეწვია ჯერ ედინბურგსა და შემდეგ დუბლინს. ორივეგან ტრიუმფალური დახვედრა მოუწყვეს. ამას აკრიტიკებს ბაირონი, როცა ამბობს, მწვანე ერინის სამყურის ტარება აღარ ღირსო.

მაგრამ ჟუანი მეტი კეთილგანწყობით — ორიგინალშია *empressement* (ფრ). ესე იგი, დიდი თავაზიანობითა და გულითადობით.

იმ დიად სამყაროში, რაც დასავლეთ ანუ უარეს ნაწილს ნიშნავს ქალაქისა — ბაირონი კვლავ და კვლავ აკრიტიკებს ლონდონის პრეტენზიას, იყოს მსოფლიოს უპირველესი ქალაქი.

არამედ — ხელოვნების მცოდნეც — ორიგინალშია *bachelor*, რაც ნიშნავს უცოლოსაც და ბაკალავრსაც.

სევდიანი იქნებოდა თუ მხიარული, „რიდისა და ძრწოლის“ გარეშე — ბაირონი იხსენებს ადგილს „მაკბეტიდან“, როცა ლედი მაკბეტი ესაუბრება ქმარს — III, იხ 63-6. ეს სტრიქონი მიანიშნებს ჟუანის უნარს მოქმედებისა გაჭირვებაში და მის მოქნილობასა და დამყოლობას, რაც აკლდა მაკბეტს.

მკერვალნი, რომელნიც გამოპრანჭავენ ხოლმე გასათხოვარ, „საქსოვილო ასულთ“ („*drapery Misses*“) — ეს ტერმინი უკვე დამკვიდრებული იყო, როცა პირველად დაგვრუნდი აღმოსავლეთიდან 1811-12 წლებში. ნიშნავს ლამაზ, დიდგვაროვან, საზოგადოებაში გამოსულ ყმაწვილქალებს, მეგობრებისაგან დაკვალაინებულ და მკერავთაგან კრედიტით მიწოდებული სამოსით უზრუნველყოფილს; კრედიტი ქორწინების მერე უნდა დაეფარათ ქმრებს. ჩემთვის გამოცანა იყო თუ რა იგულისხმებოდა — ახალგაზრდა მდიდარი მემკვიდრეები თუ უმზითვო ქალიშვილები (მისის პეიჯის მსგავსნი). მან დამარწმუნა, რომ ასეთი რამ გავრცელებული იყო ლონდონში და რომ მისი ფულისა და ქონების გამო ასეთებს ეჭვგარეშეა ვერ მიაკუთვნებდნენ, და თუ საჭირო იქნებოდა, ავტორიტეტებსაც დაიმონებდა. იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი რამეები უკვე გადავარდა მოდიდან.

ლიტერატურაშიც დიდი დროკანსირი არ გახლდათ — დროკანსირი მოჩხუბარი ტრაბახაა, შექსპირის პისტოლივით; ლორდ ბუკინგემის 1671 წლის, რესტავრაციის ხანის ფარსის, „რეპეტიცია“, პერსონაჟი.

ცეკვისადმი ბეჯითმა მიდრეკილებამ ჰიპოკრენისაგან დაიფარა — ჰიპოკრენი ქელიკონის მთის წყაროა, რასაც მუზეუმი სვამდნენ.

თექვსმეტი წლისამ „შმაგი ჰერკულესი“ რომ თარგმნა შმაგი ინგლისურით — სმითის ენერგიულმა თარგმანმა სენეკას დრამისა, „შეშლილი ჰერკულესი“ ცხადი გახადა ბაირონისათვის, რომ ეს იყო ტიპური „ლურჯი წინდების“ კვალნი, როცა ლიტერატურულ აქტივობას სქესობრივი აქტივობა ენაცვლებოდა.

და ვით ბანქოს შუშაში — მაკბეტი IV, i, 111-24, ბანქოსა და მეფეთა რიგის გახსენებით ბაირონი მიუთითებს უკვდავებისაკენ პოეტთა მისწრაფებაზე.

მაგრამ ჟუანი აღმოჩნდა ჩემი მოსკოვი, ფალიერო — ჩემი ლაიფციგი — ბაირონი ჟუანის ბედისწერას თავისას ადარებს — ტყვეობაში ყოფნა, თავის დაღწევა — ასევე ნაპოლეონის უკანდახვევას მოსკოვიდან; რითაც მიანიშნებს, ძალიან შეგტოპო. ლაიფციგის ბრძოლაში (1813) ნაპოლეონი დამარცხდა, შეიპყრეს და ელბაზე გადაასახლეს. ბაირონის ტრაგედია, მარინო ფალიერო, ცუდად მიიღეს ლონდონის სცენაზე.

მონ სენ ჟანი კი ალბათ ჩემი კაენია — მონ სენ ჯანის სასოფო სახლის გარშემო გამართული შეტაკება საბოლოო იმედი იყო ნაპოლეონისა ვატერ-

ლოოს ბრძოლაში. ბაირონის პოემებიდან კაენს ყველაზე მეტად დაესხნენ თავს კრიტიკოსები.

ბრიყვთა „მშვენიერმა ალიანსმა“ — მონ სენ ჯანის სასოფლო სახლში იზეიმეს გამარჯვება ველინგტონმა და ბლიუხერმა. „წმინდა ალიანსი“ იყო ავსტრიისა, პრუსიისა და რუსეთის კავშირი, ინგლისს გამორჩეული ადგილი ეკავა, თავმჯდომარეობდა კასლრი. მათ გადაანანილეს ევროპა ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ.

ბუნებათაღლითიანმა საუთიმ და ციხის ზედამხედველმა ლოუმ — სერ ჰადსონ ლოუ იყო გუბერნატორი ნმ. ელენეს კუნძულისა, როცა იქ ნაპოლეონი იყო გადასახლებული. ბაირონი ამბობდა, ისეთივე უგულო და წვრილმანი ბუნებისა გახლდათ, საუთი რომ ისურვებდა ან იქნებოდა, მე რომ დავეცყვევებიინო.

სერ უოლტერი მეფობდა ჩემამდე, მური და კემპბელი — ჩემამდეც და შემდგომაც — ბაირონი გამოხატავს სიმპატიებს თანამედროვე პოეტებისადმი, ისევე როგორც მიძღვნაში.

და პეგასმაც საფსალმუნო ჩორთი ისწავლა, ღირსი რაული პაულისავან — ღირსი ჯორჯ კრაული (1780-1860) იყო ირლანდიელი, თეატრის კრიტიკოსი, პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი. რაული პაული მურმა უწოდა.

ძველი პისტოლისა არ იყოს — ხმლის ვადის მადლმა? — ეს შეძახილი ეკუთვნის არა პისტოლს, არამედ ფოლსტაფს, „ჰენრი IV, I, iv 197.

და თუმც აჭარბებს იმ ვითომ მძიმე მშრომელს, იმავე ვენახში მოღვაწეს — ბაირონი გულისხმობს ღირს ჰენრი ჰართ მილმანს (1791-1868), სასულიერო პირსა და პოეტს. ვენახის ხატი მიესადაგება მის ორივე მოწოდებას, რელიგიურსაც და პოეტურსაც.

გამოშტერებული დორუსი, ცხრა მუზას რომ დარაჯობს — დორუსი მოხუცი საჭურისია ტერენციუსის კომედიაში „ცხრა მუზა“.

ეს შავვერემანი სპორუსი, არც კაცი და არც ბარდი — სპორუსი ნერონის ფავორიტი იყო; მან იგი დაასაჭურისა და შეირთო. ეს სახელი თავის დროზე პოუპმა გამოიყენა „ეპისტოლეში არბეტნოტისადმი“; ბაირონი ამ სახელს მიღმანისა და საუთის მიმართ ახსენებს და აგრეთვე კასლრის მიმართაც.

მერე ჩემი კეთილი ეუფუესი მოდის — იგულისხმება ბრაიან უოლერ პროქტორი, კიდევ ერთი ირლანდიელი; იგი ბარი კორნუოლის ფსევდონიმით წერდა. 1819 წელს გამოაქვეყნა დიეგო დე მონტილა, აშკარად დამახინჯებული ვერსია „დონ ჟუანისა“.

ზოგნი ფიქრობენ კოლრიჯი ჯაბნისო, ხოლო უორდსუორთს მომხრეები ჰყავსო, ჰა და ჰა ორი ან სამი — 1819 წლის 5 იანვარს, დონ ჟუანის პირველი ორი ქების მიღების შემდეგ, ჰობზაუსმა მოსწერა ბაირონს: არც საუთის, არც უორდსუორთს და არც კოლრიჯს არავინა ჰყავთ, გარდა ორმოცდაათიოდე თავისნაირი შეშლილი თაყვანისმცემლისა; ასე რომ, ან მათ რა უნდა დაუშავო ან ქვეყანას რა სარგებლობა უნდა მოუტანო შენი კრიტიკით?

ხოლო იმ პირღია ბეოტიელმა „სევიჯ ლენდორმა“ — ბაირონი ისევე იგდებს მასხრად ლენდორს, ვინც საუთის მოსწონდა, როგორც ათენელნი დასცინოდნენ ჩამორჩენილ ბეოტიელებს.

ჯონ კიტსი ერთმა კრიტიკულმა წერილმა მოკლა — კიტსი გარდაიცვალა რომში 1821 წლის 23 თებერვალს. შელიც და ბაირონიც ფიქრობდნენ, რომ კიტსის ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია „ქუთთერლი რივიუში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ მისი „ენდიმონის“ გამო, და რომ სტატიის ავტორი საუთი იყო და, აქედან გამომდინარე, კიტსის მკვლეელიც.

„სამიშარი საქმეა“, იმისა არ იყოს, „ზღვის კამას“ ვინც ჰკრეფს — მეფე ლირი, IV, vi 14-15;

შევეცდებოდი შემეფასებინა ეს ჯანიზარიები, და მეჩვენებინა მათთვის, თუ რარიგია ინტელექტუალური ომი — ჯანიზარიები სულთანის პირადი ჯარი იყო. 1810 წელს ნახეს ისინი ბაირონმა და ჰობჰაუსმა და დიდად ვერ მოიხიბლნენ მათი განვრთნილობით.

მომნამვლელი კენტავრ ნესუსის მომაკვდინებელი მოსასხამევით — ჰერაკლეს ცოლი დაიანირა ეჭვიანობდა იოლეზე. თავის დროზე ჰერაკლემ მოკლა კენტავრი ნესუსი დაიანირაზე ძალადობის მცდელობისათვის. კენტავრმა დაიანირას დაუტოვა თავისი სისხლი და უთხრა, სიყვარულის ელექსირიაო. გაბრიყვებულმა დაიანირამ სისხლში გაჟღინთა მოსასხამე და გაუგზავნა ქმარს. მოწამლული ჰერაკლე თავისი ფეხით ავიდა კოცონზე, რათა ტკივილისაგან გათავისუფლებულიყო. დაიანირამ თავი მოიკლა. ბაირონი ამით ხუმრობს საკუთარი თავის გამანადგურებელ საქმიანობაზე.

სად შეუძლია ჩაეჭყეყოს პატარა „ჯექ ჰორნერივით“ — ინგლისური სახუმარო ლექსი, „ პატარა ჯექ ჰორნერი/ მიმჯდარიყო კუთხეში/მიერთმევედა პუდინგსა და ქადას;/ ჩაყო თითი ქადაში/ ამოაძრო ქლიავი/ ალტაცებით შესძახა, „რა ბიჭი ვარ, რა ბიჭი“./

მუდამ ხალისიანად იყავით რალაც სანტიმენტალურ ჭინკასავით — ორიგინალშია *bogle*, ინგლისის ჩრდილოეთსა ან სკოტლენდში გავრცელებული გობლინი.

ჩვენი გმირი, ვითა გმირი, ჭაბუკი იყო და თვალტანადი, კეთილშობილი, მდიდარი, სახელგანთქმული და უცხოელი — შდრ. მათეს სახარება 25, 35.

— სადაა მსოფლიო? — იყვირა ოთხმოცი წლის იანგმა — ედუარდ იანგი (1683-1765) ავტორი „ლამის ფიქრებისა“. უკანასკნელი ლექსი „გადადგომა“ 1762 წელს გამოაქვეყნა.

აქ იყო, იმას დავეძებ — გარდავიდა შუშის გლობუსი! — ეხმაურება შელის „ადონაისს“ 52, 3-5.

სად არიან გრატანი, კურანი, შერიდანი — ჰენრი გრატანი (1746-1820) — ირლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე და პატრიოტი. ჯონ ფილიპ კურანი (1750-1817) — გრატანის მხარდამჭერი, ცნობილი ვექილი. რიჩარდ ბრინსლი შერიდანი (1751-1816) — ირლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე და დრამატურგი. ბაირონი დიდად აფასებდა სამივეს მოღვაწეობას.

სადაა უბედური დედოფალი, მწუხარების გადამტანი? — 1821 წელს გარდაიცვალა დედოფალი კაროლინი. ჯორჯ მეოთხის ცოლი. ვინც მას სძულდა და ყველანაირად ცდილობდა გაჰყროდა. ამისათვის დაინიშნა მილანის კომისია, რომელსაც კაროლინის ღალატი უნდა დაემტკიცებინა. დედოფალი ებრალებოდით ინგლისში.

და სადაა მისი ქალიშვილი — უელსის პრინცესა შარლოტი, ჯორჯ მეოთხისა და კაროლინის ქალიშვილი. გარდაიცვალა 1817 წლის 5 ნოემბერს. ბაირონმა ლექსი მიუძღვნა, „გლოვა სამეფო სისხლის ქალიშვილისა“.

სადაა ბრუმელი? დამხობილია. სადაა აყლავუდა ველსლი? დატინგიცობს — ჯორჯ „ბიუ“ ბრუმელი (1778-1840) — დენდების მეფე, კრედიტორებს გაექცა საფრანგეთში 1816 წელს. უილიამ ველსლი პოული (1778-1857) — ვენინგტონის ძმისშვილი. ინგლისის საელჩოს მდივანი იყო კონსტანტინოპოლში, სადაც ბაირონმა შეიტყო რაღაც ამბები მის შესახებ.

სადაა ვაითბრედი? რომილი? სადაა ჯორჯ მესამე? — სემუელ ვაითბრედი (1758- 1815) — ლუდისმხდელი, ვიგი პოლიტიკოსი და თეატრ დრიური ლეინის პატრონი, 1815 წლის 6 ივლისს გამოიჭრა ყელი. სერ უილიამ რომილი საკანონმდებლო რეფორმატორი და კაცი, ვინც ბაირონისა და ანაბელას გაყრისას ორივესგან იღებდა ბარათებს და არ პასუხობდა. ყელი გამოიჭრა ცოლის სიკვდილის გამო 1818 წლის 2 ნოემბერს. ჯორჯ მესამე გარდაიცვალა შეშლილი და ბრმა 1820 წელს.

სადაა ანდერძი? (არც ისე ადვილად გასაშვირი) — ჯორჯ მესამემ დატოვა ორი ანდერძი, ერთი გერმანული, ხელმოწერილი, 1770 წელს და მეორე — ინგლისური, ხელმოწერილი, 1810 წელს.

სადაა „ფამ“ მეოთხე, ჩვენი „სამეფო ჩიტი?“ — ჯორჯ მესამის სახელი მუერის სატირაში, „ფამ და ჰამ, ორი სამეფო ჩიტი“, არის „ჰამ“ და არა „ფამ“. იგულისხმება ჯორჯ IV-ის მოგზაურობა სკოტლენდში, 1822 წელს.

სკოტლენდში აარბინაო, საუნის ვიოლინოს მოსასმენადო — მთიან სკოტლენდში, XVII საუკუნეში კანიბალიზმის ბრალდებით დააპატიმრეს და გაასამართლეს საუნების ოჯახი. მათი მოკვდინება ედინბურგის ციხეში იყო ყველაზე ხალხმრავალი სიკვდილით დასჯა ბრიტანეთის ისტორიაში.

სადაა დუბლინის ღრიალი — და ლონდონის ქორქილი? — 1821 წელს ჯორჯ მეოთხემ ისევე იმოგზაურა ირლანდიაში, როგორც მომდევნო წელს სკოტლენდში. ირლანდიელთა აღტაცებით დახვედრას აკრიტიკებდა ბაირონი „ირლანდიულ ავატარში“. ამ სტრეიქონში დაცინვითაა ნათქვამი, რომ ჯორჯ მეოთხის პოპულარობა იზრდება მასთან ერთად, რაც უფრო სცილდება იგი ლონდონს.

სად არიან გრენვილები? ბუნებათაღლითიანები — იგულისხმება ჯორჯ გრენვილი (1712-1770), ვინც ჯერ პიტს უჭერდა მხარს და მერე დაუპირისპირდა; მისი მესამე ვაჟი უილიამ ვინჰემ, ბარონი გრენვილი (1759-1834), ჯერ ლიბერალი იყო და ბოლოს მემარჯვენე ტორად გადაიქცა.

სად არიან ლედი კაროლინები და ფრენსისები? გაეყარნენ ქმრებს თუ ჰა და ჰა — ბაირონი თავხედურად ახსენებს ორ ქალს, რომლებთანაც კავშირი ჰქონდა: ლედი კაროლინა ლემს და ლედი ფრენსის ვედერბერნ ვებსტერს. ისინი ქმრებს არ გაჰყრიან, მაგრამ არც არა უკლდათ რა. ორივე ქალს ველინგტონთანაც ჰქონდათ კავშირი.

„ლურჯი პიტერი“ — გემის ალამი, რომელიც დაუყოვნებლივ გასვლას ანიშნებს.

მინახავს ჯოანა საუთკოტი — „წინასწარმეტყველი“ ინგლისის ქალაქ დეკონიდან (1750-1814), ათასობით მიმდევარი ჰყავდა. ერთხელაც განაცხადა,

მშვიდობის პრინციპმა შილომ დამაფეხმძიძაო; სინამდვილეში წყალმანკით ყოფილა ავად და ამით გარდაიცვალა.

თემთა პალატა, გადასახადების მახედ ქცეული — თემთა პალატა ომის ვალების გადახდას რომ ცდილობდა.

მინახავს კონგრესი, საზარლად რომ საქმიანობს — იგულისხმება 1816 წლის ვენის კონგრესი და 1822 წლის ვერონის კონგრესი, სადაც რეაქციული ძალები ბატონობდნენ.

მინახავს პატარა პოეტები და უფრო დიდი პროზაიკები — საუთის პროზაულ ნაწარმოებს, „ნელსონის ცხოვრება“, ყოველთვის უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე მის პოეზიას. ბაირონი მაინც ამცირებს აგებული ნათქვამით.

თუ ვით გადაუქცევია ალაოს წვენი „მსუბუქ ალკოჰოლად“ ჯონ ბულს — იხ. ფოლსტაფის სიტყვები ჰენრი მეოთხე II, IV, iii, 122. სადაც ლუდის ფალსიფიკაციაზეა საუბარი.

მაგრამ „carpe diem“, „ჟუან, „carpe, carpe!“ — „მოწყვიტე ნაყოფი“, ჰორაციუსი, ოდები, I ii 8

„სიცოცხლე სანყალი მსახიობია“, „მაშ ითამაშე შე არამზადავ!“ — ბაირონი აქ ახსენებს, თავის საყვარელ გმირებს შექსპირის პიესებიდან. მაკბეტი, V, v, 24; ფოლსტაფი, ჰენრი IV, I, ii iv 467;

მდაბიო ძალები — უილიამ შექსპირი, კორიოლანოს, III, iii.

რადგან მძულს ისე წერა, ვით „ატლანტისის“ ავტორი წერს — ბაირონი მიანიშნებს, 1709 წელს გამოქვეყნებულ სკანდალურ წიგნზე, საიდუმლო „მეიმუარები და საქციელი ორივე სქესის რამდენიმე წარჩინებული პიროვნების შესახებ. ახალი ატლანტისიდან“. ავტორი იყო მისის მეი დე ლა რივიერ მენლი (1663-1724), სვიფტისა და სტილის მეგობარი. ბაირონი კი აკრიტიკებდა და განაქიქებდა თანამედროვეებს, მაგრამ არასოდეს უკადრია საიდუმლო და საჩოთირო საკითხებზე ჭორაობა, როგორც ეს მენლიმ ჩაიდინა, ან კაროლინა ლემმა თავის „გლენარვონში“.

თავი მეთორმეტი

დასრულდა 1822 წლის 7 დეკემბერს, გენუაში. გადანერა მერი შელიმ, ამავე ქალაქში, 1822-23 წლებში. პირველად გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეცამეტე და მეთოთხმეტე თავებთან ერთად, 1823 წლის 17 დეკემბერს.

ვინ ააჯანყა ესპანეთის შიშველ-ტიტველი პატრიოტები? — დესკამისადოს. უპერანგოები. ესპანელი პატრიოტები. ფრანგ სანკიულოტთა ანალოგიით.

ებრაელი როტშილდი და მისი მეგობარი, ქრისტიანი ბარინგი — ლონდონის ბანკი ნათან მეიერ როტშილდისა (1777-1836). ლონდონის ბანკი ელიგზანდერ ბარინგისა (1174-1848). როტშილდს ფილიალები ჰქონდა ავსტრიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ისეთი დახვეწილი სადაზვერვო ქსელი აენჭოთ, რომ ვატერლოოს ამბავი ინგლისის მთავრობაზე ადრე შეიტყვეს.

თუნდ ჭეშმარიტი ლიბერალი ლაფიტი — ჯაკ ლაფიტი (1767-1844) საფრანგეთის ბანკის მმართველი. ლიბერალი. პარლამენტის წევრი. მან ფული ასესხა პარიზელებს, რათა დახმარებოდა მოკავშირეთათვის ფულის გადახდაში.

იგია შენი ერთადერთი პოეტი — მომდევნო ხუთ სტროფში ბაირონი ლაპარაკობს თავის ახალ ჰობიზე — სიძუნწეზე, და ისე აქებს და ადიდებს, მოლიერის ჰარპაგონს შემუურდება.

ასე მღერის ბარდი — სერ უოლტერ სკოტი, „უკანასკნელი მინესტრელის სიმღერა“ (1905) III, 11.

უფულოდ, მალთუსი ამბობს, ცოლს ნუ შეირთავთო — ანგლიკანელი მღვდელი მალთუსი ფიქრობდა, რომ უპირატესობა უნდა მინიჭებოდა საკუთრებას და არა ადამიანის სიცოცხლეს. — „ესეი მოსახლეობის პრინციპზე“ (1798).

ქალწული ცინტია — მთვარე.

buon camerado — კარგი მეგობარი.

ვისაც ჩვენი ჯეფერი მაგალითად დამისახავს — ჯეფერი აქებდა ბაირონის შემოქმედებას, კერძოდ „დონ ჟუანს“ და სულაც არ მიაჩნდა, რომ ეს რომანი ბაირონმა სკოტთან გამოსაჯიბრებლად ჩაიფიქრა; ეს ხმები იმხანად ვრცელდებოდა არაკეთილმოსურნეთა მიერ.

ის პროცესი ლორდ კანცლერის სამსჯავროში — არ არის მითითებული თუ რომელი პროცესია; შესაძლოა, მიუჩინებულ ბენბოუს წინააღმდეგ, რაც „კაენის“ პირატულად გამოქვეყნების გამო აღიძრა. ან ეგებ ბაირონის რომელიმე პროცესი, ქონების გაყოფის გამო გამართული.

ეს ჩვენი მიტფორდი კი, მეცხრამეტე საუკუნეში, ბერძნული სიმართლით, ძველ კეთილ ბერძნებზე, ტყუილებს გვიამბობს — იხილეთ მიტფორდის საბერძნეთი, „*raecia Verax*“-ში. იგი დიდი ხალისით აქებს ტირანებს, ბრალს სდებს პლუტარქეს, უცნაურად, მაგრამ კარგად წერს და რაც ყველაზე გასაკვირია, ესაა საბერძნეთის ისტორიის შესახებ დაწერილ ყველა წიგნთან საუკეთესო და ალბათ სწორედ იგია საუკეთესო თანამედროვე ისტორიკოსი. ცოდვებს თუ ვუხსენებთ, ღირსებანიც არ უნდა დაუვუწყოთ: განსწავლულობა, სიბეჯითე, წვდომა, სიანჩხლე და მიკერძობულობა. ეს ბოლო ორიც ღირსება მგონია მწერლისათვის, რადგან მათი შემწეობით გულწრფელად წერს. უილიამ მიტფორდის (1744-1827) ანტიდემოკრატიული „საბერძნეთის ისტორია“ ბაირონმა წასაკითხ წიგნთა სიაში შეიტანა „სარდა-ნაპალის“ წერის დროს.

მალთუსი ისეთ რამეს სჩადიოდა, რასაც თავის ნაწერებში კიცხავდა — მალთუსი მოსახლეობის გამრავლების წინააღმდეგი იყო და სამი შვილი კი ჰყავდა. ხმები ვრცელდებოდა, თერთმეტი ჰყავსო.

ყველა ქვეყანას ჰყავს თავისი „ლომები“, მაგრამ შენი მთელი სამხეცე მოგეძევება — აქ თითქოს ლონდონის სამხეცეზეა საუბარი, ედუარდ ქროსი რომ მზრუნველობდა და ლონდონის ზოოპარკის წინამორბედი გახლდათ; მაგრამ სინამდვილეში „ლომში“ ნაგულისხმევია ახალგაზრდობის, გაუზრდელობის და თავგასული პირები იმდროინდელ ლონდონური საზოგადოებისა.

aulo Majora — ეხმაურება ვერგილიუსის მეოთხე ეკლოგას: *Sicelides Musae, paulo maiora canamus* (სიცილიის მუზებზე, მოდი ვიმღეროთ მაღალ ტონალობაში).

ათი გაუთხოვარი ბრძენქალი, რომელთა ზღაპრებიც „ჰალამის შუა საუკუნეებიდანაა“ ამოკრეფილი — ჰენრი ჰალამი ტენისონის მეგობრის მამა იყო. მის წიგნში „შუა საუკუნეთა ევროპის მიმოხილვა“ ნახსენებია იერუსალიმური კანონი, რომლის ძალითაც მხოლოდ სამოც წელს გადაცილებულ ქალს შეეძლო გათხოვებაზე უარის თქმა.

„*Tantæne!*“ ასეთი დიადი ღირსებანია — ვერგილიუსი, ენეიდა, 1.11; *tantæne animis caelestibus irae* (ნუთუ ასეთი მძაფრი აღშფოთება ცხოვრობს ასეთ ღვთაებრივ მკერდეებში?) ვერგილიუსი მიანიშნებს იუნონას მრისხანებაზე, ვინც მთელი ხმელთაშუა ზღვის მანძილზე სდევდა ენეასს, რადგან შიშობდა, კართაგენში არაფერს გადაეყაროსო. ბაირონი გულისხმობს შეყვარებულთა შორის გათხოვილი ქალის ჩარევას.

კუნძულზე, რომლის შესავალ-გასავალიც დუვრია — უილიამ შექსპირი, „მეფე ლირი“ III. ვიი. რიგანი კითხულობს: „დუვრისკენ რატომ? რატომ დუვრისკენ? ჯერ ამაზე გვიპასუხოს.“ „სიკვდილით ემუქრება იმას, ვინც შეეცდება დუვრიდან დატოვოს საპყრობილე, ინგლისი.“

ხვალინდელ რაუტზე ვეტყვი უარს; ბოლო-ბოლო ეგებ უკეთესიც იყოს საბრალო ფრედერიკისათვის — ბაირონი ალბათ გულისხმობს აურორა რების; ფრედერიკში კი — ფრედერიკ ფონდობის, კაროლინა ლემის ძმას.

გაურკვეველი ქვრივისათვის, ორმოცს რომ ნამდვილად გადააბიჯა — ამ ტაეკმა შესაძლოა კომენტატორებს მეტი თავსატეხი გაუჩინოს, ვიდრე თანამედროვე საზოგადოებას. იგულისხმება 1814 წლის 7 მარტის ქორწინება გონებრივად ჩამორჩენილი გრაფი პორტსმუტისა ბაირონის ადვოკატის ჯონ ჰანსონის ქალიშვილზე. ქორწინება გაუქმდა 1823 წელს.

ერთი „მოღერნული ნიმუშიც“ დავამატოთ — ჟაკის სიტყვები უილიამ შექსპირის პიესიდან, „როგორც გენებოთ“, II. vii 156.

„მართალია, ცოდოა — ცოდოა, მართალია“ — პოლონიუსის სიტყვები უილიამ შექსპირის პიესიდან, „ჰამლეტი“, II. ii 97-8.

„ცოდვის დამთრგუნველი საზოგადოება“ — ეს საზოგადოება შეიქმნა 1802 წელს. იხ. „ინგლისელი ბარდები და სკოტლენდელი მიმომხილველი“ 632-7.

ლედი ფინჩბეკი — იგულისხმება ბაირონის მეგობარი და მესაიდუმლე ლედი მელბურნი, მასზე სწერდა ბაირონი მიურის 1818 წლის 23 აპრილს: „საუკეთესო და ყველაზე კეთილი ქალბატონი, ვისაც კი შევხვდრივარ, მოხუცი იქნებოდა თუ ახალგაზრდა.“

სმიტფილდის სანახაობისათვის იმ ვესტას მსახურთაგან — სმიტფილდში მდებარეობდა ცხენებისა და საქონლის ბაზარი, 1638 წელს უკვე ახდელი სახე მიეცა და 1855 წლამდე იარსება. დაიხურა ხშირი ხმაურისა და აყალმაყალის გამო. აქ ახრიობდნენ ავაზაკებს, კლავდნენ საქონელს, აქ წვავდნენ კუდიანებსა და მონამეებს.

ლორდ მერის ბარჟასავით — შთამომავლობისათვის, ან თუნდაც მუზებს დაუფჯეროთ და ვთქვათ ვენერას ნიჟარასავითო — ნესის მიხედვით, 23 ოქტომბერს ლონდონის ლორდ მერს ფიცის დასადებად უნდა გაეკლო გზა სიტიდან ვესტმინსტერის დარბაზამდე. პირველად (1422 წ.) ამ გზის გავლა ტემზაზე ხდებოდა წმ. პავლეს ნავმისადგომიდან. 1452 წელს საგანგებოდ ამ რიტუალისათვის ბარჟა დაამზადეს და მოვერცხლილი ნიჩბები დაუყენეს. ეს ბარჟა გამოიყენებოდა 1852 წლამდე. ვენერას დაბადების ყველაზე სახელგანთქმული ასახვაა ბოტიჩელის ნახატი.

ეს პირველი თორმეტი ნიგნი მარტოდენ გაფურჩქენაა, პრელუდიები — ბაირონს არ ეცოდინებოდა, რომ უორდსუორთი ოცი წელი წერდა თავის „პრელუდიებს“.

„სამეფო თამაში ბატისა“ — თამაში დაფაზე, რალაც „მონოპოლიის“ მსგავსი. თუ მოთამაშე ბატის უჯრას მიადგებოდა, კამათელი ორმაგდებოდა.

ან ეგებ ძმა გენვიით, გაჯგვიმული, გამტრიკინებული — ბაირონმა თვითვე გამოსცადა ასეთი სტუმრობა, მას ეწვია ვინმე ჯულია ლიკროფტის ძმა. დუელი არ შედგა.

ამფიბიის მსგავსი მეძავი, „Couleur de rose“, ვინც არც თეთრია და არც ალისფერი — ბაირონი ვარდისფერზე მიანიშნებს და თანაც ბუნდოვან, გაურკვეველ ფერზე. ამფიბია ამ კონტექსტში გვხვდება ელიგზანდერ პოუპთან, „ნერილი დოქტორ არბეტნოტს“ II. 326-9.

„ჰე ღმერთებო, მოლაპარაკე გავხდი!“ — ანტონიოს სიტყვები უილიამ შექსპირის პიესიდან „ვენეციელი ვაჭარი“ I.i 110.

ჯინოკრატიის ულამაზასი ოლიგარქები — ჯინოკრატია ქალთა მმართველობაა. ამ ტერმინს იყენებდა უოლტერ სკოტი „ანტიკვარში“. ბაირონისათვის ასეთი ჯინოკრატიული ფიგურები იყვნენ ლედი ჯერსი და ლედი ოქსფორდი.

რადგან ევროპა აფრიკას ხნავს ვით „bos piger“ — bos piger ლათინურად ზანტ ხარს ნიშნავს. ბაირონს შესაძლოა ბოლომდე არც გაეაზრებინა თუ რას სჩადიოდნენ თეთრკანიანები აფრიკაში, მაგრამ მეტაფორა კონრადისებური კი გამოუვიდა.

რუსებზეთი გამოცვივიან ცხელი აბანოდან და თოვლში კოტრიალობენ — როგორც ცნობილია რუსები გამოცვივდებიან ხოლმე თავისი ცხელი აბანოებიდან და ნევაში ხტებიან და არავითარი ზიანი არ მოსდით. ბაირონს ნანახი და განცდილი არ ჰქონდა საუნა.

ავსონიელები — ასე რომაელები უწოდებდნენ იტალიას.

ვითარც განდევნეს მარიუსი — სულას მიერ რომიდან განდევნილი გაიუს მარიუსს აფრიკაში დახვდა პრეტორი სექტილიუსი, ვინც უბრძანა, რომ დაეტოვებინა იქაურობა, თორემ დაპატიმრება არ ასცდებოდა. ბაირონი თავის განდევნას ადარებს ამ ფაქტს.

„ნულარ შესცოდავ და ცოდვები მოგეტყვება“ — აქ ბაირონი სახარებისეულ ორ ამბავს იხსენებს ლუკას სახარებიდან (7.48) და იოანეს სახარებიდან (8. 10-11).

სად ჩრდილოური ხარები ცხოვრობენ — პოლარულ, ჩრდილოეთის ცილის მხარეში მცხოვრებ ამ არსებათა შესახებ იხილეთ პარის მოგზაურობა ჩრდილოეთში. ჩრდილოეთის ცილის შესახებ ბაირონმა იცოდა აბერდინში ცხოვრების გამოცდილებით.

უფლისწულთა უფლისწული იმ დროში... ჯენტლმენი იყო თხემით ტერფამდე — იგულისხმება მეფე ჯორჯ მეოთხე, როცა ჯერ კიდევ პრინცი რეგენტი იყო. ბაირონი იხსენებს მისის ჯონსონის ბალზე პრინციდან შეხვედრას და იმ დიდ შთაბეჭდილებას, რაც მომავალმა მეფემ მასზე მოახდინა.

ვითარ ფილიპეს ვაჟმა ბრძანა გამოეკვეთათ ათოსისაგან — მავანმა მოქანდაკემ შეადგინა პროექტი, თუ როგორც გამოკვეთდა მთა ათოსისაგან ალექსანდრეს ქანდაკებას, რომელსაც ერთ ხელში ქალაქი ეჭირებოდა და ალბათ მდინარე ჩაედინებოდა ჯიბეში და ათასი ასეთი რამ. ალექსანდრე აღარ არის, ათოსი კი კვლავ დგას და, იმედი მაქვს, დიდხანს გადაჰყურებს თავისუფალ ადამიანებს. ეს მოქანდაკე გახლდათ სტასიკრატესი. პლუტარქეს მიხედვით, ალექსანდრეს უთქვამს: მოეშვით ათოსს, იდგეს თავისთვის, ჩემს ძეგლებად კი კავკასიის მთებს, ჰიმალაებსა და მდინარე დონს ვაქცევო.

თავი მცამეტი

დაინერა 1823 წლის 13-19 თებერვალს, გენუაში. გადანერა მერი შელიმ ამავე ქალაქში, 1823 წელსვე. პირველად გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეთორმეტე და მეთოთხმეტე თავებთან ერთად 1823 წლის 17 დეკემბერს.

მოურიდებელმა ჯონსონმა, დიდმა მორალისტმა, სწორადაც რომ პატიოსნად განაცხადა: მომნონს პატიოსანი მოძულეო! — ეს მოსაზრება არ შეეხვებოდა ჯეიმზ ბოსუელის წიგნში „ჯონსონის ცხოვრება“, არამედ ჯონ ვილსონ კროკერის დანართში; რაც ციტატაა სიტყვებისა, ჯონსონმა რომ უთხრა მისის პიოზის, „ბათჰარსტი სწორედ ისეთი კაცი იყო, ჩემს გულს რომ ეამება; სძულდა სულელები, სძულდა არამზადები, სძულდა ვიგი — კარგი მოძულე იყო!“ ხუმრობის მარილი ის არის, რომ ბათჰარსტი კარგად არჩევდა საძულველ არსებებს, და არა ის, რომ მძულვარე იყო.

ისევ ძველებურად „კონინაზობ“ — მისის პეიჯის სიტყვები მასტერ ფორდის მძვინვარების დანახვისას, უილიამ შექსპირი, „უინძორელი მხიარული ქალები“, IV, ii, 16.

„*avus sum!*“ (ლათ.) — „დავუსი ვარ, ოდიპოსი კია არა“, ცბიერი მონის, დავუსის სიტყვები რომაელი დრამატურგის, პუბლიუს ტერენციუს აფერის პიესიდან „ანდროსელი გოგონა“.

„მოკვდავების ხელთ არ არის წარმატების მართვა: მაგრამ განა შენ უფრო მეტად იმსახურებ მას სეპორიუსს?“ — ფრაზა ჯოზეფ ადისონის კომედიიდან „კატო“ (1713) I, ii, 77. სადაც ადისონის გმირს სჯერა ბედისწერის სამართლი-

ანობისა. ბაირონი მიუთითებს ცინიზმზე, რომ ერთნი იმსახურებენ სახელს და სხვები კი ისაკუთრებენ.

თავისუფალ მასონთა მაღალი რანგის მფლობელ ძმათავანი — ბაირონი ინგლისურ საზოგადოებაში შესვლას მასონთა ლოჟებში შესვლას ადარებს. ამბობენ, რომ იტალიელ კარბონარებსაც, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ბაირონი, მსგავსი წესები ჰქონდათ.

„*რიცხვმრავალ მრჩეველებში გადარჩება ხალხი*“ — იგაენი სოლომონისა, 11, 14. აქაც და სხვა ადგილებშიც ჩანს, რომ ბაირონი კარგად იცნობს ბიბლიას და ხშირად იყენებს კიდევც. თუმცა აქ ირონიულად აქვს მოხმობილი.

„*uimus*“ (ლათ.) — „ჩვენ ვიყავით“, ვარაუდობენ, რომ ბაირონი იხსენებს ვერგილიუსის „ენეიდას“, II, 325.

სპარსელთა ეშმაკეული დოქტრინა ორი საწყისის შესახებ — ბაირონმა პირველად 1814 წელს წაიკითხა სერ ჯონ მალკოლმის „სპარსეთის ისტორია“ და შეიტყო ზოროასტრიზმის შესახებ, რაც გამოიყენა „მანფრედსა“ და „კაენ-ში“, აგრეთვე „სარდანაპალში“. სან ლაზაროს სომხური მონასტრის მონახულებისას ალბათ კიდევ უფრო გაიღრმავა ცოდნა ზოროასტრიზმში.

ეკიპაჟებით კარლტონის სასახლიდან სოჰოსაკენ — კარლტონ ჰაუსი იყო პრინც რეგენტის, შემდგომ ჯორჯ IV-ის საცხოვრებელი პელ მელის რაიონში. სოჰო აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს.

ხერგილებს ბული ასდით და როთენ როუ — როთენ როუს საცხენოსნო გზა უილიამ მესამემ გააყვანინა კენსინგტონის სასახლიდან სენტ ლეოფამდე და სამასი ნათურაც დააკიდებინა.

ვაჭრები და მათი ვექსილები, „ორივენი არკადიელინი“ — *Arcades ambo, et cantare pares, et respondere parati* (ლათ). ორივენი არკადიელინი, მზადყოფნი სიმღერისა თუ პასუხის გასაცემად (ვერგილიუსი)

რჩებიან მომავალი სესიის ბერძნული კალენდების — კალენდები რომაული კალენდრის პირველი დღეებია. ბერძნულ კალენდრებში ბაირონი გულისხმობს: „არასოდეს“.

და ხელში შერჩებათ დიდსულოვანი დაპირება — დიდგვაროვნები ხშირად წერდნენ დაპირების ქალაქს, რომელიც ერთგვარი გარანტია იყო ფულის სესხებისას. და ასე ხდებოდა რამდენჯერმე. თუმც ვერც წინა ვალს იხდიდნენ და ვერც ახალს. მაშინ მევალენი ცდილობდნენ გაეყიდათ დაპირების ქალაქი. ბაირონს ჰქონდა ბაქსტერ და კო.-ს ვალი. რაც თითქმის მთლიანად გაისტუმრა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, 991 ფუნტი მაინც ემართა.

დასველებული ბორბლები მისრიალებენ — ბორბლების სოლებსა და ფერსოებს ასველებდნენ, რათა მჭიდროდ მსხდარიყვნენ და არ ეჭრიალათ.

„*Così viaggino i Ricchi!*“ (იტ.) — ასე მოგ ზაურობენ მდიდრები.

კარაკტაკუსი — ანტიკური ბრიტანეთის მეფე, ვინც ცხრა წელი აკავებდა რომაელებს, მაგრამ ბოლოს დამარცხდა. ბაირონისათვის იდეალური პირი, ვისთანაც აიგივებს თავს, როგორც ისტორიული გარდუვალობის წინააღმდეგ მებრძოლი.

სასახლის წინ კამკამა ტბა იყო — ყველაფერი, რაც აქაა აღწერილი, ჯერაც შეიძლება ნახოთ ნიუსტედის სააბატოში. აქაა სამი ავგუსტინელი ბერის მიერ მდინარე ლინის დაგუბების შედეგად მოწყობილი სამი ტბა.

იმდროინდელი როცა ეკლესია რომს ეკუთვნოდა — ნიუსტედის სააბატო დააფუძნა ჰენრი მეორემ 1170 წელს, ტომას ბეკეტის მოკვდინების გამო მონანიების ნიშნად. ჰენრი მეორემ სააბატო მიჰყიდა სერ ჯონ ბაირონს 1540 წელს.

ჩარლზი რომ გადმოაგდეს ტახტიდან — იგულისხმება ინგლისის სამოქალაქო ომი: 1642-49.

სერ პიტერ ლელი (1618-1680) — ჰოლანდიელი მხატვარი, მუშაობდა ჩარლზ პირველთან, ოლივერ კრომველსა და ჩარლზ მეორესთან. ნეუსტედში მისი ოთხი ნახატი ინახება, ერთი მათგანია ლორდ ბაირონი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ცხოვრობდა.

უმაღლეს სამეფო სამსჯავროზე მეტს ოცნებობდნენ, ვიდრე ჰაბეას კორპუსზე — ანუ უფრო მეტად საპოლიციო დევნაზე, ვიდრე კანონის დაცვაზე. იმ დროს, როცა ბაირონი ამას წერდა, ჰაბეას კორპუსი — ანუ გარანტია უსამართლო დაპატიმრების წინააღმდეგ — შეჩერებული იყო.

მარლბოროს წინამძღოლობით რომ იბრძოდნენ თორმეტზე მეტნი იქნებოდნენ ჩვენი გადაგვარებული გვარიდან — მარლბოროს ჰერცოგმა ოთხ ბრძოლაში დაამარცხა ფრანგები ესპანეთის მემკვიდრეობისათვის გამართულ ომში. ამ ბრძოლებში არცერთ ბაირონს არ გამოუჩენია თავი. ამიტომაც ბაირონი აჭარბებს მათ ქებაში.

ლორდები, თეთრი კვერთხითა და ოქროს გასაღებით — სამეფოს ხაზინადარისა და ლორდ ჩემბერლენის (სახლთუხუცესი) ემბლემა.

ცხენზე ამხედრებული ნებროთები — ცხენზე ამხედრებულ დიდგვაროვანთა ნადირობის სურათები ისე უშველებელი იყო, ტილოზე ვერ ეტეოდა.

კარლო დოლჩი (1618-1686), ტიციან ვეჩელი (1477-1576) — იტალიელი მხატვრები

სალვატორ როსა (1617-1673) — მხატვარი და სატირიკოსი პოეტი, რის გამოც მრავალი მტერი გაიჩინა.

ფრანჩესკო ალბანი (1578-1660) —

ჟოზეფ ვერნე (1712-89) — ფრანგი მარინისტი მხატვარი.

სპანოლეთო (1588-1652) — დიდი იტალიელი მხატვრის, კარავაჯიოს მონაფე.

კლოდ ლორენი (1600-1682) — ფრანგი პეიზაჟისტი.

რემბრანტ ვან რიინ (1606-1669) — ჰოლანდიელი მხატვარი.

კარავაჯოს უფრო პირქუში ბრინჯაოსფერი ფერებით დახატული ხმელხმელი სტოელი ანაქორეტი — შესაძლოა ბაირონი მიანიშნებს კარავაჯოს (1565-1609) ნახატზე წმ. მათე და ანგელოსი, რაც ალბათ რომში ნახა 1817 წელს.

მშვენიერი თახიდან დალევა ისე მინდება ვით დანიელს — თუ არ მშულება, დანიელებს იაგო ასხენებს თავის კატალოგში „დალევის მოყვარულებისა“.

იაგო მართლაც ორჯერ ახსენებს დანიელებს მათ შორის, რომელთაც და-
ლევა უყვართ, მაგრამ არა უზომოდ. „ოტელო“ II, III.

ნებროთი მიატოვებდა დურას — ასირიაში.

ბიბლიაში არსადაა ნახსენები, რომ მძლავრი მონადირე ნებროთი ან დუ-
რას დაბლობზე ან ასირიაში ნადირობდა.

*მელტონის უხემ ქურთუკს — ქალაქი მელტონ მოუბრეი ლეისტერთან ახ-
ლოს მღებარეობს და ერთგვარ შტაბბინად მიიჩნეოდა ინგლისური ნადირო-
ბისათვის. მელტონი ქურთუკი მოკლე სპორტული სამოსია.*

*ჰერცოგინია ფიც-ფალკი — უნდა იგულისხმებოდეს დევონშირის მშვენი-
ერი ჰერცოგინია (ქალიშვილობაში ელიზაბეთ ფოსტერ კავენდიში, მეხუთე
ჰერცოგის მეორე ცოლი). ბაირონი მისგან ბინას ქირობდა პიკადილის ტერა-
სა 13-ში და ქირა არ გადაუხდია. ალბათ ამიტომ, რომ მეთექვსმეტე თავში
ჟუანისა და ჰერცოგინიას სასიყვარულო ურთიერთობაა ნახსენები.*

მის ოტაბი — ალბათ ირლანდიელი ჭორიკანა ქალია.

*მის რაბი — აშკარა ებრაული სახელი ალბათ როტშილდის მეუღლეს გუ-
ლისხმობს, თუმცა არც იმას გამორიცხავენ, რომ ჰარიეტ მელტონი იყოს,
მსახიობი და ცნობილი ბანკირის ტომას კოუტსის მეორე ცოლი.*

*აქ იყვნენ გრაფინები ბლენკ — Blank ინგლისურად სიცარიელეს ანუ
არარაობას ნიშნავს.*

*Omne tulit punctum, quæ miscuit utile dulci (ლათ.) — „ყველას მოწონება
მან დაიმსახურა, ვინც სარგებლობა და სიამოვნება შეუხამა ერთიმეორეს“
(ჰორაციუსი, „პოეზიის ხელოვნება“).*

და გაუბრწყინა სირიუსივით — სირიუსი, ე.ი. ძუ-ვარსკვლავი.

სირიუსს ძალის ვარსკვლავს უწოდებენ, ბაირონმა კი ძუ ძალს შეადა-
რა, რათა ქალი ეგულისხმა. ალბათ მეორე ჰერცოგინი დევონშირი იყო ასეთი
„ვითომდა ქალბატონი“.

villeggiatura — დასასვენებლად წასვლა.

*ირლანდიელი ებსენტიანტები — არისტოკრატები, ვინც მამულებს ფლობ-
დნენ ირლანდიაში, მაგრამ იქ არასოდეს ჩადიოდნენ, ისე ცხოვრობდნენ მი-
ღებული შემოსავლით.*

*პაროლესი, ცნობილი ჩხუბისთავი — ტრაბახა ლაჩარი შექსპირის კომედი-
აში „ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება“. ბაირონს ამ სახელით გა-
მოყვანილი ჰყავს თავისი მტერი ჰენრი ბროუმი (1778-1868), ინგლისის ლორდ
კანცლერი. იგი შეენია „ედინბურგის მიმომხილველის“ დაარსებას, როცა
ახალგაზრდა იურისტი იყო სკოტლენდში. თვითონაც აქვეყნებდა სტატიებს.*

*ჰერცოგი „თხემით ტერფამდე“ — ეხმაურება ლირის სარკასტულ თვით-
შეფასებას IV, vi.*

*რაინდი შევალეი დე ლა რუსი — ვარაუდობენ, რომ ესაა კაზიმირი, მონტ-
რონის გრაფი, ტალეირანის მეგობარი, ვინც ლონდონს აფარებდა თავს 1812-
14 წლებში. იღბლიანად თამაშობდა აზარტულ თამაშებს.*

*დიკ დუბიოსი, მეტაფიზიკოსი — იგულისხმება ვიგი პოლიტიკოსი და ფი-
ლოსოფოსი სერ ჯეიმზ მაკინტოში.*

სერ ჰენრი სილვერკუპი — Silvercup ინგლისურად ვერცხლის თასს ნიშნავს.

ღირსი როდომონტ პრესიჟენი —

ჯეკ ჟარგონი — გოლიათი გვარდიელი;

სერ ჯეიმზ მაკდონელი — ვინც თავის სკოტლენდელებთან ერთად დაიკავა და შეინარჩუნა ჰუგომონის ფერმა ვატერლოოს ბრძოლაში.

გენერალი ფაიერფისი — Fireface (ვეცხლის სახე) სერ ჯორჯ პრევოსტია, ცნობილი თავისი სიზანტით 1812 წლის ომში. ეს ადგილი ეხმაურება ბეატრისის სიტყვებს შექსპირის კომედიაში „აურზაური არაფრის გამო“ I, i.

ჯეფერის ჰადსმანი —

მხიარული პანჩიკ — punch ინგლისურად მუჯღუფუნი.

პირველი ჭაბუკური ნაბიჯი გადადგა და დებატებში შეაბიჯა — ბაირონი მიანიშნებს თავის წარმატებულ გამოსვლას ვესტმინისტერის დებატებში (1812 წლის 27 თებერვალს).

ლონგბაუ ირლანდიიდან და სტრონგბაუ ტვიდის ნაპირიდან — ირლანდიელი ორატორი ჯონ პილპოტ კურანი (ლონგბაუ) და სკოტლენდელი ადვოკატი ტომას, ლორდ ერსკინი (სტრონგბაუ); ორივე ბრწყინვალე მჭევრმეტყვეელი; კურანი (1750- 1817) ენინაალმდეგებოდა ინგლის-ირლანდიის გაერთიანებას და იცავდა ირლანდიელ ამბოხებულებს. ერსკინი (1750-1823) ესარჩლებოდა უსამართლოდ დაჩაგრულთ, მხარს უჭერდა საბერძნეთის დამოუკიდებლობას. ბაირონს ორივე მოსწონდა, უფრო მეტად მაინც კურანი. არის სხვა ვარაუდიც, რომ ლონგბაუ ფრენსის როდონ-ჰასტინგსია, მოირას მეორე გრაფი, და სტრონგბაუ კი — სერ ჯეიმზ მაკინტოში.

კომედიის ფაში გარდავიდა, ეჰ! — ეს არის ედმუნდ ბერკის სიტყვების პაროდია; წიგნში „ფიქრები საფრანგეთის რევოლუციაზე“ ბერკი წერდა, რაინდობის დრო გარდავიდაო. „ღონ ჟუანიტ“ ბაირონი იმის დამტკიცებასაც ცდილობს, რომ რაინდობის დრო სულაც არ წასულა.

შენ ბოყაზი იქნები და მე — მორცხვი რუთი — ამ პარალელით ბაირონი ქალია და მკითხველი კაცი, მდიდარი და ძლიერი. მკითხველი ყანის მფლობელი და ბაირონი — თავთავის შემგროვებელი. ცოტა ალოგიკურად მოჩანს.

„ეკლესიის გარეთ გამოყენებული წმიდა წერილის სიტყვები მკრეხელობააო“ — ჰენრი ფილდინგის რომანში, „ჯოზეფ ენდრიუსი“, მისის ადამსი ეუბნება მრ. ენდრიუსს, ნუ მკრეხელობო, არადა მრ. ენდრიუსი ქრისტიანობის ნიმუშია.

არ მინდა გამომჩნეს მოლაპარაკე ბრძენი, კიტ-კეტიდან — კიტ-კეტი იყო ლონდონური კლუბი ვიგებისა, მისი წევრები იყვნენ, სხვათა შორის, ადისონი, სტილი, კონგრევი, უოლპოლი... „ბრძენში“ იგულისხმება რიჩარდ შარპი.

„ოჰ, საბრალო, ბედ-კრულო სულო“ — უილიამ შექსპირი, „ჰამლეტი“ I, V. ბაირონი თითქოსდა ლონგბაუსა და სტრონგბაუს აჩრდილებად გვიხატავს.

იხილეთ მინები, სად „ღვარად მოედინება რძე და თაფლი“ — გამოსვლათა 3,8.

აიზეკ ვალტონი (1594-1683) — ინგლისელი მწერალი ავტორი წიგნისა „ნამდვილი მეთევზე“, და მრავალი ბიოგრაფიული ნაშრომისა.

ანკესით რომ უდარაჯებს პატარა კალმახს — კაცთმოყვარეობას მაინც ვასწავლიდი ამ სენტიმენტალურ ველურს, ვისაც სურს რომანისტებთან ერთად იხსენიებოდეს, ვასწავლიდი პატივისცემას უფნებელი სპორტისა და ძველი სიმღერებისადმი. იგი ასწავლის გომბეშობის გაკერვას, მათი კიდურების დამსხვრევას ექსპერიმენტისათვის, საანკესო სპორტის გასაუმჯობესებლად, რაც ვითომდა ყველაზე ცივი, ბრიყვული და სასტიკია სპორტებს შორის. ვითომ ბუნების მშვენიერებით ტკბებიან, მაგრამ მოანკესე თევზის კერძის სურვილითაა გატაცებული, იმდენი დრო აღარ რჩება, რომ წყალს თვალი მოაშოროს და ერთი მოდება თევზისა მთელ პეიზაჟებს ურჩევნია. თანაც ზოგი თევზი წვიმიან ამინდში მოსდევს ანკესს. ვეშაპზე, ზვიგენსა და თინუსზე ნადირობა უფრო კეთილშობილურია და გამბედაობას მოითხოვს, მეზადურობასა და დატრალვასაც არა უშავს, უფრო ჰუმანურია და სასარგებლო. მაგრამ ანკესობა! — არა მოანკესე კაი კაცი ვერ იქნება.

„ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი — ჰუმანური, დახვეწილი, სულგრძელი, ამქვეყნად ყველაზე გამორჩეული პიროვნება — მოანკესე იყო: მართალია იგი ფერადი ბუზებით თევზაობდა და ხელი არ მიწვდებოდა ა. ვალტონის ექსტრავაგანტურობებზე“.

ეს ჩანართი მეგობარმა ჩაუმატა ხელნაწერის კითხვისას **Audi alteram partem**, (ლათ. მოვუსმინოთ მეორე მხარეს). ასევე დავტოვებ ჩემი შენიშვნის გასაწონასწორებლად.

ჩვენს დროში აღარ არიან სკვაირი ვესტერნები — ბაირონი ნოსტალგიას განიცდის ფილდინგის დროისა და მწერლობის მიმართ, სკვაირი ვესტერნი „ტომ ჯონს ნაპოვარას ამბის“ პერსონაჟია.

თავი მეთოთხმეტი

დაიწერა 1823 წლის 23 თებერვლიდან 1823 წლის მარტამდე, გენუაში. გადწერა მერი შელიმ ამავე ქალაქში, 1823 წელსვე. პირველად გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეთორმეტე და მეცამეტე თავებთან ერთად, 17 დეკემბერს.

არრა ვიცი, არრას უარყოფ, არრას ვაღიარებ, არცა უარყოფ, არც არა მძულს რა — ეხმაურება ბეატრისის სიტყვებს ბენედიქტისადმი, უილიამ შექსპირი, „აურზაური არაფრის გამო“, IV, I, 269-71.

სიკვდილი საგლოვია ადამიანისათვის, და მაინც ცხოვრების მესამედს ძილში ატარებს — უილიამ შექსპირი, „საწყაული საწყაულის წილ“, III, I 32-4.

უსიზმრო ძილია, შრომითი დამქანცველი დღის შემდეგ, რას ყველაზე მეტად ვესწრაფით — პლატონი, „სოკრატეს აპოლოგია“.

და მინც, რარიგ უფროთხის თიხა უფრო მშვიდ თიხად ყოფნას! — გამხმარი თიხა, ანუ ადამიანის სისხლი და ხორცი, იკუმშება, როცა შეერევა ჩვეულებრივ თიხას საფლავში.

მოუთმენლად რომ იხდის სულს — არაზუსტი ციტატა კიტისის ლექსიდან „ოდა ბულბულს“. 1.54.

შიში გარს ახვევია, მასთანაა, ახლოს, აქეთ, იქით, ყველგან — ეხმაურება უილიამ შექსპირის „ჰამლეტს“, I, I 141-2.

ერთ წუთსაც კი ვერ გაძლებ, რომ საშინელი სურვილი არ დაგეუფლოს მასში ჩახტომისა — შდრ. უილიამ შექსპირი, „მეფე ლირი“ IV, vi, 11-24.

ბზეს თუ აისვრი, გაიგებ საიდანა ჰქრის ქარიო — „...იმის გაგებას თუ საიდან უბერავს ქარი, ყოველთვის ვცდილობთ ბალახის ან თივის ჰაერში აგდებით.“ ბეკონი, „სილვა სილვარუმ ანუ ბუნებრივი ისტორია“ (1627).

ქალაქის ფრანია, სიკვდილს-სიცოცხლეს შუა რომ დაფრინავს — ბაირონი, თავისი იდუმალი თამაშის სტილით, ჩვენს გონებაში ნერგავს იდეას, რომ პოეზია მსუბუქი, არარეალური მოვლენაა და, როგორც აჩრდილი წინ მოძრავი სულისა, თუმც არამატერიალურია, აღვსილია ძალით, ღირსებითა და მნიშვნელობით.

ci-devant jeunes homes — ადრე ყმანვილი კაცი, ანუ: კაცი ვინც გარეგნულად და ქცევით ახალგაზრდა კაცს ჰგავდეს, თუმც დიდი ხანია ახალგაზრდობას გამოეთხოვა.

„*Haud ignara loquor*“; ესაა ის წვრილმანები, „*quarum Pars parva fui*“ — არასწორი ციტირება, ვერგილიუსი, „ენეიდა“, II, 91 და II, 6. ლათინურ ტექსტშია, „ამბავი არაა უცნობი... მე ვიყავი მონმე ამ მწუხარე მოვლენებისა და დიდი მონაწილეობაც მივიღე მათში“. ბაირონის ტექსტშია, „რასაც ვამბობ ვიცი... ეს წვრილმანი ამბებია, რაშიც მცირე მონაწილეობა მივიღე.“

სერ უილიამ ედუარდ პერი (1790-1855) — ხუთჯერ იმოგზაურა არქტიკაში კვლევითი ექსპედიციით.

არსად წაყელყელავებულა, და ორიოდე „*faux pas*“ თუ გაეპარა — ორიგინალშია *crane* ანუ წეროსავით კისრის წაგრძელება. ბაირონი განმარტავს, რომ ეს სიტყვა აღნიშნავს ცხენით ლობეზე გადახტომის წინ კისრის წაგრძელებას და ლობის იქით გადახედვას „რათა გადაეხედა სანამ გადახტებოდა“: ...დაყოვნება ლახავდა მის „საჯირითო ამბიციას“, და სხვებსაც აჩერებდა, ვინც უკან მოჰყვებოდნენ ამ სკეპტიკოს მხედარს. „სერ, ნება მიბოძეთ მე გადავხტე, თუ თქვენ ვერ გადაგინყვეტიათ!..“ იყო ფრაზა, რაც ახალბედას გადახტომას აბედვინებდა, და რადგანაც შეიძლებოდა „ცხენიც და მხედარიც ნაქცეულიყვნენ“, გარკვეულ მანძილს იცავდნენ მინდორში ჭენებისას. *faux pas* — მცდარი ნაბიჯი.

ვინმეს თუ უნადირია მელიებზე ორჯერო? — ბაირონი წერს: იხილეთ მისი „წერილები ვაჟიშვილისადმი“. მაგრამ ამ ფრაზის მიგნება შეუძლებელია.

ელევანტურობით ანათება მისი სხეული; მკვირცხლი კამილასავით — კამილა იყო დიანას მსახური (ეს ირონია ჩვენთვის მძიმეა, მაშინ უფრო გადიოდა) ცნობილი თავისი სწრაფი სირობლით. იხ. ვერგილიუსი, „ენეიდა“ VII, 803-17.

ან ავრორას წინ მფრინავ ცისკრის საათს, გვიდოს მშვენიერ ფრესკაზე გამოსახულს — გვიდო რენი (1575-1642) იტალიელი მხატვარი. მისი ფრესკა ამშვენებს პალაცო როსპიგლიოსის ქერს რომში. გამოსახულია აპოლონი, როგორც მზე ღმერთი, ვისაც თან ახლავს ავრორა და საათები.

tracasserie — წვრილმანი ხათბალები.

agacerie — პრანჭიაობა, არშიყობა.

ბოლო დროს თვალთ დაედგა ლორდ ავგუსტუს ფიც-პლანტაგენეტზე — გამოგონილი გვარი, მიუთითებს უძველეს სამეფო საგვარეულოზე.

ალერსიან მეგობრობას ბრიუსელურ მაქმანში გამოაწყობს — ბრიუსელიური მაქმანი ყველაზე დახვეწილი და ძვირფასი იყო. აქ ბაირონი კიდეც ერთხელ ურევს ერთმანეთში სიყვარულსა და პიროვნულ ესთეტიკას.

აჰ, იობ! შენ ორი მეგობარი გყავდა — როგორც უნდა იყოს, ყავის სახლში წადით და მეორე იშოვეთ, სვიფტისა თუ ჰორას უოლპოლის წერილებში, მგონი, ნახსენებია ვიღაც, მეგობრის დაკარგვას რომ ნუხდა და მავანმა პილადემ ურჩია, „როცა მე ვკარგავ ხოლმე, სენტ ჯეიმზის ყავის სახლში მივიღივარ და ახალს ვიძენ“. მეც მახსოვს ერთი მსგავსი ანეკდოტი. სერ უ.დ. თავგადაკლული მოთამაშე იყო. ერთ დღეს კლუბში შედიოდა მწუხარე სახით. „რა დაგემართათა, სერ უილიამ?“ შესძახა ოხუნჯმა მრ. ჰეარმა, „აჰ“, უპასუხა სერ. ვ.მ. „ახლახან ლედი დ. დაგვკარგე (Lost-ნავაგე)“, რას ბრძანებთ, რაში? ქვინზში თუ ჰაზარდში (ქალაღდის თამაშებია), მიუსამძიძირა მოსაუბრემ.

სინამდვილეში იობს სამი მეგობარი ჰყავდა; პირველი ანეკდოტის მოძებნა სვიფტის ან უოლპოლის წერილებში არ ხერხდება. მეორე ანეკდოტის სერ ვ.დ. არის სერ უილიამ დრამონდი (1770-1828), ელჩი ნეაპოლში და პორტუგალიაში. ბაირონი მას შეხვდა გიბრალტარში 1809 წელს. მის კალამს ეკუთვნის „იუდეველი ოიდიპოსი“ — ძველი ალექსის ალგორიული ინტერპრეტაცია. ფრენსის ჰეარ-ნეილორი (1753-1815) იყო ჰერცოგინია დევონშირის პარტინორი ქალაღდის თამაშში.

ამაზე ბჭობას ბრძენ ოქსენშტერნს მივანდობ — ცნობილ კანცლერ ოქსენშტერნს უთქვამს თავისი ვაჟისათვის, როცა მას გაკვირვება გამოუთქვამს თუ რა უმნიშვნელო მიზეზები წარმართავდნენ პოლიტიკის მისტერიებს; „ამით შენ ხედავ, შვილო, თუ რა მცირედი სიბრძნით იმართება მსოფლიოს სამეფოები“.

აქსელ ოქსენშტერნი (1583-1654) — შვედეთის კანცლერი 1612 წლიდან სიკვდილამდე. ეწინააღმდეგებოდა გუსტავ ადოლფს, როცა იგი ოცდაათწლიან ომში ჩარევას აპირებდა, შემდეგ, როცა ვერაფერი გააწყობ, მხარში ედგა. ამბობენ ეს სიტყვები თავის ვაჟს მისწერაო, ვინც ელჩად გააგზავნა ვესტფალიის ზავის მოლაპარაკებისას.

დოქტორს ქომონსის კლიენტთა კლანს — ეს საადვოკატო ბიურო დაკავებული ძირითადად საოჯახო სამართლით, გაყრებისა და შერიგებისა.

„*Je ne sçais quoi*“ (ფრ.) — უფალმა უწყის, ვინ.

არსებობს ყვავილი, რომელს „ამაო ტრფობას“ უწოდებენ — ეხმაურება უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარს“, II, I, 168.

მანც შევძახებ ფრანგ თუ შვეიცარიელ რუსოსავით, „*Voilà la Pervenche!*” — ჟან-ჟაკ რუსო, „ახალი ელიოზა“. ყვავილი, რუსოს „აღსარებანის“ მიხედვით, 1738 წელს უჩვენა „დედამ“ (მადამ დე ვარენმა), მაგრამ რუსომ ყურადღება არ მიაქცია. მეორე 1764 წელს დაინახა და წამოიძახა „*Voilà la pervenche!*” ეს იყო გახსენება მისთვის უბედნიერესი დროისა.

„*Beatus ille procul! negotiis*“ — ჰორაციუსი „ეპოდები“ I, i. [უბედნიერია იგი, ვინც სხვა საქმიანობას მოშორებული, თავის მამულს ამუშავებს თავისი ხარებით და სესხება არა სჭირდება]

„*Noscitur a sociis*“ — ეს ანდაზა ჰორაციუსისა არ არის, არამედ საყოველთაოდ გავრცელებულია და ნიშნავს: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ“.

„სიყვარული ხამანკასაც კი შეიძლება ეწვიოს“ — შერიდანი, „კრიტიკონი“, III, I, 297.

გამოამწყვდიე ქეციანი ჩხუბისთავი ალექსანდრე! — რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი.

წმიდა სამეული — იგულისხმება ავსტრიის პრუსიისა და რუსეთის იმპერატორები. მათი სენეგალში, საფრანგეთის კოლონიაში გაგზავნით, ბაირონი იხსენებს ნაპოლეონის გაგზავნას წმ. ელენეს კუნძულზე. ამკარა მკრეხელობა კი იმითაა გამორწვეული, რომ ამ სამეულს „ქრისტიანულს“ უწოდებდნენ.

გამოამწყვდიე თვითეული აღზევებული გმირი სალამანდრა — ბაირონის ირონია შეეხება სამხედრო პირებს, როცა მათ ადარებს მითიურ სალამანდრას, რომელიც ცეცხლში ცხოვრობს.

ვით რონასა და ლემანის წყლები — ლემანის ტბა და მდინარე რონა შვეიცარიისაში.

მეც კი შემხვედრია მდედრობითი მეგობარი — ბაირონი გულისხმობს: მადამ დე სტალს, ლედი ჯერსის, ლედი ჰოლანდს, ლედი მელბურნს, მერცერ ელპინსტოუნსა და ავგუსტას.

„ვრცელ ქვაბულებსა და უნაყოფო უდაბნოებს“ — ოტელოს სიტყვები, როდესაც აღწერს შორეულ ქვეყნებს, რომლებიც უნახავს I, iii, 140.

ანთროპოფაგები — კანიბალები, „ოტელო“ I, iii 144.

თავი მეთხუთმეტი

დაინერა 1823 წლის 8-25 მარტს, გენუაში. გადანერა მერი შელიმ ამავე ქალაქში, 1823 წელსვე. პირველად გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა მეთექვსმეტე თავთან ერთად, 1824 წლის 26 მარტს.

ვით ახალნაჭედი ნაპოლეონი — ნაპოლეონი იყო ფრანგული ოქროს მონეტა და შეესაბამებოდა ოც ფრანკს.

ალკიბიადე (450-404 ქრისტემდე) — ათენელი სახელმწიფო მოღვაწე. სოკრატეს მოწაფე. ათენიდან გაძევებული მკრეხელობის გამო. მთელი

ცხოვრება უცხოეთის სამეფო კარზე გაატარა. თუმცა, პლუტარქეს მიხედვით, ერთგულებას არავისადმი იჩენდა. ცნობილი იყო მოქნილობითა და შემგუებლობით.

მათ რჩევას არ უნდა ავეყვით — „მათ“-ში იგულისხმებიან ქალები, რომელთაც არ სურთ გაუმხილონ კაცებს, თუ რითი არიან ისინი მიმზიდველნი ქალეზისათვის.

„*verbum sat*“ (*verbum sat sapienti*) (ლათ) — სიტყვა საკმარისია გონიერისათვის. მიაწერენ პლავტუსს.

სევდიანი იქნება თუ მხიარული, ამას რაფაელზე უკეთ შეასრულებენ — ალუზია რაფაელის მიერ „გარდაქმნის“ დახატვის თაობაზე ვატიკანში.

ასე არ არის, დიადო ლოკ? და უფრო დიადო ბეკონ? დიადო სოკრატე? და შენც, უფრო ღვთაებრივო? — ადელაინის შეზღუდულობას ბაირონი უპირისპირებს ბრძენ ადამიანებს, სოკრატე და ქრისტე წინასწარმეტყველების გამო დასაჯეს, ბეკონი და ლოკი კი იდეებზედნენ პოლიტიკური შეხედულებებისათვის.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვიტყვი თუ რას ვგულისხმობ „უფრო ღვთაებრივი“, ანუ ქრისტეში. თუ ოდესმე ღმერთი ყოფილა კაცი ან კაცი — ღმერთი, იგი ორივე იყო. არასოდეს განმისჯია მისი რწმენა, თუმცა მკრეხელობა მჩვევია. მრ. ქანიგმა ერთხელ ქრისტიანობა მონობის გასამართლებლად გამოიყენა. ვილბერფორსმა ბევრი ვერაფერი უპასუხა. განა ქრისტე იმიტომ ეცვა ჯვარს, რომ შავკანიანთა გამათრახების უფლება დაეცვა? მაშ ეგებ სჯობდა მულატი ყოფილიყო, რომ ორივე ფერის ადამიანთათვის ხსნის თანაბარი შანსი მიეცა.

და თავს *Improvvisatore*-დ მივიჩნევ — „იმპროვიზატორე“ არის ის, რომელიც მაყურებელთა წინაშე ფეხზე მდგომი, ზეპირად თხზავს ლექსებს ხშირად მაყურებლის მიერ შეთავაზებულ თემაზე. ბაირონის დღიურებში ნახსენებია ტომაზო სგრიჩი (1788-1836), ვის შესახებაც მას თავდაპირველად ლუდოვიკო დი ბრემესაგან უნდა შეეტყო.

„*omnia vult belle Matho dicere — dic aliquando Et bene, dic neutrum, dic aliquando male*“ — ბაირონი იომნებს მარციალის ეპიგრამას, „მათო თუ გსურს ლამაზად ისაუბრო, ხან სწორად ილაპარაკე, ხან საშუალოდ და ხანაც — ცუდად“. ილაპარაკეს ნაცვლად ჩასვით „წერე“.

ყველაფერი ერთად კი, ვისურვებდი, ამ თავსატეხის ამოხსნაში დამხმარებოდა — ბაირონს სურს წეროს მარციალის რეცეპტის მიხედვით, მაგრამ ლაღად, ვირტუოზი იმპროვიზატორის მაგავსად. შედეგი კი მიუღწეველია და ესაა თავსატეხი.

„ძაღლების დრო დადგება“ — ჰამლეტის სიტყვები ლაერტისადმი, „ჰამლეტი“, V, I.

თუნდ პრისციანის წინაშე — ლათინი გრამატიკოსი (500 წელი ქრისტეს აქეთ) დიდად დაფასებული შუა საუკუნეებში. ბაირონი თავის ლექსებში გამოდევნით არღვევს მის კანონებს.

laissez aller (ფრ.) — რა მნიშვნელობა აქვს.

შემკული ლონგინეს ან სტაგირელის მიერ — ფსევდო ლონგინე და არისტოტელე, რომელიც ქალაქ სტაგირადან იყო წარმოშობით.

რას ჰარმონისტმა ქორწინება რომ აკრძალა — გამორჩეული და აყვავებული გერმანული კოლონია ამერიკაში, მთლიანად არ კრძალავდა ქორწინებას, ისე როგორც „შეიკერები“. მაგრამ შეზღუდვას უწესებს შობადობას, ფერმერებით, ფარას რომ მხოლოდ გარკვეულ ტევებში ამრავლებენ. ეს ჰარმონისტები (ასე დასახლებას ეწოდება) ცნობილია, როგორც შესამჩნევად მზარდი, ღვთისმოსავი და მშვიდი ხალხი. იხილე რამდენიმე, ამერიკაზე მომუშავე ავტორი,

ბაირონი აქაც ამერიკელ კოლონისტებზე ოხუნჯობს, როგორც ადრე დენიელ ბუნზე. ჯორჯ რაპი (1770-1847) ვიურტემბერიგელი იყო. გადასახლდა პენსილვანიის შტატში 1803 წელს და დააარსა კოლონია სახელად ჰარმონია. შემდეგ ახალი ჰარმონი, ინდიანას შტატში, და ეკონომია, პენსილვანიის შტატში. კითხულობდა სვედენბორგისა და იაკობ ბომეს ნიგნებს და სწამდა, რომ საჭირო იყო ქონების დაგროვება და უმანკოების დაცვა მეორედ მოსვლის დღისათვის. ჰარმონისტებს უყვარდათ პოეზია, მხატვრობა და განსაკუთრებით მუსიკა.

მიუხედავად მალთუსისა — მალთუსი, ბაირონის ირონიული თვალთახედვით, იყო კაცი, ვინც მუშათა კლასს სქესობრივ ცხოვრებას უკრძალავდა.

ესაა ვნებისა და კარტოფილის სევდიანი შედეგი — ირლანდიიდან ამერიკაში მრავალრიცხოვანი ემიგრაცია გამოიწვია კარტოფილის ძალზე მწირმა მოსავალმა.

რომელსაც განიხილავენ ჩვენი ეკონომისტი კატონები — მარკუს პორციუს კატონი (234-149 ქ.-მდე) ვერ უნდა იყოს კარგი ნიმუში. რას ფიქრობდა ვნებიან სიყვარულზე, ცნობილი არ არის. მაგრამ კარტოფილი რომ არ უნახავს, ცხადია.

არც იმაზე, თუ რას ნიშნავს ასეთი „ამაღლებული ხელი“ — ჯეიკობ ტონსონი, მრ. პოუპის მიხედვით, თავის მწერლებს „შემძლე კალმებს“, „ღირსეულ პირებებს“, და განსაკუთრებით „ამაღლებულ ხელებს“ უწოდებდა. იხილეთ, კორესპოდენცია და სხვა.

ჯეიკობ ტონსონი (1656-1736) გამომცემელი, აქვეყნებდა დრაიდენის, ადისონის, სტილისა და ოტვეის ნიგნებს. 1712 წლის 29 ნოემბერს პოუპი სწერს სტილს: „ალბათ უფრო ნასიამოვნები დავრჩებოდი, თუკი გთხოვდი, შენი პატარა მეგობარი გეწოდებინა ჩემთვის და არა „დიადი გენიოსი“, ან ამაღლებული ხელი, როგორც ჯეიკობი უწოდებს ყველა მის ავტორს“.

და ქორწინების გარდაქმნასაც არითმეტიკად — ბაირონი ოხუნჯობს თავის ცოლის, ანაბელის მათემატიკურ ნიჭიერებაზე.

მის რიდინგი (კითხვა), მის როუ (ქორფა), მის ფლო (ნაკლი), მის შოუმენი (წარმომჩენი), მის ნიუმენი (კაცთმოკიდე), გილტბედინგი (ოქროს სანოლი).

აქ იყო მის მილპონდი (ნისქვილის გუბურა) — ალბათ იგულისხმება ანაბელა მილბენკი, ლედი ბაირონი. სახელი მიუთითებს, რომ მშვიდი ზედაპირის ქვეშ შესაძლოა იყოს საშიში მორვეი.

ამიტომ ბოლოს უცხოელი ამოირჩია, რუსი იყო თუ თურქი, რას დაეძებდა — ვარაუდობენ, რომ აუღსია შუსტრინგში (გამბედავი, ფეხსაცმლის თასმა)

ბაირონი მერსერ ელპინსტონს უნდა გულისხმობდეს. ბაირონი მეგობრობდა მასთან, ვარშიყებოდა კიდეც, სასიყვარულო წერილებს სწერდა. ცოლად გაჰყვა ტალეირანის უკანონო შვილს, რის გამოც მემკვიდრეობაზე უარი უთხრეს. *აურორა რები* — ეს არის ყველაზე გამოუცნობი ბაირონის პერსონაჟთაგან. ეხმაურება ჰაიდეს, ვისაც ბაირონი ავრორას ადარებდა. შეიძლება მირანდასაც ჰგავდეს, შექსპირის „ქარიშხალიდან“, ან თვით ბაირონის ცოლს ლედი ანაბელას.

ისე ვით ბრუტუსის არყოფნამ ტიბერიუსის დაკრძალვაზე — იხ. ტაციტუსი, წიგნი vi.

ტაციტუსის ანალებში აღწერილია იუნია ტერტულიას დაკრძალვა, ვინც იყო გაიუს კასიუს ცოლი და ბრუტუსის და დაკრძალვას ესწრებოდა ოცი საუკეთესო ოჯახის წარმომადგენელი, მაგრამ არ იყვნენ კასიუსი და ბრუტუსი.

ჩემი გენიალური მიდრეკილებანი ვინმეს აუთვალწუნებია, ვით „კეისარი ანტონიუსს“ — უილიამ შექსპირი, „მაკბეტი“, III, i

„საყვირში ჩავებერ შეტევისათვის“ — უოლტერ სკოტი „უკანასკნელი მენესტრელის სიმღერა“ (IV 24)

რადგან დასრულდა, ბოლოდროინდელ კონგრესებზე — ბაირონი უნდა გულისხმობდეს ვერონის კონგრესს 1822 წლის ოქტომბერში. უნდა ითქვას, რომ ეს კონგრესი გარკვეული შედეგით დასრულდა. საფრანგეთი შეიჭრა ესპანეთში ლეგიტიმური კარლისტთა დასხმარებლად, საპარალამენტო ლიბერალების წინააღმდეგ.

და არა კუდიანთა, მეძავთა თუ ექიმთა ნახარშებში — საქმე ისაა, რომ ლონდონი უკვე იცნობდა ნამდვილ ფრანგულ სამხარეულოს ლუი ევსტაშ უდეს (1769-1846) მეშვეობით. იგი რევოლუციის დროს გადავიდა ლონდონში და მზარეულად მსახურობდა გრაფ სეფტონთან, ლონდონის სხვადასხვა კლუბში, და მის უდიდებულესობა პერცოგ იორკთან. დაწერა „წიგნი კერძებისა“. აქ მოხმობილ კერძთა აღწერილობა მისი წიგნიდანაა.

Soupe à la bonne femme — დაკეპილი მჟაუნა და კომბოსტო, მოთუშული კარაქში, დამბალი ბულიონში და მოდუღებული; დამატებული შაქარი და გასქელებული კვერცხის გულითა და ნაღებით.

dindon à la Périgieux — შემწვარი ინდოური, გატენილი დაბეგვილი ტრუფელებითა და ბეკონით, შეკაზმული და ნიგვზის პიურეთი მორთმეული.

Soupe à la Beauveau — გათეთრებული და მოხარშული თაღგამის ბოლქვები, გაფილტრული ხორცის ნახარშითა და შაქრით, პურთან ერთად.

bonne vivante — მოქეიფე.

ფრინველი „à la Condé“, ორაგულის თხელი ნაჭრები „sauces Genevoises“ — ით, და ირმის ბარკალი — ფრინველი გატენილი კარაქითა და ლიმონის წვენით, ღუმელში გამოყვანილი შაშხის, ცხაურში გამომშრალ ნაჭრებთან ერთად, ზემოდან ემატება მოხარშული ხბოს ხორცის ნაჭერი, კარაქში მოხარშული ლორი; ზედ მოსხმული თხელი ბულიონი, შეკაზმული ოხრა-ხუმით, მარილითა და პილპილით; შემდეგ გაცხელებული საათის სამი მეოთხედის განმავლობაში, გამომშრალი და სანებელთან ერთად მორთმეული.

saucés Genevoises, ხახვი, ოხრახუში, ქონდარი და დაფნის ფოთოლი ჩაიხრაკება კარაქში, შეერევა თეთრი ღვინო და იღულებს საათის სამი მეოთხედი. მიღებული მარინადი გაიწურება და დაესხმება ორაგულს და მოშუშავს. გასუფთავებული თევზი ჩაიდება ჭურჭელში. მარინადი გასქელდება ფქვილით და მოესხმება ორაგულს. შეიძლება ლიმონის წვენიც.

ახალგაზრდა ამონი — ალექსანდრე მაკედონელი.

კრიალა ვესტფალური ლორი — ლორს დაამუშავებენ, ორ დღეს გააჩერებენ წყალში და ხარშავენ ოთხი საათის განმავლობაში. ტყავს მოაცლიან და ლორს დაამრგვალებენ, რამდენიმე წუთი ღუმელში აქვთ, მოჭიქავენ და მიართმევენ ესენციასთან ერთად.

რას აპიციუსიც მოიწონებდა — ცნობილი გურმანი რომის იმპერიაში. მარციალის მიხედვით, თავი მოიკლა, როდესაც შეზღუდულ შესაძლებლობათა გამო იძულებული გახდა ჭამა შეეზღუდა.

და ტრუფელებით გატენილი ნორჩი კაკბები, თვით დიადი ტრიუმფატორი ლუკულუსი რომ ამზადებდა — ამ სარდალმა აღმოსავლეთის დაპყრობასთან ერთად სახელი იმითაც გაითქვა, რომ შემოიტანა ბალი და გაავრცელა ევროპაში, და აგრეთვე რამდენიმე ძალზე კარგი კერძი. მონელების საკითხს თუ გვერდზე გადავდებთ, მგონი ამით უფრო კარგად ემსახურა კაცობრიობას, ვიდრე დაპყრობებით. ბლის ხე გადაწონის სისხლიან დაფნის გვირგვინს, თუმცა ორივემ გაუთქვა სახელი.

მან მართლაც შემოიტანა ბლის ხეები ევროპაში, იხ. პლინიუსის „ისტორია“.

à l'Allemande — ბრონეულით მორთული მსუქანი წინილები.

A l'Espagnole — ლორისა და ხბოს ხორცის წვრილი ნაჭრები უნდა დაატკობო, დაასხა ბულიონი, შემდეგ განაზავო პიურეში, რასაც ზედ დაასხამ; უნდა ადუღო ნახევარი საათი, გაწურო და მიართვა სოკოსთან, ოხრახუშსა და ხახვთან ერთად.

timballe — სხვადასხვა ინგრედიენტთან ერთად მოხარშული წვრილად დაკეპილი ხორცი ან თევზი.

salpicon — დაკეპილი და სხვადასხვა ინგრედიენტში არეული ხორცი.

„etits puits d'amour garnis des confitures“ — ცნობილი, კლასიკური კერძი, მეორე ჯერზე.

ხილის ნახარშით მორთული ნაღების ბურთები.

gibier, salmi, consommé, purée — ნანადირევი, სქელი ბულიონის განურვისაგან მიღებული საკაზმით.

„Bubble and squeak“ — როსთ ბიფის მსგავსი, შემწვარი შაშხი და კომპოსტო.

ლუკა — პატარა იტალიური ქალაქი პიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ბაირონს აქ არასოდეს უცხოვრია, მაგრამ სტუმრებია პიზასა და გენუაში ცხოვრებისას.

ლია ცის ქვეშ, სუნიოსა თუ იმეტუსზე — სუნიო, ნეპტუნის ტაძრის არემარე ათენის აღმოსავლეთით სანაპიროზე. იმეტუსი, ბორცვებიანი მხარე ათენის შემოგარენში. ბაირონი ხშირად სეირნობდა იქ.

ეს კი *Nem. con.*-ია ქალთა შორის, რაც, ვწუხვარ, *crim. con.*-ში გადაიზრდება ხოლმე — *Nem. con.* ერთხმად. *Crim. con.* ცოლქმრული ღალატი.

მინერვა — სიბრძნის ქალმერთი რომაულ მითოლოგიაში.

გრაციები — მშვენიერების ქალღვთაებანი.

„*sine quâ.*“ a *sine qua non* (ლათ) — რის გარეშეც არაფერი გამოვა.

დააკვირდით, „*non!*“; გამოვტოვე ევფონიის სათრით.

დიდი ლორდ ქუკივით (*იხ. ლიტტონი*) — ლორდ ქუკის „კომენტარები ლიტტონის ინგლისურ კანონთა ინსტიტუტებზე“ (1628-44) დიდხანს შეუცვლელი სახელმძღვანელო იყო ინგლისური უძრავი ქონების საკუთრების სამართალში. სერ ტომას ლიტტონი (1402-81) სახელგანთქმული იურისტი.

თუმც სიკეთეს ვუსურვებ ტროელსაც და ტვიროსელსაც — ტროა და ტვიროსი, რამდენადაც ცნობილია, არასოდეს ყოფილან დაპირისპირებულნი, თუმც ტვიროსელი იგივე კართაგენელია და ენეასის წასვლისა და დიდონას სიკვდილის შემდეგ მათი ურთიერთობა არ ყოფილა კეთილგანწყობილი. ბაირონი „კართაგენელს“ „პრესვიტერიანელს“ ურთიმავს და ალბათ ამიტომ არ იცავს სიზუსტეს.

სისხლი მიდულს, ვითარცა ჰეკლას წყაროები — ჰეკლა ცნობილია ცხელი წყაროებით ისლანდიაში.

„ველარ გამასულელებს უკიდურესობამდე“ — „ჰამლეტი“, მოქ. III. სცენა 2. შესაძლოა შეაძრწუნონ „აჩრდილებმა რიჩარდის სული“ — „რიჩარდ მესამე“, V, iii.

ვით ფილოსოფოს მალმსპერელს — ჰობსი, ვინც თავის სულშიც კი დაექვებული იყო, სხვათა სულებისადმი აღფრთოვანებას გამოხატავდა, რათა შეემცილებინა მათი ვიზიტი, ვინც პირქუშ წინათგრძნობას აღუძრავდა.

ჰობსი მატერიალისტი იყო ფილოსოფიაში, მაგრამ მტრები ხმებს უვრცელებდნენ, ცხოვრებაში ცრუმორწმუნეაო. იგი ამას უარჰყოფდა.

კედლებიდან პირქუშად მომჩერებიან ძველი პორტრეტები — ბაირონი ისე წერს „დონ ჟუანს“, თითქოს ნიუსტედის ნორმანულ სააბატოში იმყოფებოდეს.

და კიდევ უფრო ცოტა, თუ რა ვიქნებით! — პესიმისტური პარაფრაზი ოფელიას სიტყვებისა, „ჰამლეტიდან“ IV, iv.

თავი მეთექვსმეტე

დაიწერა 1823 წლის 29 მარტ-ს მაისს, გენუაში. გადაიწერა ამავე ქალაქში, 1823 წელსვე. გამოაქვეყნა ჯონ ჰანტმა ანონიმურად მეთხუთმეტე თავთან ერთად, 1824 წლის 26 მარტს.

მშვილდის მოზიდვას, მხედრობასა და სიმართლის თქმას — ჰეროდოტე ისტორია I, 136. ბიჭის აღზრდის ხანა გრძელდება ხუთიდან ოც წლამდე, და მხოლოდ სამ რამეს ასწავლიან: მხედრობას, მშვილდოსნობასა და სიმართლის თქმას.

„რადგან ეს შედეგი დეფექტური ხდება მიზეზით“ — „ჰამლეტი“, II, iii

„*De rebus cunctis et quibusdam aliis*“ (ლათ) — „ყველაფერზე და დამატებით კიდევ რაღაცაზე“. სახუმარო ლეგენდაა თომა აქვინელზე, რომ მისმა ყოვლისმომცველმა ამბიციამ დაანერინა ორი ტრაქტატი, *De Omnibus Rebus* (ყველაფერზე) და *De Quibusdam Aliis De* (და დამატებით კიდევ რაღაცაზე), ესაა სტანდარტი, რითაც იზომება „დონ ჟუანის“ უკიდურესი სირთულე.

„*quia impossibile*“ (ლათ) — „იმიტომ, რომ შეუძლებელია“, მეორე ავტორიტეტად ნეტარი ავგუსტინეს მოხმობით ბაირონი აგრძელებს ხუმრობას, რადგან ტერტულიანე იყო და არა ავგუსტინე, ვინც დაიჟინებდა, რომ რაც უფრო შეუძლებელი ჩანდა დაჯერება, მით უფრო მტკიცედ შეეძლოთ ერწმუნათ ქრისტიანებს.

დღესაც რომ ვერვინ იტყვის, რისგან იღებდნენ — მოლუსკისა თუ ჭიაფერისაგან — დღესაც კამათობენ იმაზე, თუ რისგან მიიღება ძველი ტვიროსული მენამული — მოლუსკისაგან, ჭიაფერისა თუ მუხისაგან და კამათობენ ფერზე, ზოგი მენამულს უწოდებს, ზოგიც ლურჯს, სხვები ალისფერს. მე არაფერს ვამბობ.

ჩვენი საშინაო ხალათი ნესოსის სამოსივით შემოგვეხვევა — მაშასადამე დიდ, გაუსაძლის ტკივილებს მოგვეგვრის.

„**დღე დავეკარგე!**“ *ნამოიძახა ტიტუსმა* — სვეტონიუსი წერს რომაელ იმპერატორ ტიტუსზე (39-81), ნიგში, ტიტუსის ცხოვრება, „ერთ საღამოს, სადილობისას, ტიტუსს გაახსენდა, რომ წინა საღამოდან მოყოლებული არავისათვის აღმოეჩინა შემწეობა და ნამოიძახა ეს დაუვიწყარი სიტყვები, „მეგობრებო, დღე უქმად გავატარე“.

ვნებიანი ეგოტიზმით ტუიზმისა, რისი შემდგომი ახსნაც ტრუიზმი იქნებოდა — „ტრუიზმი“ ბაირონიუსული ანტონიმი „ეგოტიზმისა. ეს სიტყვა ბაირონმა ალბათ კოლრიჯისაგან ისესხა. იგი მიიჩნევს, რომ თავკერძა ფანტაზიით შეპყრობილი შეყვარებულები თავის სატრფოს კი არ მიმართავენ, არამედ შორეულ, უგრძნობელსა და ცივ მთვარეს.

ისე მოძრაობდა ვითარცა კუდიანი დები — „მაკბეტში“ კუდიანები ეუბნებიან ბანქოსა და მის შთამომავალთა სულებს, რომ აჩრდილებივით მოვიდნენ და გაჰქრნენ. IV, I, 111.

და გრძელი ხოტბა „*ფესხაცმლის გამპრიალელებისა*“ — ესე იგი რეკლამა ფესხაცმლის საცხისა. ერთხელ ბაირონს კავიაც დაუწერია ასეთ პროდუქტზე.

ჯონ ჰორნ ტუკი (1736-1812) — რადიკალი მწერალი, დემაგოგ ჯონ ვილკისის მეგობარი. ბრალდებული სახელმწიფო ღალატში, ალბათ მის ძირგამომთხრელი ნაწერების გამო, მაგრამ გამართლდა.

სავგარეულო სწეულება, ნიკრისის ქარი, სახსრებს რაც უხრავს არისტოკრატებს — ნიკრისის ქარი პორტვეინის გადაჭარბებული სმისაგან უჩნდებოდათ, რაც მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ ემოვათ.

მერე გრამერსი! — „დაე ღმერთმა მოიღოს მონყალება“, ხშირად გამოიყენება დიდი გაკვირვებისას, აღფრთოვანებისას და შვებისას.

მაგრამ „ატიკურმა ფუტკარმა“ სწორედაც რომ სიმშვიდით უპასუხა და კმაყოფილიც დარჩა — ვფიქრობ ეს იყო ხალიჩა, რაზეც დიოგენემ გაიარა და თქვა, „ასე გავთელავ პლატონის სიამაყეს!“ „უფრო მეტი სიამაყითო“, უპასუხეს. ხალიჩა იყო ეს მოსასხამი, ფარდაგი თუ მაგიდის გადასაფარებელი, თუ სხვა ძვირფასი და არაცივნიკური ნაწილი ავეჯისა, ვერ გამიხსენებია.

„ატიკური ფუტკარი“, რათქმა უნდა პლატონია, ვისაც აკვანში ფუტკარი დააჯდა ტუჩზე, რითაც იწინასწარმეტყველეს მისი მომავალი ენამჭევრობა.

„Mamma mias“, and the „Amor Mios“ — იტალიური ოპერის ლიბრეტოს კლიშეები, „დედაო ჩემო“ და „სიყვარულო ჩემო“.

„Tanti palpitis“ — აღნიშნავს „თუ გული ასე ძლიერ ძგერს“ (არია როსინის ტანკრედიდან, რაც ბაირონს ნანახი ჰქონდა იტალიაში.)

„Lasciamis“, და... „Addios!“ — „ნება მიბოძეთ“ და „მშვიდობით“.

ყურით დატკობთაც რომ დაემატება, თუ იტალიური მოგვებზრდება — მახსოვს პროვინციული ქალაქის მერის მეუღლე, ვისაც გადაჭარბებულად მოეჩვენა უცხოური მუსიკა, უხეშად ჩაერია მცოდნე — მუსიკის მცოდნე — საზოგადოების აპლოდისმენტებში, გაუგებარი ენის გამო (ეს მოხდა მშვიდობის ჩამოგდებაამდე რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე მთელი მსოფლიო მოგზაურობას დაიწყებდა, და მე კი კოლეჯში ვსწავლობდი) და მკაცრად დაიწუნა შესრულება; მერის მეუღლეს განუცხადებია, „ლაფი დავასხი თქვენს იტალიურს! მე, ჩემდათავად, უბრალო ბალადა მიჩრეენიაო!“ როსინი კარგი საშუალება იქნებოდა მრავალთათვის, რომ იგივე აზრი გასჩენოდათ ერთ მშვენიერ დღეს. ვინ წარმოიდგენდა, რომ იგი მოცარტის შემცვლელი უნდა გამხდარიყო? რაც უნდა იყოს, მორიდებით ვაცხადებ, როგორც, ზოგადად, იტალიური მუსიკის ერთგული და, მნიშვნელოვანწილად როსინისაც, რომ როგორც მხატვრობის მცოდნე აცხადებს ოლივერ გოლდსმიტის „ვეიკფილდელ მღვდელში“, სურათი უკეთესი გამოვა, თუ მხატვარი მეტად დაიტანჯება.

ეს პროვინციული ქალაქი ალბათ ბრაიტონია.

ბაბილონის არიები იქნებოდა — დახვეწილი იტალიური არიები, როსინის „სემირამიადადან“, ბაბილონის პრინციცხას შესახებ რომაა დაწერილი.

ბალადები მწვანე ერინისა თუ რუხი მთებისა — ირლანდიური და სკოტლენდური ბალადები, შექმნილი იმისათვის, რომ მსმენელს სამშობლო მონატრებოდა.

ძველი ლოხაბერი — მხარე მთიან სკოტლენდში.

„ლურჯი“ ფერიც დაჰკრავდა მის განყობილებას — ადელაინი ლიტერატურის მოყვარული იყო, რაც ბაირონის თვალში დასაგმობი საქციელი გახლდათ ქალისათვის.

და რაც უარესია, არ რცხვენოდა ამის განცხადება — ასეთი გემოვნება მისაღები იყო ბაირონისთვის, იგი პოუპს უდიდეს ინგლისელ პოეტად მიიჩნევდა.

„ბათის ცნობარი“ — ღირსი ქრისტოფერ ენსთის რომანი ლექსად „ახალი ბათის გზამკვლევი“ (1766) მხიარული და სკაპრეზული ჩამონათვალაია ერთი ბათელი ოჯახის სექსობრივი თავგადასავლებისა.

უილიამ ჰეილის (1745-1820) „ტრიუმფი ზნე“ — სანტიმენტულური რომანი ლექსად (1781), აგებული პოუპის „კულულის მოკვეცის“ ყაიდაზე. მასშიც, ბათის გზამკვლევისაგან განსხვავებით, სიქველე გაიმარჯვებს. ჰეილი იყო მეგობარი კაუპერისა და ბლეიკისა. ავტორი „მილტონის ცხოვრებისა“, რასაც ბაირონი მოიხსენიებს მიძღვნაში.

ინგლისური ფულით წარმოჩენილი გოთური მისწრაფება — „რომაული მისწრაფება და ვენეციური ფული“, წარწერაა ზღვისაგან დამცავ კედლებზე ადრიატიკასა და ვენეციას შორის (ისეა ამოტვიფრული, შორიდანაც მოჩანს). კედლები ვენეციის რესპუბლიკის დროს აშენდა; წარწერა იმპერიულია და ნაპოლეონ პირველის დროს გაკეთდა. დროა მივაკუთვნოთ ეს ტიტული, მერე-დამერე მეორეც იქნება. „შემდეგი სამყაროს იმედით“, და თუ იცოცხლებს, დაე მამასავით ნუ დამარცხდება; იმბეცილებს მაინც აჯობებს. მის წინაშე დიადი მოედანია, თუკი ეცოდინება, როგორ დაამუშაოს.

ნაპოლეონის ვაჟი ფრანსუა შარლ ჯოზეფ ნაპოლეონი რაიხშტადტის ჰერცოგი იყო (1811-32). იმპერატორი ნაპოლეონ მესამე ნაპოლეონის მესამე ძმის, ლუი მონაპარტეს ვაჟი გახლდათ. იმბეცილებში ვენის კონგრესის შემდგომ რესტავირებული ევროპელი მონარქები იგულისხმებიან.

როს სკვაირები აიშვებენ და ბრძოლას იწყებენ ეკლესიის წინააღმდეგ — „მაკბეტი“, IV, i. მაკბეტი მოუწოდებს კუდიანებს ყველაზე ცუდისაკენ, რაკი თავის ბედისწერას შეიცნობს.

ჰენრი ცოტ-ცოტა საბინელობასაც იჩემებდა — ჯენტლმენი, რომელიც მოყვარულ ფერმერობას იჩენდა. ბაირონი ხომ ახსენებს ჰორაციუსს, თავის საბინურ ფერმამი მუშაობდაო IX, 55.

კონსისტორია — ინგლისის ეპისკოპალური ეკლესიის სასამართლოა.

დიკ დისერდრებიტი „სხვა ინტერესთა“ წევრი იყო — განსხვავებული ინტერესები გულისხმობს ვიგისა და ტორების პარტიებს, მაგრამ ბაირონი არ ამბობს, რომელი პარტიის წევრი იყო სერ ჰენრი; მისი სატირიდან გამოდის, რომ მათ შორის განსხვავება არც არის და ამომრჩეველებს ვერაფერს სთავაზობენ.

რაც მთელ ქვეყანას დალუპვით ემუქრებოდა? — საფრანგეთის რევოლუციის წინარე ხანა.

გორდიას ანუ ჯორდიას კვანძს — გორდიას კვანძი ალექსანდრე დიდმა გადაჭრა. ჯორდიაში კი მეფე ჯორჯ მესამეს გულისხმობს.

ამას სჯობს „ჩადგეს სამოქალაქო თანამდებობაში და შეებრძოლოს მთელი ძალით“, — და ასეც იქმს — „მაკბეტი“ III, i.

მიზანსაუცდენელი მსროლენი იყვნენ, სექტემბრელები — იგულისხმება 1792 წლის პარიზის სისხლისღვრის მომწყობნი. ამასთან, ფრინველზე ნადირობის სეზონი სექტემბერში იწყება.

ყოვლისშემძლე მღვდლის პიტერ პიტის — უნდა იგულისხმებოდეს სიდნი სმიტი (1771-1845), ვინც ხშირად სტუმრობდა ვიგების თავშესაყარს, ჰოლანდ ჰაუსს. ვიგი გახლდათ. დააფუძნა „ედიინბურგის მიმომხილველი“, წერდა კათოლიკეთა უფლებების დასაცავად.

არის განსხვავება „მათხოვარსა და დედოფალს შორის“ — მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში გავრცელებული სიმღერიდანაა: არის განსხვავება დედოფალსა და მათხოვარს შორის და მე გეტყვით, თუ რა განსხვავებაა, დედოფალი არ იტყლარჭება და არც თვრება მათხოვარივით და არც ასეთი მხიარულია.

დედოფალს მეტად გაუჭირდა, ვითარ ვინილეთ,

სამი წლით ადრე დედოფალი კეროლაინი სახალხოდ დაამცირა თავისმა ქმარმა, მეფემ.

„ეპისკოპოსსა და წინამძღვარს შორის“ — სიმღერა გრძელდება და გვეუბნება, რომ წინამძღვარსა და ეპისკოპოსს შორის ის განსხვავებაა, რომ წინამძღვარი ვერ გაშლის ისეთ სუფრას, როგორსაც ეპისკოპოსი.

en avant! — ფრანგული სამხედრო მოწოდება: „შეუტით!“

ისე იჯდა თითქო სკამზე მიულურსმავთო — მინიმებაა ქრისტეს ჯვარცმაზე, თითქოს ინგლისის მაღალი კლასის უაზრო და მოსაწყენი ცხოვრებაა ჯვარცმა.

თავისი მეზობლის თხოვნა ჰალტუსის ნახევრით დააკმაყოფილა — ჰალტუსი თევზია, დიდი და ბრტყელი.

რასაც *mobility*-ის უნოდებენ — არა მგონია, ეს სიტყვა ინგლისური იყოს, რადგან იმ თვისებას გამოხატავს, რაც სხვა კლიმატებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა ამ ბოლო დროს ჩვენშიც გამოჩნდა. შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახლის სწრაფი აღქმა და გამოხმაურება ისე, რომ ძველი არ დაკარგო. და თუმცა ზოგჯერ აშკარად გამოსადეგია, მაინც მტკივნეული და სავალალო თვისებაა.

ბაირონი თვითონაც ცდილობს გაერკვეს, აუჩქარებლობა სჯობს თუ სწრაფი გამოხმაურება.

კოკერის სიზუსტე — ედუარდ კოკერი (1631-75) მასწავლებელი იყო და ზედმინევენი დახვეწილი სახელმძღვანელოს ავტორი.

გამოსასყიდი ფონდი — ეს ფონდი შეიქმნა 1717 წელს, რათა როგორმე გადაეხადათ სახელმწიფოს ვალი. პროექტმა დიდი კორუფცია მოიტანა თან და ჩავარდა და გაუქმდა 1823 წელს, როცა ეს თავი იწერებოდა; ამ ფონდმა ინგლისი ოცი მილიონი ფუნტით აზარალა.

მისი აღნავობის გასაოცარ ღვთაებრიობას! — „**Curiosa felicitas**“. პეტრონიუს არბიტერი.

ფრაზა პეტრონიუსის „სატირიკონიდან“, 118, შეეხება პორაციუსის ოსტატობასა და გემოვნებას, ვინც ბაირონის საყვარელი ლათინი პოეტი იყო. ადელაინი მოსიარულე ხელოვნების ნიმუში გახლდათ და შედარება სამართლიანია.

მე ჩემებს ვთხოვ — ნუ დამიცავენ — შდრ. შერიდანი, „კრიტიკოსი“, I, ... ღმერთმანი, მართალია, იგი თავის ტოლ ავტორად არავის მიიჩნევს, თუმცა მაინც ჩემი მეგობარია.

At At tan Kսերբიա! (ბერძ.) — „ვაი, ვაი, კიპრიდავ...“ ბაირონს მოაქვს, თითქმის მოსახლე, ბერძენი პოეტის ბიონის (ქრისტემდე. 100 წელი) სიტყვები, იდილიდან, „ადონისის დატირება“, როცა აფროდიტე გლოვობს ტახის მიერ მოკლულ ადონისს.

„*Alma Venus Genetrix!*“ — ვენერას ქება ლუკრეციუსის „ბუნებისათვის“ დასაწყისში, I, 1-2. „დედავ ენებასისა და მისი მოდგმისა, კაცთათვის და ღმერთთათვის საყვარელო, ვენერავ“.

თითო სველ თითებს გადაევლოს ჭიქაზე — იხილეთ ამბავი საქსონიის პრინც კარლოსისა, ვინც შრეფერმა აღზარდა. „კარლ, კარლ, რა გსურს ჩემგან?“

იოჰან გეორგ შრეფერი (1730 -74) — გერმანელი მასონი და სპირიტუალისტი. მისი ერთ-ერთი მიმდევარი იყო საქსონიის პრინცი კარლოსი.

„*Lasciate ogni speranza Voi che entrate!*“ — წარწერა ჯოჯოხეთის კარიბჭეზე, დანტე, „ჯოჯოხეთი“, III, 9.

უსხეულო ჭინკამ შეიძლება მეტად შეგზაროს, ვიდრე მთელმა ლაშქარმა — რიჩარდ მესამე. V, iii.

თავი მარჯვნივ

დაიწერა 1823 წლის 8 მაისს, გენუაში. გადათეთრება ველარ მოასწრო. პირველად გამოაქვეყნა ჯონ მარეიმ 1903 წელს.

ადამიან „ჯორს“, როგორც იტალიელები უწოდებენ — იტალიაში, ზოგან მაინც, ნაბუშრებსა და მიგდებულ ბავშვებს ჯორებს უწოდებენ, ალბათ იმის თქმა უნდათ, რომ ქორწინების შედეგად დაბადებულნი ვირები არიან. შდრ. დანტე, ჯოჯოხეთი, XXIV, 125

მეურვეობაში მყოფი ბავშვი, თუნდ სამეფო პალატის მფარველობაში იყოს — თავის ქალიშვილს, ადას, გულისხმობს.

შვიდი საიდუმლო ორამდე შემცირდა — რომაული კათოლიკური ეკლესიის შვიდი საიდუმლო ორამდე შემცირდა პროტესტანტიზმში, სახელდობრ: ნათლობა და ზიარება.

სერ მეთიუ ჰეილი (1609-1676) — მოსამართლე, ვისაც სჯეროდა კუდიანთა არსებობა და რამდენიმე ადამიანი დანვა ამ ბრალდებით.

ოღონდ რამდენიმე — კუდიანი კი არა, მეძავი — ოჯახებს ვინც ანგრევენ, და ვისზეც გვსმენია — ბაირონი გულისხმობს, თავისი ცოლის, ანაბელას მე-საიდუმლოს, მისის კლერმონს, ვინც აღწერილი ჰყავს ლექსში უპიზოდი პირადი ცხოვრებიდან.

„*totus, teres*“ (ლათ.) — სრული და მრგვალი, ჰორაციუსის სტიოკური იდეალი, „სატირები“ II, vii, 86.

„*Idem semper*“ (ლათ.) — მუდამ იგივე.

„*Hercules furens*“ (ლათ.) — „შემოლილი ჰერკულესი“, სენეკას პიესა.



ეპოსი რომანად

(მთარგმნელთა მინანვრად)

თუ ვინმეს მოუხდენია დიდი ზეგავლენა დასავლურ სამწერლო პროცესებზე, მათ შორის ერთ უპირველესთაგანს ლორდ ბაირონს, ვისი სახელიც და პოეზიაც მალევე გაცდებოდა ინგლისსაც, ევროპასაც და თაყვანისმცემლებსა და მიმდევართ ისეთ მხარეებშიც ჰპოვებდა, რომელთა არსებობა იქნებ არც კი სმენოდა, ყოველ შემთხვევაში, ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებოდა.

აქ, ჩვენში ილია ჭავჭავაძეს ეამაყებოდა, ბაირონმა ტალანტები რომ აიყოლია და მისი ათინათი საქართველომდეც აღწევდა; და ენატრებოდა ის დრო, როდესაც ეს დიდებული სახელი სრულფასოვნად დამკვიდრდებოდა ქართულ ლიტერატურაშიც, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ჯერჯერობით კი ის შეეძლო, რომ დითირამბი ეძღვნა ამ მრისხანე და შეუპოვარი პიროვნებისათვის თავის სადებიუტო მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ და მაძიებლობის, დაუდგრომლობისა და დიდი განახლების სიმბოლოდაც დაესახა, თანაც თვით გოეთესთვისაც დაემჯობინებინა, როგორც თერგი მყინვარისათვის.

ლორდ ბაირონი იმ რანგის მოვლენაა, ვის თხზულებათა სრული კრებულიც აუცილებლად უნდა მოგვეპოვებოდეს... თუმც სრულ კრებულს ვინ ჩივის, როდესაც თითო-ოროლა მეტ-ნაკლებად წარმატებული ლექსისა და ერთი პოემის ანაბარა ვართ, თორემ დრამატული პოემები — „კაენი“ იქნება, „მანფრედი“ თუ „სარდანაპალი“ — ისე სუსტადაა გადმოღებული ქართულად, თარგმანებს არც მიეთვლება.

და მითუფრო გწყდება გული, რომ თამარ ერისთავმა — იმ პოემის („შილიონის პატიმარი“) ჩინებულმა მთარგმნელმა —

მისებური ხელოვნებით ვერ აამეტყველა „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობაც“, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს უტრიალებდა და გულმოდგინედაც სინჯავდა მასთან მისასვლელ გზებს. ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, ხელთ გვექნებოდა სანიმუშო, ქრესტომათიული ქმნილება, თუ როგორ უნდა გარდაისახოს დიდებული პოეტი სხვა ენაზე მთელი თავისი მხატვრული ძალმოსილებითა და შარავანდით... მაგრამ რაკილა ჯერ-ჯერობით მოკლებულნი ვართ ამ სიხარულს, ის მაინც შეეძლოთ, რომ სულ უფრო გავაღვივოთ მკვლევართა და მთარგმნელთა ინტერესი ამ მიმართულებით, რათა ძალიანაც აღარ გადაივადოს ლორდ ბაირონის თხზულებათა სრული კრებულის მოვლინებამ ჩვენს სამწერლო-საზოგადოებრივ სივრცეში.

მართლაც მოვლინებამ, თორემ მარტოდენ ქართულად ამეტყველება რა ბედენაა!..

დადგება ის დროც, როდესაც მიზანმიმართულად გაიშლება მთარგმნელობითი საქმიანობა ამ მიმართულებით... მიზანმიმართულადაც და წარმატებითაც... თუმც ამჯერად იმის თქმა ვიკმაროთ, რომ ლორდ ბაირონის ეპიკური ქმნილების — „დონ ჟუანი“ — ქართულად გადმოლება თავის დროზე განეზრახა ოთარ ჩხეიძეს, ოღონდაც გარითმვაზე იმთავითვე აეღო ხელი და პოემის თარგმნას თეთრ ლექსად აპირებდა, ივანე მაჩაბლის მიერ დამკვიდრებული 14-მარცვლოვანი საზომით.

ჭაშნიკად გადმოიღო „დონ ჟუანის“ მიძღვნა (რომელიც გალექსილი პოლემიკური სტატია უფროა, ვიდრე უშუალოდ ლექსი) და ჩაურთო ბიოგრაფიულ რომანში „იტალიური დღიურები ბაირონისა“. თხრობამაც დაისაჭიროვა და, თანაც, ამ ნაწყვეტის გამოქვეყნება შემეგულიანებელიც უნდა ყოფილიყო მისთვის, რათა ჩანაფიქრი კიდევ აღესრულებინა.

მაგრამ ამჯერადაც იმავე მიზეზით მოუნია განზრახვაზე ხელის აღება, რა მიზეზითაც წლების წინათ გამოეცალა ვახტანგ ჭელიძეს, ერთად რომ მოჰკიდეს ხელი ჯონ მილტონის ეპიკური ქმნილების — „დაკარგული სამოთხე“ — თარგმნას. მიხვდა — ისე დადრეკდა ეს მძიმე საქმე, რომ შესაძლოა რომანებისათვის ველარ მოეცალა, არადა, „მატიანე ქართლისას“

ციკლის გაგრძელებას ემუშებოდა და ახალი რომანის შექმნა ამჯობინა მილტონის ეპოსის თანამთარგმნელობას.

და ახლაც შეატყობდა, „დონ ჟუანის“ ქართულად ამეტყველება აუცილებლად რომანების ხარჯზე მოხდება, თანადროულად ორივეს განხორციელება გამიძნელდებაო. და... ისევ ბაირონის პოემას შეეღეოდა... თუმცა ჯერჯერობით... ოდესმე უთუოდ რომ იპოვნოდა საამისო დროს... ამ სურვილს არაერთხელ გამოთქვამდა უახლოეს ადამიანებთან, მაგრამ ეს „ოდესმე“ აღარ დადგებოდა...

თითქოს მემკვიდრეობით გადმოგვეცა ამ ჩანაფიქრის აღსრულებაც.

ბარემ ჩვენც მოგვესინჯა ეს პოემა, რომლის უთარგმნელობაც ხარვეზად დაჩნევია ქართულ კულტურას და უკვე აღარც გვეპატიება ქართველობას ინგლისური ენის ასეთი გაფუფუნების ხანაში — ბოლოსდაბოლოს, რისთვის გვინდა ამ ენის ცოდნა, თუკი მის წიაღში ამოზრდილი საკაცობრიო ქმნილებანი კვლავაც მიუწვდომელი დარჩება ჩვენთვის. ფრანგი ფილოსოფისის ეტიამბლის ქრესტომათიული სიტყვებისა არ იყოს: ნამდვილად მხოლოდ ის წაგვიკითხავს, რაც გვითარგმნია.

გართმვაზე ფიქრი ჩვენც თავიდანვე გამოვრიცხეთ.

და... აღარც თეთრი ლექსი მოვინდომეთ.

და ეს იმიტომ არა, რომ პოეტურ ქსოვილს გავექეცი. ბოლოსდაბოლოს, ანგლო-საქსური ეპოსი „ბეოვულფი“ გვითარგმნია ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ძველქართული სალექსო საზომით — წყობილი სიტყვით.

თავისთავად ამოგვესვეტა თვალწინ ფაჰრ ად-დინ გურგანის ეპოსის — „ვისრამიანი“ — ქართულ პროზაული თარგმანი უცნობი შემოქმედის მიერ — და შუასაუკუნეთა ეს მცდელობა და უდავო მონაპოვარი ყოველთვის დარჩება ჩვენი კულტურის საგანძურში.

ასევე ძალდაუტანებლად ამოტივტივდა ჰომეროსის ეპოსის — „ოდისეა“ — ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელისეული პროზაული ორეული, რომელიც „ვისრამიანის“ ტოლფასად მიგვაჩნია, მის ჯუფთ ქმნილებად ჩვენს მთარგმნელობით ხელოვნებაში (სხვათა შორის, ოთარ ჩხეიძესაც ძალიან მოსწონდა ეს თარგმანი და შთამბეჭქდავ მოვლენადაც შეაფასა ერთ ესეიში).

როდესაც ჰომეროსის მთარგმნელებმა ეს გაბედული ჩანაფიქრი აღასრულეს, თვალწინ ჰქონდათ სწორედაც ქართული „ვისრამიანის“ მაგალითი, და ამასთან გრიგოლ წერეთლის ჟანრობრივი განსაზღვრებაც. ჩვენი დიდებული ელინისტი ხომ „ოდისეას“ რომანად მოიხსენიებდა: პირველ ევროპულ რომანად.

მართლაც რატომ უნდა ეცადათ ჰეგზამეტრული საზომის კალკირება, როდესაც შეიძლებოდა ძველთაძველი ეპოსისათვის ძალდაუტანებლად მიენიჭებინათ თანამედროვე რომანის ფორმა?

და განა „დონ ჟუანი“ უფრო მეტადაც არ არის თანამედროვე რომანი?

საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ ამ სწორედ ჟანრობრივ განსაზღვრებას იშველიებენ:

ენ მელორი — ირონიული ეპიკური რომანიო;

და ელიზაბეთ ბოილი — გალექსილი პიკარესკული რომანიო.

მაშ რატომ არ შეიძლება ამეტყველდეს პროზაულად?

მითუფრო, სანიშნოდ არამარტო „ვისრამიანის“ მთარგმნელის მაგალითი მოგვეპოვება, არამედ „ოდისეას“ მთარგმნელებისაც.

დაე „დონ ჟუანი“ მათი მომდევნო იყოს მესამე.

ოღონდ... თუკი თავი მოვაბით ისე, როგორც ლორდ ბაირონს ეკადრება.

ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა სხვებმა გაითვალისწინონ და ამოდ აღარ შეალიონ ძალ-ღონე ბაირონული ლექსის კალკირებას, თუკი „დონ ჟუანს“ კიდევ ერთხელ მიეახლებიან ქართულ ენობრივ სივრცეში დასამკვიდრებლად.

* * *

„მიძღვნის“ პროზაული ვერსია ნავიკითხეთ „ჩვენი მწერლობის“ სალონში, ერთ-ერთი თავყრილობისას, და არაერთი მოსაზრება თუ შენიშვნაც მოვისმინეთ. საერთოდ მსმენელებს ურიგო შთაბეჭდილება არ დარჩენიათ, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც არ გვიჩქარია — დაე ჯერ საგრძნობლად წაგვენია წინ „დონ ჟუანის“ თარგმნა და მის ფონზე გადაგვეხალისებინა თუნდ ეს მცირე ნაწილი.

და როდესაც შუა გზას მივალწევთ, თავს უფლებას ვაძლევთ, „მიძღვნას“ მზის სინათლე უკვე ეხილა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე.

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ საბოლოოდაც აუცილებლად ასევე დარჩებოდა.

იქნებ კიდევ დარჩენილიყო, განა გამოვრიცხავდით, მაგრამ შესაძლოა სულ სხვა შინაგანი რიტმი გვემჯობინებინა მისთვის თანამედროვე რომანის იერის მისანიჭებლად და მასზე დაყრდნობით გაგვეწყო ეს დიდებული ეპოსი, რომელთან ჭიდილშიც მარცხიც საპატიოდ გვეჩვენებოდა, თუკი მოძმესა შენსა სიძნელეს გზისას გაუადვილებ!..

* * *

სხვათა შორის, „მიძღვნა“ ლორდ ბაირონის სიცოცხლეში „დონ ჟუანის“ არცერთ გამოცემას არ დართვია.

პირველი და მეორე სიმღერაც ანონიმურად გამოქვეყნდა.

ბაირონს საერთოდ სიფრთხილე არ სჩვეოდა, სწორედაც პირიქით, თავზეხელაღებული შეენარცხებოდა ხოლმე ყველასა და ყველაფერს, მაგრამ ამ გადანყვეტილებას იმით ამართლებდა: არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ძალღს ღამით შევებაო.

* * *

ბევრგვარი გზა მოისინჯა „დონ ჟუანის“ შინაგანი რიტმის მისაგნებად მისი ხელახალი გაცოცხლებისას ქართულ ენობრივ სივრცეში, მისი ზოგადი სტილისტიკის გამოსაკვეთად, მისი მეტყველების ექსპრესიის შესანარჩუნებლად...

ეპოსის — ან უკვე რომანის — თავები თანდათანობით ქვეყნდებოდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და მკითხველთა ცხოველმა ინტერესმა კიდევ უფრო შეგვაგულიანა, რათა საკმაოდ დამჯავფველი პროცესი ასეთი რანგის ქმნილების თარგმნისა არ გაგვეჭიანურებინა და გადაგველახა ყველა ის დაბრკოლება, რომელსაც უნებლიეთ წამოჭრიდა ლორდ ბაირონი მთარგმნელთა წინაშე.

მითუმეტეს — თანამედროვე სამწერლო პროცესის შუაგულში უნდა მოგვექცია, როგორც ახალი მოვლენა ანუ ბაირონის მხატვრულ წარმოსახვათა მარადიული სიჭაბუკე, დროის შესაფერისი განახლების უნარი თეორიულად კი არ გვემტკი-

ცებინა, არამედ „დონ ჟუანის“ ქართული ორეულის წყალობით დაგვედასტურებინა.

ერთი მხრივ — ქართულ „ვისრამიანთან“ გადება ხიდისა.

მეორე მხრივ — ქართულ „ოდისეასთან“.

ეს შინაგანი რწმენა და სწრაფვა რომ არა, „დონ ჟუანის“ შუამდეც ვერ მივატანდით.

ჟურნალისეული პუბლიკაციები კიდევ ერთხელ გადაიხედებოდა და გადახალისდებოდა ნიგნად გამზადებისას, იმ ნიგნად, რომლის ინგლისური დედანიც XX საუკუნეში არანაკლები ცნობისნადილის შუაგულშია მოქცეული სწავლულთა წრეებში, როგორც არამარტო კლასიკური თხზულება, არამედ ახალი ეპოქისათვის ერთი ყველაზე ახლობელი და მშობლიური ქმნილება, XX საუკუნის ლიტერატურაზეც რომ დაუდევს ხელი ლორდ ბაირონს საერთოდ და „დონ ჟუანს“ კერძოდ, და არა მხოლოდ პოეზიაზე, პროზაზეც არანაკლებად.

და ეს იმიტომ, რომ პროზასთანაც იჩენს დიდ სიახლოვეს.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ჩვენი გადანყვეტილების მართებულობას — პროზაული ქმნილებისაგან არც გაგვერჩია „დონ ჟუანი“.

აგერ: ირონიული ეპიკური რომანიო... გალექსილი პიკარესკული რომანიო...

დამაფიქვრელია, რომ XX საუკუნის ლიტერატურისმცოდნეობა და კრიტიკა არა და არ ეშვება „დონ ჟუანის“ რაც შეიძლება ზუსტი ჟანრობრივი განსაზღვრების მცდელობას:

ენდრიუ რუტერფორდმა — კომიკური ეპოსიო.

რიჩი რობერტსონმა — დამცინავი ეპოსიო.

ბრაიან ვილკმა — უარყოფის ეპოსიო.

ჯონ ლაუბერმა — ანტიეპოსიო.

ფრედერიკ ბიტმა — სატირული ეპოსიო.

ჯერ სადა ვართ — კიდევ არაერთ განსაზღვრებას გავეცნობით, და ყველას თავთავისებურად საგულისხმოს, ამა თუ იმ ნიშანდობლივ შტრიხს რომ წამოსწევენ მისი მრავალფერადა სამყაროსი, თუმც საბოლოოდ ყველა ეს და ამგვარი მცდელობა აქ მოიყრის თავს: რომანიო.

ყველა შეხედულებასა თუ დაკვირვებას აქ სად გავყვებით, თუმც ეს ერთი მაინც:

ოქსფორდის უნივერსიტეტის ამჟამინდელი პროფესორი ნიკოლას ჰალმი „დონ ჟუანს“ მოიხსენიებს ეპიკური სიდიდის პოემად, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეგმა და ამიტომაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული გარემოებასა და ვითარებაზე.

— ბაირონის „დონ ჟუანი“ დაფუძნებულია რეალობის გამორჩეულად თანამედროვე გააზრებაზე, როგორც სუბიექტურად ხორცშესასხმელ შესაძლებლობაზე. რაოდენ ძნელი წარმოსადგენიც უნდა იყოს, როგორც ტრადიციულსა და ახალ ლიტერატურულ ფორმებს შეუძლიათ თანაიარსებონ, ასევე თანაარსებობენ რეალობის ახლანდელი და მომავალი კონცეფციებიც. „დონ ჟუანში“ დაძაბულობა — რეალობის ახალ კონცეფციასა და არტისტული მიმესისის არსებულ თეორიას შორის — გვიჩვენებს, თუ რარიგ აბურთავებს ბაირონი იმავე ეპიკურ კონვენციებს, რომელსაც თვითვე უცხადებს ერთგულებას.

ესეც ის მთავარი ძარღვი, რაც არსებითად განსაზღვრავს „დონ ჟუანის“ მარადიულობას.

ნიკოლას ჰალმი ყურადღებას მიაქცევდა, რომ 1918 წლის 8 აგვისტოს ვირჯინია ვულფი ასეთ მოსაზრებას ჩაწერდა „დონ ჟუანზე“:

— ვფიქრობ, ეს ყველაზე საკითხავი პოემაა ამ მოცულობის პოემებს შორის, რაც კი დაწერილა. მისი ხარისხი უნდა უმაღლოდეს მეთოდის ზამბარისებრ, უსისტემო, შემთხვევით ბუნებას. თვით ეს მეთოდიც აღმოჩენილად უნდა ჩაითვალოს. ეს არის ელასტიკური ფორმა, რაშიც შეგიძლია ჩაღვარო, რაც გასურს და რასაც ვიეთნი ალბათ ამაოდ ეძებდნენ. ამრიგად, მას შეეძლო გადმოეცა საკუთარი განწყობილება ისე, როგორც ენველოდა; ეთქვა ის, რაც თავში მოუვიდოდა.

თვალსაჩინო რომანისტის ამ სიტყვებს მაინც ოდნავ გამკენწლავად აღიქვამს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, მისი გაჩენის ფსიქოლოგიურ საწყისად კი იმ გარემოებას მიიჩნევს: ბაირონმა მეთოდის შესაძლებლობანი არ ამოწურა „დონ ჟუანშიო“, — და დასძენს:

— ის, რაც ვირჯინია ვულფს მოეწონა, სხვა მკითხველებს ყველაზე მეტად ანუხებთ. თუკი რომანისტიკისათვის ესაა ფიქრისა და გამოცდილების გადმოცემის მოდელი, კრიტიკოსთათვის დაბრკოლებაა პოემის შეფასებისას. ამ აღმატებას მაინც რა გადაწონის: ეს ყველაზე საკითხავი პოემაა ამ მოცულობის პოემებს შორის, რაც კი დანერვილაო.

* * *

შეიძლებოდა გულდასმით შეგვედარებინა ლორდ ბაირონისა და მისი გმირის ბიოგრაფიები იმ მსგავსებათა შესავსებად და გასაშლელად, რომანისათვის დართულ შენიშვნებში რომ არის მიმოფანტული.

შეიძლებოდა იმ მხრივაც დავეკვირვებოდით და დეტალურადაც განგვესაჯა, თუ რა გავლენა მოახდინა ბაირონმა XX საუკუნის მოდერნისტული პროზის განვითარებაზე „დონ ჟუანითაც“ და „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობითაც“.

შეიძლებოდა თვით ჩვენთვის ძვირფას ტომას სტერნზ ელიოტსაც წავდავებოდით, ბაირონს ასე მკაცრად რომ იმეტიებდა.

შეიძლებოდა...

თუ საამისოდ კიდევ ბევრი დრო გვექნება, ნაცვლად მოკლე ჩანიშვნისა, გაცილებით ვრცელი და ყოველმხრივ დასაბუთებული ძიებანი რომ შევთავაზოთ მკითხველს.

ჯერ დაე ქართული „დონ ჟუანის“ მნიშვნელობას დაუკვირდეს და... ისიც ამოიცნოს, თუ რატომ წაანერა ალექსანდრ პუშკინმა ლორდ ბაირონის ამ ეპიკური ქმნილების გავლენით (და ნამეტანი გავლენითაც), შეთხზულ „ევგენი ონეგინს“ ქვესათაურად: რომანი ლექსად.

* * *

24 ქებად განეზრახა ლორდ ბაირონს „დონ ჟუანი“.

რა მიხვედრა უნდა — ჰომეროსს შესთამაშებდა, მასთან გაჯობრებას ესწრაფოდა და მოარულ ესპანურ ლეგენდასაც ამიტომ დაესესხა ქალთა კერპსა და ტრაგიკული ხვედრის ქაბუკზე, თუმცა მის ყალიბში ვერ ჩაეგია და ის სიუჟეტი თავის კვა-

ლობაზე მოაქცია, თავისი ბიოგრაფიაც ჩაუფინა სიმძაფრის გასამკვეთრებლად...

ეს იქნებ საბედისწერო გადაწყვეტილებაც აღმოჩნდა: მაინცდამაინც 24 თავად.

როგორც მისი ცხოვრება უნდა განყვეტილიყო ნაადრევად, ისევე ის ეპოსიც, რომელიც თავისი შემოქმედების გვირგვინად ესახებოდა.

* * *

პეტერბურგის უნივერსიტეტიდან ილია ჭავჭავაძის გამოძევების შემდეგ იქ ჩასულ ქართველ სტუდენტებს გააფრთხილებდნენ: თქვენ ილიას მაგალითს ნუ გაიმეორებთ, ბაირონისა და სკოტის კითხვის მეტი რომ არაფერი უკეთებია, ამიტომაც წაბრძანდა უდიპლომოდ და რალა ეშველება ახლა იმასო!..

ხოლო ოთარ ჩხეიძის რომანში „კვერნაქი“ თამადი ოცდაათექვსმეტი წლის ასაკის სადღეგრძელოს რომ წარმოთქვამს, ასე განმარტავს ამ ორიგინალური შესხმის მნიშვნელობას:

— ეს არის შუა გზა ჩვენი ცხოვრების, ეს მწვერვალია, მერე თავდადმართი იწყება და დიდ აღმართს დიდი თავდადმართიც მოსდევს, პატარას რალა თქმა უნდა — პატარა; ყველას თავისი მწვერვალი აქვს, ოცდაათექვსმეტი ყველას მწვერვალია, ოღონდ ყველა ერთნაირ აღმართს ვერ აივლის, ყველა ერთნაირ სიმაღლეს ვერ დაიპყრობს, ზოგი უშბას თავს მოექცევა, ზოგს კვერნაქზედაც ამოჰვარდება გული, უმაღლეს მწვერვალებს გენიოსები მოექცევიან, ოცდაათექვსმეტში გენიოსების ბედიც ირკვევა. ბაირონმა დასდო ოცდაათექვსმეტი გენიოსისა და შუაცხოვრების საზღვრად, მანამდის ოცდაცამეტი წელი იდო, დანტემ დასდო ოცდაცამეტი, სახარებიდან გადმოიღო და გააზვიადა. ბაირონმა თვით სიკვდილით გააზვიადა, სიკვდილს მოუხმო უმაღლეს მწვერვალზე, სიკვდილს გრიგალებიანსა, ქარიშხლებიანსა, მოუხმო და შეეგება იქვე, უმაღლეს მწვერვალზევე შეეგება, რადგან აღმართზე უფრო თავდადმართი ეძნელებოდა.

მოგვიანებით სხვა თამადაც უნდა აღტაცდეს, როდესაც ასეთი სადღეგრძელოს არსებობას ამცნობენ, კიდევ შეეხარ-

ბოს თავისი წინამორბედი თამადისა და თავისი მხრივაც შეავსოს ის მჭევრი სიტყვა:

— ოცდათექვსმეტამდის თუ ვერაფერს ეწევა, ვერც მერე ეწევა ვერაფერსაო, ცუდი ნათქვამია?.. იმ წლებში სიცოცხლეს სხვა ეშხი აქვს, სხვა ცეცხლისაა, ცდუნებანიც მეტია, თავგანწირვის განცდაც იქამდის არის, იქამდის არის ყველაფერი, იქა გუბდება მთელი ვნება, სრული ძალოვნება, სიმძაფრე ვნებისა, მერე ცხრება, ცხრება და ცხრება...

და დაბეჯითებით განაცხადოს:

— „ვეფხისტყაოსანი“ ოცდათექვსმეტი წლისამ დაწერა, თუნდაც ჯვარზე დავიფიცებ, ოცდათექვსმეტისამ! „შუმანიკიც“ ოცდათექვსმეტი წლის მარჯვენისაა, უეჭველია.

რამდენი რამ შექმნილა სიბერეში, სათვალავიც არა აქვსო, — სუფრის ბოლოს რომ აქაქანდება ერთ-ერთი წვერი, თამადამ არ უნდა დაუთმოს:

— ბევრი არ შექმნილა და რაც შექმნილა, ნაგვიანევი ოცდათექვსმეტისაა, იმისგანაა, იმისია, რასაც სიცოცხლის ნიშანი ადევს, იმისია.

ოცდაცამეტი ოცდათექვსმეტამდე გადაენია ლორდ ბაირონს, დანტეს რომ გაემეორებინა იესოს ქრისტეს მიერ დადგენილი სიმბოლიკა, ბაირონს თავისი ეცადა და არცთუ წარუმატებლად. იმ ოცდაცამეტით სუნთქავს მისი ოცდათექვსმეტიც, ის შთააგონებს, ის აღანთებს, მაგრამ თავისი სანიშნიც დაუდევს, თავისი ტვიფართაც აღუბეჭდავს.

აი, შემოქმედი!..

აი, ბიოგრაფია!..

ჩვენც რომ ძალდაუტანებლად აგვიყოლიებს და... უეცრად წარმოგვისახავს ოცდათექვსმეტი წლის შოთა რუსთველს, „ვეფხისტყაოსანს“ რომ ამთავრებს ერთბაში შეტევით — ოცდათექვსმეტს არცა სჩვევია მოცდა და გაჭიანურება.

და ოცდათექვსმეტი წლის იაკობ ხუცესს.

და ოცდათექვსმეტი წლის...

ჩამოთვლას რა აუვა... და თუ მოგვიანებითაც დაულაგებიათ შედევრები, თვით სიბერის ჟამსაც, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ისიც ნაგვიანევი ოცდათექვსმეტისა ყოფილა.

* * *

თავისი ცხოვრების მწვერვალზე ეგებებოდა ლორდ ბაირონი სიკვდილს, უმაღლეს მწვერვალზე, გრიგალებიანს რომ მოუხმობდა და ქარიშხლებიანს, მოუხმობდა და შეეგებებოდა იქვე, შეეგებებოდა და „დონ ჟუანსაც“ შეაგებებდა, თვითონ რომ აღარც განერჩეოდა, ყოფით რეალობაში წარმომდგარიყო თუ უკვე საბოლოოდ განსხეულებულიყო პერსონაჟად.

უდროოდ წყდებოდა ეს ბობოქარი ბიოგრაფია.

ნაადრევად წყდებოდა ეპიკური ქმნილებაც — ლექსად ჩამონაკვთული, თუმცა ჩვენთვის რომანად ნაანდერძევი, თორემ მოდერნისტულ პროზაზე როგორღა მოახდენდა ზეგავლენას.

...ვერა, ანკი როგორ გადაწევდა ოცდაცამეტს ოცდათექვსმეტამდე ბაირონი, სიკვდილით რომ არ გაეზვიადებინა!.. საამისოდ კი „დონ ჟუანსაც“ გაიმეტებდა, რვა თავი დაუწერელი რომ დარჩებოდა — რაღა სულის განირვა ფაუსტისაგან და რაღა „დონ ჟუანისა“ — ბაირონისაგან, იქ რომ ჩაედვარა თავისი არსება და დედამიწასაც აღარ კმარობდა აბორგებული, აღმართზე მეტად თავდაღმართი რომ ეძნელებოდა...

იმასაც, დონ ჟუანსაც, ისიც მწვერვალზე რომ იღუპებოდა!..

* * *

და რჩებოდა საზღვრად თუ საიშნოდ გენიოსობისა და შუაცხოვრებისა ოცდათექვსმეტი — ბაირონული აღმაფრენის სიმბოლოდ თუ მეტაფორად, იმ მონატრებად, მის განმეორებას რომ დაეძებ ჰეროიკამინავლებულ სამყაროში...

რჩებოდა ბიოგრაფიად... რჩებოდა ნიგნად, რომელშიც დაგუბებულიყო მთელი ვნება, სრული ძალოვნება, სიმძაფრე ვნებისა — ოდესღაც ეპოსად, ამჟამად კი რომანად, მოდერნისტული თუ პოსტმოდერნისტულ წრეში რომ მოაქცევ და ვერც მოაქცევ, ანკი რისი ბაირონი იქნება, ასე ადვილად თუ მოამწყვდიე შემოგარსულ ჩარჩოში.

* * *

მაინც რა ძალა აღმოაჩნდა ამ ოცდათექვსმეტს...

შინაარსი

მიძღვნა	3
თავი პირველი ბავშვობა და ყრმობა: ჯული	7
თავი მეორე სომალდის დაღუპვა: ჰაიდე	53
თავი მესამე მეკობრე ნადიმოზა	95
თავი მეოთხე სტამბოლის ბაზარზე	120
თავი მეხუთე ჰარამში: გულბაიანი	144
წინათქმა მუქვსა, მუშვიდე და მერვე თავებისათვის	176
თავი მეექვსე ქალის სამოსელში	179
თავი მეშვიდე იზმაილის ალყა	203
თავი მერვე იზმაილის ალყა: გომონა გვამებიდან	221
თავი მეცხრე კატარგურბში: კოსტა შიკრიკი და იმპერატრიცა ეკატერინა	250
თავი მეათე ლონდონისაკენ	268
თავი მეთერთმეტე ლონდონში	287

თავი მეთორმეტე ქალაქური ამბები, ქალაქური ჭორები	307
თავი მეცამეტე ნორმანული სააგატო: ლედი ადელაინ ამანდევილი	327
თავი მეთოხმეტე სოფლური სიამანი	351
თავი მეთხუთმეტე ნადიმი	372
თავი მეთექვსმეტე ბერის აჩრდილი	393
თავი მეჩვიდმეტე ოგლობისათვის: ჰერცოგინია ფიც-ვალკი	420
შენიშვნები	424
ეპოსი რომანად (მთარგმნელთა მინანერად)	496